საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ო. სოსელია

ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან

(სათავადოები)

I

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი

1973

9 (С 41)
9 (47·922)
ს 703

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს 15 სათავადოს თანმიმდევრული კონკრეტული ისტორია. სათავადოს არსის მოკლე ზოგადი დახასიათების შემდეგ, დადგენილია თითოეული მათგანის წარმოქმნა-განვითარება-გაუქმების დრო და პირობები, ტერიტორია, საზღვრები, ადმინისტრაციული ცენტრი, სამმართველო აპარატის შედგენილობა, ყმა გლეხებისა და აზნაურთა რაოდენობა, მათი გვარები; გარკვეულია თავადური სახლის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება, სათავადოს დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან და მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან; ნაჩვენებია სათავადოთა ისტორიული როლი იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1—6—1
126—72 ადგ.

ვუძღვნი ჩემი მეუღლის გიორგი
სოსელიას ძვირფას ხსოვნას

ო. ს.

შესავალი

ისტორიული განვითარების პროცესი სხვადასხვა ხალხში თავისებურად ვლინდება, სპეციფიკურ სახეს ღებულობს. ისტორიული პროცესის კონკრეტული მსვლელობა დაკავშირებულია ხალხის ინდივიდუალურ თავისებურებასთან, მის სპეციფიკურ სოციალურ-ეკონომიურ ვითარებასთან. მაგრამ ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარების თავისებურება საზოგადოებრივი განვითარების საერთო კანონს არ გამორიცხავს; იგი ამ უკანასკნელის კონკრეტული გამოვლინება-გაშლაა. ამიტომაც, როგორიც არ უნდა იყოს სხვადასხვა ხალხის თავისებურებანი, მათში ყოველთვის არის საერთო მომეხტი, რომელიც ისტორიული განვითარების საერთო კანონით არის გაპირობებული.

ქართული ფეოდალიზმის ერთ-ერთი თავისებურება სათავადოთა სისტემაში ვლინდება. სათავადოების პრობლემა ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობის საკვანძო საკითხებს უკავშირდება, ხოლო ამ საკითხების სწორად გადაჭრაში სათავადოთა ისტორიის გარკვევას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ქართული ფეოდალიზმის სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია ცალკეული სენიორიების ისტორიის შესწავლა. ამ მხრივ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზია. ეს ითქმის უფრო დასავლეთ საქართველოს ისტორიის მიმართ. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამ ხარვეზის ნაწილობრივ მაინც შევსება. მასში შესწავლილია დასავლეთ საქართველოს 15 სათავადოს კონკრეტული ისტორია. დადგენილია თითოეული მათგანის წარმოქმნა-განვითარებისა და დაშლის დრო და პირობები, ტერიტორია, საზღვრები, ადმინისტრაციული ცენტრი, სამმართველო აპარატის შედგენილობა, ყმა გლეხთა და აზნაურთა რაოდენობა, მათი გვარები; გარკვეულია თავადური

სახლის წევრთა შორის დამოკიდებულება და ამა თუ იმ სათავადოს დამოკიდებულება მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან; ნაჩვენებია სათავადოთა ისტორიული როლი ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სათავადოების ისტორიას ჩვენ განვიხილავთ მათი ჩამოყალიბებისა და გაუქმების ფარგლებში, მაგრამ სურათის სისრულისათვის ხშირად ადრინდელი და ნაგვიანევი ხანის ფაქტებსაც მივმართავთ.

ნაშრომი ეყრდნობა პირველწყაროებს—დოკუმენტურ მასალებს, თავადთა საგვარეულო საბუთებს, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და ჩვენ მიერაა გამოვლენილი საქართველოს სხვადასხვა არქივში დაცული ფონდებიდან. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე ნარატიული წყაროები და ადგილებზე პერიოდული მოგზაურობისას ჩვენ მიერვე შეგროვილ-ჩაწერილი ზეპირი და საველე-გეოგრაფიული მასალები.

უნდა აღინიშნოს, რომ მასალათა არათანაბარი რაოდენობისა და შინაარსობრივი ღირსების გამო ყველა თავადური გვარის ისტორია თანაბარი სისრულით არ არის მოცემული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითოეული სათავადოს ჩამოყალიბება-განვითარება-დაქვეითებისა და დაშლის უწყვეტი ისტორია მაინც არის წარმოდგენილი.

დასავლეთ საქართველოს სათავადოთა რაოდენობა ზემოხსენებულ 15 სენიორიით არ განისაზღვრებოდა. არსებობდნენ აქ სხვა სათავადოებიც. ეს სათავადოები ჩვენ შევისწავლეთ[1], შევისწავლეთ, აგრეთვე, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროებში სათავადოების არსებობის საკითხიც. ყველაფერი ეს ავტორს განზრახული აქვს, ცალკე, მეორე წიგნად გამოაქვეყნოს.

რაც შეეხება სათავადოთა წარმოქმნის წინამძღვარი მოვლენების ახსნას, სათავადოთა ორგანიზაციის ზოგად დახასიათებას, მათი დაშლის მიზეზების განხილვასა და სხვ., ეს საკითხებიც მონოგრაფიულად დამუშავებულია და ამის შესახებ გამოკვლევა კარგა ხანია ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (იხ. ო. სოსელია, ფერდალური

---

1 მონოგრაფიულად შესწავლილია, კერძოდ, წერეთლიანთ სათავადო. იხ. ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია: „არგვეთის სათავადოების ისტორიიდან („საწერეთლო"), ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა. ამ ნაშრომის მცირე ნაწილი გამოქვეყნდა სათაურით: „წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან". იხ. „ანალები" (ისტორიის ინსტიტუტის შრომები), I, 1947, გვ. 251—266.

ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), თბილისი, 1966).

ნაშრომი წარმოადგენს ჩვენი სადოქტორო დისერტაციის („სათავადოები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში"...) ერთ ნაწილს, რომელიც აქა-იქ შევსებულ-დაზუსტებულია ახალი ცნობებით.

წინამდებარე ნაშრომში, როგორც ზემოთ ითქვა, სათავადოთა მხოლოდ კონკრეტული ისტორიაა განხილული. ამიტომ, ეგონებათ, ურიგო არ იქნება მკითხველს აქ მოკლედ სათავადოს ზოგადი არსი გავაცნოთ:

სათავადოები საქართველოში წარმოიქმნენ ქვეყნის დაჩიხულობის პირობებში მეფეთა თუ მთავართაგან სამმართველოდ დროებით, პირობით, ბოძებულ ყმა-მამულის გასაკუთრებისა და იმუნიტეტის მოპოვების ნიადაგზე.

სათავადოების წარმოშობა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურ დაშლას, მის მიზეზებს და მათვე ნიადაგზე აიხსნება. ფეოდალიზაციის პროცესის დასრულება საკმაოდ დიდი ხნით უსწრებს წინ სათავადოების წარმოშობას. სათავადო-სენიორიები, რომელთაც გარკვეული მსგავსება აქვთ წინარე ხანის მსხვილ ფეოდალურ ერთეულებთან, არსებითად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში წარმოიშვნენ. სათავადოთა წარმოშობა საქართველოში შექმნილი „ჩიხის" შედეგი იყო და არა ფეოდალურ ურთიერთობათა კანონზომიერი განვითარების ნაყოფი.

საქართველოს პოლიტიკური დაშლა XIII—XV საუკუნეებში სხვადასხვა რიგის მოვლენათა ერთობლივის შედეგად მოხდა: საგარეო მტრების შემოსევებმა ქვეყნის სამეურნეო დეგრადაცია გამოიწვია, ცენტრალური ხელისუფლების საყრდენი ელემენტები შესუსტდნენ... ასეთ პირობებში კი მსხვილ ფეოდალთა ბრძოლას „ხელმწიფობისათვის" წარმატება ჰქონდა (ნ. ბერძენიშვილი). ერთიანი საქართველო XV ს. მეორე ნახევარში საბოლოოდ დაიშალა სამეფო-სამთავროებად.

ქვეყნის ფეოდალური დაშლილობის შემდგომ გაღრმავებას წარმოადგენდა ამ სამეფო-სამთავროებში სათავადოების აღმოცენება. ეს პროცესი დასავლეთ საქართველოში დაიწყო XV ს. დასასრულს, მიმდინარეობდა სამეფო-სამთავროთა საბოლოო გაქრობის პარალელურად და გრძელდებოდა XVII საუკუნეშიც.

თავადის დამახასიათებელ აუცილებელ ატრიბუტს, ქონებრივი თვალსაზრისით, გარკვეული რაოდენობის ყმა-მამულის (ყმა-

გლეხის, აზნაურის), ციხე-სიმაგრის და საგვარეულო ეკლესია-მონასტრის საკუთრად ფლობა წარმოადგენდა.

ამა თუ იმ ფეოდალური სახლის საგვარეულო მამული ხმლით, სისხლითა და „თეთრით“ იყო მოპოვებული. მასში მეფის ვასალური სამსახურის სანაცვლოდ მისგან ოდესღაც პირობით, არასაშვილიშვილოდ, ნაწყალობევი და დროთა მსვლელობაში გამკვიდრებულ-გასაკუთრებული მამულიც შედიოდა.

თავადს თავისი აზნაურები ჰყავდა, რომელნიც მასთან ყმურ (ვასალურ) დამოკიდებულებაში იყვნენ. აზნაურს თავადის წინაშე გარკვეული ვალდებულება ჰქონდა. აზნაურები შეადგენდნენ თავადის ამალას მშვიდობიან პირობებში, გვერდში ედგნენ თავიანთ ბატონს სხვა თავადების წინააღმდეგ გამოსვლებში, ომის დროს შეადგენდნენ თავადის რაზმს, სხვადასხვა საპატიო სამსახურს ეწეოდნენ ბატონის სასახლეში, სახელო ჰქონდათ სათავადოში.

თავადი მეფის, მთავრის ან უფლისწულ-ბატონიშვილის ყმა იყო. თავადობის ბოძება მხოლოდ მეფის უფლებას შეადგენდა. მთავრების მიერ ამ უფლების მითვისების ცდას არ ვხვდებით. ამასთან თუ ესა თუ ის აზნაური თავადისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ეკონომიურ „შემძლებლობას“ მოიპოვებდა და განიმტკიცებდა (რაც გვიანფეოდალურ ხანაში იშვიათად ხდებოდა), იგი დროთა ვითარებაში, მეფისაგან თავადობის ბოძების გარეშეც, თავისთავად თავადის ღირსებას იძენდა (მაგალითად, ჩიქვანები ოდიშის სამთავროში).

თავის პატრონისაგან თავადი ყმა-მამულს (აზნაურს, გლეხს) ღებულობდა. მეფის მიერ თავადისათვის ყმა-მამულის ბოძებას ფორმალურად დასავლეთ საქართველოშიც ისეთი ხასიათი ჰქონდა, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოში (და, საერთოდ, ფეოდალურ საზოგადოებაში მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე). თავადს მეფე ყმა-მამულს პირობით აძლევს. წყალობის წიგნში მეფე თუ მთავარი აღნიშნავს: „თუ თქუენ ჩუენი ერდგული და ჩუენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმანი იყოთ, ეს ჩუენგან ბოძებული წიგნი და სიგელი არაოდეს აღარ მოგიშალოთო“. თუ თავადი ურჩობას გამოიჩენდა, თავის პატრონის „სიტყვისა და ბრძანების მორჩილი“ არ იქნებოდა, უკანასკნელი უფლებას იტოვებდა თავადისათვის ყმა-მამული ჩამოერთმია. მაგრამ წყალობის წიგნში ასეთი დათქმა ფეოდალური ურთიერთობის განვლილ საფეხურს გამოხატავდა. საათავადოთა სისტემის პირობებში მას ძალა დაკარგული ჰქონდა. მეფის თუ მთავრის მიერ ამ უფლების გამოყენების ცდას თავადი ძალმომრეობად მიიჩნევდა.

მეფე, მთავარი თუ უფლისწულ-ბატონიშვილი თავადს მფარველობას უწევდა: გარეშე მტრისაგან და შიგნით სხვა თავადისაგან იცავდა.

თავადს კი თავის პატრონის წინაშე ყმური სამსახური ევალებოდა. ეს სამსახური სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. თავდაპირველად სათავადოში შემავალი ყმა ჯერ კიდევ გარკვეული სახის სამეფო გადასახადს იხდიდა. დროთა განმავლობაში სათავადოთა დიდმა ნაწილმა ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში შეუვალობა შოიპოვა. ამის შემდეგ სათავადო მეფეს თუ მთავარს სამსახურს სხვა სახით უწევდა: განსაკუთრებულ შემთხვევაში (კურთხევა, ქორწინება და სხვ.) „ხარჯის" გაწევა, „ძღვენის" მირთმევა მართებდა. ასეთი ვალდებულების არსებობაზე ის ფაქტი ლაპარაკობს, რომ სათავადოთა საბუთებში ვხვდებით მითითებას სამეფო „ხარჯზე", სამეფო „სამსახურზე" (ლაშქრობა-ნადირობის მნიშვნელობით).

პატრონის მიმართ თავადის ყმობა, უმთავრესად, სამხედრო სამსახურში გამოიხატებოდა. სათავადოს უფროსის აუცილებელ მოვალეობას შეადგენდა, მეფის ან მთავრის მოთხოვნის მიხედვით, საჭიროების დროს სათავადოდან ლაშქრის გამოყვანა. მაგრამ თავადი თავის ყმურ სამსახურს პატრონის წინაშე ყოველთვის ერთგულად როდი ასრულებს. ძალიან ხშირად აქვს ადგილი ურჩობას, განდგომას. თავადი ხშირად არა თუ უარს ამბობს პატრონის წინაშე თავის ვასალურ ვალდებულების შესრულებაზე, არამედ შეიარაღებულ ბრძოლასაც აწარმოებს მის წინააღმდეგ. მიზეზი: თავადის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, მეფის ცდა თავადი დაიმორჩილოს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა საერთოდ ფეოდალურ სამყაროში. დასავლეთ საქართველოში ამ მდგომარეობის საილუსტრაციო ფაქტები ქვემოთ ჩვენ მრავლად გვაქვს მოტანილი.

თავადს დასავლეთ საქართველოში, საერთოდ, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა ჰქონდა. მის პოლიტიკურ ძალაუფლებას, დამოკიდებულებას მეფესთან თუ მთავართან, მის ურთიერთობას სხვა თავადებთან, მისი მატერიალური შესაძლებლობა და მასზე დამყარებული ძალა განსაზღვრავდა. თავადს იმდენად მეტი ძალაუფლება გააჩნდა. რამდენადაც მსხვილი იყო მისი ყმა-მამული.

სათავადო თავადური გვარის წევრთა გაერთიანებულ, ერთ ფეოდალურ ერთეულად ორგანიზებულ სამფლობელოს ერქვა.

სათავადოს მოთავე „დიდებულ თავადად" იწოდებოდა. „დიდებული თავადის" პატივს, როგორც წესი, მხოლოდ სათავადო სახლის უფროსი ატარებდა. მისი სახლისკაცები კი, თუ აღმოსავლეთ სა-

ქართველოში თავადიშვილებად იწოდებოდნენ, დასავლეთ საქართველოში „თავადად“ ან „თავადიშვილად“ იხსენიებიან.

დიდებული თავადის სისხლის ფასი დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც ქართლის სამეფოში, ვახტანგ VI-ის კანონით (მ. 26) ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი არის.

სათავადოს უფროსი თავისი უფლებრივი მდგომარეობით ადრინდელი ხანის ერისთავზე მაღლა დგას და მთავარზე დაბლა: დიდებული თავადი ფეოდალური სახლის საგვარეულო მიწა-წყლის მეტნაკლებად დამოუკიდებელი გამგებელია. ერისთავი კი—ქვეყნის გარკვეულ ადმინისტრაციულ ერთეულში მეფის მიერ დასმული მოხელე. თავადი მთავრამდე რომ ამაღლდეს, ამისათვის მან სამეფო ან სამთავრო ვალდებულება მთლიანად უნდა მოიშოროს. იგი სიუზერენის ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან უნდა განთავისუფლდეს.

აქეთკენ მიისწრაფოდნენ თავადებიც, მეფე-მთავრები კი თავადების ამ მისწრაფების აღკვეთას და ერისთავის მდგომარეობაში ჩაყენებას ცდილობდნენ. ამ ნიადაგზე მათ შორის განუწყვეტელი ბრძოლა იყო.

„დიდებული თავადი“ ფეოდალურ კიბეზე სხვა თავადებთან შედარებით უფრო მაღლა იმით იდგა, რომ იგი სათავადო სახლის უფროსი იყო და მეფის ან მთავრის კარზე თუ ადგილობრივი მმართველობის აპარატში თავის თანამოგვარეებზე უფრო დიდი თანამდებობა ეჭირა. სხვა მხრივ „დიდებული თავადის“ მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან, საერთოდ თავადის მდგომარეობისაგან არსებითად არ განსხვავდებოდა.

ყოველგვარ საშინაო და საგარეო ურთიერთობას სათავადო თავისი უფროსის მეშვეობით ახორციელებდა. სათავადოს უფროსი ამყარებდა ურთიერთობას მეფე-მთავრებთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან და სათავადოებთან. სათავადოს უფროსი იყო სათავადოს საგარეო წარმომადგენელი. იგი განაგებდა სათავადოს საერთო ქონებას და ამ ქონების შემოსავლიდან გარკვეულ წილს ღებულობდა.

საერთო ქონება, რომელსაც სათავადოს უფროსი განაგებდა, სათავადოს ქონების დიდ ნაწილს შეადგენდა. ამ „საერთო-განუყოფელში“ შედიოდა: ადგილ-მამული (სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახები, საძოვრები, ტყეები, მდინარეები), ყმები (ყმა გლეხები, აზნაურები), ჯოგები, ეკლესია-მონასტერი, ციხე-სიმაგრენი, ქალაქები, საბაჟოები, სასაფლაო და აგრეთვე სხვადასხვა საწარმო (წისქვილი, საფეიქრო, სამღებრო და სხვ.).

სახლისკაცებს—თავადებს, თავადიშვილებს პირად-საოჯახო, „სათავისთავო“ ქონება (ნასყიდი, ნამზითევი და სხვ.) ჰქონდათ, რომელიც მათ სრულ განკარგულებაში იყო.

სათავადოს უფროსი სათავადოს საერთო საქმეებს, როგორც წესი, ერთპიროვნულად განაგებდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ის „სახლის რიგით“ ხელმძღვანელობდა; ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა მას სახლისკაცებთან ერთად, მათი „დასტურით“ უბდებოდა, ე. ი. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევას, როცა საკითხი „ერთმანეთის უკითხავად“ არ წყდებოდა.

სათავადო დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მსხვილ ფეოდალურ სამფლობელოს წარმოადგენდა. სათავადოს ადგილ-მამულის ძირითადი ნაწილი ერთიმთლიანი ტერიტორიული ერთეულის სახით იყო განლაგებული, მაგრამ სათავადო ხშირად მამულს ფლობდა ამ ძირითადი ნაწილისაგან განცალკევებითაც, სხვადასხვა ადგილას.

სათავადო იმ საგვარეულოს სახელს ატარებდა, რომელიც მასში იყო გაერთიანებული: წერეთლების სათავადოს „საწერეთლო“ ერქვა, მხეიძეებისას—„სამხეიძო“, ჩხეიძეებისას—„საჩხეიძო“, ლორთქიფანიძეებისას — „სალორთქიფანიძო“, მაჭუტაძეებისას — „სამაჭუტავო“ ანუ „სამაჭუტაძო“, ჩიჩუებისას — „საჩიჩუო“ და ა. შ.

სათავადო, როგორც პოლიტიკური ერთეული, ძეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი იყო; ამასთან იგი დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას, ხელმწიფობას იჩემებდა.

სათავადოს ასეთ მდგომარეობას ფეოდალიზმის განვითარების ხასიათი აპირობებდა. ფეოდალიზმის განვითარების ძირითად ნიშანს მიწის საკუთრებასა და ხელისუფლებას შორის კავშირი წარმოადგენდა. ხელისუფლება ფეოდალურ ეპოქაში „მიწის საკუთრების ატრიბუტი იყო“ (კ. მარქსი). ფეოდალის ხელისუფლების საფუძველს მიწის საკუთრება შეადგენდა, ხოლო მიწის საკუთრების ხასიათი განსაზღვრავდა ხელისუფლების ხასიათსაც.

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას ფეოდალური საკუთრების ბუნებაში ცვლილება შეაქვს: ფეოდი ბოლოს და ბოლოს სრულ საკუთრებად იქცევა. დასავლეთ საქართველოში თავადის საკუთრების ხასიათმა სათავადოთა სისტემის გამარჯვების პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: მეფეს თუ მთავარს უკვე აღარ აქვს საშუალება შეზღუდოს თავადის საკუთრების უფლება. მას შეუძლია, თუ ძალა შესწევს, ორგულობა-ღალატის შემთხვევაში წაართვას თავადს ყმა-მამული, მაგრამ სანამ ეს მამული თავადის ხელშია, მის მიმართ მეფეს თუ მთავარს დამოუკიდე-

ბლად განკარგულების უფლება არა აქვს. ეს ყმა-მამული თავადის საკუთრებას წარმოადგენს, მის განკარგულებაში არის: თავადი ამ ყმა-მამულს სრულიად დამოუკიდებლად ასხვისებს (ყიდის, უბოძებს).

ეს გარემოება, უეჭველია, დიდად უწყობს ხელს მეფისა თუ მთავრისაგან თავადის მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობის მოპოვება-განმტკიცებას.

უმაღლესი ხელისუფლების წყაროს დასავლეთ საქართველოს სათავადოებში თვით სათავადო წარმოადგენდა—სათავადოს უფროსს თვითონ მისი გვარის წევრები სვამდნენ მეფის სანქციის გარეშე. ამ მხრივ სათავადოს დასავლეთ საქართველოში მეტი დამოუკიდებლობა ჰქონდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში (აქ სათავადოს უფროსს მეფე ნიშნავდა).

სათავადოს საერთოდ „სახლის რიგი" ჰქონდა. იქ აღნიშნული იყო სათავადოს უფროსისა და სახლიკაცთა უფლება-მოვალეობანი, მოცემული იყო ის ძირითადი საფუძვლები, რასაც სათავადოს ერთობა, უფროს-უმცროსობა ემყარებოდა. სათავადოს ორგანიზაციის ამ საფუძვლებს, ასე ვთქვათ, კონსტიტუციას, დასავლეთ საქართველოში სათავადოს უფროსი და სახლიკაცები ადგენდნენ ერთად ან მას სათავადოს უფროსი ადგენდა და სახლიკაცთ უთანხმებდა. ამ მხრივაც დასავლეთ საქართველოში განსხვავებული მდგომარეობა იყო (აღმოსავლეთ საქართველოში სათავადოს „სახლის რიგს" მეფე უბოძებდა).

სათავადოს ადმინისტრაციული იმუნიტეტი ჰქონდა. ამ მხრივ არსებითი განსხვავება სათავადოებს შორის აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში არ არის.

სათავადოს თავისი სამოხელეო აპარატი ჰქონდა. მართვა-გამგეობა სათავადოს უფროსის ხელში იყო. სათავადოში მოხელეთა დანიშვნა-გადაყენება მის კომპეტენციაში შედიოდა. მთელი სამოხელეო აპარატი მას ემორჩილებოდა. სათავადოს უფროსის უფლებას შეადგენდა მოხელეთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადება. ამ საქმეებში მეფის ხელისუფლების ჩარევის შემთხვევა დასავლეთ საქართველოს სათავადოებში არ ჩანს.

სათავადოთა დიდ ნაწილს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა. სხვა სათავადოებში ხშირად ყველა ყმა გლეხს არ მართებდა სახელმწიფო გადასახადი, ან იხდიდა მის ნაწილს. საგადასახადო შეუვალობა ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში (მუდმივი სახის სამეფო თუ სამთავრო გადასახადი აქ ძირითადად საური და საუდიერო იყო). იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების დროისათვის სახელმწიფო გადასახადს სათავადო ყმა-

ბლეხთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იხდიდა. ფეოდალები ამ გადასახადს თავიანთ სასარგებლოდ კრეფდნენ.

დასავლეთ საქართველოში, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში, სათავადოებმა საგადასახადო და სხვა შეუვალობა მოიპოვეს მეფის წყალობის გარეშე, მიტაცება-ხანდაზმულობის გზით. სათავადოთა საგადასახადო და სხვა შეუვალობას მეფისა თუ მთავრის ნება-სურვილისაგან (წყალობის წიგნისაგან) დამოუკიდებელი ეკონომიური საფუძველი აქვს. მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელობას ფეოდალიზმის განვითარების გარკვეულ პირობებში თან სდევს ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მეფის თუ მთავრის წყალობის წიგნი კი არ ქმნის ახალ მდგომარეობას, არამედ იგი ამტკიცებს, სანქციას აძლევს იმას, რაც არის. ეს სანქცია, ფორმალური აქტი, შეიძლება დაგვიანდეს, შეიძლება იგი სულ არ იყოს: ეს არ ცვლის არსებითად შექმნილ მდგომარეობას.

სასამართლო შეუვალობას აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში განსხვავება არ ემჩნევა. ფეოდალების იურისდიქცია არსებობს, თუმცა იგი მეფის თუ მთავრის ხელისუფლებითაა შეზღუდული.

საქართველოში ფეოდალების იურისდიქციას, სასამართლო შეუვალობას ისეთი დასრულებული სახე არ მიუღია, როგორიც მას შუა საუკუნეების ევროპაში ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ფეოდალების იურისდიქცია მაინც საკმაოდ ფართო ხასიათს ატარებდა. ფეოდალს ჰქონდა თავისი ყმის „დანაშაულის გარდახდევინების" უფლება. იგი ასამართლებდა თავის ყმას ისეთი დანაშაულისათვის, როგორიცაა ქურდობა, „უმსახურობა" და დამნაშავეს აპატიმრებდა.

ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს საერთოდ სათავადოს უფროსი ახორციელებდა.

სათავადოები დასავლეთ საქართველოში მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას იჩენდნენ საგარეო ურთიერთობაშიც.

ყოველივე ამაში გამოიხატებოდა სათავადოს დამოუკიდებლობა, „ხელმწიფობა".

სათავადო ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროებში იყო ტერიტორიულად და პოლიტიკურად ცენტრისგან გაცალკევებული ფეოდალური ერთეული, რომელიც ფაქტიურად უკონტროლოდ და საკმაოდ დიდი მოცულობით ფლობდა საჯარო ხელისუფლების პრეროგატივებს.

სათავადო დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურ-ორგანიზაციულად უფრო სრულყოფილი, გამოკვეთილი და ცენტრთან უფრო სუსტად დამოკიდებული ფეოდალური სამფლობელო იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ამდენადვე თავადის „ხელმწიფობა“ ანუ სუვერენობა დასავლეთ საქართველოში უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე აღმოსავლეთში.

სათავადოს ლიხთ-იმერეთში არ გააჩნდა ისეთი სრული და ყოველთვის სიგელზე დაფუძნებული იმუნიტეტი, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ცნობილ სენიორიებს ჰქონდათ. სათავადოთა ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოში სენიორული სისტემის თავისებურ სახეს წარმოადგენდა.

სათავადოს ზოგადი არსი ვრცლად განხილული და არგუმენტირებულია ჩვენს ზემოდასახელებულ გამოკვლევის („ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან...“) სათანადო თავებში[2].

---

[2] იხ. გვ. 11—65. 102—116, 170—203.

თავი I

მხეიძეთა სათავადო

მხეიძეთა გვარი უძველესი და „უწარჩინებულესი“ ფეოდალური გვარი ჩანს იმერეთის სამეფოში[1]. იოანე ბატონიშვილი ქართველ თავად-აზნაურთა გვარების „აღწერაში“ მხეიძეთა შესახებ ამბობს: „ფხეიძე არიან ძირით სალიპარიტიანნი, ნათესავნი ორბელიანი ლიპარიტისო“[2]. იოანე ცდება, რა თქმა უნდა, როცა ლიპარიტს ორბელიანად თვლის. როგორც ს. ჯანაშიამ გაარკვია, ლიპარიტის „საგვარეულოს სრული შეცდომით ორბელიანებს ეძახიან, მაშინ როდესაც მისი ნამდვილი გვარისახელი იყო ბაღუაში“[3]. მაგრამ ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია არა ის, იცის თუ არა იოანე ბატონიშვილმა ლიპარიტის ნამდვილი გვარსახელი, არამედ ის, რომ მხეიძეთა გვარი ლიპარიტის „ნათესავია“. ბაღუაში კი, ვახუშტის ცნობით, „ლიპარიტისძე“ იყო („ბალუში, რომელიც იყო ლიპარიტისძე“)[4].

ცნობილია, რომ IX ს. მეორე ნახევარში თრიალეთში გაბატონებული ლიპარიტ ბალუაში, რომელიც კლდეკარის საერისთავოს

---

1 ვახუშტი მხეიძეთა გვარს არგვეთის (ზემო იმერეთი) „აწინდელთა ჟამთა“ (საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლილობის პერიოდი) „უწარჩინებულეს“ საგვარეულოთა შორის იხსენიებს. იხ. მისი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 26 (ქვემოთ აღწერა...).

2 იხ, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა..., ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, გვ. 111v. (დაბეჭდილია 1884 წ. „ივერიის“ დამატებაში №№ 4, 5—6, 7—8, 9—10, 11—12).

3 ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 477.

4 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 20.

დამაარსებელია, წარმოშობით არგვეთიდან იყო[5], სწორედ იმ კუთხიდან, სადაც მხეიძეები ბინადრობდნენ.

ისტორიული გადმოცემის მიხედვით, VIII ს. პირველ ნახევარში არგვეთის „მთავრებად" მხეიძეთა გვარის წარმომადგენელნი ისხდნენ. არაბთა მხედართმთავრის მურვან-ყრუს საქართველოში ლაშქრობის დროს (736—738 წწ.) დამპყრობლებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულნი არგვეთის „მთავარნი" დავით და კონსტანტინე, იმავე გადმოცემით, გვარად მხეიძეები იყვნენ[6].

ეს გადმოცემა, ვფიქრობთ, ჭეშმარიტებას შეიცავს. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ არგვეთის „მთავართა" მხეიძეთა და არგვეთს (ეაცხს) საგვარეულო მამულის მქონე ლიპარიტ ბაღუაშის „ნათესაობა" სარწმუნოდ გვეჩვენება.

შეიძლება მხეიძეები ბაღუაშთა გვარის ერთ რომელიმე შტოს წარმოადგენდნენ. ორივე ერთად კი, როგორც იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს. „ძირით სალიპარიტიანნი" ანუ სალიპარტიანოდან იყვნენ.

სალიპარტიანო ეწოდებოდა ტერიტორიას ჭყონდიდიდან უნაგირას მთამდე[7]. ამ კუთხის სახელი ბაღუაშთა გვარში გავრცელებულ ლიპარიტის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ სახელის მატარებელი ბაღუაშთა სახლიკაცის შტო ლიპარტიანად უნდა იყოს წოდებული, ხოლო ის კუთხე, რომელსაც ის ფლობდა—სალიპარტიანოდ[8]. ამგვარად, თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მხეიძეები და ლიპარტიანები ბაღუაშთა გვარის ცალკე შტოებად უნდა მივიჩნიოთ. ან, პირიქით, ლიპარტიანის შტოებად უნდა მივიჩნიოთ ბაღუაში და მხეიძე. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ვახუშტის ცნობა: „ბაღუაში, რომელი იყო ლიპარიტისძე".

ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ყველა ესენი (ლიპარტიანი, ბაღუაში, მხეიძე) ბუნებრივია, მამულის გაფართოება-მოპოვებისათვის იბრძვიან. ლიპარტიანები თავიანთი „ძირის"—მამაპა-

---

5 იხ. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 258, 277—278, 305—306.

6 იხ. „წმინდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთა მონასტერი", ქუთაისი, 1906, გვ. 3.

ამ თხზულებაში დაცული ცნობა დავით და კონსტანტინეს მხეიძეთა გვარიდან წარმომავლობის შესახებ, უეჭველია, ზეპირგადმოცემაზეა დამყარებული.

7 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 167.

8 სალიპარტიანოს შესახებ იხ. ერცლად ქვემოთ, ჩიქვანთა სათავადოში.

ჰეულ ადგილზე, სალიპარტიანოში რჩებიან. ბაღუაშები და მხეიძეები სხვადასხვა გზით (ხმლით, სუდვით) თავიანთ უფლებას ავრცელებენ არგვეთზე და აქ მკვიდრდებიან.

არგვეთიდან გადადის შემდეგ ლიპარიტ ბაღუაში თრიალეთში და თანდათანობით ხელთ იგდებს ალგეთის ხევსა და ქვემო ქართლის იმ ნაწილს, „რომელმაც შემდეგში საბარათიანოს სახელწოდება მიიღო[9]“.

ასე წარმოგვიდგება ბაღუაშ-ლიპარტიანი-მხეიძის გვარის წარმოშობის გზები იოანე ბატონიშვილის ცნობის, ისტორიული გადმოცემისა და ლიპარიტ ბაღუაშის შესახებ „მატიანე ქართლისაში“[10] დაცული მონაცემების საფუძველზე.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მხეიძეების თანამოგვარეები ხეციები (მეგრული ფორმით—ხეცია) სწორედ სამეგრელოში გვხვდებიან.

მხეიძეთა გვარის ძირძველობა კარგად ჩანს ეპიგრაფიკული მასალებიდან. ჯერ კიდევ XI ს. იხსენიება ეს საგვარეულო ერთი წინგასაძღოლი ჯვარის წარწერაში[11]. ამავე ხანის ან XI—XIII სს. შუალედის მოღვაწე უნდა იყოს მოლარეთუხუცესი ბეშქენ მხეციძე, რომელიც ჯვარის მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში გვხვდება[12]. უფრო გვიან, სპეციალისტების აზრით, XIII—XIV სს. მოქედილ ღვთისმშობლის ხატის წარწერა გვაუწყებს, რომ ეს ხატი მოუქედინებიათ და შეუმკიათ ფირან „მჯეციძესა“ და მის თანამეცხედრეს აბაშიძის ასულს ელენეს[13]. XIV საუკუნესვე მოქედილი მაცხოვრის ხატის წარწერა კიდევ ამ ხატის მომქედინებლად

---

9 სიმონ ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, გვ. 477.

10 იხ. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 258—306.

11 „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი; ქრისტე, შეიწყალე სოფრონ ერუშნელი ძე ქველისა; იესო ქრისტე, განუსვენე სულსა ძეციძისა“, იხ. Н. Кондаков. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. Грузинские надписи прочтены и истолкованы Димитрием Бакрадзе. СПб., 1890, стр. 56 (ქვემოთ: Опись).

ეს ჯვარი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 3858 ნომრით.

12 ე. მეტრეველი. მასალები ბერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბილისი, 1962, გვ. 21, 72.

13 Н. Кондаков. Опись..., стр. 32.

ქაიხოსრო „მკეციძესა“ და მის მეუღლეს ერისთავის ქალს ანას ასახელებს[14].

დოკუმენტურ წყაროებში მკეციძე (იგივე ფხეიძე, მხეიძე) პირველად იხსენიება 1326 წელს. აღნიშნულ წელს მიქელაძისადმი მიცემული სისხლის ზღვევის სიგლიდან ჩანს, რომ მიქელაძის საქმის გამო მიქაელ მეფის წინაშე „შემოვიდნეს დარბაისელნი კახაბერიძე, მკეციძე“ და „სხვანი“ და მათი მონაწილეობით მოხდა მიქელაძის საქმის გარჩევა[15]. ჩანს მხეიძე ამ დროს მეფის დარბაზის წევრი და დამსახურებული პირია. მაგრამ მისი სახელი, ისე როგორც კახაბერიძის, საბუთებში აღნიშნული არ არის.

უფრო მკაფიოდ ჩანან მხეიძეთა გვარის წარმომადგენლები XV ს. მიწურულიდან. 1488 წელს შედგენილ ფალავანდიშვილთა სასისხლო სიგელში მოწმეთა შორის ვხედავთ მოლარეთუხუცეს სარგის მკეციძეს[16]. მოლარეთუხუცესობა მკეციძეებს, როგორც ვნახეთ, საქართველოს ფეოდალური მონარქიის მთლიანობის პერიოდში ჰქონდათ და ის გადმოყვათ პოლიტიკური დაშლილობის ხანაშიც.

ეს სარგისი უნდა იყოს 1505—1519 წლებს შუა დაწერილ ერთ საბუთში მოხსენიებული „პატრონი“ სარგის მკეციძე, რომელთან ერთად დასახელებულია მისი შვილებიც: გიორგი, ქაიხოსრო, ჯანგაზ, ზურაბ და ფირანი[17]. სხვა წყაროდან ვგებულობთ, რომ ამათ გარდა, სარგისს ჰყავდა კიდევ მეექვსე ვაჟი—გარსევანი[18].

სარგის მხეიძე მდიდარი ფეოდალია. ამის თქმის საფუძველს იძლევა თუნდაც ის, რომ მისი „ბრძანებითა“ მოიჭედა რამდენიმე

---

14 Н. Кондаков, Опись..., стр. 30.

15 საქართველოს სიძველენი. ტ. II, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1909, გვ. 33.

16 ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე, წ. II, ტფილისი, 1924, გვ. 25.

17 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. ტფილისი, 1921, გვ. 6.

18 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფილისი, 1897, გვ. 354 (ქვემოთ: ქრონიკები).

აღსახიშნავია, რომ ბარათაშვილთა გაყრის წიგნში მოხსენიებული ქავთარ ბარათაშვილის „ცოლყოფილი ელენე ყოფილი ელისაბედ“ თ. ჟორდანიას სარგის მკეციძის ასულად მიაჩნია (იხ. იქვე, გვ. 352).

ხატი[19]. ამასთან იგი ფრიად დაწინაურებულია: სამეფო კარზე მას მოლარეთუხუცესის სახელო უჭირავს[20]. თანამეცხედრეც თავის მაღალღირსების შესაფერი ჰყავს. ესაა „მეფეთ-მეფისა ბაგრატისა დისწული, ამირინდოსა ამილახორისა ასული ელენე ყოფილი ეკატერინე“[21].

როდის უნდა მომხდარიყო მხეიძეთა სათავადოს ჩამოყალიბება, ზუსტად განსაზღვრა ძნელია. დაახლოებით კი ეს XV საუკუნეში, სარგის მკეციძის მოღვაწეობის პირველ პერიოდშია სავარაუდებელი. სათავადოს უფროსადაც სარგისი არის საგულისხმებელი (გვარში ის პირველობს).

მხეიძეთა სათავადოში რამდენიმე სოფელი შედიოდა:

1. ზედ-უბანი, 2. დაბა-ძველი, 3. საწირე, 4. ივანოული, 5. ძიროვანი[22].

ამ სოფლებს ეწოდებოდა „სამხეიძო“.

მხეიძეებს ეკუთვნოდათ აგრეთვე „ეუნტუბოს მამული“[23].

---

19 სოხასტერის ღვთის მშობლის ხატის მარჯვენა წარწერაში ვკითხულობთ: „მოლარეთუხუცესსა მკეციძესა სარგის შ~ნ ღ~ნ ა~ნ“. მარცხნით: „მეცხედრესა მის-სა მეფეთ-მეფისა ბაგრატისა დისწულსა, ამილახორისა ამირინდოს ასულსა, პატრონსა ელენე-ყოფილსა ეკატერინეს ცოდვანი მათნი შ~ს ღ~ნ“.

სოხასტრისავე ღვთისმშობლის მეორე ხატის წარწერაში ნათქვამია: „...ფრიად ცოდვილსა მოლარეთუხუცესსა მკეციძესა სარგისს... რომლის ბრძანებითა მოიქედა წ~ა ესე ხატი და მკმცხედრესაა, მეფეთა მეფისა ბაგრატისა დისწულსა ამილახორისა ზედგენიძისა ამირინდოს ასულსა, პატრონსა ელენე-ყოფილსა ეკატერინესა ცოდვანი მათნი შ~ს ღ~ნ...“ (იხ. ქრონიკები, II, გვ. 354).

ის ხატები, რომელთა წარწერებში სარგის მხეიძე და მისი ოჯახის წევრებია მოხსენიებული, უეჭველია, სარგისის საბსრებითაა მოქედილი.

20 ქრონიკები, II, გვ. 354.

21 იხ. ი ქ ვ ე.

22 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოც. ჩუბინოვისა, სპბ., 1854, გვ. 226 (ქვემოთ: „საქართველოს ისტორია“. ყველგან ეს გამოცემა, თუ სხვა მითითებული არაა); გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გამოც. გ. გელაშვილისა, თბილისი, 1962, გვ. 133; ისიდორე დავითის ძე ცირეკიძისა (სოფ. საწირეს მცხოვრები, 82 წლის) და არჩილ იოსებიძის ძე ბუბაშვილის (სოფ. ზედ-უბანს მცხოვრები, 61 წლის) ცნობები. ჩავიწერეთ ამავე სოფლებში 1959 წ. აგვისტოს.

23 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფილისი, 1921, გვ. 138 (ქვემოთ: დას. საქ. საეკ. საბ. გამომცემლის ~~ლეონ~~ ხელებლად).

ამ სოფლების ნაწილი მხეიძეებს სარგისის ზეობის დროს უნდა ჰქონდეთ შეძენილი. ნაწილი კი—უფრო ადრე.

მხეიძეთა სოფლები ერთ მთლიან ტერიტორიას ჰქმნიდნენ, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სამხეიძო“ ეწოდებოდა. აღმოსავლეთით ამ ტერიტორიას ლაღორიისა და ვაშალას ტყე საზღვრავდა, დასავლეთით—სოფელი ლეღვა, ჩრდილოეთით—ახალდაბა და სამხრეთით—ძუყნური.

აღნიშნულ სოფლებს გარდა, ერთ დროს მხეიძეებს ეკუთვნოდათ ნავენახევი მთლიანად და მესხეთისა და ფარცხანაყანევის დიდი ნაწილი[24]. ეს იყო 1545 წელზე კარგა ხნით ადრე[25].

თავდაპირველად საეკლესიო სოფელი ნავენახევი ჯერ ღოღობერიძემ მიიტაცა და „საასნაურიშვილოდ“ შეიქმნა. „ამას უკანის ჟამთა აშლილობისაგან მხეციძესა ეშოვნა“. მაგრამ მხეციძეს ბაგრატ III-ის „უპატრობა შევარდა“. ამიტომ მეფემ ჩამოართვა მას ეს სოფელი და 1545 წელს გელათის ღვთისმშობელს შესწირა[26]. ამავე დროს გამოეცალა ხელიდან მხეიძეს მესხეთი და ფარცხანაყანევიც[27].

მხეიძეთა რეზიდენცია სოფელ ზედუბანს იყო. აქ ჰქონდათ მათ სასახლე და კარის ეკლესია[28]. სასახლიდან დაშორებით, დასავლეთის მიმართულებით, მდინარე ჭალისწყლის პირას იყო აგებული მხეიძეების ციხესიმაგრე, რომელიც საწირის ციხის სახელითაა ცნობილი[29].

მხეიძეთა „მამული ჟუნტუბო“ იხსენიება ფირან და სხვა მხეიძეების მიერ სოხასტერის წინამძღვარ დავით იოსელიანისათვის მიცემულ 1803 წლის პირობის წიგნში. ამ საბუთიდანვე ჩანს, რომ ეს მამული ადრეც მხეიძეებისა იყო (იხ. იქვე).

24 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გამოც. მეორე, წიგნი I, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1920, გვ. 20—21.

25 იხ. ი ქ ვ ე.

26 ი ქ ვ ე.

27 ი ქ ვ ე.

28 იმ ადგილას, სადაც ძველად თავად მხეიძეების სასახლე იყო, დღეს ადგილობრივი მკვიდრნი „მხეიძეების ნამოსახლს“, „მხეიძეების სასახლეს“ ეძახიან. ხოლო ამ ნამოსახლის წინ ქვის თაღში გამოყვანილ წყაროს, დღესაც „მხეიძეების წყაროს“ უწოდებენ.

არც ზედუბანს, არც საწირესა და არც დაბაძველს ამჟამად მხეიძეთა გვარი არ სახლობს.

29 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 226.

საგვარეულო სასაფლაო მხეიძეებს ჰქონდათ ზედუბნის ეკლესიაში, რომელიც წმინდა გიორგის სახელზე იყო აშენებული.

მხეიძეების ადგილ-მამულზე მათი ყმები იყვნენ განლაგებული. წყაროებიდან არ ჩანს რამდენი იყო მხეიძეების საგვარეულო ყმათა საერთო რიცხვი. ვიცით მხოლოდ, რომ მათი ყმა გლეხები იყვნენ: კუბლაშვილები, აშოთიები, შარვაძეები, ასათიანები, ბოჟორიშვილები და გვენეტაძეები.

მხეიძეების აზნაურები იყვნენ როინიშვილები[30].

მხეიძეების სათავადო სამეფო გადასახადებისაგან თავისუფალი იყო. გვიანდელი (1810 წ.) ცნობით, მხეიძეების ყმათაგან საურს მხოლოდ 10 კომლი იხდიდა. ხოლო საუდიეროს გადამხდელთა სიაში მათი ყმები სულ არ ირიცხებიან[31].

ისე, როგორც სხვა სათავადოებში, სამხეიძეოშიც სათავადოს უფროსს თავისი მოხელეები (მოურავი, მდივანი, ხელოსანი და სხვ.) უნდა ჰყოლოდა, რომელნიც გამოყენებული იქნებოდნენ ყმამამულის მართვაში, მაგრამ ამის შესახებ ცნობები დაცული არ არის.

მოლარეთუხუცესი სარგის მხეიძე გარდაიცვალა 1531 წლის 11 ივლისს[32]. მისი სიკვდილის შემდეგ მისი საგვარეულოს საქმე ცუდად წავიდა. ჯერ ერთი, რომელიღაც მხეციძეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატ III-ის „უპატიობა“ დაედო და ამის გამო ერთი სოფელი დაკარგა[33].

შემდეგ, სარგის მხეციძის მემკვიდრის ჯანგაშის[34] შვილს „მი-

გიულდენშტედტის 1772 წლის ცნობითაც საწირეს ციხე თავად მხეიძეებისა იყო. იხ. მისი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 133.

30 იხ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამუთები №№ 280, 871 (ქვემოთ. ქუთ. მუზ. სამ.); დას. საქ. საეკლ. სამ. I, გვ. 86; ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე), თბილისი, 1960, გვ. 68 (ქვემოთ: მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის...); ისიდორე ცირეკიძისა და არჩილ ბუბაშვილის ცნობები.

31 Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного упр. наместника Кавк., под ред. А. П. Берже, том IV, Тифлис, 1870, стр. 256 (ქვემოთ: Акты...).

32 ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი), ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. II; 1959, გვ. 494.

33 იხ. საქართველოს სიძველენი, I, სამ. № 5, გვ. 20.

34 ჯანგაშ, ჯანგაზ და ჯანგამ ერთი და იგივე პირია. იხ. იქვე. შდრ. დას. საქ. საეკლ. სამ. I, გვ. 6; ქრონიკები, II, გვ. 354.

სის ბიძის სასისხარი საქმე შეხდა“ და მრავალი ყმა-მამული გაყიდა[35].

შემდეგ კიდევ მხეიძეს ქელბაქიანის სისხლი დაედო და იძულებული გახდა მისთვის მრავალი გლეხი მიეცა[36].

ამავე დროს (1573 წელს ან მის ახლო ხანს) მხეიძეთა საგვარეულოს ერთი წევრი უშვილოდ ამოწყდა და გიორგი II-მ მისი ყმა-მამული მის სახლიკაცებს კი არ დაუტოვა, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო მიღებული, არამედ გელათის ეკლესიას შესწირა[37]. ეტყობა, გიორგი მეფეც ემდუროდა მხეიძეებს.

ბოლოს, XVI ს. მიწურულს, ან იქნებ უფრო ადრეც, მხეიძეთა საგვარეულოს წაერთვა მოლარეთუხუცესის თანამდებობაც. ყოველ შემთხვევაში, სარგის მხეიძის შემდეგ (1531 წ.), ამ თანამდებობაზე მისი სახლიკაცი არ ჩანს. ხოლო XVII ს. შუა წლებში ეს სახელო ლომკაც ჯაფარიძეს უჭირავს[38].

ამგვარად, XVI ს. დამლევისათვის ეს ძველი ფეოდალური გვარი ყოველმხრივ დაქვეითებულია.

ამავე მდგომარეობაში რჩება ეს საგვარეულო მომდევნო საუკუნეებშიც. მართალია, XVII ს. შუა წლებში ალექსანდრე III-ის წინაშე მხეიძეები პატივით სარგებლობენ. ამ მეფის 1651 წლის ცნობილი ფიცის წიგნს იმერეთის წარჩინებულ თავადებთან ერთად, მხეიძეთა საგვარეულოს ხუთი წარმომადგენელი (პაპუნა, ფირან, ხოსია I, ხოსია II, იამადა) აწერს ხელს[39]. მაგრამ სამეფოს მმართველობის აპარატში მხეიძეები აღარ მონაწილეობენ.

ალექსანდრე მეფის მემკვიდრის ბაგრატ IV-ის დროს მხეიძეთა საგვარეულოს ორი წევრი კაცია და ხოსია მესტუმრეთუხუცესის სახელოებს ატარებენ[40]. უნდა ვიფიქროთ, ერთი მათგანი (კაცია) მეფის მესტუმრეთუხუცესია, მეორე კი—დედოფლისა. მაგრამ არც ესენი და არც მათი სახლიკაცი ეოჟუა ბაგრატ IV-ის მი-

---

35 საქართველოს სიძველენი, I, საბ. № 5, გვ. 21.

36 დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 29—30

37 იხ. იქვე, გვ. 29.

38 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში, 1650—1652 წწ., საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევკტოვმა, ტფილისი, 1926, გვ. 102, 170, 193, 195. (ქვემოთ; სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში).

39 იხ. იქვე, გვ. 193.

40 Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г., под ред. Броссе, СПб., 1861, стр. 83 (ქვემოთ: Переписка...).

ერ რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილ 1669 წლის წერილში დიდებულ თავადთა („დიდი ბოიართა") რიგებში არ იხსენიებიან, არამედ სამივე მეორეხარისხოვან თავადებს („ბოიარებს") შორის არის დასახელებული[41].

დიდებული თავადი, როგორც ვიცით, გაუყრელ თავადთა გვარიდან გამოდიოდა. 1669 წლის დიდებულ თავადთა სიაში კი მხეიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი არ ირიცხება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ დროს მხეიძეთა გვარი გაყრილია? ვფიქრობთ, არა. ამა თუ იმ თავადური გვარის მეთაურის მეფის წიგნში მოხსენიება-მოუხსენიებლობა მეფის მიმართ ერთგულება-ორგულობით იყო განსაზღვრული. ეტყობა, ბაგრატ IV-ესა და მხეიძეთა სახლის უფროსს შორის ცუდი განწყობილება იყო. მეფის წიგნში იგი უთუოდ ამის გამო ვერ მოხვდა.

არც XVIII ს. დამდეგსაა იმერეთის მეფესა და ამ საგვარეულოს თავკაცს შორის კარგი განწყობილება. ამ დროს მოღვაწე პაატა მხეიძე „მეფისაგან განდგომილ იყო"[42]. იგი ბეჟან დადიანის მხარეზეა გიორგი VI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პაატას მამა უნდა იყოს ფირან მხეიძე, რომელსაც ოანამეცხედრედ ჰყავდა დადიანის ასული მზეხათუნ[43]. ეს ნათესაობა უნდა აკავშირებდეს პაატას ბეჟან დადიანთან და ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტი, როცა ამბობს: პაატა მხეიძე „ბეჟანის გამო" განუდგა მეფესო[44].

გიორგი VI-მ სცადა გამდგარი ვასალის დამორჩილება. „მივიდა მეფე და მოადგა ციხესა მისსა საწირეს", მაგრამ ამაოდ. მხეიძის „მეციხოვნეთა" მოახერხეს ციხეში „წამლის" შეტანა. „მოსრნეს" მეფის „მესაფარენი და განმაგრდნენ უმეტესად"[45].

მეფე უძლური აღმოჩნდა თავის თავადთან ბრძოლაში და დიდად დაზარალებული „უკუმოიქცა გეგუთს"[46].

საწირეში, თავის საგვარეულო ციხესიმაგრეში ჩაკეტილი პაატა მხეიძე, უეჭველია, ამ დროს (XVIII ს. დამდეგი) მხეიძეთა საგვა-

---

ქაციასა და ხოსიას. შემდეგ მხეიძეთა სახლიკაცი ამ თანამდებობაზე არ ჩანს.

41 იხ. იქვე.

42 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 226.

43 ფირან მხეიძე თავის თანამეცხედრესთან, დადიანის ასულ მზეხათუნთან ერთად გვხვდება 1700 წლას ახლო ხნის ერთ შეწირულების წიგნში. იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 100.

44 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 226.

45 იქვე.

46 იქვე.

რეულოს უფროსია[47] და მას მთელი გვარი უდგას მხარში. მეციხოვნეებიც უთუოდ საერთო საგვარეული ყმებია.

პაატა მხეიძე ამ ამბების შემდეგ წყაროებში არ იხსენიება. არ ვიცით რა მოუვიდა მას.

გიორგი მეფის შემკვიდრე ალექსანდრე V-მ, როგორც ჩანს, შეირიგა მხეიძეთა გვარი. ამ საგვარეულოს წევრს ხოსიას 1733 წ. მეღვინეთუხუცესის თანამდებობაზე ვხედავთ[48]. მაგრამ ეს სახელო მას მალე ჩამოერთვა[49]. 1759 წელს მეღვინეთუხუცესობა უკვე სულთამ ავალიანის ხელშია[50].

მხეიძეები ახლა აღარ ეურჩებიან იმერთა მეფეს. ამის ძალა მათ არც შესწევთ. მხეიძეებს ეკონომიურად უჭირთ: თავიანთი ძლიერების საყრდენი—ყმა-მამული თავიანთ აზნაურ ქაიხოსრო როინიშვილს მიჰყიდეს[51].

სოლომონ I მეფობაში მხეიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელს გიორგის ერთ ხანს (1759 წ.) ქვეშიკთუხუცესის სახელო ეჭირა[52], მაგრამ მოკლე ხნით. 1766 წ. ახლო ხანს იგი ამ სახელოს გა-

---

47 გვარში ის პირველობს.

48 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 131.

49 1733 წლის შემდეგ ხოსია მეღვინეთუხუცესის თანამდებობით არ გვხვდება. ისე კი იხსენიება იგი 1733 წლის ახლო ხანის, 1737, 1738, 1739, 1740, 1744, 1745, 1748, 1749, 1739—1752 წწ. საბუთებში (იხ. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 227(2), საბ. № 81 (ქვემოთ: სცია); ქუთ. მუზ. საბ. №№ 157, 775, 855; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, საბ. № 665, გვ. 469 (ქვემოთ: დოკუმენტები...); ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.), წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბერჯანაძემ. თბილისი, 1958, საბ. №№ 57, 70, 72, 76, 81, 88, 100 (ქვემოთ, „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა...“ გამომცემლის დაუსახელებლად).

ხოსია ძალიან გავრცელებული სახელია მხეიძეთა საგვარეულოში. მაგალითად, ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში ამ სახელით ერთსა და იმავე დროს ამ საგვარეულოს ორი წარმომადგენელი ჩანს (იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იეველევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193).

50 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს, ტფილისი, 1913, გვ. 5.

51 ქუთ. მუზ. საბ. № 280.

52 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 5.

რეშე ჩანს[53]. ამ დროს ქეშიკთუხუცესობა ქაიხოსრო აგიაშვილს აქვს[54].

მხეიძეთა გვარს ადრიდანვე ჰქონდა ოკრიბის მოურავობა. აქ ძოსახლე გლეხებს მოურავის სასარგებლოდ „სამოურაო მოსაკრებელო რკინა“ მართებდათ. 1700 წ. ახლო ხანს ფირან III[55] მხეიძემ მის სამოურავო ოკრიბაში მცხოვრები „ღვთის მშობლის კაცის“ ეს გამოსაღები გელათის მონასტერს შესწირა[56].

ფირანზე ადრე, 1691 წლის ერთ სიგელში ბოწმეთა შორის დასახელებული მოურავი კაცია მხეიძეც[57] უთუოდ ოკრიბის მოურავი იყო.

ეს სახელო მხეიძეთა საგვარეულომ დიდხანს შეინარჩუნა. 1786 წელსაც ოკრიბის მოურავობა ისევ ამ საგვარეულოს წარმომადგენელს გიორგი მხეიძეს აქვს[58]. აღნიშნულ წელს იგი აახლებს თავის „ძველთა მამა-პაპათა“ მიერ „სამოურავო რკინის“ თაობაზე გელათის მონასტრისათვის მიცემულ შეწირულების წიგნს[59].

---

53 ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11.

54 იქვე.

55 ეს ფირანი პირველად იხსენიება ალექსანდრე III-ის 1651 წ. ფრცის წიგნში (იხ. ზემოთ). ფირან III არის ქმარი დადიანის ასულის მზეხათუნისა და მამა პაატა მხეიძისა.

ამ ფირანის უნდა იყოს ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში 381 ნომრით დაცული ეაბ-გულახი, გადაწერილი ფირან მხეიძის „ბრძანებით“ იოანე პატარიძის მიერ (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტომი I, თბილისი, 1946, გვ. 280).

ფირან II არის სარგის მხეიძის შვილი და პირველად გვხვდება 1505—1519 წწ. საბუთში (იხ. ზემოთ).

სოლო I ფირანი—XIII—XIV სს. მოღვაწეობდა. მან მოაქედინა და შეამკო ღვთისმშობლის ხატი (იხ. ზემოთ).

56 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 100.

57 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა.., I, საბ. № 33.

ეს კაცია და ბაგრატ IV-ის 1669 წლის წერილში მესტუმრეთუხეცესად დასახელებული კაცია მხეიძე, სხვადასხვა პირნი უნდა იყვნენ (იხ. ზემოთ).

58 დას. საქ. საეკლ. საბ., II. გვ. 178.

ეს გიორგი და დავით იმერთა მეფის 1786 წლის 9 თებერვლის წყალობის წიგნში მოწმედ მოხსენიებული გიორგი მხეიძე (საქართველოს სიძველენი, ტომი III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი. 1910. საბ. № 270) ერთი და იგივე პირი ჩანს. ვფიქრობთ, იგივე გიორგია უფრო ადრე, სოლომონ I-ის 1755 წლის სიგელში ბოწმედ დასახელებული და ამავე მეფის დროს (1759 წ.) ქეშიკთუხუცესის სახელოს მქონე გიორგი მხეიძე (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 6; ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 5).

59 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 178.

გიორგი მხეიძეა ამ დროს თავისი საგვარეულოს უფროსი.

გიორგი მხეიძეს სამი ვაჟი ჰყავდა: ფირან (IV), ბერი და ზაალ. მამასთან ერთად ვხედავთ მათ როგორც 1786, ისე 1790 წელსაც[60]. ხოლო 1803 წელს გიორგი მხეიძე ცოცხალი არ არის. მისი შვილების მიერ ამ წელს სოხასტერის წინამძღვარ დავით იოსელიანისათვის მიცემულ პირობის წიგნში გიორგი აღარ იხსენიება[61].

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით მხეიძეთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა[62].

* * *

ზემოხსენებულ პირთა გარდა, მეტ-ნაკლებად ცნობილია მხეიძეთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც:

ვ ა ხ უ შ ტ ი. იხსენიება 1755, 1756, 1754—1768, 1817 წლების საბუთებში[63];

ხ ო ს ი ა IV[64]. მოწმედ არის დასახელებული 1748, 1799 წლების დოკუმენტებში[65];

ბ ე ჟ ა ნ. გვხვდება 1803, 1816, 1819, 1820 წლებში[66]. თავისი მოგვარე გიორგი (გოგია) მხეიძესთან ერთად მონაწილეობდა 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების

---

60 ქუთ. მუზ. საბ. № 280; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 178.

61 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 138.

62 რუსული მმართველობის სისტემის დამყარება იმერეთის სამეფოში ამ სამეფოს გაუქმებიდან—1810 წლიდან იწყება.

სათავადოთა დაშლის შესახებ იხ. ვ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბილისი, 1957, გვ. 320—325; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), სახელგამი, 1955, გვ. 461—464; ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), გვ. 215—226.

63 სცია, ფ. 227(2), საბ. № 56; დას. საქ. საეკლ. საბ, II. გვ. 6, 8; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 134; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 75.

64 I და II ხოსია იხსენიება ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში (იხ. ზემოთ). III ხოსია კი უნდა იყოს ის, რომელიც ბაგრატ IV-ის 1669 წლის წერილშია დასახელებული. თუ ის ერთი იმ ხოსიათაგანი არ არის, რომელიც ალექსანდრე III-ის აღნიშნულ ფიცის წიგნშია მოხსენიებული (იხ. ზემოთ).

65 ქუთ. მუზ. საბ. №№ 89, 775.

66 ქუთ. მუზ. საბ. № 871; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 138; Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг. Материалы по истории Грузии Кавказа, вып. III, 1942, стр. 141, 156.

შემდეგ, იმერეთიდან გაიქცა. მისი და მისი სახლიკაცის გოგიას ქონება ხაზინამ აიღო[67];

პ ა ა ტ ა II[68]. ჩანს 1817 წელს[69];

დ ა ვ ი თ ი. ვხედავთ 1817 წელს[70];

გ ი ო რ გ ი. ვხვდებით 1819, 1820 წლებში[71]. მონაწილეობას ღებულობდა ამავე წლების იმერეთის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ, იმერეთიდან გაიქცა[72], ხოლო მისი ქონება სახაზინოდ გამოცხადდა (იხ. ზემოთ, ბეჟანთან).

თ ა ვ ი II

ჩხეიძეთა სათავადო

ჩხეიძეთა გვარი ძირძველი ფეოდალური გვარი იყო არგვეთაში. ვახუშტის დროსაც (XVIII ს. პირველი ნახევარი) ჩხეიძეთა გვარი ერთ-ერთ „უწარჩინებულეს" გვარად ითვლებოდა იმერეთის სამეფოში[1]. ერთი ცნობით, თავადი ჩხეიძეები „არიან ძირნი იმერეთიდან", „ჩიხადან". ამ საგვარეულოს წარმომადგენელნი „იყვნენ პირველ ჩიხორის ერისთავნი"[2]. ეს ცნობა სიმართლეს უნდა შეიცავდეს. სარწმუნოა, რომ ჩხეიძეები „პირველ", ე. ი. წინათ, ძველად, ჩიხორის თუ ჩიხას ერისთავებად ისხდნენ.

ჩიხას ერისთავი პირველად იხსენიება „მატიანე ქართლისაში" IX ს. მეორე ნახევრის ამბებთან დაკავშირებით. როცა გაძლიერებულმა აფხაზთა მეფე გიორგი I-მა „დაიპყრა ქართლი", მან „დაუ-

---

67 იხ. ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 141, 156.

68 I პაატა ის, რომელიც „მეფისაგან განდგომილიყო" და გვხვდება XVIII ს. დამდეგს (იხ. ზემოთ).

69 ძასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., სად. № 75.

70 იხ. ი ქ ვ ე.

71 ვ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 141, 156. გიორგი და გოგია მხეიძე ერთი და იგივე პირი ჩანს. შდრ. იქვე ერთმანეთს მითითებული გვერდები.

72 ი ქ ვ ე, გვ. 156.

1 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 26.

2 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა..., ხელნაწერთა ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 78r., 101v., 106v. იხ. აგრეთვე, გვ. 13r.

იოანე აქ ჩიხორის ერისთავს ჩიხას ერისთავის სინონიმად უნდა ხმარობდეს, იხ. და შდრ. ერთმანეთს მითითებული გვერდები.

ტევა ერისთავად ჩიხას“ თავის ძმისწული ბაგრატ „ძე დემეტრეს“[3].

მემატიანის თხრობიდან იგულისხმება, რომ ჩიხას საერისთავო აღნიშნულ ფაქტამდე არსებობდა და ერისთავად აქ „დემეტრეს ძეს“ დასმამდე ვიღაც სხვა იჯდა. ეს ვიღაც სხვა ჩხეიძეთა საგვარეულოს წევრი უნდა ყოფილიყო.

წყაროებიდან არ ჩანს რა ტერიტორია შედიოდა გიორგი აფხაზთა მეფის მიერ დატოვებულ ჩიხას ერისთავის სამფლობელოში. მაგრამ საერისთავო ჩვეულებრივ მთელ კუთხეს მოიცავდა და არა მხოლოდ ერთ სოფელს. ჩიხას ერისთავის სამფლობელოშიც მთელი ის კუთხე უნდა ვიგულისხმოთ, რომლის არეში ჩიხა იყო მოქცეული. ასეთ კუთხეს „მარგვ“ ანუ „არგუეთი“ წარმოადგენდა[4], რომელიც ძველი დროიდანვე საერისთავოდ იყო გამოყოფილი. ლეონტი მროველის ცნობით, მარგვის ერისთავი ჯერ კიდევ ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის დროს[5] იქნა დადგენილი. ამ ერისთავს ექვემდებარებოდა ტერიტორია „მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუარადმდე ეგრისისა, რიონს ზემოთ“[6]. უფრო გვიან მარგვის ერისთავის საგამგეოში ვხედავთ თაკვერსაც. ვახტანგ გორგასალის დროს (459—502 წწ. გ. მელიქიშვილის ქრონოლოგიით, კითხვის ნიშნით)[7] ვინმე ბაკური ჩრის „ერისთავი მარგვისა

---

3 იხ. ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედ. I, გვ. 258, შდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია. ნაწ. I, გამოც. დ. ბაქრაძისა, ტფილისი, 1885, გვ. 124; მარი ბროსე. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. თარგმანი სიმ. ღოღობერიძისა, ტფილისი, 1895, გვ. 118.

4 ლეონტი მროველისა და ჯუანშერის „მარგვი“ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 24, 185) იგივე არგვეთია.

აღსანიშნავია, რომ ნ. ბერძენიშვილი ჩიხას ერისთავს სწორედ არგვეთის ერისთავად თვლის (იხ. მისი, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს, მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები. I, თბილისი, 1964. გვ. 21).

5 ძვ. წ. 284—219 წწ. გ. მელიქიშვილის ქრონოლოგიით, კითხვის ნიშნით (იხ. მისი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. I, 1958, გვ. 155, შდრ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიანე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI—B, 1941, გვ. 315; მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ბოლოს დართული „შთამომავლობითი სია საქართველოს მეფეთა“.

6 ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 24.

7 იხ. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 170, შდრ. მარი ბროსე, დასახ. ნაშრ., „სია საქართველოს მეფეთა“.

და თაკვერისა"[8]. ამის შემდეგ მარგვის ერისთავი არსად ჩანს. მაგ ცვლის ზემოხსენებული ჩიხას ერისთავი, რომლის სამმართველო მიწა-წყლის სივრცე დაახლოებით ადრინდელი მარგვის ერისთავის მიწა-წყლის სივრცეს უნდა ემთხვეოდეს.

ძნელია იმის თქმა, რატომ შესცვალა მარგვის ერისთავი ჩიხას ერისთავმა. სახელის ასეთი შეცვლა შეიძლება მოხდა მარგვის საერისთავოს ფარგლების შემცირება-გაფართოებასთან ან საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრის ჩიხაში გადატანასთან დაკავშირებით.

ჩიხას ერისთავის უფლებები ქართლზედაც ვრცელდებოდა. არგვეთ-ჩიხადან მართავდა იგი აფხაზთა მეფის მიერ დაპყრობილ არგვეთის უშუალო მოსაზღვრე ქართლს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ აფხაზთა მეფეს ქართლის გამგებლად არაეინ დაუსვამს.

გიორგი I აფხაზთა მეფის სიკვდილის შემდეგ (875 წ.) მის მიერ დასმული ჩიხას ერისთავის საქმე ცუდად დატრიალდა: „ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა" იგი[9]. ვინ დასვეს მოკლული ერისთავის ადგილზე, მემატიანე ამაზე არაფერს ამბობს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მკვლელობა ჩიხას ადრინდელ ერისთავთა, ჩხეიძეთა გვარის მონაწილეობით მოხდა და ამის შემდეგ ჩიხას ერისთავობა ისევ ჩხეიძეთა საგვარეულოს დაუბრუნდა.

ჩიხას ერისთავის ხსენება ზემომოტანილ ცნობაზე წყდება. ამიერიდან არც ერთი წყარო არც მარგვის ერისთავს ასახელებს და არც ჩიხასას.

ლეონტი მროველის „მარგუს" ანუ არგვეთის, ჯუანშერის „მარგუსა და თაკუერის", ხოლო „მატიანე ქართლისას" ავტორის „ჩიხას" საერისთავოს ვახუშტი თავის „გეოგრაფიაში" შორაპნის საერისთავოს ეძახის[10]. არგვეთზე იგი პირდაპირ ამბობს. „ძველად იყო საერისთო შორაპნისაო"[11]. ამ „ძველადში" ვახუშტი ქართლის

---

8 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედ., I., გვ. 185.

9 მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., I, გვ. 258; ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გამოც. დ. ბაქრაძისა, გვ. 124; მ ა რ ი ბ რ ო ს ე. საქართველოს ისტორია, I, თარგმანი სიმ. ღოღობერიძისა, გვ. 118.

10 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 154, 162, 163.

11 ი ქ ვ ე, გვ. 163.

ვახუშტი თავის „საქართველოს ისტორიაში" ერთ ადგილას ამბობს: ფარნავაზმა „მეორე ერისთაი დასვა მარგვეთისა შორაპანსო" (ნაწ. I, დ. ბაქრაძის გამოც., ტფილისი, 1885, გვ. 37), ე. ი. საერისთავოს სახელად აქ „მარგვეთია" ნაგულისხმევი და არა შორაპანი, ხოლო უკანსკნელი მარგვის ერისთავის ადგილსა-

პირველი მეფის ფარნავაზისა (ძვ. წ. 284—219 წწ. გ. მელიქიშვილის ქრონოლოგიით) და მის შემდეგ დროს გულისხმობს[12]. მაგრამ ვახუშტის ცნობის საკონტროლოდ ჩვენ გვაქვს ზემოდასახელებულ ავტორთა ცნობები, რომელნიც აღნიშნულ პერიოდში შორაპნის საერისთავოს არსებობას გამორიცხავენ: ეს ავტორები შორაპნის საერისთავოს არ იცნობენ. ამასთან ისინი „ძველ" დროსთან უფრო ახლოს დგანან და მათი ცნობები, თუგინდ ამიტომაც, უფრო სანდოა.

ვახუშტის ცნობა უთუოდ რაღაც წყაროს, ტრადიციას ემყარება და მერმინდელ დროს ასახავს: იმ დროს, როცა „მატიანე ქართლისას" თხზულებაში ჩიხას საერისთავოს ხსენება წყდება. ეს ხდება IX საუკუნის მიწურულისათვის. ვფიქრობთ, სწორედ ამ დროს შეერქვა ჩიხას საერისთავოს შორაპნის საერისთავო. მხოლოდ ამ დროიდან შეიძლებოდა ყოფილიყო არგვეთი „საერისთო შორაპნისა"[13]: ვახუშტის კი, ჩვენი აზრით, გვიანდელი ცნობა ადრინდელ ხანზედაც გადააქვს და ამ სახელწოდების საერისთავოს არსებობა „ძველადაც" უეჭველად მიაჩნია, რაც მართებული არ ჩანს.

ერისთავის რეზიდენცია, ეტყობა ჩიხადან შორაპანში გადადის და ამის შესაბამისად საერისთავოც ახალ სახელს ღებულობს.

შორაპნის საერისთავოს ტერიტორიულ შემადგენლობაში „პირველად" იგივე არგვეთი და რაჭა შედის[14], ე. ი. შორაპნის საერისთავოს ტერიტორიული ფარგლები დაახლოებით ემთხვევა მარგვიჩიხას საერისთავოების ტერიტორიულ ფარგლებს. მაგრამ შემდეგ შორაპნის საერისთავოს რეორგანიზაცია ხდება და X საუკუნეში რაჭა ცალკე საერისთავოდ ყალიბდება (იხ. ქვემოთ, რაჭის ერისთავთა სათავადო). შორაპნის საერისთავოში კი მხოლოდ არგვეთი რჩება.

მყოფლად არის მიჩნეული. ასევე საერისთავოს სახელად არის ნაგულისხმევი მარგვეთი ანუ არგვეთი ამავე თხზულების 97-ე გვერდზე და მის მეორე ნაწილის 178 გვერდზედაც (ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა. სპბ., 1854). მაგრამ თავის „გეოგრაფიაში" ვახუშტის უველგან შორაპანი გარკვევით საერისთავოდ აქვს დასახელებული (იხ. გვ. 154, 162, 163). მის „ისტორიასა" და „გეოგრაფიას" შორის ამ მხრივ წინააღმდეგობაა.

12 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 154.

13 გ. ცქიტიშვილი შორაპნის საერისთავოს არსებობას ანტიკურ ხანაშიც გულისხმობს (იხ. მისი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. II, თბილისი, 1964, გვ. 71—106).

14 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 162—163.

ძნელია გადაჭრით იმის თქმა თუ რამ გამოიწვია ერისთავის რეზიდენციის ჩიხადან შორაპანში გადანაცვლება და რაჭის ცალკე საერისთავოდ გამოყოფა. პირველი ალბათ შორაპნის ეკონომიურ-სტრატეგიული უპირატესობით იყო შეპირობებული. ხოლო რაჭის ცალკე საერისთავოდ გამოყოფაში გეოგრაფიული ფაქტორიც უთუოდ გარკვეულ როლს თამაშობდა.

შორაპნის ერისთავობა ჩხეიძეთა გვარს უნდა ჰქონოდა 1330 წლამდე, ვიდრე გიორგი ბრწყინვალე ერისთავად აქ მიქელ მეფის ძეს ბაგრატს დასვამდა[15]. ამას გვანიშნებს ერთი გვიანდელი (1686 წლის) ცნობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ „შორაპნის ციხე და ქალაქი" „ყამთა გამოცვლილობით ძველთაგან" ჩხეიძეთა „სახლის დანაკარგი" იყო[16]. ე. ი. ეს ციხე-ქალაქი ჩხეიძეების მფლობელობაში ყოფილა, მაგრამ „ძველთაგან" დაუკარგავთ. საერისთავოს სიმაგრე-თავშესაფარი შორაპნის ციხე მეფე ფარნავაზმა იმ დროს „აღაშენა", როცა მარგვის ერისთავი დაადგინა[17]. თუ ეს ციხე-სიმაგრე

---

15 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, დ. ბაქრაძის გამოც.. გვ. 278. იხ. აგრეთვე ნაწ. II. ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოც. ჩუბინოვისა. სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 183.

16 მოვიტანთ ამ ცნობას სრულად: „ქ. ბძანებითა ღმრთისათა, ძალითა და შეწევნითა ხატისა ამაღლებისათა მე, ჩხეიძემ ბოქაულთუხუცესმა ბატონმა თაიმურაზ, ყამთ გამოცულილობით ძველთაგან ჩუენის სახლის დანაკარგი შორაპნის ციხე და ქალაქი, მეფის ბაგრატის ბრძანებითა, ძალად ჩემის ქრმლით დაეიპირე. რადგან ჩემ[მ]ა მოწყალემ ამდენი ქელი მომიმართა, ეიგულე და ეიგულსმოდგინეთ ჩუენ ფრიად ცოდვილმა და ყოველთა კაცთა უცოდვილესმა მე, თაიმურაზ და თანამეცხედრემა ჩემ[მ]ა ჩხეიძის ასულმა ბატონმა თამარ, ძველთაგან თათართა მიერ დალეწილი ხატი ესე ამაღლებისა შეეამკევით მერასთ თვალითა მარგალიტითა. ჩაეანად საღღეგრძელოთ, ძეთა და ასულთა ჩვაენთა, აღსაზრდელათ და ცოდვათა ჩვაენთა ს~ოხად ღღეს მას საშინელსა განკითხვისასა ჩემსას. ამ~ნ. ქს ტოდ" (1686 წ.). იხ. ამაღლებისა და ჯვარცმის ხატის წარწერა (მხედრული), ქუთ. მუზ. ძეგლი № 3085.

ამ ხატისა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ სხვა ძეგლთა წარწერები გამოსაცემად მომზადებული აქვს ამავე მუზეუმის დირექტორს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს მ. ნიკოლეიშვილს, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ და რასაც მადლობით აღვნიშნავთ. ხსენებულ წარწერათა ერთი ნაწილი მან გამოაქვეყნა კიდეც (იხ. მისი, ისტორიული მასალები, მასალები, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კრებული, თბილისი, 1968, გვ. 130—138).

17 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ, I, გვ. 24.

მარგვის ერისთავის რეზიდენცია შორაპანი უნდა ყოფილიყო. თითქოს ამას უნდა ნიშნავდეს ვახუშტის ზემოაღნიშნული ნათქვამი: ფარნავაზმა „მეორე ერისთავი დასვა მარგვეთისა შორაპანს", მაგრამ თვით საერისთავოს სახელი, რო-

„ძველთაგან“ ჩხეიძეებისა იყო, მარგვი-ჩიხა-შორაპნის ერისთავადაც ჩხეიძეები უნდა ყოფილიყვნენ. ისტორიული ტრადიციაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩიხორის თუ ჩიხას ერისთავებად სწორედ ჩხეიძეებს სთვლის.

აღსანიშნავია, რომ გ. ცქიტიშვილის დაკვირვებით, შორაპნის ერისთავების გვარი წარმოშობით არგვეთიდან ლომსიათხევის სოფ. ბორიდან, შორაპნის სანახებიდანაა, რომელიც „ახ. წ. I საუკუნეებში დაწინაურებულა“[18]. ეს დაკვირვება რამდენადმე მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ მოხსენიებული დიდებული აზნაურნი „ამანელისძენი“ თუ „ამონისძეც“[19] ჩხეიძეთა გვარის ერთ-ერთ შტოდ გვეჩვენება. ის გარემოება, რომ ამანელისძეს აღნიშნული წყარო თამარის დროის (1184—1213 წწ.), ლიხთ-იმერეთის რომელიღაც კუთხის ერისთავად ასახელებს[20], საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ იგი ჩხეიძეთა გვარიდან მომდინარეობდა: ეს საგვარეულო, როგორც ზემოთ ითქვა, ადრევე დაწინაურდა და უმნიშვნელო არ უნდა იყოს ისიც, რომ გვიან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ ამ საგვარეულოს წევრი დასვეს რაჭის ერისთა-

---

გორც მემატიანეთა ცნობებიდან ჩანს, თავდაპირველად მარგვი იყო და არა შორაპანი. ჩიხას ერისთავის რეზიდენცია კი ჩიხა უნდა იყოს.

18 იხ. გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 96.

19 იხ. ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედ., II, გვ. 27, 34.

20 „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტის ის ადგილი, სადაც ლიხთ-იმერეთის ერისთავთა შორის „ამანელისძე“ იხსენიება, ნაკლულია და იგი საერისთავო ტერიტორიის გარეშე არის მოხსენიებული. ამ ადგილის კ. კეკელიძისა და ს. ყაუხჩიშვილისეული აღდგენით, „ამანელისძის“ საერისთავო არგვეთია (იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941, გვ. 79; ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 34). ჩვენ აქ არ შევეხებით იმას თუ რამდენად სწორია ტექსტის ასეთი აღდგენა. ეს სპეციალური კვლევის საგანია და მას კიდევაც ძიუძღვნა სპეციალური სტატია გ. ცქიტიშვილმა (იხ. მისი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი-ს“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის, საქართველო რუსთაველის ხანაში, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1966, გვ. 222—227). მომავალშიც ტექსტის ამ ადგილის წაკითხვის საკითხს უთუოდ არა ერთი მკვლევარი შეეხება. რამდენიძე ხნის წინათ ჩვენც ვცადეთ ამ ადგილის გარკვევა (იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი-“ს ერთი ადგილის გაგებისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXI სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1972, გვ. 7—8).

ვად, რაც ჩვენ ძველი[21] ტრადიციის ნაწილობრივ აღდგენად წარმოგვიდგება.

ბაგრატის სიკვდილის შემდეგ (1372 წ.) შორაპნის ერისთავად ერთ ხანს მისი ძე ალექსანდრე ჩანს[22]. XV ს. მეორე ნახევარში ეს საერისთავო იშლება. მის ტერიტორიას იმკვიდრებენ სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულოები. შორაპნის საერისთავოს ერთი ნაწილის გამკვიდრების საფუძველზე იქმნება ჩხეიძეთა სათავადო[23]. ეს იყო არგვეთის სამხრეთი ნაწილი, რომელიც „პირველად არგვეთადვე წოდებული... შემდგომად პყრობითა თავადთა ჩხეიძეთაგან საჩხეიძოდ ისახელა"[24].

ჩხეიძეთა ანუ ჩხეტიძეთა[25] საგვარეულოს პირველი ჩვენთვის ცნობილი წარმომადგენელი რუსი ჩხეტიძეა. იგი იხსენიება XIV ს. დამდეგს, მაგრამ ამ დროს ცოცხალი არ არის[26]. მისი მოღვაწეობა XIII ს-შია საგულისხმო.

უფრო გვიან, 1325 წელს გვხვდება ამ საგვარეულოს წევრი გოგატი, რომელსაც მეაბჯრეთუხუცესის სახელო უჭირავს და ადრე

---

21 ეგულისხმობთ კახაბერიძეებამდელ — X საუკუნეზე ადრინდელ პერიოდს, როცა რაჭა ცალკე საერისთავოდ არ იყო გამოყოფილი.

22 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 183.

23 ჩხეიძეთა სათავადოს აღმოცენების შესახებ იხ. და შდრ. გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბილისი, 1964, გვ. 106.

24 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 163.

25 ჩხეიძე და ჩხეტიძე ერთი და იმავე გვარის სახელია. ეს დასტურდება თუნდაც იმით, რომ „ქუთათელ-კათალიკოსი" სვიმეონ ჩხეტიძე წყაროებში ხან ჩხეტიძედ იხსენიება და ხან ჩხეიძედ (ქრონიკები, II, გვ. 476, 479, 483). ჩხეტიძე, ამ გვარის სახელის უფრო ძველი ფორმაა. ადრინდელი ხანის საბუთებში სწორედ ეს ფორმაა შოცემული (იხ. ი ქ ვ ე, 174, 403, 405, 411, 416; საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1909, გვ. 37; ს. ყ ა ზ ბ ე გ ი. სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 7). XVII ს. საბუთებში კი მასთან ერთად გვხვდება მეორე, ახალი ფორმა—ჩხეიძე (ქრონიკები, II, გვ. 479). შემდეგ ეს ახალი ფორმა ვრცელდება და ძველის (ჩხეტიძე) ხმარება სავსებით წყდება.

ამ გვარის სახელის მეგრულ გაფორმებას წარმოადგენს „ჩხეტია", ხოლო სვანურ — „ჩხეტიანი". ასე რომ, ჩხეტიძე||ჩხეტია||ჩხეტიანი ერთი და იგივე გვარის სახელებია სხვადასხვა ფორმით.

აღსანიშნავია, რომ მიქელაძეების ყოფილ სათავადოში, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, არის სოფელი „ნაჩხეტაური", ე. ი. ის ადგილი, სადაც ძველად ჩხეტიძეები მკვიდრობდნენ, რომელიც მათ მფლობელობაში იყო.

26 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბილისი, 1962, გვ. 90, 150.

(დაახლოებით 1251 წელს) საგელათო აზნაურ მიქაბაძეებს ახლა თავის „მკვიდრ“ ყმებად ფლობს[27].

გოგატის შემდეგ, 1413—1444 წწ. ვხედავთ ყელგრძელ ჩხეტიძეს. მას ალექსანდრე მეფე მოწმედ ასახელებს თავის „კარის ვაზირთა“ შორის[28].

ყელგრძელის მომდევნო თაობაა ივანე ჩხეტიძე, რომელსაც 1486—1488 წწ. შუალედში ამილახორის თანამდებობა უკავია[29]. აღნიშნულ ხანშივე ივანე რაჭის ერისთავად დაუსვამთ, ხოლო მისი სახელო მისი სახლიკაციისათვის—სანასარისათვის გადაუციათ. 1488 წელს შედგენილ ფალავანდიშვილთა სასისხლო სიგელში რაჭის ერისთავად უკვე ივანეა დასახელებული, ამილახორობა კი—სანასარს აქვს[30]. იგი უნდა იყოს სახლის უფროსიც.

ამავე სიგელში გვხვდებიან აგრეთვე ჩხეტიძეთა გვარის სხვა წევრებიც: კახაბერი, აბესალომ, ვახტანგ და კიდევ მეორე აბესალომ. მათგან კახაბერი და აბესალომ I ივანეს ძმები არიან[31].

სანასარის შემდეგ (1488 წ.) ამილახორის თანამდებობაზე მისი სახლის კაცი არ ჩანს. მუაბჯრეთუხუცესის სახელოც ჩხეტიძეთა

---

27 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე, II. 1924, გვ. 3—7.

მიქაბაძეთა მეორე სასისხლო სიგელის თარიღად 1325 წელი მის გამომცემ ს. კაკაბაძეს მხოლოდ „შესაძლებლად“ აქვს მიღებული (იხ. იქვე. გვ. 9, 57). ჩვენც ასევე ვღებულობთ ამ თარიღს.

28 საქართველოს სიძველენი, II, გვ. 37.

თოფურიძეთა სასისხლო სიგელის ე. თაყაიშვილისეულ თარიღს (1413—1444 წწ.) ს. კაკაბაძე სწორად არ თელის. უკანასკნელი ამ სიგელს 1490 წლით ათარიღებს. (იხ. მისი, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 65; მ ი ს ი ვ ე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბილისი, 1920, გვ. 76). ჩვენ ე. თაყაიშვილის დათარიღება უფრო სწორად გვეჩვენება (იხ. და შდრ. მისი, ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, „ივერია“, 1891, № 2ß3; საქართველოს სიძველენი, II, საბ. № 28-ის ლეგენდა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თოფურიძეთა სასისხლო სიგელში მოწმედ დასახელებულ „გიორგი ერისთავს“ ს. კაკაბაძე ჩხეტიძედ და რაჭის ერისთავად თელის (იხ. მისი, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 27—28; მ ი ს ი ვ ე, კვლევა-ძიებანი..., გვ. 74). შეიძლება დავუშვათ „გიორგი ერისთავი“ შართლა იყო რაჭის ერისთავი, მაგრამ ს. კაკაბაძის მიერ დამოწმებულ თოფურიძეთა სასისხლო სიგელში „გიორგი ერისთავი“ არც ჩხეტიძედ იხსენიება და არც რაჭის ერისთავად (იხ. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 37. ამ გიორგის შესახებ იხ. ქვემოთ, რაჭის ერისთავთა სათავადო, სქოლიო 30).

29 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 21.

30 ი ქ ვ ე, გვ. 25.

31 ი ქ ვ ე.

საგვარეულოს გოგატის შემდეგ (1325 წ.) მალე დაუკარგავს. 1486—1488 წწ. ეს თანამდებობა დავით ღოღობერიძის ხელშია[32].

XVI საუკუნეში ჩხეიძეთა სახლის წევრები მრავლად ჩანან ისტორიის სარბიელზე. ამ დროს მოღვაწეობენ: ქუთათელი ეპისკოპოსი გერმანე[33], მისი მომდევნო კიდევ ქუთათელი ეპისკოპოსი სვიმონ[34], ხონელი ეპისკოპოსი მანოელ[35], ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე[36], ჯუმათელი ეპისკოპოსი სიმონ[37], აფხაზთა კათალიკოსი

---

32 ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 21.

33 იხ. ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბილისი, 1959, გვ. 493; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფილისი, 1922, გვ. 29; ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, თბილისი, 1966, გვ. 206.

ქუთათელი გერმანე (გერასიმე) გარდაიცვალა 1529 წლის 10 იანვარს. ამავე წელს ქუთათელად ეკურთხა მისი ძმისწული სვიმონ (იქვე).

34 იხ. იქვე.

35 მანოელ ჩხეტიძე ხონელად დასვეს 1529 წელს. (ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 493; ქრონიკები, II, გვ. 372—373; ე. თაყაიშვილი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველო, III, გვ. 278—279).

თ. ჟორდანიას ვარაუდით, „ნიკორწმინდელად 1534 წ. დაუნებული მანუელ შეიძლება იგივე მანუელ ჩხეტიძე იყოს, რომელიც 1529 წელს ხონელად დასვეს" (ქრონიკები, II, გვ. 379. იხ. აგრეთვე გვ. 49, 372—373). ამ ვარაუდს ე. თაყაიშვილი სწორად თელის (იხ. მისი მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, პარიზი, 1939, გვ. 5; არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბილისი, 1963, გვ. 102. იხ. იქვე სქოლიოც). ეს მანოელ მაწყვერელადაც იჯდა. 1548—1585 წლებში იხსენიება მაწყვერელი მანოელ ჩხეტიძე (იხ. იქვე).

36 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, გამოც. თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი, 1892 (გარეკანზე—1893), გვ. 137—138; გ. ნიკოლეიშვილი, ისტორიული მასალები, მასალები, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კრებული, თბილისი, 1968, გვ. 137.

„ეს გერმანე,—ბ. ლომინაძის ვარაუდით, — შესაძლოა იგივე ქუთათელი გერმანე იყოს" (იხ. მისი დასახ. ნაშრ. გვ. 206—207).

37 Дм. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб., 1878 стр. 283, 285, 288.

ჯუმათელი სიმონ და ქუთათელი სვიმონი შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს.

ევდემონ[38] და ხოფილანდრე[39] ჩხეიძეები. ეს უკანასკნელი იმითაა ცნობილი, რომ მან „გამოაპარა“ გელათის სამრეკლოდან ლევან დადიანი 1546 წელს, რომელიც მეფის ურჩობის გამო აქ იყო ჩაკეტილი[40]. ხოფილანდრეს ასეთი მოქმედება თავადურ გათიშულობის ინტერესებს ემსახურებოდა.

XVI ს. მოღვაწეები უნდა იყვნენ აგრეთვე მოქველი მთავარეპისკოპოსი ფილიპე და ხონელი მთავარეპისკოპოსი ზაქარია ჩხეტიძეები[41].

---

38 ევდემონის კათალიკოსობა 1557 წლიდან იწყება. გარდაიცვალა 1578 წელს (ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. ბიჭვინტის ხატის 1568 წლის წარწერა, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 102; მ ი ს ი ვ ე, გელათი, თბილისი, 1955, გვ. 30; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო, III, გვ. 234).

აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ევდემონ კათალიკოსის ზეობაში მოხდა საკათალიკოსოს მუდმივი რეზიდენციის ბიჭვინტიდან გელათში გადმოტანა (იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, 1, გვ. 177—186, 241).

ევდემონი ტრაგიკულად დაიღუპა: ქუთაისიდან ოდიშისაკენ მიმავალ კათალიკოსსა და მის თანმხლებ პირებს გზაზე თავს დაესხნენ ყაჩაღები. კათალიკოსი გაექცა ყაჩაღებს, მაგრამ ცხენიდან გადმოვარდა და მოკვდა (იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიკი ეიელევის ელჩობა იმერეთში, გვ. 154).

„ევდემონ ჩხეტიძე,—როგორც ბ. ლომინაძე შენიშნავს,—ცნობილი პიროვნებაა დასავლეთ საქართველოს ისტორიაში“. გარდა იმისა, რომ კათალიკოსია, იგი არის „მწიგნობარი, მრავალ ხელნაწერის გადამწერინებელი, გელათის მონასტრის მაშენებელ-მომხატვინებელი“, მოქვის საყდრისა და ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატის „შემმკობი“, და სხვ. ასეთი დამსახურებისათვისაა, რომ ევდემონი გამოხატულია გელათის ეკლესიების კედლებზე და დაკრძალულია გელათს „საფლავთა შინა მეფეთასა“, წმინდა გიორგის ეკლესიაში (ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. ბიჭვინტის ხატის 1568 წლის წარწერა, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 101. იხ. ი ქ ვ ე, სქოლიოც; მ ი ს ი ვ ე, გელათი, 1955, გვ. 30, 50—51; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 234; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 145).

39 ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ისტორია, გვ. 190.

40 ი ქ ვ ე.

41 ქრონიკები, II, გვ. 174, 403; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 108; მ ი ს ი ვ ე, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ი ქ ვ ე, გვ. 278—279; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 315; მ. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 135—136.

ე. თაყაიშვილის აზრით, ხონელი მთავარეპისკოპოსი ზაქარია ჩხეტიძე ის ზაქარიაა, „რომელიც მონაწილეობას იღებდა XVI საუკუნეში კათალიკოსის სამართლის დამტკიცებაში“ (ძველი საქართველო, III, განყ. I, გვ. 278—279).

ფილიპე და ზაქარია ჩხეტიძეების მოღვაწეობის დრო ნაჩვენები გვაქვს თ. ეორდანიასა და ე. თაყაიშვილის ვარაუდთა მიხედვით (იხ. ი ქ ვ ე; ქრონიკები, II, გვ. 174, 403).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ პერიოდში სასულიერო სფეროში ჩხეტიძეთა საგვარეულოა გაბატონებული. ჩანს, ჩხეტიძეები, ხოფილანდრეს გამოკლებით, ამ დროს ცენტრალურ ხელისუფლების ზრახვებს უპერენ მხარს და უკანასკნელიც ხელს უწყობს მათ წინსვლას.

უფრო ადრე, XV ს. მეორე ნახევარში, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ჩხეიძეთა გვარის წარმომადგენელი ივანე რაჭის ერისთავად წინაურდება. ამიერიდან რაჭის ერისთავობა ჩხეიძეთა გვარს მემკვიდრეობით აქვს[42].

რაჭა, როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეულ პერიოდში, სანამ იგი ცალკე საერისთავოდ შეიქმნებოდა, შორაპნის საერისთავოში შედიოდა[43]. თუ მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომ შორაპნის ერისთავობა ჩხეიძეთა საგვარეულოს ჰქონდა, მაშინ რაჭის ერისთავად ამ საგვარეულოს წევრის დადგენა შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს და აქ ჩხეიძეთა გვარის ძველი სამოხელო უფლების (ერისთავობის უფლების) აღდგენას უნდა წარმოადგენდეს. ამ უფლების ევოლუციამ მოგვცა შემდეგ რაჭის ერისთავთა სათავადო.

ჩხეიძეებსა და მათი თანამოგვარე რაჭის ერისთავებს შორის გვაროვნული კონტაქტი მალე შეწყდა. არგვეთელ სახლიკაცებისგან ტერიტორიულად განცალკევებულ რაჭის ერისთავებს დროთა ვითარებაში ძველი საგვარეულო სახელიც ჩამოსცილდათ და თავიანთი თანამდებობის აღმნიშვნელი „ერისთავი" გაუგვარდათ.

ჩხეიძეთა სათავადოს ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო XV საუკუნეში, იმ ხელსაყრელ ვითარებაში, როცა „იმერეთის ერისთავები" (დიმიტრი, ბაგრატი) მეფობისათვის იბრძოდნენ[44]. ამ დროს უნდა ჩაეგდოთ ხელში ჩხეიძეებს ქვემოთ დასახელებული სოფელთა ნაწილი. ნაწილს კი (ჩიხა, ჩიხორი, ზედა დიმი) ისინი უთუოდ ადრიდანვე ფლობდნენ.

ზაქარია მისი თანამოგვარე მანოელ ჩხეტიძის უშუალო შემცვლელი უნდა იყოს (იხ. და შდრ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, გვ. 207).

XVI საუკუნეში იხსენიება აგრეთვე ჩხეტიძის ქალი ანა (გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VIII, 1933—1934, გვ. 300).

42 იხ. ქვემოთ, რაჭის ერისთავთა სათავადო.

43 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 162.

44 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 184—185.

ჩხეიძეთა სამფლობელოს საზღვრებს ვახუშტი ასე მოხაზავს: აღმოსავლეთით—„ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა“, დასავლეთით—„საჩინო-სალომინაოს საზღვრის ხაზი რიონიდან ფერსათამდე“, სამხრეთით—„მთა ფერსათისა ანუ ღადოთ ანუ ლომსიათ წოდებული“, ჩრდილოეთით — მდ. ჩხერიმელა, ძირულა, ყვირილა და რიონი[45].

მდ. ჩხერიმელა-ძირულა-ყვირილა ჰყოფდა საჩხეიძოს არგვეთისაგან, რომლის ნაწილს ის წარმოადგენდა, ხოლო მდინარე რიონი—ვაკისაგან[46].

ჩხეიძეები, მთლიანად თუ ნაწილობრივ, 11 სოფელს ფლობდნენ:

1. ჩიხას, 2. ჩიხორს, 3. ფუთს, 4. თრვინს, 5. წიფას[47], 6. ტაბაკინს, 7. ალავედრს, 8. ზედა დიმს[48], 9. კიკნაველ~~ოძუ~~ ეოძ (მისი მთით)[49], 10. ქარჩხაბს[50], 11. ფერსათს[51].

ადგილ-მამული ჰქონდათ ჩხეიძეებს ჭყვიშს, ობჩას, ბაღდადს, ზეგანს „ჩირგეთსა (?) და წყალთაშუა“, უხუთს[52], ფარცხანაყანევს, როხსა და ზეინდარს[53].

---

45 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა.... გვ. 163.

46 ი ქ ვ ე.

47 ჩხეიძეების წიფა ბაღდადის უბანში იყო, აბაშიძეების წიფა კი—ხარაგეულის უბანში.

48 გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს დიმი იმერეთის მეფეს ეკუთვნოდა (იხ. მისი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, გვ. 165). მაგრამ ამ ცნობაში იგულისხმება უთუოდ ქვედა დიმი.

49 1772 წელს კიკნაველეთი სამეფო სოფლად ირიცხებოდა (იხ. ი ქ ვ ე), ე. ი. ამ წელზე ადრე დაუკარგავთ ეს სოფელი ჩხეიძეებს.

50 ეს სოფელი ჩხეიძეებს ეკუთვნოდათ 1761 წლის წინარე ხანში. აღნიშნულ წელს და შემდეგ ქარჩხაბი წულუკიძეს უჭირავს (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 8; ნ ი კ ო დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გამოც. შ. ბურჯანაძისა, თბილისი, 1962, გვ. 183 (ქვემოთ ყველგან ეუთითებთ ამ გამოცემას გამომცემლის დაუსახელებლად).

51 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, გვ. 13r., 101v., 106v; ი ქ ვ ე, ფ. Sd, საბ. № 3014; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 8; პავლე გიორგის ძის (სოფ. ფუთის მცხოვრები, 70 წლის). გიორგი სპირიდონის ძისა (სოფ. ქვედა დიმის მცხოვრები, 81 წლის) და ალექსანდრე (სანდრო) ერმინეს ძის (სოფ. ზედა დიმის მცხოვრები, 57 წლის) ჩხეიძეების ცნობები. ჩავიწერეთ აღნიშნულ სოფლებში 1959 წ. სექტემბერს.

52 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 3014; ქუთ. მუზ. საბ. № 46; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 123, გვ. 113.

53 ზემოხსენებულ პავლე, სპირიდონ და ალექსანდრე ჩხეიძეების ცნობები.

ჩხეიძეების უნდა ყოფილიყო ძველად ჯიხაიშის დიდი ნაწილიც. ყოველ შემთხვევაში დოკუმენტური მასალებიდან ჩანს, რომ ჩხეიძეებს გარკვეული პრეტენზიები აქვთ ჯიხაიშს მოსახლე გლეხების — რუხვაძე-ლეჟავა-ბიბილეიშვილების მიმართ. ამ გლეხებია გამო ჩხეიძეები „შემოცილებოდნენ" ნიჟარაძეებს[54]. პაატა და ქაიხოსრო ნიჟარაძეებმა 1748 წ. ხსენებულ გლეხების თაობაზე „ქრთამი" მიართვეს ალექსანდრე V-ეს და ასე დაეუფლნენ მათ[55]. მაგრამ ზოგიერთ ლეჟავას აქ ჩხეიძეები შემდეგშიც ფლობდნენ[56].

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თავად ჩხეიძეთა გვარში დაცული გადმოცემით, მათი წინაპრები ზედა დიმში ჯიხაიშიდან მოსულან ძველ დროს[57]. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჩხეიძეებს ეკუთვნოდათ ჯიხაიშელი აზნაური დიდიძე[58].

ჩხეიძეებისა იყო ციხე-ქალაქი შორაპანი. აქ იყო თავდაპირველად სათავადოს უფროსის საჯდომი. მაგრამ ეს ციხე-ქალაქი ამ საგვარეულომ, როგორც ითქვა, დაკარგა „ძველთაგან"[59]. ამის შემდეგ ჩხეიძეებმა თავიანთ რეზიდენციად ზედა დიმი აირჩიეს.

ჯიხაიშიდან და შორაპნიდან ჩხეიძეები ერთსა და იმავე დროს (XV—XVI სს. მიჯნაზე) უნდა იყვნენ გამოდევნილი: შორაპანი აბაშიძეებმა ჩაიგდეს ხელში, ხოლო ჯიხაიშში ჩხეიძეების მეტოქეებად მათი მეზობელი ღოღობერიძეებია საგულისხმებელი. მაგრამ ჯიხაიშის ზოგი უბანი მაინც შეინარჩუნეს ჩხეიძეებმა. აქ (დიდ ჯიხაიშს) გვიან ხანშიც (1846 წ.) თავად ჩხეიძეს თავის მამული ჰქონდა[60].

ზედა დიმში ჰქონდათ ჩხეიძეებს სასახლე, ციხესიმაგრე და კარის ეკლესია. საგვარეულო სასაფლაო ძველი დროიდან ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიაში ჰქონიათ. „შემდგომად ქამსა" (1809 წლის ახლო ხანიდან) კი—თავიანთ „სოფელსა შინა" ზედა დიმს[61].

ჩხეიძეების ყმათა საერთო რაოდენობა ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ მათი ყმა გლეხები იყვნენ: ცერცვაძეები, ვაშაკიძეები, გუმბერიძეები, ჩუბინიძეები, მშვიდობაძეები, ფურცე-

---

54 ქუთ. მუზ. საბ. № 775.

55 იხ. იქვე.

56 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 6167.

57 გადმოცემა ჩავიწერეთ ზედა დიმში 1959 წ. სექტემბერს ალექსანდრე ჩხეიძის თხრობის მიხედვით.

58 ქუთ. მუზ. საბ. № 2091.

59 იხ. ზემოთ, გვ. 29, სქოლიო 16.

60 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 6167.

61 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 174; ალექსანდრე ჩხეიძის ცნობა ეკანასკნელს ეს მამა-პაპათაგან გაუგონია.

ლაძეები, გიგაშვილები, ებანოიძეები, ხიზანიშვილები, ნერგაძეები, ზირაქაძეები, კოხოძეები, ჯანელიძეები, ფულარიანები, კარანაძეები, ლიპარისეიშვილები, გოცირიძეები, არჯევანიძეები, კვირიკაძეები, ვერულაშვილები, თედორაძეები, ჭაუტიძეები, დიონისაშვილები, შავლაძეები, ჭრილაშვილები, ოქროპირაშვილები, ვაშაყმაძეები, ლილუაშვილები, წივწივაძეები, ბაკურაძეები, ერთგულიძეები, კოპაძეები, გიორგობიანები, ჩაჩანიძეები, ნოზაძეები, შენგელიები, მეტრეველები და სხვ.[62]

ჩხეიძეთა აზნაურები იყვნენ: გოგორიშვილები, დიდიძეები, გაბეხაძეები, ნემსაძეები, მიქაბაძეები, საყვარელიძეები, ყიფიანები, მაჭავარიანები, ჩხეიძეები, ჯღერია და სხვ[63].

ჩხეიძეებს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდათ. ეს ჩანს როგორც სოლომონ პირველის მიერ 1766 წელს ბაანა ჩხეიძის შვილებისათვის (როსტომი, გიორგი, დავითი, ბეჟია) ბოძებულ წყალობის წიგნიდან[64], ისე გეიანდელი (1810 წ.) ცნობიდანაც[65].

---

62 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 3014; იქვე, ფ. Hd, საბ. № 6167, 6406; ქუთ. მუზ. საბ. №№ 896, 2076; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 156; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 133, გვ. 122; პაელე, სპირიდონ და ალექსანდრე ჩხეიძეების ცნობები.

63 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 3014; ქუთ. მუზ. საბ. №№ 1361, 2091, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის.., საბ. № 76, გვ. 69; Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг. Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. III, 1942, стр. 151; ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 3—7; ალექსანდრე ჩხეიძის ცნობა.

64 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 120, გვ. 110.

ამ წყალობის წიგნით მეფემ გაანთავისუფლა ზემოხსენებულ ჩხეიძეთა გლეხები საურის, საუდიეროსა, „სოფლის მუშაობა... გაწვევა... გადასახადი და სათხოვარისაგან". ფაქტიურად საგადასახადო შეუვალობა ჩხეიძეებს, ისე როგორც იმერეთის სხვა ძლიერ თავადებს, ამ იურიდიულ აქტამდეც უნდა ჰქონოდათ.

65 Акты, IV, стр. 256.

ჩხეიძეების ყმათა საერთო რაოდენობა, სულ მცირე, 300 კომლამდე მაინც არის საკვარაუდებელი. მათი ყმათა საერთო რიცხვიდან საურს მხოლოდ 40 კომლი იხდიდა (იხ. იქვე), საუდიეროს კი—ამაზე უფრო ნაკლები: მიქელაძე-ნიკარაძე-ჩხეიძე-ლორთქიფანიძე-ღოღობერიძეთა ყმათაგან საუდიერო მართებდა 100 კომლს (იქვე). აქედან ერთ მეხუთედს თუ ჩხეიძეების ყმებად ჩავთვლით, საუდიეროს გადამხდელი მათი ყმებიდან მხოლოდ 20 კომლი ყოფილა.

ჩხეიძეთა სათავადოს თავის სამოხელეო აპარატი ჰქონდა. მაგრამ ამის შესახებ მეტად ნაკლული ცნობაა შემონახული: იხსენიება ჩხეიძის მხოლოდ „ხელოსანი“ 1682 წელს, „სახლთუხუცესი“ ვინმე რევაზი 1751 წელს და „ნაცვალი“ გვიანდელ, 1817 წლის საბუთში[66].

XVI ს. ჩხეიძეები ძლიერი თავადები არიან. ამ საუკუნის მიწურულს ისინი თავადთა იმ ჯგუფში არიან, რომელიც თავის სიუზერენის ინტერესების წინააღმდეგ გამოდის და იმერეთში მოლაშქრე ქართლის მეფე სიმონს ემხრობა[67]. ქართლის მეფის მომხრეობას ჩხეიძეებისათვის საზიანო შედეგი არ მოყოლია.

XVII საუკუნეში ეს საგვარეულო თავის ძლიერების ზენიტს აღწევს: ამ დროს ვხედავთ „იმერეთის ბოქაულთუხუცესს“ თეიმურაზ ჩხეიძეს. იგი დიპლომატიური მისიით, თუ სხვა გარემოების გამო, ირანის შაჰ სეფის კარზე იმყოფება და 1632 წელს ქართლის „ვალად“ გამოგზავნილ როსტომს მოყვება საქართველოში სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად[68].

ამ დროს ვხვდებით ლევან ჩხეიძეს, რომელიც 1651 წელს იმერეთის სხვა დიდ თავადებთან ერთად, ხელს აწერს ალექსანდრე III-ის ცნობილ ფიცის წიგნს[69].

XVII საუკუნეში გვხვდებიან ხუცია, გიორგი, ბანანა, სახლთუხუცესი ბექია და მისი შვილი ოტია ჩხეიძეები[70].

იმ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც ამ დროს ოდიშის მთავარ ლევან II დადიანსა (1611—1657 წწ.) და იმერთა მეფე ალექსანდრე III-ეს შორის წარმოებდა, ჩხეიძეები უკანასკნელს უჭერდნენ მხარს. ამიტომ ბექია და სხვა ჩხეიძეები „დადიანის ძალით იმერეთით გაყრილნი იყვნენ“ და დადიანისაგანვე დევნილ მამუკა ბატონიშვილთან ერთად ახალციხის ფაშას აფარებდნენ თავს. ბექია მამუ-

---

66 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 2931; ქუთ. მუზ. საბ. № 896; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. 96, გვ. 89.

67 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გამოც. ს. კაკაბაძისა, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 222.

68 იქვე, გვ. 240.

69 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში. გვ. 193.

70 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955, გვ. 147, 174, 175—176. შდრ. საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედ. ტფილისი, 1910, გვ. 143; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია., გვ. 246—251.

კასთან ნათესაობითაც იყო დაკავშირებული. ბეჟიას ასული მამუკას თანამეცხედრე იყო[71].

მამუკა და მისი მიმდგომი ჩხეიძეები ახალციხიდან ქართლს გადავიდნენ და „სომანეთის ჭალაში" დადგნენ. ჩხეიძეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს იმ შეთქმულებაში, რომელიც როსტომ მეფის წინააღმდეგ მოეწყო ნოდარ ციციშვილისა და სხვათა თაოსნობით. შეთქმულების მონაწილეებს ქართლში იმერეთის ბატონიშვილის მამუკას გამეფება უნდოდათ[72]. შეიძლება ეს აზრი ახალციხეში შემუშავდა საფარ ფაშას მონაწილეობით. ქართლში სულთნის ხელდებულის, იმერეთის უფლისწულის გამეფების იდეა ოსმალთა ინტერესებს შეესაბამებოდა, რადგან ამ იდეის განხორციელება ირანის პოზიციებს ამიერკავკასიაში დიდად შეასუსტებდა. მაგრამ შეთქმულება გამომჟღავნდა. მამუკა ბატონიშვილი იძულებული გახდა ისევ ახალციხეში გადასულიყო. მისი მომხრე ჩხეიძეები კი ქართლში დარჩნენ და ახლა თეიმურაზის სასარგებლოდ „ძალმიცემით" იბრძოდნენ. მაგრამ თეიმურაზის მომხრეთა ჯგუფი დამარცხდა. ჩხეიძეები მეფეს ტყვედ ჩაუვარდნენ და ირანს გაგზავნეს. რამდენიმე ხნის შემდეგ როსტომმა გიორგი და ოტია ჩხეიძეები ირანიდან „მოაყვანინა", ხოლო ბეჟია და ხუცია „ყაენის კარს დარჩნეს"[73].

1638 წელს კიდევ როსტომ მეფის მიერ პაატა აბაშიძის მამულის „ასაოხრებლად" წარგზავნილ ზემო ქართლის სარდალ იოთამ ამილახორის ლაშქართან ბრძოლაში დაიღუპა „სახელოვანი" თავადი ბანანა ჩხეიძე[74].

ამგვარად, იმ პოლიტიკურ დაჯგუფებებში, რომელნიც XVII ს. როსტომ მეფესა და თეიმურაზ პირველის ირგვლივ შეიქმნენ, ჩხეიძეები ქართველობისათვის მებრძოლ თეიმურაზისა და მის მოკავშირე ალექსანდრე იმერთა მეფის მხარეზე იდგნენ და ამ ჯგუფებს შორის ბრძოლაში დიდად დაზარალდნენ.

XVII საუკუნეშივე მოღვაწეობენ ჭყონდიდელი ევდემოს[75],

---

71 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, III, 1925, გვ. 246.

72 ი ქ ვ ე, გვ. 246—247.

73 ი ქ ვ ე, გვ. 246—251; ქართულ-სპარსული ისტორიული სბუთები, გამოც. ვ. ფუთურიძისა, გვ. 173—176. შდრ. საქართველოს სიძველენი, III, გვ. 143.

74 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გამოც. ვ. ფუთურიძისა, გვ. 146—147.

75 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 25—27.

სახლთუხუცესი სეხნია, სუფრაჯი ოტია[76]. ქვიტირის მოურავი ოტია და მისი შვილი ბეჟან[77], დედოფლის სახლთუხუცესი როსტომ[78] და ბოქაულთუხუცესი თეიმურაზ II[79] ჩხეიძეები.

ამ დროს (1660—1681 წწ.) „ჯრმლით“ იბრუნებს ეს უკანასკნელი „ძველთაგან“ თავის „სახლის დანაკარგ შორაპნის ციხესა და ქალაქს“[80].

XVII საუკუნეში ზის აფხაზეთის კათალიკოსად სეიმეონ ჩხე-

---

76 იხსენიებიან ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნში. იხ. Переписка..., стр. 83. სუფრაჯი ოტია ჩხეიძე მითითებულ დოკუმენტს გარდა, სხვაგან არ ჩანს.

77 დასახელებული არიან 1682 წლის შეწირულების წიგნში (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 2931). ეს არის ყველაზე ადრინდელი ჩვენთვის ცნობილი წყარო, სადაც ჩხეიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი ქვიტირის მოურავად პირველად გვხვდება.

ოტიას თანამეცხედრე იყო ციხისთავის (აგიაშვილის) ასული თინათი (იხ. ი ქ ვ ე).

78 დედოფლის სახლთუხუცესი როსტომ ჩხეიძე იხსენიება ალექსანდრე IV-ის 1685 წლის შეწირულების წიგნში. იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 80.

79 ბოქაულთუხუცეს თეიმურაზ II ჩხეიძეს ვხედავთ მის მიერ „შემკობილ“ ამაღლებისა და ჯვარცმის ხატის 1686 წლის წარწერაში. იხ. ქუთ. მუზ. ძეგლი № 3085.

თეიმურაზ პირველი ის თეიმურაზია, რომელიც შაჰ სეფის კარზე იყო და როსტომ მეფეს გამოაყოლეს საქართველოში (იხ. ზემოთ).

ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში მოხსენიებული „ბოქაულთუხუცესი ფარემიზიც“ (სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193) ჩხეიძე უნდა იყოს. ეს ფარემიზი და 1701—1705 წლების ერთ. კრებულის მინაწერში დასახელებული „ფარემ“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, თბილისი, 1959, გვ. 541, შენიშვნა ა), ვფიქრობთ, ერთი და იგივე პირია. ამ მინაწერში ვკითხულობთ: „ეს ერთი ლეკსი ბოქაულთუხუცის ხათეოძია, ფარემ ჩხეიძის შვილისა“ (იხ. ი ქ ვ ე). თუ ეს უკანასკნელი (ფარემ ჩხეიძის შვილი ბოქაულთუხუცესი) და ზემოხსენებული ბოქაულთუხუცესი თეიმურაზ II ერთი და იგივე პირი არ არის, მაშინ ფარემ ჩხეიძის შვილი ამ თანამდებობაზე თეიმურაზ II-ის შემდეგ დუასვამთ. ყოველ შემთხვევაში XVII ს. მიწურულს ბოქაულთუხუცესობა ისევ ჩხეიძეთა გვარის წარმომადგენელს აქვს.

80 ქუთ. მუზ. ძეგლი № 3085 (ამაღლებისა და ჯვარცმის ხატის წარწერა. ამ წარწერის ტექსტი იხ. ზემოთ, გვ. 29, სქოლიო 16). შეიძლება ეს თეიმურაზი იყოს 1692 წლის ერთ ნასყიდობის წიგნის „გამრიგე“ თეიმურაზ ჩხეიძეც (დოკუმენტები... I, საბ. № 609, გვ. 437).

ტიძე[81]. ამ დროსაც ქუთათელ ეპისკოპოსის კათედრას ისევ ჩხეიძეთა საგვარეულო ფლობს[82]. ამ დროს იხსენიებიან შედან, სვი-

---

81 სვიმეონი კათალიკოსად იჯდა 1660—1666 წლებში (ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 139, შდრ. ქრონიკები, I, გვ. 276, 483). მაგრამ კათალიკოსად კურთხევამდე მას ჯერ (1637 წ.) ნიკორწმინდლად ვხედავთ (ქრონიკები, II, გვ. 452). შემდეგ—ქუთათელ მიტროპოლიტადაც (ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 133).

ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში მოხსენიებული სვიმეონ მიტროპოლიტი (სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193. 195) ქუთათელ სვიმეონ ჩხეტიძე უნდა იყოს (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 206). ყოველ შემთხვევაში 1659 წელს ქუთათელად იგი ზის (ქრონიკები, II, გვ. 476).

კათალიკოსობის დროსაც სვიმეონი „ქუთათელ-კათალიკოსად“ ან „კათალიკოს-ქუთათელად“ იწოდება (ქრონიკები, I, გვ. 306; ი გ ი ვ ე, II, გვ. 479). ე. ი. ერთსა და იმავე დროს იგი კათალიკოსიც არის და ქუთათელიც. სვიმეონი გარდაიცვალა 1666 წელს (იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, .დასახ. ნაშრ.. გვ. 132—133).

სვიმეონ კათალიკოსის აშენებული უნდა იყოს სოფ. თხილთაწყაროს ეკლესია, რომლის საკურთხეველში გადარჩენილი ნუსხური წარწერა გვაუწყებს: „ქ. მ[ა]ნ[ა]ნ ო[ა]ს[ა]ფვლსა შ[ა]ა ამის ეკლესიის ა[ღ]მშენებელი [ჩ]ხეიძე სიმეონ“ (იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს (დღიური), მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1964, გვ. 16).

თხილთაწყარო ჩხეიძეების არ იყო. ის საგენათლო სოფელი ჩანს (იხ. იქვე). კათალიკოსი ჩხეიძე საეკლესიო მიწაზე აშენებს ეკლესიას.

82 გიორგი III-ის დროს (1605—1639 წწ.) ქუთათელ ეპისკოპოსის კათედრა ბასილ ჩხეტიძეს ეჭირა (იხ. პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის წარწერა, ქუთ. მუზ. ძეგლი, № 3149). ბასილის უშუალო შემცვლელი უნდა იყოს ზემოხსენებული სვიმეონ „ქუთათელ-კათალიკოსი“.

XVII ს. 80-იან წლებში ქუთათელ მიტროპოლიტად ისევ ჩხეიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელს, სახლთუხუცეს სეხნიას ძე სვიმეონს ვხედავთ (ვახუშტი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 212). ვახუშტის დახასიათებით, იგი ფრიად „გახდიდებული“ პირია, რომელიც, მიუხედავად მღვდელმთავრობისა, იყო „ტყეის ძყიდველი, შეძავ-შემრუშე, კაცის მკვლელი, ცრუ-ფიც, უწირავ ულოცავი“ (ი ქ ვ ე). ქუთათელ ეპისკოპოსის ხარისხი მას აღნიშნულ ხანზე უფრო ადრე უნდა ჰქონდეს მიღებული. ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნში დასახელებული ქუთათელ მიტროპოლიტი სვიმეონ (Переписка..., გვ. 82), ეფიქრობთ, სვიმეონ სეხნიას ძე ჩხეიძეა. ქუთათელად მისი კურთხევა სავარაუდებელია, ქუთათელ-კათალიკოს სვიმეონ ჩხეიძის გარდაცვალების შემდეგ (1666 წ.), ასე რომ მთელ XVII საუკუნეშიც ქუთათელად ჩხეიძეთა საგვარეულოს წევრები სხედან.

უთუოდ სვიმეონ სეხნიას ძეა 1696—1714 წწ. საბუთში დასახელებული „ჩხეიძე მთავარეპისკოპოსი“, რომელსაც გრიგოლ კათალიკოსმა, იმერეთ-ოდიშის თავადებთან ერთად, ფიცი ჩამოართვა ოსმალო ავრესორებთან ბრძოლისა და „პირის მიუცემლობის“ შესახებ (საქართველოს სიძველენი. I, საბ. № 16, გვ. 43—

ქონ[83], მამუკა, ხოსია, პაატა[84], ქაიხოსრო და გიორგი ჩხეიძეები[85].

ამგვარად, თუ XVI საუკუნეში ჩხეიძეები იმერეთის სამეფოში სასულიერო სფეროში ბატონობენ, მომდევნო საუკუნეში, ამასთან ერთად, ისინი საერო სფეროშიც გაბატონდნენ.

მეტად მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ამ საგვარეულოში სახლთუხუცესი სეხნია. იგი იყო ძმა სვიმეონ კათალიკოსისა[86]. როდის მიიღო სეხნიამ სახლთუხუცესობა, არ ვიცით. ჩანს მხოლოდ, რომ მასზე ადრე, 1643 წელს და ამ წლის ახლო ხანს ეს სახელო მის სახლიკაცს ბეჟიას ეჭირა[87]. ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში მოხსენიებული სახლთუხუცესი ზურაბიც, ვფიქრობთ, ჩხეიძეა. ჩხეიძეები ამ მეფის ერთგული ვასალები იყვნენ. ამიტომ ალექსანდრე მესამის ზეობაში სახლთუხუცესობა ჩხეიძეთა საგვარეულოს არ უნდა ჩამორთმეოდა. ამდენად ზემოაღნიშნულ დოკუმენტში დასახელებული სახლთუხუცესი ზურაბი სხვა არ უნდა იყოს, თუ არა ჩხეიძე.

სეხნია ჯერ კიდევ ხსენებულ მეფის დროს (1639—1660 წწ.) წინაურდება. ამ მეფის 1660 წლის სიგელებში მას უკვე სახლთუხუცესად ვხედავთ[88]. მაგრამ უფრო „განდიდნა" იგი ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ. ბაგრატ IV-ის მეფობაში (1660—1681 წწ.) სეხნია იმერეთში პირველი კაცია. მეფე თავის „დიდ ბოიართაგან" პირველი რიგში მას იხსენიებს. გვარის მეთაურიც ამ დროს უთუოდ იგია.

---

45. ამ საბუთის ე. თაყაიშვილისეული თარიღი (იხ. იქვე, საბუთის ლეგენდა) ძცდარია. ბითითებული საბუთიდან ჩანს, რომ იგი დაწერილია გრიგოლ ლორთქიფანიძის გაკათალიკოსების (1696 წ.) შემდეგ არა უგვიანეს გიორგი ლიპარტიანის დატყვეებისა (1714 წ.).

83 მოწმეებად იხსენიებიან 1616—1639 წწ. განჩინების წიგნში (დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 52). ეს სვიმონი საერო პირია (იხ. ი ქ ვ ე), მისი იგივეობა ზეჟოდასახელებულ რომელიმე სვიმონთან გამორიცხულია.

84 საქართველოს სიძველენი, I, საბ. № 16, გვ. 44; დას. საქ. საეკლ. საბ.; I გვ. 82.

85 საქართველოს სიძველენი, I, საბ. № 16, გვ. 44; დოკუმენტები..., I. საბ. 609, გვ. 437.

86 ქრონიკები..., II, გვ. 477.

87 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გამოც. ე. ფეთურიძისა, გვ. 175—176, შდრ. საქართველოს სიძველენი, III, გვ. 143; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 248.

88 ქრონიკები..., II, გვ. 477; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 173.

ბაგრატის წინაშე სეხნია ფრიად ნამსახური იყო: მტერთაგან დამარცხებულმა მეფემ სეხნიას, მისი ძმის სვიმეონ-კათალიკოსისა და სხვათა „დიდის ცდითა“ დაიბრუნა ტახტი 1663 წელს[89].

ბაგრატ IV-ის მეფობა ის დროა, როცა იმერეთში ცენტრალური ხელისუფლება ძალზე შესუსტებულია, თავადები „მიიტაცებდიან თავისთვისთა მზარეთა... არღარა იყო მორჩილება ეგდენი მეფეთა“, იყო ტყვეთა სყიდვა და ქვეყნის ციხე-სიმაგრეებს ოსმალო აგრესორები იპყრობდნენ[90].

ასეთ პირობებში „იკლო რაიმე ბაგრატისაგან“ სეხნიამაც. „იწყო... ერთგულება ფაშისა“, მოიყვანა ოსმალნი და ქუთაისის ციხეში ჩააყენა[91]. ეს მოხდა 1666 წელს. სატახტო ქალაქის ციხის ოკუპაციამ დიდად შეაშფოთა „ყოველი იმერი“. მაგრამ ოსმალებთან და მათ მიმდგომ სეხნია ჩხეიძესთან გამკლავება მაშინ მეფესა და მის მომხრეებს არ შეეძლოთ და „დაიდუმეს ჯერეთ შიშითა ოსმალთა“, მხოლოდ 1667 წელს მოხერხდა, ბეჟან ლორთქიფანიძის თაოსნობით, უცხო დამპყრობელთაგან ქუთაისის ციხის განთავისუფლება, მაგრამ ისიც მოკლე ხნით[92].

სეხნია არ იყო თანმიმდევარი მეფესთან დამოკიდებულების საქმეში. თავის თავადურ ინტერესების შესაბამისად, იგი ხან მხარს უჭერდა, ხან კიდევ ებრძოდა მეფეს. 1669 წელს სეხნია ერთ ხანს ისევ მოემხრო ბაგრატ IV-ეს და მისი მეფობა აღდგენილ იქნა იმერეთში[93]. მაგრამ სახლთუხუცესი იმავე წელსვე განუდგა მას. ქუთაისის ციხეც აიღო „ზაკვით“ და ისევ ოსმალთ ჩააბარა[94]. სეხნიას მხარეზე იყო იმერეთის თავადების მნიშვნელოვანი ნაწილი. მიიმხრო მან დადიანიც. მეფეს მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმ-ოკრიბელნი შერჩნენ. „შეიბნენ ჩხარს“. ბრძოლაში ორივე მხარე ძლიერ დაზარალდა. გამარჯვება მაინც მეფეს დარჩა. სეხნია ამ ომში დაიღუპა, თუ შემდეგ მოკლეს[95]. დადიანი კი ოდიშს ილტვოდა.

---

89 იხ. Переписка..., გვ. 83; ქრონიკები, II, გვ. 477; ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 204.

90 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“,, გვ. 204.

91 ი ქ ვ ე.

92 იხ. ი ქ ვ ე,

93 ი ქ ვ ე, გვ. 204—205.

94 ი ქ ვ ე, გვ. 205. ამიერიდან ოსმალთა ხელთ იყო ეს ციხე 1770 წლის 6 აგვისტომდე. (იხ. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, под ред. А. А. Цагарели, СПб., 1891, стр. 152—153, 258—261).

95 ვახუშტის ცნობით, სეხნია ჩხეიძე ჩხარის ომში მოკლეს 1669 წელს (საქართველოს ისტორია, გვ. 205). „პარიეის ქრონიკაში“ ეს ფაქტი სხვაგვარადაა

ჩხარის ომის შემდეგ, ბაგრატმა ერთ ხანს „დაიპყრა... უმეტესად იმერეთი“[96]. მიუხედავად ორგულობისა, ჩხეიძეები მეფეს მკაცრად არ დაუსჯია. მხოლოდ სახლთუხუცესობა ჩამოართვა მათ და საზვერელ ჩიჯავაძეს გადასცა[97]. ჩხეიძეებთან დამოკიდებულების გამწვავებას მეფე მაშინ მოერიდა. შემდეგ კი სიტუაცია შეიცვალა: ამ საგვარეულოს წევრმა როსტომმა დიდად უერთგულა მეფეს: აცნობა მას მის სამტროდ მომავალ ოსმალთა ფაშისა და გურიელის გეგმა[98] და ამით თავის გვარის დანაშაული ნაწილობრივ გამოისყიდა. ამასობაში საზვერელი ჩიჯავაძეც ბაგრატ IV-ის მეტოქეებთან ბრძოლაში დაიღუპა 1679 წელს და მისი სიკვდილის შემდეგ მეფემ სახლთუხუცესის თანამდებობა ისევ ჩხეიძეთა სახლის წარმომადგენელს გიორგის გადასცა[99].

საგვარეულოს უფროსად ახლა გიორგი ჩანს.

მოთხრობილი: „შეიტყუა რაჭის ერისთავმან საფიცრით სეხნია ჩხეიძე და ღალატით მოკლა“ ამავე წელს (პარიჟის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოსა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, თბილისი, 1903, გვ. 70). ამ ცნობებიდან რომელია სწორი, გადაჭრით თქმა ძნელია, საკონტროლო ცნობის უქონლობის გამო. პირველობისათვის მებრძოლი რაჭის ერისთავი სეხნიაში თავის მეტოქეს ხედავდა და სავსებით სარწმუნოა, რომ ამიტომ მოკლა იგი ჩხარის ომის დაწყებისთანავე. მაგრამ რადგან ეს ორი ფაქტი (ჩხარის ომი და სეხნიას მოკვლა), ორივე ცნობით, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში მოხდა, შეიძლება ვახუშტის ცნობის წყარომ ისინი ერთმანეთისაგან ვერ გამიჯნა, ხოლო სეხნიას სიკვდილთან დაკავშირებული დეტალები არ დაიცვა.

აღსანიშნავია, რომ ერთი ქრონიკის ცნობით, რომელიც მართებული შესწორებითაა გაშოცემული, ბაგრატ IV და სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე „შეიბენ“ ჩხარს 1664 წელს (იხ. მცირე ქრონიკები, ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968, გვ. 28, მინაწერი 33). მაგრამ ამ ცნობაში ჩხარის ომის თარიღი, ოღონდაც შესწორებით (ქრონიკონი უნბ — 1764 წ. შესწორებულია 1664 წლად) სწორად არ არის დაცული. ამას ცხადჰყოფს ვახუშტის მიერ მოთხრობილი ამბების თანმიმდევრული მსელელობა. ეს თარიღი (1664 წ.) კი არღვევს ისტორიული ფაქტების თანმიმდევრობას (იხ. და შდრ. ვახუშტი „საქართველოს ისტორია“, გვ.204—205. Переписка..., стр. 83).

96 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 205.

97 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, სამ. № 28, გვ. 38.

98 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 205.

99 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 207; საქართველოს სიძველენი, I, სამ. № 19, გვ. 47. ეს სამუთი, რომელშიც სახლთუხუცესი გიორგი ჩხეიძე იხსენიება, დაწერილია 1696—1720 წლებში (შდრ. მითითებული სამუთის ლეგენდა). ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ სახლთუხუცესობა მას საზვერელ ჩიჯავაძის სიკვდილის შემდეგ (1679 წ.) უშუალოდ არ მიუღია. მაგრამ ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს ის, რომ საზვერელსა და გიორგის შუა ამ თანამდებობით არავინ ჩანს.

XVIII ს. დამდეგიდან ჩხეიძეები თანდათან ქვეითდებიან. უჩნ-დებათ სასტიკი მეტოქეები ძლიერი აბაშიძეების სახით. ასეთ ვითა-რებაში ჩხეიძეები აბაშიძეებისა და მათი მსგავსი დიდი თავადების ამლაგმველ ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე დგებიან. სახლთუხუცესი გიორგი ჩხეიძე სწორედ გიორგი აბაშიძისა და მის მიმდგომ ლიპარტიან-რაჭის ერისთავთან ბრძოლაში დაიღუპა 1709—1711 წლებში[100].

მეფისადმი ჩხეიძეების ერთგულებას ახლა აბაშიძეებთან მეფის დამოკიდებულება განსაზღვრავს. ამიტომ იყო, რომ 1711—1712 წლებში, როცა გიორგი IV-ესა და ზურაბ აბაშიძეს შორის შეთანხმება მოხდა[101], ჩხეიძეთა გვარის წარმომადგენელნი—ოტია და სახლთ-უხუცეს სეხნიას შვილიშვილი პაატა მაშინვე მეფის მეტოქე მამია გუ-რიელის მხარეზე გადავიდნენ და მასთან ერთად იბრძოდნენ ჩხარის ომში 1712 წელს გიორგი VI-ის წინააღმდეგ[102].

მაგრამ როგორც კი გიორგის მემკვიდრე ალექსანდრე V-ემ ზუ-რაბ აბაშიძესა და მის მოკავშირე ბეჟან დადიანთან ბრძოლა დაიწ-ყო, ოტია ჩხეიძე მეფესა და ერთხანს მის მომხრე რაჭის ერისთავს მიუდგა და ამ ბრძოლას შეეწირა კიდეც 1720—1721 წლებში: ერის-თავი „ქრთამს“ პირდებოდა ახალციხის ფაშას, თუ ახალგაზრდა ალექსანდრეს „მოურნეობას“ მისცემდა. მაგრამ ბეჟან დადიანმა დაასწრო „ქრთამის“ გაღება. ფაშამაც იგი მიუჩინა მეფეს „მოურ-ნედ“, ხოლო ერისთავის თავდებ ოტია ჩხეიძეს თავი მოჰკვეთა[103].

აბაშიძეებსა და ჩხეიძეებს შორის ბრძოლა პირველობისათვის უკანასკნელთა დამარცხებით დამთავრდა. ჩხეიძეთა ციხე-ქალაქის—შორაპნის ჯერ კიდევ „ძველთაგან“ მიმტაცებლად აბაშიძეთა გვა-რია სავარაუდებელი. მართალია, ეს „დანაკარგი“, როგორც ზემოთ ითქვა, ბოქაულთუხუცესმა თეიმურაზ ჩხეიძემ „ჯრმლით“ დაიბრუ-ნა 1660—1681 წლებში ბაგრატ მეფის „ბრძანებითა“, მაგრამ—მოკ-ლე ხნით. XVII—XVIII სს. მიჯნაზე ეს ციხე-ქალაქი კვლავ აბაში-

---

100 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 222—223. „ჩხეიძე სახლთუხუ-ცესის“ სიკვდილს ვახუშტი 1709—1711 წწ. შუა მომხდარ ამბებთან მოგვითხრობს (ი ქ ვ ე).

შეიძლება სახლთუხუცეს გიორგი ჩხეიძის შვილი იყოს პაპუნა ჩხეიძე, რო-მელიც ჩანს ამავე ხანში და რომელსაც ცოლად ჰყავდა „ერისთავის დაჲ თამარ“ (ი ქ ვ ე, გვ. 224).

101 ი ქ ვ ე.

102 ი ქ ვ ე; სცია, ფ. 227(2), საბ. 50.

103 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 229—230.

ძეთა სახლის ცნობილ წარმომადგენელს — გიორგის უჭირავს[104]. ამიერიდან შორაპანი ჩხეიძეთა გვარის მფლობელობაში არასოდეს ყოფილა (იხ. აბაშიძეთა სათავადო).

აბაშიძეთა მძლავრობა ჩხეიძეთა მიმართ ამით არ დამთავრებულა. XVIII ს. 10-იან წლებში ზურაბ აბაშიძემ „მოსწყვიტნა ბახაშვილხი ჩხეიძენი... დაყიდნა დედაწულით... და დაიპყრნა მამულნი მათნი"[105]. ამავე დროს, თუ უფრო გვიან, „საჩხეიძო ადგილი" წულუკიძემ დაიჭირა[106]. ადგილ-მამულთან ერთად ჩხეიძეებმა დაკარგეს თავიანთ სამკვიდრო სახელოები[107]. ესეც აბაშიძეებმა და სხვა თავადებმა „იქრთამეს".

ამგვარად, XVIII ს. დასაწყისი იყო ჩხეიძეთა საგვარეულოს ძლიერების დასასრული. აღნიშნულ პერიოდიდან მათი სამფლობელო ზედა დიმით განისაზღვრება და მისგან განცალკევებით კიდევ ჯიხაიშს, ბაღდადს და სხვაგან მხოლოდ ზოგიერთი ადგილ-მამული აქვთ შერჩენილი.

1740 წელს ალექსანდრე V-ემ ისევ წამოსწია ჩხეიძეთა საგვარეულო. თუ ადრე ჩხეიძეებს მხოლოდ ქვიტირის მოურავობა ჰქონდათ, მეფემ ახლა ბაანასა და მის შვილებს: „როსტომს, გიორგისა და დავითს უბოძა „მკვიდრად" „სამოურაოთ" ქვიტირთან ერთად

---

104 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 220; მ ი ს ი ვ ე, აღწერა..., გვ. 154; Ф. Жордания. Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I, Тифлис. 1903, стр. 205.

105 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 228.

ბაანა შეტად ძიღებული სახელია ჩხეიძეთა გვარში. XVIII საუკუნეში ისევ ვხვდებით ბაანა ჩხეიძეს (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. №№ 72, 101, 120).

106 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 124.

„საჩხეიძეო ადგილში" უნდა იგულისხმებოდეს ქარჩხაბი. შდრ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლ. რეფორმებისათვის..., გვ. 8.

107 ბოქაულთუხუცესად 1709—1735 წლებში უკვე აბაშიძეთა სახლის წარმომადგენელს სვიმონს ვხედავთ (დოკუმენტები..., I, გვ. 446, საბ. № 624. იხ. აგრეთვე, გვ. 460—461, საბ. № 650; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 85, საბ. № 91). ერთ უთარიღო საბუთში მოხსენიებული „ბოქაულთუხუცესი მამუკაც" (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 54, საბ. № 48) აბაშიძე უნდა იყოს და ეს სახელო ამ საგვარეულოს უშუალოდ ჩხეიძეების შემდეგ უნდა ჰქონდეს მიღებული.

სახლთუხუცესის სახელო კი გიორგი ჩხეიძის შემდეგ (მოკლეს 1709—1711 წლებში), თუ არ ვცდებით, ლომკაც ჯაფარიძეს მისცეს. ყოველ შემთხვევაში, 1720—1738 წწ. სახლთუხუცესად იგი იხსენიება (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 67, საბ. № 68) სახლთუხუცესად ჩანს ის 1730 წლის 11 იანვრით დათარიღებულ საბუთშიც (ქუთ. მუზ. საბ. № 12).

სვირიც[108]. მაგრამ ეს სახელოებიც მალე დაკარგეს ჩხეიძეებმა: 1766 წლის ახლო ხანს ქვიტირის მოურავად ბერი „გეგელასშვილი“ ზის[109]. ხოლო ამავე წლის 8 აპრილს სვირის მოურავად ქაიხოსრო აბაშიძეს ვხედავთ[110]. შემდეგ კი სვირი საუფლისწულო ხოფელია და 1808 წელს აქ თავადი ბეჟან წერეთელი მოურავობს[111].

1791 წელს კიდევ სოლომონ II-ის თანამეცხედრემ მარიამ დედოფალმა „ჩინებული კაცის ძეს“ ლევან ჩხეიძეს თავის მოლარეთ-უხუცესობა უწყალობა[112].

უფრო გვიან, 1804 წელს, მეფე სოლომონმა ოტია ჩხეიძის შვილებს: ბეჟანს, როსტომს, ხოსიას, ქაიხოსროსა და სიმონს განუახლა მათი „სამკვიდრო“ ყმა-მამულისა და „ეგრეთუე სახასო ტყე და წყლის“ „ის პირუელი წყალობის წერილი“, რომელიც მეფეს მათივე მამისათვის ებოძებინა და „ჟამთა ვითარებისაგან დაკარგოდათ“. როგორც ოტია, ისე მისი შვილები სოლომონის „დიდად ერთგული და წარმატების მოწადე“ იყვნენ[113]. მათდამი მეფის კეთილგანწყობილება ამით იყო შეპირობებული.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში როსტომ, დავით და ლევან ჩხეიძეები მდივანბეგებადაც ჩანან[114]. მაგრამ ახლა ყმა-მამულ

---

108 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 70—71, საბ. № 72.

ბაანა ჩხეიძეს სვირის მოურავად ვხედავთ 1742 წელსაც (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 877).

109 ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11.

110 ქუთ. მუზ. საბ. № 38.

111 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 6044.

112 ქუთ. მუზ. საბ., № 1483.

113 ხელნაწ. ინსტ. ფ. Sd, საბ. № 3014.

114 როსტომი ამ თანამდებობით ჩანს 1811 წელსა და XIX ს. პირველ მეოთხედში (ქუთ. მუზ. საბ. № 46; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 169; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, გამოსცა. ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი, 1953, გვ. 228 (ქვემოთ: მასალები საქ. ეკონომ. ისტორიისათვის გამომცემლის დაუსახელებლად).

ეს როსტომი და 1815, 1819, 1821, 1826 წლებში მაიორის ხარისხით მოხსენიებული როსტომ ჩხეიძე (ქუთ. მუზ. საბ. № 646; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. 1319; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 97, 98; Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии..., стр. 151) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ მაიორმა როსტომ ჩხეიძემ 1819—1820 წწ. იმერეთის აჯახყების დროს, რუსეთის მთავრობას უერთგულა, რის გამო მეამბოხეებისაგან იგი დიდად დაზარალდა. იხ. ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

დამცრობილი ჩხეიძეთა როლი მეტად უმნიშვნელოა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით ჩხეიძეთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

* * *

ზემოხსენებულ პირთა გარდა, ცნობილია ჩხეიძეთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც:

ქ ა ი ხ ო ს რ ო I. იხსენიება 1751 წელს. ჰყავდა სამი ვაჟი: გიორგი, სეხნია და თეიმურაზ[115]. ეს ქაიხოსრო და 1692 წლის ერთი ნასყიდობის წიგნის „გამრიგე" ქაიხოსრო ჩხეიძე[116] შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს;

მ ა მ უ კ ა. გვხვდება 1763, 1769 წლების საბუთებში[117];

ს ვ ი მ ო ნ IV[118] ჩანს 1763 წლის შეწირულების წიგნში[119];

ო ტ ი ა V. ვხვდებით 1766 წლის ახლო ხნის, 1778—1780 და

დავითს ვხედავთ 1803, 1809, 1815, 1816, 1819, 1822, 1826, 1829, 1835 წლებში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd; საბ. № 1328; ი ქ ვ ე, ფ. IId, საბ. №№ 6406, 7809; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 165; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 133, სქოლიო; მასალები საქ. ეკონომ. ისტორიისათვის, II, გვ. 203; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 37, გვ. 199; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 94, გვ. 109; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, ისტორიული დოკუმენტები, გაბოც. შ. ბურჯანაძისა, თბილისი, 1953, საბ. № 121, გვ. 142. ქვემოთ, საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები გამომცემლის დაუსახელებლად).

ლევანს—1822 წელს (მასალები საქ. ეკონომ. ისტორიისათვის, II, გვ. 36, 161).

როსტომისა და დავითის სახელებით 1740, 1766 წლებში აგრეთვე ბაანა ჩხეიძის შვილები იხსენიებიან (იხ. ზემოთ). 1751 წ. ნასყიდობის წიგნის გამცემი როსტომ და დავით ჩხეიძეებიც (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I საბ. № 96, გვ. 89) ბაანას ძენი უნდა იყვნენ.

115 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 96. გვ. 89.

116 დოკუმენტები..., I, საბ. № 609, გვ. 437.

117 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 18, 41.

118 I სვიმონი არის ქუთათელი ეპისკოპოსი სვიმონ, რომელიც XVI საუკუნეში მოღვაწეობდა; II სვიმონი (სვიმეონი) იყო ის, რომელიც XVII საუკუნეში აფხაზთა კათალიკოსად იჯდა; III სვიმონი — სახლთუხუცეს სეხნიას ძე, ქუთათელი მიტროპოლიტი XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის დამდეგს (იხ. ზემოთ).

119 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 18.

1786 წლების დოკუმენტებში[120]. გარდაიცვალა 1802 წ. 9 ოქტომბერს[121];

გ ო რ გ ა ს ა ლ ი. დავით ჩხეიძის შვილი. ვხედავთ 1786 წელს[122];

ი ო ა ნ ე. მოხსენებულია 1803 წელს[123];

დ ა ვ ი თ I[124]. „სახლთუხუცის შვილი" (გიორგისა?) მოწმედაა დასახელებული მარიამ დედოფლის 1803 წლის შეწირულების წიგნში[125];

ლ ე ვ ა ნ II[126] „მოკლულ იქნა... ყაზახთაგან" 1804 წ. მაისის თვეში[127];

---

120 ქუთ. მუზ. საბ. № 1361; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 4, გვ. 12—13.

121 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ IV, თბილისი, 1954, გვ. 387.

I ოტია იყო სახლთუხუცეს ბეჟიას შვილი ოტია, რომელიც იხსენიება 1643 წელს (იხ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გამოც. ვ. ფუთურიძისა. გვ. 175—176); II—სუფრაჯი ოტია, რომელიც ჩანს 1669 წელს (იხ. ზემოთ); III—ქვიტირის ძოურავი ოტია, რომელიც გვხვდება 1682 წელს (იხ. ზემოთ); IV—რაჭის ერისთავის თავდები ოტია, რომელსაც ახალციხის ფაშამ „მოჰკვეთა... თავი" 1720 წელს (იხ. ზემოთ).

იყო VI ოტიაც. ეს ის ოტიაა, რომელსაც სოლომონ II-მ 1804 წლის ნინარე ხანში ყმა-მამულის წყალობის წიგნი უბოძა და რომელიც იყო მამა ბეჟან, როსტომ, ხოსია, ქაიხოსრო და სიმონ ჩხეიძეებისა. აღნიშნულ წელს ოტია VI ცოცხალი არ არის (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 3014).

122 სცია, ფ. 229 (4), დავთ. 17, საბ. № 101.

123 მასალები საქ. ეკონომ. ისტორიისათვის, II, გვ. 203.

124 იყო II და III დავითიც. II დავითი იყო ბაჭნას ძე. მართალია, ეს დავითი I დავითზე ადრე, 1740 წელს იხსენიება, მაგრამ უკანასკნელის მამა თუ სახლთუხუცესი გიორგია, რომელიც 1709—1711 წლებს შუა გარდაიცვალა (ბაანა კი გვიანდელი მოღვაწეა. ვხედავთ შვილებთან ერთად 1740 წელს. იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 72, გვ. 70—71). მაშინ „სახლთუხუცის შვილი" დავითი უფრო ადრინდელი პირია და I დავითად უნდა ჩავთვალოთ.

III დავითი ის არის, რომელიც მდივანბეგი იყო (იხ. ზემოთ).

ზემოხსენებული გორგასალი ჩხეიძე ან I დავითის შვილია ან—II დავითისა.

125 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 141.

126 I ლევანი არის ის, რომელიც იხსენიება ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში (იხ. ზემოთ). იყო III ლევანიც. ეგი იყო მდივანბეგი, გვხვდება 1822 წელს (იხ. ზემოთ).

127 საქ. სახ. მუზ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, გვ. 387.

სვიმონ V. ჩანს 1809, 1817, 1819, 1823 წლებში[128]. 1817 წლიდან იგი მაიორის ხარისხით იხსენიება[129]. იმერეთის აჯანყების პირველ (1819) წელს მას მეფის რუსეთის მთავრობის მომბრეთა შორის ვხედავთ[130];

ქაიხოსრო II. გვხვდება 1809, 1810, 1819 წლებში[131]. უკანასკნელ წელს იგი მაიორის ხარისხითაა მოხსენიებული. იმერეთის აჯანყების დროს (1819—1820 წწ). ის რუსეთის მთავრობის მხარეზე იყო. ადრეც, 1810 წელს, ქაიხოსრო თავის ყმებითურთ რუსთა სარდლობას ეხმარებოდა სოლომონ მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში[132].

ხოსია. ძმა სვიმონ V-ისა და ქაიხოსრო II[133]-ის. ვხვდებით 1809, 1819 წლებში[134]. იმერეთის აჯანყების პირველ (1819) წელს ხოსია თავის ძმებთან ერთად მეფის მთავრობის ერთგულთა რიგებში ჩანს[135];

ბეჟანი. ვხედავთ 1809 წელს მის მიერ ხონელ მთავარეპისკოპოს ანტონისათვის მიცემულ წიგნში[136]. გარდაიცვალა 1815 წლის მარტში[137]. ბეჟან, როსტომ (იხ. ზემოთ მაიორი-მდივანბეგი როსტომ), ხოსია, ქაიხოსრო (II) და სვიმონ (V) ძმები არიან. ერთად გვხვდებიან ზემოაღნიშნულ 1809 წლის დოკუმენტში[138];

ეს „ხუთნი ძმანი“ და 1804 წლის საბუთში ამავე სახელებით მოხსენიებული აგრეთვე ხუთი ძმა, ოტია VI-ის შვილნი ჩხეიძენი (იხ. ზემოთ, შენიშვნა 121), ერთი და იგივე პირნი უნდა იყვნენ;

ნიკოლოზი. იხსენიება 1817 წლის 24 ოქტომბრის საბუთში[139];

---

128 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 164; ქუთ. მუზ. საბ. №№ 896, 2355-1, 2355-2, 3801; Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии..., стр. 148.

129 ქუთ. მუზ. საბ. № 896.

130 ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 148.

131 იქვე; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 164; В. Чудинов, Имеретинская неурядица в 1809 и 1810 годах, Кавказский Сборник, т. XVI, Тифлис, 1895, стр. 270, შენიშვნა 30.

132 ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ.. გვ. 148; ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 270, შენიშვნა 30.

133 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 164.

134 იქვე; ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

135 ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

136 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 164.

137 საქ. სახ. მუზ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, გვ. 389.

138 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 164.

139 მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 76, გვ. 69.

ნ ი კ ო ლ ა ო ს არქიმანდრიტი. გვხვდება 1821, 1823 წლებში. 1821 წლიდან იგი იყო „თანაგანმზრახათ ყოველსავე საქმესა შინა“ ამავე წელს „უმაღლესის ბრძანებით... იმერეთის არქიეპისკოპოსათ“ დადგენილ „არხიერის“ სოფრონიოს წულუკიძისა. ხოლო 1823 წელს იმპერატორის „უკაზით“ ნიკოლაოსი საქართველო-იმერეთის კანტორის „ჩლენათ“ დაინიშნა[140];

ბ ე რ ი. ჩანს 1829, 1832 წლებში[141]. უკანასკნელ წელს მას პორუჩიკის ხარისხით ვხედავთ[142].

თ ა ვ ი III

მიქელაძეთა სათავადო

მიქელაძეთა გვარის ყველაზე ადრინდელი ჩვენთვის ცნობილი წარმომადგენელი მანგასარ მიქელაძეა. იგი პირველად იხსენიება 1326 წლის სიგელში[1]. მაგრამ მისი მოღვაწეობა ამის წინა პერი-

---

140 იხ. ქრონიკები, III, გვ. 642.

141 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 7809; ქუთ. მუზ. №№ 2076, 2091.

142 ქუთ. მუზ. საბ. № 2091.

1 საქართველოს სიძველენი, II, საბ. № 26, გვ. 33—34. ამ საბუთის შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფილისი, 1926, გვ. 164, 169, 175, 184; ჯ. ო დ ი შ ე ლ ი. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან (ზოგიერთი სასისხლო სიგელის შესახებ), „მაცნე“, 1966, № 4 (31), გვ. 210—211.

ვახუშტის „ქრონიკონებით“, ნარინ დავითის ძე მიქელი გამეფდა მისი ძმის კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ 1327 წელს (ქართლის ცხოვრება, II გამოც. ჩუბინაშვილისა, სპბ, 1854, გვ. 237, შდრ. ქამთააღმწერელის თხზულება, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1959, გვ. 295—325; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 9—10; ჯ. ო დ ი შ ე ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 210—211). მიქელაძისადმი მიცემულ სისხლის ზღვევის სიგელში კი მიქელი 1326 წელს მეფედ არის წარმოდგენილი, რაც თითქოს ქრონოლოგიური შეუსაბამობაა (იხ. იქვე). მაგრამ ცნობილია, რომ ძმებს (კონსტანტინესა და მიქელს) „აქუნდათ დღეთა მათთა მარადის ბრძოლა“ ტახტის გამო. მიქელმა კონსტანტინეს სიცოცხლეში „დაიპყრა“ კიდეც „რაჭა, ლეჩხუმი და არგვეთი“ (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 182). ამიტომ შესაძლოა უკანასკნელის ზეობაშიც მიქელი მეფედ იწოდებოდა. ანდა სასისხლო სიგელის მიქელ მეფე კონსტანტინეს ძმა კი არა შეიძლება სხვა მიქელი იყოს (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 9—10, შდრ. ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 210—211), თუ კი, როგორც ქამთააღმწერელი გადმოგვცემს, ნარინ დავითის ძენი კონსტანტინე და მიქელი გიორგი ბრწყინვალის გამეფების (1314 წ.) წინარე ხანში გარდაიცვალნენ

ოდზე მოდის[2]. 1326 წელს მანგასარი ცოცხალი არ არის[3]. იგი ჭარელიძეს „შეაკვდა“ სადღაც „ომში“. მათი საქმე აღნიშნულ წელს-

(იხ. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 295—325).

მიქელაძეთა შესახებ იოანე ბატონიშვილის ქართველ თავად-აზნაურთა გვარების „აღწერაში“ ვკითხულობთ: „მიქელ მთავარი იყო მოსახლე ეანისა და აზრუმის საშუალ ადგილსა ტარონიასა შ(ინ)ა. ესე მიქელ მსახურებდა ალექსი კეისარს, რ(ომე)ლსა მისცა ცოლად დაჲ თვისი და ამათგან იშვნეს ორნი ძენი გრიგოლ და იოანე, რომელნიც იწოდებოდნენ პროსებეტოსად... წელსა 1085[სა] შინა (?). და მერე, შემდგომად თურქთაგან დაპყრობისა, ამათ გვარნი მოვიდნენ იმერეთს და მიიღო მეფემ თავადობის გვარითვე მიქელაძედ და ამათნი მდაბალნი სახლისკაცნი მიქელაშვილებად აზნაურად. აწ ცხოვრებენ მიქელაძე თავადხი იმერეთს, ხ(ოლო) მიქელაშვილები—ქართლსა“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, გვ. 121v).

რამდენად რეალურია მიქელაძეთა წარმომაკლობის შესახებ ამ წყაროს ცნობები, ძნელი სათქმელია. აღსანიშნავია ერთი: იოანე ბატონიშვილის ეს ნაწარმოები, რომელიც „შესაძლოა დაწერილი იყოს 1801 წლამდე“ ან არა უგვიანეს 1815—1820 წლებისა (ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე. იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფული ხუსხების ძიებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 232), ქართველ თავად-აზნაურთა გვარების წარმოშობას მეტ წილად უცხო ქვეყნებსა და შორეულ წარსულს უკავშირებს. იგი ძირითადად ზეპირგადმოცემებს ეყრდნობა. ეს გადმოცემები კი, უნდა ვიფიქროთ, შეთხზულია თვით თავად-აზნაურთა გვარების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი განდიდების მიზნით. ამდენად აღნიშნულ წყაროს მონაცემები ხშირად ისტორიულ საფუძველს მოკლებული და შეუწყნარებელია. მიუხედავად ამისა, მათი ხელაღებით უარყოფა მაინც არ შეიძლება. ზოგჯერ მათში ჭეშმარიტების მარცვლებიც არის დაცული.

2 აღსანიშნავია, რომ უცნობი პირის მიერ ლაპილის (სვანეთი) ეკლესიისათვის მიცემულ „ყმად თავის დათვლის“ XIII—XIV სს. „დაწერილში“ (პ. ინგოროყვას დათარიღებით) ვხედავთ „მიქელაისძეს“ (სახელი არ არის აღნიშნული), რომლის „სამსახური“ მართებს ამ უცნობს პირს (იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1941, გვ. 13).

ივანე და ხუერგო გელოვანთა ამავე საუკუნეების „დ-წერილში“ ვხედებით აგრეთვე „მიქელაისძეს“ (სახელი არც აქ არის აღნიშნული), რომელსაც დასახელებული პირნი თავიანთ „პატრონად“ იხსენიებენ. ივანე და ხუერგო გელოვანებმა ყმად „დაუთვალეს“ თავიანთ თავი ლაპილის ეკლესიას „ნებითა“ „პატრონისა მიქელაისძისა“ (იქვე. გვ. 12).

ცხადია, ამ დროს „მიქელაისძე“ ლაპილის თემში თუ სადღაც სხვაგან სვანეთში ცხოვრობს. შეიძლება ამ მიქელაისძისაგან მომდინარეობენ იმერეთის მიქელაძეები ან პირიქით. მაგრამ როდის მოხდა „მიქელაისძის“ სვანეთიდან იმერეთში თუ იმერეთიდან სვანეთში გადასახლება, არ ჩანს.

XV—XVI სს. სვანეთის ისტორიულ სიბუთებში მოხსენიებულია გვარის სახელი „მიქელიანი“ (იქვე, გვ. 67), რომელიც ქართულ მიქელაძის სვანური ფორმაა. ის გარემოება, რომ ამ გვარის სახელის ქართული ფორმა უფრო ადრე (XIII—XVI სს.) გვხვდება, ვიდრე სვანური, იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მიქელაძეთა გვარი სვანეთში იმერეთიდანაა გადასული.

3 მანგასარ მიქელაძე ამ დროს აზნაურად იხსენიება (იხ. საქართველოს სიძ-

ვე გაარჩიეს მიქაელ მეფემ და მისმა „დარბაისლებმა“. მიქელაძის სისხლის ფასად თურმე დიდი ხნით ადრე იყო დაწესებული „ოთხმოცი ათასი ძველი კირმანეული თეთრი“. სასისხლო სიგელი მიქელაძეს ამ დროს თუმცა „თათართაგან წაღებული ჰქონდა“, მაგრამ „მოვიდა მისი მახსოვარი კაცი და დაიფიცა“, რომ „სიგელსა მიქელაძისა“ ასე „ეწერაო“. ამის მიხედვით მანგასარ მიქელაძის სისხლში მის მემკვიდრეს თუ მემკვიდრეებს მიეცათ „რვა ტანი აბჯარი მისითა მოწყობილობითა, შვიდი გლეხი..., ცხენი და ჯარი უთვალავი“[4].

მანგასარის შემდეგ, მიქელაძეთა გვარის შესახებ დიდ ხანს არაფერი ვიცით. მხოლოდ 1413—1444 წწ. იხსენიება მისი თანამოგვარე ლომისი მიქელაძე. უკანასკნელს ამ დროს ალექსანდრე მეფის „კარის ვაზირთა“ შორის ვხედავთ[5].

უფრო გვიან, 1488 წელს იმერთა მეფის ალექსანდრეს დარბაისელთა შორის გვხვდება ლომისის სახლიკაცი ყერგრძელი მიქელაძე[6]. მაგრამ სახლიკაცობის გარდა რა ნათესაობა იყო მათში, არ ჩანს.

ყერგძელი მიქელაძე უნდა იყოს აგრეთვე მაღნარაძეთა 1486—1488 წწ. სასისხლო სიგელში მოწმეთა შორის უსახელოდ მოხსენიებული მიქელაძე[7].

ლომისი და ყერგძელი XV ს. უკვე წარჩინებული პირნი ჩანან. ამ დროს არის სავარაუდებელი მიქელაძეების სათავადოს ჩამოყალიბება.

გვიანდელი ცნობებით, მიქელაძეთა თავადურ გვარს 13 სოფელი ეკუთვნოდა მთლიანად თუ ნაწილობრივ:

1. კულაში, 2. ჭყუშური (ჭყვიშური), 3. მიწა-ბოგირა, 4. კვირიკე, 5. ნიხუაკუთხე, 6. ჭაგანი, 7. ჩხენიში, 8. ნაბაკევი, 9. ხუნჯუ-

---

ველენი, II, საბ. № 26, გვ. 33). თავადი, როგორც წოდება, XIV ს. დამდეგს ჯერ კიდევ არ არის აზნაურთაგან გამოყოფილი. მაგრამ, უეჭველია, მანგასარი აზნაურ მიქელაძეთა იმ მაღალ წრეს ეკუთვნის (ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი სისხლის ფასი), რომელიც შემდეგ თავადად ჩამოყალიბდა. ამდენად ჩვენ მას თავად მიქელაძეთა წინაპრად ვთვლით.

4 საქართველოს სიძველენი, II, საბ. №26, გვ. 33—34.

5 იქვე, საბ. № 28, გვ. 37.

6 ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 25.

7 იხ. იქვე, გვ. 21.

ლური, 10. ილორი, 11. სანავარდო (ნაწილობრივ)[8], 12. ნაფაღაური[9], 13. ნაჩხეტაური[10].

მიქელაძეები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე სოფ. სამტრედიაში[11]. მათვე ეკუთვნოდათ იმ ტერიტორიის უდიდესი ნაწილიც, სადაც შემდეგ ქალაქი სამტრედია გაშენდა[12].

მიქელაძეების სათავადოს აღმოსავლეთით გუბისწყალი საზღვრავდა, დასავლეთით—ცხენისწყალი, სამხრეთით—საჩიჯავაძო სოფელი გომი[13] და ჩრდილოეთით—ქვიტირი.

მიქელაძეთა რეზიდენცია ძველი დროიდანვე კულაშში იყო. იმ ადგილას, სადაც ჯვარცმის მინდორს ეძახიან, იყო მიქელაძეების სასახლე, ეკლესია (ჯვარცმის სახელზე აშენებული) და ციხესიმაგრე[14].

ჯვარცმის ეკლესიაში იყო მათი საძვალე[15].

მიქელაძეთა საგვარეულოს ერთ შტოს ადგილსამყოფი ხვილიფში[16] ჰქონდა მოწყობილი. XIX ს. დამდეგს ვხედავთ აქ („ხვილი-

---

8 სანავარდოს ნაწილი შეფისა იყო. კირილე პავლეს ძე (სოფ. კულაშის მცხოვრები, 63 წლის) და ვიქტორ პეტრეს ძე (იქვე მცხოვრები, 78 წლის) მიქელაძეების ცნობა. ჩავიწერეთ აღნიშნულ სოფელში 1959 წ. აგვისტოს. (შდრ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 307). სანავარდოში ყმა-მამულს ქუთათელი ეპისკოპოსიც ფლობდა (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა..., საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 81). ყმა-მამულს ფლობდნენ აქ ჭილაძეებიც (დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 92).

9 ნაფაღაური უნდა იყოს გიულდენშტედტის „ნაპაგაო". იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 306, 307.

10 ი ქ ვ ე, გვ. 157, 307; ქუთ. მუზ. საბ. №№ 1058, 1492, 2049; კირილე და ვიქტორ მიქელაძეების ცნობა.

11 კირილე და ვიქტორ მიქელაძეთა ცნობა.

სოფ. სამტრედია (ამჟამად ძველი სამტრედია) მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქ. სამტრედიის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

12 მ. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი. სამტრედიის ისტორიიდან (1870—1921), ქუთაისი, 1957, გვ. 42; კირილე და ვიქტორ მიქელაძეთა ცნობა.

ქ. სამტრედიის ტერიტორიის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე სახაზინო მიწაც. იხ. მ. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 42.

13 XVIII ს. მეორე ნახევრიდან სოფ. გომი გელათის ეპარქიას ეკუთვნოდა.

14 კირილე მიქელაძის ცნობა.

ციხესიმაგრეს ან მის ნანგრევებს ჯვარცმის მინდორზე, როგორც ხსენებულმა პირმა გადმოგვცა, ის არ მოსწრებია. მაგრამ მამა-პაპისაგან გაუგონია, რომ „აქ სათოფურებიანი კოშკები იყო".

15 კირილე და ვიქტორ მიქელაძეთა ცნობა.

16 ახლა ხვილიფს ეძახიან საყანე მინდვრებს საჯავახოს მახლობლად, სამტრედიისაკენ. ხვილიფის ადგილ-მდებარეობის შესახებ ცნობა მოგვაწოდა თბილისში მცხოვრებმა (ლერმონტოვის ქ. № 21) აწ განსვენებულმა არდალიონ აპოლონის

ფის თავში") რევაზ მიქელაძის „სასახლეს". 1810 წელს აქვე ააგო მან ეკლესიაც, სადაც დაასვენა მის მიერ „შემკობილი" ხატი მთავარანგელოზისა[17].

მიქელაძეთა სათავადოში მათი ყმები სახლობდნენ. ჩვენ არ ვიცით როდის რამდენი იყო მიქელაძეების ყმათა საერთო რაოდენობა. ჩანს, მხოლოდ, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში სამიქელაძეო-სანავარდო-საჭილაოში ერთად 1400 კომლი ითვლებოდა[18]. ამათგან ერთი მეოთხედი მაინც მიქელაძეების ყმებად უნდა ვივარაუდოთ[19]. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ამ საგვარეულოს ყმათა საერთო რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით 350 კომლი ყოფილა.

მიქელაძეების ყმა გლეხები იყვნენ: შენგელიები, ნუცუბიძეები, გეგენეიშვილები, რუსიები, ახობაძეები, ჯანგველაძეები, ბუაძეები, ქობულიები, ნიკურაძეები, სტურუები, პაპავები, კვანტალიანები[20] და სხვა.

მიქელაძეების აზნაურები იყვნენ: ქაჯაიები, კახიანები და მიქელაძეები[21].

მიქელაძეების ყმათა ნაწილს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა. ამ საგვარეულოს 350 კომლ ყმათაგან სამეფო გამოსაღებს საურს მხოლოდ 200 კომლი იხდიდა, საუდიეროს კი მიქელაძე-ნიჟარაძე-ჩხეიძე-ლორთქიფანიძე-ღოღობერიძეების ყმათა საერთო რიცხვიდან—100 კომლი[22]. აქედან თუ მიქელაძეების ყმებად ერთ მეხუთედს ვიანგარიშებთ, საუდიეროს გადამხდელი ამ საგვარეულოს ყმათაგან მხოლოდ 10 კომლი ყოფილა.

ძე მიქელაძემ, 1965 წლის 20 ოქტომბერს, რის აღნიშვნაც სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია.

17 იხ. ქუთ. მუზ. ძეგლი № 3084, მიქელ-გაბრიელის ხატის წარწერა.

18. Jachob Reineggs. Allgemeine historisch-topographische Beschreinbung des Kaukasus, zweiter Tjeil. St.-Peter-burg. 1797. S. 37.

19 მეოთხედს იმიტომ ვიღებთ, რომ სამიქელაძეოს ნაწილი მეფეს ეკუთვნოდა. იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 307.

20ქუთ. მუზ. საბ. №№ 791, 2049, 2051, 2075, 2078; კირილე და ვიქტორ მიქელაძეთა ცნობა.

21 ქუთ. მუზ. საბ. №№ 828, 1492, 2090; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 179. მიქელაძეთა აზნაურ მიქელაძეების შესახებ იხ. ქვემოთ, სქოლიო 42.

22 Акты, IV, стр. 256.

მიქელაძეები, ისე როგორც სხვა თავადები, სათავადოს მმართვის საქმეში უთუოდ თავიანთ მოხელეებს იყენებდნენ. მაგრამ ამის შესახებ ცნობები არ შემონახულა. არ ჩანს როგორი იყო მიქელაძეთა სათავადოს სამოხელეო აპარატი.

მიქელაძეების როლი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრიად თვალსაჩინო ხდება XVII ს. 30-იან წლებიდან[23].

იმ ბრძოლაში, რომელიც ლევან II დადიანს დასავლეთ საქართველოში გაბატონებისათვის იმერთა მეფეებთან ჰქონდა, მიქელაძეები დადიანის მხარეზე ჩანან. დადიანს უფრო ძლიერი მომხრეებიც ჰყავდა: ირანის შაჰი და მისი ვასალი ქართლის მეფე როსტომი. სამეგრელოს მთავრის გაძლიერებით შაჰი დიდად იყო დაინტერესებული. დადიანის სახით მას რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში საიმედო დასაყრდენი უნდოდა გაეჩინა. ამიტომ იყო, რომ დადიანს „ყაენიც მწყალობელი და ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი ჰყვანდა"[24]. ასეთი მომხრეებით ზურგგამაგრებული ლევან დადიანი „ნამეტნავად გაძლიერებულიყო და იმერეთი დაეჩაგრა"[25]. ირანთან კავშირი რომ უფრო მეტად განემტკიცა, სამეგრელოს მთავარმა სიმონ გურიელის ცოლყოფილი თავისი და მარიამი ქართლის მეფეს როსტომს მიათხოვა. 1632 წელს, როცა ფერსათთან მდგომ როსტომთან დადიანს სამეგრელოდან საცოლე მოჰყავდა, „აქუნდა შიში გზასა ზედა" იმერთა მეფისა[26]. მაგრამ ამ მეფის ვასალებმა თავადმა მიქელაძეებმა დადიანი და მისი

---

23 XV ს. მიწურულიდან XVII ს. 20-იან წლებამდე მიქელაძე ჩვენთვის ცნობილ წყაროებში მოოლოდ ორჯერ იხსენიება და ისიც უსახელოდ. ეს წყაროებია: გიორგი იმერთა მეფის 1563—1564 წლების წყალობის წიგნი (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, სამ. № 3, გვ. 18) და 1600 წ. ახლო ხნის ხოხის საყდრის დავთარი. ამ დავთარში ნათქვამია: „ჯანგას ბრელიძე... მილექაძემ ამოაგდო და პარტახტი მას აქუს, გლეხი დაასახლაო" (ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლო დროისა, გამოც. ს. კაკაბაძისა, ტფილისი, 1913, გვ. 16)..

24 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გამოც. ს. კაკაბაძისა, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 259.

25 იქვე, გვ. 246.

26 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 198, შდრ. მარი ბროსე. საქართველოს ისტორია, ნაწ. II, თარგმანი სიმონ ღოღობერიძისა, ტფილისი, 1900, გვ. 189.

აღსანიშნავია, რომ როსტომ მეფის 1633 წ. 25 დეკემბრის წყალობის წიგნში უკვე იხსენიება „დედოფალთა დედოფალი პატრონი მარიამ" (იხ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 106, სამ. № 47). ვახუშტის „ქორონიკონების" ცნობა, რომელიც როსტომისა და მარიამის „ქორწილს" 1638 წლის ქვეშ უჩვენებს (ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 248), მცდარია.

მაყრები უვნებლად გაატარეს თავიანთ სამფლობელოში. „სამიქელაოს“ გზით გავიდნენ ისინი რიონს და მივიდნენ კაკას ხიდთან[27]. აქ დახვდა მათ როსტომ მეფე, რომელსაც სამეგრელოს მთავარმა „დიდებით“ ჩააბარა სადედოფლო[28]. ამ სახიფათო მომენტში დადიანის მეგზურნი მიქელაძეები იყვნენ. მეტიც: იმერეთის მეფეს უნდოდა ამ „მარჯვე“ ყამით ესარგებლა და დადიანი ხელში ჩაეგდო. ლაშქარს სწრაფად თავი მოუყარა, „მცირითა კაცითა“ მეფე თვითონ წავიდა დადიანის სპათა დასაზვერად. მაგრამ „უმუხანათეს“ მისმა „ყმებმა“: აცნობეს ეს დადიანს და მის კონტრდაზვერვას მეფე ტყვედ ჩაუვარდა.[29]

ყოველივე ეს, უეჭველია, მიქელაძეთა მონაწილეობით ხდება. მათი სათავადოა იმერეთში დადიანის დასაყრდენი.

მეფის დატყვევების შემდეგ დადიანი უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს იმერეთში. თუ ქართლს მიმავალი მისი მაყარი იქეთობისას მაინც იმერეთის სანაპირო, ბაღდად-ახალციხის გზით მიდიოდა, აქეთობისას ახლა ის ალი-კოლბოურის გზით, შუაგულ იმერეთში გამოვლით, მოდის ოდიშში.[30]

იმერთა მეფე გიორგი ორ წელს დარჩა ოდიშის მთავრის ტყვეობაში. მეფის გამოსყიდვა ძვირად დაუჯდათ მის მემკვიდრეებს. დადიანმა ამ გვირგვინოსან ტყვის სახსარში მიიღო: „მრავალი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, თვალ-მარგალიტთ მურასა, იარაღი“, ჩხარისა და ჩიხორის ვაჭრები და საჭილაო-სამიქელაო.[31]

სამიქელაძეოს დადიანის მფლობელობაში გადასვლით აიხსნება, რომ მიქელაძეები ერთ ხანს იმერთა მეფის კარზე არ ჩანან. მაგალითად, ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში, სადაც იმერეთის სამეფოს ყველა თავადური გვარის წარმომადგენელს ვხე-

---

27 მდ. ხანისწყალზე, ბაღდადს ქვემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. ხანთან ახლოს.

28 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 198; ქრონიკები, II, გვ. 463 (როსტომ ქართლის მეფისა და მარიამ დედოფლის 1648 წლის სიგელი).

29 ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 198—199; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 241; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველო, III, გვ. 276; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 160.

30 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 241.

31 ი ბ ი ვ ე; ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 199; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 160; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, გვ. 276.

დავთ, მიქელაძეები არ იხსენიებიან[32]. არ იხსენიებიან მიქელაძეები ალექსანდრე III-ის ძის ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნშიც, სადაც აგრეთვე იმერეთის სამეფოს ყველა თავადური სახლის წარმომადგენელია დასახელებული[33].

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1657 წ.) სამეგრელოს სამთავროს საქმე აირია. ალექსანდრე III-ემ ისარგებლა შემთხვევით: დალაშქრა ოდიში და „დაიპყრა უნაგირას აქეთი აღმოსავლეთის კერძი"[34]. ამ დროს დაიბრუნა მან უთუოდ საჭილაოსამიქელაძოც. მაგრამ ჭილაძე-მიქელაძეები მაინც დადიანის ერთგულებას განაგრძობდნენ.[35]

XVII ს. შუა წლებში მიქელაძეთა საგვარეულოს თავკაცი ოტია ჩანს. 1658 წ. ალექსანდრე III-ესა და ლიპარიტ დადიანს შორის მომხდარ ბანძის ომში ოტია თავის სახლიკაცებით ლიპარიტის მხარეზე იბრძვის. ვახუშტის ცნობით, ამ ომში ოტიამ იმერთა მეფე რაინდულ ორთა ბრძოლაში გაიწვია. ომის წინა ღამეს პირველმა თურმე შეუთვალა მეორეს: „მაცნობე ხვალისა კურტაკი და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჯაბანიო". მეფემ აუწყა ეს. მაგრამ მასთან შებმას თავი აარიდა: დათქმულ „კურტაკით" და ცხენით მეფემ თავის ნაცვლად ომში მიქელაძის სიძე ლევან აბაშიძე გაუშვა, რომელმაც ამის შესახებ არაფერი იცოდა. მიქელაძემ „მეძიებელმან მეფისამან ჰპოვა იგი... ჰსცა შუბი და შესძახა: „მე ვარ ოტია". მაგრამ იქვე გაირკვა, რომ ის, ვინც მან სასიკვდილოდ დაჭრა, იყო მისივე სიძე ლევან აბაშიძე და არა მეფე იმერეთისა.

ბანძის ომი მეფის გამარჯვებით დამთავრდა. მისი მოწინააღმდეგენი გაიქცნენ. „არღარა ივლტოდა" მხოლოდ ოტია. მან გაქცევა აღარ იკადრა, ტყვედ დანებდა პირობის დამრღვევ მეფეს. დატყვევებულ მოღალატე თავადს თვალები დასწვეს „ზუმბით".[36]

---

32 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა იმერეთში, გვ. 193—195.

33 იხ. Переписка..., стр. 83.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში მიქელაძეების მოუხსენიებლობიდან გამომდინარე ს. კაკაბაძე ვარაუდობს: „შესაძლებელია, რომ სამიქელაოს პატრონი მე-17 საუკ. ნახევარში იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდაო". იხ. მისი, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 ს-ში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 209—210.

34 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 201; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 161.

35 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 201.

36 ი ქ ვ ე, გვ. 201—202.

მაგრამ, როგორც ჩანს, მეფემ მალე შეირიგა დასჯილი ფეოდალი[37]. 1658—1660 წწ. დაწერილ ალექსანდრე III-ის ერთ წყალობის წიგნში ოტია მიქელაძე მის მოწმეთა შორის არის დასახელებული[38]. ოტიას ხსენება ამაზე წყდება. ამის შემდეგ ის უთუოდ მალე გარდაიცვალა.

XVII ს. მეორე ნახევარში მიქელაძეთა გვარის წევრებიდან გამოირჩევა გიორგი ოტიას ძე მიქელაძე[39]. ის არის ამ დროს ამ თავადური სახლის მეთაური. მისი თანამედროვეები არიან მისი სახლიკაცები პაატა და შაქარ მიქელაძეები[40].

გიორგი როკითის ომის (1684 წ.) აქტიური მონაწილეა. ამ ომში მას ალექსანდრე IV-ის მომხრეთა შორის ვხედავთ[41].

გიორგი მიქელაძის გავლენის ზრდას დიდად უწყობდა ხელს ის ფართო ნათესაური კავშირი, რომელიც ჰქონდა მას ლიხთ-იმერეთისა და ამერეთის მეფე-თავადებთან: მისი ასული ხვარაშანი (იგივე ხორაშანი) ქართლის მეფე გიორგი XI-ის თანამეცხედრე იყო[42]. მიქელაძის და სევდია ოდიშის ფაქტიური მმართველის გიო-

---

37 ოტია მიქელაძეზე იხ. სარგის კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 ს-ში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 90, საბუთის ლეგენდა.

38 იქვე, გვ. 92.

39 გიორგი რომ ოტიას ძეა, ამის შესახებ პირდაპირი ცნობა არა გვაქვს. მაგრამ ვიცით, რომ ოტია მიქელაძეს ჰყავდა ასული სევდია, რომელიც გიორგი ლიპარტიანზე იყო გათხოვილი (ქრონიკები, II, გვ. 504; ძველი საქართველო, III, განყ. პირველი, გვ. 120, 122, 186). გიორგი ლიპარტიანის ცოლი სევდია კი გიორგი მიქელაძის და იყო (ვახუშტი, „საქართველოს ისტორია", გვ. 217—218; ძველი საქართველო, III, განყ. პირველი, გვ. 122, 186). აქედან ცხადია, გიორგი მიქელაძე ოტიას ძეა.

თ. ჟორდანია ოტია მიქელაძის ასულ სევდიას კაცია ჩიქვანის ცოლად თვლის (იხ. ქრონიკები, II, გვ. 504; III, თბილისი, 1967, გვ. 20). მაგრამ ჟორდანია ცდება. სევდია რომ გიორგი ლიპარტიანის ცოლია და არა კაციასი, ეს ნათლად ჩანს ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ მასალებიდან და მათი კომენტარებიდან (იხ. ძველი საქართველო, III, განყ. პირველი, გვ. 120, 122, 186).

40 გიორგი, პაატა და შაქარ მიქელაძეებს ერთად ეხვდებით XVII ს. მეორე ნახევრის ერთ ფიცის წიგნში. იხ. საქართველოს სიძველენი, I, სამ. № 16, გვ. 44.

41 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 209—210.

გიორგი მიქელაძე ჩანს 1684 წელზე ადრეც: დიმიტრი გურიელის 1668 წლის შეწირულების წიგნში (იხ. ქრონიკები, II, გვ. 484).

42 ხორაშანი გიორგი XI-ეს მისთხოვდა 1687 წელს. გარდაიცვალა 1695 წელს, (ქრონიკები. II, გვ. 506; ვახუშტი, ქორონიკონები, წიგნში; ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 250, 251).

აღსანიშნავია ერთი გარემოება: „მას ყამს ოდეს" ხორაშანი ქართლში მოიყვანეს მას „მზითვად მოყვა" გიორგი მიქელაძე (საქართველოს სიძველენი, II,

რგი ლიპარტიანის ცოლი იყო[43], არგვეთის დიდი თავადი გიორგი აბაშიძე კიდევ გიორგი მიქელაძის დისწული იყო[44]. თვით გიორგი მიქელაძეს კი ცოლად ჰყავდა რაჭის ერისთავის პაპუნა II-ის მამიდა[45], ე. ი. და შოშიტა II-ისა[46].

ქართლის მეფის ნათესაობის გამო იყო, რომ გიორგი მიქელაძე ერთ ხანს (1687 — 1691 წწ.) იმერეთში ქართლის მეფის ძმის არჩილის მეფობას უჭერდა მხარს[47]. მაგრამ მიქელაძემ შემდეგ პოზიცია შესცვალა და იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის გიორგი VI-ის მხარეზე დადგა[48]. ამ გზით ცდილობდა იგი სხვა თავადებზე პირველობის მოპოვებას. მეფის მომხრე მიქელაძე აშკარად დაუპირისპირდა მეფის წინააღმდეგ მებრძოლ გიორგი აბაშიძესა და გიორგი ლიპარტიანს. ნათესაობამ ვერ შეანელა ის წინააღმდეგობა, რომელიც ამ დიდ თავადებს შორის იყო[49].

საბ. № 120, გვ. 150—151. 1688 წლის საბუთი. ეს საბუთი შემოკლებით და შეცდომებით გამოაქვეყნა თ. ყორდანიამ. იხ. და შდრ. მისი, ქრონიკები, II, გვ. 506, 518). მიქელაძე, რომელიც ხორაშანს მზითვად გამოაყოლეს, აზნაური იყო. ჩანს, აზნაურ მიქელაძეების ნაწილი თავად მიქელაძეთა ვასალი ყოფილა (ნაწილი მეფისა იყო). ამ მხრივ საყურადღებოა, რომ, იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, ქართლის აზნაურ მიქელაშვილები ხორაშან დედოფლის ნამზითვ „მიქელაძისაგან" მომდინარეობენ (მიქელაშვილთა წარმომავლობის შესახებ იოანეს ამ ცნობასა და ძისსავე ზემოშოტანილ ცნობას შორის წინააღმდეგობაა (იხ. და შდრ.), მაგრამ ძის ცნობათა ზოგი მონაცემი მაინც მნიშვნელოვანია), რომელიც თურმე აქ „მდაბალ აზნაურად" იქნა მიღებული (იხ. მისი, „შემოკლებით აღწერა...", ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, გვ. 44r). ცხადია, მზითევში მოყოლილი მიქელაძე აზნაური ყოფილა, რაკი ის აზნაურად „მიუღიათ". თავად მიქელაძეს თავის ასულისათვის ძზითევში ძხოლოდ თავისი აზნაური შეეძლო გაეყოლებინა. ე. ი. აზნაური მიქელაძე თავად მიქელაძის ყმა აზნაურია.

დედოფლის ნამზითვ მიქელაძეს დედოფლის კარზე მოლარეთუხუცესის საზელო ჰქონდა (საქართველოს სიძველენი, II, საბ. № 120, გვ. 150). 1688 წელს კიდევ გიორგი XI-ემ მას საბარათაშვილოში დურმიშხანის ადგილ-მამული და ათი კომლი გლეხი უბოძა (იქვე, გვ. 150—152; იხ. აგრეთვე, საქართველოს სიძველენი, I, საბ. №№ 52, 53, გვ. 72—74). ასე დამკვიდრდა მიქელაძე ქართლში. მისგან მომდინარეობენ ქართლელი მიქელაძეები.

43 იხ. ზემოთ, შენიშვნა 39.

44 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 217. იხ. აგრეთვე, გვ. 209—210.

45 იქვე, გვ. 57.

46 პაპუნა II შოშიტა II-ის შვილი იყო (იხ. იქვე, გვ. 210). აქედან ცხადია, რომ პაპუნა II-ის მამიდა შოშიტა II-ის და არის.

47 იხ. იქვე, გვ. 212—213.

48 იქვე, გვ. 220—221.

49 ლიპარტიანსა და მიქელაძეს შორის დამოკიდებულებას ახლა ისიც ამწვავებდა, რომ 1998—1701 წწ. ლიპარტიანმა მიატოვა მიქელაძის და სევდა, „რომ-

გაძლიერებული თავადები გიორგი VI-ის ხელისუფლებას არ ცნობდნენ. მეფე მათთან ბრძოლას თავს ვერ ართმევდა. ასეთ ვითარებაში, გიორგი მიქელაძის რჩევით, მეფემ შეირთო მიქელაძის შვილიშვილი, ქართლის მეფის გიორგი XI-ის ასული როდამი[50]. მიქელაძეს იმედი ჰქონდა, რომ ქართლის მეფის „მწეობითა" გიორგი VI თავის ხელისუფლებას განამტკიცებდა[51] და თვითონაც პირველი კაცი გახდებოდა. მაგრამ იმერეთის მეფე ისევ შეევიწროებულ მდგომარეობაში რჩებოდა. ამასობაში გიორგი აბაშიძემ და ლიპარტიანმა „გამოაძეს" მეფის ერთგული მიქელაძე მისი „შამულისაგან" და „დაიპყრა საკილაო-სამიქელაო ლიპარტიანმან"[52].

გიორგი მიქელაძე ქართლს გადაიხვეწა. ეს მოხდა 1703—1707 წლებში[53]. რა მოუვიდა ამის შემდეგ მას, არ ჩანს (იხ. ქვემოთ, სქოლიო 63).

> იმერეთის სამეფოს სასაზღვრო ხაზთან მდებარე მიქელაძეთა სათავადო მეტად ცვალებად მდგომარეობაში იყო XVII—XVIII საუკუნეებში. ალექსანდრე III-ის სიკვდილის შემდეგ, 1661 წელს, როცა ქართლის მეფემ შაჰნაზაზმა იმერეთი დაიპყრო, საკილაო-სამიქელაო და ლეჩხუმი გიორგი ლიპარტიანს მისცა[54]. მაგრამ პირველი ორი მან ვერ შეინარჩუნა. ალექსანდრე IV-ემ (1683—1695 წწ). დაიბრუნა ეს სათავადოები და, ლიპარტიანსა და გურიელს შორის მტრობა რომ ჩამოეგდო, გურიელს მიჰყიდა[55]. 1698—1701 წწ. სეიმონ მეფემაც ჭილაძე-მიქელაძეები გურიელს დაუმტკიცა[56]. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, საკილაო-სამიქელაო მალე ისევ ლიპარტიანმა ჩაიგდო ხელში.
>
> ამგვარად, მთელი საუკუნის მანძილზე მიქელაძეები თავიანთი მიწა-წყლით ხელიდან ხელში გადადიოდნენ: ხან იმერეთის მეფის ვასალები იყვნენ, ხან დადიანის თუ ლიპარტიანისა და ხან კიდევ გურიელის.

ლისათანა ესხნენ ძენი შვიდნი მოწიფულნი" და შეირთო გიორგი აბაშიძის ასული თამარ (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 217—218. თარიღი აღებულია ვახუშტის თხრობის ქრონოლოგიური საზღვრების მიხედვით).

50 გიორგი VI-ის როდამთან ქორწინების ამბავს ვახუშტი 1703—1707 წწ. შუა მომხდარ ფაქტებთან მოგვითხრობს (იხ. მისი, „საქართველოს ისტორია", გვ. 220—221).

51 ი ქ ვ ე, გვ. 220.

52 ი ქ ვ ე, გვ. 221.

53 ვახუშტის თხრობაში ეს ფაქტი აღნიშნულ წლებს შუაა მოქცეული. იხ. მისი, „საქართველოს ისტორია", გვ. 220—221.

54 ი ქ ვ ე, გვ. 221.

55 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I, სამ. № 38, გვ. 44—45.

56 ი ქ ვ ე.

გიორგი ლიპარტიანის შემდეგ (1714 წ.), მთელი ოცი წლის განმავლობაში საჭილაო-სამიქელაო გადადიანებული მისი მემკვიდრეების მფლობელობაში უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ეს ტერიტორია ალექსანდრე V-ემ მხოლოდ 1734—1735 წლებში „გამოართვა“ ოტია დადიანს[57].

ამავე წლებში საჭილაო-სამიქელაო მეფემ თავის უმცროს ძმას მამუკას მისცა[58]. მაგრამ მეფის მეტოქე ბატონიშვილს[59] ეს ადგილები დიდხანს არ უნდა შერჩენოდა. მართლაც იმერეთის უფლისწულთა სამფლობელოებში საჭილაო-სამიქელაო არ გვხვდება.

XVIII ს. 30-იანი წლების შემდეგ, სამიქელაო, როგორც ჩანს, ერთ ხანს მეფეს ეჭირა. მაგრამ 1784 წელს გამეფებულმა დავით გიორგის ძემ თავის მეფობის პირველსავე წელს ეს კუთხე, საჭილაოსთან ერთად, კაცია დადიანს მისცა „სამმართველოდ“[60] იმ დახმარებისათვის, რომელიც უკანასკნელმა მას ტახტზე ასვლისას გაუწია (იხ. ქ ვ ე მ ო თ, ჭილაძეთა სათავადო). მაგრამ როცა კაცია გარდაიცვალა (1788 წ.), დავითმა ისარგებლა მისი მემკვიდრის ახალგაზრდობით და სამიქელაო კვლავ იმერეთის სამეფოს შემოუერთა[61]. ამის შემდეგ ეს ტერიტორია დადიანისა და გურიელის მფლობელობაში არასოდეს ყოფილა. ამიერიდან იგი მტკიცედ ეპყრა იმერთა მეფეს.

XVIII ს. პირველ ნახევარში, ვახუშტის გადმოცემით, მიქელაძეები ქვემო იმერეთში „უწარჩინებულესნი და შემძლებელნი“ თავადები არიან[62].

ალექსანდრე V-ის ზეობაში (1720—1752 წწ.) მიქელაძეთა გვა-

---

57 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 234.

58 ი ქ ვ ე.

59 1732—1734 წწ. მამუკა ბატონიშვილი ორჯერ განუდგა მეფეს (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 232—233). 1746 წ. კიდევ მან, ზურაბ აბაშიძისა და სხვათა დახმარებით, მთლად გააძევა ალექსანდრე V იმერეთიდან და ერთ ხანს თვითონ იჯდა მეფედ (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I, საბ. № 83, გვ. 78—79; ვ ა ხ უ შ ტ ი, ქრონიკონები, წიგნში: ქართლის ცხოვრება II, გამოც. ჩუბინიშვილისა, გვ. 257, 1746, 1749 წწ. ქვეშ).

60 Н. Д у б р о в и н. История войны и владычества русских на Кавказе, т. II, СПб., 1886, стр. 75.

61 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

62 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 26.

რის წევრებიდან იხსენებიან გიორგი[63], მამუკა[64] და რევაზ[65] მიქელაძეები.

უფრო მრავლად ჩანს ამ საგვარეულოს წარმომადგენელნი სოლომონ I-ის დროს (1752—1784 წწ.). ამ ხანში მეფის „დარბაზის ერში" ეხედავთ ბაქარ, ვახტანგ და ზურაბ მიქელაძეებს[66]. მათგან ზურაბი უფრო დაწინაურებულია: 1754 წ. მას ბაზიერთუხუცესის სახელო უპირავს[67]. სათავადოს უფროსიც ახლა ზურაბი უნდა იყოს.

დიდად მძლავრობენ ამ დროს მიქელაძეები საქართველოდ გლეხთა მიმართ: არ „დააყენეს" ამ თავადებმა რობას გაბრიელ ჭყონდიდელის გლეხები და ეს მღვდელმთავარი იძულებული გახდა „წამოეყვანა" ისინი და „გამოღმა კოდორს" დაესახლებინა[68].

1762 — 1764 წწ. სოლომონ I-ის კართან დაახლოებული უნდა იყვნენ აგრეთვე მამუკა[69] და პეპუ[70] მიქელაძეები.

---

63 სხვა დიდ თავადებთან ერთად, მოწმედ გვხვდება ალექსანდრე V-ის 1736 წ. წყალობის წიგნში (დოკუმენტები..., I, სამ. № 661, გვ. 467). ეხედებით მას აგრეთვე 1696—1742 წწ. ერთ პირობის წიგნში (დას. საქ. საეკლ. სამ., I, გვ. 150). ამ სამუთებში დასახელებული გიორგი მიქელაძე შეიძლება ის გიორგი იყოს, რომელიც ხსენებულ მეფის მამის, გიორგი VI-ის მომხრეობის გამო აბაშიძემ და ლიპარტიანმა იმერეთიდან განდევნეს 1703—1707 წწ. და ქართლს გადაიხვეწა (იხ. ზ ე მ ო თ). მაგრამ შემდეგ სიტუაცია შეიცვალა: ალექსანდრე V-ემ სამიქელაძეო დაიბრუნა, გიორგი ლიპარტიანი მისმა ძმამ ბეჟან დადიანმა ციხეში გამოკეტა (1714 წ.), გიორგი აბაშიძე კი გარდაიცვალა (1722 წ.) და ახლა გიორგი მიქელაძეს შეეძლო დაბრუნებულიყო თავის მამულში.

64 ეხედავთ გრიგოლ კათოლიკოსის 1733 წლის გუჯარში (იხ. დას. საქ. საეკლ. სამ., I, გვ. 142).

65 მოწმედ არის მოხსენიებული გიორგი მიქელაძესა და სხვებთან ერთად 1696—1742 წწ. პირობის წიგნში (ი ქ ვ ე, გვ. 150).

66 იხ. დას. საქ. საეკლ. სამ., II. გვ. 6 (სოლომონ I-ის 1755 წლის სიგელი)

67 ი ქ ვ ე, გვ. 3.

სხვა ზურაბი უნდა იყოს 1754—1769 წლებსა და 1766 წლის ახლო ხანში დასახელებული ზურაბ მიქელაძე (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, სამ. № 134, გვ. 123; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11). ყოველ შემთხვევაში იგი ბაზიერთუხუცესად არ იხსენიება (იხ. ი ქ ვ ე).

68 დას. საქ. საეკლ. სამ., II, გვ. 2 (1753 წ. შეწირულების წიგნი).

69 მოწმედ არის დასახელებული ნიკოლოზ აბაშიძის მიერ სოლომონ პირველისათვის მიცემულ 1762 წლის ნასყიდობის წიგნში (იხ. დას. საქ. საეკლ. სამ., II, გვ. 17). ეს მამუკა და ალექსანდრე V-ის დროინდელი მამუკა მიქელაძე (იხ. ზ ე მ ო თ) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

70 ბოწმეთა შორის გვხვდება სოლომონ I-ის 1764 წლის შეწირულების წიგნში (დას. საქ. საეკლ. სამ., II, გვ. 19).

ამ მეფის დროს ცნობილი არიან კიდევ დავით, როსტომ[71], შაქარ[72] და სვიმონ მიქელაძეები. უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღო იმ თავადურ შეთქმულებაში, რომელიც სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოხდა 1778 წელს სახლთუხუცეს დავით აბაშიძისა და მოურავ თამაზა მესხის მეთაურობით. შეთქმულება სოლომონმა ჩააქრო. მისი მონაწილენი სასტიკად დასაჯა[73]. მაგრამ როგორ გაუსწორდა მეფე სვიმონ მიქელაძეს, არ ჩანს.

კეთილგანწყობილებაში არიან მიქელაძეები სოლომონ II-სთან. უთუოდ დიდად უერთგულეს მას ამ თავადებმა ტახტის მეტოქე დავით გიორგის ძესთან ბრძოლაში. ვასალური სამსახურისათვის მეფემ „ერთობით მიქელაძეებს“ (გიორგის, პაატას, იოანეს, ქაიხოსროს, როსაპის, ზურაბის, კიდევ ქაიხოსროს, რევაზისა და როსტომის შვილებს) 1804 წელს ვრცელი მიწა-ტყე უბოძა ჭყვიშურში[74].

ამაზე ადრე, 1798 წ. წინარე ხანში სოლომონმა შაქარის შვილს დავით მიქელაძეს „ორ წყალს შუა“ ადგილ-მამული უბოძა[75]. სოლომონ II-ის მეფობაში უნდა ჰქონდეს მიღებული მდივანბეგობაც მიქელაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელს დავით ზურაბის ძეს, რო-

---

71 ერთად იხსენიებიან 1766 წლის ახლო ხნის საბუთში. (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მომბე, 5, 1950, საბ. № 4, გვ. 172). ცალკე დავითი ჩანს ლორთქიფანიძეთა 1752 —1770 წწ. „გარიგების“ წიგნში (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 139, გვ. 126).

72 ვხვდებით 1766 წლის ახლო ხანში (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11). თუ ეს და XVII ს. მეორე ნახევრის ფიცის წიგნში მოხსენიებული შაქარ მიქელაძე (იხ. ზემოთ, ს ქ ო ლ ი ო, 40) ერთი და იგივე პირი არ არის, მაშინ ეს II შაქარი იქნება მიქელაძეთა საგვარეულოში.

73 იხ. შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე. იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 132. იხ. აგრეთვე, ქ ვ ე მ ო თ აბაშიძეთა სათავადო.

74 ქუთ. მუზ. საბ. № 1492.

ამ საბუთში მოხსენიებული პაატა უნდა იყოს პაატა II (I პაატა ის არის, რომელიც XVII ს. მეორე ნახევარში გვხვდება. იხ. ზ ე მ ო თ). პაატა II პირველად იხსენიება 1789 წელს. აღნიშნულ წელს, ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერეთის შეერთების წინადადებით, ერეკლე II-ის წინაშე წარმდგარ იმერელ „დესპანთა“ შორის დასახელებული პაატა მიქელაძე (იხ. პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 15), ვგონებთ, პაატა მეორეა. 1804 წელს ის ცოცხალი არ არის. იგი ცოცხალი რომ იყოს, მეფის მიერ აღნიშნულ წელს პაატას შვილებისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში (ქუთ. მუზ. საბ. № 1492), როგორც წესი, მათთან ერთად პირველ რიგში, მამა იქნებოდა დასახელებული.

75 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 114, შდრ, ქრონიკები, II, გვ. 448.

მელსაც ამ თანამდებობით ვხედავთ იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგაც[76].

სოლომონისაგან მიქელაძეები რომ დიდ პატივში იყვნენ, ეს კარგად ჩანს ამ მეფის 1804 წლის ერთი განჩინების წიგნიდან: ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და მიქელაძეები „ორ წყალს შუა მამულზე" დაობდნენ. სოლომონმა გაარჩია მათი საქმე. მიქელაძეებმა „აშორო უთხრეს" ქუთათელს. მაგრამ მღვდელმთავარს „შეწირულების ღავთარი" ჰქონდა ხელში, რაც მის სიმართლეს ადასტურებდა. ამიტომ მეფემ მიქელაძეებს (დავით შაქარის შვილს, დავით ზურაბის[77] შვილს და მერაბს) „ფიცი" გაუჩინა. განჩინების წიგნში მეფე დიდი მოკრძალებით ამბობს: „თუმცა ასე მცირეს მამულზე ამისთანა თავადების[78] ფიცი არ გაჩნდებოდა, მაგრამ რადგან ეკლესია ედავებოდა შეწირულების დავთარით, ამ მიზეზით განვაჩინეთო"[79]. ე. ი. თუ არა ეკლესიის მორალური ავტორიტეტი, მიქელაძეები „იმისთანა" თავადები არიან, რომელთა შეწუხებას „მცირე" რამეზე მეფეც კი ერიდება.

მიქელაძეები სოლომონ II-ის ერთგული დარჩნენ იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ დღემდე. ამიტომაა, რომ სოლომონის ამალაში სხვებზე მეტად ამ საგვარეულოს წევრებია წარმოდგენილი. 1810 წელს ხსენებული მეფის ამალაში ვხედავთ თავად ბერი, ზურაბ, სიკო, მერაბ, როსაბ, გოგია, არჩილ, ივანე, ვახტანგ, კიდევ გოგია, გიორგი, ლევან, გასია, ბეკო, დათიკა, თეიმურაზ და ქაქუჩა მიქელაძეებს[80].

აქათგან ვახტანგი „იმერეთის რჩევის" წევრი ჩანს 1809 წ.[81].

1810—1817 წლებში მიქელაძეების საგვარეულოს წევრთა შო-

---

76 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1328; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 37, გვ. 197—199; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 206—207; Д м. Б а к р а д з е, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб, 1878, стр. 319; ო. ს ო ს ე ლ ი ა. მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიიდან გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოში („სამოდო მიწა") მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 165, საბ. № 5.

77 შაქარი და ზურაბ მიქელაძეები სოლომონ I-ის თანამედროვენი იყვნენ (იხ. ზ ე მ ო თ). 1804 წელს, როგორც ჩანს, ისინი ცოცხალნი არ არიან.

78 ხაზი ჩვენია.—ო. ს.

79 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 145—146. იხ. აგრეთვე, 114—115.

80 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), თბილისი, 1956, გვ. 488—489.

81 იხ. ი ქ ვ ე, გვ. 417.

რის ადგილ-მამულის გამო დავა წარმოებს[82]. ამაზე ადრე (სოლომონ II-ის მეფობის ბოლო წლებში) შაქარ მიქელაძის შვილები (ლევან, დავით, ზაალ, სვიმონ[83]), უკვე გაყრილი არიან[84]. მაგრამ გაუყრელნი ჩანან ამ დროს (უფრო ზუსტად 1804 წელს) გიორგის, კაატას[85], იოანეს შვილები და „მეორე მოცალკერძოს" ქაიხოსროს, როსაპის, ზურაბის, კიდევ ქაიხოსროს, რევაზისა და როსტომის შვილები[86].

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით, მიქელაძეთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

მიქელაძეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მომხდარ იმერეთის 1819—1820 წწ. აჯანყებაში. ამ აჯანყების საქმეებში ქაიხოსრო, ზურაბ და ქუთუმ მიქელაძეები ვაკის ოლქის მთავარ მეამბოხეებად არიან დასახელებული[87]. მათი თანამოგვარე მდივანბეგი დავითი კიდევ ამ აჯანყებაში მონაწილეობის გამო რუსეთს გადაასახლეს 1820 წელს[88] და იქიდან 1824 წელს დაბრუნდა[89].

მეამბოხეთა შორის იხსენიება აგრეთვე თავადი ჯაბულ მიქელაძე[90].

---

82 ქუთ. მუზ. საბ. № 1058.

საბუთი უთარიღოა. როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, დაწერილია იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ (1810 წ.). უზის როსტომ ლორთქიფანიძის ბეჭედი. ამ სახელის მატარებელ ორ ლორთქიფანიძეს ეხედებით 1812, 1817 წლებში (იქვე, საბ. № 315; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 69). ამიტომ საბუთი 1810—1817 წლებით უნდა დათარიღდეს.

83 შეიძლება ეს ის სეიმონ მიქელაძე იყოს, რომელიც სოლომონ I-ის წინააღმდეგ მომხდარ შეთქმულებაში ერია (იხ. ზ ე მ ო თ).

84 ქუთ. მუზ. საბ. № 1058.

85 ეს იგივე II პაატაა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. იხ. სქოლიო 74.

86 ქუთ. მუზ. საბ. № 1492.

87 Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг. Материалы по истории Грузии и Кавказа. вып. III, 1942, стр. 139. 146.

88 ი ქ ვ ე, გვ. 164; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 206—207.

როგორც აჯანყების მასალებიდან ჩანს, დავითისათვის ქონება არ ჰამოურთმევიათ. დაუტოვეს მის ოჯახს (იხ. ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 164).

მდივანბეგ დავით მიქელაძის მამა იყო ზურაბი (ი ქ ვ ე). უკანასკნელი იხსენიება 1804 წლის საბუთებში (ქუთ. მუზ. საბ. № 1492; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 146), მაგრამ ამ დროს იგი მკვდარია.

89 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბილისი, 1954, გვ. 390.

90 ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 146.

* * *

ზემოხსენებულ მიქელაძეთა გარდა, მეტ-ნაკლებად ცნობილია ამ საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც:

გ რ ი გ ო ლ. გვხვდება ბერი მიქელაძესთან ერთად 1789 წელს[91];

ბ ა ქ ა რ. ვხედავთ 1830 წელს[92];

კ ო ხ ტ ა. მოწმედ არის დასახელებული 1832 წლის საბუთში[93].

ბ ე ქ ა ნ მამუკას ძე. ვხვდებით 1832 წლის 19 აგვისტოს დაწერილ ყმის „დათხოვების ფურცელში"[94].

XIX ს. ერთ ფოლკლორულ მასალაში იხსენიება აგრეთვე „თავადი ბ ე ქ ა ნ ბერის ძე მიქელაძე"[95];

რ ო ს ტ ო მ ბერის ძე. ჩანს 1832 წლის 19, 20 აგვისტოში[96];

ვ ა რ დ ე ნ როსტომის ძე. გვხვდება 1855 წლის საბუთში[97].

თ ა ვ ი IV

რაჭის ერისთავთა სათავადო

უძველესი ცნობა რაჭის ერისთავთა შესახებ XI საუკუნიდან მოგვეპოვება. ეს ცნობა დაცულია ნიკორწმინდის ეკლესიის ჯვარცმის ხატის ჩარჩოს წარწერაში. ამ ცნობაში ნათქვამია: „მე, კახაბერ-ყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხევლისა ერისთავთ-ერისთავსა რატისმან, მოვჴედე ხატი ესე ჯუარცმისაი ნუგეშინის მცემლად და სალხინებელად სულისა ჩემისა ცოდვილისად და სადღეგრძელებე-

---

91 ქუთ. მუზ. საბ. № 1715.

იქნებ ეს ის გრიგოლ (გრიგორ) მიქელაძე იყოს, რომელიც შემდეგ (1806 წლიდან) ხობის მონასტრის არქიმანდრიტი იყო, რომლის ხელითა „აღიწერა" რამდენიმე ხელნაწერი და რომელიც გარდაიცვალა 1836 წელს (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 83, 101—102, 163; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 274—275).

92 ქუთ. მუზ. საბ. № 1918. ეს II ბაქარი ჩანს მიქელაძეთა გვარში. I ბაქარი არის ის, რომელიც სოლომონ I-ის 1755 წლის სიგელში გვხვდება. იხ. ზ ე მ ო თ.

93 ქუთ. მუზ. საბ. № 2355.

94 ქუთ. მუზ. საბ. № 2078.

95 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, გვ. 244.

96 ქუთ. მუზ. საბ. № 2075, 2078.

97 ი ქ ვ ე, საბ. № 2051.

ლად ძისა ჩემისა ერისთავთ ერისთავსა რაჭის ერისთავსა რატი-სად"[1].

ეს წარწერა გამოქვეყნებულია სხვადასხვა მკვლევართა მიერ და მას ყველა ერთხმად XI საუკუნეს მიაკუთვნებს[2].

(მოტანილ წარწერიდან ჩანს, რომ ხატის მოქედვის დროს (XI ს.)[3] რაჭის ერისთავად კახაბერყოფილი კირილეს შვილი რატი იჯდა, რომელიც ერისთავთა მესამე თაობის წარმომადგენელი იყო[4]. ამიტომ რაჭის საერისთავოს არსებობა X საუკუნეშიც სავსებით დასაშვებია.

---

1 გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, 1928, ტფილისი, 1930, გვ. 210.

2 იხ. იქვე; ქრონიკები, II, გვ. 44; ს. კაკაბაძე. წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთ ეპიგრაფიკული მასალის შესახებ, საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 105; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბილისი, 1963, გვ. 89—90; ა. ქუთათელაძე. სოფ. ნიკორწმინდა. წარწერანი. „მოამბე", VII, 1894, გვ. 52; Н. Кондаков. Опись..., стр. 61 (რუსული თარგმანი); П. С. Уварова. Материалы по археологии Кавказа, вып. IV, М., 1894. стр. 138; Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, исследование по истории Грузинского средневекового искусства. Текст, Тбилиси, 1959, стр. 595. იხ. აგრეთვე ილუსტრაციები Тбилиси, 1959), ფოტო 387.

3 გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 209—210. იხ. იქვე, სქოლიოში მითითებული ლიტერატურაც.

ს. კაკაბაძე ჯვარცმის ხატს ნიკორწმინდის ეკლესიის მთავარ ხატად თვლის და მის მოქედვას ამ „ტაძრის აშენებისას... 1008—1810 წლების ხანებში" ვარაუდობს (იხ. მისი „წინასწარი ცნობა...", საისტორიო კრებული; IV, 1929, გვ. 105).

4 აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებულ რატის ს. კაკაბაძე ბაგრატ III-ის (975—1014 წწ.) დროის კლდეკარის ერისთავთ-ერისთავ რატად თვლის (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 105) რაც მართებული არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, ამ უკანასკნელს გარდა, ამავე ხანში ბაღუაშთა სახლში შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა, მეორე, რატიც, რომელსაც რაჭის ერისთავობა ჰქონდა. შემდეგ, რაც მთავარია, კლდეკარის ერისთავთ-ერისთავ რატის მხოლოდ ერთი ძე ჰყავდა, რომელსაც ლიპარიტი ერქვა (იხ. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1955, გვ. 276—284). ზემომოტანილ წარწერის რატის კი ჰყავს ძე კახაბერი, რომელიც ბერობაში კირილედ იწოდება. ე. ი. ეს რატი და კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი რატი სხვადასხვა პირია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. კაკაბაძეს კახაბერი კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი რატის „მეორე შვილად" მიაჩნია (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 105), თუმცა ამის დამამტკიცებელი არავითარი საბუთი არ მოაქვს. ასეთი საბუთი არც არსებობს.

ეს საერისთავო დიდ ტერიტორიას მოიცავდა. თამარის მეფობაში (1184—1213 წწ.) რაჭას გარდა, მასში თაკვერიც შედიოდა. იხსენიება ამ დროს კახაბერ კახაბერის ძე ერისთავი „რაჭისა და თაკუერისა"[5]. მაგრამ შემდეგ, დავით რუსუდანის ძის თანამოსაყდრედ გამოცხადების ჟამს (1230 წ.), რაჭის ერისთავი თაკვერს უკვე აღარ ფლობს[6]. ამიერიდან მისი საგამგეო მხოლოდ რაჭით განისაზღვრება.

ძველი დროის რაჭის ერისთავები ბაღუაშთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. ამ საგვარეულოს ერთი ადრინდელი (X—XI სს.) წარმომადგენლის კახაბერის სახელის გამო, მისი შთამომავლობა შემდეგ კახაბერიძედ იწოდა[7]. ქამთააღმწერელი რაჭის ერისთავებს „ბაღუაშთა-კახაბერისძეთა" თვლის[8].

ასე რომ, კლდეკარის საერისთავოს დამაარსებელი ლიპარიტი (IX ს. მეორე ნახევარი) და ძველი დროის რაჭის ერისთავები ერთი გვარისა იყვნენ[9]. „წარმოშობით ეს საგვარეულო არგვეთიდან, ე. ი. დღევანდელი ზემო იმერეთიდან, მოდიოდა და მისი მამაპაპეული რეზიდენცია კაცხი იყო"[10].

XIII ს. მეორე ნახევარში რაჭის ერისთავად კახაბერ კახაბერის ძე იჯდა. როცა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული ნარინ დავითი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, რაჭის ერისთავმა, ლიხთიმერეთის სხვა დიდებულებთან ერთად, „სიხარულითა დიდითა" მიიღო იგი და „მეფე ჰყვეს... აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე"[11].

ამგვარად, იმერეთში ნარინ დავითის გამეფებას ხელი შეუწყო რაჭის ერისთავმა და თავდაპირველად მათ შორის კარგი განწყო-

---

5 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 27, 33. იხ. აგრეთვე ზემოთ, ჩხეიძეთა სათავადო.

თაკვერი ეწოდებოდა ლეჩხუმის ხეობას „გორდიდამ ვიდრე კავკასამდე" (ვახუშტი. აღწერა..., გვ. 148; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბილისი, 1948, გვ. 48).

6 იხ. ქამთააღმწერელის თხზულება, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1959, გვ. 180.

7 როგორც ს. კაკაბაძე შენიშნავს, კახაბერ-ყოფილი კირილეს „გამო რაჭის ერისთავთ XI—XIII ს-ნებში ეწოდებოდათ კახაბერისძენი". იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 105.

8 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 275.

9 იხ. ამის შესახებ ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 105 (სქოლიო).

10 ს. ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 477. ბაღუაშთა შესახებ იხ. აგრეთვე ზემოთ, მხეიძეთა სათავადო.

11 ქამთააღმწერელის თხზულება, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 229.

ბილება სუფევდა, მაგრამ ეს განწყობილება შეიცვალა მას შემდეგ, რაც მონღოლებთან სამცხეში ომწაგებულმა ულუ დავითმაც იმერეთს შეაფარა თავი. „მაშინ ეზრახნეს კახაბერისძესა, რაჭის ერისთავს კახაბერსა“ და სხვათა, „რათა ლაშას ძე დავით ჰყონ მეფეთ, რომელნი ერჩდესცა, და იქმნა განდგომილება ლიხთიმერით...“[12].

ერისთავი აბალა ყაენს დაუკავშირდა და ნარინ დავითის დასამხობად იმერეთში მონღოლთა ჯარი შემოიყვანა. მაგრამ მეფე უვნებლად გადარჩა. მოღალატე ერისთავს კი მან საერისთავო ჩამოართვა და იმერეთიდან გააძევა[13].

პატივაყრილი კახაბერი ერთ ხანს ქართლს იმყოფებოდა. შემდეგ მეფემ „შეუნდო“ მას „პირველი შეცოდება“: დაუბრუნა რაჭის ერისთავობა და „მამული მისი ყოველი“. მაგრამ შეწყნარებულმა კახაბერმა მალე ისევ „იწყო მათვე მამურ-პაპურთა კუალთა სლვად“. ისევ გაბა კავშირი მონღოლთა ნოინთან. მაგრამ ეს კავშირი მეფისათვის „საცნაურ იქმნა“ და ერისთავს „მიეგო მისაგებელი ბოროტი“. სასტიკად დაისაჯა იგი[14], რის შემდეგ „მცირე ცხოვრებული“ გარდაიცვალა. მისი ორი შვილი კი ექსორია ქმნილი მეფემ კონსტანტინოპოლს „წარგზავნა“ და „მოისპო ყოველი ნათესავი... ბაღუაშთა კახაბერის-ძეთა, არა დაშთა, და აღიკოცა... საკსენებელი მათი“[15]. ეს მოხდა XIII ს. 80-იან წლებში. ამიერიდან მეფემ გაუქმა რაჭის საერისთავო და ერისთავთა სამფლობელო თავის სახასო მამულად გამოაცხადა[16]. ასე დამთავრდა რაჭის საერისთავოს არსებობის ძველი ხანა.

ჰქონდა თუ არა ამის შემდეგ როდისმე ადგილი კახაბერიძეთა რესტიტუციას? ამის შესაძლებლობას თავისთავად გამორიცხავს ყამთააღმწერელის ცნობა კახაბერიძეების „ყოველი ნათესავის“ „აღკოცის“ შესახებ. მიუხედავად ამისა, ს. კაკაბაძე, ემყარება რა მღვიმის მონასტრის ჩრდილოეთის კედლის ფრესკების მხედრულ წარწერებს[17], ასკვნის: კახაბერიძეთა გვარის რაჭის ერისთავის უფ-

---

12 ყამთააღმწერელის თხზულება, გვ. 243.

13 იქვე, გვ. 268—269, 275.

14 „შეიპყრა მეფემან და პირველ თუალი დასწუა, მერმე ერთი ყელი და ერთი ფერჯი მოჰკვეთა“ (იხ. ყამთააღმწერელის თხზულება, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 275).

15 იქვე.

16 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 162; მისივე, „საქართველოს ისტორია“, გვ. 188—189.

17 ამ წარწერებში ვკითხულობთ: „ამა ეკლესიის აღმაშენებელი რაჭის ერისთავი კახაბერიძე რატი. მეუღლე მათი რუსუდან. კახაბერიძე ნიანია“ (იხ.

ლებში აღდგენა XIV ს. მეორე ნახევარში მოხდაო[18]. მაგრამ მკვლევრის ეს დასკვნა მეტისმეტად ნებისმიერია. არც ერთ წყაროდან არ ჩანს, რომ კახაბერიძეთა რესტიტუცია როდისმე მომხდარიყოს.

ფრესკებს მხედრული წარწერების გარდა, აქვთ ავრეთვე ასომთავრული წარწერებიც, რომელთაც ს. კაკაბაძე ანგარიშს არ უწევს. ამიტომ სავსებით მართალია კ. გრიგოლია, როცა ამის გამო ს. კაკაბაძეს უსაყვედურებს: საიდან იცის მან, რომ მხედრული წარწერა თავდაპირველია, რატომ არ ღებულობს მხედველობაში იგი ამ ფრესკების ასომთავრულ წარწერებს და რა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მიაკუთვნებს მათ XV საუკუნესო[19]. მაგრამ თვითონაც ცოდავს კ. გრიგოლია, როცა სასისხლო სიგელების ცნობებს გადაჭრით უარყოფს და რაჭის საერისთავოს აღდგენას ბაგრატ III-ეს მიაწერს[20].

მღვიმის მონასტრის ფრესკებში გამოსახულ პირთა ვინაობისა და მათი წარწერების თარიღის საკითხს ეხებოდნენ მ. ბროსე, გ. წერეთელი და დიმ. ბაქრაძე. პირველს იქ წარმოდგენილი პირნი თამარ მეფის დროინდელ კახაბერის ოჯახის წევრებად მიაჩნდა[21]. მეორე მათ იმავე კახაბერის ჩამომავალ XIII საუკუნის მოღვაწეებად ცნობდა[22]. დიმ. ბაქრაძე კი ფრესკებში წარმოდგენილ პირებს XI—XII სს. რაჭის ერისთავთა ოჯახის წევრებად თვლიდა, ხოლო მათ ქვემოთ მოთავსებულ მხედრულ წარწერებს XVIII საუკუნით ათარიღებდა[23]. ბაქრაძის აზრი ჩვენ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება. მას მხარს უჭერს ნიკორწმინდის ტაძრის XI ს. წარწერები, სადაც ავრეთვე იხსენიება მღვიმის მონასტრის ფრესკების წარწერაში დასახელებული რატი[24].

Г. Церетели. Археологическая экскурсия по квирильскому ущелью, Материалы по археологии Кавказа, вып. VII, М., 1898, стр. 95).

18 იხ. მისი, Мелкие известия и заметки, Известия кавказского историко-археологического института в Тифлисе, т. IV, 1926, стр. 127.

19 იხ. კ. გრიგოლია. იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება მე-17 საუკუნეში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 61.

20 იქვე, გვ. 60—63.

21 M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, St.—Petersbourg, 1851, 3-e et dérnière livraison, XII rapport, p. 90. შდრ. ს. კაკაბაძე. წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ეპირგაფიკული მასალის შესახებ, საისტორიო კრებული, IV, 1929. გვ. 105, შენიშვნა 2.

22 იხ. გ. წერეთელი. დასახ. ნაშრ., გვ. 95.

23 იხ. Н. Кондаков. Опись памятников древности..., стр. 145. შდრ. იქვე, გვ. 62.

24 გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, V, 1928, გვ. 196, შდრ. იქვე, გვ. 210.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მღვიმის მონასტრის კარის ჩარჩოს წარწერაში მოხსენიებული „ჩიქავას ძე კახაბერიც“ გ. წერეთელს რაჭის ერისთავად მიაჩნია და მის ზეობას XV ს. პირველ ნახევარს მიაკუთვნებს[25]. მაგრამ ეს წარწერა არ იძლევა ამის თქმის საფუძველს. წარწერაში ვკითხულობთ: „ჩიქავას ძეს კახაბერსა გაუმარჯოს ღმერთმან, ამინ“[26]. აქედან სრულებით არ ჩანს, რომ ეს კახაბერი რაჭის ერისთავი იყო და XV ს. პირველ ნახევარში მოღვაწეობდა.

XIII ს. 80-იან წლებში გაუქმებული რაჭის საერისთავო მომდევნო საუკუნის მიწურულს იქნა აღდგენილი[27]. XIV ს. დასასრულსა და XV ს. დამდეგს ეს უკვე მომხდარი ფაქტია და ერისთავად ჟვინმე აღბუღა ზის[28]. 1432 წელს კი რაჭის ერისთავად ციცი ჭარელიძე იხსენიება[29]. გადმოცემით ცნობილია რაჭის ერისთავი ქველი ჭარელიძეც[30]. შეიძლება აღბუღაც ჭარელიძეთა საგვარეულოდან

---

25 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 93—94.

26 ი ბ ი ვ ე, გვ. 94.

27 აღსანიშნავია, რომ მ. ბროსე რაჭის საერისთავოს აღდგენას XV ს. დასასრულში ვარაუდობს. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 90.

28 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფილისი, 1913, გვ. 19; მ ი ს ი ვ ე, Мелкие известия и заметки. Известия кавказского историко-археологического института, IV, 1926, стр. 127.

29 იხ. კოტრიძეთა სასისხლო სიგელი ს. კაკაბაძის წიგნში „ვახტანგ უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი“, ტფილისი, 1912, გვ. 9—11.

30 უნდა აღინიშნოს, რომ გადმოცემით, რაჭის ერისთავს ქველი ჭარელიძეს აუშენებია და მოუხატავს სოფ. სორის ეკლესია რაჭაში (იხ. Н. М и н д е л и н. Селение Сори, Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, вып. XIX, Тифлис, 1894, стр. 117; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 25; გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VIII, 1933—1934, გვ. 315). მართლაც ამ ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე დახატულია მუჩლმოდრეკილი მამაკაცის ფიგურა წარწერით: „წმიდაო გ(ი) მრავალძალისაო მეუფ და მფარველ ექმენ წ(ე) ღ(ა)თისა ჭარელიძესა ქველსა“ (გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 316; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 25; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიული მასალის შესახებ, საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 108).

ამ წარწერას ა. ხახანაშვილი XI საუკუნით ათარიღებს (იხ. П. С. У в а р о в а. Христианские памятники, Материалы по археологии Кавказа, вып. IV, М., 1894, стр. 117), გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე — XIII საუკუნით (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 317), ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე — XIV საუკუნით (დასახ. ნაშრ., გვ. 108), ხოლო ე. თაყაიშვილის ვარაუდით, „ამ ფრესკის წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი XV—XVI საუკუნეებზე ადრინდელი არ არის“ (დას. ნაშრ., გვ. 26). ეფიქრობთ, დაახლოებით სწორია ს. კაკაბაძისა და ე. თაყაიშვილის ვარაუდი. წარწერა კოტრიძეთა 1432 წლის სასისხლო სიგელში მოხსენიებული რაჭის ერისთავი ციცი

იყო და რაჭის ერისთავობა ადრეც ამ გვარის წევრს ჰქონდა. იქნებ თოფურიძეთა 1413—1444 წლების სასისხლო სიგელში მოხსენიებული „გიორგი ერისთავიც"[31] რაჭის ერისთავია და იგიც ჭარელიძეთა სახლიდან არის[32]. რაჭის ერისთავი უნდა იყოს აგრეთვე „ერისთავი აბღაჭელიძე გიორგი", რომელიც 1486—1488 წლებშია დასახელებული[33].

1488 წელს, ალექსანდრე II-ის მეფობაში რაჭის ერისთავად ივანე ჩხეტიძეს (ჩხეიძე) ვხედავთ[34]. 1497 წელს კიდევ—მის ძმას კახაბერს[35]. 1503 წელსაც რაჭის ერისთავობა კახაბერს აქვს[36]. ამიერიდან ეს საერისთავო ჩხეიძეთა საგვარეულოს ხელშია. ამგვარად, ცდება ვახუშტი, როცა რაჭის საერისთავოს აღდგენას ბაგრატ III-ეს (1510—1565 წწ.) მიაწერს და კახაბერიძეთა „მოწყვეტის" შემდეგ რაჭის პირველ ერისთავად შოშიტა ჩხეიძეს თვლის[37]. მიუხედავად ამისა, მეტად მნიშვნელოვანია, რომ რაჭაში ჩხეტიძეთა გვარის ერისთავობის შესახებ ვახუშტის ცნობა და სასისხლო სიგელთა მონაცემები ერთმანეთს ემთხვევიან.

რაჭის აღდგენილი საერისთავოს ტერიტორია, ძველთან შედარებით, ბევრად შეკვეცილი იყო. ახლა მასში არც თაკვერი შედიოდა და არც მთლიანად რაჭა. ახალი ერისთავის სამფლობელო თავ-

---

ჭარელიძის (იხ. ს. კაკაბაძე, ვახტანგ უცნობი..., გვ. 9) მოღვაწეობის დროის ახლო ხნის ან მასზე რამდენადმე ადრინდელი უნდა იყოს. ამ წარწერის თარიღი რაჭაში ჭარელიძეთა ერისთავობის პერიოდს (XVI ს. დასასრულიდან XV ს. 80-იანი წლების მიწურულამდე) არ უნდა შორდებოდეს.

31 იხ. საქ. სიძვ., II, გვ. 37.

32 ს. კაკაბაძე გიორგი ერისთავს ჩხეტიძედ თვლის (იხ. მისი სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 27—28, შდრ. მისივე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბილისი, 1920, გვ. 74). ამის საფუძველს მას უნდა აძლევდეს სიგელის ტექსტში სასვენი ნიშნის გადანაცვლება. მაგრამ ეს სწორი არ არის (იხ. იქვე, შდრ. საქ. სიძვ., II, გვ. 37).

33 ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 21.

34 იქვე, გვ. 25.

35 იქვე, გვ. 67, შდრ. იქვე, გვ. 25.

36 იხ. ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი ს. კაკაბაძის წიგნში: წერილები და ძასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბილისი, 1914, გვ. 128. ამ სიგელის შესწორებული თარიღი იხ. მისივე შრომებში: კვლევა-ძიებანი..., გვ. 77—78; სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 68; Мелкие известия и заметки. Известия кавказского историко-археологического института, IV, 1926, стр. 127.

37 იხ. ვახუშტი. აღწერა..., გვ. 162; მისივე, „საქართველოს ისტორია", გვ. 188—189.

დაპირველად მხოლოდ სოფ. ონჭევს, სორღითს, ჭურისთავს[38], წესს[39], მინდას ციხითურთ და ბარაკონს მოიცავდა[40].

მაგრამ რაჭის ერისთავები ენერგიულად იწყებენ ყმა-მამულის შემოკრებას. XVII ს. 80-იან წლებში უკვე მათ ხელში ვხედავთ „ნინიას ციხეს"[41]. ამავე ხანში მათვე უპყრიათ: ონი, უწერა, გლოლა, „ჯაფარიძითურთ".

ძველი დროიდანვე ერისთავებისა ჩანს აგრეთვე სოფ. ხიდისკარი, ლიხეთი, ამბარი (აბარი) და ურავი[42].

ხოლო XVIII ს. შუა წლებისათვის, ზემოაღნიშნულ სოფლებს გარდა, ერისთავებს ეკუთვნით:

სხვავა (სხოვა), შარდომეთი, ხომიწო, სორი ეკლესიით, ფსორი, ჟაშკვი, მუხურა (არგვეთს), თავასა (არგვეთს), მეჯვრეთი, ღები,

---

38 1432 წლიდან სოფ. ჭურისთავი კოტრიძეთა ხელში გადავიდა. რაჭის ერისთავმა ციცი ჭარელიძემ, რაღაც მიზეზის გამო, მოკლა აბესალომ კოტრიძე და ეს სოფელი მის ძმებს ნასისხლად „დაუდვა". იხ. ს. კაკაბაძე, ვახტანგ უცნობი..., გვ. 9—11.

39 ბაგრატ მეფის მიერ XVI ს. 30-იან წლებში რაჭის ერისთავისათვის საერისთავოდ ბოძებული „რომელიმე სახასო დაბანი" (ვახუშტი, „საქართველოს ისტორია", გვ. 188), წესსა და ბარაკონს გულისხმობს. ვახუშტი თავის „აღწერაში" წესს სწორედ დაბად ასახელებს (იხ. გვ. 159).

40 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 188; ს. კაკაბაძე. ვახტანგ უცნობი..., გვ. 9—10.

XVI საუკუნეში, თუ უფრო ადრე არა, ერისთავმა მიიტაცა ერთხანს გელათის „მკვიდრი მამული რაჭას სოფელი კვაშხიეთი". მაგრამ დაეით და ლომინ „ერისთავისშვილები" იძულებულ გახდნენ ეს სოფელი ისევ გელათისათვის დაებრუნებიათ, რადგან „ესე არა ეგებოდა, ვითარცა საყდრისა მამული ქონებოდათ". (იხ. სცია, ფ. 226(1), საბ. № 5023. გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის მიერ. იხ. მისი, ვახტანგ უცნობი.., გვ. 5—6. ამ საბუთის ნაწყვეტი გამოაქვეყნა აგრეთვე გ. ბოკორიძემ. იხ. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VIII, 1933—1934, გვ. 328—329; სქოლიო).

41 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 210.

42 იქვე, გვ. 211, 221; Акты, V, стр. 91.

43 სორის ეკლესია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშენებულ-მოხატულია რაჭის ერისთავის ჭელი ჭარელიძის მიერ. ხოლო შემდეგ, XVIII ს. პირველ ნახევარში ეს ეკლესია განუახლებია რაჭისვე ერისთავს შოშიტა III ჩხეტიძეს. მისი სურათი დახატულია ამ ეკლესიის სამხრეთის კედელზე (იხ. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 25; გ. ბოკორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 315.

ველტყევი[44], უხუთი, ეწერი, სადემეტრო, ფუტიეთი[45], გორა, ინაშაური, ბაში, შხივანა, შქმერი, წედისი ციხით[46], ბუგეული, ღარი, გრავი, მუხლი, ბარი[47], ამბროლაური ნაწილობრივ[48] (აქ ერისთავებს ჰქონდათ სასახლე და „კოშკები ციხის გვარისა“)[49], სევა ციხითა და სასახლით, კვაცხუთი, ხიმში, ჯვარისა, კვირიკეწმინდა, ქედისუბანი, ნიკორწმინდა ნაწილობრივ[50], თლუღი, ჭრებალო, ბოსტანო, ბაჯი, ქვედაშავრა, მრავალძალი მონასტრით, გენდუში, ღვარდია, ხონჩკარი, ხირხონისი[51].

---

44 1754 წლის წინარე ხანში როსტომ რაჭის ერისთავმა ველტყევში ეკლესია...,I, საბ. № 667, გვ. 469—470; დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 153; ისტორიული სოფელი მას ეკუთვნოდა. დოკუმენტებში, როგორც გ. ბოკორიძე შენიშნავს, ეს ეკლესია ხშირად სხვავას უდაბნოდ იხსენიება (ი ქ ვ ე).

45 ფუტიეთი „ძველად“ საქუთათლო იყო, მაგრამ ყამთა მსელელობაში რაჭის ერისთავმა მიითვისა. როცა სოლომონ პირველმა ოსმალთაგან მოშლილი ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრა აღადგინა (1759 წ.), რაჭის ერისთავი იძულებული გახდა ეს სოფელი საქუთათლოდ დაედვა (იხ. სცია, ფ. 226(1), საბ. №1181).

აღსანიშნავია, რომ ერთ ხანს (ფეოდალური ანარქიის დროს—1660—1720 წწ.) „საერისკაცოდ გამხდარიყო“ და რაჭის ერისთავთა „ხელად ჩამოვარდა“ ჩხარის საწინამძღვრო საყდარი (უნდა ვიფიქროთ სოფ. ჩხარიც, ნაწილობრივ თუ მთლიანად). მაგრამ შოშიტა III-ემ (1696—1731 წწ.) თავის „ცოდვილის სულის საოხად“ ის გელათის ღვთისმშობელს შესწირა (სცია, ფ. 226(1), საბ. № 1582).

46 სოლომონ პირველის მიერ რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1769 წ.) წედისს თავად ჯაფარიძეები ფლობდნენ (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 105).

47 სოფ. ბარი ძველად თავად ჯაფარიძეებს ეკუთვნოდათ (იხ. გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 295, სქოლიო).

48 საბა შერკვილაძის ცნობით (სოფ. წესის მკვიდრი, 105 წლის, ჩავიწერეთ აღნიშნულ სოფელში 1945 წ. აგვისტოს), ამბროლაურის ნაწილს ერისთავები ფლობდნენ, ნაწილს—წულუკიძეები, ნაწილს—მაჩაბლები (უკანასკნელთა სამფლობელოს შესახებ ამბროლაურში იხ. გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 218) და ნაწილს კიდევ — იმერთა მეფეები. ვახუშტის ცნობითაც, „ამბროლაურს ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა ადგილის შემკობილებისათვის“ (იხ. მ ი ს ი, აღწერა..., გვ. 158).

49 იხ. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, ისტორიული ნარკვევი, ფედერაცია, 1936, გვ. 54; თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი, აკაკის კრებული, 1899, № VII, განყ. II, გვ. 4.

50 ნიკორწმინდის ნაწილი წულუკიძეებს ეკუთვნოდათ (სცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 4). საძვალეც ნიკორწმინდის ეკლესიაში ჰქონდათ (დას. საქ. საეკ. საბ. I, გვ. 85; გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, V, 1928, გვ. 208). ამ სოფლის ნაწილს კიდეე თვით ნიკორწმინდის ეკლესია ფლობდა.

51 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd. საბ. №№ 1320, 5418, 6751, 11309; ფ. Sd, საბ. № 1330; ფ. Ad, საბ. №№ 724; 811, სცია, ფ. 226(1). საბ. №№ 1563, 1580,

ამგვარად, ერისთავები აღნიშნულ ხანში სულ 56 სოფელს ფლობდნენ.

საერისთავო მიწა-წყალი ამ დროს დასავლეთით ლეჩხუმამდე აღწევდა, აღმოსავლეთით—თავად ჯაფარიძეების სამფლობელომდე. სასაზღვრო ხაზი სოფ. შარდომეთ-სორთან გაიელიდა ისე, რომ ეს ორი სოფელი საერისთავოში რჩებოდა. ჩრდილოეთით ერისთავების მამული კავკასიონის ქედამდე გრძელდებოდა, სამხრეთით კი—საწალიკე-ნაქერალას მთებამდე.

ერისთავების რეზიდენცია წესში იყო. წესი იყო „დაბა კარგი“[52]. წესის იმ ნაწილს, სადაც ერისთავებს სასახლე და კარის ეკლესია ჰქონდათ, ბარაკონი ეწოდებოდა[53].

რაჭის ერისთავთა საგვარეულო სასაფლაო, საერისთავოს არსებობის მეორე პერიოდში, ბარაკონის ჯერ ძველსა და შემდეგ (1753 წლიდან) ახალ ეკლესიაში იყო[54]. ძველად კი (რაჭის საერისთავოს არსებობის პირველ პერიოდში) მათი საძვალე ნიკორწმინდის ეკლესიაში ჩანს[55].

ბარაკონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ლუხუნისა და რიონის შესართავთან, „მაღალს კლდის გორასა ზედა“ იდგა ერისთავების ციხე-სიმაგრე „მინდა“, „მაგარი და აუღებელი მტრისაგან“. ამ ციხის ფლობა რაჭის ერისთავის აუცილებელი ატრიბუტი იყო: „ვის უპყრავ ციხე ესე (იგულისხმება მინდა.—ო. ს.), არს ერისთავი რა-

---

2174, 2183, 6723; ქუთ. მუზ. საბ. №№ 269, 270, 353, 410, 1820; დოკუმენტები..., I, საბ. № 667, გვ. 469—470; დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 153; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 74; Акты. V, стр. 91; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 25, 107; გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VIII, 1933—1934, გვ. 292—293; სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი..., გვ. 54; თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი, აკაკის კრებული, 1899, № VII, განყ. II, გვ. 4.

ერისთავთა სოფლების დადგენისას, მითითებულ მასალებს გარდა, ვსარგებლობთ ზემოხსენებულ საბა მერკვილაძის ცნობით. ცნობა მოგვაწოდა აგრეთვე გუგული შამადაულეს ასულმა ერისთავმა (რაჭის ერისთავთა საგვარეულოდან, როსტომის შვილის მეთოდეს შტოდან), ჩავიწერეთ თბილისში, 1945 წ. სექტემბერს.

52 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 159.

53 ერისთავთა ნასასახლარს დღესაც ბარაკონს ეძახიან.

54 გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 245—251.

55 ქრონიკები, II, გვ. 14, შდრ. გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., საქ. მუზ. მოამბე, V, 1928, გვ. 201.

ჭისაო", — ამბობს ვახუშტი. „ციხისავე ძირს" მდ. ლუხუნის კიდეზე, კოშკი იდგა, რომელიც წყალს იცავდა[56].

ციხე მინდას ქვემოთ, ფერდობზე ერისთავის მოჯალაბეები გოგობერიშვილები იყვნენ განლაგებული. მათ მოვალეობას შეადგენდა მეციხოვნეებისათვის საკვების მომზადება[57].

ბარაკონის სამხრეთ-დასავლეთით, რიონს გაღმა, ერისთავს ზვარი ჰქონდა გაშენებული. აქვე ჰქონდა მას თვალუწვდენი ხოდაბუნებიც[58].

ბარაკონი მტრისათვის მიუდგომელი ადგილი იყო. აღმოსავლეთით მას ციხე მინდა იცავდა, ჩრდილოეთით—„მცირე მთის" გრეხილი „კლდიან-ქარაფიანი"[59], სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდ. რიონი უვლიდა.

წესის მისადგომზე, ამბროლაურ-ხიმშს ზემოთ, სოფ. ხიდისკართან, იქ, სადაც „მოვიწროვდების რიონი სამხრიდამ და ჩრდილოდამ კლდითა"[60], იყო ხიდი რიონზე. ხიდის ორივე თავთან გამოკვეთილ სალ კლდეში კოშკები იყო მიშენებული, თითოეულ კოშკში ერისთავს ორმოცი შეიარაღებული მცველი ეყენა[61].

ამგვარად, ბარაკონში მჯდომი ერისთავის მთავრულ განკერძოებას თვით ადგილმდებარეობაც უწყობდა ხელს.

მეზობელ ქვეყნებთან მისვლა-მოსვლა რაჭის ერისთავს რამდენიმე გზით შეეძლო:

ერთი გზა იმერეთის სამეფოს სატახტო ქალაქ ქუთაისიდან მოდიოდა. ეს გზა მისდევდა მდ. რიონის ჯერ მარცხენასა და შემდეგ მარჯვენა ნაპირს, გაივლიდა ლეჩხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, მთელ რაჭასა და მამისონის უღელტეხილით ჩრდილოეთ ოსეთში გადადიოდა[62].

---

56 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 159.

57 სბა მერკვილაძის ცნობა.

გოგობერიშვილებს ტრადიციით დღემდე შერჩათ მათი ძველი სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი სახელი. სოფ. წესის მკვიდრნი იმ ადგილს, სადაც გოგობერიშვილები სახლობენ, ახლაც „მოჯალაბიანთ უბანს" ეძახიან.

58 სბა მერკვილაძის ცნობა.

59 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., 159.

60 ი ქ ვ ე.

61 სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი..., გვ. 64.

62 იხ. И. Л. Б а х т а д з е. Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда Кутаисской губернии. Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. II,

მეორე — შქმერის გზა დაბა ონში იწყებოდა და რაჭა-არგვეთის საზღვარზე მდებარე სოფ. შქმერის გავლით ჩადიოდა საჩხერეში, წერეთლიანთ სათავადოს რეზიდენციაში[63].

მესამე — ამბროლაურ-ნაქერალას გზა ხიდისკარიდან გადიოდა. გაყვებოდა ხოტევს, ნიკორწმინდას, ხარისთვალს და შემდეგ ნაქერალას ქედით ოკრიბაში ეშვებოდა.

მეოთხე — აბარის გზა, რომელიც ოსეთის სამხედრო გზას ზემო რაჭის მთიან სოფლებთან აერთებდა.

მეხუთე — კოდორის გზა მიყვებოდა აღმა მდ. ჯოჯორის დინებას და ამ მდინარის ხეობის სოფლებს დაბა ონთან აკავშირებდა[64].

ამათ გარდა, აღსანიშნავია კიდევ ერთი გზა, რომელიც ტოლას ხევიდან სვანეთში გადადიოდა[65].

ამ გზების საშუალებით ჰქონდა უმთავრესად რაჭის საერისთავოს მეზობელ ქვეყნებთან მტრული თუ მეგობრული, სააღებმიცემო თუ სხვაგვარი ურთიერთობა.

ერისთავები მრავალყმიანი ფეოდალები იყვნენ. მათი ყმათა რაოდენობა დროთა მსვლელობაში სულ უფრო იზრდებოდა. XVIII ს. შუა წლებისათვის ერისთავების ყმათა საერთო რიცხვი დაახლოებით მთელი რაჭის მოსახლეობის ერთი მეოთხედით[66] ანუ 1250 კომლით შეიძლება განისაზღვროს[67]. მაგრამ ამ საუკუნის 50—60-იან წლებში თითქმის მთელი რაჭის მოსახლეობას ერისთავები ფლობდნენ (იხ. ქვემოთ). თუ ეს მოსახლეობა ამ დროს 5000 კომლს უდრიდა[68], ერისთავების ყმათა საერთო რიცხვი ამაზე ბევრად ნაკლებად არ უნდა ჩაითვალოს.

ტ. I, Тифлис, 1886, стр. 85—86 (ამ გზას ახლა ოსეთის სამხედრო გზა ეწოდება).

63 ი ქ ვ ე; ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 156.

64 იხ. ი. ბ ა ხ ტ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 86.

65 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 158.

66 სამ მეოთხედს მეფის, წულუკიძეების, იაშვილების, ჯაფარიძეებისა და სხვათა საკუთრებად ვვარაუდობთ.

67 გამოვდივართ იმ ანგარიშიდან, რომ რაჭის მოსახლეობა ამ დროს, ისე როგორც აღნიშნულ საუკუნის 60-იან წლებში, 5000 კომლს უდრიდა (იხ. Грамоты..., I, стр. 17).

68 ს. კაკაბაძის ვარაუდით, XIX ს. დამდეგს „რაჭაში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 4600 კომლი“ (იხ. მისი „მცხოვრებთა რიცხვი იმერეთის სამეფოში სოლომონ II-ის დროს, მ ი ს ი ვ ე წიგნში: „კვლევა-ძიებანი...“, გვ. 44. იხ. აგრეთვე ი ქ ვ ე, „მცხოვრებთა რიცხვი დასავლეთ საქართველოში XVIII ს. მეორე ხახევარში“, გვ. 45—47).

რაჭის ერისთავთა ყმა გლეხები იყვნენ: დემეტრაშვილები, სირაძეები, საბანიძეები, ფოჩხიძეები, ლობჯანიძეები, ბრეგვაძეები, ხმიადაშვილები, დაუშვილები, ნავროზაშვილები, გოგილაშვილები, გაგნიძეები, პატარიძეები, კაშია, კრიხელები, მეტრეველები, ცრჩვაძეები, ბოჭორიშვილები, მაისაშვილები, გოგობერიშვილები, გელაშვილები, კობერიძეები, ტოროშელიძეები, კერესელიძეები, მერკვილაძეები, ქრისტესიაშვილები, ლილუაშვილები, ჯანელიძეები, ხურციძეები, მაკარიძეები, ფხაკაძეები, სვანიძეები, მჭედლიძეები, არველაძეები, ჩხობაძეები, არაბიძეები, ბურძენაძეები, კუხიანიძეები, რობაქიძეები და სხვ.[69]

რაჭის ერისთავთა აზნაურები იყვნენ: ლორთქიფანიძეები, გამრეკელიძეები, დარახველიძეები, ლომინაძეები, დემეტრაძეები, საკანდელიძეები, ლაჭყეპიანები, ბუბაშვილები, ჯაფარიძეები, გამყრელიძეები, ბაქრაძეები, იაშვილები და გოცირიძეები[70].

ერისთავების ყმები სამეფო გადასახადებს არ იხდიდნენ. ეს გადასახადები XVII ს. 60-იან წლებიდან, თუ უფრო ადრე არა, საერისთავოს გაუქმებამდე (იხ. ქვემოთ) ფაქტიურად ერისთავებს ჰქონდათ მითვისებული[71]. ეს კარგად ჩანს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან (იხ. ქვემოთ). ამას მოწმობენ 1810 წლის ცნო-

---

რაჭის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ჩვენი წყაროები ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს იძლევიან. მაგალითად, მოურავოვი 1769 წელს რაჭაში 3000 კომლ გლეხს უჩვენებს (Грамоты..., I, стр. 74). სოლომონ I-ის ელჩი დავით კვინიხიძე 1770 წელს აქ 7000 კომლ გლეხს თვლის (ი ქ ვ ე, გვ. 101). ამავე მეფის ელჩი მაქსიმე მიტროპოლიტი 1768 წელს რაჭაში სულ მთლად 5000 კომლს ანგარიშობს (ი ქ ვ ე, გვ. 17 . გიულდენშტედტის ცნობით, იმავე ხანში (1772 წ.) აქ 5600 მეომრის გამოყვანა შეეძლოთ (იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 131). ასეთ ვითარებაში ძნელია სისწორის გარკვევა. მაგრამ მაინც, ეფიქრობთ, სინამდვილეს უფრო მაქსიმე მიტროპოლიტის ცნობა უნდა ასახავდეს.

აღსანიშნავია, რომ 1803 წელს დავით ერისთავი იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი მირთმეულ თხოვნაში აცხადებს, რომ მცხოვრებთა რაოდენობა რაჭაში 10.000 კომლს აღწევსო (იხ. Акты, II, стр. 345—346). მაგრამ ეს რიცხვი უეჭველად გაზვიადებულია.

69 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. №№ 1320, 1844, 2948; ფ. Sd, საბ. № 1330; ფ. Ad. საბ. №№ 811,, 819; სცია, ფ. 226(1). საბ. №№ 1563, 2174, 2183, 3192, 6723; ფ. 227 (2). საბ. №№ 88, 260; ქუთ. მუზ. საბ. № 107, 269, 270, 1370; საბა მერკვილაძისა და გუგული ერისთავის ცნობები.

70 სცია, ფ. 226(1), საბ. №№ 1181, 2183, 4461; ფ. 227(2), საბ. № 260; ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, საბ. 819; ქუთ. მუზ. საბ. №№ 142, 343, 1370.

71 სათავადოთა საგადასახადო შეუვალობის შესახებ იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), გვ. 183—187. განსაკუთრებით — გვ. 186—187.

ბებიც. ამ ცნობების მიხედვით, მთელი რაჭის პროვინციიდან, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, XVIII ს. მეორე ნახევარში დაახლოებით 5000 კომლი სახლობდა, სამეფო საურს იხდიდა მხოლოდ 200 კომლი[72], საუდიეროს კი — არც ერთი[73].

ერისთავი თავის საერისთავოს მოხელეთა საშუალებით მართავდა. ერისთავთა საგვარეულო საბუთებში იხსენიებიან: მათი მოურავები, ხელოსნები, მორდალი, მამასაალისი, კარის კაცი, მდივანი. საეკლესიო მსახურთაგან კიდევ—„კარის დეკანოზ-მწიგნობარ-მდივან-მოჟამნე"[74], „კარის წინამძღვარი", მოძღვარი ან მოძღვარი-მღვდელი და მღვდლები[75].

ერისთავთა მოურავებად ვხედავთ მათ აზნაურებს: შიოშ ჯაფარიძეს (1731—1743 წწ.)[76], დავით ჯაფარიძეს (1789 წ.), ოტია ჯაფარიძეს (1811 წ.)[77], ბერი ბაქრაძეს (1754 წ.)[78], კიდევ ბერი (II) ბაქრაძეს (1791 წ.)[79], დავით საკანდელიძეს (1805 წ.)[80], ფრიდონ გამყრელიძეს (1812 წ.)[81] და ფირან ლომინაძეს (1813 წ.)[82].

ერისთავების ზოგ სოფელს ცალკე მოურავი ჰყავდა. ცალკე იხსენიება, მაგალითად, „სევას მოურავი" და „ღების მოურავობა"[83].

---

72 ეს 200 კომლიც ერისთავების კი არა, სხვა მებატონეთა ყმები უნდა იყვნენ.

73 Акты, IV, стр. 256.

74 1750—1786 წწ. ეს თანამდებობები შეთავსებით უჭირავს ონოფრე ჯაფარიძეს (იხ. მასალები დას. საქ. სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ; 31, 1954, საბ. № 4,5); მაგრამ ამავე ხანში იგი ზოგჯერ „ერისთავის კარის მწირველ-მდივნად" ან მხოლოდ მდივან-მწიგნობრად იწოდება (იხ. ი ქ ვ ე, საბ. №№ 3, 7, 11).

75 იხ. ი ქ ვ ე, საბ. №№ 3, 4, 5, 7, 11, 13, 14, 22; სცია, ფ. 226(1); საბ. №№ 1580, 3192, 4461; ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, საბ. № 819; ქუთ. მუზ. საბ. № 346; დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 149; ისტორიული დოკუმენტები იმეოეთის სამეფოსა..., I, საბ. № 74.

76 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 74.

77 ქუთ. მუზ. საბ. №№ 346, 1450.

78 მასალები დას. საქ. სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 31, 1954, საბ. № 5.

79 ქუთ. მუზ. საბ. № 270.

80 სცია, ფ. 226(1), საბ. № 4461.

81 ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, საბ. № 819.

82 მასალები დას. საქ. სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 31, 1954, საბ. № 22.

83 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 74; ქუთ. მუზ. საბ. № 1450.

XVII საუკუნის შუა წლებამდე და ადრე რაჭის ერისთავი ჯერ კიდევ იმერთა მეფის დარბაზის წევრი და „გარეთული“ მოხელე იყო. იგი დიდი პატივით სარგებლობდა. ეს ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ალექსანდრე III-ის მიერ რუსთ ხელმწიფე ალექსისათვის გაგზავნილ 1651 წლის ფიცის წიგნში მეფის საერო კარისკაცთაგან პირველად რაჭის ერისთავს პაპუნას უწერია ხელი[84]. ეს იმერეთში მის პირველკაცობას ნიშნავს. მართლაც, რუსი ელჩები მას მეფის „პირველ კაცს“, „პირველ ბოიარს“ ეძახიან[85].

უფრო გვიან სოლომონ პირველიც რაჭის ერისთავს ერთ ხანს დიდი პატივით იხსენიებს. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს 1759 წლის საეკლესიო და საერო კრების დადგენილებაში მეფე რაჭის ერისთავს ასეთი ტიტულით ამკობს: „კაცთაგან მოწმე ამისი... სპასპეტ-სპასალარი, სტრატილატი და ვიპატოსი... ერისთავი როსტომ“[86].

მაგრამ ერისთავები ამით არ კმაყოფილდებიან. დიდი ხანია რაც მათ გაუმკვიდრდათ ერისთავობა და მასთან დაკავშირებით მეფისაგან ნაწყალობევი ყმა-მამულიც გაუსაკუთრდათ[87]. ე. ი. საერისთავო სათავადო გახდა, ერისთავი კი — სათავადოს უფროსი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას (ერისთავს) სახლის წევრები კი არ ირჩევენ, არამედ ერისთავობა მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე უფროსობის მიხედვით[88]. ერისთავი ახლა (XVII ს. მეორე ნახევრიდან) მეფის სანქციის გარეშე ჯდება და „თვისად“ ფლობს საერისთავოს.

ერისთავთა სამფლობელო, როგორც ვნახეთ, გაფართოვდა. ამის შესაბამისად გაფართოვდა მათი უფლებები, გაიზარდა მათი ძლიერება და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებაც. ასეთ ვითარებაში ერისთავი ახლა მეფის მოხელეობას არ კადრულობს არათუ ფაქტიურად, არამედ ფორმალურადაც. არ კადრულობს, რა თქმა უნდა, მეფის დარბაზის წევრობასაც. მართლაც, რაჭის საერისთავოს ძლიერების ხანაში (XVII ს. 60-იან წლებიდან 1769 წლამდე) ერისთა-

---

84 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა..., გვ. 193—195.

85 იხ. ი ქ ვ ე, გვ. 105, 189.

86 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 5.

87 იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან..., გვ. 37.

88 ეს წესი, რა თქმა უნდა, ირღვევა, როცა გარდაცვლილ ერისთავს მემკვიდრე არ რჩებოდა ან იგი მცირეწლოვანი იყო.

ვები, იშვიათ შემთხვევებს გარდა, იმერთა მეფის დარბაზის სხდომაზე არ ცხადდებიან[89].

ნიშანდობლივია, რომ ამაზე ადრეც, 1651 წელს იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის მიერ რუსთ ხელმწიფის ერთგულების ფიცის წიგნზე ხელის მოწერისას გამართულ დარბაზობას პაპუნა რაჭის ერისთავი არ დასწრებია. ამ წიგნზე მას იმერეთიდან რუსეთისაკენ მიმავალმა ელჩებმა რაჭაში, საკუთარ რეზიდენციაში, მოაწერინეს ხელი მისთვის საგანგებოდ დატოვებულ პირველ ადგილზე[90].

რაჭის ერისთავთა შეცვლილ მდგომარეობას გამოხატავდა ერთგვარად მათი ტიტულატურა, რომელიც XVIII საუკუნეში გაჩნდა: „ლიხთ იმერისა და ამერის მთავრად და მსაჯულად დადგინებული, მპყრობელი რაჭისა"[91]. ან კიდევ „ლიხთ იმერთა სარდალი... მპყრობელი რაჭისა"[92].

ამ მხრივ მეტად საინტერესოა აგრეთვე როსტომ რაჭის ერისთავის ბეჭდის წარწერაც: „ღვთით რაჭის ერისთავს, ომით ჭმალი მაქვს"[93]. ამით ერისთავი საქვეყნოდ აცხადებს, რომ რაჭის ერისთავობა მას მეფემ კი არა, ღმერთმა არწმუნა. „ჭმალი" (ძალაუფლების სიმბოლო) კიდევ ომით მოიპოვა და, ამგვარად, მეფეს მასთან ხელი არა აქვს.

---

89 ერთი ასეთი შემთხვევა იყო 1759 წელს, როცა სოლომონ პირველმა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო კრება მოიწვია, რომელსაც ესწრებოდნენ დადიანი და გურიელიც (ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 5).

მეორე — XVIII ს. 50-იან ან 60-იან წლებში, როცა „დაბრძანდა თავად ბატონი მეფე სოლომონ (იგულისხმება პირველი, ო, ს.)... „რაჭისა და იმერეთის ერისთავი როსტომ და დარბაზის ერნი" და თავად აგიაშვილების „სარჩელი" განიხილეს (სცია, ფ. 227(2), საბ. № 71).

მესამე — ამავე საუკუნის 60-იან წლებში, როცა ქაიხოსრო წერეთელი და გოგია ჯაფარიძე „გაბეზვეს" (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 143).

90 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა..., გვ. 105, 189, 193—195.

91 დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 149. ხაზი ჩვენია. — ო. ს.

ამ ტიტულატურაში ჩანს პირველი ხანის რაჭის ერისთავის უფლებათა თავისებური მოგონება.

92 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 127. იხ. აგრეთვე საბ. № 58-ის ბეჭდის წარწერაც.

ზოგჯერ გვიანდელი ხანის რაჭის ერისთავიც თავის თავს „ერისთავ-ერისთავს" ეძახის. ძაგ., შოშიტა III. იხ. სცია, ფ. 226(1). საბ. № 1563.

93 ქუთ. მუზ. საბ. № 349 (ბეჭდის წარწერა); ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 127 (ბეჭდის წარწერა).

რაჭის ერისთავი ახლა არ იყო ერისთავი ამ სიტყვის ადრინდელი მნიშვნელობით. ეს ძველი სახელი, რომელიც მას ტრადიციით შერჩა, ახლა ახალ შინაარსს ატარებდა[94].

* * *

ერისთავი თავის თავს მთელი რაჭის მპყრობელად თვლიდა და იქ არსებულ სათავადოებისაგან მორჩილებას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ „წახდენა-გაღარიბებით" ემუქრებოდა[95]. მეტად განწვავდა დამოკიდებულება ერისთავსა .და რაჭის თავადებს შორის XVIII ს. მეორე ნახევარში. ამ დამოკიდებულების ერთგვარი მშვიდობიანი გზით მოწესრიგების ცდას წარმოადგენს აფხაზეთის კათალიკოსის „ერისთავისშვილის" ბესარიონის „ცოდვისა და მადლის წიგნი", რომელიც მას ვახტანგ და სხვა ჯაფარიძეებისათვის მიუცია. ამ წიგნში კათალიკოსი პირობას დებს: თუკი ვახტანგი და მისი სახლიკაცები როსტომ ერისთავის „ე რ თ გ უ ლ ი და ს ი ტ ყ ვ ი ს მ ო რ ჩ ი ლ ი"[96] იქნებიან, როსტომისაგან მათ არა დაუშავდეთ რა[97]. მაგრამ კათალიკოსის მიერ დადებულმა „ცოდვისა და მადლის წიგნმა" ვერ იხსნა ჯაფარიძეთა საგვარეულო ერისთავის მძლავრობისაგან.

ამავე ხანში ერისთავი ექსპანსიას იწყებს არგვეთის მიმართულებით. იგი თამარისდროინდელ „რაჭისა და თაკუერის" ერისთავის კახაბერის მემკვიდრეობას ჩემულობს[98] და არგვეთის გარკვეულ ნაწილზეც პრეტენზიებს აცხადებს. მაგრამ აქ მას წერეთლიანთ სათავადოს სახით ძლიერი მოწინააღმდეგე ხვდება.

არგვეთის თავადებიდან მტრული თუ მეგობრული ურთიერთობა ერისთავს უფრო აბაშიძეებთან და წერეთლებთან ჰქონდა.

---

94 რაჭის ერისთავის სახელს მხოლოდ ის ატარებდა ვინც ერისთავად იჯდა. მის სახლიკაცებს, როგორც წესი, ერისთავისძეებს ან ერისთავისშვილებს ეძახდნენ (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd. საბ. №№ 1186, 1308, 1324, 1330; ფ. Hd, საბ. № 6751; სცია, ფ. 227(2), საბ. № 88; ქუთ. მუზ. საბ. №№ 270, 1720). იმერეთში რუსული მმართველობის დამყარების პერიოდში და შემდეგ კი ერისთავთა სახლის ყველა წევრი ერისთავად იწოდება, ე. ი. თანამდებობის სახელი ერისთავი ქამთა მსვლელობაში გვარის სახელად იქცა.

95 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 15017; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის საჰეფოსა..., I, საბ. № 111. იხ. აგრეთვე, საბ. № 129.

96 ხაზი ჩვენია, ო. ს.

97 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 15017; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. №№ 111, 129.

98 სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი..., გვ. 61.

XVII ს. მიწურულიდან მომდევნო საუკუნის 50-იან წლების დამლევამდე ერისთავები და აბაშიძეები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მეტ-ნაკლებად შეთანხმებით მოქმედებდნენ. მთავრული განკერძოებისათვის მებრძოლი არგვეთის დიდი თავადი აბაშიძე და რაჭის ერისთავი აღნიშნულ ხანში მოკავშირეები იყვნენ[99].

ძლიერი მეზობლების ამ კავშირს წერეთლებმა იმერთა მეფის ერთგულებით უპასუხეს.

XVIII ს. პირველ ნახევარში რაჭის ერისთავსა და წერეთელს შორის აშკარა მტრობა ჩამოვარდა. ერისთავმა საწერეთლოს ჩრდილოეთის საზღვარი გადმოლახა და ჯრუჭის ხეობის ზემო ნაწილი, წერეთლიანთ საგვარეულო მონასტრით ჯრუჭით, ხელთ იგდო[100]. დიდ ხანს იბრძოდნენ აქ ერისთავი და წერეთელი. ერისთავი ჯრუჭის ხეობის ქვემო წელისკენ მოიწევდა. წერეთელი აქედან მის განდევნას და შქმერს იქით გადაგდებას ცდილობდა. ამ ბრძოლის პროცესში ეს მხარე და თვით ჯრუჭის მონასტერიც ძალიან დაზარალდა: „სიმაგრეთ ეს ეკლესია მოერთოთ". აღნიშნულ პერიოდში, როცა ვახუშტიმ ჯრუჭის ხეობა აწერა, ეს მონასტერი იმდენად აოხრებული იყო, რომ იგი არც იხსენიებს მას. ამბობს მხოლოდ: „ძველად ყოფილა ამას ზედა (ჯრუჭის მონასტრის მიდამოებში, — ო. ს.) შენობანი და აწ ოჯერ არსო"[101].

წერეთელმა ვერ შეძლო ჯრუჭის ხეობიდან ერისთავის განდევნა. ბოლოს, ამ საქმეში, „წმინდა კრებულის" „ვედრების" მომიზეზებით, სოლომონ პირველი ჩაერია: მონასტერი და მისი მიდამოები ჩამოართვა ერისთავს და ჯრუჭისვე მონასტრის წმინდა გიორგის შესწირა[102]. ეს იყო წერეთელთა ნახარდაჭერა.

ამის შესახებ თავის სიგელში მეფე აცხადებს: ეს საქმე (შეწირულება) „ორთავ (ერისთავისა და წერეთლის,—ო. ს.) ნებით" გავარიგეო[103]. მაგრამ ეს პატივმოყვარე ერისთავის დასამშვიდებლად ნახმარი გამოთქმაა. სინამდვილეში ჯრუჭის მიდამოებიდან ერისთავის „გასვლა" მისი ნების წინააღმდეგ მოხდა.

---

99 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563 (გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის მიერ. იხ. და შდრ. მისი, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბილისი, 1914, გვ. 90—93); ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ; 215—216, 223, 233—234.

100 ქუთ. მუზ. საბ. № 359.

101 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 156; ქუთ. მუზ. საბ. № 359.

102 ქუთ. მუზ. საბ. № 359.

103 ი ქ ვ ე.

ცენტრალურ ხელისუფლებასა და მეზობელ თავადებთან ბრძოლის პროცესში რაჭის ერისთავი, თავის პოზიციების გასამტკიცებლად, ქართლის მეფესაც უკავშირდებოდა.

ჯერ კიდევ 1660 წელს, როცა ალექსანდრე III გარდაიცვალა და იმერეთის ტახტის მაძიებელთა შორის ბრძოლა დაიწყო, რაჭის ერისთავმა იმერეთში გასამეფებლად ქართლის მეფის შაჰ-ნავაზის შვილი ლუარსაბი მოიწვია. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ლუარსაბის სიმამრი რევაზ არაგვის ერისთავი რაჭის ერისთავის სიძე იყო. ამის „გამოღმით იმერეთის ბატონობა ლუარსაბმა მოინდომა“[104]. ამ განზრახვის განხორციელების იმედს მას სწორედ ერისთავი აძლევდა. მაგრამ, მიუხედავად „მრავალი ქრთამისა“, იმერეთის უზენაესმა მბრძანებელმა — ოსმალეთმა — მეფობა მას არ მისცა[105]. მალე ლუარსაბმაც ხელი აიღო იმერეთში გამეფების ცდაზე და ეს საქმე თავის ძმას არჩილს მიანება.

ამის შემდეგ რაჭის ერისთავები არჩილის მხარეზე ჩანან და იმერეთის ტახტზე მისი მომაგრებისათვის დიდად იღწვიან. ჯერ შოშიტა II-ისა და შემდეგ მისი ძმის პაპუნას მეცადინეობით არჩილი სამჯერ გამეფდა იმერეთში[106].

ყიზილბაშთაგან ლტოლვილი ქართლის მეფე გიორგი XI-ეც ერთ ხანს რაჭის საერისთავოს აფარებდა თავს. 1690 წელს რუსეთიდან ჩამოსულ არჩილს სწორედ აქ დახვდა მისი ძმა გიორგი და აქედან დაიწყო იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის წინააღმდეგ მათი მოქმედება[107].

ალექსანდრემ „მიუთხრა პაპუნა ერისთავსა არა შეხიზნვად გიორგი მეფისა“. მაგრამ „ესე არა ესმინა... ერისთავმან“[108].

იმერეთის ტახტის კანონიერ მფლობელებთან თუ ამ ტახტის მაძიებლებთან ბრძოლაში დამარცხებული არჩილი, თავშესაფარს რაჭის საერისთავოში პოულობდა და აქედანვე ემზადებოდა შემდგომი ბრძოლისათვის[109].

---

104 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გამოც. ს. კაკაბაძისა, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 274.

105 ი ქ ვ ე, გვ. 274—275.

106 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 213—217.

107 ი ქ ვ ე, გვ. 211—213; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 286.

108 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 211.

109 ი ქ ვ ე, გვ. 207—217.

აღსანიშნავია, რომ ყიზილბაშებთან ბრძოლაში დამარცხებული კახთა მეფე თეიმურაზ პირველიც ერთ ხანს რაჭაში ცხოვრობდა. როგორც მისი „შამი-ფარვანიანიდან“ ჩანს, რაჭაში მან შვიდი ზაფხული (ე. ი. შვიდი წელი) გაატარა და

ვახტანგ VI-საც თავგამოდებით უჭერდა მხარს რაჭის ერისთავი შოშიტა III. 1724 წელს იგი თხოვნით მიმართავდა პეტრე I-ს, რომ ქართლის მეფისათვის „ზურგი მოება“ ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად და აგრესორთაგან განსაცდელში ჩავარდნილ „ყოველი საქართველოსათვის“ მოეშველებინა[110]. ვახტანგისადმი ერისთავის ერთგულება მათი ნათესაობითაც იყო შეპირობებული (იხ. ქვემოთ).

უფრო გვიან XVIII ს. მეორე ნახევარშიც რაჭის ერისთავს მეტად კარგი განწყობილება ჰქონდა გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესთან. როგორც უკანასკნელის მიერ როსტომ რაჭის ერისთავთან გაგზავნილ „წიგნიდან“ ჩანს, ერეკლე როსტომის „სიყვარულისა და ერთობისაგან“ საჭირო შემთხვევაში დახმარებას მოელოდა[111]. ამიტომ, თუ კიდევ სხვა პოლიტიკური განზრახვით, იყო, რომ სოლომონ პირველისაგან დევნილი როსტომ ერისთავის შვილი მეთოდი ერეკლემ თავის „საფარველ ქვეშ“ მიიღო და „დიდ პატივცემულადაცა ჰყავდა“[112]. ლიხთ-იმერეთიდან გაძევებულ ერისთავის შვილს მეფემ 1793 წლის 30 აპრილის „ოქმით“, მისგან ადრე დროებით ბოძებული, სოფელი ტირძნისი „სამკვიდროდ“ დაუმტკიცა[113].

მეთოდიმ ერეკლეს კარზე 30 წელი გაატარა. აღმოსავლეთ საქართველო მან მხოლოდ მას შემდეგ დატოვა, როცა ერეკლე გარდაიცვალა. 1799 წელს მეთოდი იმერეთში დაბრუნდა და ერეკლეს შვილიშვილს სოლომონ მეორეს მიენდო...[114].

* * *

რაჭის ერისთავსა და იმერეთის მეფეს შორის თავდაპირველად სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულება იყო. ეს დამოკიდებულება ერისთავს მეფის გარკვეულ სამსახურს და ერთგულებას ავალებდა. პირველ ხანში ერისთავები ასრულებდნენ ამ სავალდებულო პირობას. რაჭაში ახლად დადგენილ ერისთავს ცენტრალური

ეს პოემაც აქ დაწერა 1656 წელს (იხ. თ ე ი მ ु რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი. თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედ., გამოც. პირველი, ტფილისი, 1934, გვ. 018, 23, სტროფი 68, შდრ. ქრონიკები..., II, გვ. 474 (სქოლიო); ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მომბე, II, 1925, გვ. 262; Е. Такайшвили. Описание рукописей..., т. II, вып. I, Тифлис, 1906, стр. 181—182).

110 იხ. Переписка..., стр. 173.

111 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1334 („სამდივნო წიგნი“). გვ. 220г.

112 ი ქ ვ ე, ფ. Hd, საბ. № 11309.

113 ი ქ ვ ე, ფ. Hd, საბ. № 2955.

114 ი ქ ვ ე, ფ. Hd, საბ. № 11309.

ხელისუფლების მფარველობა სჭირდებოდა. მთავრულ პრეტენზიებს იგი ჯერ კიდევ არ ამქლევნებდა. მეფეს და ერისთავს შორის კარგი განწყობილება სუფევდა. მეტიც: ერისთავები ერთგულებდნენ მეფეს. მაგალითად, პარიზის ქრონიკის ცნობით, შოშიტა მეორემ მოკლა 1669 წელს ბაგრატ მეოთხის მოღალატე სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე[115] და ბაგრატის მეფობა განამტკიცა.

თავადური გათიშულობისათვის აქტიურ მოქმედებას რაჭის ერისთავები XVII ს. მეორე ნახევარში იწყებენ. ამ მხრივ მეტად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ის პოლიტიკური არეულობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმერეთში ალექსანდრე III-ის სიკვდილის შემდეგ (1660 წ.). აღნიშნულ საუკუნის 60-იან წლების მიწურულიდან რაჭის ერისთავები (შოშიტა II, პაპუნა II, შოშიტა III, გრიგოლ, ვახტანგ, როსტომ) შეუნელებლად ებრძვიან ცენტრალურ ხელისუფლებას სენიორული დამოუკიდებლობის დასაცავად. ამ ბრძოლაში მათ მხარეზეა აბაშიძე, დადიანი, გურიელი (დროდადრო) და ზოგი სხვა თავადიც.

გაძლიერებული ერისთავი ახლა არ ექვემდებარებოდა („არ ერჩდა") მეფის ხელისუფლებას. არა ერთხელ გაულაშქრია მის წინააღმდეგ მეფეს „ანუ დაიმორჩილოს, ანუ მიუღოს რაჭა", მაგრამ ამაოდ[116]. რაც დრო გადიოდა, ერისთავი „უმეტესად" იპყრობდა რაჭას[117].

პაპუნა ერისთავთან ბრძოლაში ალექსანდრე მეოთხემ ორჯერ დაკარგა იმერეთის ტახტი და ბოლოს (1695 წ.) ამ ბრძოლას შეეწირა იგი[118].

XVIII ს. დამდეგს, როცა ერისთავის მოკავშირე გიორგი აბაშიძე იმერეთის ფაქტიური მბრძანებელი გახდა, ერისთავი გამოეთიშა მას და მის დასამხობად ერთხანს. იმერეთის კანონიერ მეფეს გიორგი VI-ეს მიემხრო. მაგრამ ეს მანამდე, სანამ მეფე იყო „მწირად ფრიად". როგორც კი მეფემ დაამარცხა აბაშიძე და თვითონ გაძლიერდა, ერისთავი ისევ მეფის წინააღმდეგ დაირაზმა.

---

115 პარიჟის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოჲსა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, თბილისი, 1903, გვ. 70.

116 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 210—211.

117 იქვე, გვ. 211.

118 იქვე, გვ. 211—215.

პაპუნა რაჭის ერისთავმა და მისმა მომხრეებმა შეიპყრეს ალექსანდრე IV სკანდას, „წარგზავნეს მღვიმეს, მერმე სვერს: შემდგომად მისცეს" ქართლის მეფეს გიორგი XI-ეს, „მოიყვანეს რუისს, ზოაშთვეს და დაფლეს მუნვე ეკლესიასა შინა" (იხ. იქვე, გვ. 215).

ერისთავმა და მისმა მომხრეებმა სამჯერ ჩამოაგდეს გიორგი VI ტახტიდან. მაშინაც კი, როცა დროდადრო იგი თავის უფლების აღდგენას ახერხებდა, მის სამეფოში შოშიტა რაჭის ერისთავი, დადიანი და აბაშიძე მძლავრდებოდნენ.

1716 წელს კიდევ „სამთა ამათ მთავართა" მთლად „განიყვეს იმერეთი თვის-თვისნი მხარენი და დაიპყრნეს". ხოლო 1720 წ. მეფეც მოკლეს და ამის შემდეგ უფრო მეტად გაძლიერდნენ[119].

გიორგი მეფის მემკვიდრეს ალექსანდრე მეხუთესაც მოსვენებას არ აძლევდა რაჭის ერისთავი „რამეთუ რაჭველთაგან იყო მარადის ხდომა და კირთება იმერეთისა"[120].

ალექსანდრემ ვერ შეძლო ამ ძლიერი თავადის დამორჩილება. მან ერისთავის დასუსტება მის სახლის წევრთა შორის მტრობის ჩამოგდებით სცადა. მეფის ჩაგონებით 1732—1733 წწ. გრიგოლ ერისთავის ბიძამ გენათელმა ეპისკოპოსმა გედევანმა თავი დაანება მღვდელთმთავრობას, „წაგვარა ცოლი" თავის ძმისწულს პაპუნას, „შეირთო თვით" და მიენდო ალექსანდრე V-ეს. მეფემ მისცა მას „საერისთო მამული[121] იმერეთს შინანი და უწოდეს ბარის ერისთავად"[122].

ასე გაჩნდნენ იმერეთის ერისთავები[123].

ამგვარად, „ბარის" ანუ იმერეთის ერისთავთა ინსტიტუტი რაჭის ერისთავთა საპირისპიროდ იყო დაწესებული. მაგრამ, როგორც შემდეგდროინდელ ამბების მიმდინარეობიდან ჩანს, ამ ღონისძიებას მეფისთვის რამე მნიშვნელოვანი სარგებლობა არ მოუტანია. მართალია, „ბარის ერისთავი" ალექსანდრე V-ის ერთგულთა შორის დარჩა, მაგრამ მისმა ერთგულებამ მეფე ვერ იხსნა რაჭის ერის-

---

119 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 218—229.

შოშიტა III ერისთავის, ზურაბ აბაშიძისა და ბექან დადიანის მიერ შეჩენილმა სვიმონ აბაშიძემ „თბმელის ციხეს მყოფი მეფე ისტუმრა და ნადიმსა ზედა ძოჰკლეს" იგი „მსახურთა სვიმონისათა" (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 229).

120 ი ქ ვ ე. გვ. 231.

121 ეს იყო: სოფ. ამაღლება, ძულუხი, სიმონეთი და ნაწილობრივ ბზვანი, როძელთაც იმერეთის („ბარის"||„ვაკის") ერისთავები ფლობდნენ XIX საუკუნეშიც.

122 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 232.

ერისთავის ძე გედევან გენათელს ვახუშტი იხსენიებს უფრო ადრინდელ (1720—1725 წწ.) ამბებშიც. იხ. ი ქ ვ ე, გვ. 231, შდრ., სცია, ფ. 226(1), საბ. № 1582.

123 „ბარის" ანუ იმერეთის ერისთავის შესახებ იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფილისი, 1922, გვ. 197; ო. ს ო ს ე ლ ი ა. გიორგი ერისთავის ყმათა ქონება და ვალდებულება, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 29, 1951, გვ. 37—40.

თავის მძლავრობისაგან. ხოლო გედევან გენათელის მეფის მხარეზე გადასვლა ერისთავთა სახლისათვის იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდა, რომ მას რაჭის საერისთავოს შემდგომი გაძლიერებისათვის ხელი არ შეუშლია.

ალექსანდრე მეხუთემ მის წინამოადგილე მეფეებთან შედარებით უფრო მტკიცედ შეძლო ტახტზე მომაგრება, მაგრამ რაჭის ერისთავმა და მისმა მომხრეებმა იგიც რამდენიმეჯერ გააძევეს იმერეთიდან[124].

გრიგოლ ერისთავმა, ზურაბ აბაშიძემ და ოტია დადიანმა „უკუბირეს“ მეფეს მისი ძმა მამუკა. გაერთიანებული ლაშქრით „მოვიდნენ ალექსანდრეს ზედა ანუ მოკლან, ანუ განაძონ“ იგი. მაგრამ 1732 წელს, ჩიხორის ომში, მეფემ სასტიკად დაამარცხა ძოწინააღმდეგეები[125].

---

124 იხ. ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 233—235; პაპუნა ორბელიანი. „ამბავი ქართლისა“. ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 382.

125 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 233, მისივე, ქორონიკონები, გვ. 255; სეხნია ჩხეიძე. ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 337.

ჩიხორის ომის თარიღის შესახებ ჩვენს წყაროებში სხვადასხვაგვარი ცნობაა დაცული: ვახუშტის „საქართველოს ისტორიისა“ და „ქორონიკონების“ მიხედვით, ეს ომი 1734 წელს მოხდა (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 233, 255).

ე. წ. „აბაშიძის ქრონიკით“ ანუ „იმერეთის ქრონიკებითა“ და „ანთაძის ქრონიკით“ — 1731 წელს (იხ. ქრონიკები, III, გვ. 127, 639).

სეხნია ჩეიძისა და სხვადასხვა ქრონიკის ცნობებით — 1732 წელს (იქვე, გვ. 138—139, 622; სეხნია ჩხეიძე, დასახ. თხზულება, გვ. 337; მცირე ქრონიკები, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968, გვ. 70).

ერთი ქრონიკის ცნობით — 1728 წელს (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 337).

რომელია ამათგან სწორი?

იმ ქრონიკის ცნობა, რომელიც ჩიხორის ომის თარიღად 1728 წელს სდებს, აშკარად მცდარია. ამას ცხადჰყოფენ ვახუშტისა და სეხნია ჩხეიძის ცნობები, რომლებშიც ჩიხორის ომის მონაწილეთა შორის გრიგოლ რაჭის ერისთავი იხსენიება (იხ. ვახუშტი, ქორონიკონები, გვ. 255; სეხნია ჩხეიძე, დასახ. თხზულება, გვ. 337). უკანასკნელი, ვახუშტის ცნობით, რაჭის ერისთავად დაჯდა 1731 წელს (იხ. მისი „საქართველოს ისტორია“, გვ. 233; ქორონიკონები, გვ. 255). ბაგრამ ეს ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს. გრიგოლის ბეჭდის წარწერაში ეკითხულობთ: „...ბაყრობელი რაჭისა ერისთავი გრიგოლ, ქ(ორონი)კ(ნ)ს უკ“ (ქუთ. მუზ. საბ. № 343), რაც უდრის 1732 წელს. ბეჭდის თარიღი ჩვეულებრივად მისი მფლობელის ზეობის (მეფობის, კათალიკოსობის, ერისთავობის და სხვ.) დასაწყისს აღნიშნავს. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ბეჭდის თარიღი

ამის შემდეგ კიდევ, 1740 წელს, გრიგოლ ერისთავმა „მოიბირა დადიანი ოტია, აფხაზი და ოსმალთ ჯარი“, მოულოდნელად თავს დაესხა იგი ვარციხის სასახლეში მყოფ ალექსანდრე მეხუთეს. მეფემ და დედოფალმა ძლივს მოასწრეს გაქცევა. „სხვანი სასახლეში მყოფნი ერთბაშად დაატყვევეს... საქონელი აიკლეს, სასახლე დასწვეს, ციხე დააქციეს, მეფეს სდიეს და გარდააგდეს ქართლს[126]. გამარჯვებულმა ერისთავმა კი 1741 წელს იმერეთის მეფედ ალექსანდრეს უმცროსი ძმა გიორგი დასვა[127].

ალექსანდრე V-ემ აღნიშნულ წელსვე შეძლო ტახტის დაბრუნება, მაგრამ გრიგოლ რაჭის ერისთავი მის წინააღმდეგ ისევ ბრძოლას განაგრძობდა, ვიდრე 1743 წელს ამ ბრძოლაში არ დაიღუპა იგი[128].

გრიგოლი ვახტანგ ერისთავმა შეცვალა, რომელიც იყო აგრეთვე „ორგულობასა და წინააღმდეგობასა შინა“ ალექსანდრე მეფისა[129]. ვახტანგმა და მისმა მოკავშირეებმა 1746 წელს ისევ ჩამოაგდეს ტახტიდან ალექსანდრე V და ახლა მისი მეორე ძმა მამუკა გა-

---

მის მოკვლის დროს გვიჩვენებდეს და იგი ამა თუ იმ პირის ზეობის დასაწყისს არ ემთხვეოდეს. ჩვენ მაინც ვფიქრობთ ქრონიკონი „უკ“ გრიგოლის გაერისთავების მაჩვენებელია. მაშასადამე, ჩიხორის ომი 1732 წელზე ადრე არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

დანარჩენი ცნობებიდან უპირატესობა იმათ უნდა მიეცეს, რომელთა უმრავლესობა ერთმანეთს ემთხვევა, ე. ი. სეხნია ჩხეიძისა და სხვადასხვა ქრონიკის ცნობებს. სეხნიას ცნობა იმიტომაც უფრო სანდოა, რომ ის ამ ომის თანამედროვეა, ამგვარად, ჩიხორის ომის თარიღად 1732 წელი უნდა დაიდვას.

აღსანიშნავია, რომ ერთი ქრონიკის ცნობაში ჩიხორის ომი 1708 წლის ქვეშ არის ნაჩვენები (იხ. ქრონიკები, III, გვ. 638). მაგრამ ეს სხვა, ადრინდელ ომს უნდა გულისხმობდეს.

126 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1563; ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ისტორია, გვ. 235; მ ი ს ი ვ ე, ქორონიკონები, გვ. 255—256, 1740 წლის ქვეშ.

127 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 235; მ ი ს ი ვ ე, ქორონიკონები, გვ. 256, 1741 წლის ქვეშ.

128 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 235—236; მ ი ს ი ვ ე, ქორონიკონები, გვ. 256, 1741, 1743 წლების ქვეშ.

129 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1563; ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 236; მ ი ს ი ვ ე, ქორონიკონები, გვ. 256. 1743 წლის ქვეშ.

რამდენ ხანს გაგრძელდა ვახტანგის ერისთავობა, პირდაპირი ცნობა არა გვაქვს. არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით, მისი ერისთავობის დასასრული 1749 წლის ბოლოს ან 1750 წლის პირველ ნახევარს არის სავარაუდებელი (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563, შდრ. სცია, ფ. 226(1), საბ. № 1181. უკანასკნელ დოკუმენტში 1750 წლის 29 ივლისს რაჭის ერისთავად უკვე როსტომი იხსენიება.

ამეფეს[130]. ამ წლის 16 ივნისის ერთ წყალობის წიგნში მამუკა თავის თავს მეფეს უწოდებს[131]. მაგრამ მისმა მეფობამ მცირე ხანს გასტანა. 1747 წლის 17 აგვისტოს, თუ უფრო ადრე არა, ალექსანდრე V უკვე მეფედ ზის[132].

1752 წელს, როცა იმერეთში სოლომონ I გამეფდა, რაჭის ერისთავად როსტომი იჯდა[133]. როსტომმა ამოსწყვიტა რაჭის თავაღები: ჯაფარიძეები, იაშვილები. გამოაძევა რაჭიდან წულუკიძეები და მათი მიწა-წყალი თვითონ მიითვისა; მიიტაცა აგრეთვე რაჭის დიდი აზნაურების ყიფიანების, ლიპარიშვილების, გამრეკელიძეების, იაშვილების სამფლობელოები, მას მიაყოლა სამეფო მამულებიც და ასე მთელ რაჭას დაეუფლა[134].

თავის მონაპოვართა დასაცავად ერისთავმა საჭირო წინასწარი ზომებიც მიიღო: ხიდისკარის კოშკები გაამაგრა[135], „ხუთასი მარად თავს მდგომნი" მცველი გაიჩინა[136]. მათი შეიარაღების საქმეც მოაწესრიგა: თოფის წამალი ერისთავის სასახლეში ბზადდებოდა[137].

ამის შემდეგ მან ხელი მიჰყო სააღმშენებლო მოღვაწეობას: 1753 წელს ბარაკონში კარის ახალი ეკლესია აიშენა[138]. 1754 წ.

130 პაპუნა ორბელიანი მამუკას გამეფებას 1745 წლის ქვეშ უჩვენებს (იხ „ამბავი ქართლისა", ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 382). მაგრამ ვახუშტის „ქორონიკონებით" ალექსანდრე V „კვალად განაძეს" იმერეთიდან და ოტია დადიანს შეეხიზნა 1746 წელს (იხ. გვ. 257). დოკუმენტური მონაცემებითაც მამუკა მეფედ ჩანს ამავე წელს (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 83). ამიტომ იმისი ტახტზე ასვლის 1746 წლით დათარიღება უფრო სწორი უნდა იყოს.

131 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 83.

132 იქვე, საბ. № 85. იხ. აგრეთვე პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 382.

133 როსტომი ერისთავად პირველად იხსენიება ალექსანდრე V-ის (1720—1752 წწ.) ერთ უთარიღო წყალობის წიგნში (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 100). თარიღიან დოკუმენტში კი — 1750 წლის 29 იელისს (იხ. სცია, ფ. 226(1), საბ. № 1181). როსტომის გაერისთავება მოხდა ამ მეფის ზეობის ბოლო ხანში, არაუგვიანეს 1750 წლის 29 ივლისისა. აღნიშნულ რიცხვში, როგორც ითქვა, როსტომი უკვე ერისთავად ზის (იხ. ზემოთ სქოლიო 129).

134 Акты, V, გვ. 91; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1790; თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი, აკაკის კრებული, 1899, № VII, განყ. II, გვ. 2—7.

135 იხ. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი..., გვ. 61, 64—65.

136 იქვე; თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი, თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი, აკაკის კრებული, 1899, № VII, განყ. II, გვ. 4.

137 იხ. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი..., გვ. 80.

138 გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 245—246.

წიხარე ხანში კი ველტყევის ეკლესია ააგო[139]. 1755 წ. კიდევ იერუსალიმში ააშენა დედათა მონასტერი[140]. ზედიზედ ასეთ მშენებლობათა წარმოება ერისთავის დიდ ეკონომიურ შესაძლებლობაზე მეტყველებს. მართლაც, მისი მარნები „ათასიანი ქვევრებით“ და „ბეღლები“ მარცვლეულით იყო სავსე. ხოლო სხვადასხვა პირუტყვთა „ჯოგი ოც ადგილს“ ეყენა, რომელსაც „ვერ იტევს მთა და ველობა“[141]. ამ დოვლათსა და მრავალრიცხოვან ყმა-მამულს ემყარებოდა მისი პოლიტიკური ძლიერება.

კაპიტან იაზიკოვის 1770 წლის ჩანაწერების მიხედვით, ერისთავი თვით მეფე სოლომონზე ბევრად უფრო მდიდარი იყო[142].

ერისთავის კარი კულტურის თავისებურ კერას წარმოადგენდა რაჭაში. როსტომი თავის დროის მიხედვით განსწავლული თავადი იყო. ზეპირად იცოდა სახარება და „ვეფხისტყაოსანი“[143]. არის ცნობა, რომ მას ჰქონდა „მდიდარი წიგნსაცავი“[144].

ლიხთ-იმერეთში ერისთავი დიდი გავლენით სარგებლობდა. ლიხთ-ამერეთშიც მას ანგარიშს უწევდნენ. ერეკლე II როსტომის „კარგად ბძანების დიდად მოწადე“ იყო[145]. ერისთავს ერეკლესათვის „სამასი... თუ ოთხასი... ცხენოსანი კაცი“ მუდამ „მზად ყოფით“ ჰყავდა. „მაგიერ კეთილმოქმედებაჲ“ ერეკლეც პირდებოდა[146].

განდიდებული ერისთავი საქართველოს გარეშეც იყო ცნობილი. რუსთ ხელმწიფე ეკატერინე II მას ოდიშისა და გურიის მთავრების თანაბრად იხსენიებდა და მიმართავდა როგორც დამოუკიდებელ მფლობელს[147].

---

139 გ. ბოკორიძე, დასახ. ნაშრ., საქ. მუზ. მოამბე, VIII, 1933—1934, გვ. 292—293.

140 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გაშოკლეევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, გვ. 81; პ. იოსელიანი. განხილვა რამდენთამე ზედ წარწერათა, „ცისკარი“, 1865, მაისი.

141 იხ. თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი ბიბაწერი, აკაკის კრებული, 1899, № VII, განყ. II, გვ. 5. შდრ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, საბ. № 436.

142 Грамоты..., I, стр. 195.

143 იხ. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი..., 92—99.

144 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 336.

145 ხელნაწერთა ინსტ., ფ. H, № 1334 („სამდივნო წიგნი“), გვ. 220г.

146 იქვე.

147 იხ. Грамоты..., I, стр. 62. (იმპერატრიცა ეკატერინე II-ის 1769 წლის დეკემბრის სიგელი). იხ. აგრეთვე, ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 193, სქოლიო 86.

სოლომონ I რაჭის ერისთავს თავის ყმად და „გარეთულ“ მოხელედ თვლიდა. ერისთავს კი თავისი თავი მეფის „სწორ“ დამოუკიდებელ მფლობელად მიაჩნდა. იგი მეფეს სწერდა:

„...ხელი აიღე რაჭაზედ,
მიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ სწორი გიდგები ძალაზედ,
რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გერიდები ამაზედ“[148].

თავის უძლეველობაში დარწმუნებული როსტომ ერისთავი თანაც მედიდურად საომრად იწვევდა მეფეს:

„თუ მიპირებ ამოწყვეტას, აწ მობრძანდი, რაღას ყოვნი,
ციხე მიდგას მაღალ კლდეზე და ზედ აკრავს ბარაკონი!
ხიდის-კარში მცველები მყავს და კოშკები სამაგრონი!
ჩემი იყო, ქვეც წაგართვი კუდარო და რაჭა-ონი!

ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,
თამარ მეფის მამობილსა ყმანი ჰყავდა ორად ბევრი.
მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი,
გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია შენი გერი“[149].

სოლომონ პირველისა და როსტომის თანამედროვეთა მიერ ამ ლექსად თქმულ ამბავში დაუჯერებელი არაფერია. ასევე წარმოგვიდგება როსტომ რაჭის ერისთავი დოკუმენტურ მონაცემებშიც[150].

რაჭის ერისთავის შეუზღუდავმა მოქმედებამ თავი იჩინა სარწმუნოებრივ აღმსარებლობის საკითხშიც. 1751 წელს როსტომმა და მისმა ძმამ ბესარიონ კათალიკოსმა[151] უარყვეს მართლმადიდებლური ქრისტიანობა და კათოლიკობა მიიღეს[152]. კათოლიკობა მიიღო როსტომის შვილმა გიორგიმაც. ამ სარწმუნოებაზე „დარჩნენ“ ისინი ბოლომდე. როსტომი დადად უწყობდა ხელს კათოლიკე მი-

---

148 სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი..., გვ. 60.

149 იქვე, გვ. 60—61.

150 სოლომონ I-ის მესამე თანამეცხედრე წულუკიძის ასული გულქანი თავად ქაჯაიას აზნაურის ქაჯაიას ნაცოლარი იყო (იხ. ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 179). ჰყავდა მასთან ვაჟიშვილი. ერისთავი ამას დასცინის მეფეს.

150 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563; საქ. სიძვ. III, საბ. № 587, გვ. 568—572.

151 ბესარიონ ერისთავის ძე კათალიკოსად იჯდა 1742—1769 წწ. (იხ. ბ. ლ ო ბ ი ხ ა ძ ე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 139).

152 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 366, 386.

სიოხერებს. ერისთავის სამფლობელო ონში პატრებს თავიანთი სახლი ჰქონდათ[153].

სოლომონ პირველს, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, „ფართო სამოქმედო გეგმა ჰქონდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის მოსპობა“[154]. ამ გეგმის განხორციელებისათვის მებრძოლ მეფეს რაჭის ერისთავი ვერ ითმენდა.

ავიდა თუ არა სოლომონი ტახტზე, ერისთავმა „მოიბირა“ ლევან აბაშიძე. „შეებნენ“ მეფეს 1752 წელს და „გადააგდეს ახალციხეს“[155]. სოლომონის წინააღმდეგ მოწყობილ ამ თავადურ აჯანყებაში მოხაწილეობდნენ მეფის დედა ლევან აბაშიძის ასული თამარ და ორი ბიძა — მამუკა და გიორგი[156].

სოლომონმა 1753 წელს მოახერხა იმერეთში თავის ხელისუფლების აღდგენა[157]. აჯანყების მონაწილეები მან მკაცრად დასაჯა.

---

153 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 386; მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII ს. მეორე ნახევარში. იტალიელი მწერლის მონსინიორე ლეონის ნაწერების ნაწყვეტი, თარგმნილი ბ. გიორგაძის მიერ, გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959 წ., 14, 16 აგვისტო №№ 95, 96.

154 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი. საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე). დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 354 (ქვეშოთ: საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო).

155 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563; პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 443; შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.), თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XLI, 1950, გვ. 73.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტის „ქორონიკონების“ მიხედვით, იმერეთის თავადებმა სოლომონი „განაძეს“ 1753 წელს (იხ. გვ. 257). მაგრამ ეს თარიღი სწორი არ არის. პაპუნა ორბელიანის ცნობით, იმერეთიდან სოლომონის გაძევება 1752 წ. მოხდა (იხ. მისი დასახ. თხზულება, გვ. 443). იმავე თარიღითაა ნაჩვენები ეს ფაქტი ავსტრიის კონსტანტინოპოლელი ელჩის პენკლერის ცნობაშიც იხ. H a m m e r, Geschichte des osmanischen Reiches, IV, 1836, გვ. 476). ქართული დოკუმენტური მასალებითაც სოლომონი ტახტიდან გადააგდეს გამეფებისთანავე, ე. ი. 1752 წელს (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563). ამიტომ მის წინააღმდეგ მოწყობილ პირველ თავადურ აჯანყების თარიღად ეს წელი უნდა ჩავთვალოთ.

156 იხ. H a m m e r, Geschichte..., IV, 1836, გვ. 476; შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 73—74.

157 ვ ა ხ უ შ ტ ი. ქორონიკონები, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 257, 1753, წლის ქვეშ; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563.

„თავისი ღვიძლი დედაც... იმერეთიდან გაძევა“ და იგი ოდიშში ცხოვრობდა[158].

ერისთავის დასჯა კი მეფემ ვერ გაბედა. სოლომონმა მასთან შერიგება არჩია: „შეიწყალა ერისთავი როსტომ და დაადგინა ერისთავად“[159].

„შეწყალებულმა“ როსტომმა 1757 წელს კვლავ სცადა მეფის თავიდან მოშორება. ამ დროს მეფის პოზიციები მნიშვნელოვნად იყო განმტკიცებული. ერისთავის მიერ შეეიწროებულ თავადებს: წულუკიძეებს, ჯაფარიძეებს, იაშვილებს, წერეთლებს, აგიაშვილებს მეფის ირგვლივ მოეყარათ თავი და ხსნას მისგან მოელოდნენ. დადიანიც ამ ხანში სოლომონს ერთგულებდა[160]. მაგრამ სამაგიეროდ ერისთავს არგვეთის დიდი თავადი ლევან აბაშიძე უჭერდა მხარს. ტყვეთა სყიდვის აღკვეთისათვის მებრძოლი მეფე ოსმალეთსაც არ მოსწონდა და მის წინააღმდეგ ლაშქრობას აპირებდა. ასეთ ვითარებაში ერისთავი და მხსი მომხრე აბაშიძე ოსმალეთს დაუკავშირდნენ: „შეიერთა“ როსტომმა აბაშიძე, „მოიყვანეს ოსმალთ ჯარი და დაესხნეს... სოლომონს ხრესილს“ 1757 წელს[161]. მაგრამ გამარ-

---

158 Грамоты..., I, გვ. 362.

აჯანყების მონაწილეთა დასჯის შესახებ ვრცლად იხ. შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 74—75, იხ. აგრეთვე, ქვემოთ, აბაშიძეთა სათავადო.

159 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563.

160 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 178—179.

161 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ № 1563; ე. თაყაიშვილი. საისტორიო მასალანი, ძველი საქართველო, II, განყ. III, გვ. 72; პაპუნა ორბელიანი. აბბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 473.

პაპუნა ორბელიანის, ერთი ეამგულანისა და შემოქმედის გულანის მინაწერების, კათოლიკე ბისიონერის ლეონისა და „იმერეთის ქრონიკების“ ცნობებით, ხრესილის ომი ბოლდა 1757 წ. (იხ. პაპუნა ორბელიანი, დასახ. თხზულება, გვ. 437; „მცირე ქრონიკები“, გამოც. ჯ. ოდიშელისა, გვ. 70, მინაწ. 21, გვ. 75, შინაწ. 19; მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII ს. მეორე ნახევარში, გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959 წ. 14 აგვისტო, № 95; ქრონიკები, III, გვ. 639).

ერთი ქრონიკის ცნობით — 1756 წელს (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 337).

„თოფურიასეული ქრონიკის“ ცნობითაც — 1756 წელს (ქრონიკები, III, გვ. 638. ორი უკანასკნელი ქრონიკის ცნობები, შეიძლება ერთი წყაროდან მომდინარეობენ).

კიდევ ერთი ქრონიკის ცნობით კი — 1758 წელს (იხ. „მცირე ქრონიკები“, გამოც. ჯ. ოდიშელისა, გვ. 59, მინაწ. 45).

აქედან უპირატესობა იმ ცნობებს უნდა მიენიჭოს, რომელნიც ხრესილის ომის თარიღად 1757 წელს სდებენ. მნიშვნელოვანია ის, რომ პაპუნა და ლეონი ამ ომის თანამედროვენი იყვნენ. ამდენად მათი ცნობები, რომლებსაც სხვა წყა-

ჯვება მეფეს დარჩა. აბაშიძე ომში მოკლეს[162], ერისთავი გაიქცა[163].

მიუხედავად გამარჯვებისა, მეფე მაინც მოერიდა ერისთავის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას. „მიუტევა უსჯულოება და სასიკვდილონი ორგულობანი". კვლავ შემოირიგა იგი და ისევ რაჭის ერისთავად დატოვა[164].

ამის შემდეგ მეფესა და ერისთავს შორის ერთხანს კეთილგანწყობილება სუფევდა. ამის უეჭველი მოწმობაა ის, რომ 1760 წ. ურეკლე II-ის საშველად განჯის ლაშქრობაში წასულ სოლომონს მხარში ედგა რაჭის ერისთავი როსტომი[165]. მაგრამ ეს განწყობილება მალე დაირღვა.

სოლომონ პირველმა, როგორც ცნობილია, ტახტზე ასვლისთანავე აკრძალა ტყვეთა სყიდვა, რომელიც ქვეყანას გადაშენებას უქადდა. აკრძალა იგი „მკაცრი ჯარიმით და თვით სიკვდილის სას-

---

როთა ძონაცემებიც ემთხვევიან, სარწმუნოა. იმ ცნობებიდან, რომელნიც ხრესილის ომს 1757 წლით ათარიღებენ, ყველაზე ზუსტი მაინც „ქართველთა" ცნობაა, სადაც ამ ომის თარიღი დასახელებული წლის 14 დეკემბრის კვირა დღით არის აღნიშნული (იხ. იქვე, გვ. 70, შინაწ. 21). როგორც ჯ. ოდიშელმა გაარკვია, „1757 წლის 14 დეკემბერი მართლაც კვირა იყო" (იქვე კომენტარი 192). ამგვარად, ხრესილის ომის თარიღად ხსენებული წლის 14 დეკემბერი უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ სოლომონ პირველის 1768 წლის ერთი არაპირდაპირი ცნობის („ათორმეტი წელიწადი არის, რომ ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს") საფუძველზე შ. ბურჯანიძე ხრესილის ომის თარიღად 1756 წელს სდებს (იხ. ძისი სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.), თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XLI, 1950, გვ. 85). მაგრამ ამ ომის თარიღის განსაზღვრისას აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობა, პირდაპირ მონაცემთა არსებობის პირობებში, არ არის მართებული.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემოქმედის გულანის მინაწერის ის ცნობა, სადაც ხრესილის ომის თარიღია მოცემული, სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვაგვარად არის აღნიშნული: დიმ. ბაქრაძის „Арх ологические путешествие"-ში ამ ომის თარიღად ნაჩვენებია ქრონიკონი უმვ (1758 წ.) (იხ. გვ. 152); ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში — უმზ (1759 წ.) (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. I., თბილისი, 1757, გვ. 122, მინაწერები კვინკლოსზე, 10); ჯ. ოდიშელის მიერ გამოცემულ „მცირე ქრონიკებში" — უმე (1757 წ.) (იხ. გვ. 75, შინაწ. 19). ყველაზე ზუსტად დედნის საკითხავი ჯ. ოდიშელის გამოცემაშია დაცული.

162 იხ. აბაშიძეთა სათავადო.

163 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd. საბ. № 1563; პაპუნა ორბელიანი. დასახ. თხზულება, გვ. 473; ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 72; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 178; საქ. სიძვ.. III, გვ. 569—570.

164 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563; საქ. სიძვ., III, გვ. 596—570.

165 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 378.

ჯელით"[166]. ტყვეთა მუშტარი კი დასავლეთ საქართველოში თურქეთი იყო. ქართველი ტყვეებით ვაჭრობა მას დიდ მოგებას აძლევდა. სულთნის ვასალის, იმერთა მეფის ასეთი ღონისძიება ბრწყინვალე პორტას წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა[167]. სოლომონის განკარგულებით უკმაყოფილო თურქეთმა არა ერთხელ მისცა მას წინადადება ტყვეთა სყიდვის აკრძალვის გაუქმების შესახებ, მაგრამ მეფემ არა თუ გააუქმა თავისი დადგენილება, არამედ მთელი სისასტიკით ატარებდა ცხოვრებაში[168]. ამიტომ ურჩი ქვეშევრდომის დასაბრჩილებლად, სულთნის ბრძანებით, 1760 წლიდან დაიწყო ზედიზედ თურქთა ლაშქრობა იმერეთში[169].

პირველი ლაშქრობა, რომელსაც მოლა-აბდულა ფაშა მეთაურობდა, აღნიშნულ წელსვე მოხდა, მეორე — 1761 წელს, მესამე— 1763 წელს და მეოთხე კი — 1765 წელს[170].

1763 წელს თურქთა ჯარი ორ ნაწილად შემოვიდა იმერეთში. ერთ ნაწილს სარი-აბდულა-რიმან ფაშა სარდლობდა, მეორეს — ასან ფაშა. 1765 წელსაც თურქთა ჯარის სერასკერი ასან ფაშა იყო[171].

თურქთა ლაშქრობის პირველ წელს როსტომმა თავი შეიკავა მეფის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლისაგან. მაგრამ მეორე ლაშქრობისას, 1761 წელს, ერისთავმა „კვალადცა მსგავსებითა იუდასიოა აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა"[172]. ამიერიდან თურქთა ლაშქრობის მთელ პერიოდში რაჭის ერისთავი მათი მეგზურია ან იმერეთში შეშოსვლისთანავე უერთდება თურქებს და მათთან ერთად იბრძვის სოლომონის წინააღმდეგ[173]. ამ ბრძოლაში, როგორც ერთი იტალიელი ავტორის ცნობიდან ჩანს, ერისთავს ახლა მხარს უჭერს ოდიშის მთავარი[174] კაცია II დადიანი, რომელიც ერისთავის დისწულია (იხ. ქვემოთ).

---

166 Грамоты.... I, стр. 15, 33—34, 191—192.

167 შ. ბურჯანაძე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, თბილისის სახ. უნტ-ის შრომები, XLI, 1950, გვ. 78.

168 Акты, I, стр. 56—57; Грамоты..., I, стр. 15, 33—34.

169 Грамоты..., I, стр. 15—16. იხ. აგრეთვე, გვ. 33—34, 191—192.

170 იქვე, გვ. 15—16.

171 Грамоты..., I, стр. 15.

172 საქ. სიძვ., III, გვ. 569—570; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563.

173 იქვე.

174 იხ. მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან.., გაზ. „კომუნარი" (ამბროლაურის), 1959, 16 აგვისტო, № 96.

პირველი სამი შემოსევის დროს სოლომონმა სასტიკად დაამარცხა თურქები. მაგრამ რაჭის ერისთავი კვლავ დაუსჯელად რჩებოდა. მეტად მძიმე საგარეო და საშინაო ვითარებაში (თავად-აზნაურთა ნაწილი მოღალატე ერისთავსა და თურქ ინტერვენტებს ემხრობოდა)[175] მეფეს ერისთავის „შეწყალების“ გარდა სხვა გზა არ ჰქონდა. მეფემაც „შეიწყალა“ იგი: „მისცა სამკვიდრებელი თვისი[176] (ფორმალურად, ფაქტიურად ერისთავს ის ჰქონდა). მაგრამ ერისთავი მაინც არ გამოეთიშა მეფის მტრებს.

1765 წელს, როცა ასან ფაშა მრავალრიცხოვანი ლაშქრით იმერეთში შემოვიდა, როსტომი კვლავ „შეუერთდა“ თურქებს. მტრებმა ამჯერად სძლიეს სოლომონს: „განდევნეს“ იგი და „დაკარგეს“. იმერეთის მეფედ კი ამავე წელს მისი ბიძაშვილი და როსტომ რაჭის ერისთავის სიძე თეიმურაზ ბატონიშვილი დასვეს[177].

სოლომონის პოლიტიკით უკმაყოფილო თეიმურაზი[178] ჯერ კიდევ 1763 წელს ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა და მეფობის მა-

---

175 Грамоты..., I, стр. 16.

176 ხელნაწ. ინსტ.. ფ. Sd, საბ. № 1563; საქ. სიძე., III, გვ. 569—570.

177 Грамоты..., I, стр. 15—16, 31; Hammer, Geschichte..., IV, 1836, გვ. 559 — 560; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563; საქ. სიძე. III, გვ. 569—570; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გამოც. თ. ლომოურისა, თბილისი, 1941, გვ. 10, 53; მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959, 16 აგვისტო, № 96 (2756); შ. ბურჯანაძე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი..., თბილისის სახ. უნ-ტის შრომები, XLI, 1950, გვ. 96—102.

178 თეიმურაზი იყო ალექსანდრე V-ის ძმის მამუკას შვილი (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 205, შდრ. გვ. 169). 1772 წელს გიულდენშტედტი თეიმურაზს ცოცხლად იხსენიებს (იქვე). ცოცხალი ჩანს იგი 1783 წელსაც (იხ. მოსკოვის ЦГВИА СССР, ф. 52, оп. I/194, св. 109, д. 286, ч. II, лл. 40—41. ამ წყაროდან ამონაწერი გაგვაცნო ისტ. მეცნ. კანდ. ზ. ცქიტიშვილმა, რასაც მადლობით აღვნიშნავთ).

გამარჯვებულ სოლომონს თავის მეტოქე ბატონიშვილი სასტიკად დაუსჯია: თვალები დაუთხრია და მოდინახეს ციხეში ჩაუსვამს (მოდინახეს ციხე სოლომონ I-ის ერთგულ თავად წერეთლებს ეკუთვნოდათ). ციხეშია თეიმურაზი აღნიშნულ წელსაც (იქვე; მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959 წ. 16 აგვისტო, №96, შდრ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია..., გვ. 10, 53). ცდება უთუოდ ხოჯავანათ იოვანეს ქრონიკა, რომელიც თეიმურაზის გარდაცვალებას 1772 წლის 30 სექტემბერს („ენკენისთვეს“) და დასაფლავებას 5 ოქტომბერს („ღვინობისთვეს“) უჩვენებს (ხელნაწ. ინსტ., ფ. H. № 2782, გვ. 18). ცდებიან აგრეთვე დავით და ბაგრატ ბატონიშვილები, როცა თეიმურაზის გარდაცვალე-

ძიებელი თურქებს ტყვეებით ვაჭრობის აღდგენას ჰპირდებოდა, თუ მას იმერეთის ტახტზე დასვამდნენ[179]. გამეფებული ბატონიშვილიც დაპირებას ასრულებდა, მაგრამ სოლომონმა თავისი ერთგული წერეთლებისა და სხვათა მხარდაჭერით სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგეები ჩხართან 1768 წელს და დაიბრუნა მეფობა[180].

მეფობის მტკიცედ შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო ერისთავის დამორჩილება. დღემდე ამ მიმართულებით მეფემ მხოლოდ ის შეძლო, რომ 1767 წელს „იხმო მხედრობა ლაკთანი", თავს და ესხა რაჭას და ააოხრა[181].

ინტერვენტების დამარცხების შემდეგ, სოლომონმა მთელი თავისი ძალებით დაიწყო ბრძოლა ერისთავის წინააღმდეგ. 1768 წელსვე თავის ერთგულ იმერლებითა და ლეკთა დაქირავებული რაზმებით მეფე რაჭაში შეიჭრა. საერისთავოს სოფლები გადასწვა, აზნაურები მძევლებად წამოიყვანა, პირუტყვიც წამოასხა. ერისთავი დადიანთან დაიმალა[182].

1769 წლის 28 იანვარს სოლომონი ისევ შეიჭრა რაჭაში[183]. მაგრამ ერისთავი კვლავ გაიქცა. ამის შემდეგ კიდევ მეფემ რამდენჯერმე ილაშქრა საერისთავოში[184], მაგრამ ერისთავის დამორჩილება ვერ მოხერხდა.

ბის თარიღად 1767 წელს დებენ (იხ. პირველის ახალი ისტორია, გვ. 10, მეორის —ახალი მოთხრობა, გვ. 53).

179 მოსკოვის АВПР МИД СССР, ф. «Сношения России с Турцией», д. № 339, лл. 53, 54. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში დაცული პირი—საქმე № 12, გვ. 1; საქმე № 15, გვ. 2.

180 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 169; Грамоты..., I, стр. 19, 31, შდრ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია..., გვ. 10.

181 ქრონიკები, III, გვ. 296; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია..., გვ. 10; მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი" (ამბროლაურის), 1959, 16 აგვისტო, № 95. შდრ. Грамоты..., I, стр. 70.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ წელს რაჭიდან მომავალ ლეკებს „ერეკლე შეფემ შეუკრა იორში გასასვლელი გზები", დაამარცხა ისინი და „ნარბევი დაყარეინა" (იხ. ქრონიკები, III, გვ. 296).

182 Грамоты..., I, გვ. 17, 31—32; მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი" (ამბროლაურის), 1959 წ., 16 აგვისტო, № 96.

183 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური), გვ. 5.

184 იქვე; Грамоты..., I, стр. 73.

მეფე ლეკთა რაზმებით რაჭაზე თავდასხმას განაგრძობდა[185]. შევიწროებული როსტომი გამოსავალს ეძებდა. სოლომონის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად ერისთავმა თავისი შვილი ეგორი (იგივე გიორგი) დიდ ყაბარდოს მთავართან გაგზავნა. მაგრამ მისგან დახმარება ვერ მიიღო[186].

როსტომმა თავისი ძმა ბესარიონ კათალიკოსიც აამოქმედა. შველის სათხოვნელად იგი ჯერ კიდევ 1768 წელს წარავლინა საიდუმლოდ ახალციხის ფაშასთან. მას მიჰყვებოდა მეფის ბიძა ქაიხოსრო აბაშიძე. მაგრამ ფაშა ამ დროს სოლომონთან დაზავებული იყო და დამარცხებული ერისთავის მხარდაჭერას, რუსეთ-თურქეთის ომის ვითარებაში, სოლომონის გულის მოგება ამჯობინა. ამიტომაც არათუ დაეხმარა ფაშა რაჭის ერისთავს, არამედ მისი მოციქული კათალიკოსი დააპატიმრა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდხილმა მღვდელთმთავარმა (იგი ციხის „ბუხარში" ყოფილა შეწყვდეული) მოახერხა საპყრობილედან გაქცევა და დადიანს შეაფარა თავი[187]. რაჭა ამ დროს უკვე მეფეს ეკავა.

ერისთავმა დახმარებისათვის ერეკლე მეორესაც მიმართა[188]. მაგრამ ერეკლეს 1758 წლიდან სოლომანთან სამხედრო კავშირის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული[189] და ქართლ-კახეთის მეფემ ერისთავს დახმარება არ აღმოუჩინა.

ერისთავის მდგომარეობას ართულებდა რუსეთ-თურქეთის ომი და მასთან დაკავშირებით 1769 წლის ზაფხულის ბოლოს ქართლში რუსთა სამხედრო კორპუსის გამოჩენა, რომელიც იმერეთში თითქოს სოლომონის შემწედ მოდიოდა. „რუსების შიშით" ერის-

---

185 Грамоты..., I, стр. 73.

186 იქვე, გვ. 418—420.

187 იქვე, გვ. 31—32; მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან.... გაზ. „კომუნარი" (ამბროლაურის), 1959, 16 აგვისტო, № 96.

თავად ამილახორის 1769 წლის ჩანაწერის მიხედვით, ახალციხიდან გამოქცეული ბესარიონ კათალიკოსი იმერეთში მოვიდა (იხ. Грамоты..., I. стр. 32). მაგრამ ეს ცნობა სწორი არ უნდა იყოს.

188 Грамоты..., I, стр. 422.

189 პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 474.

თავის მომხრეებიდან ვერავინ ბედავდა მის დახმარებას[190]. ამ მომენტმა დიდად შეუწყო ხელი სოლომონს ერისთავთან ბრძოლაში.

მრავალგზის თავდასხმის მიუხედავად, ერისთავი მეფემ ხელთ ვერ იგდო. ამიტომ სოლომონმა მასთან ისევ „შერიგება“ არჩია. 1769 წლის მაისში მეფესა და ერისთავს შორის ზავი დაიდო და ერთმანეთს „საუკუნო მშვიდობა“ შეფიცეს[191]. მაგრამ ეს მშვიდობა მოჩვენებითი იყო. სამი თვის შემდეგ ფიცით მინდობილი ერისთავი სოლომონმა მთელი თავისი ოჯახით შეიპყრო. რადგან მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა რაჭის საერისთავოს არსებობის პირობებში შეუძლებელი ხდებოდა, მეფემ გააუქმა ეს საერისთავო. როსტომი და მისი შვილები კი მკაცრად დასაჯა: თვალები დათხარა და ყმა-მამული ჩამოართვა. ერისთავების სამფლობელო სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ნაწილი კიდევ თავის ერთგულ წერეთლებს უბოძა[192]. ერისთავის მიერ დაკვნილ წულუკიძეებსა და ჯაფარიძეებს თავიანთი მიწა-წყალი დაუბრუნა[193].

მეფემ „დასდვა წერილი წყევით და შეჩვენებით მსოფლიოთა პატრიარხთაგან, რათა დასასრულამდე ქვეყნისა ძენი და ძის ძენი და 'მთამომავლობანი“ რაჭის ერისთავთა „არღარა მიღებულ იქმნენ მემკვიდრედ რაჭისა“[194].

---

190 იხ. შ. ბურჯანაძე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი..., თბილისი, სახ. უნტ-ის შრომები, XLI, 1950, გვ. 106—107.

191 «Присягою между собою утвердили вечной мир» (იხ. Грамоты..., I, стр. 73—74).

192 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563; საქ. სიძვ., III, გვ. 569—570; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 179; Грамоты..., I, გვ. 74, 101, 195; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი ქრონიკა, გვ. 54; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 190—111; მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959 წ. 16 აგვისტო, № 96.

193 Акты, V, стр. 91; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1790.

194 საქ. სიძვ., III, გვ. 570.

ეს მოხდა 1769 წლის სექტემბერს[195] ვარციხეში[196].

ამ დროს როსტომის ძმა ბესარიონ კათალიკოსი, როგორც ვნახეთ, ოდიშს იყო გადახვეწილი. ამავე წლის გაზაფხულს სოლომონმა გადააყენა იგი კათალიკოსობიდან და მის ადგილზე საეკლესიო კრებამ აღნიშნული წლის 10 მაისს მეფის ძმა გელათის მიტროპოლიტი იოსები აკურთხა[197]. ამგვარად, ბესარიონის გადაყენება როსტომისა და მის ძეთა დაპატიმრებაზე ადრე მოხდა.

ბესარიონმა ოდიშის სამთავროში ახალ წარმატებას მიაღწია. გიულდენშტედტის ცნობით, დადიანმა, სოლომონთან „მტრობის გამო, განათავისუფლა თავისი ეპისკოპოსები“ „იმერეთის კათალიკოსის“ დამოკიდებულებისაგან, ოდიშის „პატრიარქად“ ბესარიონი დასვა და იქაური ეპისკოპოსები მას დაუქვემდებარა[198].

---

195 ზოგიერთი ცნობით, როსტომ ერისთავი მეფემ „წაახდინა“ 1768 წელს (იხ. დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გვ. 54; Е. Такайшвили. Материалы для истории Грузии, Тифлис, 1895, стр. 16). მაგრამ წყაროთა უმრავლესობა როსტომისა და მის ძეთა დაპატიმრება-დასჯას 1769 წლის ქვეშ უჩვენებს (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური), გვ. 7; გ. ბოქორაძე, ფურცელაანთეული ქრონიკა, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 179; Грамоты..., I, стр. 74; Е. Такайшвили. Материалы для истории Грузии, стр. 58). უპირატესობას უმრავლესობას ვანიჭებთ. ერისთავთა „წაახდენის“ თარიღის ძიებასთან დაკავშირებით, ისტორიული ამბების თანმიმდევრულ მსელელობაზე დაკვირვებასაც სწორედ აღნიშნულ წელთან მივყვევართ.

ხოჯავანათ იოვანეს დღიურის მიხედვით, მეფემ „უღალატა“, ე. ი. შეიპყრო და თვალები დათხარა ერისთავებს 1769 წლის 8 სექტემბერს (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 7). ფურცელაანთსეული ქრონიკით კი — აღნიშნული წლის 15 სექტემბერს (იხ. საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 179). ამ ორი რიცხვიდან რომელია სწორი, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ეს ფაქტი სექტემბრის პირველ ნახევარში მოხდა.

196 ხალხური გადმოცემით, ერისთავების დასჯა მოხდა გეგუთში, თავად ლევან იაშვილის სასახლეში (იხ. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, გვ. 78—80, 83—99; თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი შინაწერი, აკაკის კრებული, 1899, № VII, განყ. II, გვ. 2). ხოჯავახათ იოვანეს ქრონიკით კი — ვარციხეში (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 7).

197 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური), გვ. 6; ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისთვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 134—135.

198 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 321; ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 135.

ამრიგად, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის წყალობით (დადიანის მტრული განწყობილება სოლომონ პირველთან და უკანასკნელის ბრძოლა რაჭის ერისთავთან) დასავლეთ საქართველოში 1769 წლიდან ორი კათალიკოსი გაჩნდა: იმერეთში იოსები და ბესარიონი — ოდიშში[199]. ეს იყო ოდიშის სამთავროს იმერეთის სამეფოსაგან ეკლესიურადაც გამოყოფის ცდა. მაგრამ ბესარიონ კათალიკოსს დიდ ხანს არ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1773 წ. 15 დეკემბერს[200]. მისი სიკვდილის შემდეგ ოდიშის სამთავროში ცალკე კათალიკოსი არ მჯდარა[201].

რაც შეეხება როსტომს, 1770 წლის 5 აპრილს ჯერ კიდევ პატიმრობაშია[202]. 1773 წელს კი პატიმრობიდან გათავისუფლებულია. 1787 წლის 16 აგვისტოს იგი ცოცხალია. უკანასკნელად ვხედავთ მას 1790 წლის 9 აპრილით დათარიღებულ ერთ „საფიცრის" წიგნში[203]. მისი გარდაცვალება ამ წლის ახლო ხანსაა სავარაუდებელი ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული წლის აპრილის შემდეგ ის ცოცხლად არ იხსენიება[204].

როსტომის შვიდი ვაჟიდან, სასტიკი სასჯელის შემდეგ, ცოცხა-

---

199 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 135.

200 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური), გვ. 23.

201 ბ. ლომინაძე დასავლეთ საქართველოში ორი კათალიკოსის არსებობის პერიოდს 1769—1773 წლებით განსაზღვრავს (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 135), რაც უეჭველად სწორია. შდრ. შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი..., თბილისის სახ. უნტ-ის შრომები, XLI, 1950, გვ. 106.

202 Грамоты..., I стр. 218.

203 სცია, ფ. 226 (1), საბ. № 3192; ქუთ. მუზ. საბ. № 269; მეფე სოლომონ I-ის და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი" (ამბროლაურის), 1959 წ. 16 აგვისტო, № 96.

იტალიელი მისიონერის ლეონის ცნობით, დაბრმავებული როსტომ ერისთავი „მსახურობს იმერეთის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში" (იხ. მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი" (ამბროლაურის), 1959 წ. 16 აგვისტო, № 96), მაგრამ ეს ცნობა საეჭვოა. მას არც ერთი წყარო არ ემოწმება.

204 როსტომ ერისთავის გარდაცვალების თარიღი მის საფლავის ქვის წარწერაში 1766 წლის ქვეშაა ნაჩვენები (იხ. გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 248; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური შოგზაურობა რაჭაში, თბილისი, 1963, გვ. 111), რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, უდავოდ მცდარია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როსტომ ერისთავი გვხვდება 1790 წლის შემდეგაც: 1803, 1811, 1815, 1824 წლებში (იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 142, 346, 1820; სცია, ფ. 226(1), საბ. № 7136). მაგრამ ის როსტომის შვილიშვილის ანტონის ძეა (იხ. იქვე) უკანასკნელ წელს იგი უკვე პოდპორუჩიკის ხარისხით ჩანს (ქუთ. მუზ. საბ. № 1820).

ლი დარჩა მხოლოდ ოთხი: გიორგი, მეთოდე („ნაბერალი“ იყო, სოლომონ პირველის დროს მდივანბეგის სახელო ეკავა)[205], ღიმიტრი და კიდევ ერთი. ესენი საპყრობილედან გაიქცნენ და თურქეთს შეეფარნენ[206].

XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოში მყოფი ერთი იტალიელი მისიონერის ლეონის ცნობით, ვინც ერისთავებს „თვალებს უწვავდა... სიბრალულით ეპყრობოდა მათ... სიღრმეში... სინათლეს უტოვებდა“[207]. ამ ცნობის სისწორეს სარწმუნოდ ხდის ერისთავთა გაქცევა პატიმრობიდან, რაც უსინათლოთათვის შეუძლებელი იქნებოდა. ერისთავთა მიმართ მათი თვალების მთხრელის სიბრალულის შესახებ ცნობა დაცული აქვს აგრეთვე ბაგრატ ბატონიშვილსაც[208].

ზემოხსენებული ლეონის ცნობით, თვალდამწვარ ერისთავებს თურმე კათოლიკე ბერი დიონისი მკურნალობდა. „მან საექიმო ხელოვნებით იმას მიაღწია“, რომ ერისთავებს „თვალებში პირვანდელი სინათლე დაუბრუნა“[209]. შეიძლება აქ დიონისის „საექიმო ხელოვნება“ გაზვიადებულად იყოს წარმოდგენილი, მაგრამ, რო-

---

205 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 2948, 2955; საქ. სიძვ., III, გვ. 570; სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი..., გვ. 54.

206 საქ. სიძვ. III, გვ. 570; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 211; დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი მოთხრობა, გვ. 54; ქუთ. მუზ. საბ. № 107; Акты..., I, тр. 566.

207 მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაური), 1959 წ. 16 აგვისტო, № 96.

208 იხ. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი მოთხრობა, გვ. 54.

209 მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან..., გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959, 16 აგვისტო, № 96.

კათოლიკე მისიონერ ლეონის თქმით, როცა სოლომონ მეფემ გაიგო როსტომისა და მისი შვილი გიორგისათვის „სინათლის დაბრუნება“, დააპატიმრებინა ისინი და „ხელახლა დათხარა თვალები მამასა და შვილს იმნაირად, რომ დღეს ისინი მართლა ბრმები და უსინათლონი არიან“ (იხ. იქვე). მაგრამ ეს ვერსია სწორი არ არის. ის დიონისე ბერის „საექიმო ხელოვნების“ სადიდებლად უნდა იყოს შეთხზული. როსტომისათვის თვალები მეორედ რომ დაეთხარათ, არ შეიძლებოდა ეს რომელიმე სხვა წყაროში არ ასახულიყო, არ შეიძლებოდა ეს არ ასახულიყო, კერძოდ ხალხურ თქმულებაში, სადაც სოლომონ პირველისა და როსტომის დამოკიდებულების შესახებ მდიდარი მასალაა შემონახული. უკანასკნელი უთუოდ მაშინვე „წაახდინეს“ და შემდეგ მას სინათლე არ ძოსელია. ძისი შვილი გიორგი კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თავიდანვე მხოლოდ ცალი თვალით იყო დაბრმავებული და ასე გაიქცა თურქეთში.

რაც შეეხება ლეონის ცნობას, იმერეთიდან გორში მიმავალ ერისთავებს მკურნალი ბერის დიონისის გზაზე მოკვლის შესახებ სოლომონის განკარგუ-

გორც შემდეგდროინდელი ამბებიდან ჩანს, ერისთავის ძე მეთოდეს მხედველობა მართლაც არ დაუკარგავს.

1772 წელს ერისთავის შვილმა მეთოდემ და მასსავით თურქეთს შეხიზნულმა ქაიხოსრო აბაშიძემ (იხ. აბაშიძეთა სათავადო) სცადეს სოლომონის ტახტიდან გადაგდება: „ლეკის ჯარი" შემოიყვანეს იმერეთში და „ეწყვნენ" მეფეს სოფელ ჩხერს. მაგრამ სოლომონმა სასტიკად დაამარცხა ისინი[210]. ერისთავის ძე და აბაშიძე გაიქცნენ.

1774 წელსაც სოლომონის დასამხობად მომავალ ოსმალ-ლეკთა ჯარს მეთოდე მოუძღოდა წინ. ომი ისევ ჩხერს მოხდა. მეთოდემ აქ ერთხელ კიდევ „აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა"[211]. მაგრამ ბედმა უმტყუნა. რენეგატი თავადი ტყვედ ჩაუვარდა სოლომონს და რასაც 1769 წელს გადარჩა, ახლა მიუზღო მეფემ: დასთხარა ორივე თვალი და იმერეთიდან გააძევა[212].

დამარცხებული ერისთავის ძე ერეკლე მეორემ შეიფარა. უბოძა მას, როგორც ზემოთ ითქვა, ქართლში სოფელი ტირძნისი იქ მოსახლე „მემკვიდრე კაცებით". მეთოდე დიდხანს დარჩა აღმოსავლეთ საქართველოში. მხოლოდ 1799 წელს მოვიდა იგი იმერეთში და სოლომონ II-ეს „სარჩო მამული" სთხოვა (იხ. ზემოთ). მეფემ დროებით „საცხოვრებლად" მიუჩინა მისგან და მისი მამისა და

ლებით (იხ. ი ქ ვ ე), ეს შეიძლება მართალი იყოს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ ხოჯავანათ იოვანეს დღიურში 1771 წლის 6 ივნისის ქვეშ ნაჩვენებია დიონისის ქუთაისიდან რაჭაში წასვლა, ხოლო ამავე წლის 18 ივნისს — მისი გარდაცვალება. აღნიშნულ წლის 22 ივლისში კი იოვანე წერს: „ოსების ღალატით გაკიგონე" დიონისეს სიკვდილი ბაჯისხევშიო (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 13). დასაშვებია ერისთავებთან კეთილგანწყობილ კათოლიკე ბერის „ღალატში" მეფის ხელი ერიოს.

210 იხ. ქრონიკები, III, გვ. 330, 639, 643. შდრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბილისი, 1954, გვ. 387.

211 საქ. სიძვ. III, გვ. 570; ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 24; Грамоты.... I, стр. 401—402.

სოლომონ პირველს, როგორც ჩანს, არაერთხელ უომია აგრესორებთან ჩხერს და გაუმარჯვია. თუ ჩვენი ქრონიკების მონაცემები სწორია, 1773 წლის ქვეშ კიდევ არის აღნიშნული „ჩხერს ლეკს მეფეს გაემარჯვა" (ქრონიკები. III. გვ. 638. იხ. აგრეთვე, გვ. 330, 637). ჩხერთან მეფის გამარჯვებას ამ ადგილის, სტრატეგიული თვალსაზრისით, მოხერხებული მდებარეობაც უწყობდა ხელს.

212 საქ სიძვ., III, გვ. 570; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 11309.

ხოჯავანათ იოვანეს ცნობით, „მეთოდე ერისთავის შვილი დაიპერეს და თვალები დასწვეს" 1774 წლის 7 თებერვალს (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. H, 2782, გვ. 24). ჩხერის ომი კი ამ წლის 6 თებერვალს მოხდა (Грамоты..., I, стр. 402). ჩანს, ძეთოდე შეორე დღეს დაუპერიათ ან ხოჯავანათ იოვანეს ჩანაწერი მცდარია.

ძმებისაგან ჩამორთმეული ბარაკონის ეკლესიის ყმა-მამული. მომავლისათვის კი „სხვა მამულის გამორჩევასა“ და მიცემას დაპირდა[213].

ბეთოდეს უფროსი ძმა გიორგი, რომელიც 1769 წელს ცალი თვალით იქნა დაბრმავებული („შეარჩინა ერთი თვალი ჯალათმან“)[214], ერთ ხანს სტამბოლს იმყოფებოდა სულთანის სამსახურში, სადაც „ქიორ-ბეის“ სახელით იყო ცნობილი[215].

1784 წელს, სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის ტახტის გამო ბრძოლა რომ დაიწყო, ერისთავის ძე გიორგი (ქიორ-ბეი) სულთნის მხარდაჭერით დაიმედებული, იმერეთში გასამეფებლად გამოემგზავრა[216]. იმერეთის სამეფო ტახტზე თურქეთის კანდიდატის ასვლა იქნებოდა დასავლეთ საქართველოში პორტას პოზიციების გამტკიცების საიმედო გარანტია. მაგრამ ქიორ-ბეის მოსვლამდე დავით გიორგის ძე უკვე ავიდა ტახტზე. გაიგო რა ეს, მეფობის მაძიებელი კვლავ თურქეთს გაბრუნდა[217].

სოლომონისაგან დევნილი რაჭის ერისთავთა სახლი დავით მეფემ ისევ წამოაყენა. ამ მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მეფის და ელენე ბატონიშვილი როსტომ რაჭის ერისთავის ძე გიორგისთან იყო დაქორწინებული[218].

---

213 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd. საბ. № 11309.

214 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გვ. 54.

215 იქვე; საქ. სიძვ., III, გვ. 570; მოსკოვის АВПР МИД СССР, ф. сношения России с Турцией, д. № 339, лл. 21; იქვე, д. № 640, лл. 74, 79; იქვე, д. № 641, лл. 18—19. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში დაცული პირი—საქმე № 12, გვ. 72, 82—83, 100—101.

რუსული წყაროები ქიორ-ბეის „ცალთვალას“ ეძახიან: „Грузинской князь Кнор-бей кривой“ (იხ. მოსკოვის АВПР МИД СССР, ф. Сношения России с Турцией, д. № 640, лл. 74, 79; იქვე, д. № 641, лл. 100—101. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში დაცული პირი.—საქმე № 12, გვ. 72, 82, 83, 100—101.

216 მოსკოვის АВПР МИД СССР, ф. Сношения России с Турцией, д. № 339, л. 21; იქვე, д. № 640, лл. 74, 79. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში დაცული პირი—საქმე № 12, გვ. 72, 82—83.

217 მოსკოვის АВПР МИД СССР, ф. Сношения России с Турцией, д. № 640, лл. 74, 79. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში დაცული პირი—საქმე № 12, გვ. 82—83.

218 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 1320.

გამეფებისთანავე, 1784 წელს, დავითმა სოლომონის მიერ სახასოდ გამოცხადებული რაჭის ერისთავთა მამულები თავის დისწულებს — ანტონ და ლევან გიორგის ძეებს — დაუბრუნა. რაჭის „ძოვლა-პატრონობაც“ ანტონს მიანდო (იგი ლევანზე უფროსი იყო), ხოლო „ერთობით რაჭის მოხელეთა, საპატიოთა აზნაურთა და მსახურთა“ მისი „ერთგულებით სამსახური“ უბრძანა[219]. ამრიგად, გაუქმებული რაჭის საერისთავო დავითმა ისევ აღადგინა.

მეფემ ყმა-მამული უწყალობა აგრეთვე ანტონის ბიძაშვილს გიორგი ბარძიმის ძესაც[220].

ანტონმა, როგორც ჩანს, პირველ ხანში თავი ვერ გაართვა საერისთავოს მმართველობას. ამიტომ დავითმა 1785 წელს ანტონის მამა გიორგი (ქიორ-ბეი) მოიწვია თურქეთიდან და რაჭის ერისთავად დასვა[221].

გიორგის მოსვლამდე მეფემ ახალგაზრდა ანტონს მრჩეველ-დამხმარედ ერისთავის ძე პეტრე მიუჩინა. ამას უნდა გულისხმობდეს დავითი, როცა მას (პეტრეს) აღნიშნული წლის 5 ოქტომბრის სიგელში „რაჭის თავად დადგინებულს“ ეძახის[222]. ერისთავის ძე პეტრეც დავით მეფის „საყვარელი სიძე“ იყო[223].

გიორგის ერისთავობა დიდხანს არ გაგრძელებულა: ოსების წინააღმდეგ სალაშქროდ წასული, იგი მოკლეს 1787 წელს[224].

გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ერისთავობა ისევ მის ძეს ანტონს ჰქონდა სოლომონ II-ის გამეფებამდე. სოლომონ II რომ გამეფდა, რაჭის საერისთავოს მიმართ სოლომონ პირველის პოლიტიკა გააგრძელა. მეორე სოლომონმა ერისთავთა მიწა-წყალი კვლავ სამეფო საკუთრებად განაწესა. მან „აღარ ინება ანტონის რაჭას რჩენა“, რადგან იგი დავით გიორგის ძის ნათესავი იყო და „გაღმა საერისთავოში (იმერეთის საერისთავოში, — ო. ს.) უბოძა“ შო-

---

219 საქ. სახ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, I-I, გვ. 10 (საბ. №№ 1, 2).

220 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 1630.

221 მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, გამოც. მ. ჯანაშვილისა, ტფილისი, 1905 (გარეკანზე — 1906), გვ. 33; შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ., ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 91—92, შდრ. დავით ბატონიშვილი, ახალის ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 60.

222 საქ. სიძვ., III, გვ. 256.

223 იხ. იქვე.

224 გიორგი ერისთავის სიკვდილის თარიღის შესახებ იხ. ქვემოთ.

შიტასა და ოტია ერისთავისშვილების „წილი მამული, რომელიც იქხებოდა ოთხმოცი ან სამოცდა ათი მოსახლე აზნაურიშვილი და გლეხი“. ამას გარდა, მეფემ მისცა ანტონს სასახლე ამაღლებაში, რომელიც უკანასკნელმა შემდეგ ბეჟან ერისთავისშვილს „მოუცვალა“ ზეინდრის სასახლეში[225].

სოლომონ II-ის „ნამსახურ“ ბეჟან ერისთავისშვილს მისი წილი მამული არ ჩამოართმევია[226].

მეფემ შეიწყალა აგრეთვე გრიგოლ, დავით, გიორგი ერისთავისშვილები, ერისთავთა სახლის სხვა წევრები და „სარეოთ“ მისცა „თვის თვისნი მამულნი“. „თვით ძეთაცა“, გიორგი ერისთავისა, ანტონს და ლევანს, „ღირსთა სრულად აღმოფხვრისათა, მიეცათ... მცირედნი მამულნი“[227].

საერისთავოს ერთი ნაწილი კი — „წესი სრულიად სასახლითა და ეკლესიბ ბარაკონით, ხიდის-კარი და მინდა-ციხე შემომავლითა“ 1804 წელს სოლომონ მეორემ თავის ერთგულ სოლომონ ლიონიძეს უბოძა[228].

მაგრამ არც სოლომონ ლიონიძეს და არც გრიგოლ, დავით, გიორგი ერისთავისშვილებს ეს მამულები დიდხანს არ შერჩენიათ. 1810 წელს, როცა სოლომონ მეორე საქართველოდან „განიდევნა“, სოლომონ ლიონიძე, გრიგოლ, დავით ერისთავის ძენი და უკანასკნელის შვილი გიორგი ოსმალეთში ლტოლვილ მეფეს გაყვნენ, სიკვდილამდე ახლდნენ და მისი მწარე ბედი გაიზიარეს[229]. სოლომონის ერთგულების გამო რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა მათ მამულები და ანტონ ერისთავს, მის ბიძას დიმიტრისა და ბიძაშვილს გიორგი ბარძიმის ძეს გადასცა, რომლებმაც სოლომონ მეორესთან ბრძოლაში რუსეთის მხედრობას „გულსმოდგინებითა სამსახური გაუწიეს[230].

ამ სამსახურისათვის რუსეთის ხელისუფლებამ სხვებზე მეტად პოდპოლკოვნიკი ანტონ ერისთავი დააჯილდოვა. უბოძა მას 1812

---

225 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1575; საქ. სიძვ.. III, გვ. 570.

226 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1575.

227 საქ. სიძვ., III, გვ. 570; ქუთ. მუზ. საბ. № 107; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 5418.

228 საქ. სიძვ., III, გვ. 569—570.

229 ქუთ. მუზ. საბ. № 107; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 5418; საქ. სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 153; იხ. აგრეთვე, ქრონიკები, III, გვ. 473, 640.

230 იქვე; იხ. აგრეთვე საქ. სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქიეები, II, გვ. 123—125.

წელს „სამარადისო სამფლობელოდ... რაჭის მაზრაში“ ერისთავთა ყოფილი მამულიდან თერთმეტი სოფელი, სახელდობრ: ურავი, ამბარი, ლიხეთი, წესი, მინდა (ციხითურთ), ხიდისკარი (ციხითურთ), ხონჩკარი, ხირხონისი, სომიწო, ფსორი, ჟაშკვი. ამათ გაოდა. მასვე მიეცა „არგვეთის შემომავალსა შინა სახელმწიფო სოფელი მუხურა“ და სოლომონ მეორესთან ერთად ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ და დავით ერისთავისშვილების „შესახვედრყოფილი“ სოფ. თავასა და მეჯვრეთი[231].

მაგრამ ანტონსა და სხვა ერისთავებს თავიანთ „სამარადისო სამფლობელოში“ ახლა მხოლოდ მემამულური უფლებები ჰქონდათ. იმერეთში რუსული მმართველობის დამყარებასთან დაკავშირებით რაჭის საერისთავო, როგორც სათავადო, ადმინისტრაციულად გაუქმდა.

აღსანიშნავია, რომ 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყების დროს რაჭის ერისთავთა სახლის წევრები სხვადასხვა პოზიციებზე იდგნენ: ნარიმანი, მანუჩარი, ივანე (ხუხუტას შვილი), რევაზი და ლევან ერისთავები აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ[232]. მათი თანამოგვარეები — ივანე, გიორგი, დავითი, როსტომი და გრიგოლ კი რუსეთის მთავრობას ერთგულობდნენ[233].

* * *

რაჭის ერისთავთა შორის ნათესაური კავშირის დადგენა მხოლოდ შოშიტა I ჩხეტიძის დროიდან ხერხდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძმებს ივანეს, კახაბერსა და აბესალომ ჩხეტიძეებს, რომელნიც შოშიტა პირველზე ადრე მოღვაწეობდნენ[234]. უკანასკნელი იმერთა მეფის ბაგრატ III-ის თანამედროვე იყო. ამ მეფემ დასვა იგი ერისთავად 1534 წელს[235] და მისი ერისთავობის დასასრული დაახლოებით ბაგრატის მეფობის დასასრულით (1565 წ.) განისაზღვრება.

შოშიტაზე ადრინდელი მოღვაწე და მისი სახლიკაცი უნდა იყოს ბედან ერისთავი, რომელიც მარკოზის სახარების სარჩევის

---

231 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 5418.

232 Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. III, 1942, გვ. 139, 162.

233 იქვე, გვ. 147, 149, 153.

234 ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 25, იხ. აგრეთვე ზემოთ.

235 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 188.

ბოლოს მოთავსებულ XVI საუკუნის ერთ მინაწერში გვხვდება[236].

შოშიტა I-ის შემდეგ, ერთ უთარიღო წყალობის წიგნში, ლომინ ერისთავი იხსენიება[237]. წყაროებიდან არ ჩანს თუ რა ნათესაობა ჰქონდა მას შოშიტა პირველთან. საფიქრებელია, ეს უკანასკნელი ლომინის მამა იყო.

ლომინს ჰყავდა ძმა ქაიხოსრო[238].

რამდენ ხანს გაგრძელდება ლომინის ერისთავობა, ცნობილი არ არის[239]. ვიცით მხოლოდ, რომ 1651 წელს ერისთავად პაპუნა I იჯდა[240]. აღნიშნული წლის 16 ოქტომბერს იმერეთიდან რუსეთისაკენ მიმავალ რუს ელჩებს იგი საკუთარი აზნაურებით მიეგება ბარაკონიდან ერთი ვერსის მანძილზე და თავის რეზიდენციაში სადილი გაუმართა მათ („За столом было стройно и чинно“)[241]. ნასადილევს ელჩებმა მიართვეს ერისთავს ხელმოსაწერად ალექსანდრე III-ის ფიცის წიგნი, რომელსაც მან ხელი მოაწერა, როგორც ზემოთ ითქვა, ერისთავისათვის საგანგებოდ დატოვებულ პირველ ადგილზე.

---

236 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 36.

237 სცია, ფ. 226 (1), საქ. № 5765.

ლომინი იხსენიება აგრეთვე მეორე უთარიღო საბუთშიც (დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 81). ამ საბუთს მისი გამომცემი ს. კაკაბაძე „ხელის მიხედვით“ 1680—1685 წლებით ათარიღებს (იხ. იქვე, საბუთის ლეგენდა). ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს. XVII ს. მეორე ნახევრის რაჭის ერისთავები ცნობილი არიან (იხ. ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 200—216; მისივე, „ქრონიკოხები“, გვ. 251 (1696 წლის ქვეშ); სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 105, 189, 193, 195. იხ. აგრეთვე, ქვემოთ), მაგრამ ამ დროს ლომინ ერისთავი არ გვხვდება. ამასთან ზემოხსენებული საბუთის კაკაბაძისეული თარიღი სწორიც რომ იყოს, ლომინ ერისთავი მაინც როგორც ამ საბუთის შინაარსიდან ჩანს, მისი შედგენის დროზე ბევრად ადრე მოღვაწეობდა (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 81), დაახლოებით — XVI საუკუნის მეორე ნახევარში.

238 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. გვ. 36.

239 XVII ს. რაჭის ერისთავთა ვინაობისა და ზეობის წლების შესახებ სწორი დაკვირვებებია მოცემული კ. გრიგოლიას საკანდიდატო დისერტაციაში — „იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება მე-17 საუკუნეში“, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 65—69.

240 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 105, 189, 193—195.

241 იქვე, გვ. 189.

პაპუნა ლომინის მემკვიდრე უნდა იყოს. პაპუნას უკანასკნელად ვხედავთ 1660 წელს[242], ხოლო 1665 წ. ერისთავად შოშიტა II ზის[243].

ერთ საბუთში შოშიტა (II) თავის თავს ლომინის შვილიშვილად ასახელებს[244]. რაკი ეს ასეა, შოშიტა II პაპუნა I-ის შვილად უნდა ჩავთვალოთ.

1673 წელს შოშიტა II მოწმედაა დასახელებული ბაგრატ მეფის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვ ს ბოძებულ წყალობის სიგელში[245].

ერთ უთარიღო დოკუმენტში, რომელსაც შოშიტა II აძლევს ზემოხსენებულ წერეთელს, გვხვდება შოშიტას ძე პაპუნა[246], რომელიც სათვალავით უკვე II პაპუნაა რაჭის ერისთავთა გვარში. ჰყავდა თუ არა შოშიტა II-ეს სხვა ძე ან ასული, წყაროებიდან არ ჩანს.

შოშიტა II დაიღუპა 1684 წელს რიკოთის ომში, ალექსანდრე IV-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე წელს რაჭის ერისთავად დაჯდა მისი ძე პაპუნა II[247].

პაპუნა II-ის თანამეცხედრე იყო ბეჟან ლორთქიფანიძის ასული გულქანი[248]. ჰყავდა მასთან სამი ვაჟი: შოშიტა (III), გედეონი და ლომინ (III)[249]. ეს პაპუნა თავის მეუღლით გულქანით, ძით შოშიტათი და „სხუანი ძენი და ასულნით" მოხსენიებულია ჯვარის მონასტრის აღაპებში[250].

1684—1685 წწ. შუა პაპუნა განშორდა გულქანს და შეირთო იმერთა მეფის ალექსანდრე IV-ის და დარეჯანი[251].

---

242 ქრონიკები..., II, გვ. 476.

243 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 36.

244 სცია, ფ. 226 (1), საბ. № 5765. საბუთი უთარიღოა.

245 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 38.

246 „ჩვენ, ერისთაუმან... ბატონმა შოშიტამ და შვილმა ჩემმან პაპუნამ", ნათქვამია ამ საბუთში. იხ. იქვე, გვ. 38—39.

247 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 210.

248 ი ქ ვ ე, გვ. 217.

249 ი ქ ვ ე, გვ. 217, 231—232; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 127; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 14751.

I ლომინი არის „ერისთავისშვილი" ლომინი, რომელიც იხსენიება XVI საუკუნეში, თუ უფრო ადრე (იხ. ზემოთ). II ლომინი — XVI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ლომინ ერისთავია (იხ. ზემოთ).

250 ნ. მ ა რ ი. აღაპნი ჯვარის მონასტრისანი, სპბ, 1914, გვ. 10.

251 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 210.

დარეჯანის პირველი ქმარი გიორგი III გურიელი იყო. უკანასკნელს ბაგრატ IV-ემ თავისი ასული 1677 წელს მიათხოვა (ვახუშტის ქრონოლოგიით). 1681—1682 წლებს შუა გურიელმა მიატოვა დარეჯანი და ამის შემდეგ იგი პაატა აბაშიძესთან დაქორწინდა. ხოლო პაატას გარდაცვალების მერე (1684 წ.) დარეჯანი მისმა ძმამ — ალექსანდრე იმერთა მეფემ რაჭის ერისთავს პაპუნას მიათხოვა (იხ.

პაპუნა ერისთავი მოწმედაა დასახელებული არჩილ მეფის 1691 წლის ერთ წყალობის წიგნში[252].

პაპუნა II 1696 წელს გარდაიცვალა[253]. ამავე წელს მისი შვილი შოშიტა III გაერისთავდა[254]. პაპუნას გარდაცვალების შემდეგ მისი პირველი ცოლი გულქანი გიორგი აბაშიძეს მითხოვდა[255]. სოლომონ I-ის წინააღმდეგ მებრძოლი თავადი ლევან გიორგის ძე აბაშიძე დედით შოშიტა III-ის ძმა იყო[256].

შოშიტა III-ის ძმას, გედეონს, გენათელ ეპისკოპოსის ხარისხი ჰქონდა. ამ ხარისხით მოხსენიებულია იგი 1720—1730 წლების შეწირულების წიგნში[257]. შემდეგ (1732—1733 წწ.) გედეონი გადადგა ეპისკოპოსობიდან და ალექსანდრე V-ემ იგი „ბარის ერისთავად“ დასვა[258].

შოშიტა III-ისა და გედეონის ძმას ლომინ III-ეს ეხედავთ 1758 წ. საბუთში[259], მასთან ერთად გვხვდება მისი ვაჟი გიორგი. ლომინს ესვა ძე დავითიც[260]. ჰყავდა თუ არა ლომინს კიდეე სხვა

იქვე, გვ. 207—210; ქორონიკონები, გვ. 250 (1677 წლის ქვეშ). შდრ. მ ა რ ი ბ რ ო ს ე. საქართველოს ისტორია. II, თარგმანი ს. ღოღობერიძისა, გვ. 205, 208—209).

252 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა.., I, გვ. 41.

253 ვ ა ხ უ შ ტ ი. ქორონიკონები, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 251.

254 იხ. ი ქ ე ე, შდრ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 75.

255 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 217; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 85, ანდერძი 10.

256 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 232; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 85—86, ანდერძი 10.

257 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 127.

„ძმამან ჩემმან გენათელმან ბატონმან გედეონ“, ამბობს შოშიტა III მითითებულ საბუთში. აქედან ცხადია, რომ გედეონიც პაპუნა II-ის შვილია.

258 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 232. იხ. აგრეთვე ზემოთ.

259 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 14751.

ეს საბუთი წარმოადგენს ფიცის წიგნს, მიცემულს როსტომ ერისთავის მიერ ლომინისათვის. როსტომი აქ თავის თავს ლომინის ძმისწულად ასახელებს. როსტომი, როგორც ზემოთ ვნახეთ, შოშიტა III-ის შვილი იყო. აქედან ირკვევა, რომ ლომინი შოშიტა III-ის ძმა და, მაშასადამე, პაპუნა II-ის შვილი ყოფილა.

260 ი ქ ვ ე; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1630.

„იმერეთის ქამიერი მართებლობის“ ერთ „უწყებაში“ დავით ლომინის ძის პაპად როსტომ რაჭის ერისთავი არის დასახელებული (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1630). ამის მიხედვით შ. ბურჯანაძეც დავითს როსტომის შვი-

შვილი, არ ვიცით. ლომინი ჩანს აგრეთვე 1760 წლის დოკუმენტში[261].

შოშიტა III-ეს ოთხი ვაჟი ჰყოლია: გრიგოლ, ვახტანგ, ბესარიონ და როსტომი[262]. ოთხივეს ერთად იხსენიებს შოშიტა ერთ თავის უთარიღო წყალობის წიგნში[263]. როგორც ჩამოთვლის რიგიდან ჩანს, შოშიტას შვილებიდან უმცროსი როსტომი ყოფილა.

ვაჟებს გარდა, შოშიტა III-ეს ჰყავდა ასული გულქანი, რომელიც ოტია ბეჟანის ძე დადიანზე იყო გათხოვილი[264].

ოტიასა და გულქანის ასულთან დაქორწინებული იყო სოლომონ I-ის მეტოქე ბიძაშვილი თეიმურაზი, რომელიც 1765—1768 წწ. იმერეთის მეფედ იჯდა. იგი სიძედ ეკუთვნოდა როგორც ოტიასა და მის ძეს კაცია II დადიანს, ისე რაჭის ერისთავს როსტომსაც (თეიმურაზი როსტომის დისწულის ქმარი იყო). XVIII ს. მეორე ნახევრის ერთ ცნობაში თეიმურაზი სწორედ „დადიანისა და როსტომ ერისთავის სიძედ“ იხსენიება[265].

შოშიტა III-ეს ნათესაური კავშირი ჰქონდა იმერეთის სამეფო სახლთან. მისი თანამეცხედრე მარიამი ბაგრატ IV-ის ასული იყო[266].

ლიშვილად თვლის (იხ. მისი იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ., ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი, 1960, გვ. 92. მაგრამ ეს არ არის სწორი. როსტომს ლომინად სახელწოდებული შვილი არ ჰყავდა (იხ. ქვემოთ). თვითონ დავით ლომინის ძე კი როსტომს თავის ბიძად იხსენიებს .(Акты, т. II, стр. 45). მაგრამ არც ეს ცნობაა ზუსტი: სინამდვილეში როსტომი დავითის ბიძაშვილი იყო. როსტომის მამა შოშიტა III და დავითის მამა ლომინ III ძმები იყვნენ (იხ. ზემოთ).

აღსანიშნავია, რომ დავით ლომინის ძე ერთ ხანს ტყვედ იმყოფებოდა ოსებთან. იგი 1786 წლის ივლისში იმერთა მეფის დავით გიორგის ძის მიერ ელჩად იყო გაგზავნილი ერეკლე მეორესთან, გზაში დაატყვევეს და ოთხი წლის ტყვეობის შემდეგ რუსეთში გადავიდა. 1818 წელს დავით ლომინის ძეს პეტერბურგში ვხედავთ (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1630; Акты, т. II, стр. 345—346; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. II, под ред. А. А. Цагарели, СПб., 1902, стр. 64—65; შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 92, სქოლიო 71).

261 სცია, ფ. 226 (1), საბ. № 1181.

262 სცია. ფ. 226 (1), საბ. № 1563; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563

263 სცია, ფ. 226 (1), საბ. № 1563.

264 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 227; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 172; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 116.

265 მეფე სოლომონ I-ის და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან... გაზ. „ კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959 წ. 16 აგვისტო, № 96, შდრ. Грамоты..., I, стр. 31.

266 სცია, ფ. 226(1), საბ. № 1580; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 128, შდრ, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 75.

ამიტომაც იწოდებოდა შოშიტა III-ის ძე როსტომ ერისთავი „იესის ძირთა ასულთაგან ნაშობად“[267] და ამ უკანასკნელის ძმა ბესარიონი „მეფეთა ტომად“[268].

აღსანიშნავია, რომ შოშიტა III. თავის მეუღლის მარიამ ბატონიშვილის „სულის სახსრად და შვილთა აღსაზრდელად“ ერთი უთარიღო სიგელით ჯვარის მონასტერს სწირავს ორ კომლ გლეხს[269].

შოშიტა III გარდაიცვალა 1731 წელს. მომდევნო წელს რაჭის ერისთავად მისი უფროსი ძე გრიგოლი დაჯდა[270].

შოშიტა III-ის ერთ-ერთი ვაჟის თანამეცხედრე ყოფილა ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ასული[271]. რომლის? ვახტანგის ასულის ქმარი ვერ იქნებოდა როსტომი, რადგან მისი ცოლი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვა იყო. ვერ იქნებოდა ბესარიონიც, რადგან იგი, როგორც კათალიკოსი, ბერი იყო, თუ ის ადრე არ იყო ხსნებულ მეფის ქალთან დაქორწინებული. რჩება ორი: ვახტანგი და გრიგოლი. ერთ-ერთი მათგანი იყო, უთუოდ, ვახტანგის ასულის ქმარი[272].

შოშიტა III-ის პირველი სამი ვაჟის (გრიგოლ, ვახტანგ, ბესარიონის) შვილებია პეტრე, ვახტანგ და გრიგოლი. მაგრამ რომელი რომლის, — არ ჩანს[273].

---

267 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 5.

268 ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 156.

269 სცია, ფ. 226(1), საბ. № 1580.

270 ვ ა ხ უ შ ტ ი. ქორონიკონები, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 251. შდრ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 75. იხ. აგრეთვე ზემოთ გვ. 90, შენიშვნა 125.

271 M. B r o s s e t. Histoire de la Géorgie. II partie. I Livraison. SPb, 1856. p. 628; ქრონიკები, III, გვ. 170.

272 ქართლის სამეფო საგვარეულოს ბროსსეულ გენეალოგიურ ნუსხაში ვახტანგ VI-ის ასულის ქმრად დასახელებულია შოშიტა III-ის ძე პაპუნა (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 628). მაგრამ ეს ცნობა მცდარია: შოშიტა III-ეს პაპუნად წოდებული შვილი არ ჰყოლია.

საკვირველია, ის, რომ ვახუშტიც, რომელსაც ეს ამბავი ზუსტად უნდა სცოდნოდა, ვახტანგის ასულის ქმრად გედეონის ძმისწულს პაპუნას ასახელებს (იხ. მისი „საქართველოს ისტორია“, გვ. 232). გედეონს, როგორც ზემოთ ვნახეთ, შოშიტა III-ის გარდა, ჰყავდა კიდევ ძმა ლომინი. თუ ვახტანგის ასულის ქმარი მართლა პაპუნაა, იქნება იგი ლომინის ძეა!

273 შოშიტა III-ის უმცროსი ვაჟი როსტომი თავის ძმისწულებად ასახელებს პეტრეს, ვახტანგსა და გრიგოლ ერისთავის ძეებს (იხ. სცია, ფ. 226(I), საბ. № 1181). აქედან ცხადია, რომ როსტომის ძმებს (ე. ი. შოშიტა III შვილებს) ჰყოლიათ შვილები.

შოშიტა III-ის ზემოხსენებული სამი ვაჟის შვილებიდან სხვებზე უფრო ცნობილი პირია ერისთავის ძე პეტრე. იგი იხსენიება 1775, 1785, 1789, 1791, 1798 წლების საბუთებში[274]. მას სამი ვაჟი ჰყავდა: დავითი, გრიგოლი და ვახტანგი. მამასთან ერთად ჩანან ისინი 1789, 1791 წლებში[275]. 1808 წელს პეტრე ერისთავის ძე ცოცხალი არ უნდა იყოს: სოლომონ II-ის აღნიშნული წლის 14 ივნისის სიგელს, რომელსაც რაჭის ერისთავთა სახლის წარმომადგენლები თავიანთ ბეჭდების დასმით „ამტკიცებენ", პეტრეს ბეჭედი არ უზის[276].

შოშიტა III-ის უმცროს ვაჟს, როსტომს, შვიდი ძე და სამი ასული ჰყოლია: გიორგი (იგივე ეგორი)[277], ბარძიმი[278], მეთოდე, მამუკა, ნიკოლოზ, იოანე და დიმიტრი. თავისი შვიდივე ძით ვხედავთ როსტომ ერისთავს 1768 წლის 28 იანვარს მის მიერ მერაბ ჯაფარიძისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში[279]. ხოლო როსტომის სამი ასული (ანა, მელანია და ეფემია) იხსენიება ბარაკონის ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე მოთავსებულ 1753 წლის წარწერაში[280].

როსტომის პირველი ცოლი იყო „კაცია დადიანის" ასული[281]. მაგრამ როსტომი მალე განშორდა მას. წაართვა თავად ივანე იაშვილს ცოლი (წულუკიძის ქალი მარიამი) და თვითონ შეირთო იგი. დადიანის ასულთან როსტომს შვილები არ ჰყოლია[282]. როსტომი,

---

274 სცია ფ. 227(2) საბ. № 88; ქუთ. მუზ. საბ. №№ 270, 1450; საქ. სიძვ. III, გვ. 256; დას. საქ. საეკლ. საბ. № I, გვ. 113.

275 ქუთ. მუზ. საბ. № 270, 1450.

276 იხ. საქ. სიძვ. III, გვ. 264—265.

277 ზოგიერთ რუსულ წყაროში გიორგი ეგორად იწოდება. იხ. Грамоты..., I. стр. 418—419.

278 როსტომ ერისთავი ერთ შეწირულების წიგნში თავის „პირმშო ძედ" ბარძიმს ასახელებს (იხ. სცია, ფ. 226(1), საბ. № 1181). ხოლო ბარაკონის ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე მოთავსებულ წარწერაში როსტომის „პირმშო ძედ" გიორგი არის მოხსენიებული (იხ. გ. ბოპორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 246; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 109). ამ ორი ცნობიდან რომელია სწორი, ძნელი სათქმელია.

279 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 114.

280 გ. ბოპორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 246; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 109.

281 არა როსტომის დისწულ კაცია II-ის ასული, არამედ — ოდიშის სამთავრო სახლის წევრის რომელიღაც სხვა კაციასი.

282 იხ. თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთაველისადმი მინაწერი, აკაკის კრებული, 1899, № VII, გვ. 2,7; გ. ბოპორიძე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდაიცვალა 1790 წლის ახლო ხანს.

როსტომის შვილს, გიორგის, ორი ვაჟი ჰყავდა: ანტონი და ლევანი. მამასთან ერთად გვხვდებიან ისინი 1786 წელს[283], გიორგის თანამეცხედრე იყო დავით იმერთა მეფის და ელენე ბატონიშვილი[284].

გიორგი მოკლეს ოსებმა 1787 წლის მეორე ნახევარში ღებსა თუ გლოლაში[285].

როსტომ ერისთავის სხვა ძეთა შთამომავლობიდან წყაროებში ძხოლოდ ბარძიმისა და მეთოდეს მემკვიდრეებს ვხედავთ. იხსენიე-

---

რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 246; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 109; სცია, ფ. 226(1), საბ. №№ 1181, 2183.

აღსანიშნავია, რომ თავად ჯაფარა ჯაფარიშვილის ზემომითითებულ წერილში როსტომის მეორე ცოლის (იაშვილის ცოლყოფილის) სახელად მოხსენიებულია თამარი (იხ. გვ. 7). მაგრამ, სხვა წყაროებზე, რომ არა ვთქვათ რა, რომელნიც მას მარიამად იხსენიებენ, თვით როსტომი თავის შეწირულების წიგნში თავის თანამეცხედრედ ასახელებს „წულუკიძის ასულ მარიამს“ (იხ. სცია, 226(1), საბ. 1181). შეიძლება ისიც, რომ მას თამარსაც ეძახდნენ და მარიამსაც.

283 ქუთ. მუზ. საბ. № 353.

284 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 1320.

285 ერთი ცნობით, გიორგი ერისთავი მოკლეს 1785 წელს ღებში (იხ. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი ისტორია. ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი მოთხრობა, გვ. 60), მეორეთი—1786 წელს გლოლაში (იხ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა, გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 33). მაგრამ ორივე თარიღი მცდარია. დოკუმენტური მონაცემებით, 1786 წლის 13 დეკემბერს გიორგი წყალობის წიგნს აძლევს თავის „ერთგულ ყმას“ ქველი გამყრელიძეს (ქუთ. მუზ. საბ. № 353). უფრო გვიან, 1787 წ. 16 აგვისტოს გიორგი ერისთავი ჯერ კიდევ ცოცხალია და ყმა-მამულს უძღვნის ჯრუჭის მონასტერს (ქუთ. მუზ. საბ. № 269). ხოლო ამავე წლის 22 სექტემბერს იგი უკვე მკვდარია და მისი ქვრივი ელენე ბატონიშვილი განსვენებული ქმრის სულის „საოხად“ ბარაკონის ღვთის მშობელს სწირავს ხუთ კომლ გლეხს და ფრთ კომლ ვაჭარს „თავის დუქნით“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 1320).

ამგვარად, გიორგი ერისთავი მოუკლავთ 1787 წ. 16 აგვისტოსა და ამავე წლის 22 სექტემბერს შუა.

აღსანიშნავია, რომ შ. ბურჯანაძეს გიორგი ერისთავის მოკვლის თარიღად 1787 წლის ჯაფაფხულის ბოლო აქვს მიღებული (იხ. მისი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ., საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 92). რაც, როგორც გაირკვა, ზუსტი არ არის.

ბიან: ბარძიმის შვილი გიორგი (1808, 1818 წლებში)[286] და მეთოდეს შვილი აგრეთვე გიორგი (1799 წელს)[287].

გიორგი ბარძიმის ძის ვაჟი იყო თეოდორე, რომელიც „გაენათის“ მონასტრის მღვდელ-მონაზონი ყოფილა და იერუსალიმში ჩასულა 1817 წლის პირველ დეკემბერს[288].

თვით მეთოდე გვხვდება 1790, 1793, 1799, 1802 წლებში[289]. უკანასკნელ წელს მეთოდეს და მის უმცროს ძმას, იმპერატორ ალექსანდრე I-ის 10 აპრილის რესკრიპტით, პენსია დაენიშნათ „საქართველოს შემოსავლიდან“ სამას-სამასი მანეთი თითოეულს წლიურად[290].

მეთოდე ცოცხალი უნდა იყოს 1804 წელსაც[291].

როსტომ ერისთავის შვილიშვილს ანტონ გიორგის ძეს სამი ვაჟი ჰყავდა: როსტომი, იოანე (იგივე ივანე) და დიმიტრი[292]. პირველი ორი მამასთან ერთადაა მოხსენიებული 1811 წ. 19 აგვისტოს წყალობის წიგნში[293].

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ანტონმა პოდპოლკოვნიკის ხარისხი მიიღო[294]. ამ ხარისხით იხსენიება იგი 1813 წლის ერთ დოკუმენტში[295].

ანტონი დაქორწინებული იყო მიქელაძის ასულ მარიამთან[296]. 1825 წელს ანტონი ცოცხალი ჩანს. აღნიშნულ წელს იგი ნასყიდობის წიგნს აძლევს ბეჟან ბეჟანის ძე წერეთელს[297]. ანტონის თანამეცხედრე მარიამი კი გარდაიცვალა 1826 წლის 21 ნოემბერს. დასაფლავებულია ბარაკონის ეკლესიაში[298].

---

286 ქუთ. მუზ. საბ. № 107; საქ. სიძვ., III, გვ. 265.

287 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 11309.

288 ნ. მ ა რ ი. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართულ ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955, გვ. 84 (მინაწ. 5).

289 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 2948, 2955, 11309; Акты..., I, стр. 566.

290 Акты..., I, стр. 566.

291 საქ. სიძვ., III, გვ. 569.

292 ქუთ. მუზ. საბ. №№ 346, 1820; გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 248.

293 ქუთ. მუზ. საბ. № 346.

294 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 5418.

295 ი ქ ვ ე.

296 ხელნაწ. ინსტ. ფ. Ad, საბ. № 819; გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 248—249.

297 ხელნაწ. ინსტ., ფ., Hd, საბ. № 9691.

298 გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 248—249.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, მეორე ხანის რაჭის ერისთავთა ქრონოლოგიური სია ასე წარმოგვიდგება:

1. აღბუღა (ჭარელიძე?) — XIV ს. დასასრული XV ს. დამდეგი.
2. გიორგი (ჭარელიძე?) — 1413 — 1444 წ.;
3. ციცი ჭარელიძე — 1432 წ.;
4. ქველი ჭარელიძე — XV ს. 30—80-იან წლებს შუა?
5. გიორგი აბღაჭელიძე — 1486 — 1488 წწ.;
6. ივანე ჩხეტიძე* — 1488 წ.;
7. კახაბერი ივანეს ძმა — 1497—1503 წწ.;
8. ბედან (ჩხეტიძე?) — 1504 — 1533 წწ.?;
9. შოშიტა I — 1534—1565 წწ. (დაახლოებით);
10. ლომინი შოშიტა I-ის ძე? — ზეობის წლები ცნობილი არ არის. 1566 წლიდან XVI ს. ბოლომდე?;
11. პაპუნა I ლომინის ძე? — 1651—1660 წწ. (დაახლოებით);
12. შოშიტა II პაპუნა I-ის ძე — 1661—1684 წწ.;
13. პაპუნა II შოშიტა II-ის ძე — 1684—1696 წწ.;
14. შოშიტა III პაპუნა II-ის ძე — 1696 — 1731 წწ.
15. გრიგოლ შოშიტა III-ის ძე — 1732—1743 წწ.;
16. ვახტანგ შოშიტა III-ის ძე — 1743—1749 წ. მიწურული ან 1750 წ. პირველი ნახევარი;
17. როსტომ შოშიტას III-ის ძე — 1749 წ. მიწურული ან 1750 წ. მეორე ნახევრის დამდეგი (არაუგვიანეს 29 ივლისისა) — 1769 წ. სექტემბერი;
18. ანტონი გიორგის ძე, შვილიშვილი როსტომისა — 1784—1785 წწ. (პირველად).
19. გიორგი როსტომის ძე — 1785—1787 წწ.;
20. ანტონი — 1787—1789 წწ. (მეორედ).

---

* ივანედან დაწყებული. რაჭის ყველა ერისთავი ჩხეტიძეთა ანუ ჩხეიძეთა საგვარეულოდან იყო. არ იხსენიება მხოლოდ ბედანის გვარი. მაგრამ, ვფიქრობთ, ისიც ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

თ ა ვ ი V

იაშვილთა სათავადო

ყველაზე ადრინდელი ცნობა იაშვილთა საგვარეულოს შესახებ დაცულია კოტრიძეთა 1432 წლის სასისხლო სიგელში. კოტრიძეთა საქმის გამო „სადარბაზოდ“ მოწვეულ „მოსამართლეთა“ შორის ვხედავთ სამადულე იასშვილს[1].

შეიძლება ამ სამადულეს მიერ იყო აშენებული 1493 წელს ბეთლევის (რაჭაში) ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის სამხრეთის კედლის წარწერაში ვკითხულობთ: „...იასშვილი სა... რომლისაგან აღეშენა ეკლესია სახელსა ზედა ბეთლემისა ღვთისმშობლისა ქორონიკონსა რპა“ (1493)[2].

ამ დაზიანებულ წარწერაში შემორჩენილი ბეთლეცის ეკლესიის ამშენებელი იაშვილის სახელის დასაწყისი პირველი-ორი ასო „სა“ იძლევა ზემოგამოთქმული ვარაუდის საფუძველს.

სამადულეზე გვიან გვხვდება ვარდანი. შერაზადაშვილთა 1484—1510 წლების სასისხლო სიგელში მათი საქმის გარჩევაში მონაწილე მეფის „დარბაისელთა“ შორის პირველ რიგში იხსენიება ვარდან იაშვილი[3].

ვარდანის დროის მოღვაწეა მისი სახლიკაცი ბეჟანი, რომელსაც მოწმეთა შორის ვხედავთ ფალავანდიშვილთა 1488 წლის სასისხლო სიგელში[4].

შეიძლება სამადულე-ვარდან-ბეჟანზე ადრინდელი პირი იყოს ჯავახ იაშვილი, რომელმაც კლდისუბნის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატი მოაჭედინა და რომელსაც „ადგილობრივი მცხოვრები იაშვილები თავიანთ წინაპრად თვლიან“[5]. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ იაშვილთა გვარის მამამთავრად ჯავახი უნდა მივიჩნიოთ.

ჯავახ-სამადულე-ვარდან-ბეჟანის შემდეგ იაშვილთა გვარი დიდხანს არ ჩანს წყაროებში. მხოლოდ 1651 წელს ალექსანდრე იმერთა მეფის ფიცის წიგნში ვხვდებით ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს: ქაიხოსროს, კაცია I-სა და კაცია II-ეს[6].

---

1 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ვახტანგ უცნობი XV ს. აფხაზეთ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი, თბილისი, 1912, გვ. 9.

2 გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 229.

3 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 44.

4 ი ქ ვ ე, გვ. 25.

5 გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 215. (იხ. აგრეთვე. სქოლიო).

6 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლიევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193.

პირველი მათგანი საგვარეულოს უფროსი დიდებული თავადია. აღნიშნულ დოკუმენტში სხვა გვარების დიდებულ თავადთა შორის იგი მეექვსე ადგილზეა წარმოდგენილი. მისი სახლიკაცები კი მეორეხარისხოვანი თავადები ჩანან. იხსენიებიან მეოცდასამე, მეოცდახუთე რიგებში.

ამ დროს იმერეთის სამეფოში იაშვილთა საგვარეულოს მეთაურ ქაიხოსროზე წინ პატივით მხოლოდ ხუთი თავადი დგას. სახელდობრ: რაჭის ერისთავი პაპუნა, ციხისთავი თეიმურაზი[7], სახლთუხუცესი ზურაბი[8], საზვერელი ჩიჯავაძე და პაატა აბაშიძე[9].

ზემოხსენებული ქაიხოსრო ის ქაიხოსრო იაშვილი უნდა იყოს, რომელმაც 1639—1657 წლებში თავის მამის „ნიშანსა და საწირავშიდ“ გეგუთს მოსახლე ერთი კომლი ყმა გლეხი მიართვა მაქსიმე კათალიკოსს[10].

იგივე ქაიხოსრო თავისი თანამეცხედრით ჩხეტიძის ქალი თამარით და ორი ვაჟით, პაატა (?)[11] და სვიმონით, გვხვდება აგრეთვე 1660—1669 წლების ერთ შეწირულების წიგნში. ამ წიგნიდან ვგებულობთ, რომ ქაიხოსროს აუშენებია თავისთვის „სამარხი ეკვდერი წმინდისა ღვთის მშობლისა“[12]. შეუმკია იგი ხატებითა, ვერცხლის „წირვის იარაღითა“ და მისთვის „მამული, გლეხები და სასახლეები“ შეუწირავს[13].

ჩანს, ქაიხოსრო საკმაოდ მდიდარი თავადი ყოფილა, რაკი

აღნიშნულ დოკუმენტში იხსენიება ორი კაცია იაშვილი. ერთ მათგანს, რომელიც პირველადაა დასახელებული, I-ს ვუწოდებთ. მეორეს, რომელზედაც ნათქვამია „კიდევ იაშვილი კაცია“ (იხ. იქვე) II კაციად ვთვლით.

ამ ორი კაციდან ერთი უნდა იყოს ის კაცია იაშვილი, რომელიც თავის მეუღლით მზეიძის ქალი თინათინით და ძით სვიმონით გვხვდება 1673—1696 წლებში (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. I გვ. 83),

7 ომათმათიძე (ეს გვარი შემდეგ აგიაშვილად იწოდა. იხ. ქვემოთ, აგიაშვილთა სათავადო).

8 ჩხეიძე?

9 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა იმერეთში, გვ. 193.

10 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 59.

11 ქაიხოსროს პირველი ვაჟის სახელის „პაატად“ წაკითხვა, როგორც საბუთის გამომცემი ს. კაკაბაძე გვანიშნებს, საეჭვოა. მაგრამ ქაიხოსროს სვიმონზე უფროსი ვაჟი რომ ჰყავდა, ეს კი ცხადია (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 73).

12 სად, არ ჩანს. შეიძლება ნიკორწმინდის ეკლესიაში.

13 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 73—74. საბუთის გამომცემი მას 1660—1670 წლებით ათარიღებს. მაგრამ 1670 წელს ქაიხოსრო ცოცხალი რომ იყოს, ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნში იაშვილთა გვარის თავკაცად („დიდ ბაიარად“, დიდებულ თავადად) მამუკა არ იქნებოდა დასახელებული (იხ. Переписка..., стр. 83). ამიტომ შევასწორეთ ეს თარიღი.

მას ასეთი ეკვდრის მოწყობისა და შეწირულების გაღების შესაძლებლობა ჰქონია[14].

მართლაც, რუსი ელჩები 1651 წელს აღნიშნავენ, რომ, როცა ისინი ქაიხოსროს მის სამფლობელოში ეწვივნენ, უკანასკნელი მათ მოეგება ოქრომკედიან ტანისამოსში („В наряде в золотах“)[15].

1669 წელს ქაიხოსრო იაშვილი ცოცხალი არ არის. ამ დროს ამ საგვარეულოს თავკაცი მამუკაა. აღნიშნულ წელს ბაგრატ იმერთა მეფის მიერ რუსთ ხელმწიფის ალექსისადმი გაგზავნილ წიგნში „დიდ ბაიარად“ იაშვილთა საგვარეულოდან, როგორც ითქვა, მამუკა არის დასახელებული[16].

თანამოგვარეობის გარდა რა ნათესაობა იყო ქაიხოსროსა და მამუკას შორის, არ ჩანს.

იაშვილთა სათავადოს ჩამოყალიბება სავარაუდებელია XV ს. მიწურულს, იმ დროს, როცა ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ბეთლევის ტაძარს აშენებს.

იაშვილების სათავადო ვრცელი არ იყო. მასში ძირითადად ოთხი სოფელი შედიოდა:

1. სადმელი, 2. ძირაგეული[17], 3. კლდისუბანი, 4. ბეთლევი.

როდის შეიძინეს იაშვილებმა ეს სოფლები, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ XV ს. მიწურულს ბეთლევი იაშვილებს ეკუთვნოდათ. ასე რომ არ ყოფილიყო, ამ საგვარეულოს წარმომადგენელი აქ თავის ტაძარს ვერ ააშენებდა. უნდა ვიფიქროთ, დანარჩენი სამი სოფელიც, თუ ამაზე ადრე არა, ამ დროს მაინც იაშვილთა მფლობელობაში იყო[18].

XVII საუკუნის შუა წლებში, როგორც რუსი ელჩების მუხლობრივი აღწერილობიდან ჩანს, იაშვილები სოფელ კვარასა და მის ციხე-სიმაგრესაც ფლობდნენ[19]. მაგრამ ეს სოფელი და ციხე-სიმაგრე როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, დიდხანს ვერ შეინარჩუნეს.

---

14 იაშვილს ვახუშტი რაჭის „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ გვართა შორის ასახელებს (იხ. მისი აღწერა..., გვ. 26). იოანე ბატონიშვილს იაშვილების შესახებ მხოლოდ ისლა აქვს ნათქვამი, რომ ისინი XVII ს. ცნობილი თავადები იყვნენ (იხ. მისი „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, გვ. 103 r).

15 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა იმერეთში, გვ. 189.

16 П переписка..., стр. 83.

17 „საიაშვილოს“ ეძახდნენ სადმელსა და ძირაგეულს, მაგრამ კლდისუბანი და ბეთლევიც იაშვილებისა იყო. საბა მერკვილაძის ცნობა.

18 საბა მერკვილაძის ცნობით, სადმელსა, ძირაგეულსა, კლდისუბანსა და ბეთლევს იაშვილები „უხსოვარ დროიდან ფლობდნენ“.

19 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 105.

იაშვილების სათავადოს აღმოსავლეთით ერისთავების სამფლობელო სოფ. წესი და ნინიას-ციხე საზღვრავდა, დასავლეთით — სოფ. ბოსტანა, სამხრეთით — მდ. რიონი, რომელიც ჰყოფდა მას ერისთავებისაგან, ხოლო ჩრდილოეთით — წულუკიძეების სოფელი ველიეთი (ველეთი).

იაშვილების რეზიდენცია იყო სადმელში. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხესიმაგრე[20].

საგვარეულო სასაფლაო იაშვილებს თავდაპირველად ნიკორწმინდის ეკლესიაში უნდა ჰქონოდათ. ზემოხსენებულმა ქაიხოსრო იაშვილმა XVII ს. მეორე ნახევარში თავისი „სამარხი ეკუდერი", ვფიქრობთ, აქ გააწყო (იხ. ზემოთ). ამაზე ადრეც იაშვილების საძვალე აქვე ან მათ მიერ აგებულ ბეთლევის ეკლესიაში უნდა ყოფილიყო.

გვიან (1749 წ.) კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იაშვილებს საგვარეულო სასაფლაოდ ზარათის ეკლესია მიეცათ.

იაშვილთა ადგილ-მამულზე მათი ყმები ისხდნენ. XVIII ს. 80-იანი წლების ცნობით, საიაშვილოში სულ 160 კომლი ითვლებოდა[21]. მართალია, ეს სათავადო ტერიტორიულად დიდი არ იყო, მაგრამ ეს რიცხვი მაინც ძალიან მცირედ გვეჩვენება. სამწუხაროდ, სხვა საკონტროლო ცნობა არ მოგვეპოვება, რომ იაშვილების ყმათა საერთო რაოდენობა დავაზუსტოთ.

იაშვილების ყმა გლეხები იყვნენ: კაპეტივაძეები, დიაკონიძეები, ტოფაძეები, რევიშვილები, გოგიაძეები, ხოტივარები, აგლაძეები, ენუქიძეები, ჭაბუკიანები, დარახველიძეები, ოშხერელი, მჭედლიძეები, კაციტაძეები, ფხაკაძეები, ობოლაძეები, კუბლაშვილები, კერესელიძეები, დედისაძეები და სხვ[22].

იაშვილების აზნაურები იყვნენ: ტუნაძეები და მხეიძეები[23].

ვახუშტი ცდება, როცა იაშვილების მიერ კვარას დაპყრობას გულისხმობს „ბოროტებათა შინა" ქამში, ე. ი. ალექსანდრე მესამის გარდაცვალების (1660 წ.) შემდგომ პერიოდში (იხ. მისი „საქართველოს ისტორია", გვ. 221).

20 სადმელის ციხე რომ იაშვილებს ეკუთვნოდათ, ეს ჩანს როგორც ვახუშტის ცნობიდან („საქართველოს ისტორია", გვ. 232), ისე პ. გნილოსაროეის ჩანაწერებიდან («О царе Соломоне II и бывшем при нем управлении», Кавказский календарь, 1859, стр. 437).

21 იხ. ი. რ ე ი ნ ე გ ს ი. დასახ. ნაშრ., გვ. 36.

22 ქუთ. მუზ. საბ. №№ 729, 839, 843, 844, 845, 850, 854, 858, 863, 1484; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 59, 73—74, 92—93, 96, 106; II, გვ. 170—171.

23 ქუთ. მუზ. საბ. № 1484.

იაშვილებს სხვა „ყმიანი აზნაურიშვილიც" ჰყოლიათ, მაგრამ მათი გვარი საბუთში არ იხსენიება (იხ. იქვე).

იაშვილთა სათავადოს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა მოპოვებული. ამ საგვარეულოს ყმათა საერთო რიცხვიდან (160 კომლი) სამეფო საურს იხდიდა მხოლოდ 20 კომლი, საუდიეროს კი— არც ერთი[24].

იაშვილები სათავადოს მართვაში თავიანთ მოხელეებს იყენებენ. საიაშვილოს სამოხელეო აპარატში წარმოდგენილია მხოლოდ მესტუმრე, ხელოსანი და მდივანი. მესტუმრისა და ხელოსნის სახელოები ამ სათავადოში კერესელიძეებს უჭირავთ[25]. მდივნად 1810 წ. იხსენიება იაშვილების ყმა ვინმე შიო ბექალაძე[26].

ყმა-მამულის გამო მეზობლებთან „შეცილება", „გადაძალვა" იაშვილებს ისევე ახასიათებდათ, როგორც სხვა ფეოდალებს. „გადაძალვით" დაეპატრონენ ისინი ზარათს აზნაურ მესხის ნასყიდ ყმა-მამულს[27].

ამგვარადვე ჩაიგდო ხელში კაცია იაშვილმა საკათალიკოსო ყმა შათირი ობოლაძე, რომელიც „შეჩვენების" მუქარით დაიბრუნა კათალიკოსმა 1673—1696 წლებში[28].

ყმა-მამულის „გადაძალვას" თვით იაშვილთა გვარის წევრებს შორისაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ლევან იაშვილისათვის მის სახლიკაცს მისი „სამკვიდროცა და ნასყიდიც წაერთმია"[29].

არამცთუ გვარის წევრები, თვით მამა-შვილიც ერთმანეთს მტრობდნენ ამ საგვარეულოში ყმა-მამულის გამო. 1815 წელს ნიკოლოზ იაშვილი წუხს: ჩემმა შვილმა ჯავახმა „სახლი თავს გა-

---

24 Акты, IV, стр. 256.

როგორც ძმები იესე და ლევან იაშვილების 1818 წლის განცხადებიდან ჩანს, სოლომონ პირველს თუ მეორეს უბოძებია მათი მამის როსტომისათვის მისი „ყმის საურის წყალობის წერილი" (ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 30, გვ. 194. შდრ. იქვე, საბ. № 24, გვ. 190). მაგრამ ეს ფორმალური აქტი ადრიდანვე შექმნილი ფაქტიური მდგომარეობის აღიარება იყო.

1639—1657 წწ. ქაიხოსრო იაშვილის გეგუთელ ყმას მამუკა ფხაკაძეს „სამეფო ბეგარა, გამოსავალი და სამსახური" მართებს (დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 59). მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა ჩანს, რომელიც არ ცვლის საერთო მდგომარეობას.

25 1810 წელს „მესტუმრედ" ვხედავთ გოგია კერესელიძეს, „ხელოსნობა" კი ამავე წელს მის ძმას ნასყიდას აქვს. იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1484.

26 იქვე.

27 ქუთ. მუზ. საბ. № 845.

28 დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 83.

29 ქუთ. მუზ. საბ. № 865.

დამაძრო... სხვაც ბევრი ავი მიქნა და მეც ამისათვის გამოვეცალე და ჩემი კაციც გამოვაცალეო"[30].

ასეთ ვითარებაში იაშვილებს შორის „გაყოფილება" იქმნებოდა. გაყოფილი არიან ისინი 1810, 1812 წლებში[31] და ერთ ხანს უფრო ადრეც[32].

XVII ს. იაშვილები ფრიად გავლენიანი თავადები ჩანან. ამიტომ იყო, რომ ქართლის მეფემ გიორგი XI-ემ თავისი ძმისწული ელენი, რომელიც ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ იყო „დაწინდული", ქაიხოსრო II[33] იაშვილს მიათხოვა[34].

ქართლის მეფე ამ ნათესაობით იმერეთში თავისი ძმის არჩილის პოზიციების განმტკიცებას ცდილობდა. მართლაც, მალე ამის შემდეგ, 1690 წელს, არჩილმა ერთ ხანს „დაიპყრა" კიდეც იმერეთის ტახტი[35].

---

30 ქუთ. მუზ. საბ. № 729.

31 ქუთ. მუზ. საბ. № 1484; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 170—171.

32 ალექსანდრე V-ის მეფობის (1720—1752) რომელიღაც წელს. იხ. ქუთ. მუზ. საბ., 844.

33 I ქაიხოსროდ ვთელით იმ ქაიხოსროს, რომელიც ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნშია მოხსენიებული (იხ. სტოლნიკი ტოლორჩანოვისა და დიაკი ივევევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193) და რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

34 ვ ა ხ უ შ ტ ი „საქართველოს ისტორია", გვ. 213.

ქაიხოსრო II-ეს ვხედავთ 1673—1696, 1696—1706, 1696—1714, 1715—1720, 1727, 1730, 1720—1738, 1722—1738, წწ. საბუთებში და აგრეთვე XVIII ს. პირველ მესამედის ერთ საფიცრის წიგნში (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 83, 96; საქართველოს სიძველენი, I, საბ. № 16, გვ. 44; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 44, გვ. 51, საბ. № 58, გვ. 60, საბ. № 64, გვ. 65; დოკუმენტები.., I, საბ. № 642, გვ. 457, საბ. № 649, გვ. 460, საბ. № 658, გვ. 465).

შეიძლება ეს ქაიხოსრო იყოს XVIII ს. ერთ სვინაქსარის მინაწერში მოხსენიებული ქაიხოსრო იაშვილი (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 80).

ქაიხოსრო II-ის ასული უნდა იყოს გრიგოლ კათალიკოსის 1730—1742 წწ. ახლო ხნის შეწირულების წიგნში დასახელებული „ქაიხოსრო იაშვილის ქალი", რომელმაც ბიკვინტის ღვთისმშობელს ბუხრაშვილები შესწირა (დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 152). ჰყავდა თუ არა ამ ქაიხოსროს მამრობითი სქესის მემკვიდრეები, წყაროებიდან არ ჩანს.

1696—1706 წწ. ქაიხოსრო II-ეს რაღაც „საკანონო საქმე" დაედვა და კათალიკოსმა ლორთქიფანიძემ ყმა გლეხები „გადაახდევინა" (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 92, შდრ. იქვე, გვ. 96).

35 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 213.

ქაიხოსრო II-ის თანამედროვე იყო მისი სახლიკაცი ნასყიდა, რომელიც გიორგი აბაშიძის ასულ ანიკასთან იყო დაქორწინებული[36]. მაგრამ ახლა (XVII ს. მიწურულს) განდიდებულმა აბაშიძემ იაშვილთან ნათესაობას სვიმონ მეფის სიძობა არჩია. „წაგვარა" იაშვილს თავისი ასული და მეფეს მიათხოვა[37].

XVIII ს. დამდეგიდან იაშვილებს მეტად მძიმე სამეზობლო პირობები შეექმნათ. დაწინაურდა რაჭის ერისთავი. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში .იაშვილები ერთ დროს ერისთავს ემხრობოდნენ[38]. მაგრამ გაძლიერებულმა ერისთავმა ახლა თავის მომხრეებსაც შეუტია: წაართვა მათ კვარას ციხე, „გამოაძო რაჭიდამ" და იაშვილთა „მამულნი" თვითონ დაიპყრო[39].

1728—1732 წწ. იაშვილები ერთხანს ისევ ეუფლებიან თავიანთ საგვარეულო სადმელის ციხეს. ეხმარება მათ მეფეც. მაგრამ ამ ციხეს მომდგარი ერისთავი მისი დაპყრობისათვის იბრძვის[40]. იმდროინდელ ძალთა შეფარდებაში, ცხადია, გამარჯვება მას უნდა დარჩენოდა.

ამგვარად, იაშვილთა სათავადოს რაჭის ერისთავმა მოუღო ბოლო. XVIII ს. დასაწყისიდან მთელ ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საიაშვილო, როგორც სათავადო, რაჭაში არ არსებობდა. მხოლოდ რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1769 წ.) დაეუფლნენ იაშვილები თავიანთ მამაპაპეულ მამულს — სადმელს მისი ციხით, ძირაგეულსა და სხვ.

რაჭიდან გამოდევნილი იაშვილები, ბუნებრივია, ერისთავის წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა შეეწყალებინა. ასეც მოხდა. 1703 წ. გიორგი იმერთა მეფემ ვარდისგორას, რცხილათსა და მუხურს საყვარელიძეების ყმა-მამული ლევან იაშვილს უბოძა[41].

---

36 ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია", გვ. 217.

„ნასხიდა" (უთუოდ იგივე ნასყიდა) იაშვილი მოწმედ იხსენიება არჩილ მეფის 1661, 1691 წწ. წყალობის წიგნებში (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 23, გვ. 34, საბ. № 32, გვ. 40—41).

37 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 217.

38 ი ქ ვ ე, გვ. 222—223.

39 ი ქ ვ ე, გვ. 228. ამ ფაქტს ვახუშტი 1716—1719 წლებს შუა მომხდარ ამბებთან მოგვითხრობს (იხ. იქვე, გვ. 227—229). მაგრამ, ვფიქრობთ, იაშვილების რაჭიდან გამოძევება მოხდა უფრო ადრე, 1703 წლის ახლო ხანს. აღნიშნულ წელს, როცა ლევან იაშვილი მეფეს მამულს თხოვს (ქუთ. მუზ. საბ. № 843), იგი რაჭიდან გამოდევნილი უნდა იყოს.

40 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 232.

41 ქუთ. მუზ. საბ. № 843.

ამას გარდა, ზარათს აზნაურ მესხთა ყმა-მამული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იაშვილებმა თვითონ მიიტაცეს[42].

გიორგი მეფის მემკვიდრემ ალექსანდრემ კიდევ ლევან იაშვილს 1720 წელს მაღალი თანამდებობა — მეღვინეთუხუცესობა მისცა, რომელიც თურმე ადრეც მის წინაპრებს ჰქონდათ[43].

ალექსანდრე V-ის მეფობაში ეს ლევანი „ბევრგვარად" დაუსმენიათ, რის გამო მეფესა და მას შორის კეთილი დამოკიდებულება რამდენადმე დარღვეულა. მაგრამ მეფეს ლევანის საქმე „გაუსინჯავს" და მასზე ისევ გული მოუბრუნებია. თანაც თავის 1749 წლის სიგელით მისთვის „ზარათს ხატის კაცები და საყდარი სასაფლაოთი" უბოძებია[44].

მეფის ამავე წლის მეორე სიგელში ლევანი მდივანბეგად იხსენიება[45]. უთუოდ უკანასკნელის შემორიგების შემდეგ, მეფეს მისთვის მეღვინეთუხუცესობის ნაცვლად უფრო საპატიო თანამდებობა — მდივანბეგობა მიუცია.

ალექსანდრე V-ის სხვა სიგელიდან ჩანს, რომ ლევანი მისი ნათესავი ყოფილა. მეფე მას თავის „ერთგულებაზე მრავალფერად" ნამსახურ „დედიდაშვილს" ეძახის. ამავე დროს ლევანი მეფის „დარბაზის ერია"[46].

ალექსანდრე V-ის დროს იაშვილთა გვარის წარმომადგენლები მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ საეკლესიო სფეროში: ჯერ

ეს I ლევანი არის იაშვილთა საგვარეულოში. აღნიშნული წლის შემდეგ იხსენიება იგი კიდევ 1720, 1739—1752, 1755, 1759 წწ. დოკუმენტებში (ქუთ. მუზ. საბ. №№ 157, 865; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 88, გვ. 82, საბ. № 100, გვ. 93; დას. საქ. საეკლ. საბ., გვ. 6; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 5).

ამ ლევანის ძენი არიან მიზარბეგ და როსტომ, რომელნიც ერთად არიან დასახელებული ერთ უთარიღო „საუდეო წიგნში" (ქუთ. მუზ. საბ. № 1707). პირველი მათგანი ჩანს კიდევ ერთხელ 1732 წ. ახლო ხნის ერთ „სათავდებო წიგნში" (მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 3, გვ. 16). მეორე კი ხშირად გვხვდება სხვადასხვა დროის საბუთებში (იხ. ქვემოთ).

42 ქუთ. მუზ. საბ. № 845.

43 ი ქ ვ ე, საბ. № 865.

მეღვინეთუხუცესობა ლევან იაშვილმა დიდხანს ვერ შეინარჩუნა. 1733 წელს ეს სახელო უკვე ხოსია მხეიძეს უპირავს (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 131).

44 ქუთ. მუზ. საბ. № 1611.

45 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 157.

46 ი ქ ვ ე, საბ. № 865.

ბააკასა და შემდეგ სვიმონს ცაგერელ ეპისკოპოსის ხარისხით ვხედავთ[47].

სოლომონ პირველიც წყალობდა იაშვილს. „ძველთაგან“ იაშვილთა სამოურავო გეგუთი, რომელიც ერთ ხანს მეფის „უდროობით“ გამოერთვათ და „სხვას ჰქონდა“, სოლომონის მეფობის პირველსავე წლებში (1752—1753 წწ.) ვახტანგ[48] იაშვილს ებო-

---

47 ქუთ. მუზ. საბ. №№ 850, 859; სცია, ფ. 227(2) საბ. № 53.

ბააკა იაშვილი ცაგარელ ეპისკოპოსად დასახელებულია ალექსანდრე V-ის დროინდელ მხოლოდ ერთ უთარიღო დოკუმენტში (ქუთ. მუზ. საბ. № 859). სვიმონს კი ამ ხარისხით ეხვდებით ორ საბუთში, რომელთაგან ერთი უთარიღოა (სცია, ფ. 227(2), საბ. № 53), მეორე კი 1746 წლითაა დათარიღებული (ქუთ. მუზ. საბ. № 850). სვიმონზე ადრე ცაგერელობა ბააკას უნდა ჰქონოდა. ის საბუთი, რომელშიც უკანასკნელი ცაგარელად იხსენიება (ქუთ მუზ. საბ. № 859), სვიმონის ცაგერელობის შესახებ ცნობათა შემცველ საბუთებზე (სცია, ფ. 227(2), საბ. № 53; ქუთ. მუზ. საბ. № 850) უფრო ადრინდელი უნდა იყოს.

ალექსანდრე V-ის დროსვე, 1733 წელს, გვხვდება კიდევ ერთი ბააკა იაშვილი, რომელსაც ამ დროს რაღაც დიდი თანამდებობა უჭირავს, მაგრამ სახელდობრ რა, საბუთის ნაკლულოვანების გამო გაურკვეველი რჩება (დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 131. იხ. აგრეთვე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 77, საბ. № 82).

1703—1759 წწ. ერთ საბუთში მოხსენიებულია „იაშვილი ცაგერელი“. „მე, იაშვილმა... ცაგერელმაო“, — ვკითხულობთ ამ საბუთში (მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ..., გვ. 70, საბ. № 77. ეს საბუთი ჩვენს გამოცემაში მცდარადაა დათარიღებული, რაც აქ შესწორებულია). იაშვილ ცაგერელში ზემოხსენებული ბააკა ან სვიმონი უნდა იგულისხმებოდეს.

ამავე წლების კიდევ ერთ უთარიღო საბუთშიც ჩანს „ცაგერელი იაშვილი“. მასთან ერთად იხსენიებიან ამ დოკუმენტში ბააკა და მაქსიმე იაშვილები (ქუთ. მუზ. საბ. № 858).

უფრო ადრე, ალექსანდრე IV-ის 1691—1695 წწ. წყალობის წიგნშიც ვხვდებით ბააკა იაშვილს. იგი ამ მეფის დიდად „ნამსახური ყმა“ ყოფილა და მეფეც მას ყმა-მამულს აძლევს (ქუთ. მუზ. საბ. № 854).

ამგვარად, იაშვილთა საგვარეულოში ორი ბააკაა: I ერისკაცი, რომელიც გვხვდება 1691—1695, 1703—1759 წწ., II — ცაგერელ ეპისკოპოსი, რომელსაც ვხედავთ 1703—1746 წლებში.

48 ვახტანგი იყო ძმა ლევან I იაშვილისა და ბიძა გეგუთის მოურავი როსტომისა (ქუთ. მუზ. საბ. № 841). ამ საბუთში ვახტანგი როსტომის ბიძად არის დასახელებული. როსტომი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ლევან I-ის შვილი იყო აქედან ცხადია, ვახტანგი უკანასკნელის ძმა ყოფილა.

ვახტანგი იხსენიება 1732, 1732 წლის ახლო ხნის, 1745, 1746, 1748, 1749, 1753, 1755, 1759 წწ. დოკუმენტებში (ქუთ. მუზ. საბ. № 157, 775, 850, 852, 855; სცია, ფ. 227(2), საბ. №№ 62, 66; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 6; ს. ყაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 5; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. №№ 3, 4, 6).

ძა[49]. ამიერიდან იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე და მისი გაუქმების შემდეგაც დიდხანს ეს სამოურავო ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს ეჭირათ[50].

1759 წელს კიდევ მაქსიმე იაშვილი ბედიელ მიტროპოლიტად ზის[51]. 1763—1769 წწ. კი მას ხონის მთავარეპისკოპოსად ვხედავთ[52].

1773 წ. გვხვდება ნიკოლოზ იაშვილი[53]. იაშვილთა საგვარეულოს უფროსი ამ დროს ნიკოლოზი უნდა იყოს: გვარში ის პირველობს. აღნიშნული წლის შემდეგ მას ხშირად ვხვდებით. იხსენიება იგი 1779, 1784, 1812, 1815 წლების დოკუმენტებში[54].

იაშვილები დიდად ერთგულობდნენ სოლომონ პირველს. ამ

აღსანიშნავია ერთი ფაქტი: ალექსანდრე V-ემ ვახტანგ იაშვილს ცხენი „გამოართვა“ და მისი „ფასი ემართა“. „ამაში“ მეფემ 1745 წ. უბოძა ვახტანგს „დავითელა გაბუნია მის ყოელისფრიანად“ (ქუთ. მუზ. საბ. № 855).

როდის გარდაიცვალა ვახტანგი, არ ვიცით. ჩანს მხოლოდ, რომ იგი „უშვილოდ გადასულა“ და 1801 წელს ცოცხალი არ არის. მისი სიკვდილის შემდეგ მის ქონებას მისი ძმისწული როსტომი დაეუფლა (ქუთ. მუზ. საბ. № 841).

49 ქუთ. მუზ. საბ. № 864. საბუთი უთარიღოა. მისი გამცემი „დედოფალთ-დედოფალი შარვაშიძის ასული თინათინ“ იყო სოლომონ I-ის თანამეცხედრე. სოლომონმა იგი გამეფებისთანავე (1752 წ.) შეირთო. 1753 წლის სიგელში მეფე თავის თანამეცხედრედ მას იხსენიებს (იხ. სცია, ფ. 227(2), საბ. № 66). მაგრამ სოლომონმა მალე „განუტევა“ შარვაშიძის ქალი და ითხოვა ოტია დადიანის ასული მარიამი. 1754 წ. ნოემბრიდან იმერეთის დედოფლად მარიამი ჩანს (იქვე, საბ. № 51. იხ. აგრეთვე ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 178, შდრ. იქვე შ. ბურჯანაძის კომენტარები 430, 431; შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.). თბილისის სახ. უნ-ტის შრომები, XLI, 1950, გვ. 83, იხ. იქვე, შენიშვნა 2). ამრიგად საბუთი დაწერილია არა უადრეს 1752 წლისა და არა უგვიანეს 1754 წლის ნოემბრისა.

50 ქუთ. მუზ. საბ. №№ 729, 839, 1766; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1156; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, გვ. 184, საბ. № 17; გვ. 194, საბ. № 30; П. Г и л о с а р о в, О царе соломоне II и бывш:м при нем управлении. Кавказский Календарь, 1859, стр. 432.

51. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 4.

52 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 37—38. იხ. აგრეთვე, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველო, III, გვ. 300.

53 ქუთ. მუზ. საბ. № 946.

54 ი ქ ვ ე, საბ. 729; სცია, ფ. 227(2). საბ. № 58; დას. საქ. საეკლ. საბ, II, გვ. 170; საქ. სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 10, საბ. № 2.

შ. ბურჯანაძის მიერ გამოქვეყნებული ერთი უთარიღო ნასყიდობის წიგნი, რომელშიც ვხედავთ ნიკოლოზ და მამუკა იაშვილებს, დათარიღებულია „ხელის“

ერთგულებას შეეწირა ერთი იაშვილი: 1769 წელს დადიანმა იგი, მეფის მისანდო სარდალ ქაიხოსრო წერეთელთან ერთად, ღალატით მოკლა[55]. ამ მეფის ერთგულების გამო უნდა ყოფილიყო ისიც, რომ ალმასხან იაშვილის მამას, ნიკოლოზს, დადიანმა „ჯარი... გამოუსია". დადიანის ლაქშართან ბრძოლის დროს იაშვილი დიდად დაზარალდა: „ტყვეებიც ბევრი დაკარგა და საქონელიც"[56].

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ (1784 წ.) იაშვილები თავადთა იმ ჯგუფში იყვნენ, რომელიც დავით არჩილის ძის გამეფებისათვის იბრძოდა. მის მეტოქეს დავით გიორგის ძეს კი პირველ ხანში იაშვილების ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ტახტზე ასვლისათანავე მეფე ამ გვარის უფროს თავად ნიკოლოზ იაშვილს („სიკეთით საგონ ძმას") „მრავლის სიყვარულით მოიკითხავდა", მისი „ერთგულების მოიმედე" იყო და თავის მხრივაც წყალობას პირდებოდა[57]. მაგრამ დავით გიორგის ძის იმედები არ გამართლდა. იაშვილებს მისი „ღალატი და ორგულობა შეაჩნდათ". მეფემაც ჩამოართვა მათ 1785 წ. ზარათს ყმა-მამული და მის ადრინდელ მეპატრონეს პაატა მესხს გადასცა[58].

მიხედვით XVIII ს. პირველ ნახევრით (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის საძეფოსა..., I, გვ. 86—87, საბ. № 93). ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს. ნიკოლოზ იაშვილი, როგორც ზემოთ ვიჩვენეთ, გვხვდება XVIII ს. მეორე ნახევარსა და მომდევნო საუკუნის 10-იან წლებში. მასთან ერთად ჩანს მამუკა იაშვილიც 1815 წლის საბუთში (ქუთ. მუზ. საბ. № 729).

ნიკოლოზ იაშვილს ხუთი ვაჟი ჰყავდა: ხოსია, ალმასხანი, მერაბი, საყვარელი და ჯავახი. პირველ ოთხს მამასთან ერთად ვხედავთ ჯერ კიდევ 1773 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 946), ხოლო მეხუთეს — ჯავახს (რომელიც ყველაზე უმცროსი უნდა იყოს და შეიძლება 1773 წლის შემდეგ დაიბადა) — 1815 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 729).

ნიკოლოზის ვაჟი ხოსია ცალკე გვხვდება 1788 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 1638).

ნიკოლოზის მეორე ვაჟი, ალმასხანი, იხსენიება 1810 წელს მისი ბიძით ჯავახითურთ (ქუთ. მუზ. საბ. № 1484). მაგრამ უკანასკნელი ამ დროს ცოცხალი არ უნდა იყოს (იხ. იქვე).

ამგვარად, ნიკოლოზ იაშვილს ჰყოლია ძმა, რომელსაც ჯავახი ჰრქმევია.

ნიკოლოზის შვილი ალმასხანი დაქორწინებული იყო ახელედიანის ასულ მარიამთან (იქვე).

ნიკოლოზის ხსენება 1815 წლის შემდეგ წყდება. იგი, ალბათ, ამ წლის ახლო ხანს გარდაიცვალა.

55 Грамоты..., I, стр. 65.

56 ქუთ. მუზ. საბ. № 1484.

57 საქართველოს სახ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები. და არქივები, II, საბ. № 2, გვ. 10.

58 ქუთ. მუზ. საბ. № 845.

სოლომონ II-ის გამეფებას ზარათის კვლავ იაშვილებისათვის დაბრუნება უნდა მოყოლოდა. მაგრამ ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენელს, როსტომს, სოლომონ II დიდად წყალობდა და მას თავის „ერთგულობით ნამსახურად" თვლიდა[59].

სოლომონის მეფობაში გეგუთის მოურავობა როსტომ იაშვილს ჰქონდა. 1797 წელს მას უკვე გეგუთის მოურავად ვხედავთ[60]. ამ თანამდებობაზე უკანასკნელად იხსენიება იგი 1803 წელს[61], მაგრამ ეს სახელო მას სიკვდილამდე უნდა ჰქონოდა. როსტომი გარდაიცვალა 1806 წელს[62].

როსტომს ორი ვაჟი ჰყავდა: იესე და ლევანი[63]. 1808 წელს გეგუთის მოურავად იესე ზის[64]. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სამოურავო მან მამის გარდაცვალებისთანავე მიიღო. გეგუთის მოურავის თანამდებობით ჩანს იგი 1810, 1815, 1816, 1818 წლებშიც[65].

---

59 ქუთ. მუზ. საბ. № 841; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 17, გვ. 83—84.

60 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 112.

როსტომ იაშვილს ვხედავთ აგრეთვე 1800, 1801, 1802, 1803 წწ. საბუთებში, სოლომონ II-ის დროინდელ ერთ უთარიღო წყალობის წიგნში და კიდევ ერთ უთარიღო დოკუმენტში (იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 799, 841, 846, 1707; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1156; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 17, გვ. 183—184).

როსტომის მამა იყო, ლევან I, როსტომის ძმა არის მიზარბეგ (იხ. ზემოთ).

61 ქუთ. მუზ. საბ. № 799.

62 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 30, გვ. 194.

63 ქუთ. მუზ. საბ. № 846. იესე და ლევანი პირველად იხსენიებიან მამასთან ერთად 1802 წელს (იქვე).

64 საქართველოს სიძველენი, III, საბ. № 274, გვ. 265.

65 ქუთ. მუზ. საბ. №№ 839, 840, 1766; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 24, გვ. 190, საბ. № 30, გვ. 194.

იესე იაშვილს ვხედავთ აგრეთვე 1819, 1825, 1827 წლებში (ქუთ. მუზ. საბ. №№ 1692, 1731; Н. Б. М а х а р а д з е. Восстание в Имеретин 1819—1820 гг. Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. III, 1942, стр. 147). უკანასკნელ წლებში (1825, 1827) იგი პორუჩიკის ხარისხით გვხვდება (იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 1692, 1731).

იესეს ძმა ლევანი, რომელიც პირველად 1802 წ. საბუთში ვნახეთ (იხ. ზემოთ), იესესთან ერთად ჩანს 1808, 1815, 1818 წწ. (ქუთ. მუზ. საბ. № 1766; საქართველოს სიძველენი, III, საბ. № 274, გვ. 265; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 24, გვ. 190, საბ. № 30, გვ. 194).

ეს ლევანი არის II ლევანი იაშვილთა საგვარეულოში (იხ. ზემოთ ლევან I, მეღვინეთუხუცესი). ლევან II ცალკე იხსენიება 1817 წელს ძმები იოანე, დავითი, სვიმონ და გიორგი აგიაშვილების პირობის წიგნში, როგორც ამ წიგნიდან ვგებულობთ, ლევანი მათი სიძე ყოფილა (ო. ს ო ს ე ლ ი ა. მასალები დასავლეთ

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით იაშვილთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

1810—1812 წლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საგვარეულოს წევრები გაყრილნი ჩანან[66].

აღსანიშნავია, რომ 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდა „თითქმის ყველა თავადი იაშვილის გვარისა". სახელდობრ: ალმასხანი, მერაბი და სხვ[67]. მხოლოდ იესე იაშვილი და „მისი ძმები" დარჩნენ რუსეთის მთავრობის ერთგულნი[68].

*

* *

ზემოხსენებულ იაშვილთა გარდა, მეტ-ნაკლებად ცნობილია ამ საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც:

მ ი ქ ე ლ. მოწმედაა დასახელებული ალექსანდრე V-ის 1732 წ. წყალობის წიგნში[69];

ზ ა კ ა რ (?). ჩანს 1732 წლის ახლო ხნის ერთ სათაედებო წიგნში[70];

საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 197).

აღსანიშნავია, რომ იესეს მოურავობის პერიოდში, 1815 წ. მოურავად ვხედავთ აგრეთვე მამუკა იაშვილსაც (ქუთ. მუზ. საბ. № 729). ეს II მამუკაა. იგივე მამუკა უნდა იყოს ზემოაღნიშნულ უთარიღო ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული მამუკა (I არის ის მამუკა, რომელიც დასახელებულია ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნში. იხ. ზემოთ). თუ მამუკა მეორეც გეგუთის მოურავად იყო (სხვა სამოურავო იაშვილებს არ ჰქონდათ), მაშინ აქ მოურავად ერთსა და იმავე დროს (1815 წ.) იაშვილთა საგვარეულოს ორი წარმომადგენელი ყოფილა. მამუკა II-ეს პირველად და უკანასკნელად ვხვდებით 1815 წ. „საწინდრობის წიგნში". ამ წიგნში იგი მოწმედ და „გამრიგედ" არის დასახელებული (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 729).

66 ქუთ. მუზ. საბ. № 1484; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 170—171.

67 Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг. стр. 144, 161.

68 ი ბ ე ვ ე, გვ. 147.

აღსანიშნავია, რომ ადრეც, 1810 წელს, თავადი იესე იაშვილი რუსთა სარდლობას ერთგულებდა. მასთან ერთად ხსენებულ წელს იგი თავის უმცროსურთ სოლომონ მეორის წინააღმდეგ იბრძოდა (იხ. В. Чудинов, Имеретинская неурядица в 1809 и 1810 годах, Кавказский Сборник, т. XVI, Тифлис, 1895, стр. 270, შენიშვნა 30).

69 სცია, ფ. 227(2), საბ. № 62.

70 მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 3, გვ. 16.

რ ო ბ უ ა. გვხვდება XVIII ს. 50-იან წლების წყალობის წიგნში[71];

დ ა ლ ა ხ ო რ ა. დასახელებულია 1810 წლის საბუთში[72];

ბ ე რ ი. ვხედავთ 1810, 1815 წლების დუკომუნტებში[73];

ბ ე ჟ ან. მოწმედ არის დასახელებული 1814 წლის ერთ ნასყიდობის წიგნში[74];

ქ ა ი ხ ო ს რ ო III[75]. ვხვდებით 1814 წლის საბუთში[76].

თ ა ვ ი VI

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე თ ა ს ა თ ა ვ ა დ ო

ლორთქიფანიძეთა გვარი პირველად იხსენიება „ერთობილთა" „ჯალდეშელთა" და გიორგი და დემეტრე ლორთქიფანიძეების XIV—XV საუკუნეების „დაწერილში"[1]. ამ დროს ლორთქიფანიძეები ხალდეშის ხევში (სვანეთი) ბინადრობენ[2].

მომდინარეობენ თუ არა იმერეთის ლორთქიფანიძეები ხალდეშელ ლორთქიფანიძეებისაგან. არ ვიცით[3]. მაგრამ XV ს-ში ლორთქი-

---

71 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 103, საბ. № 112.

72 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 66, გვ. 90.

73 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1329; ქუთ. მუზ. საბ. № 1484.

74 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1308.

75 ქაიხოსრო I და II იხ. ზემოთ.

76 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1308.

გვხვდება ერთი სფირიდონ იაშვილი, რომელსაც 1817 წელს გადაუწერია ვახუშტის „საქართველოს ისტორია" (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბილისი, 1954, გვ. 109—110) და შემდეგ — ვახტანგ IV-ის სამართლის წიგნი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 197), მაგრამ იგი თავადური გვარიდან არ უნდა იყოს.

1 იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბილისი, 1941, გვ. 69.

ამ „დაწერილში" ვკითხულობთ: „ლოთქიფანისძე", „ლოთქიფანიძე", რაც, ცხადია, იგივე ლორთქიფანიძეა.

2. ი ქ ვ ე.

3 ქართველ თავად-აზნაურთა გვარების „აღწერაში" დაცული ცნობის მიხედვით, ლორთქიფანიძეები იყვნენ ციხე „ლორიქანის" „მეციხოვნეები". ეს ციხე „არს... მხარესა მცირისა (?)... ალბავისა სალმასის (?) კერძოდ... მუნებურნი მეციხოვნენი მოვიდნენ" იმერეთში „წელსა 1656-სა და ამ ციხის გამო მიიღეს სახელად. ლორქნის მაგიერ ლორთქიფანიძეობა" (იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. S, № 32729, გვ. 111v).

ფანიძეები იმერეთშიც უნდა იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, თუალია ლორთქიფანიძე ბაგრატ იმერთა მეფის მოწმეთა შორის გვხვდება ყიფიანების აღნიშნულ საუკუნის სასისხლო სიგელში[4] და იმერეთში უნდა იჯდეს.

თუალიას შემდეგ ლორთქიფანიძეები დიდხანს არ ჩანან ისტორიის სარბიელზე. 1573 წელს, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ვხედავთ თუალიას სახლიკაც ქექაოზ ლორთქიფანიძეს[5]. ქექაოზი სათავადო ადგილ-მამულის შემოკრებისათვის იღწვის. იგი „აჯით" მიმართავს გიორგი II-ეს საგვარეულო საძვალეს განწესების შესახებ. მეფე აკმაყოფილებს „დიდად ერთგულ" თავადის თხოვნას. აღნიშნულ წელსვე აძლევს მას „გელათის დასავლეთის კარსა სასაფლაოს" და „მხეციძისა" და გენათელი საყვარელიძისეულ ადგილ-მამულსა და გლეხებს[6].

გელათს, სამეფო მონასტერში, ქექაოზისათვის საძვალეს განწესება მის რაღაც დიდ დამსახურებაზე მეტყველებს. მაგრამ მეფის მიერ ფეოდალის ასეთი შეწყალება ერთგულება-დამსახურების გარდა, ჩვეულებრივ დიდ „ქრთამსაც" მოითხოვდა. ჩანს, ქექაოზს საამისო მატერიალური სახსარიც ჰქონდა: მეფეს მან შესაფერი „ქრთამიც" მიართვა[7].

ახლად ნაბოძებ სასაფლაოში ქექაოზმა ულუხანი დაასაფლავა[8]. მეფემ მას წირვა-ლოცვა და მდიდრული ალაპი „გაუჩინა"[9]. შემდეგ ქექაოზიც იქ დაასაფლავეს[10].

ეს ცნობა სინამდვილეს არ ასახავს. ლორთქიფანიძეები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და ქვემოთაც დოკუმენტური მასალებიდან ვნახავთ, 1656 წელზე ბევრად ადრე იყვნენ იმერეთში ცნობილნი. მათი გვარსახელი. კიდევ ციხე „ლორიქანიდან" კი არა, მათი მამამთავრის (ლორთქიფანი) სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები.

4 საქ. სიძვ. II, საბ. № 358, გვ. 399.

ყიფიანთა სასისხლო სიგელს მისი გამომცემი ექვთ. თაყაიშვილი 1462—1478 წლებით ათარიღებს (იხ. იქვე საბუთის ლეგენდა). ს. კაკაბაძის ვარაუდით კი ეს სიგელი XV ს. დასაწყისს მიეკუთვნება (იხ. მისი, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 58). ამრიგად, ორივე მკვლევარი ამ სიგელს XV საუკუნისად თვლის.

5 დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 29.

6 იქვე, გვ. 29—31.

7 იქვე, გვ. 29.

8 ულუხანი ქექაოზის თანამეცხედრე უნდა იყოს.

9 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 29—31.

10 ეს ჩანს გედეონ ლორთქიფანიძის საფლავის ქვის წარწერიდან. ამ წარწერაში ნათქვამია: „...ამას წინათაც ბაბა ჩემს ხელმწიფისაგან წყალობაჲ საფ-

ქექაოზი უნდა იყოს ლორთქიფანიძეთა თავკაცი. მის დროს, XVI საუკუნეშია სავარაუდებელი ამ საგვარეულოს სათავადოს ჩამოყალიბება.

გვიანდელი ცნობებით[11], ლორთქიფანიძეთა სათავადოში 20 სოფელი შედიოდა მთლიანად თუ ნაწილობრივ:

1. ჩუნეში[12], 2. ცხუკური (ცხუნკური), 3. ყუმისთავი, 4. მულოური, 5. დედახვთისა, 6. ნამოხვანი (ნამახვანი), 7. ოსუნელა (ოსურნელა), 8. გვაშტიბი[13], 9. ციხისუბანი (ნაწილობრივ), 10. დვალიშვილები (ახლა სულორი. ნაწილობრივ), 11. დიხაშხო (ნა-

---

ღავი ეშოვნა კარ შესავალს, ესენიც და დედა ჩემიცა იქ დაემარხენ და აწ ესე არს განსასვენებელი ჩემი" (იხ. M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique..., 3-e et dérnière livraison, XI rapports, p. 35; ბ. ლომინაძე. გელათი, თბილისი, 1955; გვ. 47). უეჭველია აქ გიორგი II-ის ზემოაღნიშნულ წყალობაზეა ლაპარაკი. ეს წყალობა, როგორც ვნახეთ, ქექაოზმა მიიღო. მაშასადამე, იგი გედეონის პაპა ყოფილა და „ესენიც" (რომელნიც გელათის „კარ შესავალს" ემარხნენ), ულუხანი და ქექაოზია. ყოველივე ეს პირველად შენიშნა კ. გრიგოლიამ (იხ. მისი „იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება მე-17 საუკუნეში", საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 98—99). შენიშნა ეს ბ. ლომინაძემაც (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 47).

11 მხედველობაში გვაქვს გერმანული მოგზაურის იოჰან-ანტონ გიულდენშტედტის 1772 წლის ცნობა, XIX ს. პირველი მეოთხედის დოკუმენტური მონაცემები (იხ. ქვემოთ) და ჩვენ მიერ 1959 წ. აგვისტოს სოფ. ჩუნეშში ჩაწერილი ზეპირი ცნობები, რომელიც მოგვაწოდა ამავე სოფლის მკვიდრმა 79 წლის დავით ტარიელის ძე ლორთქიფანიძემ (წარმოშობით თავადი).

12 მდინარე ყუმის გაღმა-გამოღმა.

13 ეს სოფელი მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირს აკრავს. აქ იმერეთის სამეფოს სანაპირო ზოლზე, სადადიანო ციხე გორდის პირდაპირ, იყო ცალესიმაგრე გვაშტიბი (ვახუშტი—გოსტიბე), რომელიც 1772 წელს სოლომონ პირველს ეკუთვნოდა (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 147, 149. ქართულ თარგმანში შეცდომით წერია: „გვიშტიბი" იხ. და შდრ. იქვე პარალელური გერმანული ტექსტი). ადრე და სოლომონის შემდეგ ეს ციხე ლორთქიფანიძეებს უნდა ჰქონოდათ. ყოველ შემთხვევაში დავით ლორთქიფანიძის ცნობით, სოფ. გვაშტიბი და მისი ციხე ლორთქიფანიძეებისა იყო: „ასე გამიგონია მამა-პაპათაგანო".

ასეთივე ცნობა მოგვაწოდა გვაშტიბის შესახებ თამარ ასლანის ასულმა ლორთქიფანიძე-ღოღობერიძემაც (სოფ. პატარა-ჯიხაიშის მცხოვრები, 55 წლის. ცნობა ჩაიწერეთ ამავე სოფელში 1959 წლის აგვისტოს).

ნამოხვანს და ოსუნელას გიულდენშტედტის გადმოცემით, 1772 წელს დადიანი ფლობდა (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 307). მაგრამ დავით ლორთქიფანიძის ცნობით, რომელიც მას „ძველთაგან" გაუგონია, ეს სოფლებიც „ძველად" ლორთქიფანიძეებს ეკუთვნოდათ.

წილობრივ)[14], 12. ციხისგვერდი, 13. ციხე, 14. ახალბედისეული (ახალბეცოული), 15. ძეძილეთი, 16. გელავერი (გელავერდი), 17. ურაგვეთი, 18. მუსალორი, 19. ჩიკააური, 20. აბჟანაგერი, 21. ქვიშილეთი, 22. საქვსვირია[15].

ამ სოფლების შემცველ ტერიტორიას „სალორთქიფანიძო" ეწოდება. აღმოსავლეთით მას მდ. რიონი საზღვრავდა, დასავლეთით და ჩრდილოეთით — მდ. ცხენისწყალი, სამხრეთით — წყალტუბრ-გვიშტიბ-გუბის-წყალი.

ზემოჩამოთვლილ სოფლებს გარდა, ლორთქიფანიძეები ყმამამულს ფლობდნენ ჭყვიშს, გადიდს, ონჯოხეთს, ჯიხაიშს, ისრითსა და ვანში[16].

ლორთქიფანიძეთა რეზიდენცია სოფელ ჩუნეშში იყო. აქ ჰქონდათ სასახლე, კარის ეკლესია და ციხესიმაგრე. ციხესიმაგრე ჰქონდათ მათ, როგორც აღვნიშნეთ, გვაშტიბში და აგრეთვე ქვიშილეთშიც[17].

თავდაპირველად ლორთქიფანიძეთა სამკვიდრებელი ცხუკურს უნდა ყოფილიყო. აქედან უნდა იყოს ეს საგვარეულო გადასული ჩუნეშში. გვიან დრომდე ლორთქიფანიძეები სალოცავად სწორედ ცხუკურს მიდიოდნენ და ჩუნეშიდან იქ მოჰქონდათ შესაწირავიც[18].

ლორთქიფანიძეთა სახლის ერთი შტოს ადგილსამყოფი, თუ უფრო ადრე არა, XVII—XVIII სს-დან მაინც, დიხაშხო იყო. აქაც ჰქონდათ ლორთქიფანიძეებს სასახლე და ეკლესია (სამების). დიხაშხოს ეკლესიის „შიგნით კედელზე, — აღნიშნავს ამ ეკლესიის აღწერილობაში ექვთ. თაყაიშვილი, — დახატულნი არიან ლორთქიფანიძეთა გვარეულობის პირნი. ერთ მათგანს ხელში უჭირავს

---

14 ციხისუბნის, დვალიშვილებისა და დიხაშხოს ნაწილი თავად ჩიჯავაძეებს ეკუთვნოდათ. ფილიმონ ივანეს ძე ნადირაძისა (სოფ. ციხესულორის მკვიდრი, დაბადებული 1879 წ.) და იაგორ კონსტანტინეს ძე მესხის (იმავე სოფლის მკვიდრი, დაბადებული იმავე წელს) ცნობები. ჩავიწერეთ აღნიშნულ სოფელში 1959 წლის აგვისტოს.

15 ქუთ. მუზ. საბ. №№ 317, 320; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ, № 13863; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოსში, I, გვ. 305, 307; დავით ლორთქიფანიძისა და თამარ ლორთქიფანიძე-ღოღობერიძის ცნობები.

16 ქუთ. მუზ. საბ. №№ 317, 320; ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, საბ. № 2190.

17 ქვიშილეთის „ციხე ფრიად მაგარი" იხსენიება ვახუშტის „აღწერაში" (იხ. გვ. 157).

გიულდენშტედტის „ქვილიშა" (იხ. მისი, მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 305) ქვიშილეთი უნდა იყოს. ქვიშილეთი კი, დავით ლორთქიფანიძის ცნობით, ლორთქიფანიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

18 დავით ლორთქიფანიძის ცნობა.

გეგმა ეკლესიისა"[19], რაც გვანიშნებს, რომ იგია ეკლესიის აღმშენებელი.

დიხაშხოელ ლორთქიფანიძეთა წარმომადგენელნი იყვნენ როსტომ, ტატუ, ბეჟან და ბესო ლორთქიფანიძეები, რომელნიც აღნიშნული ეკლესიისადმი მათ მიერ XIX ს. პირველ მეოთხედში შეწირულ კანკელის წარწერაში იხსენიებიან[20].

ლორთქიფანიძეების ყმა გლეხები იყვნენ: შერაძენიძეები, ორმოცაძეები, ქათამაძეები, ბიბილაშვილები, დვალიშვილები, კახაძეები, საღარეიშვილები, ახალაძეები, ვაშაკიძეები, ხონელიძეები, ნარჩომაშვილები, ხაჭაპურიძეები, ქუთათელაძეები, გუბელაძეები, გვანცელაძეები, ლაგაძეები, კიკუტაძეები, ეაშაყმაძეები, ომიაძეები, მაღლაკელიძეები. მსხილაძეები, გაბუნიები, ჩახუნაშვილები, კიკალიშვილები, მეგენიშვილები და სხვ[21].

ლორთქიფანიძეების აზნაურები იყვნენ: ნიქაბერიძეები, ყიფიანები, მხეიძეები, მესხი და სხვ[22].

XVIII ს. 80-იანი წლების ცნობით, ლორთქიფანიძეების ყმათა საერთო რიცხვი 400 კომლს უდრიდა[23]. მაგრამ უფრო ადრე მათი ყმათა რაოდენობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო.

ლორთქიფანიძეთა სათავადო საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდა. შეუვალობა ამ სათავადოს ფაქტიურად ქექაოზის ან ბეჟან I ლორთქიფანიძის დროს (XVI—XVII სს.) უნდა მოეპოვებინა. ის გარემოება, რომ ლორთქიფანიძეების ყმათა დიდ ნაწილს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ამოუკვეთეს საურის გადასახადი, ეს ლორთქიფანიძეთა მიერ ფაქტიურად ადრე მოპოვებულ საგადასახადო შეუვალობის მხოლოდ ფორმალურ აღიარებაზე ლაპარაკობს[24]. საუდიეროსაგანაც მათი ყმები ადრევე (XVI—XVII

---

19 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ჟურნ. „მოამბე", 1900, № XII (დეკემბერი), გვ. 21.

20 ი ქ ვ ე, გვ. 20.

21 ქუთ. მუზ. სამ. №№ 111, 317, 320, 1918, 1919; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, სამ. № 13863; იქვე, ფ. Ad, სამ. № 2190; ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამ №№ 42, 55; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, სამ. № 10, გვ. 177; დავით ლორთქიფანიძის ცნობა.

22 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, სამ. № 57, გვ. 59; დავით ლორთქიფანიძის ცნობა.

23 იხ. ი. რ ე ი ნ ე გ ს ი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

24 იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან..., გვ. 184—186.

ᲡᲡ.) უნდა განთავისუფლებულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, 1810 წლის ცნობით, ამ საგვარეულოს 400 კომლი ყმათაგან საურს იხდიდა მხოლოდ 20 კომლი. საუდიეროს კი სალორთქიფანიძეო, სამიქელაძეო, საღოღობერიძეო, საჩხეიძეო და სანიჟარაძეო ყმათა საერთო რიცხვიდან — მხოლოდ 100 კომლი[25]. აქედან ლორთქიფანიძეების ყმებად თუ 1/5-ს ვივარაუდებთ, საუდიეროს გადამხდელიც სალორთქიფანიძეოში მხოლოდ 20 კომლი ყოფილა.

სათავადოს მართვაში ლორთქიფანიძეები თავიანთ მოხელეებს იყენებდნენ. ლორთქიფანიძეთა მოხელეებიდან წყაროებში ვხვდებით მხოლოდ სახლთუხუცეს იოსებს[26]. სასულიერო მსახურთაგან— მოძღვარ-მღვდელ ლაზარე გოგორიშვილს[27]. მაგრამ სახლთუხუცესს გარდა, სალორთქიფანიძეოში სხვა მოხელეებიც უნდა ყოფილიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, მოურავის, მდივნისა და ხელოსნის თანამდებობათა არსებობა აქ უეჭველად სავარაუდებელია. ასევე სავარაუდებელია აქ ეკლესიის სხვა მსახურთა არსებობაც.

ქექაოზის შემდეგ ლორთქიფანიძეთა ხსენება წყაროებში ერთ ხანს წყდება. მხოლოდ 78 წლის შემდეგ ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში იხსენიება ქექაოზის თანამოგვარე, ან, იქნებ, შვილიშვილი, ოტია ლორთქიფანიძე[28]. ამიერიდან ლორთქიფანიძეები ხშირად ჩანან იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XVII ს. მეორე ნახევარში ვხედავთ ქექაოზის მეორე შვილიშვილს, გედეონს (იხ. ზემოთ). იგი სასულიერო სფეროში მოღვაწეობს და ამ დროს ფრიად დაწინაურებული პირია. 1660 წელს გედეონი (იგივე გედევანი) უკვე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ზის[29]. ნიკორწმინდლობასთან ერთად ამავე წლიდან მას გენათლო-

---

[25] Акты, IV. стр. 256.

[26] დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 60 (1777 წლის საბუთი).

[27] ქუთ. მუზ. საბ. № 320 (ლორთქიფანიძეთა 1812 წლის „ერთობის წიგნი").

[28] სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში...., გვ. 193.

[29] დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 64.

როდის დაჯდა გედეონი ნიკორწმინდელად, ზუსტად არ ვიცით. მაგრამ, ცხადია, რომ ნიკორწმინდლობა მან 1651 წ. 9 ოქტომბრის შემდეგ მიიღო. მისი წინამოადგილე ჩანს დავით ნიკორწმინდელი. აღნიშნული თარიღით შედგენილ ალექსანდრე III-ის ფიცის წიგნს სწორედ დავით ნიკორწმინდელი აწერს ხელს (იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკ იევლევის ელჩობა იმერეთში..., გვ.

ბაც აქვს[30]. 1664 წელს იგი გენათელ-ნიკორწმინდელ ეპისკოპოსის ხარისხით გვხვდება[31].

ამ მღვდელთმთავრის მიერ არის აგებული მდინარე ჭიშურაზე, ქუთაის-ჩხარის ძველ მაგისტრალურ გზაზე, ორთაღიანი ქვის ხიდი, რომლის ბურჯებში დატანებულ წარწერაში ვკითხულობთ: „...აღვაგე ხიდი ესე მე, გენათელმა ლორთქიფანიძემ გედეონ სულისა ჩემისა საოხად ქორონიკონსა ტნვ" (1668 წ.)[32].

ასეთი საქმიანობის გამოა, უთუოდ, რომ ის ერთი გულანის ანდერძ-მინაწერში „დიდ გედევან გენათელად" არის წოდებული[33].

ეს მაღალხარისხოვანი სასულიერო ფეოდალი პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობს. გედეონისა და სხვათა მხარდაჭერით იბრუნებს მტრებისაგან დევნილი ბაგრატ IV 1663 წელს იმერეთის სამეფო ტახტს[34].

1669 წელს ბაგრატ მეფემ გედეონ გენათელი დიპლომატიური დავალებით მოსკოვს გაგზავნა. ამ დროს რუსთ ხელმწიფის კარზე მყოფი კახთ ბატონიშვილის ერეკლეს „ინტრიგების გამო" იმერთა მეფის ელჩი დააპატიმრეს. მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოხერხდა ტყვეობიდან მისი გამოხსნა. 1675 წელს გედეონი გაათავისუფლეს პატიმრობიდან და ამავე წლის სექტემბერს მოემგზავრება საქართველოში[35].

გედეონის რუსეთში ყოფნისას შეიძლება გელათის საეპისკოპოსოს საქმეებს დროებით ნიკოლოზ ლორთქიფანიძე მართავდა,

---

195). 1660 წ. კი, როგორც ზემოთ ითქვა, გედეონი უკვე ნიკორწმინდელია, ე. ი. ნიკორწმინდელად იგი 1651 წ. 9.X — 1660 წ. შუა დაუსვამთ.

30 ქრონიკები, II, გვ. 477; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. გელათი, 1955, გვ. 47.

31 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 68—69.

თ. ჟორდანიას ვარაუდით, 1660 წ. ახლო ხანს გენათლად ნიკოლოზ ლორთქიფანიძე იყო (ქრონიკები, II, გვ. 477—478). ასეთი ვარაუდი დასაშვებია ერთგვარი შესწორებით, მაგრამ — ისიც უფრო გვიან, 1669—1675 წლებში (იხ. ამაზე ქვემოთ).

32 ზ უ რ ა ბ ჭ უ მ ბ ურ ი ძ ე. სიმონეთის სიძველენი, „ლიტერატურული გაზეთი", 1962 წ. 14 სექტემბერი, № 38 (1312); „მცირე ქრონიკები", გამოც. ჯ. ოდიშელისა, გვ. 73.

33 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 85, ანდერძი 10.

34 ქრონიკები, II, გვ. 477. იხ. აგრეთვე დას. საეკლ. საბ., I, გვ. 68—69.

35 Переписка..., стр. LXV—LXVI, 85, 97; კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება..., გვ. 99; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. გელათი, 1955, გვ. 47.

მაგრამ გენათელის ხარისხი კი მან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უფრო გვიან მიიღო.

გედეონ გენათელი გარდაიცვალა 1682 წელს[36]. დასაფლავებულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთის მინაშენში „დასავლეთის კარსა“, იქ, სადაც მისმა პაპამ ქექაოზმა საძვალე „იშოვნა“[37].

XVI—XVII სს. შემდეგ ჰქონდათ თუ არა ლორთქიფანიძეებს საგვარეულო სასაფლაო გელათის ეკლესიაში, წყაროებიდან არ ჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ გვიან ამ გვარის წევრებიდან ზოგი იმარხებოდა ჩუნეშის ფერისცვალების ტაძარში, ზოგი — აბჟანაგერში და ზოგი კიდევ — დიხაშხოს სამების საყდარში[38].

გედეონის გარდაცვალების შემდეგ მისი ძმისწული ნიკოლოზ ლორთქიფანიძე[39] 1683 წელს ალექსანდრე მეოთხემ გენათლად დასვა[40].

გედეონის თანამედროვეა ვახტანგ ლორთქიფანიძე, რომელიც მოწმედ გვხვდება 1661—1663 წწ. ერთ ბატონყმობის წიგნში[41]. სახლიკაცობის გარდა რა ნათესაობა იყო მათ შორის, არ ვიცით.

გედეონზე უფრო მეტ ხანს ჩანს ისტორიის ასპარეზზე მისი ძმა (ქექაოზის შვილიშვილი) ბეჟანი[42]. იგი პირველად გვხვდება

---

36 ეს ჩანს მისი საფლავის ქვის წარწერიდან. იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

37 ი ქ ვ ე.

38 ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, „მოამბე“, 1900, № XII (დეკემბერი), გვ. 20—21; დავით ლორთქიფანიძის ცნობა.

39 ნიკოლოზი რომ გედეონის ძმისწულია, ამას ვგებულობთ კაცხის გულანის ანდერძ-მინაწერიდან. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, გვ. 85, ანდერძი 10.

40 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ. № 598.

41 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 25, გვ. 35.

42 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 85, ანდერძი 10.

ბეჟანს ორი ძე და ერთი ასული ჰყავდა: გრიგოლ, ნიკოლოზ და გულქანი ზემოხსენებული ნიკოლოზ გენათელი ბეჟანის შვილი იყო (იხ. იქვე).

შეიძლება ეს ბეჟანი იყოს ჯვარის მონასტრის აღაპებში დასახელებული ბეჟან ლორთქიფანიძე (იხ. აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოცემული ნ. მარის მიერ. ს. პეტერბურგი, 1914, გვ. XXIV). თუ ეს ასეა, მაშინ მისი თანამეცხედრე ყოფილა ლელა და ჰყოლია მესამე ეაჟი ოტია, რომელიც მოურავად მჯდარა (იქვე. იხ. ამის შესახებ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილებაა..., გვ. 97—98). მაგრამ რატომაა, რომ კაცხის გულანის 1723 წლის ანდერძ-მინაწერში ბეჟან ლორთქიფანიძის ასული გულქანი თავის ძმებად იხსენიებს მხოლოდ გრიგოლ კათალიკოსსა და ნიკოლოზ

1667 წელს[43]. მაგრამ მისი მოღვაწეობა ბევრად უფრო ადრიდან არის საგულისხმებელი.

ბეჟანი იმ ძლიერ თავადთა რიგებშია, რომელნიც XVII ს. მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოს საქმეებს თავიანთი ნებისამებრ წარმართავენ.

აღნიშნულ პერიოდში ბეჟანი უკვე ფრიად წარჩინებული თავადია. მას მოლარეთუხუცესისა და „ქუთაისის ქალაქის მოურავის“ სახელოები აქვს[44]. სათავადო სახლის უფროსადაც იგი ზის. ბაგრატ IV-ის მიერ 1669 წელს რუსთ ხელმწიფის ალექსისათვის გაგზავნილ წიგნში ბეჟანი „დიდი ბაიარად (დიდებულ თავადად) არის წარმოდგენილი[45]. ლორთქიფანიძეთა გვარი ამ დროს თავისი პატივით აგიაშვილების, წულუკიძეების, წერეთლების, აბაშიძეებისა და იაშვილების საგვარეულოებზე წინ დგას[46].

მოლარეთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის სახელოები ბეჟანს ბაგრატ IV-საგან უნდა ჰქონდეს მიღებული. ბეჟანიც დიდად ერთგულობს მას. სეხნია ჩხეიძის გამცემლობით 1666 წ. ოსმალთა მი-

---

ვენათელს, იხსენიებს აგრეთვე დიდი ხნის წინათ (1682 წ.) გარდაცვლილ ბიძას გედეონ გენათელს და ოტიას არა! (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 85, ანდერძი 10). ეს საეპვოდ ხდის გულქანის მამის ბეჟანისა (XVII ს. მოღვაწე მოლარეთუხუცეს-ქუთაისის მოურავი) და ჯვრის მონასტრის აღაპებისეულ ბეჟან ლორთქიფანიძის იგივეობას.

43 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 204.

44 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 85, ანდერძი 10; ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 204; Переписка..., стр. 83.

1651 წელს მოლარეთხუცესად ჯერ კიდევ ლომკაც ჯაფარიძეს ვხედავთ (იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იეველეის ელჩობა იმერეთში..., გვ. 170, 195). 1667—1669 წწ. კი ეს სახელო და ქუთაისის მოურავობაც უკვე ბეჟან ლორთქიფანიძეს უჭირავს (ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 204; Переписка..., стр. 83). მოლარეთუხუცესობა, ლორთქიფანიძეთა სახლმა ჯაფარიძეთა საგვარეულოს შემდეგ მიიღო. ამას მოწმობს ის, რომ უკანასკნელთა შემდეგ ლორთქიფანიძემდე ამ თანამდებობაზე სხვა რომელიმე საგვარეულოს წევრი არ ჩანს.

45 იხ. Переписка..., стр. 83. მითითებულ დოკუმენტში დასახელებული „დიდი ბაიარი მოლარეთუხუცესი ბეჟანი“ რომ გვარად ლორთქიფანიძეა, ეს ჩანს კაცხის გულანის ანდერძ-მინაწერიდან (შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 85, ანდერძი 10).

46 ამის თქმის საფუძველს იძლევა ამ თავადურ საგვარეულოების წარმომადგენელთა დასახელების რიგი. იხ. Переписка..., стр. 83.

ერ დაპყრობილი ქუთაისის ციხე ბეჟანმა გაათავისუფლა უცხოელ ოკუპანტებისაგან: „იცა ჟამი მოურავმან ბეჟან ლორთქიფანიძემან, შეეტყუა ქუთაისს ციხესა, მოსრნა ოსმალნი“ 1667 წელს და ეს ციხე ბაგრატ IV-ეს გადასცა[47].

ბეჟანის ასეთ თავგანწირულ მოქმედებას მისი პირადი თავადური ინტერესები მოითხოვდნენ (იგი, როგორც ვნახეთ, ქუთაისის მოურავი იყო, რაც მას დიდ შემოსავალს აძლევდა). მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ინტერესები უცხო მოძალადეთაგან ქვეყნის დაცვის საერთო — „ყოველთა იმერთა“ ინტერესებს ემთხვევა და ეს ძლიერი თავადი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად გვევლინება.

XVII ს. მეორე ნახევარში იმერეთის სამეფო კარზე ჩხეიძეებთან ერთად ლორთქიფანიძეებიც პირველობენ[48]. უკანასკნელნი, ჩანს, მეფემ წამოსწია ამ დროისათვის უკვე განდიდებულ ჩხეიძეთა დასაპირისპირებლად. მართლაც, ჩხეიძეთა ძლიერების დამხობაში ლორთქიფანიძეებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს[49].

ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ (1681 წ.) ბეჟან ლორთქიფანიძე თავისი სახლიკაცებით იმერეთის კანონიერი მეფის ალექსანდრე IV-ის წინააღმდეგ იბრძვის გიორგი ლიპარტიანთან და რაჭის ერისთავთან ერთად[50]. რაჭის ერისთავის ჯგუფში ბეჟანი იმიტომაც უნდა ყოფილიყო, რომ მისი ასული გულქანი პაპუნა II ერისთავზე იყო გათხოვილი[51]. ასეთი ძლიერი „მოკიდებულით“ ზურგგამაგრებული ბეჟან ლორთქიფანიძე იმერეთის სამეფოში დიდ ძალას წარმოადგენდა[52].

---

47 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 204.

48 XVIII ს. პირველ ნახევარშიც ვახუშტი ბატონიშვილი ლორთქიფანიძეს იმერეთის „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ თავადურ გვართა შორის ასახელებს (იხ. მისი, აღწერა..., გვ. 26).

49 სახლთუხუცეს სეხნია ჩხეიძესა და ბაგრატ IV-ეს შორის 1669 წ. ჩხართან მომხდარ ბრძოლაშიც (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 205) ბეჟან ლორთქიფანიძე თავის სახლიკაცებით მეფის მხარეზეა საგულისხმებელი, თუმცა ვახუშტი ამაზე კონკრეტულად არ უთითებს.

50 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 209, 212—213.

51 ი ქ ვ ე, გვ. 210.

52 ლორთქიფანიძეებს ნათესაობა ჰქონდათ ოდიშის თავად გიორგი ლიპარტიანთანაც. უკანასკნელის დედა, ხვარამზე, ლორთქიფანიძის ქალი იყო (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 235). თუ ის გიორგი ლიპარტიანი, რომლის დედად ლორთქიფანიძის ასული ხვარამზე იხსენიება, კაცია ჩიქვანის ძეა (იხ. ჩიქვანთა სათავადო. გვ. 316, სქოლიო 42) და არა ლევან II დადიანის (1611—1657 წწ.) ბიძა

ალექსანდრე IV-ემ ამ ნათესაური კავშირის დარღვევით სცადა მოწინააღმდეგეთა გათიშვა. „განატევებინა ერისთავს ცოლი, ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა“ და თავისი და დარეჯანი შერთო[53]. მაგრამ ამან ვერ იხსნა მეფე. ბეჟან ლორთქიფანიძე და რაჭის ერისთავი ამის შემდეგაც ერთად იბრძვიან ალექსანდრე IV-ის წინააღმდეგ და არა ერთხელ აძევებენ მას იმერეთიდან[54]. უკანასკნელად ვხედავთ ბეჟანს 1690 წელს გოდოგანთან ბრძოლაში[55]. ამის შემდეგ იგი, ალბათ, მალე გარდაიცვალა.

ლორთქიფანიძეების გავლენა იმერეთის სამეფოში ერთ ხანს დიდად გაძლიერდა, როცა პაპუნას სიკვდილის შემდეგ (1696 წ.) რაჭის ერისთავად ბეჟან ლორთქიფანიძის შვილიშვილი შოშიტა III დაჯდა და პაპუნას ქვრივი ბეჟანის ასული გულქანი გიორგი აბაშიძეს მითხოვდა[56]. სწორედ ამ ნათესაობამ უზრუნველყო ბეჟანის ძის გრიგოლის კათალიკოსად კურთხევა: „შეწევნითა აბაშიძეთა“ მიიღო მან ეს უმაღლესი სასულიერო ხარისხი[57] 1696 წელს და ჰქონდა 1742 წლამდე[58].

მაგრამ გიორგი აბაშიძის „შეწევნით გაკათალიკოსებული გრიგოლ ლორთქიფანიძე მალე ამ განდიდებული თავადის მოწინააღმდეგეთა ჯგუფში გადავიდა და იმერეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის გიორგი VI-ის გამეფებას შეუწყო ხელი[59]. თავადთა მძლავრობის პირობებში კათალიკოსის მიერ ცენტრალური ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერა საკვანძო კანონზომიერი მოვლენა იყო.

გრიგოლ კათალიკოსს აფხაზეთის კათალიკოსებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს. თავისი დროისათვის იგი მოწინავე პიროვნებაა. ამ ენერგიულმა საეკლესიო მოღვაწემ კათალიკოსობა მაშინ

გიორგი ლიპარტიანი, მაშინ, როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, „ერთ-ერთი ცოლი კაციასი ყოფილა ხვარამზე ლორთქიფანიძის ასული“ (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 235, შდრ. გვ. 122), რომელიც შეიძლება იყოს აგრეთვე ბეჟანის ქალი.

53 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 210.

54 იხ. ი ქ ვ ე, გვ. 212—213.

55 ი ქ ვ ე, გვ. 213; ვ ა ხ უ შ ტ ი. ქრონიკონები, გვ. 251, 1690 წლის ქვეშ.

56 გიორგი აბაშიძემ გულქანი შეირთო 1698 წელს ან ამ წლის ახლო ხანს (ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 217. გულქანის შესახებ დაწვრილებით იხ. აბაშიძეთა სათავადო, გვ. 202, სქოლიო 275).

57 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 217.

58 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 139.

59 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 221.

დაიწყო, როცა ლიხთ-იმერეთში გავრცელებული იყო „ტყვის ყიდვა... მაჰმადიანთა ზედა“ და „ოხრება ქვეყანათა“[60]. ასეთ ვითარებაში ყველაზე მეტად ეკლესია დაზარალდა. გრიგოლ კათალიკოსის ღონისძიებები ამ მდგომარეობის გამოსწორებისა და საეკლესიო წესრიგის აღდგენისაკენ იყო მიმართული.

„მრავალი გარჯით“ გამოიხსნა მან „რომელიმე საყდრისა მამული სხვათაგან დაჭერილი“, „რომელიმე“ ყმანი „ოცისა და ათის წლითგან დაკარგული“ და ისევ ეკლესიას შესწირა[61]. ეკლესიასვე შესწირა საკუთრივ მის მიერ „ნაშოები“ ზოგი გლეხი, „სასახლე“ და სოფელიც[62].

გრიგოლ კათალიკოსმა სასტიკი პროტესტი გამოუცხადა თავადთა აშლილობას, ოსმალთა მომხრეობას, ტყვეთა სყიდვას. „ფიცის წიგნი“ ჩამოართვა მან იმერეთ-ოდიშის თავადებს, რომ „იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად... თათარს პირს“ არ მისცემდნენ, არ „უწინამძღვრებდნენ“[63].

კათალიკოსმა საეკლესიო ყმათა ბეგარა-გამოსაღების ერთგვარი რეფორმაც გაატარა: „მოკითხული“ ქნა „იმერეთს, ოდიშს, გურიას, ბიჭვინტას“ და აღმოჩნდა, რომ მონასტრები სანთლის ნაკლებობას განიცდიდნენ. ამიტომ საკათალიკოსო ყმათა დიდ ნაწილს, რომელსაც „ბეგრის თეთრი ემართა“, თეთრის ნაცვლად მან „სანთლის ბეგარა“ გააწერა: „ცხენის-წყალს გამოღმა, იმერეთის ქვეყანას — თითო შამახური და გაღმა, ოდიშის ქვეყანას — ხუთ-ხუთი ლოღარიკონი“; ეკლესიის ცალკეულ ყმათა საგადასახადო ვალდებულებაც გარკვეული „შეღავათით“ მოაწესრიგა[64].

გრიგოლ ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1742 წელს[65].

გრიგოლ კათალიკოსის დროინდელი მოღვაწე ჩანს მისი სახლიკაცი, თუ ძმა, ოტია, რომელსაც ალექსანდრე V დიდად წყალობს. 1733 წლის ახლო ხანს მეფე აძლევს მას ორ კომლ აზნაურს (ხოსია ყიფიანსა და ბუჭუა მესხს) „მათის კეთილის ყოფით“, გლეხებითა და მამულით. როგორც წყალობის წიგნიდან ჩანს,

---

60 ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 204.

61 დას. საქ. საეკლ. სამ., I, გვ. 140, 151.

62 ი ქ ვ ე, გვ. 140.

63 საქ. სიძვ., I, სამ. № 16, გვ. 44—45.

64 დას. საქ. საეკლ. სამ., I, გვ. 145—151.

65 ვ ა ხ უ შ ტ ი. ქორონიკონები, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 256; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 133.

ეს აზნაურები „ძველათაც“ ოტიას მამა-პაპას ეკუთვნოდნენ[66]. რაღაც მიზეზის გამო ოტიას ისინი „სააჯო“ და „საქრთამო“ გაუხდა, მაგრამ მაინც დაეუფლა მათ[67].

ოტია უნდა იყოს ამ დროს ლორთქიფანიძეთა სათავადოს მეთაური, მასვე უნდა ჰქონდეს მოლარეთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის სახელოებიც. ან, იქნებ ბეჟანის შემდეგ ამ სათავადოს უფროსს მხოლოდ მოლარეთუხუცესობა ჰქონდა, ქუთაისის მოურავობა კი — ლორთქიფანიძეების სახლის სხვა წევრს.

XVIII ს. შუა წლებიდან ლორთქიფანიძეები ქვეითდებიან. მათ საგვარეულო სახელოებს, „ქრთამით“ თუ სხვა გზით, გაძლიერებული აბაშიძეები და წულუკიძეები იკავებენ. 1755 წელს მოლარეთუხუცესობა უკვე ბერი აბაშიძეს აქვს[68]. ქუთაისის მოურავობა 1766 წლის ახლო ხანს ჯერ კიდევ ბერი ლორთქიფანიძეს უჭირავს[69], მაგრამ — უკანასკნელად. 1773 წელს კი ეს სახელო პაატა წულუკიძეს უკავია[70].

რა მიზეზით მოხდა სოლომონ I-ის მიერ ლორთქიფანიძეთა დამცრობა, ჩვენთვის უცნობია. ერთი კი ცხადია: აბაშიძეებისა და წულუკიძეების დაწინაურება ნაწილობრივ ლორთქიფანიძეთა ხარჯზე ხდება.

სოლომონ I-ის დროს, ზემოხსენებული ბერი ლორთქიფანიძის გარდა, ცნობილი პიროვნებაა მისი სახლიკაცი თავადი თეიმურაზიც. მას იხსენიებს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი, რომლისთვისაც 1772 წელს მეფეს გაუყოლებია იგი, დავით მესხსა და ნიკოლოზ წერეთელთან ერთად, სხარტალიდან ოკრიბამდე[71].

დავით გიორგის ძის მეფობაში (1784—1789 წწ. და 1790 წლის მეორე ნახევრის მცირე მონაკვეთი) ლორთქიფანიძეთა გვარის წევრებიდან გამოირჩევა ბერი. იგი ამ მეფის ერთგულია მისი

---

66 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 57, გვ. 59.

67 იხ. ი ქ ვ ე.

68 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 6.

69 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს, ტფილისი, 1913, გვ. 11.

70 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 46. მითითებულ საბუთში პაატას სამოურავო ტერიტორია არაა ნაჩვენები, დასახელებულია მხოლოდ „თავადი სარდალ-მოურავი წულუკიძე პაატა“. მაგრამ გვიანდელი, 1793 წლის, საბუთიდან ჩანს, რომ წულუკიძეთა სამოურავო ქუთაისი იყო (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1035).

71 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 129.

იმერეთიდან გაძევების შემდგომაც. ახალციხეში „გადავარდნილ“ მეფეს ბერი ეახლა „შერჩა და ემსახურა“[72].

დავითის სიკვდილის შემდეგ (1795 წ.), სოლომონ მეორემ, როგორც ჩანს, ბერი შეირიგა[73]. უკანასკნელს 1810 წლის ამბებში სოლომონის ერთგულ თავადთა რიგებში ვხედავთ და მისი უახლოესი „მრჩეველია“[74]. სოლომონის ერთგულნი ჩანან აგრეთვე ნიკოლოზ, ოტია, თამაზა და როსტომ ლორთქიფანიძეები[75].

სოლომონ II-ის მეფობის პერიოდში (1789—1810 წწ.) ლორთქიფანიძეებმა მიიღეს საჯავახოსა და საპაიჭაოს მოურავობა[76]. მათვე ჰქონდათ საჩინოს მოურავობაც[77]. ბოლოს, კიდევ ტახტიდან გადაყენებულმა სოლომონმა 1810 წლის 5 აგვისტოს ბეჟან და თამაზა ლორთქიფანიძეებს „ხევისთავობა“ უბოძა[78]. ბერი, ოტია,

---

72 ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 10, გვ 177.

73 იქვე. საბ. № 21, კვ. 188.

74 В. Чудинов. Имеретинская неурядица в 1809 и 1810 годах, Кавказский сборник, т. XV, Тифлис, 1894. стр. 307; ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), თბილისი, 1956, გვ. 417, 487.

75 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 95, გვ. 115; ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება..., გვ. 397, 417, 488.

76 П. Гнилосаров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, Кавказский Календарь, 1859, стр. 432.

77 ქუთ. მუზ. საბ. № 317.

1798, 1801, 1809, 1817 წლებში მოურავად ვხედავთ ოტია ლორთქიფანიძეს (ქუთ. მუზ. საბ. №№ 13, 357; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 23, გვ. 190; მისივე. იმერეთის სამეფოს გაუქმება..., გვ. 397, 417; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 76, გვ 69).

1803, 1808 წლებში — ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს (ქუთ. მუზ. საბ. № 799; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 22, გვ. 189; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 142),

1799, 1809 წლებში — ბერი ლორთქიფანიძეს (ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება.., გვ. 417; დას. საქ. საბ., II; გვ. 116).

1812 წელს — გრიგოლ და როსტომ ლორთქიფანიძეებს (ქუთ. მუზ. საბ. №№ 315, 320).

უფრო გვიან, 1823 წელს, თავადი ტატუა და ბეჟან ლორთქიფანიძეები საჩინოს მოურავებად იხსენიებიან (ქუთ. მუზ. საბ. № 317).

78 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 10013.

პ. გნილოსაროვის ჩანაწერებით, იმერეთის სამეფოში ორი ხევის თავი იყო: ერთი თავად წულუკიძეთა გვარიდან, მეორე — აზნაურ ბარათაშვილთაგან (იხ. მისი «О царе Соломоне II..., Кавказский Календарь, 1859, стр. 435). როგორც ჩანს, ლორთქიფანიძეებზე ადრე ეს სახელო წულუკიძეებსა და ბარათაშვილებს ეჭირათ.

როსტომ, თამაზა და ნიკოლოზ ლორთქიფანიძეები ამ მეფის „დარბაზის ერში“ და ამალაშიც იხსენიებიან[79], მაგრამ იმერეთის სამეფო კარზე ლორთქიფანიძეთა როლი ახლა მაინც მეტად უმნიშვნელოა.

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით ლორთქიფანიძეთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

ლორთქიფანიძეთა სახლი მაინც ერთობას განაგრძობდა. „ერთობის“ წიგნები მისცეს 1812 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძეს მისმა ძმამ როსტომმა და ძმისწულმა ტატუამ[80]. ამ წიგნებიდან ჩანს, რომ ლორთქიფანიძეებს ამაზე ადრეც, 1804 წელს „აღწერილი“ „ერთობის წერილი“ ჰქონდათ დადებული[81].

ლორთქიფანიძეების 1812 წლის ერთობის წიგნი ძალაში დარჩა მხოლოდ 11 წელს. 1823 წ. 26 აპრილს ამ საგვარეულოს წევრები გაიყარნენ[82].

*
* *

XVIII ს. და მომდევნო საუკუნის პირველ მესამედში ცნობილია ლორთქიფანიძეთა საგვარეულოს შემდეგი წარმომადგენლები:[83]

ქ ა ი ხ ო ს რ ო I. ვხედავთ 1696—1714 წლებში დაწერილ იმერეთ-ოდიშის თავადების ფიცის წიგნში[84]. შეიძლება ეს ქაიხოსრო

ხევისთავი ქურდ-ავაზაკების მაძებართა რაზმის უფროსი იყო (იქვე). ხევისთავის სახელოს შესახებ ვრცლად იხ. ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბილისი, 1952, გვ. 339—345.

79 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 21, გვ. 188; მ ი ს ი ვ ე, იმერეთის სამეფოს გაუქმება..., გვ. 397, 417, 487 — 488.

80 ქუთ. მუზ. საბ. №№ 315, 320.

ტატუა გრიგოლის უფროსი ძმის პაპუნას შვილი იყო. იხ. ი ქ ვ ე, საბ. № 320.

81 აღსანიშნავია, რომ ერთ ხანს, 1752—1770 წლებში, ლორთქიფანიძეთა გვარის წევრები (ბუპუა, მისი შვილები გიორგი, ვახტანგი და მეორე მხრით, ბერი) ყმა-მამულის გამო დაობდნენ. მაგრამ მეფე სოლომონ პირველის „წინაშე მოვიდნენ..., რომელიც ერთმანეთთან სადეო ქონიათ, ყოველივე გაუშვეს და ყოველსავე საქმეშიდ სრულებით მორიგდნენ“ (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 139, გვ. 126).

82 ქუთ. მუზ. საბ. № 317.

83 უფრო ადრინდელი ხანის ლორთქიფანიძეების შესახებ ცნობები მოცემულია ზემოთ, ტექსტსა და შენიშვნებში.

84 საქართველოს სიძველენი, I, საბ. № 16, გვ. 44.

და ჯვარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული ქაიხოსრო ლორთ-ქიფანიძე[85] ერთი და იგივე პირი იყოს;

ხახუტა. გვხვდება ქაიხოსრო პირველთან ერთად 1696—1714 წწ. ზემოდასახელებულ ფიცის წიგნში[86];

ოტია III[87]. იხსენიება 1733 წლის ახლო ხანში[88]. ეს უნდა იყოს ის ოტია ლორთქიფანიძე, რომლის დაბადება გელათის გულანის მინაწერში 1660 წლის ქვეშ არის ნაჩვენები[89];

ბუჭუა. ვხვდებით 1750, 1762, 1764, 1750—1770, 1772 წლების საბუთებში[90]. ჰყავდა ორი ვაჟი: გიორგი და ვახტანგი[91];

სვიმონ I.ჩანს 1750, 1755 წლებში და 1766 წ. ახლო ხანში[92];

ბერი I. მოწმედ არის დასახელებული 1752—1770, 1775 წლების დოკუმენტებში[93];

ბერი II. ვხვდებით 1752—1770, 1754—1769 წლებში და 1766 წლის ახლო ხანში[94]. ბერი II უნდა იყოს ის ბერი ლორთქიფანიძე, რომელსაც უკანასკნელი წლის ახლო ხანს ქუთაისის მოურაობა აქვს[95].

ბერი II შეიძლება ბუჭუას ძმა იყოს[96]. I-სა და II ბერს ერთად ვხედავთ 1752—1770 წწ. ერთ გარიგების წიგნში[97];

ამ საბუთს მისი გამომცემი 1680 — 1710 წლებით ათარიღებს (იხ. იქვე, 43 გვერდზე საბუთის ლეგენდა). ეს თარიღი მცდარია. საბუთი არ შეიძლება დაწერილიყო გრიგოლ ლორთქიფანიძის გაკათალიკოსობაზე ადრე (1696 წ.) და გიორგი ლიპარტიანის დატუსაღებისა და მისი შვილის ბეჟანის გადადიანებაზე (1714 წ.) გვიან.

85 იხ. აღაპნი ჯვარის მონასტრისანი..., გამოც. ნ. მარისა. გვ. XXIV.

86 საქ. სიძვ., I, საბ. № 16, გვ. 44.

87 I ოტია ის, რომელიც ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში იხსენიება, II — რომელიც ჯვარის მონასტრის აღაპებში გვხვდება. იხ. ზემოთ.

88 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 57, გვ. 59.

89 იხ. „მცირე ქრონიკები", გამოც. ჯ. ოდიშელისა, გვ. 72. 'მინაწერი 10.

90 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 139, გვ. 126; ქუთ. მუზ. საბ. №1767; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 17; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. №№ 1, 2, გვ. 169—170.

91 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I, საბ. № 139, გვ. 126.

92 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., საბ. № 1, გვ. 169. საბ. № 4, გვ. 171—172; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 6,

93 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 139, გვ. 126; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 6.

94 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 134. გვ. 123, საბ. № 139, გვ. 126; ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11.

95 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 11.

96 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა.., I. საბ. № 139. გვ. 126.

97 იხ. იქვე.

ს ვ ი მ ო ნ II. სვიმონ I-ის ძმისწული. ბიძასთან ერთად იხსენიება 1766 წ. ახლო ხანში[98]. 1809 წელს კი — თავის დედასთან „ამაღლებელის ქალ“ მონოზონ ეკატერინესთან[99];

თ ე ი მ ु რ ა ზ ი. ვხედავთ 1772 წელს[100];

მ ე რ ა ბ I. გვხვდება 1777 წელს[101]. ეს ის მერაბია, რომელიც აღნიშნულ წელს ტყვეთა სყიდვის გამო მაქსიმე კათალიკოსმა შეაჩვენა[102]. მერაბის თანამედროვეა ცნობილი ტყვეებით მოვაჭრე ოდიშელი თავადი კაცია ჩიჩუა. იგი მერაბთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ მერაბი ჰყიდის თეკლათელ[103] „კაცის შვილს“[104]. თეკლათი ტერიტორიულად საჩიჩუოსთან ახლოსაა. ჩიჩუებს იქ თავიანთი ყმებიც ჰყავდათ (იხ. ჩიჩუათა სათავადო). მერაბ ლორთქიფანიძისათვის თეკლათელი „კაცის შვილი“ უთუოდ კაცია ჩიჩუას უნდა მიეცა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ კათალიკოსის მიერ ამ ორი თავადის შეჩვენება ერთსა და იმავე დროს (1776, 1777 წწ.) ხდება[105];

ტ ა ტ უ ა (ტატუ||ტეტუა||ტეტია) პაპუნას ძე. ვხვდებით 1778, 1811, 1812, 1823 წლების საბუთებში[106]. იგივე ტატუა უნდა იყოს 1750, 1760 წლებისა და 1766 წ. ახლო ხნის დოკუმენტებში მოხსენიებული ტეტუა||ტეტია ლორთქიფანიძე[107]. იგივე ტატუაა, ალბათ, ის ტატუაც, რომელმაც, როსტომ, ბეჟან და ბესო ლორთქიფანიძეებთან ერთად, კანკელი შესწირა დიხაშხოს სამების ეკლესიას[108];

---

98 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 4, გვ. 171—172.

99 ქუთ. მუზ. საბ. № 111.

100 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 129.

101 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 60.

102 ი ქ ვ ე.

103 გამოქვეყნებული საბუთის ტექსტში „თეკლანელი“ წერია (იხ. იქვე), რაც უთუოდ თეკლათელია.

104 ი ქ ვ ე.

105 იხ. და შდრ. ერთმანეთს იქვე, გვ. 51—52, 60.

106 ქუთ. მუზ. საბ. №№ 317, 320; დოკუმენტები..., II, საბ. № 441, გვ. 281; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 169; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 76, გვ. 69.

107 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. №№ 1, 2, გვ. 169—170, № 4, გვ. 171—172.

108 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, „მოამბე“, 1900, № XII (დეკემბერი), გვ. 20.

ბ ე რ ი III. ვხედავთ 1790, 1799, 1804, 1806, 1809, 1810, 1818 წლებში[109]. ეს ბერი 1799, 1809 წლებში მოურავად არის მოხსენიებული (იხ. ზემოთ);

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი. ბუჭუას ძე? იხსენიება 1792 წ. წყალობის წიგნში[110];

ბ ე ჟ ა ნ II[111] გრიგოლის ძე, ძმა ნიკოლოზ II-ისა და ივანესი. ვხედავთ 1792, 1805, 1810, 1821, 1823 წლებში[112]. ეს ის ბეჟანი ჩანს, რომელსაც, მის თანამოგვარე თამაზასთან ერთად სოლომონ მეორემ 1810 წლის 5 აგვისტოს ხევისთავობა უბოძა (იხ. ზემოთ);

გ რ ი გ ო ლ, რ ო ს ტ ო მ I. ძმები იყვნენ. პირველი მათგანი ჩანს 1792, 1812 წწ., მეორე კი — 1810, 1812 წწ.[113] 1823 წ. გრიგოლ ლორთქიფანიძე უკვე მკვდარია[114].

გრიგოლისა და როსტომ I-ის უფროსი ძმა იყო ტატუას მამა პაპუნა, რომელიც გარდაიცვალა 1804—1812 წლებს შუა[115];

ო ტ ი ა IV პაპუნას ძე, ძმა ტატუასი[116]. ვხედავთ 1798, 1801, 1802, 1806, 1808, 1809, 1811, 1817, 1830 წლების საბუთებში[117].

---

109. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 116, 143; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 10, გვ. 177, № 21, გვ. 188, №31, გვ. 194; მ ი ს ი ვ ე, იმერეთის სამეფოს გაუქმება..., გვ. 417, 487; В. Чудинов. Имеретинская неурядица..., Кавказский Сборник, т. XV, стр. 307.

110 სცია, ფ. 227(2), საბ. № 75.

111 I ბეჟანი ის არის, რომელიც მოღვაწეობდა XVII საუკუნეში. იგი ქექაოზის შვილიშვილია, მოლარეთუხუცესი და ქუთაისის მოურავი იყო (იხ. ზემოთ).

112 იხ. ქუთ. მუზ. ძეგლი № 3860 (წინგასაძღოლი ჯვარის წარწერა); ქუთ. მუზ. საბ. №№ 317, 711; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd. საბ. № 10013; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 36, გვ. 39, საბ. № 61, გვ. 55.

ბეჟან II და დიხაშხოს სამების ეკლესიის კანკელის წარწერაში დასახელებული ბეჟანი (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, „მოამბე", 1900, № XII (დეკემბერი), გვ. 20) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

113 ქუთ. მუზ. საბ. №№ 315, 320; სცია, ფ. 227(2), საბ. № 75; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის სამეფოს გაუქმება.... გვ. 488.

114 ქუთ. მუზ. საბ. № 317.

115 ი ქ ვ ე, საბ. №№ 315. 320.

116 ოტია IV-ის მამის სახელი საბუთებში არაა ნახსენები. მაგრამ ვიცით, რომ იგი ტატუას ძმაა (მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 76, გვ. 69), ხოლო ტატუ კი პაპუნას ძეა (იხ. ზემოთ ტატუა). აქედან ცხადია, რომ ოტია IV-ის მამაც პაპუნაა.

117 ქუთ. მუზ. საბ. №№ 13, 357, 846, 1918; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 21, გვ. 188, № 23, გვ. 189—190; მ ი-

ეს ის ოტიაა, რომელსაც მოურავობა ჰქონდა 1798, 1801, 1809, 1817 წლებში (იხ. ზემოთ);

ნ ი კ ო ლ ო ზ (ნიკოლაოს) II[118] გრიგოლის ძე, ძმა ბეჟან მეორისა და ივანესი. გვხვდება 1802, 1803, 1808, 1809, 1810, 1823 წლებში[119]. ეს ის ნიკოლოზია, რომელიც მოურავადაა დასახელებული 1803, 1808 წლებში (იხ. ზემოთ).

თუ სწორია ერთი უცნობი პირის ცნობა, 1810 წ. სოლომონ II-ეს ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, სხვებთან ერთად, „მოციქულად" გაუგზავნია სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელთან და მისი შემორიგება დაუვალებია[120];

ქ ა ი ხ ო ს რ ო II, მ ა მ უ კ ა, დ ა თ ი კ ა. იხსენიებიან 1804 წ. საბუთში[121]. მათგან ქაიხოსრო იხსენიება აგრეთვე 1822 წლის წყალობის წიგნში[122];

თ ა მ ა ზ (თამაზა). ვხვდებით 1810, 1827 წწ. საბუთებში[123]. ეს ის თამაზა უნდა იყოს, რომელსაც მის სახლიკაც ბეჟანთან ერთად, 1810 წ. 5 აგვისტოს სოლომონ მეორემ ხევისთავობა უბოძა (იხ. ზემოთ);

მ ე რ ა ბ II დავითის ძე, ძმა ფირან ლორთქიფანიძისა. ვხედავთ 1813, 1822, 1830 წლებში[124];

ს ი ვ ე, იმერეთის სამეფოს გაუქმება..., გვ. 397, 417; დას. საქ. საეკლ. საბ., II. გვ. 169; საქ. სიძვ., III, საბ. № 274; გვ. 264; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 76, გვ. 69.

118 ნიკოლოზ I-ად ᲗᲕᲘᲗᲘᲗ ნიკოლოზ გენათელს (იხ. ზემოთ). ამ ორ ნიკოლოზს გარდა იხსენიება კიდევ „ლორთქიფანიძე წინამძღვარი ნიკოლოზ" (იხ. ალაპარაკვარის მონასტრისანი..., გამოც. ნ. მარისა, გვ. XXV), რომელიც XVII—XVIII სს. მოღვაწე უნდა იყოს.

119 ქუთ. მუზ. საბ. № 317, 799, 846; დას. საქ. საეკლ. საბ., II. გვ. 142, 160, 164; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 22, გვ. 188—189; მ ი ს ი ვ ე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), გვ. 417, 488; საქ. სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 95, გვ. 115.

120 საქ. სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 95, გვ. 115.

121 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 143.

122 ქუთ. მუზ. საბ. № 1919.

123 ქუთ. მუზ. საბ. № 1101; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის სამეფოს გაუქმება..., გვ. 488; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd. საბ. № 10013.

124 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1829, 1918, 1919.

ფ ი რ ა ნ დავითის ძე, ძმა მერაბ II-ისა. ჩანს 1813, 1822 წლებში[125];

რ ო ს ტ ო მ II პაპუნას ძე[126], ძმა ტატუასი და ოტია მეოთხისა. მოწმედაა დასახელებული 1817 წლის ერთ პირობის წიგნში[127];

დ ა ვ ი თ[128], ბ ე ს ო[129], ტ ა რ ი ე ლ. ვხვდებით 1818 წლის დოკუმენტში[130]. მათგან დავითი ჩანს 1819 წელსაც. აღნიშნულ წელს, სანამ იმერეთის აჯანყება ფართო ხასიათს მიიღებდა, თავადი დავით ლორთქიფანიძე და სხვები ცდილობდნენ, საეკლესიო უწყების მსახურებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, „საეკლესიო რეფორმის“ გატარების შეჩერებას[131]. მაგრამ ვაკის ოლქის თავად-აზნაურთა ჯგუფის ამ ცდას, როგორც ცნობილია, „წარმატება არ ჰქონია“[132];

ს ი კ ო. გვხვდება 1822 წლის ერთ წყალობის წიგნში[133];

ი ვ ა ნ ე (იოანე) გიორგის ძე, ძმა ნიკოლოზ II-ისა და ბეჟან II-ის. იხსენიება თავის ძმებთან და ბიძაშვილ ტატუასთან ერთად 1823 წელს[134].

---

125 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1829, 1919.

126 როსტომის მამის სახელიც საბუთში არ არის აღნიშნული. მაგრამ იგი ოტიასთან ერთად ტატუს ძმად იხსენიება (იხ. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის.... საბ. № 76, გვ. 69). ტატუ კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, პაპუნას ძეა. აქედან ცხადია, რომ როსტომ II-ეც პაპუნას ძე ყოფილა. ამგვარად, ტატუ (ტატუ||ტეტუ||ტეტია), ოტია IV და როსტომ II ძმებია.

127 მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 76, გვ. 69.

როსტომ II უნდა იყოს დიხაშხოს სამების ეკლესიის კანკელის წარწერაში მოხსენიებული როსტომ ლორთქიფანიძე (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, „მოამბე“ 1900, № XII (დეკემბერი) გვ. 20).

128 დავით და ზემოხსენებული დათიკა შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს.

129 ეს ის ბესო ლორთქიფანიძე უნდა იყოს, რომელიც დიხაშხოს სამების ეკლესიის კანკელის წარწერაშია მოხსენიებული (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 20).

130 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, საბ. № 2583.

131 სცია, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქ. № 4, ფურც. 589—591; Н. Б. М а х а р а д з е. Восстание в Имеретии..., მასალები-საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. III, 1942, გვ. 69.

132 ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 69.

133 ქუთ. მუზ. საბ. № 1919.

134 ი ქ ვ ე, საბ. № 317.

თ ა ვ ი VII

აბაშიძეთა სათავადო

არგვეთის სათავადოთა შორის აბაშიძეების სათავადო ერთი ყველაზე უდიდესი და უძლიერესი იყო. ეს სათავადო ბაღუაშთა ყოფილ სამფლობელოზე აღმოცენდა. შეიძლება აბაშიძეებსა და ბაღუაშებს შორის გენეტიკური კავშირიც იყო და აბაშიძეები ბაღუაშთა სახლის რომელიმე შტოდან მომდინარეობდნენ. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელთა სამკვიდრო მამულის კაცხისა და მისი მიდამოების მემკვიდრეებად გვიან ხანში აბაშიძეები გვეევლინებიან.

პირველი დოკუმენტური ცნობა აბაშიძეთა გვარის შესახებ XV ს. მეორე ნახევარს ეკუთვნის[1]. ამ გვარის უძველესი, ისტორიულად ცნობილი წარმომადგენლები არიან თაყა და აბაში, რომელნიც მოწმეებად იხსენიებიან ფალავანდიშვილთა 1488 წლის სასისხლო სიგელში[2]. ამ სიგელში მოხსენიებული აბაში უნდა იყოს ის აბაშ

---

1 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე. II, 1924, გვ. 23—25.

2 იხ. ი ქ ვ ე.

ჩვენ ძხედველობაში არ ვღებულობთ იმ აბაშს, რომელიც გადმოცემის მცდარი ქრონოლოგიით, თითქოს, VII ს. ცხოვრობდა (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S. № 3729, გვ. 9r., 77r. 103r).

XIV ს. დამლევსა და 1529, 1532 წწ. სახელ აბაშს ატარებდნენ ბარათაშვილთა გვარის წევრები (ქრონიკები, II, გვ. 238, 353—354, 373), მაგრამ ბარათიანთ აბაშს აბაშიძეებთან ნათესაური კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ჯრუჭის მონასტრის დასავლეთის პორტიკის მარცხნით არის ერთი უთარიღო წარწერა, რომელშიც იხსენიება აბაში და მისი ძე ფალავანდიშვილი გიორგი (იხ. Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, Акты.... т. V, стр. 1026). ამ წარწერის საფუძველზე დიმ. ბაქრაძე და მ. ბროსე ასკვნიან: აბაშიძეები ფალავანდიშვილთა გვარიდან მომდინარეობენო (იქვე და M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Armenie. St. Petersbourg, 1851, 3-e et dérnière livraison, XII rapports. p. 82.). მაგრამ ამ დასკვნის შემამაგრებელი ცნობა არ არსებობს. ხოლო არის ფაქტი, რომელიც აღნიშნულ დასკვნას საეჭვოდ ხდის: XVII საუკუნეში ფალავანდიშვილთა მიწა-წყლის დიდი ნაწილი წერეთლიანთ ხელში გადავიდა (იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა. არგვეთის სათავადოების ისტორიიდან („საწერეთლო"), საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 66). „საფალავანდო" აბაშიძეების საგვარეულო მამული რომ ყოფილიყო (უნდა ყოფილიყო, თუ აბაშიძეები ფალავანდიშვილთა გვარიდან მომდინარეობდნენ), ამ დროს ისინი ეკონომიურად და პოლიტიკურად იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ

აბაშიძე, რომელიც შემდეგ დიდ სააღმშენებლო საქმიანობას ეწევა: სოფელ ჭალაში აშენებს ეკლესიას წმინდა გიორგის სახელზე. ამ ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია მისი ამშენებელი აბაში მეუღლით კეკლოცით, აბაშის ძმა ლომინი მეუღლით გულნარათი და კიდევ ორი ძმა აბაშისა: იანქო და შერმაზანი[3].

იმავე სოფელში, აღნიშნულ ეკლესიის მახლობლად, 1502 წელს აბაშ აბაშიძე აგებს აგრეთვე მეორე ეკლესიასაც ღვთისმშობლის სახელზე ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილ მისი თანამეცხედრის კეკლოც ჩიჯავაძის ასულის სულის „საოხად"[4].

XVI საუკუნეში აბაშიძეები მრავლად ჩანან იმერეთში:

1519 წელს ვხედავთ გელათის წინამძღვარ მელქისედეკ აბაშიძეს[5].

1529 წელს — მალაქიას, რომელიც აფხაზეთის კათალიკოსად ზის. იგი დიდ საორგანიზაციო მუშაობას ატარებს საეკლესიო სფეროში. მისი ინიციატივით აღნიშნულ წელს ბაგრატ მეფე იმერეთში სამ საეპისკოპოსო კათედრას აარსებს[6].

1515—1535 წლების ახლო ხანს ვხვდებით აბულახსარ აბაშიძეს. მას ამირეჯიბის სახელო უჭირავს[7].

ადვილად შეეძლოთ თავიანთი მამულის შენარჩუნება. ცენტრალური ხელისუფლებაც იმერეთში აღნიშნულ საუკუნეში ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ, აბაშიძეებთან მტრობის შემთხვევაშიც, ამაში მათ ხელს დიდად ვერ შეუშლიდა.

ჩანს, აბაში ფალავანდიშვილთა გვარშიც ყოფილა, მაგრამ აბაშიძეები მისგან არ წარმოშობილან.

აღსანიშნავია, კიდევ ერთიც: საეკლესიო მუზეუმის ძილის პირის კინკლოსის აშიაზე მიწერილია ერთი ცნობა, რომელშიც მოხსენიებულია აბაშიძე (უსახელოდ). ამ ცნობას თ. ჟორდანია ეკვის ქვეშ, მაგრამ 1464 წლით ათარიღებს (ქრონიკები, II, გვ. 281—282). ეს თარიღი სწორი არ არის. ცნობაში მოთხრობილი ამბები 1669—1671 წწ. შორის მოხდა (იხ. და შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია". გვ. 205).

3 Г. Ц е р е т е л и. Археологическая прогулка по Квирильскому ущелью. Материалы по археологии Кавказа, вып. VII. М., 1898, стр. 112—113.

4 ამ ეკლესიის დასავლეთის კარებს ზემოთ მოთავსებულ ნუსხახუცურ წარწერაში ვკითხულობთ: „სახელითა ღვთისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისათა მე, აბაშიძემა აბაშმა აღვაშენე საყდარი ესე ბეთლემისა ღვთის მშობლისა სულისათვის მეუღლისა ჩვენისა ჩიჟავაძის ასულისა კეკლოცისათვის, რათა მეოხ და მფარველ ექმენ დღესა მას დიდსა განკითხვისასა. აღეშენა ქ^კს რე" — 1502 წ. (იქვე).

5 ქრონიკები, II, გვ. 343.

6 ი ქ ვ ე, გვ. 372.

7 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მასალები დას. საქ. სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, III. 1928, გვ. 42—48.

1534 წ. იხსენიება გიორგი აბაშიძე, რომელიც ამ წელს წერს ბაგრატ მეფის შეწირულების სიგელს, მიცემულს ნიკორწმინდისათვის[8]. გიორგი ბაგრატ III-ის მდივანმწიგნობარი უნდა იყოს. ამ მეფის 1545 წლის შეწირულების სიგელიც მის მიერაა დაწერილი[9].

1563 წლის ახლო ხანში ჩანს „პატრონი" გედეონ აბაშიძე[10].

1550—1570 წწ. კი ვხედავთ ვახუშტი აბაშიძეს. იგი სახლის მეთაურია. აღნიშნულ წელს მან თავის „სამკვიდრო" კაცხის მონასტერსა და სხვა ეკლესიებს შეესწირა 46 კომლი გლეხი 2 პარტახტი, „ღვერეს სასახლე მისის მოსახლითა"; „საზაფხულო სასახლე ხუმალს"; კიდევ „ერთი სასახლე", ტყე და მინდორი ღოდაური მისის საზღურითა; სვიმონაური და ფარსმანაული... წყლისგან ყარინება ჩხერემელემდი; ჩხერისმელე ძირულამდი; ძირულას ნახევარი, ბურთულს ზედათ გუელესიანის სამზღურამდი...; უბიანი მისის საზღურითა" და სხვა[11].

შეწირულების ასეთი სიუხვე აბაშიძეთა დიდ ეკონომიურ შესაძლებლობაზე მიგვითითებს. ამ საგვარეულოს მთელი მიწა-წყალი, ცხადია, ვახუშტის შეწირულების სიგელში არ არის წარმოდგენილი. მაგრამ მისგან კარგად ჩანს, რომ კაცხისა და იმის გარდა, რაც მან კაცხის მონასტერს შესწირა, აბაშიძეებს ამ დროს ხელი მიუწვდებოდათ ფარცხანელთა, თეთრწყაროელთა, ფაქუთელთა, ხორითელთა, ნატბეურელთა, აჭარელთა, წეველთა, ილმელთა, ზესტაფონელთა, ქორეთელთა, თურინელთა და მლაშელთა ზედა[12].

როცა ვახუშტი აბაშიძე ისტორიის სარბიელზე ჩნდება, მისი სახლი უკვე სათავადოთაა გაერთიანებული. ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ აბაშის მოღვაწეობის პერიოდში, XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე. ის მშენებლობა, რომელსაც აბაში აწარმოებს იმ ეპოქაში მხოლოდ მეფეს, მთავარს, რომელიმე სასულიერო სენიორს ან გაერთიანებული ფეოდალური გვარის მეთაურს თუ შეეძლო[13].

აბულახსარის გვარის შესახებ პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ იგი რომ აბაშიძეა, ჩანს საბუთების არაპირდაპირი მონაცემებიდან. იხ. ამაზე ქვემოთ.

8 ქრონიკები, II, გვ. 379.

9 საქართველოს სიძველენი, I, საბ. № 5, გვ. 23.

10 ქრონიკები, II, გვ. 404.

11 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 21—27.

12 იქვე, გვ. 26.

13 ისტორიული გადმოცემით, აბაშიძეთა თავდაპირველი საცხოვრისი საქართველოში არ ყოფილა. ამ გვარის მამამთავარი თურმე „ადგილით აბაშით"

ვახუშტის შემდეგ „გუარი... თავადის აბაშიძისა უმეტეს განდიდდა მეფეთაგან და მამულიცა უფრორე შეიძინეს“[14]. განსაკუთრებით გაფართოვდა აბაშიძეების სათავადო XVII ს. მიწურულსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში. აღნიშნულ პერიოდში ამ სათავადოში მთლიანად თუ ნაწილობრივ შედიოდა შემდეგი სოფლები:

1. ჭალა, 2. სვერი[15], 3. ღვერე, 4. ხუმაღალ, 5. სვიმონაური, 6. სასუმეთი, 7. ხორთი (ხორითი||ხოვრეთი? იხ. ქვემოთ), 8. კუადაური (თუ კუადაურეთი?), 9. ფაქუთი, 10. წიფლა,

---

ანუ ეთიოპიიდან მოსულა არაბი სარდლის მურვან-ყრუს ლაშქართან ერთად 668 წელს (გადმოცემას ეს თარიღი სწორად ვერ დაუცავს: მურვან-ყრუს ლაშქრობა საქართველოში 736—738 წლებში მოხდა). მურვანის აქედან უკუქცევისას მის „მხედრობათაგან“ მრავალი ტყვედ დარჩენილა, მრავალი — „თვისისა ნებითაცა“. ამ უკანასკნელთა შოოის ყოფილა „ყრმა ვინმე ბეგისა შთამომავლობისა აბაში“. საქართველოს იმდროინდელ მეფე არჩილს აბაში „თვისთანა“ პატივით მიუღია. უცხო ჭაბუკი მეფის ძეს დაახლოვებია: ერთხელ, ნადირობის დროს, აბაშს უფლისწული დაღუპვისაგან უხსნია. ასეთი ერთგულებისათვის მეფეს მისთვის მიუცია „თავადობა“, „გვარად... აბაშისძეობა“ და „მამული ჭალას, სვერსა და ლოსიათხევსა შინა“. მასთან მყოფნი სხვა „აბაშნი“ (ეთიოპელნი) კიდევ მეფეს „აზნაურობისა ხარისხითა“ მიუღია და ჭალას დაუსახლებია, რომელნიც შემდეგ „ჭალელ აბაშიძეებად“ წოდებულან.

დროთა ვითარებაში აბაშიძეთა გვარის ზოგი წევრი ლიხთ-იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსულა და ასე დამკვიდრებულან აბაშიძეები ქართლსა და კახეთში (ხელნაწ. ინსტ., ფ. S. № 3729, გვ. 9—10, 77r., 103r).

სწორია თუ არა აბაშიძეთა ეთიოპიიდან მოსვლის შესახებ ამ გადმოცემაში დაცული ცნობა. ძნელი სათქმელია. ერთი კი ცხადია: გვიანდელი ხანის (XVIII ს.) ლიხთ-ამერეთის აბაშიძეები იმერეთიდან მომდინარეობდნენ (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. 41, გვ. 46 — 48; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 2189, 2383) და „სამკვიდრო მამული“ იმერეთშიც ჰქონდათ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 2189, იხ. აგრეთვე იქვე, საბ. № 8984).

დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში აბაშიძეთა მკვიდრობის შესახებ ვახუშტი წერს: აბაშიძეებს „ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთსა და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქეთ დაშთნენო“ (იხ. მისი, აღწერა..., გვ. 24—25). შეიძლება ეს მართლა ასე იყო.

გვიანდელი დროის ქართლისა და კახეთის აბაშიძეთა იმერეთიდან წარმოშავლობის შესახებ იხ. ქვემოთაც.

14 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729. გვ. 10r., იხ. იქვე, აგრეთვე გვ. 77r.

15 იქვე, გვ. 10r., 77., 103r.; Г. Церетели, Археологическая прогулка по Квирильскому ущелью, Материалы по археологии Кавказа, вып. VII, М., 1898, стр. 112—113.

11. ჭიჭილაური, 12. ელაზნაური, 13. ფარსმანული, 14. უბიანი, 15. თეთრაწყარო (თეთროწყარო), 16. მლაშე, 17. ჭარტალი, 18 ფარცხანი, 19. ნატბეური, 20. აჭარა, 21. ზესტაფონი, 22. თურინი, 23. ძირულა, 24. კაცხი[16], 25. წევა (ნაწილობრივ. იხ. ქვემოთ), 26. ილემი (ნაწილობრივ. იხ. ქვემოთ), 27. ქორეთი[17], 28. უბისა, 29. საკანე, 30. ლიჩი, 31. ღოდორა (გოდორა), 32. ღორეშა, 33. გეზროული, 34. ბეინევი[18], 35. ხოხიელი, 36. ნაფარცხევი, 37. მაქათ-უბანი (მახათ-უბანი), 38. ვერტყვილა (ვერტყვია), 39. ხუნევი, 40. ხარაგეული, 41. ჩხერი (ჩხერის-მეღე), 42. ზარანი, 43. ერეთა (შავარა), 44. სალიეთი, 45. თირი, 46. ღილიკაური, 47. საღანძილე, 48. ტაბაკინი[19], 49. მახათაური, 50. გესამანია, 51. შროშა[20], 52. სანახშირე, 53. წიფლავაკე, 54. საწაბლია, 55. ცხრაწყარო, 56. ქვები, 57. ბაბი, 58. გოლათუბანი, 59. ზედუბანი, 60. ვახანი[21], 61. ჩდილი, 62. ნებოძირი (ნებოზირი||მებო.ირი), 63. წიფა, 64. გდეისი, 65. შალოური, 66. რუფოთი, 67. კვახჭირი, 68. შორაპანი[22], 69. ნავარძეთი (იხ. ქვემოთ), 70. ჭალატყე, 71. ჯო-

---

16 კაცხი, როგორც ჩანს, აბაშიძეებმა ხრესილის ომამდე (1757 წ.) დაკარგეს. მათი საგვარეულო კაცხის ციხე 1755 წელს უკვე სოლომონ I-ს უპირავს (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 98, სბ. № 106). სოფელი კაცხიც ამ დროს მის ხელში უნდა იყოს. ეს სოფელი და მისი მიდამოები სოლომონმა უთუოდ 1753 წ. ჩამოართვა აბაშიძეებს იმ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, რომელიც თავადებმა მეფის წინააღმდეგ მოაწყვეს წინარე (1752) წელს. იხ. ქვემოთ.

17 დას. საქ. საეკლ. სბ., I, გვ. 22—26; ქუთ. მუზ. სბ. № 102.

18 ქორეთი, საკანე, ლიჩი, გოდორა, ღორეშა, გეზროული და ბეინევი XVIII ს. მეორე ნახევარსა და მომდევნო საუკუნეს დამდეგს წერეთლიანთ ხელში გადავიდა (იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა. არგვეთის სათავადოების ისტორიიდან („საწერეთლო") საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 28—29, 36).

19 XVIII ს. დამდეგამდე ტაბაკინი თავად ჩხეიძეებისა ჩანს. იხ. ჩხეიძეთა სათავადო.

20 ხრესილის ომის შემდეგ (1757 წ.) შროშა მეფის საკუთრებაში იყო. XVIII ს. მეორე ნახევარში სოლომონ პირველმა ეს სოფელი თავის ასულს დარეჯანს ამზითვა (იხ. ქუთ. მუზ. სბ. № 123), რომელიც ქართლელ ქაიხოსრო აბაშიძეს მიათხოვა (იხ. ქვემოთ).

21 1711 წლიდან ვახანი ქართლის სამეფოს ტერიტორიაში შევიდა. იხ. ქვემოთ.

22 შორაპანი აბაშიძეებმა XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე დაიკავეს. ადრე თავად ჩხეიძეებს ეკუთვნოდათ. იხ. ზემოთ. ჩხეიძეთა სათავადო.

წიფა, ჩდილი თუ ჩრდილი, ნებოძირი. გდეისი, ზედუბანი, ხარაგეული, გოლათუბანი 1711 წელს ქართლის მეფის მფლობელობაში ჩანს. ეს „მთას იქით"

ყოეთი, 72. საზანო[23], 73. რგანი, 74. ვაქევი, 75. საკურწე, 76. რკვია, 77. საქარა, 78. მორძგვეთი, 79. სარგვეში, 80. საღვინე, 81. ხულევი[24].

(იგულისხმება ლიხის მთა — ო. ს.) სოფლები, სხვა სოფლებთან ერთად, ქართლის ჯანიშინმა აღნიშნულ წელს ქართლს დამკვიდრებულ იმერელ ვახუშტი აბაშიძეს უბოძა (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, № 41, გვ. 47—48).

გიულდენშტედტის ცნობითაც, 1772 წელს ზემოხსენებული და იმერეთის ზოგი სხვა სანაპირო სოფლები (ხარაგეულის გამოკლებით) იმ აბაშიძისაა, რომელიც „ქართლის მეფეს ემორჩილება" (იხ. მისი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 309). მაგრამ ეს ცნობა არ უნდა იყოს მთლად ზუსტი. წყაროებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ქართლისა და იმერეთის სამეფოების სასაზღვრო ხაზთან მდებარე ზემოჩამოთვლილ თუ სხვა სოფლებიდან თითოეული (ხარაგეულის გარდა) ნაწილობრივ ქართლის აბაშიძეებს ეკუთვნოდათ და ნაწილობრივ — იმერეთისას. ამდენად „მთას იქით" ბოძებულშიც ამა თუ იმ სოფლის მხოლოდ ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს.

რაც შეეხება ხარაგეულს, 1720 წელს, შეიძლება უფრო ადრეც და შემდეგ — 1754 წლამდე, მას მთლიანად ლიხთ-იმერელი მამუკაშვილი-აბაშიძე ფლობდა (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია", გვ. 229, 234; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. №№ 2971, 5161, შდრ. დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 3). აღნიშნულ წელს ხარაგეულის ციხე მასში „შემამავალით". ე. ი. სოფლით, მისგან სოლომონ პირველმა შეისყიდა (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. №№ 2971, 5161, შდრ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 3).

23 1772 წ. საზანო არჩილ ბატონიშვილის საუფლისწულო სოფელია (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 167). ეს სოფელი აბაშიძეებს ჩამოერთვათ უთუოდ ხრესილის ომის შემდეგ (1757 წ.). იხ. ქვემოთ.

24 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 3480, 8388; ფ. Sd. საბ. №№ 535, 1315; ფ. Qd. საბ. № 1482; სცია, ფ. 226(1), საბ. № 7111; ფ. 229(4), დავთ. 17, საბ. № 113, დავთ. 24, საბ. №№ 151, 152, 154; ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 1, 6—13, 21—30; ქუთ. მუზ. საბ. №№ 1027, 1250, 1348, 1356; დოკუმენტები..., I, საბ. № 666, გვ. 469; Акты, т. II, стр. 372; т. IV, стр. 329; В. Чудинов. Имеретинская неурядица в 1809 и 1810 годах, Кавказский Сборник, т. XVI, Тифлис, 1895, стр. 268; საქ. სიძვ., III, საბ. № 113, გვ. 86—87; დას. საქ. საეკლ. საბ, I, გვ. 22 — 26; II, გვ. 3 — 4, 17; ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია", გვ. 222—223, 228, 235—236; სერგი კაპანაძისა (სოფ. კაცხის მცხოვრები 65 წლის) და სანდრო სახვაძის (სოფ. უბისას მცხოვრები 67 წლის) ცნობები. ჩავიწერეთ ამავე სოფლებში 1947 წლის ივლისს.

კაცხს, ნავარძეთს, ჯოყოეთს, საზონოს, რგანს, ვაქევს, საკურწეს, რკვიას, საქარასა და მორძგვეთში ნაწილობრივ კაცხის მონასტრის ყმები სახლობდნენ (იხ. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მასალები დას. საქ. სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 65—75), მაგრამ რადგან თვით ეს მონასტერი აბაშიძეებს ეკუთვნოდათ, ამიტომ აღნიშნული სოფლებიც მთლიანად მათ მივათვალეთ.

აბაშიძეთა სათავადოს საზღვარი ჩდრილოეთით რაჭის საერისთავომდე აღწევდა, სამხრეთით —მდინარე ძირულამდე, აღმოსავლეთით — ლიხის მთამდე, დასავლეთით — არგვეთა-ჩხარამდე.

აბაშიძეების სოფლებში აქა-იქ ყმა-მამულს ფლობდნენ ზოგჯერ სხვა ფეოდალებიც (მეფე, ბატონიშვილი, თავადი, ეპისკოპოსი), ასე იყო ეს სხვა თავადთა სამფლობელოებშიც. ეს ხდებოდა იმის გამო, რომ მამულის მწყალობელი (მეფე, უფლისწული და სხვ.) ან გამყიდველი სხვადასხვა მიზეზის გამო ხშირად მას გაფანტულად იძლეოდა. ან კიდევ ზოგიერთ შეწყალებულს ან მყიდველს არ შეეძლო ერთბაშად იმდენი „ქრთამის" ან საფასურის გაღება, რაც ამა თუ იმ სოფლის მთლიანად შეძენისათვის იყო საჭირო და მის ნაწილს სხვა იკავებდა. შეწყალებაც, ცნობილია, „უქრთამოდ" არ ხდებოდა.

ზემოხსენებულ სოფლებს გარდა, აბაშიძეები მეტ-ნაკლებად ყმა-მამულს ფლობდნენ ჩიხას, ქვიტირს, ფარცხნაყანევს, ჯიხაიშს, ტყაჩირს, ბაკისუბანს, ზორეთს, წყალოფორეთს, ტელეფას, უხადოს, ოკრიბასა და სხვაგან[25].

აბაშიძეების ყმათა საერთო რაოდენობა ჩვენთვის უცნობია. მაგრამ არგვეთში, რომლის უდიდესი ნაწილი გარკვეულ პერიოდში ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა, XVIII ს. 80-იან წლების ცნობით, 2500 კომლი ითვლებოდა[26]. ამის მიხედვით აბაშიძეების ყმათა საერთო რიცხვი შეიძლება დაახლოებით 1500 კომლამდე ვივარაუდოთ[27].

აბაშიძეების ყმა გლეხები იყვნენ: ნიორაძეები, იაკობაშვილები, სულიაშვილები, იაკობიძეები, პაპიძეები, გელაშვილები, ხარატიშვილები, ბუაძეები, ქიმაძეები, ბულაშვილები, გიორგაძეები, ჭანკოტაძეები, ნიკობერიძეები, მიროტაძეები, დათვიაშვილები, ჩუბინიძეები, რობაქიძეები, სოფრომაძეები, გამრეკელაშვილები, მოდებაძეები, კაპანაძეები[28], ნასიაშვილები, ბასილაშვილები, კურ-

---

25 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. №№ 1037, 1315, 1335. სცია, ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 1, 9, 15—16, 23—24, 29; ქუთ. მუზ. საბ. № 227, 361, 1361; Акт , т. II. стр. 372.

26 იხ. ი. რ ე ი ნ ე გ ს ი. დასახ. ნაშრ., გვ. 38.

27 ეს ვარაუდი ეხება აბაშიძეთა სათავადოს ძლიერების ხანას (XVII ს. მიწურულიდან მომდევნო საუკუნის 50-იანი წლების დასასრულამდე).

28 კაპანაძეთა და მოდებაძეთა ნაწილი კაცხის მონასტერს ეკუთვნოდა (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მასალები დას. საქ. სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 43, 45, 58, 65, 68, 70).

ტანაძეები[29], ჯახნიაშვილები, გამცემლიძეები, თაბაგრები, ნიქაბაძეები, გაჩუჩილაძეები, იამანიძეები, სასნაშვილები, ოქრაძეები, მახნიაშვილები, მოგონაძეები, ბანცაძეები, გველესიანები, პასკაშვილები, ტყემალაძეები, სამხარაძეები, კავლიშვილები, ხვედელიძეები, ყიფშიძეები, ებანოიძეები, მანჯავიძეები, ქურციკიძეები, ტალახაძეები, შველიძეები, კიკვაძეები, თევდორაძეები და სხვ[30].

აბაშიძეების აზნაურები იყვნენ: ორჯონიკიძეები, ყიფიანები, მაჭავარიანები[31], წერეთლები, კიკნაძეები, ასათიანები (ქვიტირს) გაბეხაძეები (ჯიხაიშს) და სხვ.[32]

აბაშიძეების სათავადოს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა მოპოვებული. სამეფო საურის გადამხდელთა სიაში ამ საგვარეულოს ყმათაგან მხოლოდ 15 კომლია შეტანილი, საუდიერო კი — სრულებით არავის მართებს[33].

---

29 სანდრო სახვაძის ცნობით, ერეთაში (ახლანდელი შავარა) აბაშიძეები ფლობდნენ 100 კომლ კურტანიძეს..

30 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd. საბ. №№ 535, 1221, 1315, 5180: ფ. Hd, საბ. № 931; ფ. Ad, საბ. № 922; სცაი, ფ. 226(1), საბ. №№ 3196, 6631; ფ. 227(2), საბ. № 434; ფ. 229(4), დავთ. 17, საბ. № 51; ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 1—30; ქუთ. მუზ. საბ. №№ 277, 1356, 2109, 2110; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953, საბ. № 439, გვ. 279—280 (ქვემოთ: დოკუმენტები..., II); სერგი კაპანაძისა და სანდრო სახვაძის ცნობები.

31 მაჭავარიანები აბაშიძეების აზნაურები ჩანან ჯერ კიდევ XVI ს-ში (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 24). აზნაურ მაჭავარიანთა ნაწილი კიდევ მეფეს ეკუთვნოდა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 8354), ნაწილი — თავად წერეთლებს (ო. ს ო ს ე ლ ი ა, არგვეთის სათავადოების ისტორიიდან („საწერეთლო"), საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 22—26).

32 სცია, ფ. 226(1), საბ. № 6631; ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 16; ქუთ. მუზ. საბ. №№ 1361, 2109, 2110; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Qd, საბ. № 1478; საქ. სიძ., II, საბ. № 131, გვ. 160; დოკუმენტები, I, საბ. № 622, გვ. 444—445; II, საბ. № 438, გვ. 279; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 16—17; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 78, გვ. 74—75.

33 Акты, IV, стр. 256.

უნდა აღინიშნოს, რომ საურს იხდიდა „По сию сторону реки Кацхуры" 20 კომლი, კაცხსა და ხრეითში ერთად კიდევ — 20 კომლი, საქარასა —10 და ლოსიათხევში — 38. სულ 88 — კომლი.

საუდიერო კი „По сию сторону реки Кацхуры", საქარასა და ლოსიათხევში 59 კომლს მართებდა (იხ. იქვე). მაგრამ ესენი აბაშიძეთა ყმები არ ჩანან. აბაშიძეთა სოფლებში, როგორც ზემოთ ითქვა, მეფისა და სხვა ფე-

აბაშიძეებს სამ ადგილას ჰქონდათ რეზიდენცია:

ერთი — ჭალას, სადაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, თვით აბაშმა გააწყო თავისი ადგილ-სამყოფი და შემდეგ მის ერთ შტოს ჰქონდა სასახლე, კარის ეკლესია და საივალე.

მეორე — კაცხს, სადაც თაყას თუ აბაშის ერთ-ერთ შტოს წარმომადგენელი ვახუშტი იყო დამკვიდრებული XVI ს. მეორე ნახევარში და ჰქონდა სასახლე და საძვალე (კაცხის მონასტერი)[34].

მესამე — უბისას. აქ აბაშიძეების ადგილ-სამყოფს პირველად ევსტრატი აბაშიძემ ჩაუყარა საფუძველი, რომელიც იმავე აბაშის თუ თაყას ან პირველის რომელიმე ძმის შტოდან წარმომავალი და ვახუშტის თანამედროვე უნდა იყოს. ევსტრატიმ თავის საძვალედ უბისას მონასტერი გაიჩინა. ამ მონასტერს სამხრეთ-დასავლეთით მიაშენა მან დიდი ეკვდერი, შემკული ლამაზი ჩუქურთმებით. ეკვდრის კარებს ირგვლივ მოთავსებულ ნუსხურ წარწერაში ვკითხულობთ: „მე, საწყალობელმან სულითა აბაშიეემან ევსტრატი აღვაშენე სასაფლაო ჩემთვის და თანამეცხედრისა ჩემისა პატრონისა ნარიობისა. ამა სოფლით ამის მეტი არა წამყვა რა. თქვენის ღვთისათვის, ნურვინ გაკსნით ამა საფლავსა"[35].

უბისას მონასტერში იმარხებოდნენ ევსტრატი აბაშიძის შთამომავალნიც.

აბაშიეთა ამ სამ ადგილსამყოფიდან უძველესი კაცხი უნდა იყოს.

აბაშიძეების საგვარეულო ეკლესია-მონასტრებს თავიანთ ყმამამული გააჩნდა, რომელიც შეწირულებისა თუ სხვა გზით ჰქონდა

ოდალთა ყმებიც სახლობდნენ. რაც მთავარია, ზემოდასახელებულნი საურისა და საუდიეროს გადამხდელნი აბაშიძეების ყმებად არ იხსენ ებიან, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში პირდაპირ არის მითითებული, რომ საურს აბაშიძის 15 კომლი იხდიდა (იქვე).

34 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 22. XVII ს. მეორე ნახევარში ამ მონასტრის შესავალი კარის „აღმოსავალს ეკუდერი" პაატა აბაშიძემ თავის „საძუალედ" მოაწყო. იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მასალები დას. საქ. სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 54.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან აბაშიძეებს კაცხის მხოლოდ ნაწილი ეპირათ და ისიც არაყოველთვის (იხ. ქვემოთ, გვ. 164—165). ე. ი. აღნიშნული პერიოდიდან აბაშიძეების რეზიდენცია კაცხს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ დროდადრო.

35 Е. Т а к а й ш в и л и. Археологические путешествия, разыскания и заметки, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 44, Тифлис, 1915, стр. 15.

შეძენილი. აბულახსარ ამირეჯიბისშვილის მიერ კაცხის მონასტრის განახლების შემდეგ (XVI ს. პირველი მესამედი) ამ მონასტერს 100 კომლი ყმა ჰყავდა[36].

კაცხის მონასტრის ყმათა რაოდენობა შემდეგ უფრო გაიზარდა. გვიან, XIX ს. დამდეგს ამ მონასტრის ყმათა საერთო რიცხვი, როგორც 1819 წელს შედგენილი ნუსხიდან ჩანს, და როგორც ეს ს. კაკაბაძეს აქვს გამოანგარიშებული, 160 კომლამდე ივარაუდება[37].

კაცხის მონასტერს ყმები ჰყავდა სოფ. კაცხს, რგანს, ვაჭევს, საკურწე-, რკვიას, ჯოყოეთს, საზანოს, ნავარძეთს, საქარასა და მორძგვეთში[38].

ზემო იმერეთის თითქმის ყველა ციხესიმაგრე აბაშიძეებს ეკუთვნოდათ მათი ძლიერების ხანაში. ციხეთა სიმრავლით მხოლოდ რაჭის ერისთავი თუ გაუტოლდებოდა მათ ლიხთ-იმერეთში (იხ. რაჭის ერისთავთა სათავადო). აბაშიძეების მფლობელობაში იყო: ვახანის, ჩხერის, სვერის, ხარაგეულის, ნავარძეთისა და კაცხის ციხეები.

ვ ა ხ ა ნ ი ს ც ი ხ ე და მისი მიმდგომი ადგილები ვახუშტი აბაშიძის წილი ჩანს აბაშიძეთა საგვარეულო ქონებაში[39]. ვახუშტის შიერ ქართლის მეფის ვასალობის აღიარების შემდეგ (1711 წ.), ეს ციხე და მისი მიდამოები ქართლის სამეფოს საზღვრებში შევიდა (იხ. ამაზე ქვემოთ).

ჩ ხ ე რ ი ს ც ი ხ ე დღესაც კარგადაა დაცული. დგას ის მდ. ძირულას მარცხენა შენაკადის — ჩხერიმელას ნაპირზე[40].

---

36 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 36; Ф. Ж о р д а н и я. Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. II, Тифлис, 1902, стр. 51.

კაცხის მონასტრის ყმათა რაოდენობის შესახებ XVI ს-ში იხ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. ჩემი შენიშვნები, ჟურნ. „საქართველო", 1908, № 3, გვ. 11.

37 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 39. იხ. იქვე, კაცხის მონასტრის ყმათა ნუსხა, გვ. 65—75.

38 ი ქ ვ ე, გვ. 65—75; ქუთ. მუზ. საბ. № 83.

39 ვახანის ციხის აბაშიძეებისადმი კუთვნილების შესახებ იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 235.

40 ამ ციხეს ადგილობრივი მოსახლეობა „მელის-კარისა" და „ზარნის" ციხესაც ეძახის. ,არანი ჩხერის ერთი ნაწილის სახელია, რომელიც ამჟამად ცალკე სოფლადაა გამოყოფილი. ციხე ზარანის ტერიტორიაზეა. ამიტომ მას ზარნის ცი-

ჩხერის ციხე, როგორც ვახუშტი აგვიწერს, „მაგარი და მტრისაგან აუღებელი“ იყო[41]. 1738 წელს, როცა ღონენა აბაშიძე „უშვილოდ“ გადაეცა, მისი წილი მამული ამ ციხითურთ, ვითარცა თავადის ბეითალმანი ქონება, იმერთა მეფეს ალექსანდრე მეხუთეს „დარჩა“. მაგრამ მან ეს ციხე ამავე წელს ღონენას ძმის წელს უბოძა[42]. 1762 წელს კი ხსენებული ციხე სოლომონ პირველმა შეისყიდა ნიკოლოზ ფინეზის შვილ აბაშიძისაგან. ამის შემდეგ ჩხერის ციხე აბაშიძეების მფლობელობაში არ ყოფილა, სამეფო ციხედ ითვლებოდა[43].

სვერის ციხე ჯერ კიდევ XI საუკუნის უცნობი ავტორის თხზულებაში — „მატიანე ქართლისაში“ იხსენიება ამავე საუკუნის მეორე ნახევრის ამბებთან დაკავშირებით[44]. 1660 წლამდე (ალექსანდრე III-ის გარდაცვალებამდე) ის სამეფო ციხე იყო. აღნიშნულ წლის შემდეგ იგი აბაშიძეებმა მიიტაცეს. 1661 წელს, როცა ქართლის მეფე შაჰნაზარმა იმერეთი დაიპყრო, ეს ციხე პაატა აბაშიძეს მისცა[45]. ამის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ეს ციხე აბაშიძეებს (გიორგის, ზურაბს, ლევანს) ეპირათ[46].

1744 წელს სვერის ციხე ალექსანდრე V-ემ დაიპყრო[47], მაგრამ, როგორც ჩანს, მცირე ხნით. 1746 წელს ამ ციხეს ისევ აბაშიძეების (ზურაბისა და მისი შვილების) ხელში ვხედავთ[48]. სვერის ციხე აბაშიძეებმა საბოლოოდ სოლომონ I-ის დროს, ხრესილის ომის შემდეგ (1757 წ.) დაკარგეს. მეფემ ეს ციხე მზითვად მისცა თავის ასულ მარიამს, რომელიც მიათხოვა ქსნის ერისთავის ძეს ელიზბარს[49]. მაგრამ სოლომონ II რომ გამეფდა, სვერის ციხე ჩამოართვა ელიზბარს და ამზითვა თავის დას აგრეთვე მარიამს, რომელიც მალხაზ ანდრონიკაშვილთან იყო დაქორწინებული[50]. მალხაზი 1810

ხესაც უწოდებენ. იმ ადგილს, სადაც ჩხერის ციხეა, „მელის-კარსაც“ ეძახიან. ამის გამო თვით ციხეს მელის-კარის ციხედ იწოდება.

41 იხ. მისი აღწერა..., გვ. 155.

42 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. № 1482.

თავადის ბეითალმანი ქონების იურიდიული ბუნების შესახებ იხ. ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან..., გვ. 104—105.

43 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 16—17; სცია, ფ. 227 (2), საბ. № 434.

П. Гнилосаров. О царе Соломоне II и бывш м при нем управлении, Кавказский Календарь, 1859, стр. 437.

44 იხ. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილი რედ., გვ. 309.

45 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 202—203, 221.

46 იქვე, გვ. 222—223, 228; Ф. Жордания. Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I, Тифлис, 1903, стр. 204—205; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. №№ 78, 83.

47 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 236.

48 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 83.

49 Акты, т. V, ч. I, стр. 601—602. მოთითებულ გვერდებზე დასახელებული „სვერის თემი“ („Сверская волость“), რა თქმა უნდა, სვერის ციხესაც მოიცავს.

50 იქვე, გვ. 535.

წელს ოსმალეთში ლტოლვილ სოლომონ II-ეს გაყვა. ემიგრაციაში მყოფი თავადის ქონება სახაზინოდ გამოცხადდა. ელიზბარმა კი სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსთა სარდლობას დიდად უერთგულა. ამ ერთგულებისათვის რუსეთის მთავრობამ 1811 წელს სვერის ციხე ელიზბარ ერისთავის ძეს დაუბრუნა[51].

ხარაგეულის ციხე ეკუთვნოდა აბაშიძეების იმ შტოს, „რომელიც ძამუკაშვილად იწოდებოდა“[52]. 1735 წ. ახლო ხანს ზურაბ აბაშიძემ მოკლა თავისი სახლიკაცი „მამუკაშვილი“ და ეს ციხე თეითონ დაიჭირა[53]. ამავე ხანს ხარაგეულის ციხე იმერთა მეფე ალექსანდრე V-ემ ჩაიგდო ხელში და იგი თავის ერთგულს, ამ ციხის „მეპატრონის ძეს“ (მამუკაშვილ-აბაშიძეს) დაუბრუნა[54]. ამის შემდეგ 1754 წლამდე ამ ციხეს გიორგი მამუკაშვილი-აბაშიძე ფლობდა. აღნიშნულ წელს ეს ციხე მისგან, როგორც ზემოთ ითქვა, სოლომონ პირველმა შეისყიდა[55]. ამიერიდან ხარაგაულის ციხე სამეფო ციხე იყო.

ნავარძეთის ციხე 1709 წელს, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, აბაშიძეს წაართვა გიორგი VI-ემ[56]. მაგრამ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში მეფეს მისი შენარჩუნება არ შეეძლო. ეს ციხე უთუოდ მალე ისევ აბაშიძეების ხელში გადავიდა. სოლომონ პირველისა და მომდევნო მეფეების დროშიც ნავარძეთის ციხე აბაშიძეთა საგვარეულოს უნდა ჰქონოდა.

კაცხის ციხეს 1709 წელს აბაშიძეების ხელში ვხედავთ[57]. ბევრად ადრეც ის აბაშიძეებისად არის საგულისხმებელი. აღნიშნულ წელს კი ეს ციხე გიორგი მეფემ აიღო. მან ის სიკვდილამდე შეინარჩუნა. 1720 წ. 27 თებერვალს, როცა გიორგი VI მოკლეს, კაცხის ციხე, მასში მოთავსებული მეფის „საგანძურით“, რაჭის ერისთავმა შოშიტამ ჩაიგდო ხელში[58]. მაგრამ იმავე წელს

---

[51] Акты, т. VI, ч. I, стр. 601—602. ამ ციხის შესახებ ვრცლად იხ. გ. ცქიტიშვილი, სვერის ციხე, ძეგლის მეგობარი, კრებული ოცდამეერთე, თბილისი, 1970, გვ. 34—33.

[52] ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 229, 234, შდრ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd. საბ. №№ 2971, 5161; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 3.

[53] ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 234.

[54] იქვე.

[55] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, №№ 2971, 5161, შდრ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 3.

[56] ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 223; მისივე, ქრონიკონები, გვ. 252 (1709 წლის ქვეშ). ნავარძეთის ციხის შესახებ. იხ. აგრეთვე გ. წერეთელი, საჩხერის ციხე მოდი-ნახე. „კვალი“, 1893, № 3, გვ. 12; „მწყემსი“, 1892, № 2, გვ. 1—3.

[57] ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 222—223; მისივე, ქრონიკონები, გვ. 252 (1709 წ. ქვეშ).

[58] ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 229; მისივე, ქრონიკონები, გვ. 253 (1720 წლის ქვეშ).

ეს ციხე და მისი „საგანძური“ ერისთავშა გიორგის მემკვიდრეს ალექსანდრე V-ეს გადასცა[59]. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და თავადების მძლავრობის პირობებში[60] აბაშიძეები ამ ციხეს ისევე მალე უნდა დაუფლებოდნენ.

1753 წლიდან კი კაცხის ციხე და სოფ. კაცხიც, როგორც აღვნიშნეთ, სოლომონ I-ის საკუთრებაა (იხ. ქვემოთაც), ამის შემდეგ ეს ციხე აბაშიძეებს არ ჰქონიათ.

1772 წელს კაცხი მისი ციხითა და მონასტრით არჩილ ბატონიშვილს აქვს საუფლისწულოდ. აქედან „კაცხის ეკლესია და მისი შემავალი ყმა... მამული“ მან თავის დისშვილებს — გიორგისა და დავით აბაშიძეებს უბოძა, რომელიც, როგორც ჩანს, მალე ჩამოერთვათ[61].

1784 წელს კაცხი დავით არჩილის ძე ბატონიშვილს უჭირავს[62]. გამეფების შემდეგაც (1789 წ.) ეს სოფელი მის ხელშია და ციხე და მონასტერიც მას ეკუთვნის[63].

1802 წ. 12 დეკემბერს სოლომონ II-ემ „კაცხის ეკლესია და მისი შემავალი ყმა... მამული“ კვლავ გიორგისა და დავით აბაშიძეებს მისცა, ვითარცა მათი „მამა-პაპის მკვიდრი“[64]. ხოლო თავის „საუფლისწულო კაცხი, საკალმახე წყლით კაცხურათი“ ამავე მეფემ 1804 წელს სოლომონ ლიონიძეს უწყალობა[65]. შეიძლება ამაში კაცხის ციხეც შედიოდა.

არახანგრძლივად, მაგრამ აბაშიძეების ხელთ იყო აგრეთვე შორაპნის, შროშის, ჭალა-ტყისა და ცუცხვათის ციხესიმაგრეები.

შ ო რ ა პ ნ ი ს ც ი ხ ე-ქ ა ლ ა ქ ი ძველ დროიდან ჩხეიძეებისა იყო. 1686 წელსა და მის მომდევნო ხანაშიც ის ამ საგვარეულოს ეკავა (იხ. ჩხეიძეთა სათავადო). XVII—XVIII სს. მიჯნაზე ეს ციხე-ქალაქი გიორგი აბაშიძის ხელში ჩანს[66]. უკანასკნელის

---

59 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 230.

60 ი ქ ვ ე, გვ. 230—236.

61 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 299 (სქოლიო); ქუთ. მუზ. საბ. № 102.

ამჯერად კაცხის ეკლესია და მისი ყმა-მამული აბაშიძეებს უთუოდ 1778 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ჩამოართვეს (იხ. ქვემოთ).

62 სცია, ფ. 226(1), საბ. № 3312, შდრ. საქ. სიძვ. III, საბ. № 587.

63 საქ. სიძვ., III, საბ. № 587; ქუთ. მუზ. საბ. № 102.

64 ქუთ. მუზ. საბ. № 102.

65 საქ. სიძველენი, III, საბ. № 587.

66 Ф. Жордания. Описание..., I, стр. 205; ვ ა ხ ტ ა ნ გ ი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 220; მ ი ს ი ვ ე, აღწერა..., გვ. 154.

ქართლს გაქცევის შემდეგ (1711 წ.), შორაპანს მისი შვილი ლევანი ფლობდა[67]. 1726 წ. ლევანს ის მისმა ბიძაშვილმა ზურაბმა წაართვა[68].

იმერთა მეფე ალექსანდრე V ცდილობდა ესარგებლა აბაშიძეებს შორის უთანხმოებით და ეს ციხე თვითონ დაეპყრო, მაგრამ ამასობაში, 1730 წელს, ზურაბ აბაშიძემ შორაპანი თურქებს გადასცა[69]. ეს ციხე მაინც აბაშიძეებისად ითვლებოდა ხრესილის ომამდე (1757 წ.). აღნიშნულ წელს სოლომონ პირველმა ჩამოართვა ის აბაშიძეებს და თავის სახასოდ აიღო (იხ. ქვემოთ). შორაპნის ციხე თურქი ოკუპანტებისაგან სოლომონმა გაათავისუფლა 1770 წელს[70].

შ რ ო შ ი ს ც ი ხ ე 1744 წელს აბაშიძეებს ეკავათ (ჯერ ზაალ ზურაბის ძესა, შემდეგ ლევან გიორგის ძეს)[71]. ხრესილის ომის შემდეგ (1757 წ.) სოფელი შროშა მისი ციხით მეფის საკუთრებაშია. XVIII ს. მეორე ნახევარში სოლომონ I-მა ეს სოფელი, როგორც ითქვა, თავის ასულს დარეჯანს ამზითვა, რომელიც ქართლის აბაშიძეს, ქაიხოსროს, მიათხოვა (იხ. ქვემოთ).

ჭ ა ლ ა-ტ ყ ი ს კ ო შ კ ე ბ ი ძველ დროიდანვე აბაშიძეებისად არის საგულისხმებელი. ეს კოშკები გიორგი აბაშიძეს ეპყრა თავის ძლიერების ხანში (1685—1711 წწ.). მაგრამ როცა მან ოსმალთა ხარკის ძლევა, „მორჩილება" შეწყვიტა, იმერეთი ხონთქრის ბრძანებით არზრუმის ფაშამ დალაშქრა XVIII ს. დამდეგს და ჭალატყის კოშკებიც „ძირითურთ" დაანგრიეს[72].

ც უ ც ხ ვ ა თ ი ს ც ი ხ ი ს მფლობელობა, როგორც ს. კაკაბაძე შენიშნავს, ციხისთავის თანამდებობასთან იყო დაკავშირებული[73]. ვისაც ციხისთავობა ჰქონდა, ეს ციხეც მას ეკავა. XVI ს. მეორე ნახევრიდან ეს თანამდებობა ომათმათიძეებს (მერმინდელი სახელწოდებით აგიაშვილებს) ეჭირათ იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე და ცუცხვათის ციხეც მათ სამფლობელოდ ითვლებოდა (იხ. აგიაშვილთა სათავადო). მაგრამ აღნიშნულ პერიოდში იყო დრო, როცა ციხისთავობა და ცუცხვათის ციხე აბაშიძეებს ჰქონდათ მიტაცებული: ჯერ გიორგი აბაშიძეს — თავის ძლიერების ხანაში (1685—1711 წწ.)[74], შემდეგ მის ძმისწულს ზუ-

---

67 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 231.

68 ი ქ ვ ე; ვ ა ხ უ შ ტ ი. ქორონიკონები, გვ. 254 (1726 წ. ქვეშ); მ ი ს ი ვ ე, აღწერა..., გვ. 154.

69 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 232; მ ი ს ი ვ ე, ქორონიკონები, გვ. 254 (1730 წლის ქვეშ); მ ი ს ი ვ ე, აღწერა..., გვ. 154.

70 Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, вып. I, под редакцией А. А. Цагарели, СПб, 1898, стр. 47—48.

71 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 236.

72 ი ქ ვ ე, გვ. 219; ქუთ. მუზ. საბ. № 123.

73 იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 89.

74 Ф. Жордания. Описание..., I, стр. 204—205.

რაბს — ოსმალთა მიერ ამ ციხის დაპყრობამდე (1721 წ.)[75]. ეს ციხე სოლომონ I-მა გაათავისუფლა ოსმალო აგრესორებისაგან 1770 წ. 15 მაისს[76].

ციხესიმაგრეთა ასეთი სიმრავლე, მათი მოხერხებული განლაგება აბაშიძეთა თავადურ სახლს მთავრულ განკერძოებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. ამიტომ სოლომონ I-მა თავიდანვე აბაშიძეთა ციხეები ამოიღო ნიშანში: 1753 წელს, როგორც ზემოთ ვნახეთ, მეფე კაცხის ციხის დაეუფლა. 1754 წელს სოლომონმა გიორგი აბაშიძისაგან ხარაგეულის ციხე შეისყიდა, ხოლო 1762 წელს ნიკოლოზ ფინეზისშვილ-აბაშიძისაგან ჩხერის ციხე შეიძინა (იხ. ზემოთ).

აბაშიძეთა მიერ ციხეების გასხვისება სახლის წევრთა შორის უკმაყოფილების პირობებში უნდა ხდებოდეს[77]. მეფე სარგებლობს ამით: ხელიდან აცლის მათ ძლიერების საყრდენს.

აბაშიძეების სათავადოს თავის მმართველობის აპარატი ჰქონდა. ამ აპარატში ვხედავთ სახლთუხუცესს, მოურავს, ხელოსანს, ანუ მოხელეს, მამასახლისსა და მეშარნეს[78].

სახლთუხუცესი აბაშიძეთა მხოლოდ ერთ, 1691 წლის საბუთში გვხვდება. ამ საბუთში დასახელებულია პაატა აბაშიძის სახლთუხუცესი თამაზა[79]. იგი აბაშიძეების რომელიმე აზნაურთაგანი უნდა იყოს.

მოურავისა და ხელოსნის სახელოები აბაშიძეთა სათავადოში XVI ს. მეორე ნახევრიდან იხსენიება[80]. მოურავის თანამდებობაზე ჩანან: გიორგი ალაბიძე (1768 წ.), საჩინო ორჯონიკიძე (1817 წ.) და ფირან მაჭავარიანი (1836 წ.)[81].

---

75 დოკუმენტები..., I, საბ. № 624; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 91; ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 230; მ ი ს ი ვ ე. აღწერა..., გვ. 151, 154.

76 Грамот ..., т. II, вып. I, стр. 47, შდრ. ხელნაწერთა ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ ოთვანეს დღიური) გვ. 8.

77 დას. საქ. საეკლ. საბ., II. გვ. 3, შდრ. ხელნაწ. ინსტ. ფ. Sd, საბ. №№ 2971, 5161.

78 სეია, ფ. 226(1), საბ. № 6631; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 5413; ქუთ. მუზ. საბ. №№ 206, 2109, 2110; დოკუმენტები..., II, საბ. № 438; საქ. სიძე., II, საბ. № 131.

79 საქ. სიძეველნი, II, საბ. № 131, გვ. 160.

80 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 23, 25—26.

81 სეია, ფ. 226(1), საბ. № 6631; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ.

უფრო ადრეც აბაშიძეების მოურავობა მათ აზნაურებს — მაპავარიანებსა[82] და ორჯონიკიძეებს უნდა ჰქონოდათ.

აბაშიძეთა ხელოსნებად დასახელებულია: ებანოიძე, მანჯავიძე და კალანდაძე[83].

საეკლესიო მსახურთაგან ამ სათავადოში გვხვდებიან: არქიმანდრიტი (კაცხის მონასტრის), წინამძღვარი (იმავე მონასტრის), დეკანოზი („გესამანიის"), კარის მწირველი მღვდელი ოქროპირ წერეთელი და სხვა მღვდლები[84].

მიუხედავად აბაშიძეების სახლის წევრთა ერთობისა, მათ შორის უთანხმოება-მტრობას არა ერთხელ ჰქონია ადგილი. ასე, მაგალითად, 1658—1676 წწ. გიორგი აბაშიძემ მოჰკლა პაატა აბაშიძის მამა. დედაც „დაკოდა" და „ბევრი ავი საქმე ქნა". ამ მტრობამ რამდენიმე ხანს გასტანა. „სულა იმერელნი და ქართველნი შუა ჩამოვიდნენ", მაგრამ შერიგება არ მოხდა. ბოლოს ამ საქმეში ქართლის მეფე შაჰნავაზიც ჩაერია. „მოიბრუნა გული" პაატამ, შეურიგდა გიორგის და მისგან ნასისხლად ჩხერის ციხე მიიღო[85].

უფრო გვიან, XVIII ს. 40-იან წლებშიც აბაშიძეთა სახლში ისევ „სამდურავია". მალაქიასა და მის მემკვიდრეებს ლევანისაგან „წახთენის" „საფიქრო საქმე" აქვთ. მაგრამ გერმანე კათალიკოსისა და მერაბ წულუკიძის შუამავლობით ეს უთანხმოება შეწყდა[86].

სახლიკაცებს თუ ძმებს შორის უკმაყოფილება, უმთავრესად, ყმა-მამულზე „ცილობის" გამო ხდებოდა[87].

№ 5413; ქუთ. მუზ. საბ. №№ 2109, 2110, დოკუმენტები..., II, საბ. № 438, გვ. 279.

82 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 24.

83 სცია, ფ. 226(1), საბ. № 6631; ქუთ. მუზ. საბ. №№ 2109, 2110.

ქართლის „საბაშიოში", სადაც 1711 წელს იმერეთიდან გადმოსული ვახუშტი აბაშიძე დამკვიდრდა, ჩანს მოურავის, მდივნის, მამასახლისის, სახლთუხუცესისა და სხვ. სახელოები (იხ. სცია, ფ. 229(4), დავთარი 34, საბ. № 208; დავთარი 45, საბ. № 92; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 6620, 1288). ცხადია, მდივანი იმერეთის აბაშიძეთა სათავადოშიც იქნებოდა. მაგრამ მასზე ცნობები ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ შემონახულა.

84 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, №№ 2595, 2628; ფ. Sd, საბ. № 1318; ფ. Ad, საბ. № 771; ქუთ. მუზ. საბ. №№ 69, 123, 160; დოკუმენტები..., II, საბ. № 438, გვ. 279.

85 საქ. სიძველენი, II, საბ. № 108, გვ. 134—137.

86 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 80, გვ. 75—76.

87 იქვე.

აბაშიძეთა საგვარეულოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ სამფლობელოებთან. ეს ურთიერთობა სხვადასხვა ხასიათს ატარებდა. აღმოსავლეთით ამ საგვარეულოს უშუალო მეზობელი ქართლის სამეფო იყო. აბაშიძეები მასთან მეტწილად კეთილგანწყობილებაში იყვნენ. მაგალითად, XVI ს. მიწურულს სვიმონ ქართლის მეფის იმერეთში ლაშქრობისას აბაშიძეებს, არგვეთის სხვა თავადებთან ერთად, ამ მეფის მხარეზე ვხედავთ[88].

მაგრამ როსტომ ქართლის მეფესთან დამოკიდებულების საკითხში ამ საგვარეულოს წევრები სხვადასხვა პოზიციაზე დგანან: ნაწილი გამაჰმადიანებული როსტომის მომხრეთა ჯგუფშია, ნაწილი „ქართველობისათვის" თავგადამკვდარ კახთა მეფე თეიმურაზ პირველისა და მისი მოკავშირე იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის მხარეზე ჩანს. მაგალითად, ღონენა აბაშიძემ თავისი სიუზერენის— იმერეთის მეფის ვასალობა აღარ ინება, როსტომ ქართლის მეფეს (ქართლის „ვალი") ეყმო და მისი „ერთგული და ნამსახური" გახდა. ამისათვის, ან კიდევ სხვა მიზეზის გამო, ღონენა „ღალატად" მოაკვლევინა მისივე ძმამ პაატამ. როსტომმა „დიდად იწყინა", რომ მის „საბრძანებელსა და სახელმწიფოში სხვის ქვეყნიდან (იმერეთიდან — ო. ს.) ამ რიგი საქმე კადრეს". განრისხებულმა მეფემ 1638 წელს პაატას სახლ-კარისა და მამულის „ასაოხრებლად" ზემო ქართლის სარდალი იოთამ ამილახორი გაგზავნა მრავალრიცხოვანი ლაშქრით. პაატას მამული დაარბიეს; მისი სახლიკაცი ბეჟანი, რომელიც ქართლის ჯარს „შებმოდა", დაატყვევეს და „მხარშეკრული" როსტომ მეფეს მიგვარეს; აბაშიძეთა მაშველ მეზობელ თავად ბანანა ჩხეიძეს „თავი მოკვეთეს"[89].

XVII ს. მეორე ნახევარშიც, როცა ქართლის მეფე შაჰნავაზი ბრძოლას იწყებს „იმერეთსა ზედა" და ამ ქვეყნის დიდი ნაწილი (ბუჯის წყლის „აღმოსავლეთის კერძონი") მის ხელში გადადის[90], აბაშიძეები ერთ ხანს არ თანაუგრძნობენ მას. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ შაჰნავაზმა იმერეთში ლაშქრობის დასაწყისში სწორედ აბაშიძეების სოფელი კაცხი დაიპყრო[91] და ლევან აბაშიძის „კერძი"

---

88 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გამოც. ს. კაკაბაძისა, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 222.

89 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 146—148. იხ. აგრეთვე, ჩხეიძეთა სათაკადო.

90 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 202.

91 ი ქ ვ ე, გვ. 203.

ყმა-მამული არგვეთსა და გორისას ფეშანგ ფალავანდიშვილს უბოძა[92].

მაგრამ ამის შემდეგ მალე ლევანის თანამოგვარე პაატას შაჰნავაზის მხარეზე ვხედავთ. გამარჯვებული ქართლის მეფეც აძლევს მას დაპყრობილ იმერეთის სამეფოში სოფელ სვერს მისი ციხითურთ[93].

XVII ს. 90-იან წლების დამდეგს პაატას ძმამ გიორგიმ ორჯერ მოიპატიჟა იმერეთში გასაპეფებლად შაჰნავაზის ელჩილი[94].

უფრო გვიან, XVIII ს. პირველ ნახევარშიც აბაშიძეთა საგვარეულოს წევრები — ვახუშტი, სვიმონ, ზურაბი — დიდად ერთგულებდნენ ქართლის მეფეს[95].

იმერეთის აბაშიძეთა ერთგულებას ქართლის მეფე დიდად აფასებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისთვის ვახანის ციხის მფლობელი აბაშიძის პოზიცია. ვახანის ციხე იმ გზას დარაჯობდა, რომელიც ვახან-ბორჯომის გავლით ახალციხეში გადადიოდა და რომლითაც არაერთხელ შემოსულან ქართლის სამეფოში თავდამსხმელი ოსმალ-ლეკნი. ამ გზის მფლობელ აბაშიძეზე დიდად იყო დამოკიდებული ქართლის სამეფოს დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის საზღვრების დაცვა. ამიტომ ქართლის მეფე ადრიდანვე ცდილობდა ვახანელ აბაშიძეთა გადაბირებას. ასეთ ვითარებაში ქართლელი პაატა აბაში ე „უძეოდ ამოვარდა“ ისე, რომ „სახლიშვილიც არავინ დარჩა“. ვახტანგ ქართლის ჯანიშინმა „ამოვარდნილი“ პაატას მამული, მისი „ნაქონი მონასტერი... ხატი, ჯვარი და ყოველი მისი რიგი და წესი“ 1711 წელს იმერეთიდან მოწვეულ ვახუშტი აბაშიძეს „დაუმკვიდრა“. უბოძა მას „სასახლე“ და „სახასო მიწებიც“ და სხვ.[96]

პაატას მამულზე ვახუშტის დასმა ქართლის გამგებელმა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ვახუშტი „მამით და ოჯახობით“ ვახტანგის „ტახტსა და... ბიძა-მამაზედ ნამსახური“ იყო[97].

ვახუშტის მიერ ქართლის მეფის ვასალობის აღიარების შემდეგ (1711 წ.) ვახუშტის წილხდომილი სოფელი ვახანი თავის ცი-

---

92 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. №№ 24, 27.

93 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 203, 221.

94 ი ქ ვ ე, გვ. 216.

95 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 41; ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 221—222, 229, 235—236.

96 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 41.

97 ი ქ ვ ე.

ხით, მიმდგომი ადგილებითა და ყმებით, როგორც ზემოთ ითქვა, ქართლის სამეფოს ფარგლებში მოექცა[98].

1712 წელს კიდევ ვახტანგმა თავისი ძმული ანუკა ვახუშტის მიათხოვა[99] და ამით მასთან კეთილგანწყობილება ნათესაობითაც განამტკიცა.

ქართლის „საბაშიოს“ ახალი მფლობელისა და იმერეთის აბაშიძეების ნათესაური სიახლოვე ქართლის მეფისადმი იმერელ აბაშიძეთა ერთგულების ერთგვარი საწინდარიც იყო. მართლაც, როგორც სვიმონ აბაშიძის საფლავის ქვის წარწერიდან ჩანს, 1723 წელს მას ქართლის მეფის ერთგულებისათვის თავი გაუწირია და „უსჯულოთა ლეკთა მიერ წინაშე მეფისა ვახტანგისა სახელოვნად თავწარკვეთილი“ დასაფლავებულია კაცხის მონასტრის სამხრეთის ეკვდერში[100].

ამის შემდეგაც იმერეთის აბაშიძეთა გვარის არაერთ წევრს აუღია ხელი იმერეთში თავის მამულზე. ქართლის თუ კახეთის მეფეს ხლებია და მის წინ მტერთან ბრძოლაში „მრავალჯერ სახელოვნად გარჯილა“[101]. ასეთი ერთგულებისათვის ერეკლე II-ემ იმერეთიდან ქართლში გადმოსულ ზაალ აბაშიძესა[102] და მის შვილებს (იოანეს, სვიმონს) 1769 წელს ხეფინის-ხევი უბოძა, ხოლო 1774 წელს — მამული კახეთში[103].

ამგვარად, ქართლის მეფესთან ურთიერთობის საკითხში აბაშიძეთა სახლის წევრები თავიანთ სიუზერენისგან დამოუკიდებლად და ხშირად მისი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

---

98 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 175, 309; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 89.

99 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 222; მ ი ს ი ე ე. ქრონიკონები, გვ. 252, 1712 წლის ქვეშ.

100 სვიმონ აბაშიძის ეპიტაფია. ჩავიწერეთ ზემო იმერეთში მივლინების დროს, 1947 წლის ივლისს. იხ. აგრეთვე, ქრონიკები, III, გვ. 93—94.

ეს ის სვიმონ აბაშიძე უნდა იყოს, რომელიც თავის „სპითა“ ადრეც (1720—1721 წლებში) ვახტანგ მეექვსეს ეხმარებოდა (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 229).

101 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 2189, 2383..

102 ამ ზაალ აბაშიძის ასულ ანასთან იყო დაქორწინებული ერეკლე II. ანა დედოფალი 1749 წ. გარდაიცვალა. ერეკლემ შემდეგ შეირთო კაცია დადიანის ქალი დარეჯან (იხ. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 376—377, 423, 433).

103 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 2189, 2383.

ჩრდილოეთით აბაშიძეთა სათავადოს რაჭის საერისთავო მეზობლობდა. ამ ორი დიდი სათავადოს წარმომადგენლები მთავრული განკერძოებისაკენ ლტოლვის ინტერესებმა თავიდანვე ერთმანეთს დაუკავშირა და მთელი XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII ს-ში მეტნაკლებად შეთანხმებით ებრძოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას[104].

აბაშიძეებს წერეთლებთანაც ჰქონდათ მტრული თუ მეგობრული ურთიერთობა. აბაშიძეები წერეთლებზე უფრო ადრე გაძლიერდნენ და უკანასკნელთა ყმა-მამულს დასაპყრობად შემოადგნენ. ამ მხრივ საინტერესოა ზურაბისა და სხვა აბაშიძეების მიერ 1709—1744 წწ. ქველისა და „სულ ერთობით" წერეთლებისათვის მიცემული საფიცრის წიგნი. ამ წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენის ყმით იყო თუ ჩვენის თავით, ცოტა რამ სამდურავი ჩამოგვივარდა. აწ დღეს ამას იქეთ თუ ან ჩვენ და ან ჩვენმა ყმამ უსამართლოთ რამე წაგართვასთ ან წამოგეჭიდოსყე, ორი ზომა რომ თქვენ წაართვა და ან მოკლათ, ჩვენ არა გისაყვედუროთ რა და, ვისაც თქვენ ვერ მოერიოთ და ჩვენ შეგვატყობინოთ..., ჩვენ მოვეპყრათ ავათ და არცა-რა ზემოთ, თქვენა სახელოშად თქვენი უკითხავი ვქნათ და, რომელიც მამა თქვენს თქვენ სახელოთ ქონებოდეს, არც ის მოგიშალოთო"[105].

აქედან ნათლად ჩანს, რომ აბაშიძეებსა და მათ ყმებს წერეთლებისათვის „უსამართლოთ" ბევრი „რამ" წაურთმევიათ; წერეთლიანთ „სახელოშიც" „უკითხავათ" უმოქმედიათ და წერეთლები მათ ვერ „მორევიან". მაგრამ ახლა აბაშიძეები თუ წერეთლებთან უვნებლობის ფიცს დებენ, ეს იმიტომ, რომ წერეთლები იმერთა მეფესთან ერთად აბაშიძეების წინააღმდეგ იბრძვიან[106] და უკანასკნელნი მათ გათიშვას ცდილობენ.

ქველის შემდეგ მისი ძე პაპუნა ზურაბ აბაშიძის სიძე გახდა. ზურაბმა მაინც მისცა პირობა, რომ მისი „სახელო" „ზემო ქვეყნის" საქმეებში არ ჩაერეოდა[107] და ამით ჩამოაშორა იგი ცენტრალურ ხელისუფლებას. მაგრამ ეს თანხმობა-მოყვრობა ორივე მხარეს ძვი-

---

104 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 215—216, 233—234; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563.

105 დოკუმენტები..., I, საბ. № 621.

106 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 223.

107 დოკუმენტები..., I, საბ. № 624.

რად. დაუჯდა[108]. ისედაც ის მოკლე ხნის გამოდგა. 1752—1784 წლებში აბაშიძეები და წერეთლები კვლავ დაობენ ყმა-მამულის გამო...[109].

აბაშიძეების მეზობლობა განსაკუთრებით მძიმე იყო მაჭავარიანებისათვის. ოდესღაც დამოუკიდებელი აზნაური მაჭავარიანები სათავადოთა წარმოქმნის დროისათვის უკვე დაყმევდნენ. მაჭავარიანთა ნაწილი მეფის ვასალობაში მოექცა, ნაწილი — აბაშიძეებისა და ნაწილი — წერეთლების.

სამეფო აზნაურებს მაჭავარიანებს საკმაო ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ. ჯერ კიდევ 1452 წელს ბევრად უფრო ადრე მათ „მკვიდრად და ნასისხლად“ ჰქონდათ სამი სოფელი: ხოვრეთი, წევა წმინდა გიორგის სახელზე აშენებული ეკლესიით და ილემი[110]. მათვე უკუთვნოდათ „ნაროდინევი და ნაორმალი... ნახევარი სატბავიანად, ჩხერიმელესა და ძირულას გამოღმა“, და ნავარძეთის ნაწილი[111].

მაგრამ დროთა მსვლელობაში მაჭავარიანების სამფლობელო თანდათან შეიკვეცა. 1605—1639 წწ. იმერთა მეფე გიორგი III-ემ, რაც მაჭავარიანს „ნავარძეთი ჰქონდა, ყველა უკლებლივ“ „მთავარეპისკოპოსსა“ და მის ძმას ზაქარიას უბოძა[112]. ამავე ხანში, თუ უფრო ადრე, უნდა ჰქონდეთ ჩამორთმეული მაჭავარიანებს ხოვრეთიც. ყოველ შემთხვევაში გვიან (XVIII ს-ში) მას მაჭავარიანები არ ფლობენ. შეიძლება ესეც მეფემ რომელიმე საეკლესიო ფეოდალს მოაცა. ან თუ ხოვრეთი იგივე ხორითია, მაშინ იგი XVI ს-ში ვახუშტი აბაშიძეს უჭირავს[113].

ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში ძლიერი თავადი აბაშიძე ადვილად ახერხებს მეზობელ აზნაურ მაჭავარიანე-

---

108 1733 წ. ალექსანდრე იმერთა მეფე „მოუხდა პაპუნას, მოაოხრა საწერეთლო“. შემდეგ, ამავე წელს, მეფემ „მოიყვანა“ ზურაბ აბაშიძის ძე დაკით და პაპუნა წერეთელი ვარციხეს, „მოკლნა ორივ მუხთლად ღალატად“ (ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 234; მ ი ს ი ვ ე, ქორონიკონები, გვ. 255, 1738 წლის ქვეშ).

109 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1183.

110 ქრონიკები..., II, გვ. 264; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 8354.

111 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 8353; საქ. სიძველენი, III, საბ. № 557.

112 საქ. სიძველენი, III, საბ. № 557.

113 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ, I, გვ. 23—26.

ბის ადგილ-მამულის მიტაცებას. XVI ს. მეორე ნახევრისათვის წევა-ილემის ნაწილი უკვე აბაშიძეებს აქვთ მითვისებული[114].

გვიან, XVIII ს. პირველ ნახევარშიც აბაშიძეთა საგვარეულოს წევრი ზურაბი დიდად ავიწროებს სამეფო აზნაურ მაჭავარიანებს: „რატომ არ გადაუდგებით... მეფის ტახტსო...[115], ე. ი. ცდილობს ისინი განუყენოს მეფეს და თვითონ იყმოს. მაგრამ აბაშიძეებმა ვერ მიაღებინეს თავიანთი ვასალობა სამეფო აზნაურ მაჭავარიანებს. ყმა-მამული კი შემოაცალეს მათ: წევა-ილემის დიდ ნაწილს, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ XVI ს. მეორე ნახევრისათვის აბაშიძეები ფლობდნენ. ხოლო XVIII—XIX სს. მიჯნისათვის, თუ უფრო ადრე, სამაჭავარიანო „ნაროდინეები და ნაორმალი... ნახევარი სატბავიანათ, ჩხერისმელისა და ძირულას გამოღმაც“ აბაშიძეებს ეკავათ[116]. თავიანთ ადრინდელ სამფლობელოდან აღნიშნულ ხანში მაჭავარიანებს მხოლოდ წევა-ილემის მცირე ნაწილი და წევას ეკლესია აქვთ შერჩენილი, მაგრამ აბაშიძეები ახლა „მამაპაპისაგან... აღშენებულ“ ეკლესიასაც ეცილებიან. ამ ეკლესიასა და სხვა მამულების გამო აბაშიძეებსა და მაჭავარიანებს შორის XIX ს. დამდეგს დიდი დავა წარმოებს...[117].

აბაშიძეთა დაწინაურება იმერეთის სამეფოში XV ს-დან იწყება. აღნიშნულ საუკუნეში ამ საგვარეულოს წარმომადგენელს აქ მაღალი თანამდებობა — ამირეჯიბობა უჭირავს. უფრო გვიან, 1515—1535 წლებშიც ამირეჯიბად აბაშიძეთა გვარის წევრი აბულახსარი ზის[118]. აბულახსარის შემდეგ ამ თანამდებობაზე აბაშიძეები არ ჩანან.

---

114 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 23—26.

115 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 8354.

116 იქვე, საბ. № 8353.

117 იქვე, საბ. №№ 8353, 8354, 8396.

118 1515—1535 წწ. ახლო ხნის საბუთში დასახელებული აბულახსარ ამირეჯიბი, „დიდი ამირეჯიბის“ შვილია (იხ. ს. კაკაბაძე. მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 42—48). „დიდი ამირეჯიბის“ მოღვაწეობა XV ს-შია საგულისხმო. მართალია, არც აბულახსარის მამის („დიდი ამირეჯიბის“) და არც თვით აბულახსარ ამირეჯიბის გვარი წყაროებში არ იხსენიება, მაგრამ საბუთებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ აბულახსარ ამირეჯიბი აბაშიძეა. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია, ის, რომ აღნიშნულ წლების ახლო ხანს მის მიერ განახლებულ კაცხის მონასტრის მფლობელებად XVI ს. მეორე ნახევარსა და შემდეგ აბაშიძეები გვევლინებიან (იხ. იქვე, შდრ. გვ. 52—56; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 21—22).

XVI ს. პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება — კათალიკოსობაც აბაშიძეთა სახლის წევრს მალაქიას აქვს. იგი ძლიერი პიროვნებაა. მის „ბრძანებას“ თვით იმერთა მეფეც უსმენს[119].

მომდევნო საუკუნის 10-იან წლებში იმერეთის სამეფო კარზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს ლევან აბაშიძე. 1616 წელს იმერთა მეფე გიორგი III, აფხაზთა კათალიკოს მალაქიასთან ერთად, მას დიპლომატიური მისიით შაჰ აბასთან გზავნის (შაჰი ამ დროს გორშია დაბანაკებული) იმერეთში შეძოხიზნულ ქართლისა და კახეთის მეფეების საქმეზე. მოსალაპარაკებლად[120].

აღსანიშნავია, რომ აბულახსარი, როგორც თვითონ აცხადებს თავის 1515—1535 წწ. ახლო ხნის შეწირულების წიგნში, „ღარიბობიდანაა“ მოსული. „ის ამიტომ, — შენიშნავს ს. კაკაბაძე, — საგულისხმებელია იმერეთის მკვიდრთაგანი არ ყოფილაო“ (იხ. მისი, მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 42), მაგრამ, ჩვენი აზრით, აბულახსარი „ღარიბობაში“ იმერეთიდანაა წასული. იგი იმერეთის მკვიდრია და „ცოდვით სავსე“ (იქვე, გვ. 42, 45) რაღაც მიზეზის გამო უცხოობაში იმყოფება. იქიდან დაბრუნებულს კაცხის „საყდარი და სამრეველო“ „უკეთურთა და განდგომილთა კაცთა მიზეზითა მეფეთაგან [illegible] ქმნილი“, „დაქცეული“ ხედება და იგი მის „აღშენებას იწყებს“ (იქვე, გვ. 42—43, 49). ის რომ იმერეთის მკვიდრთაგანია და არა 1515—1535 წწ. ახლო ხანსაა პირველად აქ მოსული, ჩანს იქიდან, რომ აბულახსარმა კარგად იცის თუ სად რა ეკუთვნოდა კაცხის მონასტერს „უწინაც“ (იხ. იქვე, გვ. 43—45).

119 „მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ლიბთ-იმერეთი სამ საეპისკოპოსოთა ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოზისა აბაშიძისათა“ 1529 წელს (ქრონიკები..., II, გვ. 372).

120 ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, თბილისი, 1937, გვ. 56, სტროფი 484, გვ. 57, სტროფი 489.

უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ-აბასთან გაგზავნილ იმერთა მეფის დესპანების ვინაობის შესახებ არჩილის ცნობას ეწინააღმდეგება ვახუშტის ცნობა: „ვანიზრახეს“ და ირანის შაჰთან „წარავლინეს კათალიკოსი ქართლისა მალაქია და აბაშიძე პაატა“, — გადმოგვცემს იგი (იხ. მისი „საქართველოს ისტორია“, გვ. 197). მაგრამ ჩვენ არჩილის ცნობა უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია. არჩილი უფრო ახლოს იდგა იმ ეპოქასთან, როცა ეს ამბები ხდებოდა. ვახუშტი რომ ცდება, ჩანს იქიდანაც, რომ ის მალაქიას ქართლის კათალიკოსად ასახელებს, მაშინ როცა მალაქია აფხაზთა კათალიკოსი გურიელის ძეა, რომლის ზეობის დასაწყისი (1616 წ.) სწორედ ამ დესპანობის პერიოდს ემთხვევა (იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 129—130, 139). ესეც რომ არ იყოს, გაუგებარია, რატომ უნდა გაეგზავნა შაჰთან იმერეთის მეფეს თავის დესპანად ქართლის კათალიკოსი! შემდეგ, რაც მთავარია, ქართლში ამ დროს (შაჰ აბასის ლაშქრობათა დროს — 1614, 1616 წწ.) მალაქიად წოდე-

ლევან აბაშიძეზე ნაკლებ მნიშვნელოვანი პირი არ უნდა იყოს მისი სახლიკაცი ამილღაბარი, რომელიც 1624 წ. იმერთა მეფემ „უთავა“ ზემო იმერეთის ჯარს და გიორგი საკაძეს მიაშველა ბაზალეთის ომში[121].

შეიძლებოდა გვეფიქრა, ამილღაბარის ლაშქარში იყო ის ღონენა აბაშიძე, რომელმაც ამ ომში „სამკლავეცა“ გაუტეხა და „დაკოდა“ თეიმურაზ პირველი[122], მაგრამ ის ღონენა „ქვიშხეთელია“[123] და ამდენად ზემო იმერეთის ლაშქარში მისი ყოფნა გამორიცხულია.

აბაშიძეების გავლენა უფრო იზრდება ალექსანდრე III-ის მეფობაში. აღნიშნულ პერიოდში როსტომ აბაშიაეს ერთ ხანს მაღალი თანამდებობა — სახლთუხუცესობა აქვს[124]. ამ მეფის „დარბაისელთა“ 1651 წ. სიაში აბაშიძეთა გვარის ცხრა წევრი ირიცხება[125]. იმერეთის არც ერთი წარჩინებული გვარი მასში ასეთი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი[126].

ბული კათალიკოსი არ ყოფილა (იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. მასალები საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 67).

ვახუშტის ცნობაზე დაყრდნობით, მის შეცდომას იმეორებს კ. გრიგოლია თავის საკანდიდატო დისერტაციაში („იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება მე-17 საუკუნეში“, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 127).

ვახუშტის ქრონოლოგიით, იმერთა მეფეს შაჰ აბასთან დესპანები გაუგზავნია 1615 წელს (იხ. მისი „საქართველოს ისტორია“, გვ. 197). ეს თარიღი მცდარია. რადგან დესპანობაში აფხაზთა კათალიკოსი მალაქია გურიელის ძე მონაწილეობდა (სხვა მალაქია აფხაზთა კათალიკოსი ამ დესპანობის დროს არ იყო), ეს დესპანობა 1616 წელზე — მალაქიას გაკათალიკოსობაზე ადრე არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

121 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 198. ეს ის ამილღაბარ აბაშიძე უნდა იყოს, რომელიც შემდეგ ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნში იხსენიება. იხ. П реписка..., стр. 84.

122 ა რ ჩ ი ლ ი. თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, გვ. 80, სტროფი 692.

123 ი ქ ვ ე.

124 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 64.

სახლთუხუცესობა როსტომს უნდა ჰქონოდა 1643 წლის წინარე ხანამდე, სანამ ამ თანამდებობას ბეჟია ჩხეიძეს მისცემდნენ (იხ. ჩხეიძეთა სათავადო).

125 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193—194.

126 იხ. ი ქ ვ ე.

აბაშიძეთა საგვარეულოს მეთაური ამ დროს პაატა აბაშიძეა: დიდებულ თავადთა რიგებში ამ საგვარეულოს წევრებიდან ისაა დასახელებული[127].

პაატა და მისი სახლიკაცები ალექსანდრე III-ის ერთგული ჩანან. პაატას თანამოგვარე ლევანი ამ მეფის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში დაიღუპა ბანძის ომში 1658 წელს[128].

ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგაც (1660 წ.) XVII საუკუნის მიწურულამდე, აბაშიეთა სახლი იმერეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეთა ერთგული რჩება.

ახლა აბაშიძეთა გვარში პაატა IV პირველობს. სახლის უფროსობაც მას აქვს. ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნში „დიდ ბოიარად" იგი იხსენიება[129].

პაატა ფრიად განდიდებულია. მას „მორჩილებენ სრულიად მარგველნი"[130]. იმერთა მეფე ალექსანდრე IV ტახტზე მომაგრებას მის შემწეობით ცდილობს. პაატასთან კეთილგანწყობილების გასამტკიცებლად მეფემ თავისი და დარეჯანი მას მიათხოვა[131]. მართლაც, ალექსანდრე IV-სა და იმერეთის ტახტის მაძიებელ გიორგი გურიელს ძორის 1684 წელს მომხდარ როკითის ომში, გამარჯვება მეფეს აბაშიეებმა მოუპოვეს. ამ გამარჯვებას შეეწირა კიდეც მათი გვარის ორი დიდი წარმომადგენელი: ლევან II აბაშიძე ამ ომში მოკლეს, პაატა IV-ც იქ მიღებული ჭრილობისაგან დაიღუპა[132].

პაატას სიკვდილის შემდეგ, აბაშიძეთა საგვარეულოს უფროსად მისი ძმა გიორგი ზის. იგი მალაქიად სახელდებული ერთ ხანს ბერად იყო შემდგარი. მისი ბერად აღკვეცის მიზეზი იმ „ავი საქმის" მონანიება უნდა ყოფილიყო, რომელიც მან 1658—1676 წწ. ჩაიდინა (იხ. ზემოთ). ძმის გარდაცვალების შემდეგ, მალაქია საერო ცხოვრებას დაუბრუნდა[133].

ენერგიულმა და გამჭრიახმა თავადმა თავიდანვე დაიწყო იმერეთში პირველობისათვის ზრუნვა. საამისო თადარიგსაც ადრევე შეუდგა. პირველ რიგში მან თავისი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესა: ცოლად შეირთო გიორგი გურიელისა და კაცია ჩიქვანის

---

127 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იეველევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193—194.

128 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 201.

129 Переписка..., стр. 83.

130 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 209.

131 იქვე.

132 იქვე, გვ. 210.

133 იქვე.

„ნაცოლარი“, რომელიც იყო „მდიდარი ფრიად“[134]; გააფართოვა საგვარეულო მიწა-წყალი: ხელთ იგდო მეზობელ თავად ჩხეიძეთა ციხე-ქალაქი შორაპანი[135], მიითვისა მეფის სახასო მამულები ზემო იმერეთში, წაართვა აგიაშვილებს ციხისთავობა და ცუცხვათის ციხე[136] და, ამგვარად, თავის ბატონობას მტკიცე საფუძველი მოუპოვა.

ეკონომიურმა ძლიერებამ გიორგი აბაშიძეს შესაძლებლობა მისცა კულტურულ-საამშენებლო მუშაობისათვისაც მიეყო ხელი. მისი განკარგულებითა და „საფასით“ გადაიწერა არა ერთი ხელნაწერი, „შეიკო“ თუ მოიპოვა არა ერთი ხატი და ჯვარი. მისივე „წარსაგებლითა“ აშენებული თუ განახლებული იერუსალიმში „პატრიარქის აბრაჰამის“ მონასტერი 1700 წელს[137].

გიორგი აბაშიძეს ლექსის წერაც ემარჯვებოდა. 1705 წელს მის მიერ დავით გარეჯის მონასტრისადმი შეწირული გულანის პირველ გვერდებზე ჩაწერილია მისი ლექსი, რომელიც ეხება, ხელსაწერის მონასტრისადმი მიძღვნას, ავტორის ზოგიერთ საქმიანობასა და სხვ.[138].

თავისი მიზნების მისაღწევად იგი არავითარი ღონისძიების წინაშე უკან არ იხევდა. მას ოთხი აული ჰყავდა. ყველა ისინი, ერთის გარდა, მისი პოლიტიკური ინტერესების მიხედვით რამდენჯერმე იყვნენ დაქორწინებულ-განქორწინებული[139]. იყო დრო, როცა

---

134 ვახუშტი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 210.

135 Ф. Жордания. Описание..., I стр. 204—205; შდრ. ქუთ. მუზ. ძეგლი № 3085-ის წარწერა

136 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 218; Ф. Жордания, Описание..., I, стр. 204—205.

137 Ф. Жордания. Описание.., I, стр. 199—200, 204—205; Е. Такайшвили. Археологическия путешествия, разыскания и заметки. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 44, Тифлис, 1915, стр. 18—20, 36; ვლატონ იოსელიანი. განხილვა რამდენთამე ზედ წარწერათა, „ცისკარი“, 1865, № 5, გვ. 22; ტიმოთე გაბაშვილი მიმოსვლა, გამოც. ელ. მეტრეველისა. თბილისი; 1956, გვ. 72, 81, 123; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბილისი, 1963, გვ. 77.

138 Ф. Жордания, Описание..., I, стр 204—205; ქრონიკები, III, გვ. 18—19.

139 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 210—218.

გამონაკლისს წარმოადგენდა მარიამი, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის თანამეცხედრე იყო (იხ. ქუთ. მუზ. სამ. № 596; ნ. ბერძენიშვილი, ვახუშტის ბიოგრაფიისათვის, გვ. IX. წიგნში: ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1941).

„მეფეს, დადიანს, გურიელს სამსავ... ყვა“ აბაშიძის ასული[140].

სანამ იგი თავის მდგომარეობას განამტკიცებდა, ერთგულებდა იმერეთის კანონიერ მეფეს. ეს იყო XVII ს. მიწურულამდე[141]. მაგრამ როცა აბაშიძე მეტისმეტად გაძლიერდა, პოზიცია შეიცვალა. ახლა იგი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ რაჭის ერისთავს დაუკავშირდა[142]. ამიერიდან იმერეთის კანონიერი თუ უკანონო მეფეები გიორგი აბაშიძისა და მისი მომხრეთა ნებისამებრ იცვლებიან ან სხედან ტახტზე მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად კი სამეფოს აბაშიძე განაგებს. ასეა ეს მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში. მაგალითად, 1696—1698 წწ. იმერეთის მეფედ იჯდა გიორგი IV (გოჩიად წოდებული). მაგრამ სამეფოს საქმეებს მას არავინ ეკითხებოდა: „მართავდა აბაშიძე გიორგი და თაობდა ყოველთა იმერთა ზედა“[143].

1698 წელს, როცა იმერეთში სვიმონ ალექსანდრეს ძე გამეფდა, აბაშიძე „შეეზრახა“ მას, გაჰყარა თავისი ასული ანიკა თავად ნასყიდა იაშვილს, შერთო მეფეს ცოლად და „თაობდა“ იმერეთს ძალით გიორგი აბაშიძე[144]. 1701 წელს კი, მისივე ინიციატივით, სვიმონ მეფე ვერაგულად მოკლეს[145].

სვიმონის შემდეგ იმერეთის მეფედ დასმული მამია გურიელიც „თუმცა იყო მეფედ“, მაგრამ „წარაგებლითა თვისითა“, რადგან „სამეფონი დაბანი, აგარანი და შემოსავალნი ეპყრა აბაშიძეს და ასულსა მისსა თამარს“[146]. ასეთ შევიწროებულ მეფობას გურიელმა, ბოლოს, გურიელობა არჩია და წავიდა იგი „გურიასავე“ 1701 წ.[147]

ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში იმერეთში მეფე სულ არ დაუსვამთ. „მთავრობდა“ გიორგი აბაშიძე და „განეგებოდა მის მიერ ყოველი იმერეთი“[148]. ამდენად მართალია იგი, როცა ერთ

---

140 Ф. Жордания. Описание,..., I. стр. 205.
141 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 211—215.
142 იქვე, გვ. 215—217.
143 იქვე, გვ. 216.
144 იქვე, გვ. 217.
145 იქვე, გვ. 218.
146 იქვე.
147 იქვე. იხ. აგრეთვე ვახუშტი. „ქორონიკონები“, გვ. 252, 1701 წლის ქვეშ.
148 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 219.

ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში ამბობს: „ამ სოფელს არა მაკლდა რა, ცამდის არ ვიყავ ასული“[149].

გიორგი აბაშიძის მმართველობა ქვეყნისათვის ცუდი არ ყოფილა. მის დროს იმერეთში ადმინისტრაციული წესრიგი და მყუდროება დამყარდა: „ვერავინ იკადრებდა პარვად რისამედ“ და „განყიდვად ტყვისა“[150].

ოსმალთათვის დაწესებული „ქრთამის“ მაცემაც შეწყდა იმერეთში. გაილიერებული აბაშიძე არც „ეგდენ“ მორჩილებდა და არც „ქრთამს“ აილევდა ახალციხის ფაშას[151].

იმერეთის ასეთ გამგებელს ოსმალეთი, ცხადია, დიდ ხანს ვერ მოითმენდა. სულთანმაც 1703 წელს აბაშიძის წინააღმდეგ არზრუმის ფაშა გამოგზავნა დიდძალი ჯარით[152].

აბაშიძემაც საჭირო ზომები მიიღო: ლაშქარს თავი მოუყარა, შემოიფიცა მთელი იმერეთი დადიან-გურიელითურთ, მოსახლეობა „დახიზნა“, იმერეთში შემოსასვლელი გზები შეკრა, ჭალა-ტყის კოშკები თხრილებით გაამაგრა[153].

მტერს იმერეთში შემოსვლა გაუძნელდებოდა, რომ ფეოდალურ შუღლა მისთვის გზა არ გაეხსნა (გურიელი და ლიპარტიანა დამპყრობლებს ბიუვიდნენ)[154].

თურქებმა მოაწვეს არგვეთი, დაანგრიეს ციხე-კოშკები. მათი ლაშქრობა აქ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ ამ დროს (1703 წ.) სულთნის კარზე დაწყებული „შფოთის“ გამო თურქთა ჯარი იმერეთიდან გაიწვიეს, ოსმალთა სარასკერმა არზრუმის ფაშამ თავის ქეჰას (მოადგილეს) აბაშიძესთან დაზავება უბრძანა. ქეჰა დაეზავა აბაშიძეს. უკანასკნელმა ქეჰას მოთხოვნით დაანგრია ზორაპნის ციხე (იმდროინდელ ვითარებაში ოსმალეთს მასში თავის მეციხოვნეთა ჩაყენება არ შეეძლო, ხოლო ამ ციხის ისე დატოვება იმერეთის თავდაცვას ხელს შეუწყობდა). ქეჰამ იმერეთის მეფედ ტახტის კანონიერი მემკვიდრე გიორგი ალექსანდრეს ძე დასვა. იგი აბაშიძეს „აშვილა“, მისი „მოურნეობაც“ მას მიანდო. აბაშიძემ მისცა ქეჰას „მძევალი და ქრთამი“ და ოსმალთა ჯარი „უკუიქცა“[155].

---

149 ფ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. Описание..., I, стр. 204—205.

150 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 221.

151 ი ქ ვ ე, გვ. 219.

152 ი ქ ვ ე. იხ. აგრეთვე ვახუშტი. ქორონიკონები, გვ. 252, 1703 წლის ქვეშ.

153 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 219.

154 ი ქ ვ ე.

155 ი ქ ვ ე, გვ. 219—220.

გიორგი აბაშიძემ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით: მისი ბრძანებით იმერლებმა „შეკრეს მთა ფერსათი და მოსვრიდნენ მრავალთა ოსმალთა“: მოკლეს კოლას ფაშა, დაჭრეს ისაყ ახალციხის ფაშა. განადგურებულმა თურქთა ლაშქარმა დატოვა არათუ აღებული „ქრთამი“ — „ურიცხვნი ცხენნი, ჯორნი და აქლემნი კიდებულნი“[156].

ამის შემდეგ იმერეთში ისევ გიორგი აბაშიძე გაბატონდა[157].

ოსმალთა მიერ მეფედ დასმული გიორგი VI აბაშიძის შიშით ~~ექვს~~ წელს ქუთაისის ციხიდან არ გამოსულა[158]. უფრო მეტ ხან დარჩებოდა მეფე ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ, ბოლოს, გიორგი აბაშიძის ბატონობა მოსწყინდათ იმერეთის თავადებს. გადაუდგნენ მას მისი ძმისწულებიც: ზურაბ, სვიმონ, ვახუშტი აბაშიძეები და მეფეს მიემხრნენ. ამაში გარკვეული როლი ითამაშა ქართლის ჯანიშინმა ვახტანგმა, რომლის ძმის ასულ როდამთან იყო დაქორწინებული იმერთა მეფე გიორგი VI. ამ მეფის მხარეზე „გარდმოიბირა“ ვახტანგმა აგრეთვე შოშიტა რაჭის ერისთავი, გრიგოლ კათალიკოსი, გენათელი და სხვები. 1709 წელს მეფემ დაიპყრო გიორგი აბაშიძის საგვარეულო ციხესიმაგრეები: კაცხი და ნავარძეთი[159]. ასეთ ვითარებაში მას იმერეთში დარჩენა აღარ შეეძლო და 1711 წელს იგი ქართლის ჯანიშინს მიენდო. სიცოცხლის ბოლო წლები დამარცხებულმა არგვეთის თავადმა ვახტანგის საფარველს ქვეშ გაატარა. გიორგი გარდაიცვალა თბილისში 1722 წლის 15 ოქტომბერს, „წარმოგზავნეს“ და დაკრძალეს კაცხს, მამა-პაპათა მონასტერში[160].

აბაშიძეთა მძლავრობა იმერეთის სამეფოში გიორგის შემდეგაც გრძელდება. ამ საგვარეულოს უფროსი ახლა მისი ძმისწული ზურაბია. ციხისთავის სახელო და ცუცხვათის ციხეც ახლა მის ხელშია[161] (მასზე წყდება მისი გვარის წევრთა ციხისთავობა).

ზურაბის ძმას სვიმონსაც დიდი თანამდებობა უჭირავს. XVIII

---

156 ვ ა ხ ტ ა ნ გ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ.220.

157 იხ. ი ბ ი ვ ე.

158 ი ბ ი ვ ე, გვ. 220, 222.

159 ი ბ ი ვ ე, გვ. 221—223. იხ. აგრეთვე ვახუშტი. ქრონიკონები, გვ. 252, 1709 წლის ქვეშ.

160 ვ ა ხ ტ ა ნ გ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 223—230. იხ. აგრეთვე მ ი ს ი ვ ე, ქრონიკონები, გვ. 254, 1722 წლის ქვეშ.

161 დოკუმენტები..., I, საბ. №№ 624, 650; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 91; ვ ა ხ ტ ა ნ გ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 230.

საუკუნის პირველ ნახევრის სამ უთარიღო საბუთში იგი ბოქაულთ-უხუცესად იხსენიება[162].

1755 წელს აბაშიძეთა გვარის წევრი ბერი მეფის მოლარეთ-უხუცესადაა დასახელებული[163]. იგივე თუ მეორე ბერი კიდევ 1759 წელს მოურავად ზის[164].

თუ ზურაბ აბაშიძე თავის ბიძასთან ბრძოლაში მეფეს ემხრობოდა, ბიძის დამარცხების შემდეგ თვითონ იწყებს ბრძოლას მეფის წინააღმდეგ, იმ „სამთა მთავართაგან" ერთი სწორედ ზურაბი იყო, რომელიც 1711—1743 წწ. იმერთა მეფის ყოფნა-არყოფნის საკითხს წყვეტდა[165].

ზურაბის ძლიერება უფრო დიდხანს გასტანდა, რომ მას ყმები არ „შემოხარჯოდა". ჯერ კიდევ ადრე, 1712 წლისათვის თავის „წილნი" ყმანი უკვე „სრულიად განეყიდა ტყვედ"[166]. მამულებიდან კიდევ „ზვარესა და ბაბის მეტი აღარა შერჩა რა" და ისიც თავის აზნაურებს ჩამოართვა[167].

შევიწროებული აზნაურებიც თავიანთ სიუზერენს არ ინდობდნენ: მამულებს „უკარგავდნენ", ვასალური ერთგულებით არ ემსახურებოდნენ[168].

გაღარიბებული თავადი ახლა (1717—1720 წწ.) მეზობელ ფეოდალთა ყმა-მამულს წვდა: „მოსწყვიტნა ბანაშვილნი ჩხეიძენი, დაყიდნა დედაწულით", მათი მამული კი მიიტაცა[169]. მაგრამ ამით მან თავისი მდგომარეობა ვერ გამოისწორა. ამასთან ზურაბის მიმართ სახლიკაცთა შორის უკმაყოფილებაც გაჩნდა. ამით ისარგებლა ცენტრალურმა ხელისუფლებამ და მას მისივე ბიძაშვილი ლევანი დაუპირისპირა.[170] ამის შემდეგ ზურაბს იმერეთში აღარ ედგო-

---

162 დოკუმენტები..., I, საბ. №№ 624, 650; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 91.

163 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 6.

164 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 5.

165 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 223—225.

„სამთა მთავართა" ქვეშ ვახუშტი გულისხმობს დადიანს, აბაშიძესა და რაჭის ერისთავს. იხ. იქვე, გვ. 227—229.

166 ი ქ ვ ე, გვ. 224.

167 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 78.

168 იხ. ი ქ ვ ე.

169 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 228.

170 ი ქ ვ ე, გვ. 231—232.

შებოდა. 1741—1743 წწ. იგი ქართლს გადაიხვეწა[171]. სახლის უფროსად კი აბაშიძეებმა ლევანი დასვეს.

ლევანი გიორგის შვილი იყო. მისი მამის იმერეთიდან გაქცევის შემდეგ ერთ ხანს იგი შეეიწროებულ მდგომარეობაშია[172] და ზურაბი წინაურდება. მაგრამ როცა ალექსანდრე V-ემ ლევანის ასული შეირთო და მეფესთან ბრძოლაში ზურაბი დამარცხდა[173], ლევანი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. 1752 წელს, როდესაც სოლომონ I გამეფდა, იმერეთში პირველი კაცი ლევანი იყო და მასაც ისეთივე პრეტენზიები ჰქონდა, როგორც თავის დროზე მის მამას გიორგი აბაშიძეს.

ცნობილია, რომ სოლომონის გამეფებისთანავე მის წინააღმდეგ თავადური შეთქმულება მოხდა და ახალგაზრდა მეფე ტახტიდან გადმოაგდეს. შეთქმულებაში სოლომონის პაპა ლევან აბაშიძეც ერია[174]. 1753 წ. სოლომონმა ტახტი რომ დაიბრუნა, ამ შეთქმულების მონაწილე ლევან აბაშიძეს მისი სამკვიდრო სოფელი კაცხი ჩამოართვა ციხესიმაგრითა და მონასტრით[175]. მეფის მკაცრმა ღონისძიებამ აბაშიძის მიმართ უკანასკნელის უკმაყოფილება უფრო მეტად გაამწვავა. პოლიტიკური დაშლილობისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ მებრძოლი მეფე არგვეთის ოიდი თავადისათვის ისედაც მიუღებელი იყო. ასევე მიუღებელი იყო იგი აბაშიძის მოკავშირე რაჭის ერისთავისთვისაც. სოლომონის ღონისძიებები ოსმალთა ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა. ამან მეფის შინაგანი და გარეშე მტრები გააერთიანა. ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავი ახალციხის ფაშას დაუკავშირდნენ[176]. მეფას „წასახდენათ“ იმერეთში ოსმალთა ჯარი მოიყვანეს[177]. მთელი ზემო იმერეთი

---

171 ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 235—236.

172 ი ქ ვ ე, გვ. 231.

173 ი ქ ვ ე, გვ. 235 — 236.

174 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563.

175 კაცხისა და მისი მიდამოების ჩამორთმევა უნდა ჰქონდეს მხედველობაში ნიკო დადიანს, როცა ამბობს: სოლომონ პირველმა „წინააღმდეგობისათვის თვისისა დაამდაბლა სახლი თავადთა აბაშიძეთაო“ (იხ. მისი, ქართველთ ცხოერება, გვ. 178). ეს „დამდაბლება“ ხრესილის ომზე ადრე ხდება (იხ. იქვე).

კაცხი რომ სოლომონ I-ის დროს ჩამოერთვათ აბაშიძეებს, ამას შ. ბურჯანაძეც აღნიშნავს (იხ. მისი, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.), თბილისის სახ. უნტ-ის შრომები, XLI, 1950, გვ. 75).

176 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოერება, გვ. 178; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1563; პაპუნა ორბელიანი, „ამბავი ქართლისა“, ქართლის ცხოერება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 473.

177 ი ქ ვ ე.

ლევანმა „მიიბირა“. მეფე მტერს ვერ გაუმკლავდებოდა, რომ ოტია დადიანს მისთვის არ ეშველა[178]. ომი მოხდა ხრესილის ველზე 1757 წელს[179]. გამარჯვება სოლომონს დარჩა. ოსმალთა ლაშქრის დიდი ნაწილი დაიხოცა ან დატყვევდა. იგივე ბედი ეწვიათ ჯარის სარდლებსაც. ლევან აბაშიძე ამ ომში დაიღუპა, მისი სახლიკაცი გედევანი დაატყვევეს, რაჭის ერისთავმა, როგორც ზემოთ ითქვა, თავს გაქცევით უშველა[180].

რადგან აბაშიძეთა გვარის ძლიერება ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას აბრკოლებდა, სოლომონმა მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები მიიღო: ჩამოართვა აბაშიძეებს ლევანის წილი მამული და თავის სახასო საკუთრებად გამოაცხადა. ეს იყო: სვერ-შორაპანი მათი ციხეებით; ლიჩი, ღოდორა, შალოური, წიფლავაკე, სანახშირე, შროშა, ჭალატყე, საქარა, დილიკაური, რუფოთი, კვახჭირი და კიდევ რასაც ლევანი და მისი მამა ფლობდნენ არგვეთს, ლომსიათხევს, ოკრიბასა და ვაკეში[181].

ლევანის სახლიკაცები მეფემ ფიცით შემოიმტკიცა და ლევანისაგან ჩამორთმეული ადგილ-მამული, კაცს (რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უფრო ადრე — 1753 წელს სამეფოდ ჩაირიცხა), შროშასა და სვერ-შორაპანს გარდა, მათ დაუბრუნა[182].

1768 წელს თურქეთს გაიქცა ლევანის ძე ქაიხოსრო[183], რომე-

---

178 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

179 ე. თაყაიშვილი. საისტორიო მასალანი, ძველი საქართველო, II, ვანუ. III, გვ. 72; პაპუნა ორბელიანი. „ამბავი ქართლისა“, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 573.

ხრესილის ომის თარიღის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 96—97, შენიშვნა 161.

180 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 178; ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 72; მეფე სოლომონ I-ის და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII ს. მეორე ნახევარში. იტალიელი მწერლის მონსინიორ ლეონის ჩანაწერების ნაწყვეტი, თარგმნილი ბ. გიორგაძის მიერ. გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959 წ. 14 აგვისტო, № 95.

181 Акты, т. II, стр. 372.

ტახტიდან ჩამოგდებულმა დავით გიორგის ძემ 1790 წელს ზემოთ ჩამოთვლილი ადგილ-მამული და აგრეთვე სოფელი კაცხი ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძეს უწყალობა, როგორც მისი მამა-პაპათა სამკვიდრო სამფლობელო (იხ. იქვე). აქედან ცხადია, რომ სოლომონ პირველმა სწორედ ეს მამულები ჩამოართვა ლევან აბაშიძეს.

182 ქუთ. მუზ. საბ. № 1250; ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედ., მეორე შესწორებულ-შევსებული გამოცემა, თბილისი, 1946, გვ. 390.

183 1766 წ. ახლო ხანს (1768 წ. ივნისზე არა უგვიანეს) დაწერილ ერთ შეწირულების სიგელში სოლომონ მეფე იმოწმებს: „აბაშიძე ბიძა ჩუმი ქაიხსრო“

ლიც აქტიური მონაწილე იყო სოლომონის წინააღმდეგ მომხდარი 1765—1768 წლების თავადური აშლილობისა. უკანასკნელ წელს ქაიხოსრო ორჯერ შეება სოლომონს ოსმალ-ლეკთა ჯარით, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა. დამარცხდა იგი 1772 წელსაც მისი მოკავშირე ლეკებით ჩხერს სოლომონთან ბრძოლაში და ისევ ახალციხის საფაშოს მიაშურა[184]. ამ ბრძოლაში ქაიხოსროსთან ერთად იყო რაჭის ერისთავის შვილი მეთოდეც (იხ. ზემოთ, რაჭის ერისთავთა სათავადო).

ასე. მოუღო ბოლო სოლომონ პირველმა აბაშიძეთა გვარის მძლავრობას იმერეთში.

დამდაბლებული აბაშიძეები ახლა ცენტრალური ხელისუფლებისათვის საშიში აღარ იყვნენ და მათი ჩახლიკაკი დავითი მეფემ წამოსწია კიდეც სამოხელეო ასპარეზზე: 1766—1770 წწ. მას სახლთუხუცესობა უბოძა[185]. სასულიერო სფეროშიც სოლომონმა დავითის ძმა მაქსიმე დააწინაურა. ხრესილის ველზე ოსმალთა დამარცხების შემდეგ მეფემ 1759 წ. აღადგინა რა მათ მიერ მოშლილი

(ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 10), ე. ი. ქაიხოსრო ამ დროს ჯერ კიდევ იმერეთშია. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, რომ 1768 წელს ქაიხოსრო ებრძოდა სოლომონს და დამარცხდა (იხ. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 55). ამის შემდეგ, ცხადია, მეფის მოღალატე თავადი თავის საშშობლოში ვერ დარჩებოდა. ამგვარად, იმერეთიდან ქაიხოსროს გაქცევა 1768 წლის პირველ ნახევარშია საგულისხმო.

სოლომონთან ქაიხოსრო აბაშიძის მტრობისა და ახალციხის საფაშოში მისი გადასვლის შესახებ იხ. „მეფე სოლომონ I-ის და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII ს. მეორე ნახევარში". იტალიელი მწერლის მონსინიორე ლეონის ჩანაწერების ნაწყვეტი, თარგმნილი ბ. გიორგაძის მიერ. გაზ. „კომუნარი" (ამბროლაურის), 1959 წ., 16 აგვისტო, № 96.

184 დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი მოთხრობა, გვ. 55; მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა, 1744—1840 წწ. გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 20; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, გვ. 387; ქრონიკები, III, გვ. 643.

185 დავითზე ადრე ეს თანამდებობა აზნაურ პაატა მესხს ეპირა. ამ თანამდებობით უკანასკნელად ვხვდებით მას 1766 წელს (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 120). 1770 წელს კი სახლთუხუცესობა დავით აბაშიძეს აქვს (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 6). ეს სახელო მას, ცხადია, აღნიშნულ წლებს შუა მიუღია.

ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრა, ქუთათელად აქ მაქსიმე აბაშიძე დასვა[186].

მაქსიმე სამეფო კარზე ფრიად მიღებული პირი ჩანს. 1768 წ. სოლომონი ელჩად გზავნის მას რუსთ ხელმწიფესთან ოსმალთა წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად და თავის ზრახვებსაც მას ანდობს[187].

ელჩობიდან დაბრუნების შემდეგ (1769 წ.)[188] მაქსიმემ უფრო მეტ წარმატებას მიაღწია. 1776 წ. 12 ივნისს იგი კათალიკოსად აკურთხეს. ეს ხარისხი ჰქონდა მას სიკვდილამდე (1795 წლის 30 მაისი)[189].

მაგრამ აბაშიძეები მაინც არ იყვნენ კმაყოფილნი, რადგან ხრესილის ომის შემდეგ სამეფო კარზე სოლომონის „მისანდო" წულუკიძეები პირველობდნენ. ეს უკმაყოფილება უფრო მეტად გაიზარდა, როცა სოლომონმა ქუთაისის მოურავის, სარდლისა და ბოქაულთუხუცესის თანამდებობები ბერი-წულუკიძის ხელში გააერთიანა და მეფის „კარის გამგე", „პირველი ვაზირი" გახადა[190]. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ მიმართული სოლომონის ეს ღონისძიება თავის თავად სახლთუხუცესის ხელის დაკნინება იყო[191]. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ სახლთუხუცესმა დავით აბაშიძემ, „უგულვებელყო" „წყალობა-სიყვარული" მეფისა და „განდგა"[192]. აბაშიძემ, როგორც ჩანს, ადრევე დაიწყო მომხრეების შემოკრება. ამით უნდა იყოს გამოწვეული მისი ხშირი სტუმრობა ახალციხის საფაშოში: 1772 წ. 25 ივნისს სახლთუხუცესი აქ იმყოფება. 1776 წ. 18 მაისშიც მას აქვე ვხედავთ[193].

---

186 ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 4—5.

187 Грамоты..., I, стр. 18—26.

188 მაქსიმე ქუთათელი პეტერბურგიდან ბრუნდება 1769 წ. 26 მაისს. სექტემბერში იგი უკვე იმერეთშია. იხ. იქვე, გვ. 50, 55, 69.

189 ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს.-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 137—139.

190 სცია, ფ. 227(2)., საბ. №№ 63, 68; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 75, 81, 83; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1790.

191 შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტ., მოამბე, III, 1961, გვ. 129—130.

192 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოც. ავთ. იოსელიანისა, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 28, 1950, გვ. 87; ქუთ. მუზ. საბ. № 873.

193 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 17, 30 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური).

დავითის ინიციატივით მოეწყო 1778 წელს სოლომონის წინააღმდეგ თავადური შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ: თამაზ მესხი, მერაბ ნიჟარაძე, ევგენი აბაშიძე (ქართველი), სვიმონ მიქელაძე, ბეჟან, ვახუშტი, გიორგი, დოსითეოს და ქველი წერეთლები. შეთქმულებაში გარეული იყვნენ აგრეთვე მეფის მემკვიდრე ალექსანდრე და ბიძაშვილი დავით გიორგის ძე[194].

შეთქმულების მიზანი იყო სოლომონის გადაყენება და მისი მემკვიდრის ალექსანდრეს გამეფება.

აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ლომსიათხევი, ჩხერის ციხე და მთელი ზემო იმერეთი, საწერეთლოს ერთი ნაწილის გამოკლებით[195]. მაგრამ სოლომონმა მალე ჩააქრო აჯანყება და მისი მონაწილენიც დასაჯა. დავით აბაშიძე სახლთუხუცესობიდან გადააყენა, ყმა-მამული ჩამოართვა და იმერეთიდან გააძევა. დამარცხებულმა თავადმა ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი. მისი ბედი ეწვია მის მომხრე სახლიკაცებსაც[196].

აჯანყებას თანაუგრძნობდა, კერძოდ, დავითის თანამოგვარე ზაალი, რომელიც შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, ქართლს „გადავარდნილ" დავით ბატონიშვილს ახლდა ემიგრაციაში[197].

ბერი წულუკიძის მეტისმეტი დაწინაურების, მის ასულთან ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო ქორწინების თუ კიდევ სხვა მიზეზის გამო, სოლომონის მეფობის ბოლო წლებში უთანხმოება

---

194 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოც. ავთ. იოსელიანისა, გვ. 87; მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა..., გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 26—27; სცია, ფ. 227(2), საბ. № 57, 84; ქუთ. მუზ. საბ. №№ 277, 361, 873; შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე. იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერ. ინსტ., მოამბე, III, 1961, გვ. 132.

195 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოც. ავთ. იოსელიანისა, გვ. 87.

196 ქუთ. მუზ. საბ. №№ 327, 873, 1361.

197 ქუთ. მუზ. საბ. № 277, 361; Н. Дубровин. История Войны и владычества русских на Кавказе, т. II, СПб, 1886, стр. 59—60 (სქოლიო).

გაჩნდა მეფესა და მაქსიმე კათალიკოსს შორისაც. უკანასკნელმა დატოვა საკათალიკოსო და ქართლს გადაიხვეწა[198]. იგი მხოლოდ

---

198 Н. Дубровин. История войны..., II, стр. 63; П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. II, СПб, 1869, стр. 137: მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილს დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა... გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 26—27; ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1941, გვ. 45; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 137—138; შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ., საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 84—85.

მაქსიმე კათალიკოსი ქართლში გადავიდა 1781 წ. 7 თებერვლის შემდეგ აღნიშნულ რიცხვში ის ჯერ კიდევ იმერეთშია (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 73). ამის შესახებ იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 137 — 138; შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 84, სქოლიო 21.

მაქსიმე კათალიკოსის სოლომონთან უთანხმოებისა და ქართლში გადასვლის მიზეზად ნ. დუბროვინი მეფის ძის ალექსანდრეს უკანონო ქორწინებას თვლის (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 63). სოლომონმა, მართალია, გაპყარა ბატონიშვილი ცოლს — ქართლელ ევგენი აბაშიძის ქალს და მის სიცოცხლეში ბერი წულუკიძის ასულ დარეჯანზე დააქორწინა (თვით სოლომონის მესამე ცოლი გულქანი კიდევ ბერი წულუკიძის და იყო). აბაშიძის ქალი მეფემ იმიტომ დაიწუნა, რომ ამ ქალის მამა 1778 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა (იხ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა... გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 26—27; იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოც. ავთ. იოსელიანისა, გვ. 87).

მაგრამ ისმის კითხვა: თუ მაქსიმე კათალიკოსის იმერეთიდან წასვლის მიზეზი უფლისწულის უკანონო ქორწინება იყო, რატომ არ წავიდა კათალიკოსი აქედან ალექსანდრეს ქორწინების თანავე (1778 წელს?) ან ყოველ შემთხვევაში 1780 წლის ოქტომბრამდე? (ამის შემდეგ ალექსანდრეს ქორწინება ვერ მოხდებოდა, რადგან იგი აღნიშნულ რიცხვში გარდაიცვალა (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, თბილისი, 1957, გვ. 146, მინაწერი 3). მაქსიმე კი, როგორც ზემოთ ითქვა, იმერეთში იმყოფებოდა 1781 წლის თებერვალშიც.

საქმე იმაშია, რომ ბატონიშვილის ქორწინების გამო მეფესა და კათალიკოსს შორის დაწყებულ უთანხმოებას უკანასკნელის ქართლს გადახვეწა მაშინათვე არ მოყოლია. ეს უთანხმოება უფრო მეტად გაამწვავეს ამ ქორწინების შემდეგ მომხდარმა ამბებმა: ცნობილია, რომ „უჯეროისა ქორწინებისათვის“ ეკლესიამ უფლისწული „კრულ ჰყო“, რის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა. სოლომონს უნდოდა ბატონიშვილი შესაფერი პატივით ეკლესიის შიგნით დაეკრძალა, მაგრამ „არა აუფლ“ მეფეს საეკლესიო კრებამ ნაკურთხი მიწა, რადგან ალექსანდრე შერეულებული იყო. მხოლოდ „ერთისა მღვდელისა წინ გაძღოლითა დაფლეს იგი გარეგან ეკლესიისა“ გელათს (მასალები საქართველოს ისტორიისა-

ძას შემდეგ დაბრუნდა იმერეთში, როცა სოლომონი გარდაიცვალა[199].

იაქსიმე თავიდანვე დავით გიორგის ძის მომხრე ჩანს. აღმოსავლეთ საქართველოში შეხიზნული აქ ის მის სასარგებლოდ მეცადინეობს, ბურნაშევს მის მომხრედ განაწყობს.

აშიტომაა, რომ უკანასკნელს 1784 წ. ივნისში სწორედ მაქსიმე კათოლიკოსი მიყავს იმერეთში სოლომონის სიკვდილის შემდეგ იქ გამეფებულ დავით გიორგის ძის ტახტზე მოსამგრებლად[200].

აღნიშნული წლის 21 ივნისისათვის ახალ მეფესა და იმერეთის თავადებს შორის მშვიდობიანობაა დამყარებული. ისინი აძლევენ ერთმანეთს საფიცრის სიგელებს მაქსიმე კათალიკოსისა და ბურნაშევის თავდებობით[201].

მაქსიმეს საქმიანობით კმაყოფილმა დავით მეფემ იგი იმერეთში ჩამოსვლისთანავე აღადგინა კათალიკოსად[202]. მაგრამ კათალიკოსი იმერეთში დიდხანს არ დარჩენილა. 1784 წელსვე, ზურაბ წერეთელთან და დავით კვინიხიძესთან ერთად, მეფემ ელჩად წა-

---

თვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა..., გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 27; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 179). ლიხთიმერეთის ეკლესიის საეპემპაყრობელი ამ დროს მაქსიმე იყო, რომელმაც „არა უსმინა" მეფის „ვედრებას" (იხ. დასახ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 27). ამან სოლომონის უკმაყოფილება კათალიკოსის მიმართ უთუოდ გაზარდა, რის გამოც უკანასკნელმა გადაწყვიტა გაშორებოდა იმერეთს. აქ დარჩენა ახლა მას სახიფათოდ ეჩვენებოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ მაქსიმე ქართლს გადაიხვეწა სწორედ ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ. ის გარემოება, რომ ეს მოხდა ბატონიშვილის სიკვდილიდან სამი თვის შემდეგ და არა დასაფლავების წინ ან მომდევნო დღეებში, იმით უნდა აიხსნას, რომ მაქსიმემ ქართლში ცხოვრების შესახებ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის თანხმობა, ალბათ, უფლისწულის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ მიიღო.

ამგვარად, სწორია ძირითადად ცნობა, რომელიც სოლომონ მეფესა და მაქსიმე კათალიკოსს შორის უთანხმოების მიზეზად ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო ქორწინებას ასახელებს (იხ. ამის შესახებ შ. ბურჯანაძის დასახ. ნაშრ., გვ. 84, სქოლიო 21). შეიძლება ეს ცნობა თვით მაქსიმესაგან მომდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ეეგენი აბაშიძის ქალთანაც უკანონოდ დაქორწინებულა — პირველი ცოლის, ერეკლე მეორის ძის გიორგი ბატონიშვილის ასულის სიცოცხლეში (იხ. იქვე; ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური), გვ. 30, 32).

199 ია ს. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 45, 48—49.

200 იქვე; П. Бутков. Материалы..., II, стр. 137; Н. Дубровин. История войны..., II, стр. 63.

201 ია ს. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 45, 46, 49.

202 იქვე, გვ. 49; ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 137.

რავლინა ის ეკატერინე II-ის კარზე[203]. ეს იყო მაქსიმეს მეორე ელჩობა რუსეთში[204].

დავით გიორგის ძის მიერ რუსეთთან კავშირის ძიებით უკმაყოფილო ოსმალეთის მხარდაჭერით, სოლომონისაგან იმერეთიდან გაძევებულმა ქაიხოსრო ლევანის ძე, აბაშიძემ, 1784 წელს სცადა იმერეთის ტახტის მიტაცება. ოსმალთა ექვსათასიანი ჯარით იგი გურიის სამთავროში შემოვიდა ამ წლის 30 ოქტომბერს. აქედან იმერეთისაკენ უნდა წამოსულიყო. მაგრამ მეფის მიერ დროულად მიღებულმა ზომებმა[205] ქაიხოსროს გეგმა ჩაშალეს. მისი ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. თურქებმა ფოთს მიაშურეს, ქაიხოსრო „ი აფხაზეთს თუ ტრაპიზონს გაიქცა[206].

---

203 ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 46—49; П. Бутков. Материалы..., II, стр. 137—138; III, СПб., 1869, стр. 185; Грамоты..., т. II, вып. 2, стр. 51.

დავით გიორგის ძე ეკატერინე II-ეს სწერდა: „სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე ავედი და გთხოვთ მიმიღოთ მფარველობაში, როგორც მიღებულია ერეკლე მეფეო“ (ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 46).

204 ამ ელჩობიდან მაქსიმე საქართველოში არ დაბრუნებულა. წერეთელმა და კვინიხიძემ 1786 წელს იგი ასტრახანს დატოვეს. გრიგოლ პოტიომკინისაგან პასუხის მოლოდინში (ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 89). აქვე მოუსწრო მაქსიმეს დავით მეფის ტახტიდან ჩამოგდებამ. ასეთ ვითარებაში მისი მოძმრე კათალიკოსის იმერეთში დაბრუნება სახიფათო ჩანდა და იგი ასტრახანში დარჩა. 1792 წელს მაქსიმე ისევ ასტრახანს იყო (იხ. საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 10). აქედან იგი კიევში წავიდა სალოცავად და, როგორც ზემოთ ითქვა, იქვე გარდაიცვალა 1795 წლის 30 მაისს. დასაფლავებულია კიევის მღვიმის მონასტერში (იხ. П. Бутков. Материалы..., II, стр. 137—138, სქოლიო; Дм. Бакрадзе. Археологическое путешествие..., стр. 116, 312, 359; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 138).

205 მეფემ ოსმალთ უკან დასახევი გზა მოუჭრა და შეტევისათვის მოემზადა. იხ. Н. Дубровин. История войны..., II, стр. 73—74.

206 მოსკოვის АВПР МИД СССР, ф. „Сношения России с Турцией“, д. № 639, л. 23; д. 641, л. 25 (ესარგებლობთ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების არქივში დაცული პირით: საქმე № 12, გვ. 73, 101); Ф. „Сношения России с Грузией“, д. № 18, лл. 83—84, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცული პირი, папка № 6, стр. 123—125); П. Бутков. Материалы..., III, стр. 185; Н. Дубровин. История войны..., II, стр. 66—67, 73—74; ხოჯავანათ იოანეს დღიური, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Н, № 2782, გვ. 42, 1784 წ. 26 აგვისტოს ქვეშ; ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საანგარიშო მოხსენება მოსკოვის არქივებში 1946 წლის სამეცნიერო მივლინების შესახებ, „მიმომხილველი“ I, 1949, გვ. 344; შ. ბ ურ ჯ ა-

ქაიხოსროს ავანტიურას აბაშიძეთა საგვარეულოს მიმართ მეფის კეთილგანწყობილების შეცვლა არ მოყოლია. პირიქით, დავით გიორგის ძის მეფობაში ერთხელ კიდევ მოღონიერდა სოლომონ პირველის მიერ ორგზის დამხობილი აბაშიძეთა სახლი. დიდ წარმატებას მიაღწია, კერძოდ, ამ სახლის წარმომადგენელმა ზაალმა. მეფემ „მარად ერთგულ" თავის თავადს სახლთუხუცესობა და მრავალი ყმა-მამული უბოძა არგვეთს, ზორეთს, რუფოთსა და ტელეფას[207]. მაგრამ ამით დავითმა სამუდამოდ გადაიმტერა წერეთლები: საქმე იმაში იყო, რომ სოლომონ პირველმა თავისი ორგული სახლთუხუცესი დავით აბაშიძე იმერეთიდან როცა განდევნა, მისი თანამდებობა (სახლთუხუცესობა) 1778 წელს წერეთლიანთ სახლის წევრს ზურაბს მისცა[208]. დავითმა კი ზურაბის ელჩობაში ყოფნის დროს მისი სახელო, როგორც ითქვა, ზაალ აბაშიძეს უბოძა[209]. ამავე დროს მეფემ წულუკიძეებიც დაამდაბლა. მათ ადგილზე სო-

---

ნ ა ძ ე. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ., საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 86—87.

207 ქუთ. მუზ. საბ. №№ 227, 361.

208 ზურაბმა სახლთუხუცესობა მიიღო 1778 წ. აგვისტოს მეორე ნახევარში. აღნიშნული წლის აგვისტოს პირველ ნახევარში, როცა სოლომონ პირველის წინააღმდეგ თავადების აჯანყება მოხდა, ეს თანამდებობა დავით აბაშიძეს ჰქონდა (იხ. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოც. ავთ. იოსელიანისა, გვ. 87). ამ წლის 28 აგვისტოს კი სახლთუხუცესად ზურაბ წერეთელს ვხედავთ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1193).

209 ზაალ აბაშიძე სახლთუხუცესის თანამდებობით პირველად ჩანს დავით მეფის კარზე 1786 წ. 10 აგვისტოს (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 8). ადრე, 1785 წ. 5 აგვისტოს, მას ამ თანამდებობის გარეშე ვხედავთ (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 85). თუ ეს შემთხვევითი გარემოებით არ აიხსნება, გამოდის, რომ ზაალს სახლთუხუცესობა მიუღია 1785 წ. 5 აგვისტოსა და 1786 წ. 10 აგვისტოს შუა ხანში. ამ სახელოთი გვხდება იგი 1788 წლის 2 სექტემბერს (იხ. ქრონიკები, III, გვ. 400). ეს თანამდებობა ჰქონდა მას უთუოდ სოლომონ II-ის გამეფებამდე (1789 წ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზაალ აბაშიძე დავით გიორგის ძის სახლთუხუცესი იყო მის უფლისწულობაშიც. (დავითი, როგორც ცნობილია, 1784 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში გამეფდა. ხოლო ზაალ მის სახლთუხუცესად იხსენიება 1784 წ. 16 თებერვალს (დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 82).

ლომონ პირველის სიძე ქსნის ერისთავის ძე ელიზბარი[210] წამოსწია[211].

წერეთლებსა და წულუკიძეებს ისედაც არ მოსწონდათ რუსეთთან კავშირისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიმართული დავით გიორგის ძის პოლიტიკა და თავდაპირველად მისი კანდიდატურის მომხრეებმა. მალე დაიწყეს მისი მეტოქის დავით არჩილის ძის გამეფებისათვის ბრძოლა. 1789 წ. დავით გიორგის ძესთან ერთად დამარცხდნენ მისი ერთგული აბაშიძეები[212] და მათ ნაოხარზე წერეთლები გაძლიერდნენ...

ახალციხეში ლტოლვილი დავითი იქ თავის ყოფილ მეტოქეს ქაიხოსრო აბაშიძეს დაუახლოვდა და მისგან ერთგულების პირობა მიიღო. სამაგიეროდ, დავითმა, ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში დახმარების საწინდრად, 1790 წელს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქაიხოსროს მისცა სოლომონ პირველისაგან ჩამორთმეული მამა-პაპათა სამკვიდრო ადგილ-მამულის წყალობის სიგელი[213]. მაგრამ გადაყენებული მეფის სიგელი ძალაში არ შესულა.

აბაშიძე თავგამოდებით ცდილობდა დავით გიორგის ძის გამეფებას. 1794 წ. 27 სექტემბერს ქაიხოსრო ლეკთა ჯარით „იმერეთზე წამოვიდა", რომ დავითი ტახტზე დაესვა; მაგრამ სოლომონ მეორემ დაამარცხა მოწინააღმდეგეები: ამავე წლის 30 ოქტომბერს, როგორც ერთი ქრონიკა გვაუწყებს, „დავით მეფისა და მისთანათა მოშლა ითქვა"[214]. აღნიშნული წლის 11 დეკემბერს დამარცხებული დავითი და მისი მიმდგომნი ისევ ახალციხეში მივიდნენ, ხოლო 1795 წლის 11 იანვარს ყოფილი მეფე აქვე გარდაიცვალა ყვავილით[215]. ქაიხოსრო აბაშიძე კი თურქეთში დარჩა (იხ. ქვემოთ).

---

210 სოლომონ I-ის ასულის მარიამის ქმარი იყო (იხ. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 183; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, საბ. № 2652; Акты, т. VI, ч. I, стр. 602).

211 ბოქაულთუხუცესობა და ქუთაისის მოურავობა მეფემ ელიზბარს მისცა. მეტიც: სამეფოში „ყველაფერს განაგებს ელიზბარ ერისთავი". იხ. საქ. სიძვ., III, საბ. № 270; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 87; იას. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 52.

212 ნიკო დადიანი, ქართველთა ცხოვრება, გვ. 185. იხ. აგრეთვე გვ. 187.

213 Акты, т. II, стр. 372.

214 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 2782, გვ. 56 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური).

215 იხ. იქვე, გვ. 57.

1802 წელს სოლომონ მეორემ თავის მომხრე დავითსა და გიორგი აბაშიძეებს „ხელახლა“ უბოძა მათი „სამკვიდრო სასაფლაო კაცხის ეკლესია“ მასში შემავალი ყმა-მამულით, რომელიც სოლომონ პირველისაგან ჩამოერთვათ და „სხუანიც რომელნიმე ზემოთ და რომელნიმე ქვემოთ“[216]. ამავე მეფის დროს მათ თუ მათ სახლიკაცებს ჰქონდათ მეჯინიბეთუხუცესისა და საქარის მოურავის სახელოებიც[217]. მაგრამ ეს იყო მხოლოდ „რომელნიმე“ ანუ ნაწილი იმ ყმა-მამულისა და სახელოებისა, რომელსაც აბაშიძეები თავიანთ ძლიერების ხანში ფლობდნენ. ამ „რომელნიმეზე“ დამყარებული მათი გვარის გავლენაც, ცხადია, ახლა მეტად უმნიშვნელო იყო იმერეთის სამეფოში. აქ ახლა ყმა-მამულ გამრავლებული წერეთლები პირველობდნენ.

ბოლოს აბაშიძეების ამ დამცრობილმა ყმა-მამულმაც იკლო: სახაზინოდ გამოცხადდა სოლომონ II-ის ერთგულისა და მასთან ერთად 1810 წელს თურქეთს გადახვეწილი დავით აბაშიძის მამული[218].

სოლომონისათვის თავდადებული ქაიხოსრო, ხახულა და დიმიტრი აბაშიძეები კი რუსთა მხედრობასთან ბრძოლაში დაიღუპნენ ამავე წელს (იხ. ქვემოთ).

იმერეთში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით აბაშიძეთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ აბაშიძეებმა დიდი როლი ითამაშეს 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყებაში. ამ აჯანყების მეთაური იყო ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძე (იხ. ქვემოთ). მასში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ: ნიკოლოზ (როსტომის ძე

---

216 ქუთ. მუზ. საბ. № 102. იხ. აგრეთვე ზემოთ.

იყო ერთი თავადი გიორგი აბაშიძე, რომელიც ფარულად რუს მოხელეებთან იყო დაკავშირებული და ციციანოვის საიდუმლო დავალებათა მიხედვით 1803 წელს ცნობებს აწვდიდა მას სოლომონ II-ის განწყობილებისა და სხვათა შესახებ (იხ. Акты, т. II, стр. 345), მაგრამ ის სხვა გიორგი უნდა იყოს და არა ზემოხსენებული გიორგი.

217 П. Гнилосаров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, Кавказский Календарь, 1859, стр. 431—432. შეიძლება სოლომონ მეორისაგან მიიღო გიორგი აბაშიძემ აგრეთვე მდიანბეგის სახელო, რომლითაც მას 1815 წელს ეხვეოდა (იხ. ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 25, გვ. 191).

218 სცია, ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 23—24.

ეს დავითი აბაშიძეთა იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელსაც გაბუაშვილს ან ღაბუაშვილს ეძახდნენ. იხ. ამაზე ქვემოთ.

ფინეზიშვილი), დავით, გიორგი, ივანე (დავითის ძე), ნიკოლოზ (ამილღაბარიშვილი), დავით (ამილღაბარიშვილი), ლევან, ზურაბ, ქაიხოსრო (ბესიკის ძე) და ქაიხოსრო (ამილღაბარიშვილი) აბაშიძეები[219].

*

* *

აბაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები, როგორც ითქვა, პირველად XV ს. მეორე ნახევრიდან გვხვდებიან. 1488 წ. იხსენიებიან თაყა და აბაშ აბაშიძეები (იხ. ზემოთ). სახლიკაცობის გარდა რა ნათესაობა იყო მათ შორის, ცნობილი არ არის. თაყას ხსენება აღნიშნულ წელს წყდება. აბაშის მოღვაწეობა კი XVI საუკუნეშიც გადადის. 1502 წ. იგი სოფელ ჭალაში აშენებს ეკლესიას (იხ. ზემოთ).

აბაშის თანამეცხედრეა ჩიჯავაძის ასული კეკლოცი, რომელიც ხსენებულ წლისათვის უკვე გარდაცვლილია. აბაშის ძმებია: ლომინი (რომლის მეუღლეა ვინმე გულნარა), იანქო და შერმაზანი (იხ. ზემოთ).

ჰყავდათ თუ არა აბაშსა და მის ძმებს მემკვიდრეები, წყაროებიდან არ ჩანს.

XVI ს. ვხედავთ აბაშიძეთა საგვარეულოს სხვა წევრებსაც: მელქისედეკ გელათის წინამძღვარს (1519 წ.), მალაქია აფხაზთა კათალიკოსს (1529 წ.), აბულახსარ ამირეჯიბს (1515—1535 წწ.), გიორგი მდივან-მწიგნობარს (1534—1545 წწ.), ვახუშტის (1550—1570 წწ.), გედეონს (1563 წ. ახლო ხანს)[220], ევსტრატის მისი მეუღლით ნარიობით[221].

მომდევნო საუკუნის დამდეგს ჩანან პაატა და ლევან აბაში-

---

219 Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг., გვ. 84—87, 89, 115, 139, 141, 142, 148, 157, 165, 166.

ამ აჯანყების დროს რუსეთის მთავრობის მომხრეთა შორის ჩანს თავადი ბესიკა აბაშიძე. იხ. იქვე, გვ. 148, 151.

220 იხ. ზემოთ.

221 Е. Такайшвили. Археологическия путешествия, разыскания и заметки, Сб. материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 44, Тифлис, 1915, стр. 15.

XVI ან XVII საუკუნის მოღვაწე ჩანს აგრეთვე როსტევან აბაშიძე, რომელიც თავის თანამეცხედრე ასმადასთან ერთად იხსენიება ობჩის ეკლესიის წარწერაში (იხ. ს. კაკაბაძე, წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთ ეპიგრაფიკულ მასალის შესახებ, საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 109—110).

ძეები. პირველი მათგანი — 1604 წელს[222], მეორე — 1616 წ.[223].

ცოტა უფრო გვიან, 1626 წელს, გვხვდება ამილღაბარ აბაშიძე, აღნიშნულ წელს იგი „ზემო-მხარის“ ლაშქრით გიორგი საკაძეს ეხმარება ბაზალეთის ომში (იხ. ზემოთ). ეს ამილღაბარ და ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნში მოხსენიებული ამილღაბარ აბაშიძე[224] ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. ამილღაბარის ხსენება ამ წლის შემდეგ წყდება.

1774, 1786 წლებშიც ჩანს ერთი ამილღაბარ აბაშიძე[225]. მაგრამ მათ შორის რამე ნათესაური კავშირის დადგენა არ ხერხდება. ამ უკანასკნელი ამილღაბარის შთამომავალი უნდა იყოს ნიკოლოზი, რომელსაც ვხედავთ 1819 წელს და ამილღაბარიშვილ-აბაშიძეს ეძახიან[226].

აღსანიშნავია, რომ პაატა და ლევანი ძალიან გავრცელებული სახელებია აბაშიძეთა საგვარეულოში. XVII ს. ოთხ პაატას ვხვდებით ამ გვარში.

მათგან I პაატაა ის, რომელიც დასახელებულია გიორგი იმერთა მეფის 1604, 1619 წლების სიგელებში[227]. როსტომ ქართლის მეფის 1638 წლის წყალობის წიგნში მოხსენებული პაატაც, რომელმაც „ღალატად“ მოაკვლევინა თავისი ძმა ღონენა (იხ. ზემოთ), ვფიქრობთ, პაატა პირველია. ამ პაატას თანამეცხედრე უნდა იყოს გულბუდახ ჩხეტიძის ქალი და შვილი — პაატა, რომელნიც ერთ უთარიღო სიგელით „აბაშიძის ბატონის პაატას მოაღაპედ“ კაცხის მონასტერს სწირავენ ბეჟუა მუმლაძეს[228].

---

222 გიორგი მეფის აღნიშნული წლის სიგელის ბოლოს პაატას შესახებ ვკითხულობთ: „მე, პ ა ა ტ ა ს ა ბ ა შ ი ძ ს დ ა მ ი წ ე რ ი ა დ ა მ ო წ ა მ ე ც ა ვ ა რ ამისი. ქ ე ლ ი თ ა კ ა რ ი ს ა მ დ ი ვ ა ნ - მ წ ი გ ნ ო ბ რ ი ს ა თ ა ვ ა ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ა ს ლ ა ნ ი ს ა თ ა“ (დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 37. ხაზი ჩვენია. — ო. ს.). როგორც ჩანს, პაატა სამეფო კარის მდივან-მწიგნობართა ზედამხედველი იყო. იხ. ამაზე კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. „იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება XVII საუკუნეში“, გვ. 126 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა).

223 ა რ ჩ ი ლ ი. თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, გვ. 56—57.

224. Переписка..., стр. 83.

225 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საბ. № 8; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 49.

226 Н. Б. М а х а р а д з е. Восстание в Имеретии..., გვ. 139.

227 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 8; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 37.

228 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 51—52.

II პაატა არის ის, რომელიც თავის დედასთან გულბუდახ ჩხეტიძის ქალთან ერთად იხსენიება ზემოაღნიშნულ უთარიღო სიგელში. ეს პაატა და ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში მოხსენიებული პაატა აბაშიძე[229] შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს.

პაატა II უნდა იყოს აგრეთვე არჩილ მეფის 1661 წ. წყალობის წიგნში მოწმედ დასახელებული პაატა აბაშიძე[230].

III პაატა არის ის, რომლის მამა მოკლა გიორგი-მალაქია აბაშიძემ (გიორგი-მალაქიას შესახებ იხ. ზემოთ და ქვემოთ) და რომელსაც ამის გამო ნასისხლად მისცა ჩხერის ციხე (იხ. ზემოთ). ეს პაატა არის, ჩვენი აზრით, გიორგი მეფის ერთი უთარიღო ფიცის წიგნის მიმღები პაატა აბაშიძეც[231].

IV პაატაა ის, რომელიც იყო ძმა გიორგი, მალაქიასა და ლევან აბაშიძეების, ქმარი ბაგრატ მეფის ასულისა და ალექსანდრე IV-ის დის დარეჯან ბატონიშვილისა[232]. ბაგრატ IV-ის 1669 წლის წიგნში „დიდ ბოიარად" მოხსენიებული პაატა აბაშიძე[233], პაატა მეოთხეა. ეს პაატა ალექსანდრე IV-ის მხარეზე იბრძოდა 1684 წელს როკითის ომში. ამ ომში მძიმედ დაიჭრა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა ამავე წელს (იხ. ზემოთ).

XVII ს. 60-იან წლებში ვხედავთ პაატა V-საც. მაგრამ მისი მოღვაწეობა XVIII საუკუნეში გადადის (იხ. მასზე ქვემოთ).

რაც შეეხება ლევანს, XVII ს. აბაშიძეთა საგვარეულოში იყო სამი ლევანი:

მათგან ყველაზე ადრე მოღვაწეობდა და, მაშასადამე, I ლევანი არის ის, რომელიც გიორგი იმერთა მეფემ 1616 წელს დესპანად წარავლინა, მალაქია კათალიკოსთან ერთად, შაჰ აბასთან (იხ. ზემოთ).

II ლევანია სიძე ოტია მიქელაძისა, რომელიც ალექსანდრე III-ეს ახლდა ბანძის ომში 1658 წელს და ამ ომში დაიღუპა[234].

---

229 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193.

230 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 23.

231 იქვე, საბ. № 13. ამ საბუთს მისი გამომცემი შ. ბურჯანაძე გიორგი შესამეს მიაკუთვნებს და 1605—1639 წლებით ათარიღებს (იხ. იქვე), მაგრამ, ვფიქრობთ, იგი ცდება. საბუთი გიორგი IV-ის დროს, 1696—1698 წლებშია შედგენილი. იხ. ამაზე ვრცლად აგიაშვილთა სათავადოში შენიშვნა 2.

232 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 54; ვახუშტი, „საქართველოს ისტორია", გვ. 209—210.

233 Переписка..., стр. 83.

234 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", 201—202.

ლევან III არის ის, რომელიც დიმიტრი მეფის 1663 წლის წყალობის წიგნშია დასახელებული[235]. იგი თავის ძმასთან, პაატა მეოთხესთან ერთად ალექსანდრე მეფის მოწინააღმდეგეებს ებრძოდა როკითის ომში და იქვე მოკლეს[236].

პაატა IV, ლევან III და გიორგი-მალაქია, როგორც აღვნიშნეთ, ძმები იყვნენ. მათი მამა იყო გულბუდახ ჩხეტიძის ქალისა და პაატა I-ის ძე პაატა II[237].

პაატა IV უძეოდ გადავიდა[238].

პაატას მომდევნო ძმას ლევან III-ს კი სამი ვაჟი ჰყავდა: ზურაბი, სვიმონი და ვახუშტი[239].

ვახტანგ ქართლის გამგებელმა ლევან III-ის უმცროსი შვილი ვახუშტი დასვა ამოწყვეტილ ქართლის აბაშიძეების მამულზე 1711 წელს და მიათხოვა თავისი ასული ანუკა 1712 წელს[240]. ამრიგად, იმერელი ვახუშტი აბაშიძისაგან მომდინარეობენ ამოწყვეტის შემდეგ-დროინდელი ქართლის აბაშიძეები.

ვახუშტი 1751 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია[241].

მას ოთხი ვაჟი ჰყავდა: პაატა, ნიკოლოზ, დავით და ლევანი[242].

ვახუშტის პირმშო შვილს პაატას[243] სამი ვაჟი ესვა: ქაიხოსრო,

---

235 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 24. იხ. აგრეთვე, საბ. № 27.

236 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 210.

237 პაატას, ლევანისა და გიორგი-მალაქიას მამა, რომ პაატა იყო, ეს ჩანს აბაშიძეთა გვარის „როდოსლოფიე"-დან, იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 596.

238 ი ქ ვ ე. აბაშიძეთა გვარის „როდოსლოფიეს" ცნობა სწორია. პაატა IV აბაშიძის მემკვიდრე წყაროებში არ ჩანს.

239 ვახტანგ ქართლის გამგებელის მიერ ვახუშტი აბაშიძისათვის ბოძებულ 1711 წლის წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ უკანასკნელი ლევანის ძე იყო (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 41). სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ ზურაბ, სვიმონ, ვახუშტი აბაშიძეები ძმები არიან და გიორგი-მალაქიას ძმისწულები იყვნენ (ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 222, 234; დოკუმენტები..., I, საბ. №№ 621, 624). აქედან ცხადია, რომ ვახუშტი, ზურაბი და სვიმონი ლევან III-ის შვილები არიან. ცდება აშკარად აბაშიძეების საგვარეულოს „როდოსლოფიეს" შემდგენი, როცა ლევან აბაშიძეს უძეოდ გადასულად ასახელებს (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 596).

240 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 41; ვ ა ხ უ შ ტ ი, ქრონიკონები, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 252, 1712 წლის ქვეშ.

241 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. №№ 94, 95.

242 ი ქ ვ ე, საბ. №№ 55, 64, 94; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 14785.

ვახუშტის შვილები — ლევანი და პაატა ამ სახელთა მატარებელ იმერელ აბაშიძეთა სათვალავში არ შედიან.

243 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. № 681.

ევგენი და დავით[244]. პაატას მემკვიდრეები აბაშიძე-პაატაშვილებად იწოდებოდნენ[245].

ვახუშტის შვილიშვილზე — ქაიხოსრო პაატას ძეზე — იყო გათხოვილი იმერთა მეფის სოლომონ I-ის ასული დარეჯანი[246]. ქაიხოსრო ცოცხალი ჩანს 1792 წელსაც[247]. ჰყავდა მას ორი ვაჟი: სვიმონ და იოანე (ივანე). პირველი 1798 წლისათვის უკვე მკვდარია[248]. ხოლო მეორე — იოანე იყო, როგორც ცნობილია, 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყების ერთა მთავარი მეთაურთაგანი[249]. აჯანყების დამარცხების შემდეგ, იგი ახალციხის საფაშოში გაიქცა. აქ მას ვახტანგ ბატონიშვილმა „შეუჩინა კაცნი" „რომლისამე მიზეზისათვის" და აქვე მოკლეს 1822 წელს[250].

იოანე აბაშიძეს დარჩა ერთი ვაჟი — ქაიხოსრო[251].

ლევან III-ის პირმშო შვილს ზურაბ I-ს ექვსი ვაჟი ჰყავდა: დავით, ქაიხოსრო, ზაალ, ზურაბ, ვახუშტი და გიორგი[252]. მამასთან ერთად ვხედავთ მათ 1709—1744, 1746 წწ. საბუთებში[253].

ზურაბ I ლევანის ძის ხსენება 1746 წელს წყდება. ამის შემდეგ

---

244 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. №№ 2317, 4354; ქუთ. მუზ. საბ. № 596.

245 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. №№ 2317, 4354; სცია, ფ. 229(4), დავთარი 17, საბ. № 128.

246 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 9473; სცია. ფ. 229(4), დავთარი 17, საბ. № 114; ქუთ. მუზ. საბ. №№ 123, 206.

247 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 9473.

248 ქუთ. მუზ. საბ. № 123.

აღსანიშნავია, რომ სვიმონი როცა გარდაიცვალა, მისმა დედამ დარეჯან ბატონიშვილმა „მოიხვნა გვამი მისი" კაცხის ეკლესიას და „ჩრდილოეთით კერძო ეკუდერსა... ძველთა პაპათ მისთა სამარხოსა" დაკრძალა (იქვე). შეიძლება ქართლის ზოგი სხვა აბაშიძეებიც კაცხის მონასტერში იმარხებოდნენ.

249 Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии..., გვ. 139, 143.

ივანე, როგორც ჩანს, ქართლიდან გადმოსახლდა და საბოლოოდ იმერეთს დაბრუნდა: ყმა-მამულს იგი აქ ფლობს, თავისი მეურნეობაც აქ აქვს (იხ. სცია, ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 1—16).

250 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 212.

ივანე აბაშიძის გარდაცვალების თარიღს ნ. მახარაძემ, როგორც თვითონ აღნიშნავს, ვერ მიაკვლია: „Когда именно был убит И. Абашидзе, установить не удалось",—წერს იგი თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში, იხ. გვ. 87, სქოლიო.

251 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. №№ 7049, 9482.

252 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 83; დოკუმენტები..., I, საბ. №№ 621, 622.

253 იხ. იქვე.

1754 წ. ერთ დოკუმენტშიც გვხვდება ზურაბ აბაშიძე[254], მაგრამ იგი ზურაბ (II) ზურაბის ძე უნდა იყოს.

ზურაბ I-ის უფროსი შვილი დავითი იყო ალექსანდრე V-ის სიძე (დის ქმარი). ამ მეფემ თავისი სიძე მოკლა „ღალატად" ვარციხეს 1738 წელს[255].

დავითის ძმას ზაალს ორი ვაჟი ჰყავდა: იოვანე (იოანე, ივანე) და სვიმონი[256]. ამ ზაალის ასული ანა იყო ერეკლე II-ის თანამეცხედრე[257]. ანა 1749 წ. გარდაიცვალა. მის შემდეგ ერეკლე II-ემ შეირთო დადიანის ასული დარეჯანი[258].

როგორც ერეკლე II-ის მიერ ზაალ აბაშიძისათვის ბოძებულ 1769, 1774 წწ. წყალობის წიგნებიდან ჩანს, ამ მეფის „მოყვრობაში" ზაალ იმერეთს აღარ „დასდგა", თავის იქაურ „მამულზე ხელი აიღო", ერეკლეს კარზე მივიდა და მისი „ყმობა ინება". ერეკლემ მიიღო ზაალ და მისი შვილები თავის ვასალებად და 1769 წელს მათ „მთლად" ქართლის ხეფინის-ხევი უბოძა. შემდეგ (1774 წ.) ზაალმა მეფეს კახეთში სთხოვა მამული. მეფემ კვლავ შეიწყნარა მისი თხოვნა და მას აქაც მისცა მიწა-წყალი.

ზაალის უფროს შვილს იოვანეს კიდევ ერეკლე II-ის კარზე აღნიშნულ წლებში და შემდეგ ქეშიკთუხუცესის თანამდებობით ეხედავთ. ზოგჯერ იგი „ქეშიკჩიბაშად" იწოდება, რაც იგივე ქეშიკთუხუცესს ნიშნავს. მასვე ჰქონდა ბორჩალოს მოურავობაც. მის უმცროს ძმას სვიმონს კი მორდალის სახელო ეჭირა.

1774 წლიდან ზაალ და მისი ძენი კახეთში დამკვიდრდნენ და მათგან მომდინარეობენ კახეთის აბაშიძეები.

აღსანიშნავია, რომ იოვანე ზაალის ძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კრწანისის ომში. ეს იოვანეა ის „იოანე კახთ აბაშიძე", რომელიც ამ ომში „გამწარებული" იბრძოდა და იხსენიება „ბედი ქართლისა"-ში. იოანე კრწანისის ომიდან ცოცხალი გამოვიდა და ცოცხალია 1799 წლის 10 სექტემბერსაც[259].

---

254 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 3.

255 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 234; მისივე. ქრონიკონები, გვ. 255 (1738 წლის ქვეშ).

256 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. №№ 2189, 2383.

257 პაპუნა ორბელიანი. „ამბავი ქართლისა", ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 377; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გამოც. ფ. ლომოურისა, გვ. 5.

258 პაპუნა ორბელიანი. დასახ. თხზულება, გვ. 423, 433; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია..., გვ. 5.

259 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 913, 2189, 2383; იქვე. ფ. S, № 3729, გვ. 10, 83.

ზურაბ ლევანის ძე, აბაშიძის სხვა შვილების შთამომავლობის დადგენა ძნელია.

ლევან III-ის უმცროს ძმას (ზურაბ I-ის ბიძას) გიორგი-მალაქიას ხუთი ვაჟი და ოთხი ასული ესვა: ფინეზი, პაატა (V), ლევანი (IV), ბეჟანი, მალაქია, თამარ, ანიკა, ელენე და მარიამი[260].

გიორგი-მალაქიას შესახებ ყველაზე ადრინდელი ცნობა 1658—1676 წწ. ეკუთვნის[261]. თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნულ წლებს შუა, როცა ის პირველად იხსენიება 20—25 წლის მაინც იქნებოდა, მაშინ გიორგი დაახლოებით 1638 თუ 1656 წელს ან ამ წლების ახლო ხანში დაბადებულა. გარდაიცვალა იგი 1722 წ. 15 ოქტომბერს ტფილისში, დასაფლავებულია კაცხის მონასტერში (იხ. ზემოთ).

გიორგი-მალაქიას ასული თამარი იმერთა მეფის ალექსანდრე IV-ის თანამეცხედრე იყო. 10 წლის იყო თამარი, როცა 1691 წ. იგი მამამ მეფეს მიათხოვა[262]. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ (1695 წ.) თამარი იმერეთის მეფედ დასმულ გიორგი გოჩიად წოდებულთან დაქორწინდა 1696 წელს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ განშორდა მას და გიორგი ლიპარტიანს მითხოვდა. თამარი გარდაიცვალა 1707—1709 წწ.[263].

გიორგი-მალაქიას მეორე ასული ანიკა თავდაპირველად ნასყიდა ბაშვილის მეუღლე იყო. მაგრამ 1698 წელს, როცა იმერეთში სვიმონ ალექსანდრე IV-ის ძე გამეფდა, აბაშიძემ წაართვა თავისი ასული იაშვილს და სვიმონ მეფეს მიათხოვა[264].

გიორგი-მალაქიას მესამე ქალი ელენე, მამია III გურიელთან დაქორწინდა 1691 წელს. მაგრამ 1711 წ. გიორგი აბაშიძე რომ

სცია, ფ. 226(1), საბ. № 3997; ქუთ. მუზ. საბ. № 596; ნ. ბარათაშვილი. თხზულებანი, 1968, გვ. 140—141.

260 საქ. სიძვ., II, საბ. № 108; ს. კაკაბაძე. მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 57; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 85—86 (ანდერძები: 7, 10); ქუთ. მუზ. საბ. № 596; სცია, ფ. 229(4). დავთარი 24, საბ. № 152; ვახუშტი, „საქართველოს ისტორია", გვ. 211, 215, 217, 222; ნ. ბერძენიშვილი. ვახუშტის ბიოგრაფიისათვის, გვ. IX, წიგნში: ვახუშტი აღწერა..., თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ.; Российская родословная книга, изд. П. Долгоруков, ч. III, СПб, 1858, стр. 467—468.

261 საქ. სიძვ., II, საბ. № 108.

262 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 215; მისივე ქორონიკონები, გვ. 251, 1691 წლის ქვეშ.

263 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 216—218, 222.

264 იქვე. გვ. 217.

დამარცხდა, გურიელმა მიატოვა მისი ასული და შეირთო შოშიტა (III) რაჭის ერისთავის და თამარი[265].

გიორგი-მალაქიას მეოთხე ასული მარიამი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილის მეუღლე იყო. ვახუშტიმ იგი შეირთო 1717 წლის ახლო ხანში[266].

გიორგი-მალაქიას ვაჟებიდან ყველაზე უფროსი ფინეზი ჩანს. 1658—1676 წწ. ფიცის წიგნში მამასთან ერთად მხოლოდ იგი იხსენიება[267]. 1663 წლის საბუთში კი გიორგი-მალაქია მოხსენიებულია ორი ძით — ფინეზითა და პაატათი[268]. დანარჩენი ვაჟები გიორგი-მალაქიას ამის შემდეგ შეეძინა.

ფინეზის ორი ვაჟი ჰყავდა: ნიკოლოზი და როსტომი. პირველ მათგანს ვხვდებით 1753, 1762, 1817 წლებში, მეორეს — 1801 წელს[269]. ამ ნიკოლოზ ფინეზის შვილმა მიჰყიდა სოლომონ პირველს ჩხერის ციხე 1762 წელს (იხ. ზემოთ).

როსტომის შვილი იყო ნიკოლოზ ფინეზიშვილი-აბაშაძე, რომელიც 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო[270].

ფინეზის შთამომავლობას აბაშიძე-ფანეზიშვილს, ფინეზიშვილ-აბაშიძეს ან პირდაპირ ფინეზიშვილს ეძახდნენ[271].

---

265 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 211, 223—224; ქრონიკები... II, გვ. 511.

266 ქუთ. მუზ. საბ. № 596; ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ვახუშტის ბიოგრაფიისათვის, გვ. IX. წიგნში: ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ.; Российская родословная книга, изд. П. Д о л г о р у к о в, ч. III, стр. 467—468.

267 იხ. საქ. სიძველენი, II, საბ. № 108.

268 სცია, ფ. 229(4), დავთარი 24, საბ. № 152.

ამ საბუთში მამის შემდეგ პირველ რიგში დასახელებულია პაატა. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გიორგი-მალაქიას შვილებიდან უფროსი პაატა იყო. მაგრამ მაშინ გაუგებარია, თუ რატომაა გიორგი-მალაქიას 1658—1676 წლების ფიცის წიგნში მხოლოდ ფინეზი მოხსენიებული!

269 სცია, ფ. 226(1), საბ. №3299; ფ. 229(4), დავთარი 24, საბ. № 151; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 5413; ფ. Qd, საბ. № 1478; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 17.

1738 წლის საბუთში მოხსენიებულია ერთი ნიკოლოზ აბაშიძე, რომლის ბიძაა ვინმე ღონენა (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 70), მაგრამ ეს ნიკოლოზი ფინეზის შვილი არ არის.

270 სცია, ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 21, 25; Н. Б. М а х а р а д з е. Восстание в Имеретии..., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. III, 1942, გვ. 143.

271 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 5413; ფ. Qd, საბ. № 1478; სცია, ფ. 229(4), დავთარი 24, საბ. № 152; ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 21, 25; საქ. სიძვ., III, საბ. № 113.

აბაშიძეთა ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ აგრეთვე ღაბუაშვილები ანუ გაბუაშვილები, რომელნიც XIX ს. დამდეგს გვხვდებიან[272].

გიორგი-მალაქიას შვილი პაატა (V), როგორც ითქვა, პირველად გვხვდება 1663 წ. დოკუმენტში. მამის გარდაცვალების შემდეგ (1722 წ. 15 ოქტომბერი), თუ ადრე, პაატა V სასულიერო პირი გახდა. 1742—1743 წწ. ახლო ხანს იგი „პირველ პაატა წოდებული მონაზონი სამებელი ნეკტარიოსის" სახელით გვევლინება[273]. ერისკაცობისას მას მეუღლედ ჰყოლია წერეთლის ასული ხვარამზე, რომელიც აგრეთვე მონაზონად შემდგარა და ელისაბედად სახელდებულა[274].

პაატა V-ის შთამომავლობა წყაროებში არ ჩანს.

გიორგი-მალაქიას სამი უკანასკნელი ვაჟი (ლევან, ბეჟან, მალაქია) მესამე ცოლისაგან, ბეჟან ლორთქიფანიძის ასულ გულქანისაგან[275] ჰყოლია. თავის ძეებად გულქანი მხოლოდ ამ სამს ასახელებს[276].

გიორგი-მალაქიას ძე ლევან (IV) იხსენიება 1715 (თუ 1717), 1723 წწ., 1734, 1745 წწ. ახლო ხანსა და 1747, 1755 წლებში[277].

---

272 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 8354, 8396, 10082.

იხსენიება „დავით გაბუაშვილი-აბაშიძე", დავით ღაბუაშვილი" (იქვე), ეს ის დავით აბაშიძეა, რომელიც 1810 წ. ემიგრაციაში წასულ სოლომონ II-ეს გაყვა თურქეთში (იხ. იქვე, საბ. № 8354). ამგვარადვე იხსენიება დავითის ძმა გიორგიც (იქვე, საბ. №№ 8354; 8396, 10082).

273 ს. კაკაბაძე. მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 57—58.

274 იქვე, გვ. 58.

275 გიორგი-მალაქიას პირველი ცოლის ვინაობა ჩვენთვის უცნობია. მეორე ცოლად კი მან 1684—1685 წწ. (პირველი ცოლის სიცოცხლეში) შეირთო „ნაცოლარი გიორგი გურიელისა და კაცია ჩიქოანისა" (ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 210). 1698 წელს, თუ მის ახლო ხანს, გარდაიცვალა გიორგი-მალაქიას პირველი ცოლი, მეორეს განშორდა და დაქორწინდა ბეჟან ლორთქიფანიძის ასულ გულქანთან (იქვე, გვ. 217; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბილისი, 1963, გვ. 77; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, გვ. 85—86, ანდერძები: 1, 10). ქმრის გარდაცვალების შემდეგ (1722 წ.) გულქანი შემონაზონდა და იწოდა ნინოდ (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 85—86, ანდერძები: 1, 10, შდრ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 147—148).

276 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 85—86, ანდერძი 10; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 77.

277 იქვე; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 147—148; II, გვ. 5; ისტორიული დოკუმენტები ბერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 80; Материалы по археологии Кавказа, вып. XII, под. ред. графиньи Уваровой, М., 1909, стр. 21.

ამ ლევანის ასული თამარი იყო ალექსანდრე V-ის თანამეცხედრე და დედა სოლომონ პირველისა. ალექსანდრე მეფე აბაშიძის ქალთან დაქორწინდა 1732 წელს[278].

ლევან IV ხრესილის ომში მოკლეს 1757 წელს თავის შვილიშვილის, სოლომონ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. ზემოთ).

ლევან IV-ეს თავისი ასული თამარის გარდა, ოთხი ვაჟი ჰყავდა: გიორგი, გედევან, სვიმონი და ქაიხოსრო[279]. ამ ლევანის ძე გედევანი უნდა იყოს ის გედავან აბაშიძე, რომელიც ხრესილის ომის დროს ტყვედ ჩაუვარდა სოლომონ მეფეს და „შემდგომად" თვალები დასთხარეს[280].

ხრესილის ომის შემდეგ რა ბედი ეწიათ გიორგი და სვიმონ ლევანის ძეებს, წყაროებიდან არ ჩანს. ხოლო ქაიხოსრო, სოლომონის მიერ შეწყნარებული, ერთ ხანს იმერეთშია. 1768 წელს კი ქაიხოსრო გაიქცა თავისი ქვეყნიდან და თურქეთს შეეფარა (იხ. ზემოთ). 1790 წ. მას ვხედავთ ახალციხეში, დავით მეფის ამალაში[281], 1794 წელსაც ქაიხოსრო დავით გიორგის ძესთან არის და მ.ისი გამეფებისათვის იბრძვის[282]. ბოლოს, ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე პავლე ციციანოვის მხედრობაშია. ქაიხოსრო მოკლეს 1805 წელს ერევანთან ბრძოლაში[283].

გიორგი-მალაქიას ძეს ბეჟანის შთამომავლობიდან ჩვენთვის

ეს ლევანი იხსენიება აგრეთვე ერთ უთარიღო დოკუმენტში. იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1343.

ამ ლევანის ძმაა 1745 წლის ახლოს ხნის საბუთში დასახელებული მალაქია აბაშიძე, რომელსაც ჰყავს სამი ვაჟი: ზურაბ (III?), ბეჟან და პაატა (VI). იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 86.

პაატა VI-ის თინამეცხედრე უნდა იყოს ჩიჩუას ასული თინათინ, როიელიც ერთი ენქერის 1765 წ. წარწერაში „აბაშიძის პაატას მეუღლედ" იხსენიება. იხ. ქუთ. მუზ. ძეგლი № 6657.

278 ქუთ. მუზ. საბ. № 596; ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 232; მ ი ს ი ვ ე, ქორონიკონები, გვ. 254, 1732 წლის ქვეშ.

279 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1348, 1356.

ლევან IV-ის თანამედროვეა ლევან V აბაშიძე, რომელიც თავის შვილთან ერასტისთან ერთად მამულის ნასყიდობის წიგნს აძლევს ანუკა ბატონიშვილს 1736 წ. იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 61.

280 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

სოლომონ I-ის 1773 წლის შეწირულების წიგნში მოწმეთა შორის მოხსენიებულია ერთი გედევან აბაშიძე (დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 46), მაგრამ ის სხვა გედევანი უნდა იყოს.

281 Акты, II, გვ. 372 (დავით მეფის სიგელი).

282 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 56 (ხოჯავანათ ოთვანეს დღიური).

283 დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი მოთხრობა, გვ. 90.

ცნობილია მხოლოდ მისი ასული თათია, რომელიც სამურზაყანოს მფლობელ მანუჩარ შარვაშიძეზე იყო გათხოვილი[284].

ლევან IV-ის ძის ქაიხოსროს გარდა, XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. დამდეგს იხსენიება კიდევ ორი ქაიხოსრო: სვარის მოურავი ქაიხოსრო (III)[285] და ქაიხოსრო (IV).

სვირის მოურავი ქაიხოსრო III, სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და კათალიკოსი მაქსიმე ძმები იყვნენ[286].

მაქსიმე გვხვდება 1750, 1755[287], 1759[288], 1760, 1768, 1769,

---

284 ქუთ. მუზ. საბ. № 595.

თათია მანუჩარის პირველი ცოლი უნდა ყოფილიყო. შემდეგ, XIX საუკუნის დამდეგის ამბებთან დაკავშირებით, მანუჩარი ლევან V დადიანის სიძედ (დის ქმრად) იხსენიება (იხ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 99, 206).

285 I ქაიხოსრო ზურაბ I-ის ძეა (იხ. ზემოთ), II ქაიხოსრო — ლევან IV-ის ძე.

286 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 127; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 14050.

მაქსიმე კათალიკოსისა და მის ძმათა მამის სახელი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ იხსენიება. მაგრამ, ვფიქრობთ, მათი მამა იყო ბოქაულთუხუცესი სვიმონ აბაშიძე, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე (იხ. ქვემოთ სვიმონ II), ძმა ზურაბ I-ის და ქართლს დამკვიდრებულ ვახუშტი აბაშიძისა (იხ. ზემოთ). ორი უკანასკნელის მემკვიდრეები ზემოთ უკვე ვნახეთ. სვიმონის შთამომავლობა კი სრულებით არ ჩანს. შეიძლება ეს ჩვენი საბუთების შემთხვევითი ხარვეზით აიხსნებოდეს და არა მისი უშვილობით. ყოველ შემთხვევაში, ვეჭვობთ, ამ სამი ძმის აბაშიძის მამა სვიმონი იყო. ჩვენს ვარაუდს რამდენადმე მხარს უჭერს გიულდენშტედტის ცნობა, რომლის მიხედვით სოლომონ I-ის სიძე ქაიხოსრო აბაშიძე ძმების დავითისა და სვიმონის ბიძაშვილად არის დასახელებული (იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 127). ქაიხოსრო სვიმონის ძმის, ქართლის „საბაშიოს“ მფლობელის ვახუშტის შვილიშვილი იყო (იხ. ზემოთ) და სვიმონის ძეებს ქაიხოსრო მართლა ბიძაშვილად ეკუთვნოდათ (ასევე ეკუთვნოდა იგი ზურაბ I-ის ძეს დავითსაც. მაგრამ ეს დავითი დიდი ხნის წინათ (1738 წ.) გარდაიცვალა (იხ. ზემოთ) და მისი და გიულდენშტედტის დროის დავითის იგივეობა გამორიცხულია).

გიულდენშტედტისვე ცნობით, იმ დროს, როცა იგი იმერეთში იყო (1772 წ.) დავითი და მაქსიმე „40 წელზე ნაკლები ხნისა“ იყვნენ (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 129). აქედან გამომდინარე მათი დაბადება დაახლოებით 1735 წლის ახლო ხანშია სავარაუდებელი.

287 1750, 1755 წწ. მაქსიმე აბაშიძე იხსენიება როგორც „ქუთათელ წოდებული“ (დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 1,5), ე. ი. ქუთათელ ეპისკოპოსის ხარისხი აქვს მას „აგარიანთაგან“ მოშლილ ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენამდე.

288 1759 წელს აღადგინეს ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრა და ქუთათელად მაქსიმე აბაშიძე აკურთხეს. 1759—1776 წწ. მაქსიმეს ქუთათელად ვხედავთ (ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური), გვ. 30;

1772, 1776[289], 1777, 1778, 1780, 1781, 1784, 1785, 1786, 1787, 1788, 1792, 1793 წლებში[290].

კათალიკოსი მაქსიმე აბაშიძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდაიცვალა კიევში, 1795 წ. 30 მაისს. დასაფლავებულია იქვე მღვიმის მონასტერში (იხ. ზემოთ).

ქაიხოსრო III იხსენიება 1764, 1766[291], 1771, 1793, 1804, 1805 წლებში[292].

სახლთუხუცესი დავითი — 1770, 1772, 1775, 1776, 1778, 1781, 1789, 1794, 1798, 1802, 1807, 1808, 1821 წლებში[293].

სხვა აბაშიძეებს შორის ნათესაური კავშირის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

სვირის მოურავის ქაიხოსრო III აბაშიძის შვილი იყო ხახუტა. იგი მოწმედ არის წარმოდგენილი მისი მამის 1804 წლის ნასყიდო-

---

სცია, ფ. 226(1), საბ. № 1181; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 127; Грамоты..., I, стр. 12, 27, 31; ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 4).

289 1776 წ. 12 ივნისს მაქსიმე აბაშიძე კათალიკოსად დასვეს. ამავე დროს მას ქუთათელობაც ჰქონდა 1781 წლამდე და ზოგჯერ „კათალიკოს-ქუთათელად" იწოდებოდა. იხ. ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 137—138.

290 1784 წ. 4 აგვისტოს ქუთათლობა უკვე დოსითეოს წერეთელს აქვს (ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 138) და ამიერიდან მაქსიმე მხოლოდ კათალიკოსად იხსენიება. იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 14050; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 73; ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1940, გვ. 45, 47, 49, 89, 90; საქართველოს სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. №№ 3, 10.

291 ამ წლის 8 აპრილს ქაიხოსრო III უკვე სვირის მოურავია (ქუთ. მუზ. საბ. № 38).

292 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 14050; ფ. Ad, საბ. № 1555; ქუთ. მუზ. საბ. №№ 38, 1030; დოკუმენტები..., II, საბ. № 439; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 117; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 9.

293 სცია, ფ. 227(2), საბ. № 97; ქუთ. მუზ. საბ. №№ 69, 102, 104, 199, 873; საქართველოს სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 5; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 6, გვ. 173; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 113, 153, 160; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 127; იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოც. ავთ. იოსელიანისა, გვ. 86—87; ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 17, 30 (ხოჯავანთ იოვანეს დღიური).

ბის წიგნში[294]. ეს ხუხუტა უნდა იყოს 1817 წლის საბუთში მდივან-ბეგად მოხსენიებული ხახუტა აბაშიძე[295].

ქაიხოსრო IV-ეს ვხედავთ 1810 წელს. იგი სოლომონ II-ის ერთგული თავადი იყო. აღნიშნულ წელს მეთაურობდა ამ მეფის მომხრეთა ერთ-ერთ რაზმს. თავგანწირვით იბრძოდა მისი ხელისუფლების აღდგენისათვის. უთუოდ ამიტომ არის, რომ ქაიხოსრო „რუსეთის უბოროტეს მტრად" იხსენიება. დასახელებული წლის 26 ივლისს იგი დაიღუპა სოფ. ცხრაწყაროსთან სოლომონ მეფის წინააღმდეგ მებრძოლ გენერალ როზენის ჯართან შეტაკების დროს[296].

ამ ქაიხოსროს ჰყავდა შვილი ხახულა, რომელიც აგრეთვე ერთგულებდა სოლომონს. ხახულაც მოკლეს გენერალ-მაიორ სიმონოვიჩისა და მაიორ პრიბილოვსკის გაერთიანებულ ჯართან ბრძოლაში საქარასთან, ამავე წლის 26 აგვისტოს. ხახულა ქაიხოსროს უფროსი ძე იყო.

ცოტა უფრო ადრე, აღნიშნულ წლის 20 ივნისს, ამავე სოფელთან ახლოს, კაპიტან ტიტოვის რაზმთან ბრძოლას შეეწირნენ ქაიხოსროს „ვაჟები" (ორი?)[297], რომელთა სახელები ჩვენთვის უცნობია. ამგვარად, ქაიხოსრო IV და მისი შვილები იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლაში ამოწყდნენ.

გიორგი-მალაქიას შთამომავლობიდან უნდა მომდინარეობდეს ზაალ (II) აბაშიძე[298], რომელიც მოხსენიებულია 1752, 1768, 1774, 1784, 1785, 1786, 1787, 1788 წლების საბუთებში[299].

ეს ზაალ აბაშიძე იყო დავით გიორგის ძის სახლთუხუცესი ჯერ მის ბატონიშვილობაში და შემდეგ მეფობაში (იხ. ზემოთ).

სახლთუხუცეს ზაალს ხუთი ვაჟი ჰყავდა: იოანე, ზურაბ (IV),

---

294 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ. № 1555.

295 დოკუმენტები..., II, საბ. № 460.

296 საქართველოს სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 74; В. Чудинов. Имеретинская неурядица в 1809 и 1810 гг. Кавказский Сборник, т. XVI, Тифлис, 1895, стр. 261, 268, შდრ. Акты, т. IV, стр. 327, 329.

297 იხ. ვ. ჩ ო ბ ი ნ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., Кавказский Сборник, т. XV, 1894, стр. 322—323; т. XVI, 1895 стр. 268, შდრ. Акты, IV, стр. 329.

298 I ზაალ არის ზურაბ I-ის ძე, ერეკლე II-ის სიმამრი. იხ. ზემოთ.

299 ქუთ. მუზ. საბ. №№ 108, 277, 361; დოკუმენტები..., II, საბ. № 438; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 8, გვ. 175; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 49, 82, 83, 85; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 98; საქართველოს სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 4; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., საბ. № 16; ქრონიკები, III, გვ. 400.

სვიმონ, ლევან (VI) და დათიკა. შვილებთან ერთად ვხედავთ მას 1768, 1785, 1787 წწ. საბუთებში[300].

იოანე ზაალ II-ის ძე ცალკე იხსენიება 1822 წლის ერთ დოკუმენტში[301]. მას ორი ვაჟი ჰყოლია: გიორგი და გრიგოლ[302].

1789 წელს იხსენიება კიდევ ერთი იოანე, აბაშიძე, მონაწილე იმ „დესპანობისა", რომელიც აღნიშნულ წელს იმერეთის წარჩინებულებმა წარგზავნეს ერეკლე მეორესთან ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერეთის შეერთების თაობაზე[303]. მაგრამ ის სხვა იოანე უნდა იყოს. დავით გიორგის ძის მიერ დიდად დაწინაურებული თავადის ზაალის შვილს საეჭვოა ამ მეფის ხელისუფლების გაუქმება მოუთხოვა.

დავით მეფის „საყვარელი სიძე" და ერთგული თავადი სვიმონ აბაშიძე იყო ნიკოლოზის ძე. ჰყავდა სამი ვაჟი: ლევან (VII), დიმიტრა (I) და ნიკოლოზი[304]. ეს სვიმონი მოხსენიებულია 1776, 1786, 1790 წლების დოკუმენტებში[305].

იყო კიდევ სვიმონ ამილღაბარის ძე აბაშიძე, XVIII ს. პირველ ნახევრის მოღვაწე, რომელმაც თავის „მსახურთა" მოაკვლევინა მეფე გიორგი VI 1720 წელს[306].

ამრიგად, აბაშიძეთა საგვარეულოში ჩანს ხუთი სვიმონი:

I — სვიმონ ამილღაბარის ძე. ეს უნდა იყოს ის სვიმონ აბაშიძე „კაცი სახელოვანი", რომელიც „მოიკლა წინაშე" ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსისა 1723 წელს (იხ. ზემოთ);

II — სვიმონ ლევან III-ის ძე, ძმა ვახუშტისა და ზურაბ I-ის (იხ. ზემოთ), ბოქაულთუხუცესი, XVIII ს. პირველი ნახევრის მოღვაწე[307];

III—სვიმონ ლევან IV-ის ძე, XVIII ს. მოღვაწე (იხ. ზემოთ);

---

300 ქუთ. მუზ. საბ. №№ 277, 361; დოკუმენტები..., II, საბ. № 438.

301 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 5180.

302 სცია, ფ. 226(1), საბ. № 6822.

303 პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 15—18.

304 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 1278; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 185; დოკუმენტები..., II. საბ. № 442.

305 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. №№ 1278, 14934; დოკუმენტები..., II, საბ. № 442.

306 ქუთ. მუზ. საბ. № 596; ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 229; მ ი ს ი ვ ე; ქორონიკონები, გვ. 253, 1720 წლის ქვეშ.

307 დოკუმენტები..., I, საბ. №№ 619, 621, 622, 624, 650; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 91.

IV — სვიმონ ზაალის ძე, ძმა ერეკლე II-ის თანამეცხედრის ანა დედოფლისა (იხ. ზემოთ);

V — სვიმონ ნიკოლოზის ძე, სიძე მეფის დავით გიორგის ძისა (იხ. ზემოთ).

დიმიტრი და ლეონ (ლევან VII) აბაშიძეები ძმები იყვნენ[308]. მათი მამა იყო დავითი[309]. ორივე ძმას სოლომონ II-ის მომხრეთა შორის ვხვდებით 1810 წელს: სხვებთან ერთად წინამძღოლობდნენ მის ერთგულ იმერლების ერთ დიდ რაზმს[310]. აღნიშნულ წელს დიმიტრი რუსთა მხედრობასთან ბრძოლაში დაიღუპა ჩხერთან ახლოს[311].

დიმიტრის ძმის ლევანის შვილი უნდა იყოს თავადი დიმიტრი „ლევან აბაშიძის ძე", რომელიც 1836 წელს მამულს სწირავს იტრიის მონასტერს[312].

სოლომონ II-ის მომხრე ჩანს აგრეთვე თავადი როსტომ აბაშიძე, რომელიც იხსენიება 1810 წლის ამბებთან დაკავშირებით. ამ წლის 5 იანვარს სოლომონმა როსტომი, ნიკოლოზწმინდელი მიტროპოლიტი სოფრონიოს და ნიკოლაოს გაბაონი ტორმასოვთან გაგზავნა მოსალაპარაკებლად „თავის აზრთა და სათხოვნელთა... ზედა"[313].

*

* *

XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან ბათუმის მხარეში ჩამოსახლდნენ აბაშიძეები, რომელნიც გამაჰმადიანდნენ. თურქეთის მთავრობამ შემდეგ მათ ადგილ-მამული და სანჯაყ-ბე-

---

308 დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გვ. 36.

309 დავითის ძედ არის დასახელებული ლევანი 1808 წ. ერთ საბუთზე დასმულ ბეჭდის წარწერაში (დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 64). იგი, როგორც აღნიშნეთ, დიმიტრის ძმაა. აქედან ცხადია, რომ დიმიტრიც დავითის ძეა.

310 იხ. დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია..., გვ. 33—34, 36; საქართველოს სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, საბ. № 80; ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., Кавказский сборник, т. XVI, 1895, стр. 253, 255.

311 დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია..., გვ. 36; ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 260, შდრ. Акты, IV, стр. 327.

312 საქ. სიძველენი, III, საბ. № 159.

313 Акты, т. IV, стр. 214—217.

გის სახელო მისცა და ეწოდათ „სანჯაყ-ბეგ აბაშიძე“[314]. ეს აბაშიძეები იმერეულ აზნაურ აბაშიძეთა ჩამომავალნი უნდა იყვნენ.

ბათუმის მხარეში აბაშიძეთა ჩამოსახლება, ერთი ცნობის მიხედვით, გიორგი აბაშიძის (ძლიერობდა 1684 — 1711 წლებში) ძიერ ზოგი მისი ურჩი თანამოგვარის იმერეთიდან გაძევების შედეგად მოხდა. მეორე ცნობა კი აღნიშნულ ადგილებში აბაშიძეების დამკვიდრებას ზურაბ წერეთლის (უთუოდ თავადი, სახლთუხუცესი: დაიბადა 1747 წ., გარდაიცვალა 1823 წ.) მიერ ორი ძმა აბაშიძის ტყვეებად გაყიდვით ხანის[315]. შეიძლება ერთსაც ჰქონდა ადგილი და მეორესაც. ამდენად ეს ცნობები ერთმანეთს ავსებენ და, ვფიქრობთ, ორივე სინამდვილეს ასახავს.

თავი VIII

აგიაშვილთა სათავადო

XVII ს. შუა წლებში აგიაშვილების სათავადო ისტორიის ასპარეზზე ჯერ კიდევ არ ჩანს. ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში, სადაც იმერეთის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, თავადური გვარია დასახელებული, აგიაშვილთა გვარი არ გვხვედება[1].

უძველესი პირდაპირი დოკუმენტური ცნობა ამ საგვარეულოს შესახებ XVII ს. მეორე ნახევარს ეკუთვნის. პირველად ეს გვარი 1663—1673 წწ. შუა შედგენილ ბაგრატ იმერთა მეფის წყალობის

---

314 იხ. მოდინახის ციხის აღება (ზეპირი გადმოცემანი, ზემო იმერეთში შეკრებილი და ჩაწერილი გ. წერეთლის მიერ), „კვალი“, 1896, № 26, გვ. 455; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი. გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევი), საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, 1964, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 468—471.

315 იხ. ი ქ ვ ე.

1 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლიევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193—194.

ვახუშტიც იმერეთის წარჩინებულ გვართა სიაში აგიაშვილებს არ იხსენიებს (იხ. მ ი ს ი, აღწერა..., გვ. 26), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ კი აგიაშვილი დიდებულ თავადთა გვარებს შორის არის დასახელებული (იხ. გვ. 66).

წიგნში იხსენიება[2]. მაგრამ არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით აგიაშვილების გვარის ისტორია შეიძლება უფრო ადრინდელი ხანიდან წარმოვიდგინოთ.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, აგიაშვილები თავდაპირველად სხვა გვარს ატარებდნენ. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების „აღწერაში" ნათქვამია: „აგიაშვილი არიან მასხარაშვილები ძველადო"[3]. მაგრამ ამას სხვა წყაროთა მონაცემები არ ემოწმებიან. სწორია ამ ცნობაში მხოლოდ მითითება იმაზე, რომ აგიაშვილების გვარსახელი „ძველად" აგიაშვილი არ იყო.

ისტორიული გადმოცემით, აგიაშვილები თავდაპირველად ომათმათიძეები იყვნენ. აგიაშვილი მათთვის შემდეგი გარემოების გამო უწოდებიათ: „XVII საუკუნეში იმერეთის მეფეს თურქებთან ომი ჰქონია. ომის დროს სხვებთან ერთად მეფის ლაშქარში ომათმათიძეებიც ყოფილან. ერთ ომათმათიძეთაგანს ომში თავისი გმირობით ყველა გაუკვირვებია. მის ვაჟკაცობით აღტაცებულნი იძახდნენ თურმე: „აგია ნამდვილი მამულის შვილი, აგია შვილიო". მეფეს ამ ომათმათიძის მამაცობით ომი მოუგია და მისი გმირობის აღსანიშნავად ომათმათიძეებისათვის აგიაშვილი უწოდებია"[4].

---

2 ს. კ ა ტ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 ს-ში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 92—93.

შ. ბურჯანაძის მიერ გამოქვეყნებულ საბუთებს შორის გვხვდება ერთი უთარიღო ფიცის წიგნი, რომელსაც გამომცემი, გიორგი III-ის ზეობის მიხედვით, 1605—1639 წლებით ათარიღებს და რომელშიც მოწმედ დასახელებულია სვიმონ აგიაშვილი. (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 25, საქ. № 13). ეს თარიღი მცდარია. საბუთი უფრო გვიან, გიორგი IV-ის დროს — 1696—1698 წლებშია დაწერილი. ამის თქმის საფუძველს იძლევა თვით საბუთის მონაცემი: გიორგი III-ე მის თანამედროვე პაატა აბაშიძესთან დამდურებული არ ყოფილა (იხ. აბაშიძეთა სათავადო), საბუთში დასახელებული პაატა კი გიორგი მეფემ შეირიგა, ე. ი. ემდუროდა მას. ასეთი დამდურება-შერიგება უფრო გიორგი IV-ესა და მის თანამედროვე პაატა გიორგის ძე აბაშიძეს შორის შეიძლებოდა მომხდარიყო. მართალია, გიორგი IV ამ პაატას სიძე (დის, თამარის ქმარი) იყო (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 216. იხ. აგრეთვე ზემოთ აბაშიძეთა სათავადო) და აბაშიძეთა მიერ იყო გამეფებული, მაგრამ აბაშიძეებივე მტრობდნენ მას. ბოლოს, მათვე „გან

შეიძლება აქ ზოგი რამ გაზვიადებული იყოს, მაგრამ აგიაშვილთა ომათმათიძეობის შესახებ ზეპირგადმოცემაში შემონახული ცნობა რომ სწორია, ამას მოწმობენ შემდეგი ფაქტები:

1658—1660 წლებში იმერეთში ციხისთავის სახელო იოვანე ომათმათიძეს ჰქონდა[5]. 1663—1673 წლებს შუა ვახტანგ აგიაშვილმა აჯით მიმართა იმერთა მეფე ბაგრატს და, მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ უძეო თეიმურაზ ციხისთავის სიკვდილის შემთხვევაში, ციხისთავობის წყალობა სთხოვა[6]. მეფის მიერ ამის შესახებ ვახტანგისათვის ბოძებულ სიგელში თეიმურაზ ციხისთავის გვარი არ იხსენიება. მაგრამ 1673 წ. ბაგრატ მეფისვე მიერ იმავე ვახტანგისათვის მიცემული სიგელიდან ჩანს, რომ თეიმურაზი ვახტანგის ბიძა იყო[7]. ე. ი. თეიმურაზიც აგიაშვილთა გვარს ეკუთვნოდა[8]. ასე რომ არ ყოფილიყო, ვახტანგ აგიაშვილს რა საფუძველი ექნებოდა მეფისათვის ციხისთავის სახელოს წყალობა ეთხოვა მაშინ, როდესაც ამა თუ იმ თანამდებობის ფლობა ამ დროს უკვე გარკვეული ფეოდალური გვარის მემკვიდრეობით პრეროგატივა იყო. ვახტანგის მამაც ციხისთავი ყოფილა (ვახვანგი ციხისთავიშვილია")[9]. ასე რომ, ციხისთავობა აგიაშვილებს ვახტანგამდე კარგა ხნით ადრე ჰქონიათ. ციხისთავის თანამდებობის ომათმათიძეებიდან აგიაშვილებზე გადასვლა 1658 წლის შემდეგ, სახელდობრ, 1663—1673

მათიძის შვილი ქაიხოსრო ამ ომში მეფის „წინ ჩამოვარდა და მოკვდა... ამის სამაგიეროდ" მეფემ მისი ერთგულებისათვის დაღუპულ ქაიხოსროს მამას უხვ წყალობა უყო (იხ. საისტორიო მომბე, I, 1925, გვ. 91). ეს ფაქტია უთუოდ ასახული ზეპირგადმოცემაში და ამდენად მას საკვლევი რეალური საფუძველი აქვს.

5 ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მომბე, I, 1925, გვ. 91.

6 იქვე, გვ. 92—93.

7 იქვე, გვ. 93—94.

8 ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის მეფის ერთგულებაზე მიცემულ 1651 წლის ფიცის წიგნში მოხსენიებული თეიმურაზ ციხისთავიც (სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველელის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193) ომათმათიძე იყო. ამ დროს ეს საგვარეულო ჯერ კიდევ არ იწოდებოდა აგიაშვილად. თეიმურაზ ციხისთავის ვინაობის შესახებ იხ. კ. გრიგოლია. იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება მე-17 საუკუნეში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 76.

9 ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მომბე, I, 1925, გვ. 94.

წლებს შუა მომხდარა. 1673 წელს ციხისთავად უკვე ვახტანგ აგიაშვილი ზის[10].

ისმის კითხვა: რა იყო მიზეზი, რომ ეს სახელო ომათმათიძეებს ჩამოართვეს და აგიაშვილებს გადასცეს?

ამა თუ იმ საგვარეულოსათვის თანამდებობისა და მამულის ჩამორთმევა ჩვეულებრივ სახელმწიფოს თუ მეფის ღალატისა ან სხვა რამე მძიმე დანაშაულის გამო ხდებოდა. არ ჩანს ომათმათიძეთა გვარს ასეთი რამ ჩაედინოს. პირიქით, ომათმათიძეები მეფის „ერთგულ და ოჯახის მამაგრებელ ყმებად" ითვლებიან[11]. მეტიც: 1658 წ. იოვანე ომათმათიძის შვილი ქაიხოსრო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე III-ის მტრებთან ბრძოლაში დაიღუპა და თავდადებულ თავადის მამას მეფემ 1658—1660 წლებში მრავალი ყმა-მამული უწყალობა[12]. ამ წყალობის წიგნიდან ირკვევა, რომ ომათმათიძეთა გვარი დავით აღმაშენებლის დროსაც „დიდებული" გვარი იყო და თავის „დიდებულობის" შესახებ ხსენებული მეფის „გუჯარიც" ჰქონდა. ზემოდასახელებულ წყალობის წიგნში ალექსანდრე III-ე ციხისთავ იოვანე ომათმათიძეს ეუბნება: „ხელმწიფის, კურთხეულის დავით აღმაშენებელის გუჯარი მოიტანეთ თქვენის ოჯახის დიდებულობის და განგიახლეთ და ჩვენც ხელი მოგიწერეთო"[13]. ამის შემდეგ ოთხი წელიც არ იყო გასული, რომ ალექსანდრე III-ის მემკვიდრემ ბაგრატ მეფემ ციხისთავობის წყალობის პირობა ვახტანგ აგიაშვილს მისცა და 1673 წელს უბოძა კიდეც მას ეს სახელო და ცუცხვათის ციხე[14].

1658—1660 წლებიდან ამ „დიდებული" ომათმათიძის გვარის ხსენება წყდება და ციხისთავობასა და ცუცხვათის ციხესთან ერთად მთელი ყმა-მამული, რომელიც ალექსანდრე III-ეს ძის მიერ განახლებული სიგელით ციხისთავ იოვანე ომათმათიძეს მისცა, აგიაშვილებს უჭირავთ. სწორედ ის ყიფიანები, ბოჭორიშვილები და სხვები, რომელნიც ციხისთავ იოვანე ომათმათიძის სიგელშია ჩამოთვლილი, შემდეგ აგიაშვილების ყმები ჩანან[15]. ვამოწმებ, რომ აგიაშვილები ომათმათიძეთა მემკვიდრეები არიან.

---

10 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 92—93.
11. იქვე, გვ. 91.
12 იქვე, გვ. 91—92.
13 იქვე, გვ. 91.
14. იქვე, გვ. 92—94.
15 ქუთ. შუზ. საბ. №№ 1730, 1762, 1764, 1772, 1773.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ აგიაშვილთა საგვარეულო სახელებად მიღებულია სწორედ ის სახელები (ავაგ, ქაიხოსრო, იოვანე), რომელთაც ომათმათიძეები ატარებდნენ[16].

ყოველივე ეს, ზეპირგადმოცემით მოღწეულ ცნობებთან ერთად, გვარწმუნებს, რომ აგიაშვილები ომათმათიძეთა გვარის გამგრძელებელნი იყვნენ, რომ აგიაშვილი ომათმათიძეთა გვარის მერმინდელი სახელია[17]. ეს სახელი ამ საგვარეულოს XVII ს. 50-იან წლების მიწურულს, ბანძის ომის შემდეგ, უნდა ჰქონდეს შერქმეული, რომელშიც ომათმათიძეთა გვარი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

აგიაშვილების სათავადო მათი ომათმათიძეობის პერიოდში ყალიბდება, იოვანე ციხისთავის შამის არმაბეგის მოღვაწეობის დროს, რაც დაახლოებით XVI ს. მეორე ნახევარსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარშია სავარაუდო.

აგიაშვილების მიწა-წყალი დიდი არ იყო. ამ საგვარეულოს სულ რამდენიმე სოფელი ეკუთვნოდა:

1. ტყაჩირი, 2. უკანეთი, 3. პატრიკეთი (ნაწილობრივ)[18]. 4. ცუცხვათი (ნაწილობრივ)[19].

ცუცხვათი ციხისთავის სახელო მამული იყო[20], მაგრამ დროთა განმავლობაში მისი დიდი ნაწილი აგიაშვილებმა გაისაკუთრეს.

ვაკეში, რომელიც ვახუშტის თქმით სამკუთხედს წარმოადგენდა („არს სამკუთხედ ადგილი ესე")[21], სამკუთხედისვე სახით მდებარეობდა აგიაშვილების სათავადო. მის სამივე კუთხესთან სამანი ქვები იყო აღმართული[22].

---

16 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 996; სცია, ფ. 226(1), საბ. № 7946, შდრ. ს: კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 91.

17 უნდა აღინიშნოს, რომ აგიაშვილის გვარეულობის ომათმათიძეთა გვარისაგან წარმომავლობაზე ს. კაკაბაძეს აქვს მითითებული (საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 88), მაგრამ მკვლევარს ეს დებულება არ დაუსაბუთებია.

18 სცია, ფ. 227(2), საბ. №№ 50, 66, 75, 78, 81, 95.

პატრიკეთის ნაწილი მეფის სახასო მამულს წარმოადგენდა (სცია, ფ. 227(2), საბ. 66). 1736 წელს აქ ვხედავთ აგრეთვე „სადედოფლო... სასახლე თუ გლეხებს" (დოკუმენტები..., I, საბ. № 661. გვ. 466).

19 ქუთ. მუზ. საბ. № 89; საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 93—94.

20 იხ. საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 89, 93—94.

21 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 164.

22 ამ სამან ქვებზე ზემოხსენებულმა ერისთო კახაიამ მიგვითითა. 1948 წ. ეს ქვები ადგილზე იყო, მათი სიგრძე ერთ მეტრს აღემატება, განი — ნახევარს. ქვებზე წარწერებია, მაგრამ დროთა მსვლელობაში გადასულა და ვერ ამოვიკითხეთ.

აღმოსავლეთით ამ სათავადოს სოფ. გეგუთი საზღვრავდა, დასავლეთით — ოფშკვითი, სამხრეთით — მდინარე რიონი, რომელიც ჰყოფდა მას სოფ. ზეინდრისა და ამაღლებისაგან[23], და ჩრდილოეთით — მესხეთი.

სოფ. ცუცხვათი აგიაშვილთა სხვა სოფლებისაგან დაშორებით, ამ საზღვრებს გარეთ, ტყიბულის ხაზზე, მდებარეობდა.

დასახელებულ სოფლებს გარდა, აგიაშვილებს მამულები ჰქონდათ იმერეთის სხვადასხვა კუთხეში. მათ მფლობელობაში იყო: „მიწა-წყალი საჩიჯავაძო“[24]; ადგილ-მამული „ტყირბულში“[25], შინდოვან-უნაგრეთ-სვიმონეთის მიდამოებში[26], სკიპისა და ვაშლარის მხარეში[27], ოკრიბაში[28], ბაკის-უბანში[29], ჭუეპში, სოჩხეში, გურნხში, ოფშკვითში, შერთულში, ახალსოფელში, ძუყნურში და სოფ. ჭალისთავის დიდი ნაწილი[30].

აგიაშვილებს ორი სასახლე ჰქონდათ: ერთი — ცუცხვათს, მეორე — ტყაჩირში[31]. სათავადოს ადმინისტრაციული ცენტრებიც ამ ადგილებში იყო.

ტყაჩირის სასახლის ახლოს იდგა აგიაშვილთა კარის ეკლესია[32], ხოლო სასახლიდან ცოტა მოშორებით (ჩრდილოეთისაკენ)— ციხესიმაგრე, რომელსაც „ყარაულას“ ეძახდნენ[33].

---

23 პირველი იმერეთის („ბარის“) ერისთავებს ეკუთნოდათ, მეორის ნაწილი — თავად ჩიჯავაძეებს, ნაწილი კი — იმავე ერისთავებს.

24 სცია, ფ. 227(2), საბ. №№ 57, 84. იგულისხმება „საჩიჯავაძოს“ მხოლოდ მცირე ნაწილი, „უშვილოდ ამოწყვეტილი“ ჩიჯავაძეთა გვარის ერთი წევრის მამული.

25 ქუთ. მუზ. საბ. №№ 89, 1765.

26 ი ქ ვ ე, საბ. № 1771.

27 ი ქ ვ ე, საბ. № 1716.

28 სცია, ფ. 227(2), საბ. №№ 53, 64, 65.

29 ი ქ ვ ე, საბ. № 85.

30 ქუთ. მუზ. საბ. №№ 872, 966, 1696, 1783, 2312.

აგიაშვილების ადგილ-მამულის დადგენისას ესარგებლობდით აგრეთვე სოფ. ტყაჩირის მცხოვრები (80 წლის) ტარიელ იულონის ძე აგიაშვილის ცნობით, რომელიც ჩავიწერეთ იქვე 1959 წლის აგვისტოს.

ტარიელი წარმოშობით აზნაურია. მისი წინაპრები, მისივე გადმოცემით, თავად აგიაშვილებს მოურავებად ჰყოლიათ.

31 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1699, 1783.

32 ეს ეკლესია, ერისთო კახაიას ცნობით, ოციოდე წლის წინათ დანგრეულა (იგულისხმება ცნობის ჩაწერის დროიდან — 1949 წ-დან).

33 ამჟამად „ყარაულას“ მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. ეს ციხე 1810 წელს დაანგრიეს იმერეთის მმართველის სიმონოვიჩის განკარგულებით (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1695). იმ ადგილას, სადაც „ყარაულას“ ნანგრევებია, ადგილობრივი მოსახლეობა დღეს „ყარაულას მინდორს“ ეძახის.

ტყაჩირშიეე იყო აგიაშვილების ტაძარი, აგებული წმინდა კვირიკესა და ივლიტეს სახელზე, „რომელსა შინა“ ჰქონდათ ამ საგვარეულოს წევრებს თავიანთი „უკანასკნელი წილხდომა“, ე. ი. საძვალე[34].

აგიაშვილებს ჰქონდათ აგრეთვე საგვარეულო მონასტერი სოფ. ჭალისთავში. ეს მონასტერი ქაიხოსრო აგიაშვილის პაპამ ავაგმა ააგო ღვთისმშობლის სახელზე ჯერ კიდევ XVII ს-ში და ამ სოფლის უმეტესი ნაწილიც მანვე „განისაკუთრა“[35].

აგიაშვილების ადგილ-მამულზე მათი ყმები ისხდნენ. აგიაშვილების ყმა გლეხები იყვნენ: ძოძუაშვილები, კოპაძეები, გვენეტაძეები, ჯანელიძეები, ჩხობაძეები, გიგატაძეები, სირბილაძეები, ჭელიშვილები, მესხორაძეები, სილაგაძეები, ბურჯანაძეები, კოღუაშვილები, ბოჭორიშვილები, კაპანაძეები, ლანჩავა, კახაია, ნოსელიძეები, ბერაძეები, გოდუაძეები, სინაურიძეები, ლაფერაძეები, გუბელაძეები, ვარდოსანიძეები, მერკვილაძეები, ნინიძეები, გორდელაძეები, რამინაშვილები, ქასრაშვილები, ჭინჭველაშვილები, ვაჭარაძეები, მენაფირე, გურული, ბილისეიშვილები, დათუაძეები, განთენაძეები, ფოცხიშვილები, ხუციშვილები, რიჟამაძეები, კოკელაძეები, ქათამაძეები, კალმახელიძეები, ლომჯარიები, კოჩივარე, კუპრაშვილები, ხოტევილიშვილები, ცანციძეები და სხვ[36].

---

34 იხ. წმინდა კვირიკესა და ივლიტეს ხატის წარწერა, ქუთ. მუზ. ძეგლი № 3187.

35 ქუთ. მუზ. საბ. № 996.

ამ საბუთში მოხსენიებული ქაიხოსრო აგიაშვილის პაპა ავაგი და ალექსანდრე III-ის 1658—1660 წლების სიგელში დასახელებული ციხისთავე იოვანე ომათძათიძის შვილი ავაგი (ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავეთა შესახებ..., საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 91) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ქაიხოსროს პაპის მოღვაწეობა XVII საუკუნეშია საეარაუდო. ჭალისთავის მონასტრის აშენებაც ამ დროს უნდა მიეკუთვნოს.

ავაგის შემდეგ ეს მონასტერი „მაჰმადიანთა მძლავრობითა“ „საფუძვლამდე“ დარღვეულა და „ადგილი იგი ყოვლითურთ უვალად კაცთა“ შექმნილა. მაგრამ სოლომონ პირველის მიერ იმერეთიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ (XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასასრული) ქაიხოსრო აგიაშვილმა ეს მონასტერი ისევ განაახლა და „შეამკო“ „ყოვლითა ეკლესიათა სამკაულითა“. ეს საქმე მან 1783 წლის 10 მაისისათვის უკვე მოათავა და აღნიშნულ რიცხვში თავის მონასტერს მრავალი ყმა-მამულიც შესწირა (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 996).

36 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1696; 1719, 1720, 1721, 2312; სცია, ფ. 227(2), საბ. № 53; ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავეთა შესახებ.., გვ. 91.

აგიაშვილების აზნაურები იყვნენ: ყიფიანები, ავალიანები, ჟორჟოლაძეები, ტყავაძეები, ჯემნარაძეები, იაშვილები, აგიაშვილები (ბესია და კიკოლა) და ბაკისუბნელი თავდგირიძეები[37].

აგიაშვილების ყმათა საერთო რაოდენობა წყაროებში ნაჩვენები არ არის. მაგრამ „გარდაცვალებულის იოანე აგიაშვილის შესახდომელი მამულის სიიდან"[38] ჩანს, რომ მის მფლობელობაში იყო 69 კომლი ყმა-გლეხი, 7 კომლი აზნაური და 2 კომლი ვაჭარი („ურია")[39]. სულ 78 კომლი. იოანეს „შესახდომელი" აგიაშვილების ყმათა მეხუთედს წარმოადგენდა[40]. აქედან, ცხადია, რომ მათი ყმათა საერთო რიცხვი 390 კომლს უდრიდა. ეს იმის შემდეგ, რაც 1811—1812 წწ. იმერეთის სამეფოში „საშინელი სიყმილისა" და „მომსვრელი სენის" გამო აგიაშვილების ყმათა დიდი ნაწილი „აღიხოცა"[41], ამიტომ „სიყმილამდე" ამ საგვარეულოს ყმათა საერთო რაოდენობა ბევრად მეტია სავარაუდებელი.

აგიაშვილების სათავადოს XVII ს. მეორე ნახევრიდან საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა[42]. შეუვალობა ამ საგვარეულომ ბოლომდე შეინარჩუნა. 1810 წ. ცნობით, აგიაშვილების ყმათა საერთო რიცხვიდან (390 კომლი) სამეფო საურს იხდიდა მხოლოდ 40 კომლი, საუდიეროს კი — არც ერთი[43].

აგიაშვილები თავიანთ სათავადოს მართვაში მოხელეებს იყენებდნენ. ამ საგვარეულოს სამოხელო აპარატში ვხედავთ: მოურავს, ციხისმოურავს, ზვინდართუხუცესს, ხელოსანს და მდივანს[44].

---

37 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1696, 1704, 2312; სცია, ფ. 226(1), საბ. № 2805; ფ. 227(2), საბ. № 85; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის ციხისთავთა შესახებ... გვ. 91.

38 იოანე აგიაშვილი 1835 წ. ახლო ხანს უნდა იყოს გარდაცვლილი (იხ. ამაზე ქვემოთ). სიაც, ალბათ, ამ დროსაა შედგენილი.

39 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1696.

40 იოანეს ოთხი ძმა ჰყავდა. იხ. ქვემოთ.

41 ქუთ. მუზ. საბ. № 1695. იხ. აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბილისი, 1954, გვ. 388.

42 საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 91—95.

43 Акты, т. IV, стр. 256.

44 ქუთ. მუზ. საბ. №№ 93, 1701, 1739; ო. ს ო ს ე ლ ი ა. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 173, 189—191, 197; მ ი ს ი ვ ე, მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის..., იქვე, გვ. 163.

სასულიერო მსახურთაგან კიდევ — „კარის დეკანოზს“ და „კარის მწირველ მღვდელს“, რომელიც ხშირად მდივნის მოვალეობასაც ასრულებს[45].

ამ სათავადოში იმდენი მოურავია, რამდენიც სოფელი თუ მამულია. სამოურავო ტერიტორია აქ მტკიცედ არის განსაზღვრული: სოფელ პატრიკეთს თავისი მოურავი ჰყავს, რომელსაც წყაროები პატრიკეთის მოურავს ეძახიან[46]. სოფელ ტყაჩირს კიდევ — ტყაჩირის მოურავი[47].

ასევე ხელოსანი ანუ მოხელეც იმდენია, რომდენიც აგიაშვილთა „ალაგია“. მაგალითად: „ვერხვნალის“ მოხელედ 1807 წელს გიგია კოლუაშვილია დასახელებული, ხოლო „ნაფეტვარას“ მოხელედ 1810 წელს — ივანიკა კაპანაძე[48].

მოურავის თანამდებობაზე აგიაშვილების სათავადოში ეხედავთ მათ აზნაურებს: ტყავაძეებს, ყიფიანებს, ჟორჟოლაძეებს[49]. ზვინდართუხუცესის სახელოც 1706 წელს აზნაურ თამაზა ყიფიანს უპირავს[50]. ციხის მოურავის თანამდებობა ამავე წელს აზნაურ ლევან ტყავაძეს უკავია. 1795 წლის ახლო ხანშიც — ლევან II ტყავაძეს[51]. კარის დეკანოზად 1798 წ. პეტრე კუპრაშვილი იხსენიება[52]. კარის მწირველ მღვდლად 1795, 1798 წწ. გიორგი ავალიანი ჩანს. შემდეგ კი — მისი სახლიკაცი უგნატე[53]. ხოლო მდივნად კიდევ სხვა გიორგი ავალიანია დასახელებული[54].

უფრო დაბალ, ხელოსნის თანამდებობაზე აგიაშვილების სამფლობელოში, ისე როგორც სხვა სათავადოებში, ყმა გლეხები გვხვდებიან. ზემოხსენებულ კოლუაშვილსა და კაპანაძეს გარდა, ხელოს-

---

45 ქუთ. მუზ. საბ. № 1703, 1763; სცია, ფ. 226(1), საბ. № 5839; ო. სოსელია. მასალები დას. საქ. სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, გვ. 190, საბ. № 18.

46 ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., გვ. 190.

47 იქვე.

48 ო. სოსელია. მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის..., საბ. № 4, გვ. 163; ქუთ. მუზ. საბ. № 15.

49 ო. სოსელია. მასალები დას. საქ. სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, გვ. 173, 190—191; მისივე. მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის..., გვ. 162—163.

50 ო. სოსელია. მასალები დას. საქ. სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, გვ. 173.

51 იქვე, გვ. 173, 190.

52 ქუთ. მუზ. საბ. № 1703.

53 იქვე, საბ. №№ 1703, 1706, 1710, 1763, 1766; სცია, ფ. 226(1), საბ. № 5839.

54 ქუთ. მუზ. საბ. № 93.

ნებად არიან მოხსენიებული: ლაფერაძე ხოსიკა 1706 წელს, ბოჭორიშვილი სიმონ — 1795 წ., ბერაძე სვიმონიკა — 1795—1817 წლებში[55], ძაძუშვილი დავითელა — 1807 წ. და სინოურიძე გიორგი[56].

აგიაშვილებს იმერეთის სამეფოს სამოხელეო აპარატში მაღალი თანამდებობები ეჭირათ. სხვა თანამდებობაზე ადრე ამ საგვარეულომ ციხისთავობა მიიღო. ციხისთავობას აგიაშვილები, როგორც ზემოთ ვნახეთ ჯერ კიდევ ომათმათიძეობის პერიოდში ფლობდნენ[57]. ომათმათიძეებმა ეს სახელო ღოღობერიძეების შემდეგ მიიღეს. ღოღობერიძე კი ამ თანამდებობაზე უკანასკნელად ჩანს 1545 წელზე ცოტა ადრე[58]. აღნიშნულ წელს ციხისთავი ღოღობერიძე ცოცხალი არ არის. „უშვილოდ" გადასულს მას თავისი მამული „ნაშვილეობით" ბაგრატ მეფისთვის მიუცია და უკანასკნელი ამ მამულს გელათის წმინდა გიორგის სწირავს[59].

არ უნდა იყოს სწორი პ. გნილოსაროვის ცნობა და ს. კაკაბაძის ვარაუდი იმერეთში ერთ დროს ჩიჯავაძეთა ციხისთავობის შესახებ[60].

---

55 ო. ს ო ს ე ლ ი ა. მასალები დას. საქ. სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, გვ. 173, 190—191.

56 ქუთ. მუზ. საბ. № 1701; ო. ს ო ს ე ლ ი ა. მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის..., გვ. 163.

57 ალექსანდრე III-ის 1658—1660 წწ. წყალობის წიგნში მოხსენიებული იოვანე ომათმათიძის მამის არმაბეგის (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 91) მოღვაწეობის დასაწყისი XVI საუკუნის მეორე ნახევარსაც უნდა წვდებოდეს.

58 საქართველოს სიძველენი, I, გვ. 20; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, ტფილისი, 1914, გვ. 67; ქრონიკები, II, გვ. 340.

პირველად ციხისთავის თანამდებობაზე იხსენიება ესტატე ღოღობერიძე 1488 წ. (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 25). მასზე ადრე (1486—1488 წწ. შუა) კი ციხისთავობა თულქამ ჭილაძეს აქვს (იქვე, გვ. 21). ამგვარად, ღოღობერიძეებს ციხისთავობა ჭილაძეების შემდეგ მიუღიათ).

59 საქართველოს სიძველენი, I, გვ. 20.

60 იხ. П. Г н и л о с а р о в. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, Кавказский Календарь, 1959, стр 438; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, გვ. 88—89.

1673 წელს ციხისთავობა, როგორც ზემოთ ითქვა, აგიაშვილთა საგვარეულოს წევრს, ვახტანგს, აქვს. მასზე ადრე კი ეს თანამდებობა მის მამას ჰქონია[61].

ციხისთავი, როგორც ამ თანამდებობის სახელიდან ჩანს, ციხის უმაღლესი გამგებელი იყო. ფეოდალურ ეპოქაში ციხე მარტო სიმაგრეს როდი წარმოადგენდა. ციხის ფარგლებში შედიოდა ადგილ-მამული, „წყარო-წისქვილი", სოფელი, ეკლესია, აზნაური, მსახური, გლეხი[62]. ე. ი. ციხეს თავისი მეურნეობა გააჩნდა.

ციხეს ამ ეპოქაში ჰქონდა როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე ეკონომიური და ადმინისტრაციული მნიშვნელობა[63]. ომის დროს ციხე იყო სიმაგრე, მოსახლეობის თავშესაფარი, თავდაცვის საშუალება. მშვიდობიანობის დროს კი „გარემოს ციხისა" მცხოვრები ვაჭრები საალებმიცემო საქმიანობას ეწეოდნენ[64]. ციხე იყო ამავე დროს გარკვეული კუთხის ადმინისტრაციული ცენტრი. ციხე ადევნებდა თვალყურს მოსახლეობაში მშვიდობიანობის დაცვას, ციხეში „აბამდნენ" ადმინისტრაციული თუ ბატონყმური წესრიგის დამღრვევთ[65].

ურთიერთ შორის მებრძოლ მხარეთა გამარჯვება ამ დროს ციხეთა აღებაზე იყო დამოკიდებული. ციხეში ჩამდგარი ურჩი თავადის ძალის წინაშე იმერთა მეფე არაერთხელ „უკუქცეულა..."[66]. მეფე-მთავართა თუ თავადთა ძლიერების საყრდენი იყო ციხე, გამაგრებული მათი ყმათა შეიარაღებული რაზმით.

ციხის ასეთი მნიშვნელობა განსაზღვრავდა ციხისთავის უფლება-მოვალეობასაც. იგი სამხედრო-ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე მოხელე იყო. ციხისთავი ძველად იყო სამეფო ციხეების მოურავების უფროსი[67].

---

61 იხ. ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., გვ. 94.

62 დას. საქ. სპეკლ. საბ. II, გვ. 3, 17; ს, კაკაბაძე, იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., გვ. 91.

63 ფეოდალური ხანის ციხის მნიშვნელობის შესახებ იხ. კ. გრიგოლიას საკანდიდატო დისერტაცია „იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება მე-17 საუკუნეში" (ხელნაწერი), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა. გვ. 70—77.

64 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1695.

65 იქვე, საბ. №№ 1722, 1742, 1772, 1773.

66 იხ. ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 222—223, 226, 234.

67 П. Гнилосаров. О царе Соломоне II..., Кавказский Календарь, 1859, стр. 438; ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 86.

ციხისთავის თანამდებობა აღმოსავლეთ საქართველოში ძველი დროიდანვე იყო ცნობილი[68]. დასავლეთ საქართველოში კი ეს სახელო XV საუკუნეზე ადრე არ გვხვდება[69].

ეხება რა ს. კაკაბაძე სპეციალურად იმერეთში ციხისთავის თანამდებობის დაწესებისა და მნიშვნელობის საკითხს, აღნიშნავს: „ციხისთავობა იმერეთში წინანდელი ხანის ამირსპასალარობის მაგიერი იყო". XV—XVI სს. ციხისთავობა აქ „სავაზირო თანამდებობაა შეადგენდა". მაგრამ სარდლის სახელოს შემოღების შემდეგ, რაც მისი აზრით 1639—1660 წწ. უნდა მომხდარიყო, „ციხისთავის თანამდებობის მნიშვნელობა რამდენადმე შემცირდებოდაო"[70].

სწორია ს. კაკაბაძე. ციხისთავობა იმერეთის სამეფოში რომ მართლა მაღალი თანამდებობა იყო, ეს ჩანს როგორც მის მიერ მითითებულ, ისე სხვა მასალებიდანაც. მაგალითად, ალექსანდრე იმერთა მეფის 1651 წლის საფიცრის წიგნში ციხისთავი თავისი თანამდებობრივი ღირსებით ამ დროს სახლთუხუცესზე წინ დგას[71].

რაც შეეხება სარდლობის შემოღების შემდეგ ციხისთავის თანამდებობის მნიშვნელობის შემცირებას, ესეც სწორად გვეჩვენება. ამაზე ცნობა პ. გნილოსაროვის ჩანაწერებშიც მოიპოვება[72].

ციხისთავობა აგიაშვილთა საგვარეულომ დიდხანს შეინარჩუნა. თუ ომათმათიძეობის დროს არ ჩავთვლით, ეს მაღალი თანამდებობა ეჭირა ამ გვარს XVII ს. 70-იან წლების დამდეგიდან იმერეთის სამეფოს არსებობის მთელს პერიოდში, რამდენიმე ხნის გამოკლებით.

ციხისთავობა და მასთან დაკავშირებული ცუცხვათის ციხე გიორგი აბაშიძეს ეკავა თავის ძლიერების დროს (1685—1711 წწ.), 1711—1721 წლებს შუა ხანში კი ეს ციხე მის ძმისწულს ზურაბ აბაშიძეს ჰქონდა[73]. 1720—1735 წწ. დაწერილ ერთ უთარიღო ფიცის წიგნში იგი თავის თავს ციხისთავად ასახელებს[74]. მაგრამ 1743

---

68 იხ. VI ს. წყარო „მარტვილობაჲ ევსტათი მცხეთელისა", ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 44—54; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. მეორე, ნაკვ. პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 207.

69 იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 86—87

70 ი ქ ვ ე, გვ. 86—89.

71 იხ. სტოლნიკი ტოლორჩანოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193.

72 იხ. მ ი ს ი. დასახ. ნაშრ., გვ. 438.

73 იხ. ზემოთ, აბაშიძეთა სათავადო, გვ. 166—167, 178, 181.

74 დოკუმენტები... I, საბ. № 624. გვ. 445—446.

წ. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში დამარცხებული ზურაბი იძულებული გახდა ქართლს გადახვეწილიყო[75]. ხოლო გამარჯვებულმა ალექსანდრე V-ემ ციხისთავობა და „საციხისთო მამული“ თავის ერთგულ სვიმონ აგიაშვილს უბოძა[76].

ციხისთავის სამფლობელო იმერეთში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოცულობისა იყო. თავდაპირველად იგი მეტად ვრცელი ჩანს. XVI ს. მეორე ნახევარსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში ციხისთავ არმაბეგს ეჭირა: „ქართლის საზღვარს აქეთ, რველს აქეთ და აწყვერის საზღვარს აქეთ, ვახანის ციხე, ქვები, ბაბი, მოლითი, რაც რომ მისი შემავალი იყო, აზნაური თუ გლეხი“, მათი ადგილ-მამულით[77].

1658—1660 წლებში როგორც ალექსანდრე III-ის სიგელიდან ჩანს, ციხისთავი იოვანე ომათმათიძე ზემოხსენებულ ადგილებს ისევ უკლებლივ ფლობს[78]. მაგრამ აღნიშნული წლების შემდეგ ვახანის ციხე და მისი მიმდგომი ადგილები ციხისთავს აღარ უკავია. იგი არგვეთის ძლიერ თავადს აბაშიძეს აქვს მიტაცებული[79]. 1711 წელს, როცა ამ საგვარეულოს წევრი ვახუშტი ქართლის მეფეს ეყმო, ეს ტერიტორია, როგორც მისი წილხდომილი მამული, ქართლის სამეფოს საზღვრებში შევიდა[80]. ციხისთავის სახელო ადგილი კი იმერეთში ჯერ კიდევ XVII ს. 60—70-იან წლებში ცუცხვათის ციხითა და მისი სანახებით განისაზღვრა. 1673 წელს ვახტანგ ციხისთავის ხელში მხოლოდ ამ ციხეს ვხედავთ[81]. ეს თავისთავად ციხისთავის უფლების შემცირება იყო.

---

75 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 236.

76 სცია, ფ. 227(2), საბ. № 78.

77 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 91.

78 იხ. ი ქ ვ ე.

79 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 235. იხ. აგრეთვე აბაშიძეთა სათავადო, გვ. 162.

80 იხ. აბაშიძეთა სათავადო, გვ. 162.

81 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., გვ. 94.

ვახანისა და ცუცხვათის ციხეებს გარდა, თავდაპირველად ციხისთავის სახელო უნდა ყოფილიყო სხვა სამეფო ციხეებიც. მაგალითად, ქუთაისის ციხე (იხ. ამაზე კ. გრიგოლიას ზემოხსენებული საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 77). მაგრამ ციხისთავის სამფლობელოში არ არის მოხსენებული იმიტომ, რომ ბაგრატ იმერთა მეფის 1673 წ. წყალობის წიგნის დაწერის დროს ის ოსმალთა ხელთ იყო (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 205) და მეფეს ციხისთავისათვის მისი ბოძება აღარ შეეძლო. ალექსანდრე III-ის 1658—1660 წწ. სიგელში კი ამ ციხის მოუხსენებლობა იმით უნდა აიხსნას, რომ ის „საციხის-

ციხისთავის ძირითადი მოვალეობა მტრის თავდასხმის დროს მოსახლეობის ციხეში შეფარება, ქვეყნის დაცვა და მტერთან ბრძოლის ორგანიზაცია იყო. მშვიდობიანობის დროს კი იგი ადმინისტრაციულ წესრიგს იცავდა.

ციხისთავის ხელქვეითი მოხელეები იყვნენ: ციხის მოურავები და მეციხოვნეები.

ციხისთავს უფლება ჰქონდა „სასამართლო საქმეზე" თუ სხვა რამ „ავკაცობაზე", დამნაშავისათვის „ხელმწიფის მეციხოვნენი" ჩაეყენებინა[82] ან კიდევ დაეპატიმრებინა და დაესაჯა ბოროტმოქმედი.

ციხისთავის სამფლობელოში შემავალი მოსახლეობა ციხის გარნიზონისა და უფრო კი მის უფროსთა სასარგებლოდ განსაზღვრულ გადასახადს იხდიდა, რომელსაც „საციხო" ეწოდებოდა. „საციხოს" გარდა, რომელიც უფრო ნატურის სახით იკრიბებოდა[83], ციხის მიდამოებში თუ სხვაგან მოსახლე ყმა გლეხებს ციხის „სამსახურიც" მართებდათ[84].

აგიაშვილთა საგვარეულოს ჰქონდა მეორე დიდი თანამდებობა — სარდლობა. აქ მოკლედ შევჩერდებით იმერეთის სამეფოში სარდლის თანამდებობის შემოღების საკითხზე და ამ თანამდებობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობაზე.

სარდლის თანამდებობა იმერულ საბუთებში პირველად 1661 წ. იხსენიება[85]. ეს სახელო აღნიშნულ წელს ზაალ წერეთელს ებოძა[86]. როდის, რა პირობებში მოხდა დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროებში ამ თანამდებობის დაწესება სპეციალურად შესწავლილი არ არის. ს. კაკაბაძე შეეხო ამ საკითხის ზოგიერთ მხარეს და, ვახუშტის ერთ ცნობაზე დაყრდნობით, გამოთქვა ვარაუდი: იმერეთის სამეფოში სარდლის თანამდებობის შემოღება ალექსანდრე III-ის დროს, 1639—1660 წლებში უნდა მომხდარიყოო[87]. ეს ვარაუდი სწორად გვეჩვენება, მაგრამ თარიღი შეიძლება

თო... ყოველივეშია" ნაგულისხმევი (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., გვ. 91).

82 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 14762.

83 იხ. პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 437—438.

84 ქუთ. მუზ. საბ. № 83.

85 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 22, გვ. 33.

86 ი ქ ვ ე.

87 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 87—88.

უფრო დაზუსტდეს. ალექსანდრე მესამის 1651 წ. ფიცის წიგნში, სადაც იმერეთის სამეფოს ყველა დიდი სასულიერო და საერო ხელისუფალია დასახელებული, სარდლის თანამდებობის მქონე პირი არ ჩანს[88], რაც შემთხვევითი მოვლენა არ შეიძლება იყოს. ხოლო 1661 წ. კი ზემოიმერეთის სასარდლოს არსებობა უკვე ფაქტია[89]. აქედან ცხადია, რომ ზემოიმერეთის სასარდლოს დაწესება 1651—1661 წწ. შუა მომხდარა. იმერეთის სხვა სასარდლოების დაწესებაც ამ დროსაა საგულისხმებელი.

სასარდლო ანუ სადროშო წარმოადგენდა განსაზღვრულ სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულს, რომლის სათავეში სარდალი იდგა. ამა თუ იმ სასარდლოში სამხედრო ხაზით ერთიანდებოდნენ მისი მიმდგომი სათავადოები. სათავადოდან გამოსულ ლაშქარს თვითონ თავადი მეთაურობდა, მაგრამ სასარდლოში თავმოყრილი მხედრობის საერთო უფროსობა სარდლის კომპენტენციაში შედიოდა. სარდალი კი ცენტრალური ხელისუფლების მოხელე იყო.

XVIII ს. მეორე ნახევრამდე იმერეთის სამეფოში ოთხი სასარდლო არსებობდა: რაჭის, არგვეთის (ზემო იმერეთი), ვაკისა და ოკრიბა-ლეჩხუმის[90]. რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1769 წ.), რაჭის სასარდლოც გაუქმდა და დარჩა მხოლოდ სამი სასარდლო.

რაჭის სასარდლო მოიცავდა: რაჭის ერისთავების, წულუკიძეების, იაშვილების, ჯაფარიძეების, ყიფიანების სათავადოებს;

არგვეთის — წერეთლების, აბაშიძეების, მხეიძეებისას;

ვაკის — ჩხეიძეების, ლორთქიფანიძეების, მიქელაძეების, ჩიჯავაძეების, ნიჟარაძეების, აგიაშვილების, ღოღობერიძეებისას;

ოკრიბა-ლეჩხუმის — ლაშხიშვილების, ინასარიძეებისა და ახვლედიანების სათავადოებს.

ამ სასარდლოებში შედიოდა აგრეთვე ტერიტორიულად მათი მიმდგომი საეკლესიო სენიორიებიდან, საუფლისწულოებიდან, სამეფო დომენიდან და სხვა სამფლობელოებიდან გამოყვანილი ლაშქარიც.

---

88 იხ. სტოლნიკი. ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა..., გვ. 193—195.

89 იხ. ისტორიული დოკუმენტები .იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 22, გვ. 33.

90 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 162—165.

ვახუშტის ცნობით, მის დროს (XVIII ს. პირველი ნახევარი) საჩხეიძეო, საჩინო, ვაკე იყო პირველი სადროშო, არგვეთი — მეორე, რაჭა — მესამე, ხოლო ოკრიბა-ლეჩხუმი — მეოთხე (იხ. იქვე).

სარდლის სახელო, ისე როგორც სხვა სახელოები, მემკვიდრეობით ეპყრათ გარკვეულ თავადურ საგვარეულოებს: „ზემო ქვეყნის“ ანუ „ზემო მხარის“ (ზემო იმერეთი) სარდლობა წერეთელს ჰქონდა, ვაკისა (ქვემო იმერეთი) — წულუკიძეს, ოკრიბა-ლეჩხუმის — აგიაშვილს, რომელიც „წინამავალ“ ე. ი. მეწინავე სარდლად იწოდებოდა[91] და რაჭისა — რაჭის ერისთავს.

ოკრიბა-ლეჩხუმის სადროშო იყო „მეფისა თანა მყოფი“[92]. ამ სადროშოში დგებოდა მეფე თავისი ამალით.

იმერეთის სარდლებიდან, გვიანდელი ცნობით, მთავარ სარდლად ზემო იმერეთის სარდალი წერეთელი ითვლებოდა. გარდა ამ კუთხის ჯარისა, 1769 წლიდან უშუალოდ მას ექვემდებარებოდა რაჭიდან გამოსული ჯარიც. ომიანობის დროს კი მთელ იმერეთის ლაშქარს იგი ხელმძღვანელობდა[93].

სარდალ წერეთელს ორი დროშა ჰქონდა: ერთი მწვანე აბრეშუმის, რომელზედაც გამოსახული იყო „ძლევამოსილი წმინდა გიორგი“ და მეორე — წითელი აბრეშუმის, რომელზედაც ეხატა ქრისტეს ჯვარცმა[94].

სხვა სარდლებს მხოლოდ თითო-თითო დროშა ჰქონდათ[95].

სარდალი თავის სასარდლოში დიდი უფლებით სარგებლობდა: „იქაური საქმე“ „გასაცემი“ თუ „წასახდენი“ მას ეკითხებოდა. ამას გარდა, სადროშოში შემავალ მოსახლეობას სარდლის „სამართალი“ უნდა გაეგონა. ლაშქრობისას კიდევ თავის დროშის სარდალს უნდა გაყოლოდა[96].

ამ უფლებებთან ერთად, სარდალს თავისი თანამდებობა გარკვეულ სარგებლობასაც აძლევდა: „ოდეს იქნებოდა ზედაცემა მტერთა“, ყოველგვარი სამეფო ნადავლის (ტყვე, იარაღი, „თეთრი თუ საქონელი“) და ლაშქრისათვის განკუთვნილი „პრავიანტის“

---

91 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. №№ 22, 52, 118; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, საბ. № 5, გვ. 172—173; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 75, 81, 83, 99, 103; ქუთ. მუზ. საბ. № 1695; პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 438.

92 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 165.

93 პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 438.

94 ი ქ ვ ე.

95 იხ. ი ქ ვ ე.

96 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 1995; ფ. Sd, საბ. № 1200; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, საბ. № 22.

„ათისთავი“ სარდალს ეძლეოდა, ხოლო „მხედრობათაგან — რომელსა ეწოდების ფანჯიაქი“[97].

ამასთან, ზემო იმერეთის სადროშოს მოსახლეობა „სასარდელედ“ ყოველ მესამე წელს თითო კოკა ღვინოს იხდიდა[98]. მაგრამ ეს უკანასკნელი ოკრიბა-ლეჩხუმისა და ვაკის სარდალთა სარგოში არ ჩანს[99].

სარდლის თანამდებობაზე აგიაშვილთა გვარის წარმომადგენელს პირველად ვხედავთ 1712 წელს. პირველი ისტორიულად ცნობილი სარდალი ამ გვარში სვიმონ აგიაშვილია[100]. აღნიშნული წლიდან იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე ამ სამეფოს „წინამავალი სარდალი“ აგიაშვილთა გვარის წევრი იყო[101]. უკანასკნელად ეს თანამდებობა წილად ხვდა იოანე აგიაშვილს, რომელიც თავის თავს ტრადიციით 1817 წელსაც სარდალს ეძახის[102], მაგრამ იმერეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად 1810 წელს, ხინამდვილეში მისი ხელისუფლებაც გაუქმდა.

ციხისთავისა და სარდლის სახელოებს გარდა, აგიაშვილთა საგვარეულოს 1753 წლიდან ეპყრა მესამე დიდი თანამდებობა — ქეშიკთუხუცესობა[103]. ამ სახელოს პირველი მატარებელი ის ქაიხოსრო აგიაშვილია, რომელსაც შემდეგ, 1777 წელს, სარდლობაც უპირავს[104].

1753 წლიდან დაწყებული, იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე, მცირე ხნის გამოკლებით, ქეშიკთუხუცესის თანამდებობაც აგიაშვილთა გვარს ეკავა[105].

---

97 ქუთ. მუზ. საბ. № 1695.

98 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1200.

99 ქუთ. მუზ. საბ. № 1695.

100 სცია, ფ. 227(2), საბ. № 50.

101 ქუთ. მუზ. საბ. № 1695.

102 ო. ს ო ს ე ლ ი ა. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, საბ. № 25, გვ. 197.

103 სცია, ფ. 227(2), საბ. № 66; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 95.

104 სცია, ფ. 227(2), საბ. № 68.

არ არის სწორი ს. კაკაბაძე, როცა ქაიხოსრო აგიაშვილის სარდლად მოხსენების უადრეს თარიღად 1784 წელს დებს. იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

105 ქუთ. მუზ. საბ. № 1695.

აღსანიშნავია, რომ 1753 წლის შემდეგ ერთ ხანს (1759 წ.) ქეშიკთუხუცესობა გიორგი მხეიძეს ჰქონდა (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საეკლ. რეფორმებისათვის...,

ქეშიკთუხუცესი ქეშიკების უფროსი იყო[106]. უკანასკნელნი ასრულებდნენ ქეშიკთუხუცესის განკარგულებას.

ქეშიკები იცავდნენ სამეფო კარს. მათგან სამი, იარაღით ხელში, მოუცილებლად ახლდა მეფეს. ღამე მეფის საწოლთან იდგნენ, თან სდევდნენ მას ყველგან. მაშინაც კი, როცა იგი დედოფლის დასასვენებელ ოთახში მიდიოდა, კარებთან ელოდებოდნენ მეფეს გამოსვლამდე.

სოლომონ II-ის მეფობაში (1789—1810 წწ.) მის ქეშიკებად მხოლოდ სამეფო სოფლის ბანოჯის მკვიდრნი იყვნენ[107].

აგიაშვილებს ქეშიკთუხუცესის სახელოსაგანაც დიდი შემოსავალი ჰქონდათ. ქეშიკთუხუცესს ეძლეოდა:

1. მეფეთა მიერ „წყალობად თუ საჩუქრად" გაცემულ „იარაღისა და აბჯრის" ღირებულების „ათის თავი";

2. მეფეთა მიერ „უმამულოდ" გაცემულ ან „აყრილ" „კაცის სულსა ზედა" ხუთი მარჩილი;

3. დაპატიმრებულ და „შემდგომად შენანებისა" განთავისუფლებულ ქურდ-ავაზაკთაგან „საბორკილო" ფულის სახით, შეძლებისდაგვარად;

4. „ულუფა" და თითო ხელი „შესაფერი" ტანისამოსი ყოველწლიურად[108].

ასეთი იყო ის შემოსავალი, რომელსაც აგიაშვილები ქეშიკთუხუცესობისაგან ღებულობდნენ.

სოლომონ I-ის დროს აგიაშვილების საგვარეულო სახელოები (ციხისთავ-სარდალ-ქეშიკთუხუცესობა) ამ გვარის ერთი წევრის — ქაიხოსროს — ხელში იყო გაერთიანებული[109]. ეს იყო ცენტრალუ-

---

გვ. 5). მასზე უფრო ადრე, 1736 წელს, ქეშიკთუხუცესად კაცია ჩიქვანს ვხედავთ (იხ. ქვემოთ, ჩიქვანთა სათავადო, შენიშვნა 39). 1766 წლის ახლო ხანს ეს თანამდებობა მხეიძეს უკვე ჩამორთმეული აქვს (იხ. ზემოთ, მხეიძეთა სათავადო) და წინანდელ მფლობელს ქაიხოსრო აგიაშვილს უპირავს (იხ. ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11.).

106 ქუთ. მუზ. საბ. № 1695; პ. გნილოსაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 439—440.

ქეშიკი სპარსული სიტყვაა. ნიშნავს მცველს, ყარაულს (დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა. გამოც. პ. უმიკაშვილისა, 1886, იხ. ლექსიკონი), ქეშიკთუხუცესი — მეფის მცველთა უფროსს.

107 იხ. პ. გნილოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 439—440.

108 ქუთ. მუზ. საბ. № 1695. იხ. აგრეთვე პ. გნილოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 439—440.

109 სცია, უ. 227(2), საბ. № 68.

რი ხელისუფლებისადმი თავადის დამორჩილების მიზნით გატარებული ღონისძიება: რამდენადაც მეფემ „გარეთელი" მოხელე ციხისთავი სარდალ-ქეშიკთუხუცესადაც დასვა, იგი ცენტრს უხდა დაქვემდებარებოდა.

თანამდებობათა ასეთი შეთავსება აგიაშვილთა გვარში სოლომონ I-ის შემდეგაც გრძელდება. 1795 წლიდან სარდალ-ციხისთავ-ქეშიკთუხუცესად ქაიხოსროს პირმშო შვილი იოვანე იხსენიება[110].

აგიაშვილების სახლის წევრთა შორის ყოველთვის ერთნაირი დამოკიდებულება არ იყო. XVIII ს. შუა წლებამდე ამ საგვარეულოში თანხმობაა. 1751 წელს კი აგიაშვილები გაყრილი ჩანან. აღნიშნულ წელს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი და მისი ძმისწული გიორგი აძლევენ რა „ძმობისა და ერთობის წიგნს" თავიანთ სახლიკაცს ქაიხოსროს, აღნიშნავენ: „ცალ-ცალკე ვიყავით და ორივემ მოვინდომეთ და გავერთდით და ჩემ-ჩემი ძიმულ-ალაგი გაგიერთეთო"[111].

ამ „გაერთიანების" შემდეგ ქაიხოსროსა და ბერი აგიაშვილებს შორის დავა გაჩნდა პატრიკეთის გამო. მაგრამ „ხელმწიფის მეფის სოლომონის ბრძანებით" ისევ მორიგდნენ[112].

ეს მორიგებაც ხანგრძლივი არ იყო. აგიაშვილებს შორის უთანხმოებამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო და სოლომონ I-სა და მის დარბაზის წევრებს ისევ მალე მოუხდათ ამ საგვარეულოს საქმის გარჩევა.

ქაიხოსრო აგიაშვილს თავისი უფროსი ძმა ვახტანგი შემოაკვდა. ვახტანგის მკვლელობის შესახებ მისმა მეორე ძმამ ბეკომ მე-

---

110 ო. სოსელია. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, საბ. № 18, გვ. 189.

XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს სარდალ-ციხისთავ-ქეშიკთუხუცესის თანამდებობაზე ერთსა და იმავე დროს იხსენიებიან ძმები იოვანე, დავით, სვიმონ და გიორგი აგიაშვილები (ქუთ. მუზ. საბ. №№ 15, 846, 986, 1703, 1709, 1730, 1763, 1766. იხ. მითითებულ საბუთების ბეჭედთა წარწერებიც). სინამდვილეში ოთხივე ერთბაშად თუ რიგრიგობით სარგებლობდა ციხისთავისა და სარდალ-ქეშიკთუხუცესის უფლებით, ამის დადგენა არ ხერხდება.

აღსანიშნავია, რომ პ. გნილოსაროვის ჩანაწერების მიხედვით, კერძოდ, ქეშიკთუხუცესის თანამდებობა ძმებს აგიაშვილებს რიგრიგობით ეკავათ (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 439—440).

111 ქუთ. მუზ. საბ. № 1775.

112 იქვე, საბ. № 1741.

ფის წინაშე საჩივარი აღძრა. მეფემ განიხილა ეს საქმე და ძმის სისხლის ფასად ქაიხოსროს რვა „ქესა თეთრი“ დააკისრა. მაგრამ ახლა „ისეთი დრო და ჟამია, რომ შეძლება არ არიაო“ და „ნახევარი ხელმწიფემ... და დარბაზის ერმან იპატიეს“. ქაიხოსრომ მხოლოდ ოთხი ქესა თეთრი გადაიხადა ძმის სისხლში[113].

ეს მკვლელობა თუმცა გარკვევით არ ჩანს, მაგრამ პატრიკეთის გამო უნდა მომხდარიყო. პატრიკეთი აგიაშვილების საგვარეულო სოფელი იყო, მაგრამ ქაიხოსროს მასზე „ქრთამი გასცლოდა“ და ამიტომ მას საკუთრად ეკიდებოდა. „საციხისთო“ ყმა-ძმულსაც იგი პირადად იჩემებდა. ძმები (ვახტანგ, ბეკო, ბერი) მას თაეიანთ „კერძს“ თხოულობდნენ, „ქრთამში“ „შემოდგომას“ სთავაზობდნენ და მათ შორის დავა იყო[114]. ამ დავას, ბოლოს, მკვლელობა მოჰყვა.

სახლიკაცთა ადგილ-მამულის პირადად დასაკუთრებას ქაიხოსრო სხვა გზითაც ახერხებდა. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: 1720—1752 წლებში მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ აგიაშვილს და მის ძმისწულს გიორგის „ცუცხვათელი თათრის“ ვალი დაედოთ, 917 მარჩილი. ვალის გადახდა ვერ შეძლეს და მოვალე თათარმა ისინი დაატყვევა. ბიძა-ძმისწულმა ტყვეობიდან გამოხსნა ქაიხოსროს სთხოვეს. უკანასკნელმა დაიხსნა სახლიკაცები, მაგრამ ისარგებლა მათი მძიმე მდგომარეობით და მათ „კერძ მამულ-ალაგს“ „ნასყიდობით“ დაეუფლა[115].

ქაიხოსროს შემდეგ, მის მემკვიდრეებშიც ჰქონდა ადგილი „უფროს-უმცროსობის რიგის“ დარღვევას, და საერთო მამულიდან მიღებული შემოსავლის „გარდაპარვას“[116].

ყმა-მამულის გამო ხდებოდა აგიაშვილებს შორის „შემდურება“, „ლაპარაკი“ და „განთვისების“ მონდომება[117]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ გვარის წევრები, მოკლე პერიოდებს გარდა, XIX ს. 20—40-იან წლებამდე მაინც „ერთათ“ ჩანან[118].

---

113 სცია, ფ. 227(2), საბ. № 71.

114 ი ქ ვ ე, საბ. № 72; ქუთ. მუზ. საბ. № 1741.

115 სცია, ფ. 227(2), საბ. № 55.

116 ქუთ. მუზ. საბ. № 1709; ო. ს ო ს ე ლ ი ა. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები, საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 195—197, საბ. № 24.

117 ი ქ ვ ე. იხ. აგრეთვე, ქუთ. მუზ. საბ. № 1766.

118 იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. მასალები..., გვ. 195—197, საბ. №№ 24, 25; ქუთ. მუზ. საბ. №№ 1696, 1709, 1766.

ყმა-მამულისა თუ სახელოების გამო აგიაშვილები ხშირად ებრძოდნენ მეზობელ თავადებს. ურთიერთ შორის ძოეიმპე სახლიკაცები ამ ბრძოლაში შეთანხმებით გამოდიოდნენ. ასეთ შემთხვევაში მათ აერთიანებდათ საგვარეულო ადგილ-მამულის დაცვისა და გაფართოების ინტერესები.

მეტად მწვავე დამოკიდებულება ჰქონდათ აგიაშვილებს ახლო მეზობელ თავად იაშვილებთან. მაგალითად, აგიაშვილებმა იაშვილების „კაცი" მახარობელი კაკუშაძე მიითვისეს და მათ შორის „გულძვირობა და დეობა" იყო. აგიაშვილები იძულებული გახდნენ იაშვილებისათვის მათი კაცის ფასი გადაეხადათ. ამით ამ ორი გვარის წევრები შერიგდნენ ისე, რომ მათ შორის „კაი ძმობისა, ამხანაგობისა... მეზობლობისა და სიყვარულის მეტი" თითქოს არა დარჩენილა რა. მაგრამ ამის შესახებ აგიაშვილებისათვის მიცემულ ფიცის წიგნში იაშვილი აცხადებს: „შაფათა ურიჯს ვდეობთ და მისი სამართალი უნდა მოგვცეთო"[119]. ჩანს „კაი ძმობის" ძემდეგაც მათ შორის დავა გრძელდებოდა. ამ დავას მძიმე შედეგი მოჰყვა: ძმებს იოანე, დავით, სვიმონ, გიორგი აგიაშვილებსა და როსტომ იაშვილს 1802 წელს „ერთმანეთშიდ ჩხუბი და სისხლები მოუხდათ". ამ „ჩხუბის" დროს როსტომის „შვილები და კაცი" აგიაშვილებს შემოაკვდათ, ხოლო უკანასკნელთა „აზნაურშვილები" როსტომმა იმსხვერპლა. ორივე მხარე „სამართლისათვის" სოლომონ მეფის დარბაზის „წინ მიდგა". აქ გაბჭობისას კიდეე აგიაშვილებმა იაშვილს „მამის... სისხლი" და „ძმის სვიმონის გზის შეკვრაც" უჩივლეს და ამ მეზობელ თავადებს „ერთმანეთში" „ფიცები და სისხლები გაუჩნდათ"[120]. მაგრამ აღნიშნულ წელსვე სოლომონ II-ის „ბრძანებით... და გასჯილობით" აგიაშვილები და იაშვილები შერიგდნენ[121].

1815, 1817 წლებში ამ საგვარეულოებს უკვე ნათესაურ კავშირში ვხედავთ. იოანე და სხვა აგიაშვილები თავად ლევან იაშვილს თავიანთ სიძედ ასახელებენ. მის ძმას იესესაც მოყვრად იხსენიებენ[122].

ასეთივე იყო აგიაშვილების დამოკიდებულება მეზობელ მხეიძეების საგვარეულოსთანაც. აგიაშვილებს მხეიძეების სისხლიც მართებდათ[123].

---

119 ქუთ. მუზ. საბ. № 1707.

120 ი ქ ვ ე, საბ. № 846; სცია, ფ. 227(2), საბ. № 76.

121 ქუთ. მუზ. საბ. № 846.

122 ი ქ ვ ე, საბ. № 1766.

123 ი ქ ვ ე, საბ. № 765.

არც ნიჟარაძეებთან ჰქონდათ აგიაშვილებს ბევრად უკეთესი დამოკიდებულება. აგიაშვილები ნიჟარაძეთა ყმა-მამულის მითვისებასაც ცდილობდნენ. 1772 წელს აგიაშვილებმა ნიჟარაძეების გლეხი გადაიბირეს[124], ხოლო შემდეგ ადგილ-მამულზეც დაუწყეს დავა. ამ დავის შედეგად, 1779 წელს სოლომონ I-ის განჩინებით, ნიჟარაძეების მამულის საკმაოდ დიდი ნაკვეთი, „მეოლის წყაროსა" და „დიდ ფონს შუა", აგიაშვილების ხელში გადავიდა[125].

ნიჟარაძეებთან დავაში სოლომონ I აშკარად აგიაშვილებს უჭერდა მხარს, რადგან მერაბ ნიჟარაძეს იმ ხანში (1778 წ.) სოლომონის მიმართ „ორგულობა გამოუვიდა"[126].

ადგილ-მამულის თაობაზე აგიაშვილებს გენათელთანაც ჰქონდათ დავა. ქაიხოსრო აგიაშვილი ევფთიმე გენათელს უჩიოდა: „თქვენს კაცებს გვენეტაძეები ტყირბულში ჩემი ადგილი სამოცი ურმის აქვს და ჭამსო". გენათელი კი ამბობდა: „ის ადგილი ხახულისა ღვთისმშობლის შეწირული არის და გვენეტაძეების სამკვიდროაო"[127].

აგიაშვილებს, ჩანს, გელათის მონასტრის ადგილები ჰქონდათ მითვისებული. ევფთიმე გენათელი თავის მხრივ იოვანე აგიაშვილს უჩივის: „საბანელა დავთარში მიწერია და იქ ნამოსახლი კაცის ადგილს და საბანელას მიწას მართმევ და მედავები მარა, რისთვის არ ვიციო"[128]. და, ასე, ეს დავა დიდხანს გრძელდება[129].

ყმა-მამულის გამო აგიაშვილები აბაშიძეებთან და ბარათაშვილებთანაც დაობდნენ[130].

სხვაგვარი იყო აგიაშვილების დამოკიდებულება წერეთლებთან. მართალია, ერთხელ (1784—1794 წწ.) ვახუშტი წერეთელიც

---

124 ქუთ. მუზ. საბ. № 1767.

125 სცია, ფ. 227(2), საბ. № 58, შდრ. იქვე, საბ. № 57.

126 იქვე, საბ. №№ 57, 84.

მერაბმა მონაწილეობა მიიღო სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოწყობილ თავადურ შეთქმულებაში (იხ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა..., გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 26; შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, ხელნაწ. ინსტ. მოამბე, III, 1961, გვ. 132).

127 ქუთ. მუზ. საბ № 1774.

128 იქვე, საბ. № 1798.

„საბანელა" დავით ნარინმა შესწირა ხახულის ღვთისმშობელს ჯერ კიდევ 1278 წელს (იხ. ქრონიკები, II, გვ. 159).

129 ქუთ. მუზ. საბ. № 1777.

130 სცია, ფ. 227(2), საბ. №№ 69, 98.

უჩიოდა ქაიხოსრო აგიაშვილს: „მეფე სოლომონ (იგულისხმება სოლომონ I. — ო. ს.) რომ მიიცვალა, მას უკან“ ოფშკვითს გლეხები წამართვიო[131]. მაგრამ ამას ამ საგვარეულოებს შორის განწყობილების გამწვავება არ მოჰყოლია და აგიაშვილებს წერეთლებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ. მაგალითად, იოვანე და სხვა აგიაშვილები სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს თავიანთ „კეთილმწყალობელად“ თვლიდნენ. 1810 წელს ძმებმა (იოვანე, დავით, სვიმონ, გიორგი) აგიაშვილებმა წერეთლიანთ „კაცს“ სვიმონიკა ძოძუაშვილს „სამოსახლო“ ადგილი („ნაფეტვარა“) უბოძეს ზურაბის „ბრძანებისა და მორჩილებისათვის“[132]. ასეთივე გაწყობილება ჰქონდათ აგიაშვილებს ზურაბის მემკვიდრე გრიგოლთანაც[133].

კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ აგიაშვილები გურია-ოდიშის მთავრებთან. როცა ურთიერთ შორის ან მეზობლებთან აგიაშვილებს უკმაყოფილება, „შური“ და „გულკლება“ უჩნდებოდათ, მშვიდობის დასამყარებლად დადიანს ან გურიელის ძეს იწვევდნენ[134].

ამგვარად, ახლო მეზობელ სუსტ თავადებს აგიაშვილები მტრობდნენ, ყმა-მამულს ეცილებოდნენ, შორეულ დიდ ფეოდალებს მეგობრობდნენ და ამით თავიანთი გავლენის გაძლიერებას ცდილობდნენ.

თუ ომათმათიძეობის პერიოდს მხედველობაში არ მივიღებთ, აგიაშვილთა საგვარეულო წინაურდება XVII ს. 70-იან წლებიდან. ამას ბელს უწყობს ის უხვი წყალობა, რომელსაც ამ სახლის წევრები იმერთა მეფეებისაგან ღებულობენ. ამ წყალობას აგიაშვილები მეფისადმი ვასალური ერთგულებით იმსახურებენ.

ჯერ კიდევ 1673 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატ მეოთხემ თავის „ერთგულს“ და „თავდადებით ნამსახურს“ ვახტანგ აგიაშვილს ციხისთავობა და ცუცხვათის ციხე უბოძა[135]. ამ საგვარეულოს უფროსი ამ დროს ვახტანგი იყო.

მეფისადმი ერთგულებით უფრო მეტად გამოიჩინეს თავი აგიაშვილებმა გიორგი VI-ის დროს (1703—1720 წწ.). ამ მეფეს გაერ-

---

131 ქუთ. მუზ. საბ. № 1768.

132 იქვე, საბ. № 15.

133 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1440.

134 სცია, ფ. 227(2), საბ. № 58; ო. სოსელია. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 196.

135 იხ. ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 92—94.

თიანებული ძალით ებრძოდნენ არგვეთის თავადი ზურაბ აბაშიძე, გურიელი და გიორგი ლიპარტიანის შვილი „ლეჩხუმის ბატონი". ბეჟანი. 1711 წელს მამია III გურიელმა თავის მოკავშირეთა მხარდაჭერით გადააყენა კიდეც მეფე და თვითონ დაჯდა ტახტზე[136]. მტრებისაგან ყოველმხრივ შეევიწროებულ გვირგვინოსანს დიდი სამსახური გაუწია სვიმონ აგიაშვილმა. უკანასკნელისათვის 1712 წელს მიცემულ წყალობის სიგელში ამის თაობაზე მეფე წერს: „ჩვენის მტრებისაგან წამხდარი ვიყავით და ახალციხეს, ქუთაისსა და ბაღდადს აღარ მიგვესვლებოდა. ჟამი იყო და მათზედ დავრჩით ტიტველზე. მერმეთ შენის სამსახურით და ძალიანი საქმობით ლეჩხუმის ბატონი ლიპარტიანის შვილი და ჭყონდიდელი შეგვაყარე და გაგვარიგე, ზურაბ აბაშიძე შეგვაყარე და გაგვარიგე. გაგვიძეხით მეწინავე სარდლად და მეეედით გურიელზედ ჩხარს და ხვთის მოწყალებით გავიმარჯვეთ ჩვენ მტერზედო..."[137].

ირკვევა, რომ სვიმონ აგიაშვილის „საქმობით" მეფის მეტოქე გურიელს მისი მოკავშირე ზურაბ აბაშიძე და ლიპარტიანის შვილი ბეჟანი გამოთიშვია. ამის შემდეგ აგიაშვილის სარდლობით მეფეს მტერი დაუმარცხებია 1712 წელს ჩხარის ომში[138] და იმერეთში თავის ხელისუფლება ისევ აღუდგენია. „თავგადანამკვდარ" სვიმონისათვის კი ამავე წელს მას პატრიკეთსა და ბაკისუბანში მრავალი ყმა-მამული უბოძებია[139].

აგიაშვილთა საგვარეულოს თავკაცი ვახტანგის შემდეგ, სვიმონი ჩანს.

გიორგის მემკვიდრე მეფე ალექსანდრეც არ აკლებდა აგიაშვილებს წყალობას[140]. მაგრამ ეს საგვარეულო უფრო მეტად აღზევდა სოლომონ I-ის დროს.

სოლომონი აგიაშვილებთან კარგ განწყობილებაშია ჯერ კიდევ ბატონიშვილობის დროიდან. იგი ჯერ გამეფებული არ იყო, როცა თავის უთარიღო სიგელით ქაიხოსრო აგიაშვილს ყმა-მამული უწყალობა[141].

XVIII ს. დამდეგიდან შუა წლებამდე აგიაშვილთა გვარის წევრებიდან თუ სვიმონი პირველობდა, აღნიშნული საუკუნის შუა

---

136 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია"; გვ. 223.

137 სცია, ფ. 227(2); საბ. № 50.

138 ჩხარის ომის შესახებ იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 224.

139 სცია, ფ. 227(2), საბ. № 50.

140 ი ქ ვ ე, საბ. №№ 53, 62, 77, 78.

141 ქუთ. შუზ. საბ. № 1764.

წლებიდან ამ სახლის წარმომადგენლებიდან ყველაზე გავლენიანი მისი ძე ქაიხოსროა. სახლის უფროსობაც სვიმონის შემდეგ უთუოდ მას აქვს. ქაიხოსროს გავლენას აძლიერებს ის, რომ იგი ერთბაშად სამ დიდ თანამდებობას (ციხისთავ-სარდალ-ქეშიკთუხუცესობას) ფლობს და მეფესთან მეტად დაახლოებული პირია: სოლომონ I მას თავის „კეთილად სახად ძმად" თვლის[142].

ცენტრალური ხელისუფლების მომხრეობის გამო აგიაშვილები მეფის მოქიშპე თავადებისაგან დიდ შევიწროებას განიცდიდნენ. ამ მხრივ საინტერესოა სოლომონ- I-ის ერთი ფიცის წიგნი, რომელსაც იგი თავის გამეფების პირველსავე წლებში აძლევს ქაიხოსრო აგიაშვილს. ამ წიგნში ნათქვამია: „ყამთა ვითარებისაგან ჩვენს უდროობაში მტრებს წეერთმია საციხისთო, ძირათ თქვენი ყოფილიყო. ღვთით ჩვენს მტერს ვძლიეთ. ისევ როგორითაც ძველთაგან გქონია. წყალობად, ახლაც ჩვენც წყალობა გიყავით და გიბოძეთ საციხისთო, სადაც ჩვენს ქვეყანაში გქონია ან გყოლია. აზნაურშვილი, თუ მსახური, თუ გლეხიო"[143].

„მტრები", რომლებმაც აგიაშვილებს „საციხისთო" მამული და ციხისთავობა წაართვეს, გიორგი და ზურაბ აბაშიძეები იყვნენ. ცუცხვათის ციხე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ ხანს სწორედ მათ ეკავათ. შემდეგ, 1721 წელს, ეს ციხე თურქებმა დაიპყრეს[144] 1754 წელს სოლომონ I-ს მტრები დაუძლევია და „საციხისთო"-ყმა-მამული ისევ აგიაშვილებისათვის დაუბრუნებია[145].

მტერთა მძლავრობის დროს ამ საგვარეულოს თავისი „სამკვიდრო" პატრიკეთიც დაუკარგავს. უბრუნებს რა ამასაც სოლომონი 1753 წელს ქაიხოსრო აგიაშვილს, აღნიშნავს: „პირველ შენი სამ-

---

142 ქუთ. მუზ. საბ. № 971.

საბუთი უთარიღოა. როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, დაწერილია 1770 წელს, იმ დროს, როცა სოლომონ I ქუთაისის ციხეს ალყით იყო შემოდგარი (შდრ. Грамматы..., I, გვ, 227).

საბუთში ქაიხოსროს სახელი არ იხსენიება. მაგრამ მასში დასახელებული „ციხისთავ-ქეშიკთუხუცესი აგიაშვილი" სხვა არ შეიძლება იყოს თუ არა ქაიხოსრო. სოლომონ I-ის დროს ეს სახელოები სწორედ მას ეჭირა (იხ. სეია, ფ. 227(2), საბ. №№ 51, 58, 66; ქუთ. მუზ. საბ. № 996).

143 სეია, ფ. 227(2), საბ. № 51.

144 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 151.

145 სეია, ფ. 227(2), საბ. № 51.

1754 წლის შემდეგ თურქებმა ცუცხვათის ციხე ისევ ჩაიგდეს ხელში. თურქ აგრესორებისაგან ეს ციხე საბოლოოდ გაათავისუფლა სოლომონ პირველმა 1770 წლის 15 მაისს (იხ. Грамо ы..., т. II. вып. I, гр. 47. შდრ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ იოანეს ღღიური), გვ. 8.

კვიდრო წართმეული პატრიკეთის წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი ამოგიღეთ და გიბოძეთ, რომელიც მამა შენს იმ ქვეყანას ქონდაო"[146].

„წართმეულთა" დაბრუნების გარდა, სოლომონ პირველმა იმავე წელს თავის „სახასო მამულიდან" პატრიკეთში სამი კომლი გლეხი მიცა ქაიხოსრო აგიაშვილს[147].

სოლომონისაგან ესოდენ შეწყალებულ ქაიხოსრო აგიაშვილს მასთან ერთ ხანს მაინც უკმაყოფილება მოსვლია. 1778 წლის წინარე ხანში „ცოტას რაზედმე საქმეზედ" მეფე „შეწყრომია" მას და „ძირთაგან" მისი მამული „წალდულია" და „მიწა-წყალი საჩიჯავაძო" ჩამოურთმევია. მაგრამ სოლომონს აგიაშვილზე მალე ისევ გული მოუბრუნებია და ეს ადგილ-მამული აღნიშნულ წელს კვლავ მისთვის უბოძებია[148].

ამის შემდეგ აგიაშვილები სოლომონ I-ს ახლდნენ ჩაქვში 1784 წელს თურქ აგრესორთა წინააღმდეგ მის უკანასკნელ ლაშქრობაში და მეფის გამარჯვებისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ. სარდალი ქაიხოსრო ამ ომში დაიჭრა, მისი ორი ძმა (ბერი და ბეკო) კი აქ დაიღუპა[149]. ასეთი ერთგულებისათვის სოლომონმა აგიაშვილებს ოფშკვითს ყმა-მამული უწყალობა[150].

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეფესა და ქაიხოსროს შორის იმ „ცოტა რაზედმე საქმეზედ" დამდურებას, რომლის შესახებ ზემოთ ითქვა, აგიაშვილები „მარად" იმერეთის „სამეფოსა ტახტისა" ერთგული იყვნენ[151]. ამიტომაც იყვნენ ისინი მეფეთაგან „ნიშოვან და მდიდარ ქმნილი", „პატივ-საფარველ გამრავლებული"[152].

კარგი განწყობილება ჰქონდათ აგიაშვილებს სოლომონის შემდეგ გამეფებულ დავით გიორგის ძესთანაც. დავითმა 1784 წელს, ტახტზე ასვლისთანავე, დაუმტკიცა ქაიხოსრო აგიაშვილს ყოველივე ის, რაც სოლომონ პირველისაგან ჰქონდა ნაბოძები[153].

---

146 სცია, ფ. 227(2), საბ. № 66. პატრიკეთიც აგიაშვილებს აბაშიძეებისაგან უნდა ჰქონოდათ „წართმეული".

147 ი ბ ი ვ ე.

148 სცია, ფ. 227(2), საბ. № 57. იხ. აგრეთვე იქვე, საბ. №84.

149 ქუთ. მუზ. საბ. № 1768; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

150 ქუთ. მუზ. საბ. № 1768.

151 ი ბ ი ვ ე. საბ. № 992; სცია, ფ. 227(2), საბ. № 74.

152 სცია, ფ. 227(2), საბ. №№ 58, 66.

153 ი ბ ი ვ ე, საბ. № 73.

დიდი სამსახური გაუწიეს აგიაშვილებმა იმერეთის უკანასკნელ მეფეს სოლომონ მეორესაც. ამ მეფის დროს აგიაშვილების გვარში ქაიხოსროს უფროსი შვილი იოანე (იოვანე, ივანე) პირველობდა. სათავადო სახლის უფროსობაც მას ჰქონდა[154].

იოანეც, როგორც მისი მამა, იმერთა მეფის „მარად... ერთგულად ნამსახური“ იყო. სოლომონმაც, რაც მისი წინამოადგილე მეფეთა მიერ აგიაშვილებისათვის ბოძებულმა სიგელმა „გამოაცხადა“ („მიწა, ან ალაგი, ან გლეხი, ან თუ სხვა რაიმე, რომ სახელად საციხისთო ეწოდებოდა“), 1799 წელს იოანეს უწყალობა[155].

მეფის ეს წყალობა ამაოდ არ დაკარგულა. იმ მეტად მძიმე პერიოდში, როდესაც მტერთაგან შევიწროებული სოლომონ II იმერეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თავდადებით იბრძოდა, მას მტკიცედ უჭერდა მხარს აგიაშვილთა საგვარეულო.

როცა რუსეთის მთავრობისაგან გადაყენებული მეფე 1810 წ. ზაფხულში თავისი მომხრეებით ახალციხიდან იმერეთში შემოვიდა, მას „მოერთვნენ იმერნი ყოველნივე“[156] და დაიწყო მღელვარება, აგიაშვილები სოლომონ II-ის ერთგულთა პირველ რიგებში იყვნენ. მეფე სწორედ აგიაშვილთა „სასახლეში“ იდგა ტყაჩირს და მის ირგვლივ აქ „შეკრბა იმერეთი“[157].

როცა ამავე წელს ყოველმხრივ მტრებით გარშემორტყმული სოლომონის წინააღმდეგ საქართველოს მთავარმართებელმა ჯარი გამოგზავნა თავად დიმიტრი ორბელიანის სარდლობით, ამ ჯარს პირველ რიგში ჭიშურის გზაზე მცველად მდგომი სიმონ აგიაშვილი და მისი რაზმი შეებრძოლა...[158].

უიმედო ბრძოლის პროცესში მეფეს მისი მომხრეები თანდათან „შემოეცალნენ“, რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცეს. აგიაშვილები კი თავიანთ ციხეში ჩაიკეტნენ და ფიცი არ მიიღეს[159].

---

154 ო. სოსელია. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, სად. №№ 24, 25, გვ. 195—197.

155 ქუთ. მუზ. სად. № 89.

156 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გვ. 106.

157 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბილისი, 1954, გვ. 388.

158 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 202, შდრ. ქრონიკები, III, გვ. 473, 640.

159 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 102.

როცა დამარცხებულმა სოლომონმა იმერეთი დატოვა, ქაიხოსრო (II) და დავით აგიაშვილები ტრაპიზონში ლტოლვილ მეფეს მიუვიდნენ (1811 წ. 29 მაისს) და იქიდან იწერებოდნენ: „ვინემ ჩვენი ბატონი ცოცხალი არის... ნურც გველითო“[160].

რუსთა მხედრობამ სასტიკად დაარბია აგიაშვილთა სათავადო. ჩიოდნენ რა ამის შესახებ შემდეგ მარკიზ პაულუჩთან ძმები იოანე, დავით და სვიმონ აგიაშვილები, წერდნენ: „დროსა იმერეთისა ბუნტობისასა მოვიდა მისი წარჩინებულება უფალი ღენერალ-მაიორი და კავალერი განსვენებული სვიმონოვი და... მშვენიერი აღგებულებანი სასახლეთა და სახლებთანი დასწვა და აავოხრა. მოსძარცვა გარემონი სასახლისა სიმაგრენი და აღმოკაფა და ყველითურთ ავოხრებულ ჰყო თვინიერ მიწისა. წარგზავნა მისი მხედრობა მეგრელთა და გურულთა და წარიტაცეს ყოველნი... ცხოველთა ჯოგნი ჩვენნი და ყმათა ჩვენთა. არა რა დარჩა ჩვენთვის თვინიერ რამოდენისა ცხენისა და შემდგომად ამისა დარღვეულ იქნა ციხეცა ჩვენი ძირითურთ... ესე აღვოხრდით და ესრეთ დაცემულ იქნა სიმდიდრე ჩვენიო“[161].

აგიაშვილების აოხრების მიზეზი „იმერეთის მეფედ ყოფილის სოლომონისა ერთგულება“ იყო. საინტერესოა, რომ აგიაშვილები სრულებით არ უარჰყოფდნენ ამ „დანაშაულს“. პირიქით, ასაბუთებდნენ, რომ სხვაგვარად არ შეეძლოთ მოქცეულიყვნენ: „ოდეს დაწყებულ იქმნა ბაგრატოვანთა გვარათაგან მეფობა იმერეთისა,— აღნიშნავდნენ ისინი მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩისათვის ძირთმეულ არზაში, — ამა უკანასკნელსა მეფედ ყოფილსა სოლომონამდე გასრულ არიან წელნი ათას ორასნი და იყვნენ მეფენი და ხელიწიფენი ჩვენნი და ვიზრდებოდით ყოვლითა მოწყალებითა მისითა და აღვგზრდიდენ ჩვენ თვით სახლსა სამეფოსა შინა და გვასწავლებდნენ ჩვენ ერთგულებასა მათსა. მოგვცემდნენ ჩვენ დიდსა სახელოსა, რომლისა გამოსავლითა შესაძლო იყო ცხოვრება ჩვენი... არა თუ მხოლოდ ჩვენ, არამედ ძველნი წინაპარნი ჩვენნი ყოველნი ესრეთ შეწყალებულ ვიყვენით ყოველსა დროსა და ჟამსა იმერეთისასა მეფეთაგან. და ოდეს მოიწია ბრძანება წინა მოადგილისაგან თქვენისაგან უფლისა ღენერალ... ტორმოსოვისაგან იმერეთსა ზედა, რომელ მეფობა იმერეთისა აღხოცილ იქმ-

---

160 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 134.

161 ქუთ. მუზ. საბ. № 1695.

ნასო და წაგვიკითხეს ჩვენ პროკამაცია, იგი გვეუცხოვა ყოველთა იმერელთა...

აქა განსაჯოს თქვენმა სიბრძნისა უფსკრულმან გონებამან, თუ შეესაძლო იყო ჩვენგან ესრეთ მსწრაფლად უარმყოფნობა ესე ვითარისა მოწყალის ჩვენდა განკუთვნილისა მეფისაო"[162].

როგორც ჩანს, აგიაშვილები სოლომონ II-ის დამარცხების შემდეგაც არ უარყოფდნენ იმას, რომ მისი ერთგული იყვნენ. მთავარმართებლის ყურადღებას მიაქცევდნენ მხოლოდ იმ გარეგნებას, რომ არ იყვნენ „სხვათა იმერელთა უმეტეს შემცოდე", ხოლო „არავის შემცოდეთაგანსა მიჰგებია ესე ვითარი შერისხვანი, ვითარ" მათ. ამიტომ აგიაშვილები მარკიზ პაულუჩს „მოწყალე" იმპერატორის წინაშე თავიანთი „დაცემულობის" აღდგენის შესახებ შუამდგომლობას სთხოვდნენ[163]. მაგრამ სათავადოს „დაცემულობის" აღდგენა რუსეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ინტერესებში არ შედიოდა. რუსულმა მმართველობამ, იმერეთის სამეფოსთან ერთად, აგიაშვილების სათავადოსაც ადმინისტრაციულად მოუღო ბოლო.

აგიაშვილები მალე შეეგუენ შექმნილ მდგომარეობას და რუსეთის ხელისუფლებასაც. 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყების დროს ძმები ივანე, დავით, სიმონ და გიორგი აგიაშვილები უკვე რუსეთის მთავრობის ერთგულთა შორის ჩანან[164].

საგვარეულო ადგილ-მამული აგიაშვილებმა XIX ს. 20—40-იან წლებში გაინაწილეს[165].

*

* *

აგიაშვილის გვარით პირველად ვხედავთ ვახტანგს 1663—1673 წლებში[166]. მასთან ერთად იხსენიება ამ დროს მისი ბიძა თეიმურაზიც[167], მაგრამ ატარებდა თუ არა იგი თავის გვარის ახალ სახელს, არ ჩანს (წყაროებში მის გვარს არ ასახელებენ).

აღნიშნულ წლებში ვახტანგს ჯერ კიდევ შვილები არ ჰყავს.

---

162 ქუთ. მუზ. საბ. № 1695.

163 იქვე.

164 Н. Е. Махарадзе. Восстание в Имеретии.... გვ. 148.

165 ქუთ. მუზ. საბ. № 1696.

166 სარგის კაკაბაძე, იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 92—94.

167 იქვე, გვ. 93—94.

ხოლო ბაგრატ მეფის 1673 წ. წყალობის წიგნში იგი თაეის მემკვიდრით, ბეჟანით, გვხვდება[168].

1697 წელს კი ვახტანგს, ბეჟანის გარდა, კიდევ სამი ვაჟი ჰყავს: როსტომი, ხიკოლოზი და ივანე. ბეჟანთან და სხვა შვილებთან ერთადაა დასახელებული ვახტანგი ამ წლის ერთ წყალობის წიგნში[169]. აქვე იხსენიება მისი ძმისწული ქაიხოსროც. აქედან ცხადია, რომ ვახტანგს ძმაც ჰყოლია. მისი ძმა უნდა იყოს იოვანე ომათმათიძე[170].

ვახტანგის ხსენება 1697 წელს წყდება. ამის შემდეგ იგი უთუოდ მალე გარდაიცვალა.

ვახტანგის შვილებიდან სხვებზე მეტად ნიკოლოზი არის ცნობილი. 1674—1729 წლებში მას წინამძღვრად ვხედავთ[171]. 1730 წელს კი იგი მთავარეპისკოპოსის ხარისხით გვევლინება[172].

ვახტანგის შტო წყაროებში მკრთალად არის წარმოდგენილი. უფრო მკაფიოდ სვიმონ აგიაშვილი და მისი მემკვიდრეები ჩანან.

სვიმონი პირველად გვხვდება 1712 წელს. ამ წელს ჩხარის ომში იგი გიორგი VI-ის „მეწინავე სარდალია"[173], ხოლო ალექსანდრე V-ის მეფობის (1720—1752 წწ.) ბოლო ხანში მას ციხისთავობაც აქვს[174].

ვახტანგსა და სვიმონს შორის სახლიკაცობის გარდა, ნათესაობაც იყო. ვახტანგი და სვიმონის პაპა იოვანე ომათმათიძე, როგორც ზემოთ ითქვა, ძმები არიან.

აღსანიშნავია, რომ სოლომონ I-ის 1777 წ. ერთ წყალობის წიგნში ვახტანგის შვილი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი სვიმონის შვილის ქაიხოსროს ბიძად იხსენიება[175]. ამის მიხედვით უნდა გვე-

---

168 სარგის კაკაბაძე, იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 93—94.

169 იქვე, გვ. 94.

170 იხ. იქვე, შდრ., გვ. 91.

171 სცია, ფ. 227(2), საბ. № 86.

დამოწმებული საბუთი უთარიღოა. დაწერილია ნიკოლოზის დაბადების შემდეგ (1673 წ. ნიკოლოზი დაბადებული არ იყო. მის მამას, ვახტანგს, ამ დროს, როგორც ზემოთ ვიჩვენეთ, მხოლოდ ბეჟანი ჰყავდა) არა უგვიანეს 1730 წლისა (ამ წელს ნიკოლოზი უკვე მთავარეპისკოპოსად იხსენიება (იხ. იქვე, საბ. № 85). უთარიღო საბუთში კი იგი ჯერ კიდევ წინამძღვარია).

172 სცია, ფ. 227(2), საბ. № 85.

173 იქვე, საბ. № 50.

174 იქვე, საბ. № 78. ალექსანდრეს მეფობის წინა ხანში ციხისთავობა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზურაბ აბაშიძეს ჰქონდა.

175 სცია, ფ. 227(2), საბ. 68, შდრ. იქვე, საბ. № 55.

ფიქრა, რომ სვიმონი და ნიკოლოზი ძმები იყვნენ. და, მაშასადამე, სვიმონიც ვახტანგის შვილი იყო. მაგრამ წყაროებიდან ვიცით, რომ სვიმონის მამას ავაგი ერქვა (სვიმონის შვილს ქაიხოსროს საბუთები ავაგის შვილიშვილად ასახელებენ)[176]. ამიტომ ნიკოლოზის ქაიხოსროს ბიძად მოხსენიება, ჩანს, მის პირდაპირ ბიძობას არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ იმას, რომ ნიკოლოზი ქაიხოსროს ბიძად ეკუთვნოდა.

მართლაც, აგიაშვილთა 1751 წლის „ძმობისა და ერთობის წიგნში" ქაიხოსრო სვიმონის ძე მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის „სახლიკაცად" არის წარმოდგენილი[177].

ქაიხოსროს გარდა, სვიმონ აგიაშვილს კიდევ სამი ვაჟი ჰყოლია: ვახტანგ, ბეკო და ბერი[178].

ვახტანგ სვიმონის ძე 1752—1769 წწ. მისივე ძმას ქაიხოსროს და მის „კაცს" შემოაკვდათ[179]. ბერი და ბეკო კი, ქაიხოსროსთან ერთად, სოლომონ I-ს ახლდნენ ჩაქვის ომში (1784 წლის მარტი). ქაიხოსრო ამ ომში დაკოდეს, ხოლო მისი ძმები მეფის „წინ... მოკლეს"[180]. ამრიგად, სვიმონის ოთხი ვაჟიდან 1784 წ. მარტის შემდეგ ცოცხალი მხოლოდ ქაიხოსრო დარჩა.

როდის გარდაიცვალა სვიმონი, არ ვიცით. მაგრამ 1753 წელს სოლომონ პირველმა სვიმონის შვილს ქაიხოსროს მისცა, რაც მის მამას პატრიკეთში „ჰქონდა". 1754 წელს კიდევ იმავე მეფემ ციხისთავის სახელო, რომელიც სვიმონ აგიაშვილს ეპირა, ქაიხოსროსვე უბოძა[181]. ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ 1753 წელს სვიმონი ცოცხალი არ არის.

---

176 იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 93, 996, 1707, 1775.

ავაგი კი იოვანე ომათმათიძის შვილი იყო (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 91. 95) და, ამგვარად, იოვანე ომათმათიძე იყო სვიმონ აგიაშვილის პაპა.

177 ქუთ. მუზ. საბ. № 1775.

178 ი ქ ვ ე, საბ. № 1741; სცია, ფ. 227(2), საბ. №№ 71, 72.

ვახტანგ, ბეკო და ბერი დამოწმებულ საბუთებში ქაიხოსროს ძმებად არიან დასახელებული. აქედან ცხადია, რომ ისინიც სვიმონის ძენი იყვნენ.

179 სცია, ფ. 227(2), საბ. № 71.

საბუთი უთარიღოა. დაწერილია არა უადრეს სოლომონ I-ის გამეფებისა (1752 წ.) და არა უგვიანეს როსტომ რაჟის ერისთავის დასჯისა (1769 წ.).

180 ქუთ. მუზ. საბ. № 1768; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

181 სცია, ფ. 227(2), საბ. №№ 51, 66.

ქეშიოთუხუცესის სახელო კი ქაიხოსროზე მამიდან არ გადასულა. ეს თანამდებობა შეიძლება მან ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მიიღო. იხ. ზემოთ.

სვიმონის შემკვიდრეებიდან საბუთებში უფრო ნათლად ქაიხოსროს შტო ჩანს. მას ხუთი ვაჟი ჰყავდა: იოვანე (იგივე იოანე, ივანე), ანტონი, დავითი, სვიმონი და გიორგი (იგივე გოგია). მათგან ყველაზე უხუცესი იოანე იყო.

ქაიხოსროს თანამეცხედრე იყო ნიკარაძის ქალი დარეჯანი[182].

ქაიხოსროს უკანასკნელად ვხედავთ 1793 წ. 12 ოქტომბერს[183] გარდაიცვალა იგი ამავე წელს[184].

ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ სარდალ-ქეშიკთუხუცესციხისთავის სახელოები მისმა უხუცესმა შვილმა იოანემ მიიღო[185]. 1823 წელს იოანე ჯერ კიდევ ცოცხალია და „პარუჩიკის" ხარისხს ატარებს[186]. იგი დაქორწინებული იყო გურიელის ასულ დარეჯანთან[187]. ვაჟიშვილი არ ჰყოლია, ხოლო მის ასულთა სახელები ჩვენთვის ცნობილ წყაროებში აღნიშნული არ არის[188]. იოანე გარდაიცვალა 1835 წლის ახლო ხანს[189].

იოანეს ძმას, დავითს, ერთი ვაჟი ჰყავდა, რომელსაც სვიმონი (იგივე სიკო) ერქვა[190]. დავითს ნათესაური კავშირი ჰქონდა იმერეთის სამეფო სახლთან. მისი თანამეცხედრე იყო დავით იმერთა მეფის ასული ანასტასია, რომელიც მითხოვდა მას ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში[191].

დავით მეფე ისე გარდაიცვალა, რომ „აღარ დასცალდა" თავისი ასულისათვის „სამზითვათ გლეხის და მამულის მიცემა". ამიტომ სოლომონ II-ემ „ამზითვა" ანასტასიას 1802 წელს მისი მამის „სამკვიდრო კაცები ჩხარს"[192].

კონსტანტინე ბატონიშვილმაც 1804 წელს თავის მხრივ „საკუ-

---

182 ქუთ. მუზ. საბ. №№ 966, 996, 1699, 1741; სცია, ფ. 227(2), საბ. № 52.

183 ქუთ. მუზ. საბ. № 992.

184 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საისტორიო მასალანი, ძველი საქართველო, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1913, განყ. III, გვ. 72.

185 სარდალ-ქეშიკთუხუცეს-ციხისთავის თანამდებობაზე იოანეს მხოლოდ 1795 წ-დან ვხედავთ (იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის. მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, საბ. № 18, გვ. 189).

186 ქუთ. მუზ. საბ. № 1706.

187 სცია, ფ. 226, საბ. № 5839.

188 ო. ს ო ს ე ლ ი ა. დასახ. მასალები..., საბ. № 24, გვ. 196.

189 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1696.

190 ი ქ ვ ე, საბ. №№ 1692, 1696.

191 ი ქ ვ ე, საბ. №№ 966, 978. იხ. აგრეთვე, იქვე. საბ. № 983.

192 ი ქ ვ ე, საბ. № 978.

თარი გლეხები" უბოძა ციძეს — დავით აგიაშვილს — თავისი ღის მზითევის ანგარიშში[193].

1823 წელს დავითი „პარუჩიკის" ხარისხით გვხვდება[194]. იგი უნდა გარდაცვლილიყო 1841 წლის ახლო ხანს[195].

იოანეს მეორე ძმა, სვიმონი, დადიანის ასულ ეკატერინესთან იყო ‘ძეუღლებული[196]. სვიმონს ექვსი ვაჟი ჰყავდა: ვახტანგი, ქაიხოსრო, თეიმურაზი, ბებე, როსტომი, და სარდიონი[197]. სვიმონიც 1841 წლის ახლო ხანს უნდა იყოს გარდაცვლილი[198].

იოვანეს მესამე ძმას, გიორგის, მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყოლია, რომელსაც სახელად ბეკო ჰრქმევია[199]. 1841 წ. გიორგი უკვე მკვდარია[200].

იოანეს მეოთხე ძმა, ანტონი, უშვილო ჩანს. იგი „იღუმენად" არის დასახელებული 1820 წ. 16 დეკემბრის ერთ დოკუმენტში[201].

ქაიხოსროს შვილიშვილებიდან სხვებზე უფრო ცნობილი არიან სვიმონის შვილები: თეიმურაზი და ბებე.

თეიმურაზის თანამეცხედრე იყო გელოვანის ქალი ‘ეკატერინე (ეკა). ცოლ-ქმარი ერთადაა დასახელებული 1841 წელს მათ ძიერ „შემკულ" წმინდა კვირიკესა და ივლიტეს ხატის ‘ყარწერაში[202].

თეიმურაზი იყო „ზუგდიდის მაზრის მეორე კლასის მდივანბეგი". ამ თანამდებობით და „პოდპორუჩიკის" ხარისხით მოწმედ იხსენიება იგი 1842 წლის ნასყიდობის წიგნში[203]. 1856 წელს თეიმურაზიც და ეკაც უკვე გარდაცვლილნი არიან[204].

---

193 ქუთ. მუზ., საბ. № 966.

194 ი ქ ვ ე, საბ. № 1706.

195 ი ქ ვ ე, საბ. № 1699.

196 ი ქ ვ ე, საბ. № 1702. ეკატერინე იყო დადიანის ძის „დიდი" ნიკოს და (იხ. იქვე).

197 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1702, 1710; სცია, 226, საბ. № 7958.

198 ქუთ. მუზ. საბ. № 1696.

199 იხ. ი ქ ვ ე.

200 ი ქ ვ ე.

201 სცია, ფ. 226, საბ. № 6942.

202 იხ. ქუთ. მუზ. ძეგლი № 3187. იხ. აგრეთვე სცია, ფ. 226, საბ. № 7097.

203 ქუთ. მუზ. საბ. № 1139, იხ. აგრეთვე, ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. 113—114.

204 სცია, ფ. 226, საბ. № 7097.

1856 წლის ერთ საბუთში ვხედავთ თეიმურაზის ძეს გიორგის და ასულს კეკელას[205].

ბებე აგიაშვილს ცოლად ჰყავდა თავად ჩიჩუას ქალი სალომე. ერთად გვხვდებიან ისინი მათ მიერ მოწამეთის მონასტრისათვის 1849 წ. მიცემულ შეწირულების წიგნში[206].

ბებეს ორი ვაჟი ჰყავდა: ქაიხოსრო და კონსტანტინე. უკანასკნელნიც იხსენიებიან ზემოაღნიშნულ წიგნში.

ბებეს ვხედავთ აგრეთვე 1855 წლის შეწირულების წიგნში „პოდპორუჩიკის" წოდებით[207]. 1856 წ. 25 ივლისს იგი ხელს აწერს კიდევ ერთ საბუთს[208].

---

205 სცია, ფ. 226, საბ. № 7097.
206 იქვე, საბ. № 7946.
207 იქვე, საბ. № 7944.
208 იქვე, საბ. № 7097.

თავი IX

მაჭუტაძეთა სათავადო*

გურიის სამთავროს ფეოდალურ გვარებიდან ერთ-ერთი უძველესი მაჭუტაძეთა გვარია[1]. ამ გვარის წარმომადგენელს გურიის დიდებულთა შორის ვხედავთ ჯერ კიდევ XV საუკუნის სასისხლო სიგლებში[2]. მაგრამ ვახუშტი ამ კუთხის წარჩინებულ გვარებში მაჭუტაძეს რატომღაც არ იხსენიებს[3]. ჩამოთვლის რა თავდგირიძეს, ამილახორს, შარვაშიძეს, ბერიძეს, კვერღელიძეს, ბერეჟიანს, ნაკაშიძეს, დასძენს „და სხვანიო"[4]. უნდა ვიფიქროთ, რომ მაჭუტაძეს იგი „და სხვანში" გულისხმობს.

აღსანიშნავია რომ ზემო იმერეთში, „ჩხარს ზეით, ჩხარულაზედ, არს ციხე მაჭუტაური, მთაში"[5]. ამ ციხის სახელი მაჭუტაძეთა გვარის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული და აქ ოდესღაც მაჭუტაძეთა სახლობას უნდა გვანიშნებდეს.

„მაჭუტაური" ჯერ კიდევ 1664 წელს „ძველ ციხედ" ითვლებოდა და საკმაოდ დაზიანებული იყო. XVII ს. 50-იანი წლების მიწურულს მას კაცია კუპაიძე ფლობდა[6]. ე. ი. მაჭუტაძეები აქ აღარ ისხდნენ.

როგორც ქვემო იმერეთში, სოფ. ობჩაში დაცულ XVI საუკუ-

---

* გურიის სამთავროს სათავადოები მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილი აქვს ქ. ჩხატარაიშვილს (იხ. მისი საკანდიდატო დისერტაცია: გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევი), ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 408—472). აღნიშნული სათავადოების განხილვისას ვსარგებლობთ ამ ნაშრომით.

1 Дм. Бакрадзе. АПГА. стр. 256.

2 საქ. სიძვ., II, გვ. 37; ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მომბე, II, 1924, გვ. 25.

3 იხ. ვახუშტი. აღწერა..., გვ. 26. თავის დროზე ეს შენიშნა დიმ. ბაქრაძემ. იხ. მისი, АПГА, გვ. 256.

4 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 26.

5 იქვე, გვ. 153.

6 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 69.

ხეში აშენებულ ეკლესიის ფრესკათა წარწერებიდან ვგებულობთ, ეს ეკლესია მოუხატვინებია თაყა სულთამამას ძე მაჭუტაძეს, რომელსაც ჰყოლია ორი ვაჟი: ზალდასტან და იალ[7]. რა კავშირი იყო იმერეთისა და გურიის მაჭუტაძეთა შორის, წყაროებიდან არ ჩანს[8]. ერთი კი ცხადია: გურიის მაჭუტაძეები იმერეთის მაჭუტაძეებზე ადრე იხსენიებიან.

გურიის მაჭუტაძეების ყველაზე ადრინდელი ჩვენთვის ცნობილი წარმომადგენელი ბევროზ მაჭუტაძეა. მისი მოღვაწეობის პერიოდი, როგორც დიმ. ბაქრაძე აღნიშნავს, XIV ს-ით განისაზღვრება[9].

ნიგოითის წმინდა გიორგის ეკლესის ფრესკულ წარწერებიდან ჩანს, რომ ბევროზის შვილს თუ რომელიღაც სხვა მაჭუტაძეს ამილახორობა ჰქონია. ამ ეკლესიის კედელზე გამოსახულ მამაკაცის პორტრეტთან აწერია: „ამილახორი“ „მაჭუტაძე“[10]. რამდენ ხანს ეჭირათ ეს სახელო მაჭუტაძეებს, არ ვიცით. მაგრამ როსტომ გურიელის დროს (1534—1566 წწ.) ამილახორის თანამდებობა ბახსათარ ბოხვაძეს უკავია[11]. ამის შემდეგ კი ეს ხელი გურიის სამთავროში საერთოდ არ გვხვდება[12].

XV ს. მაჭუტაძეთა სახლის წევრებიდან ცნობილია მხოლოდ საყან მაჭუტაძე. იგი ფრიად საპატიო პირია: ალექსანდრე მეფის მიერ გაცემულ ერთ სასისხლო სიგელში გურიის წარჩინებულთაგან პირველ რიგში საყანი არის დამოწმებული[13]. მაჭუტაძეთა სათავადო ამ საუკუნეში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მისი მე-

---

7 ს. კაკაბაძე. წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთ ეპიგრაფიულ მასალის შესახებ. საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 110.

თაყას ჰყავდა ძმა — ზაზა, რომლის მეუღლე იყო მასხარაშვილის ქალი გოლდან, ხოლო თვით თაყას თანამეცხედრე ყოფილა წერეთლის. ასული გულშრ (იხ. იქვე).

8 მაჭუტაძეთა წარმომავლობის შესახებ იოანე ბატონიშვილი ასე მოგვითხრობს: „მაჭუტ მხედარი იყო იაპონელი წელსა 431-[ს]. ესე მოვიდა დროსა მეფისასა და მიიღო თავადად და იწოდებიან მათი შთამომავლობანი მაჭუტაძეებად“ (ხელნაწ. ინსტ., S. № 3729. გვ. 119v). ეს ცნობა სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს.

9 Дм. Бакрадзе. АПГА. стр. 253—256.

10 იხ. იქვე. გვ. 253.

11 იქვე, გვ. 283.

12 ამილახორი გურიის სამთავროში მხოლოდ ორჯერ იხსენიება: პირველად— ზემოხსენებულ ნიგოითის ეკლესიის წარწერაში და მეორედ — როსტომ გურიელის ერთ უთარიღო წყალობის წიგნში. იხ. იქვე, გვ. 254.

13 საქ. სიძველენი, II, გვ. 37.

თაური საყანი ჩანს. მიმდევნო საუკუნეში კი მაჭუტაძეთა საგვარეულო ერთ-ერთი უძლიერესი თავადური სახლია გურიის სამთავროში.

მაჭუტაძეების სამფლობელოს „სამაჭუტავო“ ანუ „სამაჭუტაძო“ ეწოდებოდა[14]. მასში ხუთი სოფელი შედიოდა:

1. ნიგოითი[15], 2. ჯიხეთი, 3. ქვიანი, 4. ჭყონაგორა, 5. ჩოლობარგი[16].

სამაჭუტაძოს საზღვარი სამხრეთით ჩოხატაურის ქედამდე აღწევდა, ჩრდილოეთით — მდინარე რიონამდე, აღმოსავლეთით — გურიის ერისთავთა სამფლობელომდე, ხოლო დასავლეთით — საჯუმათელო და საგურიელო მამულებამდე.

როდის შეიძინეს მაჭუტაძეებმა ზემოაღნიშნული სოფლები, პირდაპირ ცნობათა უქონლობის გამო, გადაჭრით თქმა ძნელია. მაგრამ თუ ნიგოითის წმინდა გიორგის ეკლესიის ფრესკაზე გამოხატული ბევროზ მაჭუტაძე, როგორც დიმ. ბაქრაძე ფიქრობს, XIV ს. პირია[17], ამ დროსვე ის ნიგოითის მფლობელი უნდა იყოს. სხვა სოფლებიც მაჭუტაძეებს ბევროზ-საყანის დროს უნდა ჰქონდეთ გასაკუთრებული[18].

მაჭუტაძეები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ჩაქვს, ქობულეთს, ჩოჩხათსა და აცანაში[19]. მაგრამ XVII ს. მეორე ნახევარში გიორგი III გურიელმა ეს ყმა-მამული ჩამოართვა მათ და ბოქაულთუხუცესს მირზაბეგ თავდგირიძეს უბოძა[20].

---

[14] იხ. Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 252; დას. საქ. საეკლ. სბ., II გვ. 41.

[15] ნიგოითს ძველად „ნიგოზდიდი“, „ნიგოსდიდი“, ანუ „ნიკოსდიდი“ ეწოდებოდა, იხ. სცია, ფ. 2. ანაწ. 1, საქმე № 8923, ფურც. 58, 59; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 312; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 438.

ნიგოითი რომ თავად მაჭუტაძეებს ეკუთვნოდათ, ამის შესახებ ცნობა დაცული აქვს გიულდენშტედტს (იხ. მისი, მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 313).

[16] მაჭუტაძეების სოფლებისა და ყმათა შესახებ ცნობები მოგვაწოდა სოფ. ნიგოითის მცხოვრებმა 62 წლის თამარ კირილეს ასულმა დადიან-მაჭუტაძემ. ჩავიწერეთ იმავე სოფელში 1959 წ. აგვისტოს. ეს ცნობები მას „მამაპაპათაგან“ გაუგონია.

[17] იხ. Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 255—256.

[18] ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა წყაროებზე დაკვირვება.

[19] Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 292.

[20] იხ. იქვე.

მაჭუტაძეების რეზიდენცია ნიგოითში იყო. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია, ციხე-სიმაგრე და საგვარეულო საძვალე— წმინდა გიორგის ტაძარი.

მაჭუტაძეთა კარის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატი „შეუმკია“ გურიელის ასულს დაუხტარ-მელიქს, რომელიც, ალბათ, რომელიღაც მაჭუტაძის მეუღლე იყო[21].

მაჭუტაძეების ყმათა საერთო რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ მათი ყმა გლეხები იყვნენ: ჯიბლაძეები, ფირცხალაიშვილები, გოგეშვილები, სამსონიები, სამსონაძეები, კალანდარიშვილები, ჩხაიძეები, მგელაძეები, ბუცურეიშვილები, ჭიჭილეიშვილები, არონიშიძეები, სარჯველაძეები, თავდიშვილები, ორმოცაძეები, გორგილაძეები, ჟორჟიკაშვილები, წილოსანი და სხვ.

მაჭუტაძეების აზნაურები იყვნენ: სურგულაძეები, ხალვაშები, სარჯველაძეები, მგელაძეები, ნიკოლაიშვილები, ორი კომლი ჟორდანია და ორი კომლი ებრალიძე[22].

მაჭუტაძეების ყმებს სამთავრო გამოსაღები არ მართებდათ[23].

მაჭუტაძეთა სათავადოს სამოხელეო აპარატის შესახებ ძალიან ცოტა ვიცით. გვხვდება მხოლოდ „მაჭუტაძის მეღვინე სვიმონა წილოსანი“[24]. მაგრამ, უეჭველია, სათავადოს უფროსს აქაც ეყოლებოდა სხვა მოხელეები (სახლთუხუცესი, მოურავი, მდივანი, ხელოსანი და სხვ.), რომელთაც სათავადოს მართვის საქმეში იყენებდა.

---

[21] Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 255.

მაჭუტაძეებს ადგილ-მამული, როგორც ჩანს, ასკანაშიც ჰქონდათ. XIX ს. შუა წლებში ალექსანდრე მაჭუტაძესთან მოდავე გლეხები და სახელმწიფო აზნაური ჟორდანიები აცხადებდნენ, რომ „მაჭუტაძეთა სახლი“ ასკანიდან „გადმოსახლებულა“ ნიგოითსო. იხ. ზ. ჭიჭინაძე. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, I. ტფილისი, 1924, გვ. 97; სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. № 8923, ფურც. 58.

[22] ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, საბ. № 8431, გვ. 33; იქვე, ფ. Sd, საბ. № 2606; სცია, ფ. 2. ანაწ. I, საქმე № 8923, ფურც. 59—60; თამარ დადიან-მაჭუტაძის ცნობა.

[23] იხ. მ. დუმბაძე. გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX ს. პირველ მესამედში, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, წაკვ. 30, 1954, გვ. 33—34; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 339.

[24] ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, საბ. № 8431, გვ. 33.

მაჭუტაძეების გავლენა გურიის სამთავროში დიდად ძლიერდება XVI საუკუნეში. ამ დროს იკავებს რამაზ მაჭუტაძე გურიელის კარზე უპირველეს თანამდებობას — სახლთუხუცესობას[25]. ამიერიდან გურიის სამთავროს არსებობის მთელ პერიოდში, მცირე ხნის გამოკლებით, ამ სახელოს მაჭუტაძეთა საგვარეულო ფლობდა. სახლთუხუცესობასთან ერთად, XIX ს. დამდეგიდან, ამ გვარის წარმომადგენლებს ჰქონდათ აგრეთვე ლანჩხუთის მოუურავის სახელოც[26]. ეს სახელო, რომელიც მათზე ადრე სამთავრო აზნაურ ჟორდანიებს „დიდხნობით" ეჭირათ, „ქრთამით" თუ სხვა გზით, მაჭუტაძეებმა ჩაიგდეს ხელში[27].

XVI საუკუნეში მაჭუტაძეთა სახლი სასულიერო სფეროშიც წინაურდება. ამ საუკუნის შუა წლებში, როგორც ეს ს. კაკაბაძემ გაარკვია, აფხაზეთის კათალიკოსად იოსებ მაჭუტაძე ზის[28]. მისი თანამოგვარე სერაპიონი კი აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარში შემოქმედის მონასტრის წინამძღვარია[29].

XVI—XVII სს. მიჯნაზე შემოქმედის მთავარეპისკოპოსად ბესარიონ მაჭუტაძე ჩანს[30]. XVII ს. დამდეგიდან 1639 წლამდე შემოქმედლობა ისევ ამ საგვარეულოს წევრს მაქსიმე მაჭუტაძეს

1808 წლის ერთ საბუთში იხსენიება მაჭუტაძის სასულიერო მსახური — „კარის მწირველი მღვდელი" ვინმე მაქსიმე (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1200).

[25] Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 131. ეს პირველი რამაზი არის მაჭუტაძეთა საგვარეულოში.

მაჭუტაძეზე ადრე, როსტომ I-ის გურიელობაში (1534—1566 წწ.) სახლთუხუცესობა გოგიბთეჯ კვერღელიძეს ჰქონდა (იხ. იქვე, გვ. 283).

[26] Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 332, 333, 335; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო,.., გვ. 390, 440.

[27] სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე № 8923, ფურც. 58; ქუთ. მუზ. საბ. № 796.

[28] ს. კაკაბაძე. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფილისი, 1920, გვ. 57—61. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი. სანას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 243, 195-ხ.

[29] Дм. Бакрадзе, АПГА. стр. 120.

როგორც შემოქმედის მონასტრის მაცხოვრის ხატის წარწერიდან ჩანს, სერაპიონ მაჭუტაძე ამ მონასტრის წინამძღვარად იჯდა გიორგი II გურიელისა და მისი თანამეცხედრის ელენეს დროს (იხ. იქვე). აქედან ცხადია, რომ სერაპიონი წინამძღვრად ყოფილა XVI ს. მეორე ნახევარში.

მაჭუტაძეთა გვარის წარმომადგენელს ჰქონია ერთ დროს ოქონის მონასტრის (აცანაში) წინამღვრობაც, მაგრამ რომელს და როდის, როგორც დიმ. ბაქრაძე შენიშნავს, არ ჩანს (იხ. იქვე, გვ. 250).

[30] Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 131; ქრონიკები, III, გვ. 57; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო..., გვ. 595.

აქვს[31]. 1639—1657 წლებში კიდევ მას აფხაზეთის კათალიკოსად ვხედავთ[32].

მაღალი სახელოებით აღჭურვილი მაჭუტაძეები გურიის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ. ჯერ კიდევ XVII ს. 50-იან წლებში ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ გურიის სამთავრო სახლს შიგნით ხელისუფლების გამო ატეხილ ბრძოლაში. მაჭუტაძეები ამ ბრძოლაში ქაიხოსრო I-ის მეტოქე დემეტრე გურიელს უჭერენ მხარს. უკანასკნელთან და მის მფარველ იმერთა მეფე ალექსანდრესთან შეთანხმებით თავადმა მაჭუტაძემ[33] მოკლა ქაიხოსრო „ღალატად" და „კვალად" დემეტრე გაგურიელდა[34].

ასეთი სამსახურისათვის მაჭუტაძეებს დემეტრესაგან მისი „კვალად" გურიელობის დროს (1660—1664 წწ.) უხვი წყალობა უნდა მიეღოთ ყმა-მამულისა თუ სხვა სახით. მაგრამ როცა გურიის მთავრად ქაიხოსრო I-ის მემკვიდრე გიორგი III დაჯდა (1664—1684 წწ.), მაჭუტაძეებს მისი რისხვა არ უნდა ასცდენოდათ.

მართლაც, გიორგი III-ის ერთ უთარიღო სიგელში, რომელიც მის გაგურიელებისთანავე უნდა იყოს შედგენილი, სახლთუხუცესად ოთარ ბერიძე იხსენიება[35]. ე. ი. ეს სახელო მაჭუტაძეებს ჩამორთმეული აქვთ. ჩანს, გიორგი III გურიელს მისი მამის მკვლელი მაჭუტაძეთა სახლი დაუმდაბლებია.

---

31 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთ შორის, გვ. 165.

32 იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, 1954, გვ. 130—132, 139.

კათალიკოს მაქსიმე მაჭუტაძეს რამდენჯერმე უმოგზაურია იერუსალიმში და მისი დიდი „მოამაგე-შემწირველი" ყოფილა. იგი „ხატია" იერუსალიმის ჯვარის მონასტერში (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 131; ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, გვ. 82, 123).

მაქსიმე 1657 წელს გარდაიცვალა იერუსალიმში (იხ. ქრონიკები, II, გვ. 469; „მოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა", გამოც. პლ. იოსელიანისა. ტფილისი, 1852, გვ. 159, შენიშვნა 27; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 131—132).

33 სახელი უცნობია.

34 ვ ა ხ ტ ა ნ გ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 202.

35 Дм. Б а к р а д з е. АПГА, стр. 292. ოთარ ბერიძეზე ადრე, 1647—1658 წლებში, სახლთუხუცესობა ალექსანდრე I მაჭუტაძეს ეპირა (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I, სამ. № 148, გვ. 140).

მაგრამ მაჭუტაძეები მალე ახერხებენ ისევ წამოწევას. იმავე გიორგი III-ის დროს ამ საგვარეულომ წართმეული სახლთუხუცესობა კვლავ დაიბრუნა. ახლა ამ თანამდებობაზე ჯერ რამაზ II-ეს და შემდეგ იოვანე I მაჭუტაძეს ვხედავთ[36]. სათაოადოს უფროსობაც ჯერ პირველსა და შემდეგ მეორეს აქვს.

მამია III-ის გურიელობაშიც (XVII ს. მიწურული — XVIII ს. დამდეგი) სახლთუხუცესად ჯერ ისევ იოვანე მაჭუტაძე ჩანს[37]. ხოლო შემდეგ, გიორგი IV-ის ზეობაში (XVIII ს. პირველი ნახევარი) ეს სახელო ალექსანდრე II მაჭუტაძეს უკავია[38].

XVII ს. ბოლო ხანში მაჭუტაძეთა სახლის ზოგი წარმომადგენელი აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობს. 1683 წ. ოთარ მაჭუტაძეს „სამწევრისის მეფთველეობა" უჭირავს[39]. ხოლო უფრო გვიან, 1690 წლიდან იგი ონოფრედ წოდებული დავითგარეჯის წინამძღვრად ზის, ვიდრე 1736 წლამდე[40]. მის ძმას მაქსიმეს კი ამავე ხანებში ბოლნისის ეპისკოპოსობა აქვს და ამის შესაბამისად „ბოვნელ მაქსიმედ" იხსენიება[41].

ერთი ცნობის მიხედვით, 1670—1673 წლებში, როცა ლევან ბატონიშვილმა (ვახტანგ VI-ის მამა) გურიელის ასული თუთა შეირთო, მას გურიიდან გამოჰყვნენ მაქსიმე (მოძღვარი-მღვდელი) და ოთარ მაჭუტაძეები[42], რომელნიც, როგორც ვნახეთ, შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად დაწინაურდნენ. ასე გაჩნდნენ აქ მაჭუტაძეები.

XVIII ს. 50—70-იან წლებში გურიის სამთავროს სახლში კვლავ ბრძოლა წარმოებს. მამია IV გურიელს ხელისუფლებას ეცი-

---

36 Дм. Бакрадзе. АПГА. стр. 292—293

37 იქვე, გვ. 294.

38 დას. საქ. საეკლ. სამ., I, გვ. 108—109. ალექსანდრე I-ზე, იხ. ზემოთ, სქოლიო 35.

39 ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903, გვ. 8.

40 იქვე, გვ. 9—10; ქრონიკები, II, გვ. 498, 518; ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, თბილისი, 1966, გვ. 23, 150, 157.

41 ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 51, 68, 70; ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 23, სქოლიო 70.

42 ვ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა..., ტფილისი, 1900, გვ. 130 (სქოლიო); შდრ. ვახუშტი, „საქართველოს ისტორია", გვ. 54, 58.

ლება მისი უმცროსი ძმა გიორგი V[43]. აღნიშნული საუკუნის მეორე ხახევარში მაჭუტაძეთა საგვარეულოს თავკაცი იოანე II არის. სახლთუხუცესობაც მას აქვს[44]. იგი მამიას მხარეზე დგას. მის დამხმარე იმერთა მეფის სოლომონ I-ის წინაშეც 1771 წ. იოანე ერთგულების ფიცს სდებს თვით მამიასა და გურიის ფეოდალებთან ერთად[45]. ამავე წელს სოლომონ მეფის შემწეობით მეტოქე ძმისაგან დამარცხებული მამია IV-ის ხელისუფლება ისევ აღდგა გურიის სამთავროში[46]. მამიას გამარჯვებას იოანე მაჭუტაძემაც შეუწყო ხელი. მაგრამ 1776 წ. გიორგი V კვლავ მთავრად დაჯდა[47]. მამიას მიმდგომი იოანე კი სასტიკად დასაჯა: თვალები დასთხარა და ქონებაც ჩამოართვა. ამ ქონების დაბრუნება იოანეს მემკვიდრეებმა მხოლოდ XVIII ს. მიწურულს შეძლეს[48].

იოანეს მემკვიდრეები იყვნენ ალექსანდრე III და დავით მაჭუტაძეები[49], რომლებმაც მალე დაიმსახურეს მთავრის წდობა. პირველი მათგანი გიორგი V გურიელის სიძე გახდა[50] და სამთავრო კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა. ფრიად დაახლოებული იყო სამთავრო კართან აგრეთვე ქაიხოსრო მაჭუტაძეც. სვიმონ III გურიელი (1789—1792 წწ.) მას თავის „ძმად“ ხსენების პატივს დებდა[51].

XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს სახლთუხუცესობა ზემოხსენებულ ალექსანდრე მაჭუტაძეს ეკავა[52]. მასვე ჰქონდა ლან-

---

43 Грамоты..., т. I, стр. 354—355; т. II, вып. I, стр. 60—70. პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისა. ქართლის ცხოვრება. II, გამოც. ჩუბინაშვილისა. გვ. 468—469.

44 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 11484, 13894.

45 Грамоты..., т. I, стр. 291, 354—355.

46 იხ. იქვე.

47 გიორგი V-ის გურიელობის წლების შესახებ. იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 360; ო. სოსელია, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 139—140.

48 სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე № 8923, ფურც. 58; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 441.

49 ქუთ. მუზ. საბ. № 60.

50 ალექსანდრე მაჭუტაძეს ცოლად ჰყავდა გიორგი V გურიელის ასული აღათი. იხ. სცია, ფ. 2, ანაწ. I, საქმე 3975, ფურც. 26, 31—32; ქუთ. მუზ. საბ. № 97; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 360.

51 ქუთ. მუზ. საბ. № 1173.

52 სცია, ფ. 1448, საბ. № 1343; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 369.

ჩხუთის მოურავობაც[53]. სათავადოს უფროსობაც უთუოდ მის ხელში იყო.

მაჭუტაძეებს ზოგჯერ „ბევრი რამ ცუდმადი სამტერო და საკალო საქმე“ ჰქონდათ მეზობელ თავად ნაკაშიძეებთან. ჯერ კიდევ ადრე, 1689—1717 წლებში, მაჭუტაძემ ნაკაშიძის „მოღალატე“ ყმა ანთელიძე შეიფარა[54] და მის დასაკუთრებას ცდილობდა. შემდეგ კიდევ, XVIII ს. მეორე ნახევარში, იოანე მაჭუტაძე ნაკაშიძეს ყმა-მამულს სტაცებდა. მაგრამ მამუკა ნაკაშიძემ პირობის წიგნი დაადებინა. მას რომ ამიერიდან იგი ნაკაშიძისათვის „კარგი და კარგის მდომი, უვნო... უზიანო“, მის „მტრობაზედ და... მამულზედ ხელაღებული“ იქნებოდა[55].

შეიძლება მეზობელ თავადებთან მტრობის გამო „მოკლეს“ აღნიშნულ ხანში იოანეს ბიძაშვილი ბერუკა მაჭუტაძე[56].

ცოტა გვიან მაჭუტაძეები მაინც დაეუფლნენ ნაკაშიძის ადგილ-მამულს. ნაკაშიძეებით უკმაყოფილო მამია V გურიელმა 1804 წელს მათი სახლიკაცის ლაზარეს ყმა-მამული ასკანას, ხარაულს, ოქროქედსა და ვაკიჯვარში ალექსანდრე და დავით იოანეს ძეებს მაჭუტაძეებს უწყალობა[57].

ქაიხოსრო IV გურიელის ძის რეგენტობის პერიოდში (1797—1809 წწ.) მაჭუტაძეთა გვარში მეტად ძლიერი ფეოდალი ჩანს გიორგი ალექსანდრეს ძე მაჭუტაძე[58]. მის მატერიალურ გაძლიერებაში მნიშვნელოვან როლს ტყვეებით ვაჭრობა თამაშობდა. ამ ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ ქაიხოსროს ღონისძიებებს მაჭუტაძე არაფრად აგდებდა. იგი არც კი დაესწრო იმ კრებას, რომელიც ქაიხოსროს ინიციატივით იქნა მოწვეული ტყვეთა სყიდვის აკრძალვის მიზნით და ტყვეებით ვაჭრობას ისევ განაგრძნობდა. მაგრამ ქაიხოსრო სასტიკად გაუსწორდა განდიდებულ თავადს:

---

53 ქუთ. მუზ. საბ. №№ 97, 796, 797; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 236.

54 დოკუმენტები..., I, გვ. 475.

55 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 13894.

56 ქუთ. მუზ. საბ. № 60.

57 სცია, ფ. 2, საქ. № 5670, ფურც. 142, იხ. აგრეთვე იქვე, ანაწ. I, საქ. 3975, ფურც. 31—32.

58 გიორგის მამა იყო არა ალექსანდრე III იოანეს ძე, არამედ სხვა, I ან II, ალექსანდრე მაჭუტაძე (იხ. სცია, ფ. 2, საქმე № 5670, ფურც. 142).

ყმა-მამული ჩამოართვა და მის სახლიკაცს გადასცა. დამცრობილი გიორგი მაჭუტაძის შტო შემდეგ აზნაურად დარჩა[59].

XIX ს. პირველ მეოთხედში მაჭუტაძეთა სახლის წევრებიდან გამოირჩევა დავით იოანეს ძე მაჭუტაძე. ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში სახლთუხუცესის თანამდებობა უკვე მას აქვს[60] და უჭირავს გურიის სამთავროს გაუქმებამდე[61]. ამავე დროს მის ხელშია ლანჩხუთის მოურავობაც[62]. სათავადოს უფროსადაც ის ზის.

მამია V-ის გურიელობაში (1809—1826 წწ.) სამთავრო კარზე გურიის თავადებიდან ყველაზე მეტი ავტორიტეტი დავით მაჭუტაძეს ჰქონდა. მამიას „თითოეული საქმე" მაჭუტაძეს ეკითხებოდა. სამთავროს საქმეების შესახებ რუსეთის სარდლობასთან თუ სხვა პირებთან მოლაპარაკების წარმოებას მთავარი მას ანდობდა[63].

აღსანიშნავია, რომ 1825 წ. დავით მაჭუტაძე, როგორც ყველაზე უფრო საპატიო პირი, რუსეთში გაიგზავნა ნიკოლოზ I-ის იმპერატორად კურთხევის ცერემონიაზე დასასწრებად[64].

დავით მაჭუტაძე მტრულად შეხვდა გურიის სამთავროში რუსული მმართველობის დამყარებას. თავისი განწყობილება რუსეთის ხელისუფლების მიმართ მან ჯერ კიდევ 1820 წელს გამოამჟღავნა. აღნიშნულ წელს გურიაში მომხდარი აჯანყების დროს დავითმა საგანგებოდ გაამაგრა თავისი საგვარეულო ციხესიმაგრე ნი-

---

59 სცია, ფ. 2, საქმე № 5670, ფურც. 142; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი. გურიის სამთავრო..., გვ. 441.

60 Дм. Б а к р а д з е. АПГА, стр. 332.

დავითმა სახლთუხუცესობა მიიღო თავისი ძმის ალექსანდრეს შემდეგ. უკანასკნელი კი უნდა გარდაცვლილიყო XIX ს. პირველ ათეულ წლებში. ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრეს ცოლი გურიელის ასული აღათი 1812 წელს უკვე დავით მიქელაძის თანამეცხედრეა (სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე № 3975, ფურც. 26; ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, საბ. № 1333 (უკანასკნელი საბუთი გამოქვეყნებულია. იხ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 164—165); ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი. გურიის სამთავრო..., გვ. 360). ე. ი. ალექსანდრე მაჭუტაძე 1812 წელზე უფრო ადრეა გარდაცვლილი.

61 Дм. Б а к р а д з е. АПГА, стр. 335.

62 ი ქ ვ ე, გვ. 332, 333.

გურიის სამთავროს არსებობის ბოლო წლებში სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე ბაირის ხარისხით გვხვდება (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 334; 335). უფრო გვიან, XIX ს. 40-იან წლებში, იგი ზოგჯერ პოლკოვნიკად იხსენიება, ზოგჯერ კი — პოდპოლკოვნიკად (სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე № 8923, ფურც. 30, 60).

63 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1367; სცია, ფ. 2, ანაწ. 1, № 256, ფურც. 36.

64 სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე № 3975, ფურც. 37; История военных действий в азиатской Турции 1828—1829 годах, ч. первая, Варшава, 1843, стр. 162.

გოითში, შეაიარაღა „უმეტეს ორასისა კაცისა“, ტყვია-წამალი შეისყიდა და რუსთა წინააღმდეგ გამოსვლას აპირებდა. მაგრამ მამია გურიელმა ეს რომ გაიგო, „შერისხა“ იგი და „მილიცია“ დააშლევინა. რუსეთის სარდლობამ მაინც არ აპატია ეს მაჭუტაძეს: დაანგრიეს მისი საგვარეულო ციხესიმაგრე და დასწვეს ამ ციხის ახლო მდგარი სასახლეც[65].

მამია V გურიელის გარდაცვალების შემდეგ (1826 წ. 21 ნოემბერი) სამთავროს მართვა-გამგეობა ფაქტიურად დავით მაჭუტაძის ხელში იყო. მართალია 1827 წ. იანვარს დაარსებულ იქნა „გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო“[66], მაგრამ მამიას ქერივი სოფიო დედოფალი ამ საბჭოს ანგარიშს არ უწევდა და სამთავროს საქმეებს სინამდვილეში მისი „ფავორიტი“ სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე განაგებდა[67].

დავით მაჭუტაძე თავადთა იმ ჯგუფს მეთაურობდა, რომელიც გურიაში „სამთავროს სამმართველო საბჭოს“ გაუქმებისა და მთავრის ხელისუფლების აღდგენისათვის იბრძოდა. თავადთა მეორე ჯგუფი, ნაკაშიძეებისა და ერისთავების მეთაურობით, რუსული ძალართველობის მხარეზე იდგა[68]. მოწინააღმდეგე თავადები ერთმანეთს მტრობდნენ და ქვეყანა ზიანდებოდა. ასეთ ვითარებაში იყო გურიის სამთავრო, როცა 1828 წ. აპრილში რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. სოფიოს ერთგული დავით მაჭუტაძე მაშინვე სულთანის ქარს დაუკავშირდა და დედოფლისათვის დახმარება ითხოვა. სულთანმა დახმარების იმედი მისცა[69], მაგრამ ამასობაში თურქეთის

---

65 სცია, ფ. 2. ანაწ. 1, საქ. № 8923, ფურც. 58—59; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი. გურიის სამთავრო..., გვ. 289—290; თამარ დადიან-მაჭუტაძის ცნობა.

66 «Совет управления княжества гурийского» დაარსდა საქართველოს მთავარმართებლის ერმოლოვის ბრძანებით სოფიო დედოფლის უფლებათა შეზღუდვის მიზნით. მასში ექვსი წევრი შედიოდა: ვახტანგ ერისთავი, დავით მაჭუტაძე, სიმონ გუგუნავა, გიორგი ნაკაშიძე, გიორგი ერისთავი და გიორგი თავდგირიძე. საბჭოს თავმჯდომარედ ითვლებოდა დედოფალი სოფიო (იხ. Акты, т. VI. ч. I, с.р 679—680).

67 იხ. ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი. გურიის სამთავრო..., გვ. 302.

68 Исторня военных действий в азиатской Турции..., ч. I, стр. 161—162; Акты, VI, ч. I, стр. 678; სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე № 8923, ფურც 59; მ ა მ ი ა დ უ მ ბ ა ძ ე. გურიის სამთავროს სოციალ-ეკონომიური ვითარება XIX ს. პირველ მესამედში. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 33.

69 სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 8923, ფურც. 59; Исторня военных действий в азиатской Турции... ч. I, стр. 162—163. შრდ. В. П о т т о. Кавказская

ჯარი დამარცხდა როგორც ბალკანეთში, ისე ამიერკავკასიაშიც...

სოფიო დედოფალი თავის პოზიციებს მაინც არ თმობდა. მთავრის ხელისუფლების შენარჩუნებას იგი დაჟინებით ცდილობდა. მაგრამ 1828 წ. ოქტომბერში რუსეთის სარდლობამ „ურჩი" დედოფლის დასამორჩილებლად თავისი ჯარი შეიყვანა გურიაში. სოფიო მრავალრიცხოვანი ამალით ოსმალეთს გადაიხვეწა. ემიგრაციაში წასულ დედოფალს თან მიყვებოდა მისი სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე.

დავითის ემიგრაციაში წასვლით დიდად დაზარალდა მაჭუტაძეთა სათავადო: დავითის ყმა-მამული სახაზინოდ ჩაირიცხა[70].

დავითს მიმდევარი ჩანს მისი თანამოგვარე ნარიმან მ ჭუტაძე, რომელიც 1827 წლის თებერვალს ხელს აწერს გურიის „საზოგადოებისაგან" ერმოლოვისათვის მიცემულ თხოვნას „გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს" გაუქმებისა და სოფიო დედოფლისათვის მთავრის ერთპიროვნული ხელისუფლების შენარჩუნების შესახებ...[71].

გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1828 წლის მიწურული ფაქტიურად, ფორმალურად კი — 1830 წელი) მაჭუტაძეთა სათავადოც ადმინისტრაციულად გაუქმდა.

თავი X

გურიის ერისთავთა სათავადო

გურიის სამთავროში არსებულ სათავადოებს შორის ყველაზე უდიდესი და უძლიერესი ერისთავ-შარვაშიძეთა სათავადო იყო.

გურიის მთავრის ერისთავი პირველად XV ს. იხსენიება. ერისთავობა ამ დროს გუგუნავათა საგვარეულოს წევრს უკავია[1]. მაგრამ ამავე საუკუნეში რაღაც მიზეზის გამო იგი „სილარიბეშია" და უთუოდ სახელოც ჩამორთმეული აქვს[2]. მომდევნო საუკუნეში,

---

война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. 4, вып. I, Тифлис, 1897, стр. 4.

70 სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე № 8923, ფურც. 59; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი. გურიის სამთავრო..., გვ. 302, 307—308, 441.

71 Акты, VI, ч. I, стр. 681.

1 ხელნაწ. ინსტ., ფ. Q, № 5, ფურც. 223v; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი. გურიის სამთავრო..., გვ. 422—423.

2 ხელნაწ. ინსტ., ფ. Q, № 5, ფურც. 223v.

როსტომის გურიელობის დროს კი (1534—1566 წწ.), ერისთავობა კობალაძეთა სახლის წევრს, სეხნიას, უჭირავს[3].

შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენელი გურიის ერისთავად გიორგი III-ის გურიელობამდე (1664—1684 წწ.) არ გვხვდება. დიმ. ბაქრაძის მართებული მითითებით, კობალაძეთა სახლის ერისთავობის დროს შარვაშიძეთა საგვარეულო ან სულ არ იყო გურიაში, ან ერისთავობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა[4].

საყურადღებოა, რომ, ვახუშტის ცნობით, გურიაში „შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთიდამ"[5]. ამას იმეორებს იოანე ბატონიშვილიც და თავის მხრივ ზოგ სხვა ცნობასაც იძლევა: „თავადი შარვაშიძე, — ამბობს იგი, — იყვნენ პირველ გუარით შარუჰ, შირვანთ მთავართაგანი. ესენი რომელნიმე ურჩნი აჰყარა დავით აღმაშენებელმან და დაასახლა აფხაზეთს შინა... უკაანსკნელ ამათი გუარისა იქმნენ მთავრად აფხაზეთს... და მუნიდგან იწოდებიან შარვაშიძედ. ხ(ოლო) ამათნი... გვარნი რომელნიმე სახლობენ გურიასა თავადად და სხვანი ქართლსა შინა" 1473 წლიდანო[6].

სწორია თუ არა ეს ცნობა, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: შარვაშიძეთა გვარი გურიის სამთავროში XVII ს. მეორე ნახევრამდე არ ჩანს.

შარვაშიძეთა საგვარეულოდან პირველი ჩვენთვის ცნობილი გურიის ერისთავი გიორგი შარვაშიძეა. იგი გიორგი III გურიელის, მისი მემკვიდრის მამია III-ისა (1689—1711 წწ.) და გიორგი IV-ის დროის (1713—1726 წწ.) მოღვაწეა[7].

---

3 Дм. Бакрадзе, АПГА, стр. 283.

4 ი ქ ვ ე, გვ. 285. იხ. აგრეთვე, გვ. 368—369 (ს�იებელი).

5 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 26,

6 ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 79г.

აღსანიშნავია, რომ გურიის ერისთავთა წარმომავლობის შესახებ იოანე ბატონიშვილს თავის „აღწერის" სხვა ადგილას საწინააღმდეგო ცნობა აქვს მოცემული: გურიის „ერისთავი არის გუარით ვარდანიძე კახელიო". იხ. ი ქ ვ ე, გვ. 119г.

7 Дм. Бакрадзе, АПГА, стр. 293—296.

გიორგი III-ის სიგელში გიორგი ერისთავის გვარი მოხსენიებული არ არის, მაგრამ იგი რომ შარვაშიძეთა გვარისაა, ეს ჩანს გიორგ III-ის მემკვიდრის მამია III-ის სიგელიდან, სადაც გიორგი ერისთავ-შარვაშიძედ არის დასახელებული (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 293, შდრ. გვ. 294—296).

აღსანიშნავია, რომ მამია III-ისა და გიორგი IV-ის ზეობაში იხსენიება გიორგი ერისთავის მამაც, მაგრამ უსახელოდ (ი ქ ვ ე, გვ. 296). ჰქონდა თუ არა მას ერისთავობა, წყაროებიდან არ ჩანს.

გურიის ერისთავთა სათავადოს ჩამოყალიბება შარვაშიძეთა სახლის წევრის გაერისთავებასთან არის დაკავშირებული და, ამრიგად, XVII ს. მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

ვერც გუგუნავებისა და ვერც კობალაძეთა ფეოდალურმა გვარმა ერისთავის თანამდებობა მემკვიდრეობით ვერ შეინარჩუნა. „ერისთ[ა]ვათ კურთხ[ე]ული" ალექსანდრე გუგუნავას „სიღარიბეში" ყოფნა[8], შემდეგ ამ თანამდებობის კობალაძეთა ხელში გადასვლა და, ბოლოს, გურიის ერისთავად შარვაშიძის დასმა, სწორედ ამაზე მეტყველებს.

მხოლოდ შარვაშიძეებმა შეძლეს ერისთავობისა და საერისთავო ყმა-მამულის გასაკუთრება, რაც არსებითად იყო საერისთავოს სათავადოდ გადაქცევა. მიუხედავად ამისა, გურიის სამთავრო კარმა ერისთავის ძველი წოდება მაინც შემოინახა, თუმცა ეს სახელი (ერისთავი) ახლა მის შინაარსს არ შეეფერებოდა: ერისთავი თავის საერისთავოში ახლა ისეთივე უფლებით სარგებლობდა, რა უფლებითაც სარგებლობდნენ მაჭუტაძეები, ნაკაშიძეები და სხვა თავადები თავიანთ სათავადოებში.

გიორგი III-ის გურიელობიდან დაწყებული გურიის სამთავროს არსებობის მთელ პერიოდში ერისთავის წოდება შარვაშიძეთა გვარს ჰქონდა. თანამდებობის აღმნიშვნელი ეს ტერმინი „ერისთავი" დროთა განმავლობაში მათი გვარის სახელი გახდა და შარვაშიძის გვარი ერისთავად იწოდა. ასე, მაგალითად, მაქსიმე შარვაშიძე ნათლისმცემლის მონასტრის კრებულისათვის მიცემულ პირობის წიგნში თავის თავს „ერისთავად წოდებულ" შარვაშიძეს ეძახის[9]. თავდაპირველად კი ერისთავის წოდება საგვარეულოს მხოლოდ ერთ წარმომადგენელს ჰქონდა. სხვები „ერისთავისშვილებად" ან „ერისთავისძეებად" იწოდებოდნენ[10]. მაგრამ ეს წესი თანდათან იძლევა და XIX ს. დამდეგს გურიის ერისთავთა საგვარეულოს ყველა წევრი ერისთავად იწოდება[11].

ერისთავთა საგვარეულოს უფროსი თავიდანვე ის პირი უნდა ყოფილიყო, ვისაც ერისთავის წოდება ჰქონდა. ეს წოდება, უეჭველია, ისე, როგორც რაჭის საერისთავოში, გურიის საერისთავოშიც მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე უხუცესობის მიხედვით.

---

8 ხელნაწ. ინსტ., ფ. Q, № 5, ფურც. 223v.

9 სცია, ფ. 2, № 6/6, ფურც. 5—6.

10 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 11413, 13893; სცია, ფ. 1, საბ. № 2076; ქუთ. მუზ. საბ. №№ 331, 1483.

11 ქუთ. მუზ. საბ. №№ 718, 1153; სცია, ფ. 1, საბ. 2079.

აღნიშნულ საუკუნის დამდეგსაც საგვარეულოს უფროსობა გურიის ერისთავთა სახლში ისევ მემკვიდრეობის პრინციპზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

ერისთავ-შარვაშიძეთა ჯერ კიდევ პირველი წარმომადგენელი გიორგი მამია III-ის დროს (1689—1711 წწ.) უკვე დამსახურებული პირია. ამასთან იგი მამია III-ის სიძეა და მისი ერთგული თავადი[12].

საგვარეულოს უფროსობაც უთუოდ მის ხელშია.

ერთგულებით ნამსახურ ერისთავს ხსენებულმა მთავარმა ერთი თავისი უთარიღო სიგელით გორმაღალის მონასტერი უბოძა საჯავახოში[13].

ცნობილია, რომ მამია III-ემ სამჯერ მიიტაცა იმერეთის სამეფო ტახტი და დიდ ბრძოლას აწარმოებდა ამ ტახტის კანონიერ მემკვიდრეებთან[14]. ამ ბრძოლაში მამიას მხარეზეა მისი ერისთავი გიორგი შარვაშიძე. მაგალითად, როცა „საჯავახოელებმა" მამია მესამეს „უმუხთლეს" და იმერთა მეფეს მიუდგნენ, გიორგი ერისთავი გურიელის ერთგული დარჩა. ამით კმაყოფილმა მთავარმა თავის „გულითად ყმას" უბოძა „სრულიად საჯავახო სახელოდ" და პაპუნა ნანეიშვილის „მამული, კვამლი კაცები, სახლკარი, შინ-ყმა, მოახლე" და მისი ყველაფერი[15].

აღსანიშნავია, რომ გიორგი ერისთავს საჯავახოსა და სურებში მამია მესამისაგან ნაწყალობევ მამულს გარდა, აქვს მისგან ნასყიდი მამულიც[16].

მამია III-ის მემკვიდრის გიორგი IV-ის გურიელობაში გიორგი ერისთავის ყმა-მამულს არაფერი მიმატებია. ერთ დროს დაკარგა კიდეც ერისთავმა ყველაფერი ის, რაც გიორგი IV-ის მამისაგან ჰქონდა მიღებული. ამის მიზეზი იყო ის, რომ ერისთავი გიორგი IV-

---

12 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 218, 294

გურიის ერისთავთა საგვარეულოს შესახებ საინტერესო დაკვირვებები აქვს დიმ. ბაქრაძეს (იხ. იქვე, გვ. 217—219, 228, 285, 368—369).

13 იქვე, გვ. 294.

14 იხ. ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 218, 223—226; ო. სოსელია. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 127.

15 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 10823; Дм. Бакрадзе. АПГА стр. 294.

16 Дм. Бакрадзе, АПГА, стр. 296.

ის მეტოქე ძმასთან, ქაიხოსროსთან, იყო დაკავშირებული. მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გამარჯვებულმა გიორგი IV-ემ ერისთავს საძაგიერო მიუზღო: ყმა-მამული ჩამოართვა და „განაძო ერისთავი თვისი“[17].

რამდენ ხანს იყო ერისთავი ასე შერისხებული, არ ვიცით. ჩანს მხოლოდ, რომ გურიელს მან „ქრთამად“ მიართვა 500 მარჩილი და ამის შემდეგ შეირიგა იგი მთავარმა: დაუბრუნა რა სამკვიდროდ საჯავახოსა და სურებში ჩამორთმეული ადგილ-მამული[18].

გიორგი ერისთავის მემკვიდრეა მამია IV-ის გურიელობაში (1726—1784 წწ.) მოღვაწე ზაალ ერისთავი[19]. საგვარეულოს უფროსობაც მამის შემდეგ მას აქვს. იგი მეტად მოქნილი პიროვნებაა. კარგი განწყობილება აქვს როგორც გურიის მთავართან, ისე იმერთა მეფე სოლომონ პირველთან და ოსმალთა სულთნის „სარასკირ-ვეზირ“ ასან ფაშასთანაც[20].

სოლომონ I-ის წინაშე გურიის ერისთავთა სახლს დიდი დამსახურება მიუძღოდა. ხრესილის ომში, 1757 წელს, გურიის ერისთავები მამაცურად იბრძოდნენ. როცა თურქთა ლაშქარმა იმერეთის დროშა წარიტაცა, გურიის ერისთავი შეიჭრა მტრის რიგებში და დროშა ბრძოლით გამოიხსნა[21].

სოლომონიც დიდად ზრუნავდა ერისთავთა წარმატებისათვის.

---

17 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 228.

18 Д м. Б а к р а д з е. АПГА, стр. 296—297.

19 ი ქ ვ ე, გვ. 312.

20 საქ. სიძვ., II, გვ. 519—521.

ერთ დროს (XVIII ს. 60-იან წლებში) ზაალ ერისთავი მძევლად ჰყავდა თურქებს. გიორგი ერისთავმა შვილის გამოსახსნელად 5 ქესა (1809 წლის ცნობით, თითო ქესა 120 მანეთს შეადგენდა რუსული მონეტით. იხ. Акты, IV стр. 415, შდრ. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, გამოც. თ. ენუქიძისა, თბილისი, 1955, მუხლი 16; Дм. Б а к р а д з е. АПГА. стр. 312; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი, 1938, გვ. 263; შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.), თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XLI, 1950, გვ. 76. შენიშვნა 3) გადაიხადა. ეს თანხა მან თავის ვაჟს ქაიხოსროს გამოართვა, რის ნაცვლად მისი მოთხოვნის თანახმად მისცა მას, კუთვნილი წილის გარდა, ბერეჟოულის სასახლე მასში შემავალი დოლიძეებით, აზნაური ბერიძეებითა და სხვებით (იხ. Дм. Б а к р а д з е. АПГА. стр. 312).

21 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ტექსტის მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძისა, თბილისი, 1964, გვ. 357.

1764 წელს იგი „შუა შემოვიდა“ მამია IV გურიელთან ზაალ ერისთავისათვის ადგილ-მამულის წყალობის შესახებ[22].

გურიელს ამ დროს იმერთა მეფის მომდურება არ შეეძლო. იმის გარდა, რომ მამია IV-ის თანამეცხედრე როდამი სოლომონის და იყო, მამია IV-ეს მთავრის ხელისუფლება სოლომონის წყალობით ეჭირა: მეტოქე ძმასთან, გიორგისთან, ბრძოლაში მამიას იმერთა მეფე იცავდა[23].

თვით ზაალ ერისთავიც მთავრის „ძალიან ურთგული“ ყმა იყო. ყოველივე ამის გამო გურიელმა 1764 წელს თავის „უცვალებელი“ სიგელით უბოძა ერისთავს „ერკეთი და მისი შემავალი მთლად ოქროსქედი ვანისქედიანათ“[24].

1767 წელს კი ზაალ ერისთავი თურქთა დახმარებით გაგულრიელებულ გიორგი V-ეს მიემხრო და ასან-ფაშამ ზაალ ერისთავს დაუმტკიცა, რაც მის მამას „მამული ეჭირა, ან ხელობა“ და რაც მამია მეოთხისაგან ნაბოძები ჰქონდა: „ვანის-ქედი, ოქროს-ქედი, ხარული, ჯუმათის შემავალი შუხუფი, ყველა უკლისათ“[25].

ზაალ ერისთავის გავლენას აძლიერებდა სოლომონ I-თან ნათესაობა. სოლომონის და, მეფის ასული ანუსია, ზაალის თანაძეცხედრე იყო[26]. გურიის ერისთავთან მეფის კეთილგანწყობილებას პოლიტიკური ანგარიშიც ედო საფუძვლად: სოლომონ I და იმერთა სხვა მეფეები გურიის მთავარს საჯავახოს ეცილებოდნენ[27]. ამ კუთხის მოურავისა და მისი დიდი ნაწილის მფლობელის გურიის ერისთავის პოზიციას მოქიშპე მხარეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იმერთა მეფეები ცდილობდნენ გურიის ერისთავების თავიანთ მხარეზე გადაბირებას. ამ მიზნით უწყალობეს „ძველმა მეფეებმა“ ერისთავს იმერეთის საჯავახოში გამოჩინებულის საწინამძღვრო ეკლესია მასში შემავალი ყმა-მამულით[28] და, ასე, იგი თავიანთ ვასალადაც აქციეს.

---

22 საქ. სიძვ., II, გვ. 519—520.

23 Грамоты.... I. стр. 354—355; ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 232; ო. სოსელია. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, გვ. 128, 139—140 (შენიშვნა 2).

24 საქ. სიძველენი, II, გვ. 519—520.

25 იქვე, გვ. 520—521.

26 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 219.

27 სცია, ფ. 1449, საბ. № 58. Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 218, უფრო ვრცლად ამაზე იხ. ქვემოთ, ჭილაძეთა სათავადოში.

28 ქუთ. მუზ. საბ. № 351.

მაგრამ გურიის ერისთავის დამოკიდებულება იმერთა მეფეებისადმი ცვალებადი იყო. ერისთავები ძალთა განწყობილების შესაბამისად მოქმედებდნენ. ხან მეფეს უჭერდნენ მხარს, ხან გურიელს. ხან კიდევ ერისთავთა სახლი ორად იყოფოდა: ნაწილი იმერთა მეფეს უდგებოდა, ნაწილი — გურიელს. ამიტომ ერისთავებს ხან მეფე უწყრებოდა, ხან კიდევ — გურიელი, ან ხან ერთი წყალობდა, ხან — მეორე.

ზაალ ერისთავის შემდეგ მის სახლიკაცებსა და სოლომონ I-ს შორის განწყობილება შეიცვალა. „ძველთაგან" გურიის ერისთავების მფლობელობაში მყოფი გამოჩინებულის ეკლესიის ყმა-მამული მეფემ ჩამოართვა ერისთავებს და 1783 წელს ამავე ეკლესიას შესწირა[29].

იმერთა მეფე სოლომონ მეორესთან გურიის ერისთავთა საგვარეულოს წევრები სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში ჩანან. ზოგი ერთგულობს მას, ზოგი კი მტრობს. მაგალითად, ქრისტეფორე ერისთავის შვილი სოლომონ II-ის „დიდი ნამსახური" და ერთგულია. ამის გამო მეფე ერთ ხანს უბრუნებს მას გამოჩინებულის საწინამძღვრო ეკლესიას მისი ყმა-მამულით[30].

ერისთავთა საგვარეულოს მეორე წარმომადგენელს დავითსა და სოლომონ II-ეს შორის განწყობილება მეტად გამწვავებულია. ეს დავითი სოლომონ I-ის თანამედროვისა და სიძის ზაალ ერისთავის მემკვიდრეა[31].

როცა იმერეთში სოლომონ II გამეფდა, „მას ჟამსა შინა გურიის ერისთავობას დავით ერისთავი მფლობელობდა". მან სოლომონის მიმართ „მრავალი უწესო კადნიერება იკადრა"[32]. ეტყობა, დავით ერისთავი სოლომონის მეტოქე დავით გიორგის ძის მომხრეთა ჯგუფში იყო.

---

[29] სცია, ფ. 3, № 7; Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 238.

[30] ქუთ. მუზ. საბ. № 351.

ქრისტეფორე ერისთავისშვილს, როგორც გამოჩინებულის ეკლესიის წარწერიდან ჩანს, დიდი ამაგი დაუდვია ამ ეკლესიისათვის: მას განუახლებია ეს ეკლესია. ორჯერ ოგი „იერუსალიმადაც" წასულა. იხ. Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 234.

[31] ქუთ. მუზ. საბ. № 119.

ზაალ ერისთავის ერთ შეწირულების წიგნში იხსენიება მისი ძე დავითი (სცია, ფ. 2. №6/2, ფურც. 1—2). უკანასკნელს ექვსი ვაჟი ჰყოლია: გიორგი, სიკო, ლომიხი; შაქსაძე, ზურაბი და როსტომი (სცია, ფ. 226, საბ. № 3985; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 423—429, 431).

[32] ქუთ. მუზ. საბ. № 119.

გამარჯვებულმა სოლომონ II-ემ სასტიკად დასაჯა დავით ერისთავი: გადააყენა იგი ერისთავობიდან და ერისთავად მისი სახლის სხვა წევრი დასვა. ადგილ-მამულიც ჩამოართვა მას საჯავახოში და მეფემ თავის „საუპატიოდ... საკუთრად“ აიღო[33].

ეს ხდება 1798 წელზე რამდენიმე ხნით ადრე, იმ დროს, როცა გურიის სამთავრო სახლში უთანხმოებაა. ამ გარემოებით სარგებლობს იმერთა მეფე და სამთავროს საქმეებში ერევა. გურიის ერისთავობასაც მისთვის მისაღებ პირს აძლევს. გურიის ერისთავს სოლომონი იმიტომაც ადებს ხელს, რომ მის სამოურავო საჯავახოს თავისად თვლის.

დავით ერისთავს სოლომონ II-ემ მისივე ბიძა ქაიხოსრო დაუპირისპირა. უკანასკნელი იმერეთის სამეფო კართან ჯერ კიდევ სოლომონ I-ის დროიდან იყო დაახლოებული: ქაიხოსროს ცოლად ჰყავდა სოლომონ I-ის შვილიშვილი — აბაშიძის ასული ანა[34]. სოლომონ შეორეც დიდად მფარველობდა ქაიხოსროს.

ქაიხოსრომ საერისთავო მამული სოლომონ II-ის წყალობით მიიღო. სამაგიეროდ ქაიხოსროც მეფის „ერთგულების მარად მცდელი“ იყო. ამის გამო გურიელი მტრობდა ერისთავს[35].

იმერთა მეფემ თავის ერთგულებისათვის დეენილ ქაიხოსროს ოთხი კომლი აზნაური არდიშვილი უწყალობა საჯავახოში[36].

მაგრამ, ბოლოს სოლომონ II არც ქაიხოსრო ერისთავის მოქმედებით ყოფილა კმაყოფილი. ეს ჩანს იქიდან, რომ ძველი დროიდან გურიის ერისთავთა სამფლობელოში შემავალი „გამოჩინებულის ხაწინამძღვრო ადგილ-მამული“ საჯავახოში მეფემ 1810 წელს ოტია და სხვა წულუკიძეებს უბოძა. ამიერიდან გამოჩინებული თავად წულუკიძეების მფლობელობაში იყო[37].

საერისთავოს სახელით ცნობილი იყო მდინარე გუბაზეულსა და საწაბლიას ქედს შორის მდებარე ტერიტორია[38]. მაგრამ სინამ-

---

33 ქუთ. მუზ. საბ. № 119.

34 სცია, ფ. 1, № 3953; ფ. 2, № 3877.

ქაიხოსრო გურიის ერისთავის ასული ელისაბედი კი ქაიხოსრო IV-ე გურიელის ძის (მცირეწლოვან მამია V-ის რეგენტი) მეორე ცოლი იყო (იხ. Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 118, 359 (საძიებელი, ქაიხოსრო გურიელზე); ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 243, 362).

35 სცია, ფ. 227(2), საბ. № 270.

36 იხ. იქვე.

37 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 238—239.

38 იხ. იქვე, გვ. 228.

დვილეძი ერისთავთა მიწა-წყალი უფრო ვრცელი იყო. გურიის სამთავროს არსებობის ბოლო ხანს ერისთავების სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი აჭარამდე აღწევდა, დასავლეთის— საგურიელო სოფ. ნაგომრამდე, ჩრდილოეთის — სამაჭუტაძეომდე, რომლისგან ჰყოფდა მას ნიგოითის ქედი, ხოლო აღმოსავლეთის საზღვარი საჯავახოზე გადიოდა. საჯავახო კი იმერეთის მეფისა და გურიის მთავრის დავის საგანს წარმოადგენდა და საჯაზღვრო ხაზი აქ მეტად ცვალებადი იყო. ყოველ შემთხვევაში, ერისთავთა „უცილობელი სამფლობელო“ საჩინოს მიმართულებით ტობანიერამდე მიდიოდა[39].

თავიანთი საამფლობელოს ნაწილი ერისთავებმა, როგორც აღვნიშნეთ, 1689—1714, 1764 წწ. მიიღეს. ნაწილი კი, უნდა ვიფიქროთ, ერისთავობასთან ერთად მიეცათ, ან უფრო ადრეც ჰქონდათ.

მთავრის შემდეგ, გურიაში ყველაზე მსხვილი მფლობელები ერისთავები იყვნენ. ვრცელ სახნავ-სათეს მიწებსა და ბაღ-ვენახებს გარდა, მათ ხელში იყო მთელი ბახმარო მისი მთებითა და ტყეებით[40].

გურიის ერისთავ-შერვაშიძეთა რეზიდენცია სოფ. ერკეთში იყო. აქ იყო მათი სასახლე და საგვარეულო ეკლესია, აშენებული მთავარანგელოზ მიქელ-გაბრიელის სახელზე. ამ ეკლესიაში იყო ერისთავების საძვალე. 1721 წელს ერკეთის მონასტერი უკვე გურიის ერისთავთა „სამარხოდ“ იხსენიება[41].

ერისთავებს სასახლეები ჰქონდათ (XVIII ს. დამდეგიდან?) აგრეთვე ბერეჟოულსა და ბირკნალში[42].

ერისთავებს ეკუთვნოდათ ბერეჟოულის, ბუკისა და ჩოხატაურის ციხე-სიმაგრეები[43].

ერკეთის საწინამძღვრო ეკლესიის გარდა, 1810 წ. წინარე

---

39 ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 432—433.

40 თ. სახოკია. გურია-აჭარა (მგზავრის წერილები), „მოამბე“, 1898, № VI, გვ. 28.

41 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 215, 217; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 433.

42 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 312; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 433.

ერისთავების ციხესიმაგრისა და სხვა ნაგებობათა ნაშთი ბერეჟოულში დღესაც არის დაცული.

43 ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 47, 433.

წლებამდე ერისთავების ხელთ იყო გამოჩინებულის (გორმაღალი) საწინამძღვრო მონასტერიც[44].

XVIII ს. შუა წლებში გურიის ერისთავებმა განაახლეს დაქვეითებული ნათლისმცემლის უდაბნო (გურიის უდაბნო) და ამით კიდევ ერთი საეკლესიო ცენტრი გაიჩინეს[45].

ამ უდაბნოს ერისთავებმა მრავალი ყმა-მამული შესწირეს[46].

ერისთავების ადგილ-მამულზე მათი ყმები სახლობდნენ. რამდენი იყო ერისთავების ყმათა საერთო რაოდენობა, წყაროებიდან არ ჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ ერისთავთა სახლის მარტო ერთ ზალის შტოს XIX ს. დამდეგს 500 კომლი ყმა ჰყავდა[47].

ერისთავების ყმა გლეხები იყვნენ: მგალობლიშვილები, უჯმაჯურიძეები, რამიშვილები, ჩანტლაძეები, ანთიძეები, ბელეშაძეები, მეფარიშვილები, სიხარულიძეები, თოდრიები, ცინცაბაძეები, ჯიბუტები, ჟღენტები, თავბერიძეები, ცენტერაძეები, ვაჩეიშვილები, დოლიძეები, სირაძეები, მახარაძეები, კვაჭანტირაძეები, ბერძენიშვილები და სხვ.[48].

ერისთავების აზნაურები იყვნენ: ბერიძეები, არდიშვილები, კობალაძეები, ჭინჭარაშვილები, ჩიგოგიძეები, სეხნიაშვილები, ურატაძეები[49].

ერისთავების, ისე როგორც გურიის სხვა ძლიერი თავადების, ყმები სამთავრო გამოსაღებისაგან თავისუფალი იყვნენ[50].

1831 წლის ცნობით, გურიაში სათავადო გლეხებიდან საერთოდ მხოლოდ 79 კომლი იხდიდა სამთავრო გადასახადს[51].

---

44 Дм. Бакрадзе. АПГА. стр. 238—239, 294; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო..., გვ. 433, 633—634.

45 ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო., გვ. 434, 625.

46 სცია, ფ. 1, № 3953; ფ. 8, № 1, ფურც. 2—4; ფ. 1448, № 3976.

47 ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო... გვ. 436.

48 საქ. სიძველენი, II, გვ. 521, სცია, ფ. 1, საბ. №№ 2079, 3985; Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 312; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. № 8431.

49 სცია, ფ. 227(1), საბ. № 270; ფ. 2, №568; ქუთ. მუზ. საბ. №№ 719, 760, 1365; Дм. Бакрадзе. АПГА. стр. 312: Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. III, 1942, გვ. 180.

50 იხ. მ. დუმბაძე. გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება..., მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 33—34.

51 ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 339.

ერისთავები თავიანთ სამფლობელოს მოხელეთა საშუალებით მართავდნენ. ერისთავების სამოხელეო აპარატში ვხედავთ: „უხუცესს“, რომელიც სახლთუხუცესს უნდა გულისხმობდეს, მოურავს და „მოხელეს“ ანუ ხელოსანს[52].

პირველი ორი თანამდებობა ერისთავების კარზე მათ აზნაურ ბერიძეებს უჭირავთ[53], ხოლო ხელოსნებად ბერძენიშვილები ჩანან[54].

დავით ერისთავის (XVIII ს. მეორე ნახევარი, მომდევნო საუკუნის დამდეგი) ერთ უთარიღო წყალობის წიგნში იხსენიება აგრეთვე მისი საეკლესიო მსახური: „კარის დეკანოზი-მოძღვარი ეღუნტი გრიგოლ“[55]. მამია V გურიელის 1814 წ. სიგელში კიდევ — ვახტანგ ერისთავის კარის მღვდელი პეტრე ჯაში[56].

ერისთავებს, ისე როგორც გურიის სხვა წარჩინებულ თავადებს, სამთავროში მაღალი თანამდებობები ეჭირათ. ბოქაულთუხუცესის სახელო აქ 1807—1819, 1822—1823 წწ. ვახტანგ ერისთავს ეპყრა[57]. ამ თანამდებობასთან ერთად, 1807 წ. მეორე ნახევრიდან მას მოურავობაც ჰქონდა[58]. მოურავ-ბოქაულთუხუცესია იგი 1810—1811 წლებშიც. მამია V-ის აღნიშნულ წლების სიგელი დაწერილია „ხელითა მოურავ-ბოქაულთუხუცესის ერისთავის ვახტანგისითა“[59].

აღსანიშნავია, რომ ბოქაულთუხუცესის სახელო გიორგი III-ის გურიელობაში (1664—1684 წწ.) თავდგირიძეთა გვარს აქვს და

1850 წ. კამერალური აღწერის მიხედვით, გურიაში (ოზურგეთის მაზრაში) სათავადაზნაურო გლეხთა რიცხვი 4272 კომლს უდრიდა (იხ. სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობა, ტ. I, რეფორმამდელი პერიოდი. შეადგინა პ. გუგუშვილმა, თბილისი, 1937, გვ. 686—688).

52 სცია, ფ. 1, №№ 3985, 3986; ფ. 2, № 6/28, ფურც. 21—22, №№ 6/17, ფურც. 13—14.

53 სცია, ფ. 1, №№ 3985, 3986; ფ. 2, № 6/28; ფურც. 21—22.

54 სცია, ფ. 1, № 3985.

55 იქვე.

56 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 332.

57 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1153, 1483; სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საბ. № 4355, ფურც. 9; იქვე, ფ. 226, საბ. № 3195; Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 328, 332.

58 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 796 (ამ საბუთის რუსული თარგმანი გამოაქვეყნა დიმ. ბაქრაძემ, იხ. Шрис, АПГА, стр. 328—329), შდრ. ქუთ. მუზ. საბ. № 1483.

59 ქუთ. მუზ. საბ. № 1153; დიმ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 331—332.

უჭირავს მას შემდეგშიც[60], მაგრამ ერთ ხანს ეს თანამდებობა, როგორც ჩანს, ერისთავთა გვარის წარმომადგენელსაც ჰქონია.

ერისთავთა ხელში იყო აგრეთვე სარდლისა და მდივანბეგის სახელოები.

სარდლის თანამდებობაზე ერისთავთა საგვარეულოს წევრი მხოლოდ გვიანდელ, 1819—1820 წწ. საბუთებში იხსენიება[61]. მაგრამ სარდლობა ერისთავთა გვარს ადრიდანვე უნდა ჰქონოდა.

მდივანბეგის თანამდებობით ამ საგვარეულოს წარმომადგენელს პირველად 1818 წ. ვხედავთ. აღნიშნულ წელს მდივანბეგის სახელო გიორგი ერისთავს აქვს. ამ თანამდებობით გვხვდება იგი 1822 წელსაც[62]. ეს გიორგი ერისთავი და 1819—1820 წწ. სარდალ-მდივანბეგად დასახელებული გიორგი დავითის ძე ერისთავი ერთი და იგივე პირია[63].

აღსანიშნავია, რომ სარდალ-მდივანბეგ გიორგი ერისთავს ნათესაური კავშირი აქვს ოდიშის სამთავრო სახლთან: გიორგის მეუღლე მარიამი გრიგოლ დადიანის ასულია[64].

---

60 იხ. დიმ ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 292, 294, 297, 334—335; დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 109; სცია, ფ. 1448, საბ. № 397.

თავდგირიძეებისა და ერისთავების გარდა, ბოქაულთუხუცესის სახელოს სხვა თავადურ გვართა წარმომადგენლებიც ფლობდნენ: 1789—1792 წლებში (სვიმონ III-ის გურიელობაში) ეს სახელო გიორგი მაქსიმენიშვილს ეკავა (სცია, ფ. 2. საბ. № 916). 1820 წელს — კვლავ გიორგი მაქსიმენიშვილს (Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии.... გვ. 180, 181), 1827—1828 წწ. ეს თანამდებობა ისევ თავდგირიძეთა სახლმა დაიბრუნა. აღნიშნულ წლებში ამ თანამდებობაზე გიორგი თავდგირიძეს ვხედავთ. იგი სარდალიცაა და ბოქაულთუხუცესიც (დიმ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 334—335). 1837 წლიდან კი გურიის დროებითი სამმართველო საბჭოს თავმჯდომარემ მაიორმა სნაქსარევმა ბოქაულთუხუცესად გიორგი როსტომის ძე ნაკაშიძე დასვა (სცია. ფ. 2 ანაწ. 1, საქ. № 5195. ფურც. 29—30).

61 სცია, ფ. 226, საბ. №№ 3986, 3987.

გურიის სამთავროში ერთსა და იმავე დროს ორი სარდალია: ერთი — გურიის ერისთავთა სახლიდან (იქვე), მეორე — თავდგირიძეთა საგვარეულოდან (იხ. იქვე, საბ. № 3176; დიმ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 334—335). ჩანს, ეს სამთავრო ორ სასარდლოდ იყო დაყოფილი.

სარდლის თანამდებობა აქ მხოლოდ XIX ს. დამდეგიდან გვხვდება, მაგრამ ეს სახელო გურიის სამთავროში ადრიდანვე უნდა არსებულიყო (იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 369) და როგორც ერისთავებს, ისე თავდგირიძეებსაც იგი ბევრად უფრო ადრე უნდა ჰქონოდათ.

62 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 341; სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. № 4355, ფურც. 9.

63 იხ. იქვე, შდრ. სცია, ფ. 1, საბ. №№ 3986, 3987.

64 სცია, ფ. 1, საბ. № 3987; ქრონიკები, III, გვ. 152.

გიორგის შემდეგ, 1827 წელს მდივანბეგის სახელო გიგო როსტომის ძე ერისთავს უჭირავს. ამავე დროს მასვე უკავია მოურავობაც[65].

გიგოს ძმა იყო ზემოხსენებული ბოქაულთუხუცესი ვახტანგ ერისთავი[66]. ერისთავთა ეს შტოც საბეგრელოს სამთავრო სახლთან იყო დანათესავებული: გიგოსა და ვახტანგის და მარიამი „დიდ“ ნიკო დადიანზე იყო გათხოვილი[67].

დიდ შემოსავალს აძლევდათ ერისთავებს მათ მიერ მემკვიდრეობით დაკავებული სახელოები. ამასთან იზრდებოდა და ძლიერდებოდა მათი პოლიტიკური გავლენაც.

ერისთავთა საგვარეულოს წევრები საეკლესიო სფეროშიც მოღვაწეობდნენ. აქაც მათ საპატიო ადგილები ეკავათ. 1677—1685 წწ. ჯუმათელ ეპისკოპოსად მაქსიმე შარვაშიძე იჯდა. იგი „დიდი ჯუმათელის“ სახელით იყო ცნობილი[68].

XVIII ს. ჯუმათის ეპისკოპოსობა ისევ მაქსიმე (II) შარვაშიძეს აქვს. ამ საუკუნის 70-იან წლებში, როცა იგი გარდაიცვალა, ჯუმათის საეპისკოპოსო კათედრა ეფვთიმე შარვაშიძემ დაიკავა. ამაზე ბევრად ადრე კი ეჭირა მას გენათლობა. ერთ ხანს იგი, როგორც ჩანს, გენათელ-ჯუმათელი იყო. XVIII ს. მიწურულს თუ XIX ს. დამდეგს ჯუმათელ მიტროპოლიტობა ნიკოლოზ ერისთავ-შარვაშიძემ მიიღო და ეფვთიმე ერისთავი გენათლად დარჩა. ნიკოლოზს ჰქონდა შემოქმედელის ხარისხიც[69].

1812, 1827 წლებში ნიკოლოზ ერისთავი მხოლოდ ჯუმათლად იხსენიება[70]. იგი, „სრულიად გურიის სამთავროს მიტროპოლიტ ჯუმათელის“ სახელით, პირველ რიგში აწერს ხელს „სამთავროჲსა საზოგადოებისაგან“ 1827 წლის თებერვალში მთავარმართებელ

---

65 სცია, ფ. 1, საბ. № 3981; Акты, т. VI, ч I, стр. 681.

66 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 219, 383.

67 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 200; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო, III, გვ. 201—202.

68 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 152; საქ. სიძვ., II, გვ. 521; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 598.

მაქსიმე ჯუმათელი 1685 წ. გარდაიცვალა (იხ. დიმ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 152).

69 იხ. იქვე, გვ. 152, 301, 312, 323; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო..., გვ. 597—599.

70 ხელნაწ. ინსტ. ფ. Ad, საბ. № 1333; Акты, т. VI, ч. I, стр. 681; Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 319.

ურმოლოვისადმი მირთმეულ თხოვნას ახლად დაარსებულ „გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს“ გაუქმებისა და მთავრის ხელისუფლების სოფიო დედოფლისათვის გადაცემის შესახებ[71].

ამგვარად, XVII ს-დან დაწყებული, გურიის სამთავროს არსებობის მთელ პერიოდში (რამდენიმე ხნის გამოკლებით), ჯუმათლობა გურიის ერისთავებს მკვიდრად ჰქონდათ.

ერისთავი ეფვთიმე გენათელი ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. მან თავის „ცდითა და... ხარჯით“ მუხალრუას (იმერეთი) „სოფელი “გააშენა, ეკლესია ააგო და აქ მღვდლად ანდრია ყუბახეიშვილი დააყენა[72]. ასეთ საქმიანობასთან ერთად, ეფვთიმე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა XIX ს. პირველი მეოთხედის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში[73].

გურიის ერისთავთა სამკვიდრო სახელოს წარმოადგენდა აგრეთვე ერკეთის მონასტრის წინამძღვრობა[74].

XVIII ს. მეორე ნახევარსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ერისთავთა გვარს დავით ერისთავი უფროსობდა. საგვარეულოს წევრებს შორის ყმა-მამულის გასაკუთრების გამო დიდ ბრძოლას ჰქოხდა ადგილი: დავით ერისთავს თავისი სახლიკაცები „უსამართლოდ გაყრილი ჰყავდა“[75]. ქაიხოსრო ერისთავისაგან „მძლავრობით მონახვეევ“ გლეხსაც ფლობდა[76]. ერისთავების ურთიერთდამოკიდებულებას ამწვავებდა გურიის სამთავრო სახლს შიგნით არსებული შფოთიც.

ცნობილია, რომ 1792 წელს, გარდაიცვალა თუ არა სვიმონ გურიელი, სამთავრო სახლის წევრთა შორის უკმაყოფილება გაჩნ-

---

71 Акты, т. VI, ч. I, стр. 681.

ჯუმათელი ნიკოლოზ ერისთავი გარდაიცვალა 1827 წ. დეკემბერს (იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 588).

72 ქუთ. მუზ. საბ. № 910.

1810 წელს ეფვთიმე გენათელს მუხალრუას შენება უკვე დამთავრებული ჰქონდა (იხ. იქვე).

73 ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 201, 206; Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг., стр. 141.

74 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 311; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 433, 628.

75 ქუთ. მუზ. საბ. № 119.

76 სცია, ფ. 1, საბ. № 3953.

და. ეს უკმაყოფილება მალე აშკარა მტრობაში გადავიდა. სვიმონს მცირეწლოვანი მემკვიდრე დარჩა. ამით ისარგებლა სვიმონის ძმამ ვახტანგმა და სამთავრო თვითონ მიიტაცა. მცირეწლოვან მამიაზე და სვიმონის ქვრივ მარინეზე მზრუნველობა ვახტანგის უმცროსმა ძმამ ქაიხოსრომ იკისრა. ძმებს შორის ბრძოლა დაიწყო[77]. გურიის თავადები ორ ბანაკად გაიყვნენ და ამ ორ მებრძოლ ძმის ირგვლივ დაჯგუფდნენ.

გურიის ერისთავთა სახლიც ამ დროს ორ ბანაკად იყო გაყოფილი: დავით ერისთავი თავისი მიმდგომი სახლიკაცებით ქაიხოსრო გურიელთან იყო დაკავშირებული, ხოლო ქაიხოსრო ერისთავი თავისი ერთგული თანამოგვარეებით ვახტანგ გურიელს ემხრობოდა[78]. პირველ ხანს ვახტანგის მომხრეებმა გაიმარჯვეს და 1792 წელს იგი გურიელად დასვეს. მისმა გურიელობამ 1797 წლამდე გასტანა[79].

ვახტანგის დამარცხების შემდეგ (1797 წ.) მისი მომხრე ქაიხოსრო ერისთავი დავით ერისთავისაგან ერთ ხანს დიდ შევიწროებას განიცდიდა. ვახტანგის ერთგულ ქაიხოსროს მამია მეხუთეც უწყრებოდა და ამით გათამამებული დავითი ქაიხოსროს ყმა-მამულს სტაცებდა. მაგრამ 1814 წელს მამიამ შეირიგა ქაიხოსრო და მისი ძმა სიმონი და მათ დავითის მიერ წანართმევი ყმა-მამულიც დაუბრუნა[80].

ყმა-მამულის გამო განხეთქილება იყო ძმებს ვახტანგსა და გიგო ერისთავებს შორისაც. ეს განხეთქილება რამდენიმე ხანს გრძელდებოდა. მხოლოდ 1827 წელს სოფიო დედოფლის „შუამდგომლობით" გახდა შესაძლებელი მათ შორის მშვიდობიანი განწყობილების დამყარება...[81].

გურიის სამთავროში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებას ერისთავთა სახლის წევრები სხვადასხვაგვარად შეხვდნენ. ვახტანგ, გიორგი, სიმონ და გიგო ერისთავებმა რუსთა ერთგულება

---

77 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 188.

78 სცია, ფ. 1, საბ. № 3953; ქუთ. მუზ. საბ. №№ 119, 333.

79 ო. სოსელია. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 128—129, 140.

80 ქუთ. მუზ. საბ. № 333.

81 Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 333—334.

არჩიეს. დავით ერისთავი კი თავიდანვე რუსთა საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგა[82].

XIX ს. დამდეგს გურიის სამთავროში უძლიერესი თავადი ვახტანგ როსტომის ძე ერისთავი იყო. მაშინ ის „პირველობდა სრულსა გურიასა ზედა"[83]. 1809 წელს, ფოთის ალყის დროს მან დიდი დახმარება გაუწია რუსთა სარდლობას მამია გურიელის რუსთა მხარეზე „გადმობირებაში". ეს კი „იყო უმთავრესი მიზეზი" ფოთის მეციხოვნე ოსმალთა საშველად მომავალ შერიფ-ფაშის ლაშქრის დამარცხების და ფოთის აღებისა[84].

ცნობილია, რომ 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყებამ ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა გურიის სამთავროში. აჯანყება მოედო მთელ ზემო და შუა გურიას. აჯანყების იდეური ხელმძღვანელი აქ ქიოსარო IV გურიელი იყო. პრაქტიკულად მას მეთაურობდნენ რუსთა მოწინააღმდეგე დავით ერისთავი და დავით გიორგის ძე გურიელი. აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მაქსიმე, სიკო და ლომინ ერისთავები. აჯანყებულთა მხარეზე იყო აგრეთვე ერისთავი ეფვთიმე გენათელი[85].

1820 წ. აგვისტოს ბოლოს რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო იმერეთ-გურიის აჯანყების ჩაქრობა. აჯანყების დამარცხების შემდეგ, დავით ერისთავი თურქეთში გაიქცა. მცირე ხნის შემდეგ იქვე გარდაიცვალა იგი ემიგრაციაში[86]. სიკო და მაქსიმე ერისთავებიც თურქეთს იყვნენ გადახვეწილი. ლომინ ერისთავი დააპატიჰრეს და ჯარში გაიგზავნა ფინეთში[87]. ერისთავი ეფვთიმე გენათელიც რუსეთში გადაასახლეს და იქვე მოკვდა 1822 წელს[88]. ემიგრაციაში

---

82 იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბილისი, 1954, გვ. 389; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 428—429.

83 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 200.

84 იქვე; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 1682.

85 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 206—207; Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии..., გვ. 141, 177—183; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 287, 428.

86 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 208.

87 Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии..., გვ. 177; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 428—429. იხ. აგრეთვე სქოლიო.

88 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 206; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 337;

ბყოფი დავით ერისთავის მამული რუსეთის მთავრობამ სახაზინოდ გამოაცხადა[89].

ვახტანგ ერისთავი და მისი თანამოაზრე სახლიკაცები რუსთა ერთგული დარჩნენ. მთავრის სიკვდილის შემდეგ (1826 წ. 21 ნოემბერი) გურიის თავად-აზნაურობამ სოფიო დედოფლისა და მცირეწლოვან დავით მამიას ძის ერთგულებაზე ფიცი მიიღო. ვახტანგ ერისთავმა კი მოითხოვა ეს წინასწარ რუსთა სარდლობისათვის ეცხობებიათ და ფიცის მიღებაზე უარი განაცხადა. ამის გამო სოფიო დედოფლის ერთგული თავადები მას მოღალატეს ეძახდნენ[90].

1827 წლის იანვარში როცა ერმოლოვის ბრძანებით „გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო" დაარსდა, ვახტანგი და გიორგი ერისთავები ამ საბჭოს წევრებად შეიყვანეს[91].

1828 წლის მიწურულს ფაქტიურად გურიის სამთავრო სახლმა წელისუფლება დაკარგა. სოფიო დედოფალი თავის ერთგულ პირთა თანხლებით ოსმალეთში გაიქცა. გურიაში დროებითი მმართლობა შეიქმნა, რომელსაც რუსი ოფიცერი თავმჯდომარეობდა. ამ მმართველობის წევრებად კიდევ, სიმონ გუგუნავასა და გიორგი ნაკაშიძესთან ერთად, ისევ ვახტანგი და გიორგი ერისთავები დანიშნეს, როგორც რუსეთის ხელისუფლებისათვის სანდო პირნი. მათგან ყველაზე მეტი გავლენა ვახტანგს ჰქონდა. თურქეთში ლტოლვილ დედოფალს ერისთავთა სახლიდან არავინ გაჰყოლია[92].

გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ ადმინისტრაციულად ძველი ბოლო როგორც მაჭუტაძეების, ნაკაშიძეების, თავდგირიძეებისა და სხვათა, ისე ერისთავთა სათავადოსაც.

ერისთავების სახლის წევრთა ნაწილი მაინც XIX ს. 40-იან წლების დამდეგამდე გაუყრელი ჩანს. ნაწილი კი ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს გაიყარა[93].

ხელნაწ. იხსტ., ფ. A, № 1370, გვ. 2; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, გვ. 390, შდრ. „მცირე ქრონიკები", გამოც. ჯ. ოდიშელისა, გვ. 60; Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 154.

89 ხიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 208; სცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. № 4355, ფურც. 28.

90 Акты. т. VI, ч. I, стр. 677—679.

91 იქვე, გვ. 679—680.

92 Акты, т. VII, стр. 414—419

93 ქუთ. მუზ. საბ. № 333; Дм. Бакрадзе. АПГА, стр. 317.
ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო..., გვ. 439—432.

თავი XI

ჭილაძეთა სათავადო

ოდიშის სათავადოებიდან ყველაზე უძველესი და უდიდესი ჭილაძეთა სათავადო იყო. ისტორიული გადმოცემით, ჭილაძეთა გვარი წარჩინებულ გვარად ითვლებოდა ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს[1]. მართლაც, XIII ს. მეორე ნახევარში იხსენიებიან ამ საგვარეულოს წარმომადგენლები: ჯავახ, ბეშქენ და მზექალ ჭილაძეები[2], მაგრამ, თანამოგვარეობის გარდა, რა ნათესაობა იყო მათ შორის, არ ჩანს.

უფრო გვიან, გიორგი VII-ის ერთ უთარიღო სიგელში ვხედავთ ქველი ჭილაძეს[3]. გიორგი VII-ის მეფობა, ვახუშტის ქრონოლოგიით, XIV ს. დასასრულსა და მომდევნო საუკუნის დასაწყისზე მოდის[4]. ქველიც ამ დროის მოღვაწეა.

ქველი ფრიად დაწინაურებული პირია. ხსენებულ სიგელში იგი მეფის მოლარეთუხუცესად არის დასახელებული. ამ თანამდებობასთან ერთად, დიდი ეკონომიური შესაძლებლობაც აქვს: მას ეკუთვნის სოფელი ტყვირი, სადაც აღნიშნულ ხანში იგი თავის საგვარეულო ეკლესიას აშენებს[5].

---

[1] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. შემოკლებით აღწერა..., ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 111v.

[2] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი .იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის..., გვ. 22, 73, 85, 89, 123, 141, 148.

[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, თბილისი, 1913, გვ. 18—19.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 290, 390 (გენეალოგიური ტაბულა). შდრ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, გვ. 3—4, 8—11, 17—20, 25—30. იხ. აგრეთვე ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 4—5, 16.

[5] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 2, 4, 5.

ქველის ორი ძმა ჰყოლია: კახაბერი და ჩუბინი. თავის ძმებთან ერთად მოხსენიებულია ის მის მიერ აშენებულ ტყვირის ეკლესიის წარწერაში[6].

ქველიზე ცოტა გვიან ვხედავთ მის თანამოგვარეს ელაშერ ჭილაძეს. იგი მოწმედაა დასახელებული თოფურიძეთა 1413—1444 წწ. სასისხლო სიგელში[7].

1486—1488 წწ. იხსენიება ციხისთავი თულქამ ჭილაძე[8]. როდის მიიღო ჭილაძეთა გვარმა ეს დიდი სახელო, ამის დადგენა არ ხერხდება. რაც შეეხება თულქამს, ციხისთავობა მას დიდხანს არ უნდა ჰქონოდა. 1488 წელსვე ამ თანამდებობაზე ესტატე ღოღობერიძე გვხვდება[9]. ძოლარეთუხუცესის თანამდებობაც ამ დროს ქორთოძეთა სახლს აქვს[10]. ამგვარად, XV ს. მიწურულისათვის რაღაც ძიხეზის გამო, ჭილაძეებს ეს დიდი სახელოები დაუკარგავთ.

1488 წელს გვხვდება ლიპრი ჭილაძე[11]. ეს უნდა იყოს შემდეგ მოძღვართ-მოძღვარი ილარიონის 1513 წ. შეწირულების წიგნში მოხსენიებული ჰიმრი თუ ლიპრი ჭილაძე[12].

---

6 ამ წარწერაში ვკითხულობთ: „მაცხოვრისა ტყვირისა საყდრისა აღმაშენებელსა ქველსა ჭილაძესა შეუნდვნეს ღმერთმან. ძმათა მისთა კახაბერსა და ჩუბინსა შეუნდვნეს ღმერთმან“ (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 4).

7 საქ. სიძველენი, II, გვ. 37.

8 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 21.

ექვთ. თაყაიშვილის მიერ შედგენილ ჭილაძეთა სიაში ელაშერი და თულქამი შეტანილი არ არის (იხ. მისი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 17—19, 304). მკვლევარს ისინი გამორჩენია. ამის გამო ქველი ჭილაძის შემდეგ თითქმის 100 წლის მანძილზე თაყაიშვილისეულ სიაში ჭილაძეები სრულებით არ ჩანან. ამ ხარეზს ავსებენ ელაშერი და თულქამი.

თულქამთან ერთად 1486—1488 წწ. იხსენიება აგრეთვე ქველი ჭილაძე (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 21). მაგრამ ეს არ უნდა იყოს ის ქველი, რომელიც XIV—XV სს. მიჯნაზე მოღვაწეობდა და ტყვირის ეკლესია ააშენა (იხ. ზემოთ).

9 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 25; მ ი ს ი ვ ე, იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მომბე, I, 1925, გვ. 89.

10 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 25.

11 დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 4—5; ქრონიკები, II, გვ. 343.

12 მოძღვართ-მოძღვარ ილარიონის მიერ ხახულის ღვთისმშობლისადმი მირთმეული 1513 შეწირულების წიგნი, რომელშიც იხსენიება ჰიმრი თუ ლიპრი

XVI ს. დამდეგიდან ვხედავთ ლომკაც ჭილაძეს. იგი ჯერ ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში ჩანს[13], რომელიც ს. კაკაბაძის დათარიღებით 1503 წელსაა შედგენილი[14], შემდეგ — 1629 წ. შეწირულების წიგნში[15].

ამ წიგნიდან ეგებულობთ, რომ ლომკაცს რაღაც „უმსგავსო ცოდვა“ მოსვლია და ამ „ცოდვის“ შესანდობლად მალაქია კათალიკოსისათვის მიუცია „ორი კუამლი კაცი“ გუნია და „მრავალი საქონელი“[16].

ლომკაცს ნათესაური კავშირი ჰქონდა იმერეთის სამეფოში ამ დროს მეტად ძლიერ ჩხეტიძეთა თავადურ გვართან: მისი თანამეცხედრე ყოფილა ჩხეტიძის ასული ასტანდარ[17].

XVI ს. დამდეგსვე იხსენიებენ ბედან ჭილაძე და მისი მეუღლე კანდაკე[18].

აძავე საუკუნეში მოღვაწეობდნენ გუსტან ჭელიძე და მისი მემ-

ჭილაძე, შემოკლებით გამოსცა თ. ჟორდანიამ 1897 წელს (ქრონიკები, II, გვ. 343), ხოლო შემდეგ, 1921 წ. სრულად — ს. კაკაბაძემ (დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 4—5). საბუთის გამომცემნი ჭილაძის სახელს სხვადასხვაგვარად კითხულობენ: თ. ჟორდანიას პუბლიკაციაში ჭილაძის სახელია „ჰიმრი“ (კითხვის ნიშნით), ს. კაკაბაძისაში — „ლიპრი“.

საბუთი დაწერილია „ქრონიკონსა სა“ (1513 წ.) (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 5). მის პირველ გამომცემს, თ. ჟორდანიას, ქორონიკონი ვერ შეუმჩნევია და საბუთს 1519 წ. ახლო ხნით ათარიღებს.

13 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ ლისი, 1914, გვ. 126—131.

14 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. კვლევა-ძიებანი., გვ. 77—78; შდრ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, გვ. 27, შდრ. აგრეთვე იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბილისი, 1948, გვ. 143—144.

15 ქრონიკები, II, გვ. 448, უფრო ვრცლად იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 47—48.

16 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 47—48.

17 ი ქ ვ ე, გვ. 47.

18 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორისათვის, გვ. 26, 76, 96, 161.

კვიდრე ჯავახ II[19]. XVI ს. მოღვაწეა აგრეთვე ვარაზა ჭილაძეც[20].

ჯავახ II ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის დასთან იყო დაქორწინებული[21]. მართალია, ეს ქორწინება, ნათესაობისა თუ სოციალური მდგომარეობის გამო, „უხვედრობად" იყო მიჩნეული და „ამისად დასაურვებლად" გუსტანმა მცხეთის ეკლესიას „სამოციალიტრა ცვილი" შესწირა[22], მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ეს ფაქტი მაინც ჭილაძეთა მაღალ ღირსებაზე მიგვითითებს.

ჭილაძეები თავიდანვე დადიანის ვასალები ჩანან. ყოველ შემთხვევაში, ვარაზა ჭილაძე ლევან I დადიანს უდგას მხარში იმერთა მეფის გიორგი II-ის (1549—1585 წწ. ვახუშტის ქრონოლოგიით) წინააღმდეგ ბრძოლაში. 1568 წელს ხსენებულ მეფეზე იანეთს „ღალატად" თავდასხმაში ლევან დადიანთან ერთად ვარაზაც მონაწილეობს[23].

ჭილაძეები მთავრული განკერძოებისაკენ მიისწრაფვიან. მათი თავკაცი ამ დროს ვარაზა უნდა იყოს. იგი გუსტანის ძმაა ან—ახლო ნათესავი. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ გიორგი იმერთა მეფემ იანეთს ვარაზას მოქმედებისათვის სამაგიერო ჯავახს ბრძოლა: მოჰკლა იგი და მისი მამული თვითონ „დაიპყრა". ამის მიზეზი, ვარაზასთან ნათესაობის გარდა, ის იყო, რომ თვით ჯავახიც „მიმდგომიცა იყო დადიანისა"[24].

როცა ეს ამბები ხდება, ჭილაძეთა სათავადოს არსებობა უკვე ფაქტია. მისი წარმოქმნა კი XV საუკუნეშია საგულისხმო.

აღნიშნულ საუკუნესა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში ჭილაძეები „ფლობდნენ დიდ მხარეს გურიისა და სამეგრელოს შუა. გურიაში მათი სამფლობელო საერისთავომდის მიდიოდა,

---

19 I ჯავახი არის ის, რომელიც XIII ს. მეორე ნახევარში იხსენიება ჯვარის მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში (იხ. ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 22, 73, 123, 141, 148).

20 ქრონიკები, II, გვ. 385, 389—390, 411; ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 191—192; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 17, 304.

21 ქრონიკები, II, გვ. 390. ჯავახ II ჭილაძის შესახებ იხ. აგრეთვე Дм. Бакрадзе. Археологиче кое путеше твие.. , стр. 235—236.

ჯავახ II-ის თანამედროვე ჩანს შედან ჭელიძეც (ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 17; დიმ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 235—236).

22 იქვე.

23 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 191.

24 იქვე, გვ. 192.

ესე იგი მათ ეჭირათ მთელი ახლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც ჰქვია საჯავახო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო... ბანძამდის“ აღწევდა. „ამ საზღვრებში შედიოდა, გარდა საჯავახოსა, ორპირი, სამტრედია, ეხლანდელი საჭილაო, აბაშა და სეფიეთი“[25]. ჭილაძეებისა იყო, როგორც აღვნიშნეთ, ტყვირი. მათვე ეკუთვნოდათ აგრეთვე გულე-კარი[26] და „რიონის და ცხენის-წყლის შესაყარიდან ტეხურის შესაყარამდის სულ გაღმართი, კოდორა, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღნაო და ანჯელი“[27].

მათივე უნდა ყოფილიყო სოფ. ნოსირიც[28].

ჭილაძეთა სათავადოს საზღვრები მათი ძლიერების ხანში (XV ს. და მომდევნო საუკუნის პირველი ნახევარი) დაახლოებით ასე წარმოგვიდგება: აღმოსავლეთით — ნაფაღაურ-ნაჩხეტაური, დასავლეთით — სოფ. ბანძა თუ მდ. ნოღელა, სამხრეთით — თავად შაქუტაძეთა სამფლობელო ნიგოითი, ქვიანი და გურიის საერისთავო, ჩრდილოეთით — ქოლობანი და გუგუნაყათი[29].

---

25 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 3.

26 სოფ. საჭილაოს (ახლა პირველი მაისი) მცხოვრები ილიკო ოქროპირის ძე ძიქაძის (79 წლის) ცნობა. ასეთივე ცნობა მოგვაწოდა ამავე სოფლის მკვიდრმა ვლადიმერ ლუკას ძე გოგეშვილმაც (72 წლის), ჩავიწერეთ იქვე 1959 წლის აგვისტოს.

27 დას. საქ. საეკლ. სბ., II, გვ. 13. იხ. აგრეთვე დას. საქ. საეკლ. სბ., I, გვ. 113.

ეს ტერიტორია („რიონის და ცხენისწყლის შესაყარიდგან ტეხურის შესაყარამდის სულ გაღმართი, კოდორა, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღნაო და ანჯელი“) შემდეგ („ძველთაგან“) ჭილაძეებმა ჭყონდიდის მონასტერს შესწირეს (იხ. იქვე).

ზემოაღნიშნულ სოფლებიდან სოფ. კოდორი (კოდორა) ერთ ხანს სადიანო გამხდარა. ვამიუ III დადიანს (XVII ს. მეორე ნახევარი) იგი კვლავ ჭყონდიდის მონასტრისათვის შეუწირია, მაგრამ შემდეგ, „ეამთა ვითარებისათა“, ეს სოფელი აზნაურ გოგი ელიავას თავისთვის „დაეჭირა“. XVII ს. დასასრულს ჭყონდიდელმა ევდემოს ჩხეიძემ „გამოართვა“ კოდორი ელიავას და იქ მოსახლე „სამი კვამლი კაცი“ საუკუნის ეკლესიის წმინდა გიორგის შესწირა (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 25—27).

28 თ. ბ ე რ ა ძ ე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, გვ. 168.

29 არსებობს ერთი ცნობა, რომლის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, ჭილაძე ერთ დროს ამ კუთხის, თუ სხვა კუთხის, ერისთავად იყო. მხედველობაში გვაქვს მარტვილის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის უთარიღო ასომთავრული წარწერა. ამ წარწერის ჩვენთვის საინტერესო ადგილს ე. თაყაიშვილი ასე კითხულობს: „დედოფალო ღმრთის მშობელ(ო), მეოხ და მფარველ ექმენით მამკობსა თქუენსა ერისთავს (ი)ვანეს ჭილასძესა და ბუბასა...“ (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

ჭილაძეების ადგილსამყოფი ტყვირსა და გულე-კარში იყო. აქ ჰქონდათ სასახლეები კარის ეკლესიებით. საგვარეულო საძვალე ჭილაძეებს მათ მიერ აგებულ ტყვირის ეკლესიაში ჰქონდათ მოწყობილი. ფლობდნენ ტოლების ციხე-სიმაგრეს[30]. ერთ ხანს, მათი ძლიერების დროს, თუ ამ დროის რომელიღაც მონაკვეთში, ჭილაძეების მფლობელობაში უნდა ყოფილიყო შხეფის ციხე და მისი მიდამოებიც[31].

XVI ს. 80-იანი წლების დამდეგს კი შხეფის ციხე დადიანის ხელში ჩანს[32]. ამიერიდან დადიანთა სახლს ეკუთვნოდა ეს ციხე ოდიშის სამთავროს არსებობის მთელ მანძილზე[33].

ჭილაძეების ყმათა საერთო რაოდენობის შესახებ ცნობები არ შეშონახულა, მაგრამ, უეჭველია, ისინი ერმრავალი ფეოდალები იყვნენ[34]. გადმოცემითა და ზოგიერთი დოკუმენტური მონაცემების მიხედვით, ჭილაძეთა ყმა გლეხები იყვნენ: თავხელიძეები, გუნიები, ოდიშარიები, კალანდაძეები, სანაძეები, ბუბასკირები, ულურელიძეები, ხურცილავები[35], გოგეშვილები, ხონელი ეები, ძიძიგურები, ქიშმარეიშვილები, ჩიტიები, დუნდუები, ბარათელები, და სხვა[36].

დასახ. ნაშრ., გვ. 51—52). წარწერის თაყაიშვილისეული წაკითხვა მცდარი უნდა იყოს. დაქარაგმებულად მიჩნეული „ე“, რომლის საფუძველზე მკვლევარი წარწერაში „ერისთავს“ კითხულობს, საფიქრებელია, „ი“ იყოს და „ივანეს“ დასაწყის ასოს წარმოადგენდეს. „ივანეს“ სწორედ „ი“ აკლია წინ. თაყაიშვილი ამ ასოს თავის მხრივ ურთავს მას (იხ. ი ქ ვ ე). თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, ჭილაძის ერისთავობის შესახებ საკითხი უნდა მოიხსნას, რადგან სხვა ცნობა ამაზე არ მოგვეპოვება.

30 ი ქ ვ ე, გვ. 3, 16; ილ. მიქაძის და ვლად. გოგეშვილის ცნობა.

31 იხ. თ. ბ ე რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 68.

32 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 193; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 158.

33 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 166.

34 XVIII ს. მეორე ნახევრის ცნობით, საკილაოს მხარეში, სამიქელაძეო-სანავარდოსთან ერთად, 1400 კომლია ნაჩვენები. იხ. ი. რ ე ი ნ ე გ ს ი. დასახ. ნაშრ., გვ. 37). მაგრამ აქედან საკილაოზე რამდენი მოდიოდა, ძნელი სათქმელია.

უფრო გვიანდელი (1810 წ.) ცნობით, საკუთრივ საკილაოს თემში 350 კომლი ითვლებოდა (Акты, т. IV, тр. 2 '9). მაგრამ ეს რიცხვი არ ვამოხატავს თავად ჭილაძეების მფლობელობაში მყოფ ყმათა საერთო რაოდენობას.

35 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 47—48, 51, 78; იგივე, II, გვ. 92; ქრონიკები, II, გვ. 389—390.

36 ილიკო მიქაძისა და ვლადიმერ გოგეშვილის ცნობები.

ჭილაძეების აზნაურები იყვნენ: კორძაიები, ლორთქიფანიძეები, გუგუნავები, ნანაიშვილები და გურველაშვილები[37].

ჭილაძეები მდიდარი თავადები იყვნენ. მათ სიმდიდრეზე მეტყველებს სამეგრელოში დღემდე დარჩენილი შელოცვა, რომელიც ექვთ. თაყაიშვილს აქვს ჩაწერილი: „ღმერთმან ისე გაგამრავლოს, როგორც ჭილაიას ჯოგიო“[38].

იმ ბრძოლაში, რომელიც იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამთავრო-სათავადოებს შორის იყო, ჭილაძეთა სათავადოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი სამეგრელოს ის კუთხე იყო, რომელიც იმერეთ-გურიას უშუალოდ ემიჯნებოდა და ამ ქვეყნების თავდაცვაში შეეძლო დიდი როლი ეთამაშა. იმერეთის მეფეს თავის პოზიციები რომ განემტკიცებინა, საჭირო იყო ჭილაძეთა მიწა-წყალი თვითონ დაეკავებინა. ასეც მოხდა: XVI ს. 70-იანი წლების დამდეგს, იმერთა მეფე გიორგიმ მოჰკლა ჭილაძეთა სათავადოს თავკაცი ჯავახ II და მისი სამფლობელო ხელთ ჩაიგდო[39].

ამ ჯავახის ან ჯავახ I-ის სახელთან არის დაკავშირებული გეოგ-

---

37 საქ. სიძველენი, I, გვ. 43; ს. კაკაბაძე. გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, გვ. 18; ბ. ჯაიანი. ძველი ამბები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები). ხელნაწერი, 1938 (ინახება აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში), გვ. 38—39.

ჭილაძეთა სათავადოს უფროსს თავისი მოხელეები ეყოლებოდა, რომელთაც იგი იყენებდა სათავადოს მართვის საქმეში, მაგრამ ამის შესახებ ცნობები არ შემონახულა.

ჭილაძეებს, ისე როგორც სხვა ძლიერ თავადებს, საგადასახადო შეუვალობა უნდა ჰქონოდათ მთლიანად ან ნაწილობრივ. გვიანდელი (1810 წ.) ცნობით, საკუთრივ საჭილაოს თემში მოსახლე 350 კომლიდან სამეფო გამოსაღებს (სოლომონ II-ის დროს სოფ. საჭილაო იმერეთის სამეფოში შედიოდა. იხ. ამაზე ქვემოთ) საურს იხდიდა 80 კომლი, საუდიეროს კი —40 (Акты, т. IV, стр. 256). მართალია, ეს ცნობა თავად ჭილაძეებს არ ეხება (ამ დროს ჭილაძეები თავადები აღარ იყვნენ. იხ. ქვემოთ). მაგრამ სამეფო თუ სამთავრო გადასახადთა გადამხდელი კიდევ უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო საჭილაოს თემში თუ სხვაგან ჭილაძეთა სათავადოში მათი ძლიერების ხანაში (XV ს. და XVI ს. პირველი ნახევარი).

38 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 4.

39 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 192.

რაფიული სახელი „საჯავახო“, რაც ამ კუთხის ოდესღაც ჯავახ ჭილაძისადმი კუთვნილების მაჩვენებელია[40].

დიმ. ბაქრაძის მიერ შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, რომ ჭილაძეებზე ადრე ამ მიდამოებს ქობულიძეები ფლობდნენ[41]. როდის დაიპყრეს ჭილაძეებმა ეს მხარე, ცნობილი არ არის, მაგრამ უეჭველია—XIII—XVI სს. შუალედში, არა უგვიანეს ჯავახ II-ის სიკვდილისა (უკანასკნელი საუკუნის 70-იანი წლების დამდეგი). როგორ იწოდებოდა ეს ტერიტორია ჯავახის მიერ მის დაპყრობამდე, ამის დადგენა არ ხერხდება. საჯავახო კი ამ კუთხეს მას შემდეგ უნდა შერჰქმეოდა, როცა მას ჯავახ ჭილაძე დაეუფლა.

ჯავახ II-ის დროს (და შეიძლება ჯავახ I-ის დროსაც) საჯავახოს ეძახდნენ, ალბათ, არა მხოლოდ მდ. რიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას, მერმინდელ საჯავახოს, არამედ ჭილაძეთა საგვარეულოს ძთელ მიწა-წყალს განძამდის. შემდეგ ეს სახელი ისტორიული საჯავახოს მხოლოდ სამხრეთ ნაწილს შერჩა. მისი ჩრდილო ნაწილი კი საჭილაოდ იწოდა[42].

ჯავახ II-ის სიკვდილის შემდეგ, საჯავახო, როგორც ზემოთ ითქვა, იმერთა მეფემ დაიპყრო. ამ მოხერხებული ადგილიდან მას მეტი წარმატებით შეეძლო დადიანთან და გურიელთან ბრძოლა. ამიტომაც მთავრებმა არ დაანებეს მას საჯავახო. უკანასკნელნი შეთანხმდნენ: დადიანმა საჯავახოს რიონს ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი დაიჭირა, გურიელმა კი — სამხრეთი[43]. ამის შემდეგ ჭილაძეების სამფლობელოს დადიანისეულ ნაწილს საჭილაოს ეძახიან, გურიელისეულს — საჯავახოს.

---

40 აღსანიშნავია, რომ ჯავახ II ჭილაძემ საჯავახოს ერთი სოფელი, თავისი „საძკვიდრო მამული ქორეთის-უბანი“ ბიჭვინტის ღვთისმშობელს შესწირა (Дм. Бакрадзе. Археологическое путешествие..., стр. 236).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სოფ. ქვემო ხეთთან ახლოს, ჭილაძეებს მოწყობილი ჰქონიათ „სათევზაი“ — თლილი ქვებისაგან გაკეთებული წყალსათავსი, სადაც, დიმ. ბაქრაძის გადმოცემით, საჯავახოს მფლობელ ჭილაძეთა სახლისათვის თევზები ჰყავდათ. ამ წყალსათავსს გურიაში ბაქრაძის არქეოლოგიური მოგზაურობის დროსაც „ჭილაძის სათევზავს“ ეძახდნენ (იხ. იქვე. გვ. 230).

41 იხ. დიმ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 229.

42 ჭილაძეთა სამფლობელოს აღსანიშნავად თავიდანვე საჭილაო უნდა ყოფილიყო მიღებული. ხოლო ჯავახ I-ისა თუ II-ის დროიდან, ვფიქრობთ, საჭილაოს სინონიმი გახდა საჯავახო.

43 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 191—192; ახალი ქართლის ცხოვრება (შესამე ტექსტი). ქართლის ცხოვრება, II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 502—503.

ამგვარად, იმერთა მეფისაგან შევიწროებული დადიანი[44] იძულებული გახდა თავის ვასალის სამფლობელოს დიდი ნაწილი გურიელისათვის დაეთმო. შექმნილ ვითარებაში, როგორც ჩანს, ოდიშის მთავარს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

საგულისხმოა, დადიანთან ერთად იბრძვიან ამ დროს (XVI ს. 70-იანი წლების დამდეგი) ჭილაძეებიც თავიანთი მიწა-წყლისათვის.

გურიელმა მალე დაკარგა საჯავახო. XVI ს. 70-იან წლებშივე ერთ ხანს იგი დადიანის ბიძამ, ბათულიამ, დაიპყრო[45]. მაგრამ ეს ძხარე მას დიდხანს არ შერჩენია. ბათულია ტყვედ ჩაუვარდა გურიელს და საჯავახოც მან დაიპირა. ბათულია კი „მოაშთვეს" 1680 წელს[46]. ამის შემდეგ საჯავახო არც ჭილაძის, არც დადიანისა და არც რომელიმე მისი თავადის მფლობელობაში არ ყოფილა.

ამ კუთხის გამო ამიერიდანაც გაუთავებელი დავაა, მაგრამ ეს დავა არის ახლა იმერეთის მეფესა და გურიელს შორის.

> საჯავახო გურიის სამთავროს ეკონომიურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა. იმის გარდა, რომ ის ფრიად ნაყოფიერ, ბაღ-ვენახით მდიდარი კუთხე იყო, მას სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა: საჯავახო გურიის სამთავროს „გასაღები" იყო აღმოსავლეთის მხრიდან. ამიტომ იბრძოდნენ საჯავახოსათვის ასე თავგამოდებით გურიელები.

---

44 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 191—192; ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი), ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 502—503.

45 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 193; ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი), ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 504; მ ა რ ი ბ რ ო ს ე. საქართველოს ისტორია, ნაწ. II, თარგმანი ს. ღოღობერიძისა, ტფილისი, 1900, გვ. 181.

ბათულია (ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტით — დათულია) ოდიშის სამთავრო სახლის წევრია. წყაროებში იგი გიორგი დადიანის „სახლის კაცად" და „ბიძად" იწოდება (ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 193; ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი), ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 504).

აღსანიშნავია, რომ იოანე ბატონიშვილი ბათულიას „საჯავახოს თავადს" ეძახის (იხ. მისი, „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა", ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 101v.) უთუოდ იმის გამო, რომ იგი საჯავახოს ფლობდა. ამასთან ბათულია მას გვართა სახელების სიაში აქვს შეტანილი (იხ. ი ქ ვ ე), ე. ი. ბათულიას იოანე გვარად თვლის.

46 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 193; ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი), ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 504; მ ა რ ი ბ რ ო ს ე. საქართველოს ისტორია, ნაწ. II, გვ. 181.

1661 წ. ქართლის მეფე შაპნავაზმა იმერეთი რომ დაიპყრო, საჯავახო გურიელს მისცა[47]. ჩანს, XVI ს. 70-იანი წლების შემდეგ იმერეთის მეფეს გურიელისათვის წაურთმევია ეს კუთხე, რაკი შაპნავაზი აძლევს მას გურიელს.

1661 წ. შემდეგ საჯავახო ისევ დაკარგა გურიის მთავარმა. მაგრამ XVIII ს. პირველ ნახევარში იმერთა მეფე ალექსანდრემ თავისი ასული როდამი შამია IV გურიელს მიათხოვა და საჯავახო მას ამზითვა.

ამავე საუკუნის 70-იან წლებში როდამი რომ გარდაიცვალა, სოლომონ პირველმა საჯავახო წაართვა გურიელს და „მძლავრებით" კელავ იმერეთის სამეფოს შემოუერთა[48].

მომდევნო მეფემ დავითმა ეს ტერიტორია 1787 წ. გიორგი V გურიელის ძეს ვახტანგ II-ეს მისცა იმ ერთგულებისათვის, რომელიც მან დავითის წინაშე „მოიღვაწა"[49]. მაგრამ შემდეგ სოლომონ მეორემ საჯავახო კელავ წაართვა გურიელს და თავის სახასოდ განაწესა[50]. ნაწილი კი გურიის ერისთავებს დარჩათ.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ საჯავახოს იმერეთისეული ნაწილი სახაზინოდ ჩაირიცხა. გურიელი მას თავისად თვლიდა და ამ ტერიტორიის თავის სამფლობელოსადმი შემოერთებას მოითხოვდა[51]. 1815 წ. რუსეთის მთავრობამ გურიის სამთავროს შეუერთა საჯავახოს მხოლოდ ნაწილი, მდ. ქვათაფას დასავლეთით[52]. ხოლო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლები იმერეთის ფარგლებში დარჩა[53].

საცილობელ საგნად იყო გადაქცეული ჭილაძეთა სამფლობელოს ის ნაწილიც, რომელიც რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. აქ სოფელ საჭილაოსა და მისი მიდამოების თაობაზე დადიანს ეცილებოდა იმერეთის მეფე.

XVII ს. 20-იან წლებში საჭილაოს იმერთა მეფე ფლობდა.

---

[47] ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 221.

[48] Акты, IV, стр. 441; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1565; თ. ხუსკივაძე. გურიის მთავარი მამია V გურიელი, ისტორიული ამბავი, „ივერია" 1902, № 177, გვ. 2—3; სცია, ფ. 2, ანაწერი, 1, საბ. № 256, ფურც. 22.

[49] Акты, IV, стр. 441; სცია, ფ. 2, ანაწერი 1, საქ. № 256, ფურც. 22.

[50] იხ. თ. ხუსკივაძე. დასახ. ნაშრ., „ივერია", 1902, № 177, გვ. 2.

[51] Акты, IV, стр. 440—443; სცია, ფ. 2, ანაწერი 1, საქ. № 256, ფურც. 23, 29, 35—36; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1565; თ. ხუსკივაძე. დასახ. ნაშრ „ივერია", 1902, № 177, გვ. 2—3.

[52] Акты, V, стр. 514. საჯავახოს შესახებ იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 32—34, 94—95, 271—273.

[53] Акты, V, стр. 514.

მაგრამ გაძლიერებულმა ლევან II დადიანმა აღნიშნული წლების მიწურულს ამ კუთხეს დაადო ხელი და მის მიერ დატყვევებულ გიორგი მეფის სახსარში მიიღო. მეფის დახსნას ესეც არ აუვიდა და მისი მემკვიდრე ალექსანდრე იძულებული შეიქმნა, მრავალ ძვირფასეულთან ერთად, ოდიშის მეზობლად მდებარე სამიქელაძეოც დადიანისათვის მიეცა[54].

საჭილაოს ნაწილი მაინც, როგორც ჩანს, მეფეს თავისთვის დაუტოვებია. ამით აიხსნება ის, რომ 1651 წ. ალექსანდრე იმერთა მეფის დარბაზის წევრთა შორის ვხედავთ ჭილაძეთა სახლის წარმომადგენელს კახუტას[55]. მაგრამ მომდევნო მეფის ბაგრატ IV-ის დარბაისელთა 1669 წლის სიაში ჭილაძე აღარ იხსენიება[56]. უნდა ვიფიქროთ, 1651 წ. შემდეგ საჭილაო მთლიანად სამეგრელოს სამთავროს ფარგლებში მოექცა[57].

იმერეთის მეფესა და დადიანს შორის საჭილაოს გამო ბრძოლა ამის შემდეგაც გრძელდებოდა. მისი შედეგები მეტად ცვალებადი იყო. ამ ბრძოლაში ხან დადიანი იმარჯვებდა და ხან იმერთა მეფე. ამის მიხედვით საჭილაოც ხან ერთის ხელში იყო, ხან მეორის.

ალექსანდრე IV-ის დროს (1683—1695 წწ.) საჭილაო ამ მეფის მფლობელობაში იყო. მაგრამ ეს კუთხე მან მამია გურიელს მიეყიდა, „საფიცრით მისცა“[58]. სვიმონ მეფემაც (1698—1701 წწ.) გურიელს ეს „საფიცარი“ დაუმტკიცა[59].

როდის დაიბრუნა საჭილაო დადიანმა არ ჩანს, მაგრამ 1703, 1734 წწ., თუ ამ წლების ახლო ხანში, ეს უბანი ოდიშის სამთავროში შედის[60].

1734 წელსვე, თუ 1735 წელს, იმერთა მეფემ ალექსანდრე მეხუთემ „გამოართვა“ საჭილაო დადიანს და თავის სამეფოს შეუერთა[61].

გვიანდელი (1810 წ.) ცნობით, ამავე მეფემ შემდეგ ეს სოფელი ოტია დადიანს მისცა იმ დახმარებისათვის, რომელიც მან

---

54 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 241. იხ. აგრეთვე ზემოთ, მიქელაძეთა სათავადო.

55 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევლევის ელჩობა..., გვ. 193.

56 Переписка..., стр. 82—83.

57 აღსანიშნავია, რომ 1661 წელს ქართლის მეფემ შაჰნავაზმა, იმერეთი რომ დაიკავა, საჭილაო გიორგი ლიპარტიანს მისცა (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 221).

58 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 45.

59 იხ. ი ქ ვ ე.

60 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 221, 234.

61 ი ქ ვ ე, გვ. 234.

თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოუჩინა[62].

მაგრამ სამეგრელოს მთავარმა საქილაო მტკიცედ ვერ შეინარჩუნა: ის ისევ ხელიდან ხელში გადადის, ხან დადიანს უპირავს და ხან მეფეს[63].

დავით გიორგის ძის მეფობის პირველ წელს საქილაო კაკია II დადიანმა მიიღო „სამმართველოდ“ და ამ კუთხის შემოსავლითაც ის სარგებლობდა[64]. მაგრამ კაკია რომ გარდაიცვალა (1788 წ.), საქილაოს ისევ იმერთა მეფე დაეუფლა[65].

1789 წელს კი დადიანის მხარდაჭერით გამეფებულმა სოლომონ II-ემ ეს სოფლები გრიგოლ დადიანს მისცა. საქილაოს ფლობის შესახებ მას სოლომონის „პაპათა... წერილებიც“ ჰქონოდა და ახალ მეფეს ამ „წერილების“ მხოლოდ „დამტკიცება... აღუსრულებია“. ეს ყოფილა აუცილებელი პირობა იმისა, რომ დადიანი მიეშველა ტახტისათვის მებრძოლ დავით ბატონიშვილს[66].

მაგრამ სოლომონმა მალე დაარღვია ოდიშის მთავრისათვის მიცემული პირობა და, ლევან დადიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მზაკვრებითა და მოძმაცვითა“ დაიპყრო ეს სოფელი[67].

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1815 წელს, რუსეთის მთავრობამ საქილაო დადიანს დაუბრუნა[68]. მაგრამ „ვიეთმე ამიზეზეს“: აღნიშნული სოფელი „შუაწერტილი არისო შავი ზღვიდგანო და სახელმწიფო სასამსახეროთა მაღაზეინისათვის საჭიროაო“ და იმავე წელსვე ისევ ჩამოერთვა იგი ოდიშის მთავარს და სახაზინოდ გიმოცხადდა[69]. ბოლოს, ის მაინც დადიანმა დაისაკუთრა. 1832 წელს საქილაო უკვე ლევან V დადიანის სამფლობელოში ირიცხება[70].

XVI ს. 70-იანი წლებიდან ჭილაძეები, როგორც ვნახეთ, მნიშვნელოვნად დაქვეითდნენ, დაკარგეს თავიანთი სამფლობელოს დიდი ნაწილი — საჯავახო. თუ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ჭილაძეთა სათავადო სამხრეთით გურიის საერისთავომდე აღწევდა, მისი საზღვარი ახლა ამ მხრით მდინარე რიონზე გადმოვიდა. მიუხედავად ამისა, ჭილაძეები ჯერ კიდევ ძლიერი თავადები იყვ-

---

62 Акты, IV, стр. 239—240.

63 იქვე.

64 Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. II, СПб., 1886, стр. 75.

65 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

66 საქ. სახ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 13—14.

67 იქვე, გვ. 145—146. იხ. აგრეთვე ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, საბ. № 2231.

68 Акты, V, стр. 501.

69 საქ. სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 146.

70 სცია, ფ. 1, საბ. № 3978.

ნენ. ლევან II დადიანის დროს (1611—1657 წწ.) ისინი რამდენადმე წინაურდებიან კიდეც. ამ დროს ჯავახ III ჭილაძეს სამეგრელოს სამთავროში მაღალი თანამდებობა უკავია: იგი დადიანის ბოქაულთუხუცესია[71]. მის წამოწევას უთუოდ ხელი შეუწყო იმან, რომ ლევანის ბიძა და რეგენტი გიორგი ლიპარტიანი როვანოზ ჭილაძის ასულ ნესტან-დარეჯანთან იყო დაქორწინებული (ლევანმა შემდეგ წაართვა თავის ბიძას ნესტან-დარეჯანი და თვითონ შეირთო)[72].

XVII საუკუნეში ჭილაძეები წარმატებას აღწევენ საეკლესიო სფეროშიც: პეტრე და იერემია ჭილაძეებს ამ დროს ჭყონდიდელი ეპისკოპოსის ხარისხით ვხედავთ[73].

ძლიერი ფეოდალები ჩანან აღნიშნულ პერიოდში აგრეთვე გიორგი[74], მამუკა, ბაკა (მამუკას ძე)[75], კაცია[76], ვარნაოზი, ხოსრო (ვარნაოზის ძე)[77], კაკა (როვანოზის ძე, ძმა ლევან II დადიანის თანამეცხედრის ნესტან-დარეჯანისა), ძიახარ (ძმა კაკასი და ნესტან-დარეჯანისა?)[78], ლამბარ, ოთარ (ლამბარის ძე), შირუა (ლამბარის ძე)[79], სვიმონ (წინამძღვარი)[80] და სხვა ჭილაძეები[81].

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1657 წ.) ჭილაძეთა საგვარეულოს ძლიერებას სავსებით ბოლო მოეღო.

XVII ს. მეორე ნახევარში ოდიშის სამთავროში სასტიკი ბრძოლა დაიწყო ხელისუფლებისათვის ძველსა და ახალ დაწინა-

---

71 დას. საქ. საეკლ. სბ., I, გვ. 52. იხ. აგრეთვე აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი, გამოც ს. საკაბაძისა, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 187.

72 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 15—19; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 9—10, 12, 17.

73 საქართველოს სიძველენი, I, გვ. 42; ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 6—7, 16, 18.

74 საქართველოს სიძველენი, I, გვ. 43—44.

75 დას. საქ. საეკლ. სბ., I, გვ. 50.

76 იქვე, გვ. 78.

77 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 8, 13, 16, 18.

78 იქვე, გვ. 9—10, 12, 17—18.

79 იქვე, გვ. 15—16, 18.

80 იქვე, გვ. 192, 304.

81 აღსანიშნავია აგრეთვე ივანე და ბუბა ჭილაძეები, რომელნიც მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში იხსენიებიან (იხ. იქვე, გვ. 51—52), მაგრამ მათი მოღვაწეობის დროის განსაზღვრა არ ხერხდება.

ჭილაძეთა საგვარეულოს შესახებ საინტერესო მასალები და დაკვირვებები აქვს გამოქვეყნებული ე. თაყაიშვილს (იხ. იქვე, გვ. 3—19, 24, 35, 51—52, 55, 150, 154—155, 192, 204, 217, 231, 304).

ურებელ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის. ამ ბრძოლის ინიციატორ-მეთაურები იყვნენ ტყვეთა სყიდვითა თუ სხვა გზით გაძლიერებული აზნაური ჩიქვანები. ჩიქვანებმა ამოწყვიტეს დადიანთა ძველი დინასტიის წევრები და აღნიშნული საუკუნის 80-იანი წლებიდან ოდიშის სამთავროს ფაქტიური მბრძანებელი გახდნენ[82]. მომდევნო საუკუნის დამდეგს კი აძ ახალი გვარის წარმომადგენელი კაცია ოფიციალურად გადადიანდა („აკურთხეს დადიანათ და დაულოცეს რჯმალი")[83].

ჩიქვანთა გამარჯვება აზნაურთა ფენის მხარდაჭერამ შეაპირობა. ხოლო ჩიქვანებისათვის აზნაურთა მიმხრობა უკანასკნელთა გათავადების ან თავადთა ყმობისაგან განთავისუფლების ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ჩიქვან-დადიანებთან ბრძოლაში განადგურდნენ ოდიშის ძველი წარჩინებული გვარები: ჭილაძეები, გოშაძეები, ქორთოძეები, ჯაიანები და სხვები, რომელნიც ჩიქვანთა დადიანობას არ ცნობდნენ. მათი საგვარეულო ადგილ-მამული დადიანთა ამ ახალმა სახლმა დაიკავა[84].

ჭილაძეებთან ბრძოლაში ჩიქვანებს დიდი დახმარება გაუწიეს ჭილაძეთა აზნაურებმა — კორძაიებმა, რომელნიც ჭილაძეების ვასალობისაგან თავის დაღწევას ცდილობდნენ[85].

მართლაც, ჭილაძეთა დამარცხების შემდეგ კორძაიები სათავადო აზნაურებიდან სამთავრო აზნაურთა რიგებში იქნენ ჩარიცხული და ჩიქვან-დადიანების კარზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ[86].

მიუხედავად ოდიშის ახალ სამთავრო სახლთან ბრძოლაში დაქვეითებისა, ჭილაძეთა გვარი XVIII ს. პირველ ნახევარში ჯერ კიდევ მაინც წარჩინებულ გვარად ითვლებოდა დასავლეთ საქართველოში[87]. ამ საუკუნის მეორე ნახევარში კი მას სათავადო მიწა-

---

82 ვახუშტი. აღწერა... გვ. 26; მისივე, „საქართველოს ისტორია", გვ. 208—211; იოანე ბატონიშვილი. „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა", ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 101v.

83 იხ. ქვემოთ, ჩიქვანთა სათავადო.

84 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 26; ბ. ჯაიანი. ძველი ამბები, გვ. 31—32.

85 ბ. ჯაიანი. ძველი ამბები, გვ. 39.

86 იხ. იქვე; სცია, ფ. 1, საბ. № 3978; იონა მეუნარგია. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 146.

87 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 26.

წყალი უკვე აღარ გააჩნდა. მხოლოდ სოფ. საკილაოში[88] ფლობდა მცირეოდენ მამულს. ყმა-მამულ დამცრობილი ჭილაძეები ახლა აზნაურთა რიგებში ირიცხებოდნენ. იმ დროს, როცა იოანე ბატონიშვილი ქართველ თავად-აზნაურთა გვარების „ისტორიას“ წერდა[89], ჭილაძეთა გვარში თავადი „არავინღა“ იყო[90].

ჭილაძეთა ძველი სამფლობელო ოდიშში ახლა ჩიქვან-დადიანებს ეჭირათ, ხოლო მათ მოურავებად იქ ჭილაძეთა ყოფილი აზნაურები, კორძაიები, ისხდნენ[91].

თავი XII

გოშაძეთა სათავადო

ყველაზე ადრინდელი ცნობა გოშაძეთა შესახებ 1413—1444 წწ. ეკუთვნის[1]. აღნიშნულ წლებში შედგენილ თოფურიძეთა სასისხლო სიგელში მრწმეთა შორის დასახელებულია გოშაძეთა სახლის წარმომადგენელი ელბადურ[2]. მაღნარაძეთა 1486—1488 წწ.

---

88 ამ სოფლის სახელი უეჭველს ხდის ოდესღაც ჭილაძეებისადმი მის კუთვნილებას.

89 ეს ნაწარმოები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „შესაძლოა დაწერილ ი ყოს, 1801 წლამდე“ ან მისი დაწერის უგვიანესი თარიღი 1815—1820 წლებს არ ცილდება (იხ. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე. იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფიული ნუსხების მ ოხილვა, საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, თბილისი, 1959, გვ. 232—233).

90 ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 111v.

91 ს�ia, ფონდი 1, საბ. № 3978.

1 ქართველ თავად-აზნაურთა გვარების „აღწერაში“ გოშაძეთა შესახებ ნათქვამია: „გოშა იყო წელსა 1213-[სა] განჯელი თავადი სომეხთა, ძველად გოშამიხითარად წოდებული. და ოდეს სპარსთა დაიპყრეს კერძონი მისნი, მაშინ მოვიდნენ ქართლსა და მეფემან უბოძა ოდიშში მამული და მიიღო თავადად გოშადვე... ამის ძეთა ეწოდათ გოშაძეები... და მუნიდგან იწოდებიან გოშაძეებად“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 117r).

გვარსახელი გოშაძე რომ გოშა-დან არის ნაწარმოები, ეს უთუოდ სწორია ამ ცნობის სხვა მონაცემებს კი რეალური საფუძველი არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ „სვანეთის კრების“ „მატიანეში“, რომელიც, პ. ინგოროყვას დათარიღებით, XIII ს. მეორე ნახევარს ეკუთვნის, მოხსენიებულია „ი ე გოშოიძე“ (იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. სვანეთის სისტორიო ძეგლები, ნაკვ. მეორე, თბილისი, 1941, გვ. 133). შეიძლება ეს იგივე გოშაძე იყოს, მაგრამ რა კავშირშია იგი ოდიშის გოშაძესთან, ძნელი სათქმელია.

2 საქ. სიძველენი, II, გვ. 37.

სასისხლო სიგელშიც იხსენიება გოშაძე, მაგრამ უსახელოდ[3]. ამის შემდეგ გოშაძეები დიდხანს არ ჩანან ისტორიის სარბიელზე.

გოშაძე მეგრული გვარსახელის გოშუას ქართული შესატყვისია[4], ეს გვარსახელი წყაროებში ხშირად „გოშოძის“ ფორმით გვხვდება[5].

ისტორიული გადმოცემით, გოშაძეები ძლიერი თავადები იყვნენ ჯერ კიდევ ჩიქვანთა გადადიანებამდე (ოფიციალურად XVIII ს. დამდეგი)[6].

გოშაძეთა სათავადოს ჩამოყალიბება XV ს-შია სავარაუდებელი.

იმავე გადმოცემით, გოშაძეებს ეკუთვნოდათ ვრცელი მიწა-წყალი მდ. ხობისა და ჭანისწყლის აუზში. ამ საგვარეულოს მფლობელობაში იყო აქ სამი სოფელი:

1. სარაქონი, 2. კირცხი, 3. გაშფერდი.

აგრეთვე მდ. ხობის პირად მდებარე ფრიად ნაყოფიერი მამული „ლეტეში“, რომელიც სამხრეთის მიმართულებით სადადიანო სოფელ ხიბულამდე აღწევდა.

გოშაძეების სათავადოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ხობი საზღვრავდა. ეს მდინარე ჰყოფდა მას სადადიანო სოფელ ოჩხომურისაგან, დასავლეთით—ჭანის წყალი, როძელიც ჰყოფდა აგრეთვე სამთავრო სოფელ ჭაქვინჯისაგან, სამხრეთით—სადადიანო სოფელი ხიბულა, ჩრდილოეთით — ლეწურწუმე და კვლავ სადადიანო სოფელი ჯაღირა.

ამგვარად, გოშაძეების სამფლობელო ყოველმხრივ სადადიანო სოფლებით იყო გარშემორტყმული.

გოშაძეების ყმა გლეხები იყვნენ: მალანიები, კვირტიები, იზორიები, ნაჭყებიები, მამულიები და სხვ.

გოშაძეების აზნაურები იყვნენ ჯიჯიხიები[7].

---

3 ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 21.

4 ბ. ჯაიანი. ძველი ამბები..., გვ. 31—32.

5 ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 21; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 16 (იხ. სქოლიოც); საქ. სიძველენი, II, გვ. 37.

6 ბ. ჯაიანი. ძველი ამბები..., გვ. 31—32.

7 გოშაძეთა სათაუადო სახლის ყმათა რაოდენობის, მოხელეებისა და ზოგი სხვა საკითხის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ამ საგვარეულოზე მასალები საერთოდ მეტად მცირედაა შემონახული.

გოშაძეების რეზიდენცია სოფელ კირცხში იყო. ამ სოფლის ცენტრში მაღალ გორაზე, რომელსაც „უთუთის ფერდს“ ეძახიან, იყო გოშაძეთა საგვარეულო ციხესიმაგრე[8]. ფერდობის ძირს, ვაკეზე — სასახლე და კარის ეკლესია[9].

ადგილობრივ მოსახლეობაში დარჩენილი გადმოცემის მიხედვით, უთუთი იყო გოშუათა (გოშაძეთა) მამამთავარი, რომელმაც ააშენა ეს ციხესიმაგრე და ფლობდა ზემოაღნიშნულ ტერიტორიას. ამ გადმოცემის სისწორეს ადასტურებს ტოპონიმიკური მონაცემი: „უთუთიში ფერდი“ („უთუთის ფერდი“), რომელიც იმ „ფერდის“ ოდესღაც უთუთისადმი კუთვნილების უტყუარი მოწმობაა. ხოლო უთუთი რომ გოშაძეთა საგვარეულო სახელი იყო, ეს კარგად ჩანს გვიანდელი ხანის დოკუმენტური მასალიდან[10].

XVII ს. დამდეგიდან გოშაძეთა საგვარეულოს წარმომადგენლებს ისევ ვხედავთ ისტორიის ასპარეზზე. 1611 წელს ფარუხია გოშაძე მანუჩარ დადიანის ამალაში ჩანს. აღნიშნულ წელს ფარუხიას ნებით თუ უნებლიედ დიდი მარცხი მოსდის: „ზუგდიდს ნადირობასა, ცხენის რბევასა შიგან შეიძგერნენ ბატონი (მანუჩარ) და გოშაძე ფარუხია“. დადიანის „ცხენი წაიქცა“ და მანუჩარი „ამიერ სოფლით მიიცვალა“[11].

---

8 მისი საძირკვლები ახლაც არის დარჩენილი.

9 გოშაძეთა საგვარეულოს ყმა-მამულისა და რეზიდენციის შესახებ გადმოცემა ჩავიწერეთ სოფ. კირცხში 1960 წ. სექტემბერს. მთხრობელნი იმავე სოფლის მკვიდრნი: ჯოტო მიხეილის ძე გოშუა (78 წ.) და გაბრიელ გუხილიას ძე კვირტია (72 წლის).

გოშაძეთა ყმა-მამულის შესახებ ზოგიერთ ცნობას ეპოულობთ ერმალოზ ალექსის ძე გოშუას საგვარეულო საბუთებში. ეს საბუთები („კანდრაქტის“, პირობის, მხითევის წიგნები და სხვ.) დაცულია შოთა ერმალოზის ძის ოჯახში (სოფ. კირცხი, ჩხოროწყუს რაიონი). რამდენიმე მათგანის პირი, გადმოწერილი ჩვენ მიერ, ინახება ჩვენთან. საბუთები გვიანდელი ხანისა (XIX საუკუნისა და XX ს. დამდეგის).

10 მხედველობაში გვაქვს ერმალოზ ალექსის ძე გოშუას საგვარეულო საბუთები, რომლებშიც იხსენიება უთუთი გოშუა.

11 ქრონიკები, II, გვ. 439, ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა. უფრო ვრცლად იხ. M. Brosset, Rapports su un voyage archéologique, I-e livraison, St. Petersbourg, 18 9, VIII rapport, p. 100.

არქანჯელო ლამბერტის ცნობითაც, „მანუჩარი ერთ დღეს სანადიროდ გამოვიდა და, როცა ცხენით გამოუდგა ირემს, დაეტაკა მეორე ცხენოსანს, რომელიც მისდევდა თურმე იმავე ირემს. უბედური მანუჩარ ისე ძლიერ დაეტაკა, რომ სულ დაიმსხვრა, და იქვე სული განუტევა“ (იხ. მისი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 15).

რა მოუვიდა ამის შემდეგ ფარუხიას, ამაზე წყაროებში არაფერია ნათქვამი.

ფარუხიას თანამედროვეა მისი სახლიკაცი თოდორუხუ გოშაძე, რომელიც გიორგი ლიპარტიანთან და სხვებთან ერთად მოწმედ იხსენიება 1611—1657 წწ. ერთ ფიცის წიგნში[12].

XVII ს. გოშაძეები ძლიერი თავადებია. ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ გურიის მთავარი ქაიხოსრო I გოშაძის ასულ ხვარამზესთან არის დაქორწინებული[13]. გურიელი, ცხადია, გავლენიან თავადთა საგვარეულოს დაუმოყვრდებოდა.

ფარუხიასა და თოდორუხუს შემდეგ, ლევან III-ის დადიანობაში (1661—1680 წწ.) ვხვდებით მათ თანამოგვარე ზვიად გოშაძეს. მას 1673 წ. მთავრის კარზე მესტუმრის სახელო უპირავს[14].

ლევან III დადიანის დროინდელი მოღვაწეა ის გოშაძეც, რომლის სახელს წყაროები არ იხსენიებენ და რომელსაც ბაგრატ იმერთა მეფის და თინათინი ჰყავდა ცოლად[15]. ეს ფაქტიც გოშაძეთა გვარის წარჩინებულებაზე მეტყველებს.

გოშაძეების ძლიერებას, ისე როგორც ჭილაძე-ქორთოძე-ჯაიანებისას, ბოლო მოუღეს ჩიქვან-დადიანებმა. ძირძველი თავადი გო-

---

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი მანუჩარ დადიანის სიკვდილის რამდენადმე სხვაგვარად მოგვითხრობს: „ნადირობასა შინა ხრმან ირმისამან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოჰკლა იგი". 1611 წელს (იხ. მ ი ს ი, „საქართველოს ისტორია". გვ. 196, შდრ. მ ი ს ი ვ ე ქრონიკონები, გვ. 247, 1611 წლის ქვეშ. შრდ. აგრეთვე ქრონიკები, II, გვ. 439, 1611 წ. ქვეშ). ვახუშტის წყაროში ეს ფაქტი განგებ უნდა იყოს შესწორებული.

12 საქ. სიძველენი, I, გვ. 33.

13 Д м. Б а к р а д з е. Археологическое путешествие..., стр. 232—233, 293, 336.

14 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 75—76.

XVII საუკუნეში იხსენიება აგრეთვე „გოშოძის ქალი" ელენე, რომელიც თავად ღამბარ ჭილაძეზე ყოფილა გათხოვილი (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 15—16).

15 ცნობილია, რომ ხსენებულმა მეფემ 1663 წ. მის მიერ დამარცხებულ ლევან III დადიანს წაართვა ცოლი თამარი და თვითონ შეირთო იგი. ხოლო დადიანს ცოლად „მისცა დაჲ თვისი გოშაძის ნაცოლარი" (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 204; მ ი ს ი ვ ე, ქორონიკონები, გვ. 249 (1663 წ. ქვეშ); ქრონიკები, II, გვ. 480, 481).

გოშაძე ამ დროს ან ცოცხალი არ არის, ან მეფემ წაართვა მას თავისი და.

შაძეები აზნაურთა წრიდან გამოსულ, ახალ დაწინაურებულ ჩიქ-ვანთა დადიანობას ვერ ურიგდებოდნენ. ჩიქვან-დადიანები კიდევ მათ დამორჩილებას და ადგილ-მამულის მიტაცებას ცდილობდნენ. ამ ნიადაგზე მათ შორის დიდ ბრძოლას ჰქონდა ადგილი[16]. ეს ბრძოლა XVII ს. მეორე ნახევარში დაიწყო და მომდევნო საუკუ-ნეებშიც გრძელდებოდა. გოშაძეთა თავკაცები ამ ბრძოლაში ამო-წყდნენ. სხვებს კიდევ ჩიქვან-დადიანებმა „აზნაურები და მიწა-წყალი წაართვეს“ და, ასე, დაიკავეს გოშაძეთა საგვარეულო ყმა-მამული[17].

XVIII ს. პირველ ნახევარში, როცა ვახუშტი ბატონიშვილმა თავის „საქართველოს ისტორიას“ წერდა, გოშაძე ოდიშის სამ-თავროში ჯერ კიდევ „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ გვარად ითვლებოდა[18]. XIX ს. პირველ მეოთხედში, კი, ნიკო დადიანის ცნობით, გოშაძეთა საგვარეულო უკვე „დამდაბლებული“ იყო[19].

XVIII ს. შუა წლებიდან გოშაძეებმა, როგორც ჩანს, თავადის ღირსებაც დაკარგეს და აზნაურებად ჩამოქვეითდნენ.

ძველი გოშაძეების შთამომავალნი არიან მერმინდელი სამ-თავრო აზნაური გოშუები, რომელნიც სოფელ კირცხსა და ლეტეში-ში ფლობდნენ მცირეოდენ ყმა-მამულს.

აღსანიშნავია, რომ გვიან, XIX ს. მეორე ნახევარშიც, აზნა-ურ გოშუებსა და ნიკო დადიან-მინგრელსკის[20] შორის დიდი დავა იყო ლეტეშის გამო. ბოლოს, ეს მამულიც დადიან-მინგრელსკის ხელში გადავიდა[21].

თავი XIII

ჯაიანთა სათავადო

ჯაიანთა საგვარეულო ისტორიის სარბიელზე პირველად გვხვდე-ბა XV ს. მიწურულს[1]. ამ გვარის უძველესი წარმომადგენელი ცოტ-

---

16 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 31—32.

17 ი ქ ვ ე.

18 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 26.

19 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 66.

20 დავით დადიანის ძე იყო.

21 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 32; ერმალოზ გოშუას საგვარეულო საბუთები.

1 ჯაიანთა საგვარეულოს წარმომავლობაზე იოანე ბატონიშვილი წერს: „ჯან-ან ჯაბ იყო თათარი ბეგი. ესე მოინათლა და დაემოყვარა მამიკონიანთა გუართა,

ნე ჯაიანია. იგი მოწმედ იხსენიება 1486—1488 წწ. კონსტანტინე მეფის მიერ ფარიჯანიანის ყმის თოდაძისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში[2].

ბ. ჯაიანი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ ჯაიანთა გვარი „ძველ ფარჯანიანთა შტოს“ წარმოადგენსო. ეს „გაუგონია“ მას „ძველი მწიგნობრებისაგან, მათ შორის ოტია დადიანისაგან“[3].

ფარაჯანიანი მართლაც ძველი გვარი იყო სქართველოში. XIII ს. მეორე ნახევარში ცნობილია ლიხთ-იმერეთის დიდებული სარგის ფარაჯანიანი[4].

ვახუშტი ბატონიშვილიც ამ გვარს „ძველთა“ „მთავართა“ გვარს მიაკუთვნებს[5]. მაგრამ ფარაჯანიანთა და ჯაიანთა შორის რაიმე კავშირის დადგენა ვერ ხერხდება. ბ. ჯაიანის „განაგონის“ სისწორის შემამაგრებელი საბუთი არ მოიპოვება. გვართა სახელების მხოლოდ მსგავსება, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ეს „განაგონი“, მათი გენეტიკური კავშირის არგუმენტად ვერ გამოდგება.

XV ს. შემდეგ ჯაიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი ერთ ხანს სრულებით არ ჩანს. მომდევნო საუკუნის მხოლოდ 70-იან წლებში ვხედავთ ერთ ჯაიანს, მაგრამ წყაროებში მისი სახელი აღნიშნული არ არის[6].

ვანის მხარეს მცხოვრებთა... მერე მოვიდნენ დროსა თათართაგან დაპყრობისა იმა ადგილთასა და დაესახლნენ იმერთს და მეფემან მიიღო მათი გუარი თავადად ჯაიანად...“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, გვ. 116v., 117r). ეს ცნობა უსაფუძვლოა, არც ერთი წყარო მას არ ემოწმება (იოანე ბატონიშვილის ამ ნაწარმოების ღირსების შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 52—53, სქოლიო 1).

2 ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე, II, 1942, გვ. 47. ტექსტში: „ჯაენი“, რაც უთუოდ ჯაიანია.

უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთის ერთ ისტორიულ დოკუმენტში, რომელიც XV ს. დამდეგს მიეკუთვნება (პ. ინგოროყვას დათარიღებით) იხსენიება გიორგი აბლანის ძმა „ჯაინი“ (იხ. პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ., II, გვ. 16). აქვს თუ არა რაიმე კავშირი „ჯაინს“ ჯაიანთა გვართან, ძნელი სათქმელია.

3 ბ. ჯაიანი. ძველი ამბები..., გვ. 30.

4 იხ. ეამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1959, გვ. 243.

5 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 20.

6 ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი, გვ. 361; ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი მესამე, გვ. 503, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ.

ამავე ხანების (1560—1578 წწ.) ერთი ხელნაწერის ბინაწერში იხსენიება კიდევ „ჯაიანის ქალი ხანუმზე“ (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, თბილისი, 1957,

ჯაიანი მთავართან დაახლოებული უნდა იყოს. იგი ლევან I დადიანის ამალაშია, ნადირობის დროს თან ახლავს მთავარს[7].

ჯაიანთა სახლს რაღაც მიზეზის გამო დადიანის მიმართ ფარული მტრობა უნდა ჰქონოდა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ „ნადირობაში ჯაიანმა ცხენი შეაძგერა და მოაკუდინა დადიანი“ 1572 წელს[8]. ეს აქტი ჯაიანის მიერ წინასწარი მოფიქრებით უნდა იყოს ჩადენილი.

როგორ გაუსწორდნენ ლევან დადიანის მკვლელ ჯაიანს, ამის შესახებ წყაროები არაფერს ამბობენ. თვით ჯაიანები კი ამ შემთხვევის შემდეგ XVII საუკუნემდე არ ჩანან.

ჯაიანთა სათავადოს ჩამოყალიბება XV ს. მიწურულით, ცოტნე ჯაიანის მოღვაწეობის პერიოდით, უნდა განისაზღვროს. ცოტნე უნდა იყოს ამ დროს ჯაიანთა საგვარეულოს თავკაცი.

გადმოცემის მიხედვით, ჯაიანებს უძველეს დროიდანვე ეკუთნოდათ შემდეგი სოფლები:

1. ახუთი, 2. ალერტი, 3. ნოღა[9].

ჯაიანების სამფლობელოს აღმოსავლეთით სოფ. კიწია საზღვრავდა, დასავლეთით — სადადიანო სოფელი ოჩხომური, სამხრეთით — თავად აფაქიძეების სოფლები: ფოცხო, უშაფათი და ჩრდილოეთით — სოფ. ნაკიანი და გარახა.

ზემოდასახელებულ სამ სოფელს გარდა, ჯაიანებს ეკუთვნოდათ სოფ. ლეწურწუმესა და ხორგას მნიშვნელოვანი ნაწილი[10].

ჯაიანების რეზიდენცია თავდაპირველად სოფ. ნოღაში იყო.

გვ. 53, მინაწერი 2, შდრ. ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 84).

7 ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი. ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი, გვ. 361; ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი მესამე, გვ. 503, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ.

8 ი ქ ვ ე.

ვახუშტი ბატონიშვილი დადიანის სიკვდილის მიზეზს სხვაგვარად გადმოგვცემს: „უბრკმა ცხენსა მისსა (ლევან დადიანის. — ო. ს.) და შემუსრა კისერი მისიო“. იხ. „საქართველოს ისტორია“, გვ. 192.

9 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 31—36; არტემონ გიორგის ძე (დაბა ჩხოროწყუს მცხოვრები, 65 წლის), ივლიანე ანდრიას ძე (იმავე დაბის მცხოვრები, 54 წლის) ჯაიანებისა და ბადუ ჯამუს ძე ჩაჩიბაიას (სოფ. ახუთის მკვიდრი, 73 წლის) ცნობები. ჩავიწერეთ აღნიშნულ ადგილებში 1959 წ. სექტემბერს.

10 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 35. არტემონ და ივლიანე ჯაიანების ცნობა.

აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხესიმაგრე. საგვარეულო საძვალე ჯაიანებს ალერტის ეკლესიაში ჰქონდათ[11].

ჯაიანების ყმა გლეხები იყვნენ: ჩიტაიები, ჯოჯუები, გოგიები, კაკულიები, კაჭარავები, საჯაიები, ხუბუნიები და სხვ.[12].

ხორგაში კიდევ ჯაიანთა ყმები იყვნენ: აფშილავები, გიგიბერიები, აბრამიები, გურალიები, ჯაბელიები და სხვ.[13].

ჯაიანების აზნაურები იყვნენ: გურსამიები, ფიჩხაიები, ზოდელავები, ჩაჩიბაიები, ბოკუჩავები (ალერტელი), პაპასქირები (ახუთელი), ერთი კომლი საჯაია და სხვ.[14].

აზნაურ ჩაჩიბაიებს ჯაიანების კარზე სახლთუხუცესის თანამდებობა ეჭირათ[15]. აზნაურები შეადგენდნენ ჯაიანების შეიარაღებულ „რაზმს“[16].

ჯაიანთა სათავადოს, ნაწილობრივ თუ მთლიანად, საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა. გადმოცემით, მხოლოდ ლევან V დადიანის დროს (1811—1840 წწ.) და მისი „ბრძანებით“ დაეკისრათ ჯაიანების გლეხებს „ნოქალაქეველი არჩილ ბატონიშვილის ცხენების გამოკვება ზამთრობით“[17].

XVII საუკუნეში ჯაიანები ისევ ჩნდებიან ისტორიის ასპარეზზე. აღნიშნული საუკუნის პირველ ნახევარში ეხედავთ ჯაიანთა სახლის წევრს ევდემონს, რომელიც საეკლესიო მოღვაწეა და ამ სფეროში ფრიად დაწინაურებულიცაა. იგი წალენჯიხის ეპისკოპოსად ზის. 1648 წლის წინარე ხანში კი მას დრანდელ ეპისკოპოსის ხარისხი ჰქონია. ამ მღვდელმთავრის სურათი დახატულია წალენჯიხის ეკლესიის ჩრდილოეთის სვეტის აღმოსავლეთ ნაწილში წარწერით: „წალენჯიხელ ევდემონს შეუნდოს ღმერთმან“[18].

---

11 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 31, 35.

12 ბადუ ჩაჩიბაიასა და არტემონ და ივლიანე ჯაიანების ცნობა.

13 დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 116, 162—163.

14 ბ ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 35.

15 ი ქ ვ ე, გვ. 34.

ჯაიანთა სხვა მოხელეების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. არ მოგვეპოება ცნობა ჯაიანების ყმათა საერთო რაოდენობის შესახებაც.

16 ი ქ ვ ე, გვ. 32.

17 ი ქ ვ ე. გვ. 37.

18 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 215; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 87, 143—144.

ევდემონი ლევან II დადიანის თანამედროვე იყო. ლევანის სიცოცხლეში, 1648 წელს, მოახატვინა ევდემონმა ამ მთავრის „ეკვდრის კარი“ წალენჯიხის ეკლესიაში[19].

ლევან II-ის თანამედროვე ან მასზე ადრინდელი ხანის მოღვაწეები იყვნენ კაკა და მისი შვილი ხუტუ ჯაიანები, რომელთა მამული, ყმა გლეხები და ორი მონასტერი („ერთი ჯვარის პატიოსნისა და მეორე წმინდის გიორგისა“), დადიანმა ბიჭვინტის ღვთისმშობელს შესწირა[20]. შეიძლება კაკა ის ჯაიანი იყოს ან იმის მემკვიდრე, რომელსაც ლევან I დადიანის სიკვდილში ბრალი მიუძღოდა (იხ. ზემოთ). ამას გვაფიქრებინეს ის, რომ მამას და შვილსაც მამული ჩამორთმეული აქვთ და მთავრის განკარგულებაშია.

1673—1696 წწ. ჯაიანთა საგვარეულოს წარმომადგენლებიდან ცნობილია დეისმა ჯაიანი[21]. დეისმას თანამედროვეა მისი სახლიკაცი დარისმანი, რომელიც გიორგი ლიპარტიანთან და ხახუ ჩიჩუასთან ერთად მოხსენიებულია ერთ შეწირულების წიგნში[22].

დეისმა ხორგას მოურავი უნდა იყოს. დადიანის „სათხოვარი“, „გარდასახადი“ და „სხვა რამე სათემო საქმე“ ხორგაში მისი „საქმოა“[23]. ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეისმა თუ სხვა ჯაიანები ხორგაში საკუთარ ყმა-მამულსაც ფლობენ. არიან აქ საკათალიკოსო ყმებიც. დეისმა მათ მიმართ მძლავრობს. საკათალიკოსო გამოსაღებსაც თვითონ ითვისებს. ხორგაში მოსულ ნავისაგან აღებულ ბაჟსაც „აკლებს“ კათალიკოსს. ამის გამო დეისმა ჯაიანსა და დავით კათალიკოსს შორის „სასამდურავო საქმე ჩამოვარდა“. კათალიკოსი „უწყრებოდა“ ჯაიანს და არ შეირიგა სანამ უკანასკნელმა მისი „მამულის საბუჩარგო“ არ მიართვა[24].

დეისმა ჯაიანი უნდა იყოს დიდი მტრობისა და ომის წამომწყები. 1682 წლის ერთ შეწირულების სიგელში მოხსენიებული „დეისმას ომი“, სადაც თურმე ბიეუჟია „დაიკარგა“, დეისმა ჯაია-

---

19 ე. თ ა ყ ა ძ შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 215—216.

20 იხ. აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი, გამოც. ს. კაკაბაძისა, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 187.

21 საქ. სიძველენი, I, გვ. 40. საბუთის თარიღი შესწორებულია ჩვენს მიერ მასში მოხსენიებული კათალიკოს დავით ნემსაძის ზეობის წლების მიხედვით. ეს წლები დაადგინა ბ. ლომინაძემ. იხ. მისი მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკე. 31, 1954, გვ. 133, 139.

22 იხ. საქ. სიძველენი, I, გვ. 30.

23 ი ქ ვ ე. გვ. 40.

24 ი ქ ვ ე.

ნის მიერ წამოწყებულ ომს უნდა გულისხმობდეს[25]. მაგრამ ვისთან და სად იყო ეს ომი, წყაროებიდან არ ჩანს.

ამ ომის შემდეგ დეისმა ჯაიანი მხოლოდ ერთხელ იხსენიება თავის თანამეცხედრესთან ხახუ ღოღობერიძის ქალთან ერთად გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში, მაგრამ ამ დროს იგი ცოცხალი არ უნდა იყოს[26].

ვფიქრობთ, დეისმას მემკვიდრეა მერაბ ჯაიანი, რომელიც XVII ს. მიწურულსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობს[27]. იგი დიდ გასაჭირშია. მისი „ქვეყანა თათრის ხელად შეჰქმნილა". მერაბი იქ ვეღარ დამდგარა და ხორგადან ჯიქთ-უბანს გადახვეწილი გრიგოლ კათალიკოსს აფარებს თავს. უკანასკნელისაგან ნაბოძები სამი კომლი გლეხისა და „სასახლის ადგილის" მეტი არაფერი გააჩნია. ამაზედაც კათალიკოსი პირობას ართმევს ჯაიანს: რომ მიცემული ყმა-მამულით მხოლოდ თავის სიცოცხლეში ისარგებლებს და მას „ხატს" არ „გამოსწირავს"[28].

1742—1750. წწ. ახლო ხანში მერაბ ჯაიანის მდგომარეობა გამოსწორებულია. მისი „ქვეყანა" (ხორგა) „თათრის" ხელისაგან გამოხსნილია და მერაბიც თავის მამულშია დაბრუნებული. აღნიშნულ ხანს იგი თავის შვილ ბეჟანთან და „ერთობით" თავის ხორგელ ყმებთან ერთად თავდებობის წიგნს აძლევს ბესარიონ კათალიკოსს, საიდანაც ჩანს, რომ მერაბ ჯაიანი უკვე ხორგაში ზის[29].

ბ. ჯაიანის ცნობით, ხორგაში ჯაიანების დამკვიდრება ხდება ჩიქვან-დადიანების მიერ ნოღას ციხის დაპყრობის შემდეგ[30]. მაგ-

---

25 იხ. საქ. სიძველენი, I, გვ. 41—42.

26 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 143. ცოცხალი არ უნდა იყოს ამ დროს დეისმას თანამეცხედრე ღოღობერიძის ქალიც.

27 ი ქ ვ ე, გვ. 149—150.

მერაბთან ერთად იხსენიება 1742—1750 წწ. ახლო ხნის ერთ საბუთში მისი ვაჟი ბეჟანი (ი ქ ვ ე, გვ. 162), რომლის მეტი მამრობითი სქესის მემკვიდრე მერაბს არ უნდა ჰყავდეს.

1709 წ. ერთ ფიცის წიგნში ვხვდებით იესე ჯაიანს (საქ. სიძველენი, I, გვ. 46), მაგრამ თანამოგვარეობის გარდა რა ნათესაობა იყო მერაბსა და მას შორის, არ ჩანს.

28 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 149—150, შდრ. ქრონიკები, III, გვ. 600—601.

29 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 162—163.

1742—1750 წწ. ახლო ხანს იხსენიებიან და ხორგელი ჯაიანები უნდა იყვნენ აგრეთვე გიორგი და ბერუკია ჯაიანები (ი ქ ვ ე, გვ. 163—164). მაგრამ მათ შორის ან ამ ორსა და მერაბს შორის რაიმე ნათესაური კავშირის დადგენა არ ხერხდება.

30 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 35.

რამ ეს ცნობა დოკუმენტური მონაცემებით არ მართლდება. ჩიქვანდადიანებს ნოღას ციხე XVIII ს. პირველ ნახევარზე ადრე არ შეიძლებოდა დაეპყროთ. ჯაიანები კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხორგაში არიან ჯერ კიდევ XVII ს. მეორე ნახევარში.

ჩიქვანთა საგვარეულოს გადადიანების შემდეგ (1704 წ. ოფიციალურად) ჯაიანები თანდათან ქვეითდებიან. ახალი სამთავრო სახლი ხელიდან აცლის ჯაიანებს მათ მიწა-წყალს.

ისტორიული გადმოცემის მიხედვით, XVIII ს. პირველ ნახევარში ჯაიანთა საგვარეულოს თავკაცი შაქარი არ ემორჩილებოდა დადიანს. იგი ნოღას ციხეში იყო გამაგრებული. „მუდამ გარს ერტყა აზნაურთა ძლიერი რაზმი". ჩიქვან-დადიანს მედიდურად უყურებდა, მის ყმობას არ კადრულობდა. თავს იმერთა მეფის ვასალად აცხადებდა. მეფეც მას დახმარებას აძლევდა. დადიანმა არა ერთხელ სცადა, მაგრამ ვერ შეძლო ნოღას ციხის აღება და მის მფლობელთა დამორჩილება. ბოლოს, ჯაიანის სახლთუხუცესის აზნაურ გიტუნია ჩაჩიბაიასა და ნაჯაგუელ თავად შელიას დახმარებით მოახერხა მთავარმა ამ ციხის დაპყრობა. შაქარ ჯაიანი ბრძოლაში დაიღუპა. მისი ოჯახის თუ სახლის წევრებიც დაიხოცნენ. ცოცხალი დარჩა შაქარის მხოლოდ ერთი ხუთი წლის ვაჟი, რომელიც „იმ დროს ციხის გარეთ, თავის „მორდუს" (გამზრდელი) გლეხი ჩიტაიას სახლში იმყოფებოდა"[31].

ასე დაეპატრონა ნოღას ციხესა და მის მიდამოებს დადიანი. ჯაიანების შემდეგ ეს ციხე სამთავრო სახლის უმცროსმა შტომ დაიმკვიდრა: ამ ციხეს ჯერ „დიდი ნიკოს" მამის „დადიანის ძის" გიორგისა და მერე თვით „დიდი ნიკოს" ხელში ვხედავთ[32].

გადადიანებული ჩიქვანების მიერ ჯაიანებისა და ოდიშის ზოგი სხვა საგვარეულოს ამოწყვეტის შესახებ გადმოცემა რომ სინამდვილეს ასახავს, ამას ადასტურებს ვახუშტის ერთი ცნობა: ჩამოთვლის რა იგი სამეგრელოს „აწინდელთა ქამთა" წარჩინებულ გვარებს, აღნიშნავს: „აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოსწყვიტნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანადო"[33].

---

31 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 31—34.

32 ი ქ ვ ე, გვ. 35 (იხ. აგრეთვე სქოლიოც); ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 188, 189; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, გვ. 170—171, ანდერძი, 1.

33 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 26. ვახუშტი ამ ამბების თანამედროვე იყო და მისი ცნობის სანდოობა ეჭვს არ იწვევს.

ამგვარად, ჩიქვანებმა ძველ დადიანებთან ერთად ოდიშის „მთავარნიც“ ამოსწყვიტეს (სიტყვა მთავარს ვახუშტი აქ თავადის სინონიმად ხმარობს). ჩიქვანების მიერ ამოწყვეტილ „მთავრებში“, ჭილაძეებს, ქორთოძეებსა და გოშაძეებთან ერთად, ჯაიანების საგვარეულოც იგულისხმება. მაგრამ ჩიქვან-დადიანებთან ბრძოლაში ჯაიანები მაინც მთლად ისე არ დამდაბლებულან, როგორც პირველი სამი საგვარეულოს წევრები.

იმავე გადმოცემის მიხედვით, დადიანის მიერ ნოლას ციხის დაპყრობის შემდეგ გასაჭირს გადარჩენილი შაქარი ჯაიანის ერთი მემკვიდრე ახუთში დასახლებულა. მისი შთამომავალნი არიან გვიანდელი ხანის ჯაიანები[34].

შაქარის მემკვიდრეს ხუთი ვაჟი ჰყოლია. ისინი სოფელ ახუთის სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრებულან. გადმოცემით, თითქოს „ამ ხუთი ძმის სახელით სოფელს ეწოდა ა-ხუთი“.

ხუთი ძმიდან ერთი ძმის ერთი შვილი, ბ. ჯაიანის ცნობით, ახუთიდან წავიდა და „მიენდო ფოთის ფაშას“. შემდეგ „გადავიდა ლაზეთში, რომლის შთამომავალნი ახლაც ცხოვრობენ გონიაში, ატარებენ ჯაიანის გვარს და იწოდებიან აღებად“[35].

ახუთში ჯაიანებს იმ დროის მიხედვით დიდი მეურნეობა ჰქონდათ მოწყობილი. აქ იყო მათი ზვარი, რომელსაც მათი ყმა გლეხები ამუშავებდნენ. ჰქონდათ „ერთი ჯიხური“ და სამღებრო, სადაც სხვადასხვა ძაფებსა და ქსოვილებს ღებავდნენ. ახუთის იმ ნაწილს, სადაც ეს „ჯიხური“ და სამღებრო იყო, „სარღებო“ ეწოდებოდა და ეწოდება ახლაც. „სარღებოში“ გაცხოველებული აღებმიცემა წარმოებდა. ჯაიანების „ჯიხურს“ გარდა, აქ XIX საუკუნეში, თუ უფრო ადრე, სხვა სავაჭრო პუნქტებიც გაჩნდნენ. პარასკეობით და კვირაობით „სარღებოში“ დიდი ბაზრობა იმართებოდა, სადაც სავაჭროდ მოდიოდნენ სამეგრელოს სხვადასხვა კუთხიდან[36].

ჯაიანებმა ვერც ახუთი და ალერტი შეინარჩუნეს მთლიანად. ამ სოფლების დიდი ნაწილი იმავე დადიანებმა მიიტაცეს. სამთავრო სახლის უმცროსმა შტომ თავის ერთ-ერთ რეზიდენციად სწორედ ახუთი აირჩია. აქ დამკვიდრდა ამ შტოს წარმომადგენელი დადიანის ძე გიორგი XVIII საუკუნეში. მისი კარის ეკლესიის ნანვ-

---

34 ბ. ჯ ა ი ა ნ ი, ძველი ამბები..., გვ. 34—35.

35 ი ქ ვ ე.

36 ი ქ ვ ე, გვ. 36—37; არტემონ ჯაიანისა და ბადუ ჩაჩიბაიას ცნობები.

რევები ახუთში ახლაც არის დარჩენილი. ადგილობრივი მოსახლეობა დღეს მას ტრადიციით „ნადოხორუში ოხვამეს“ („ნასასახლარის საყდარს“) ეძახის.

ამრიგად, XVIII ს. მეორე ნახევარში ჯაიანთა თავადური სახლის ადგილ-მამული მეტად შემცირებულია. ახლა მას ციხესიმაგრეც არ გააჩნია. თავადობა ჯაიანებმა მაინც შეინარჩუნეს. თემცა თავიანთი ძველი საგვარეულო მიწა-წყლის მხოლოდ მცირე ნაწილიღა შერჩათ ნოღას, ახუთს, ალერტსა და ლეწურწუმეში[37].

ამის შემდეგაც ჯაიანები, როგორც ჩანს, პირველხარისხოვან თავადებად ითვლებოდნენ. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი გრიგოლ ჯაიანი აგიაშვილთა საგვარეულოს მეთაურის დიდებული თავადის ქაიხოსროს „ტოლად“ არის მიჩნეული და მის მოფიცარ წარჩინებულ თავადთა შორის იხსენიება 1779 წელს[38].

მამულდამცრობილ ჯაიანებს ბოლოს მათი აზნაური ჩაჩიბაიები აუმხედრდნენ: „აზნაურის წესად შიგნით და გარეთ წაყოლით“ არ ემსახურებოდნენ მათ[39].

შინაკლასობრივ ბრძოლაში დამარცხებული ჯაიანები XVIII ს. მიწურულს თუ მომდევნო საუკუნის დამდეგს უკვე შეურიგდნენ თავიანთ მდგომარეობას და სამთავრო სახლსაც. ამ დროის მოღვაწეს თავად ქაიხოსრო ჯაიანს „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი ნიკო დადიანი ოდიშის მთავრის გრიგოლ დადიანის „ერთგულთა“ შორის იხსენიებს[40]. მეტიც: ქაიხოსრო თვით მისი საგვარეულო ადგილ-მამულის მფლობელი ნიკო დადიანის ერთგულია. მართლაც, თავად ჯაიანთა ერთი შტო ახლა ამ უკანასკნელს „მიენდო“ და მისი ვასალიაა[41]

ჯაიანთა სათავადო XIX ს. 20—30-იან წლებში დაიშალა.

---

37 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 35; არტემონ ჯაიანისა და ბადუ ჩაჩიბაიას ცნობები.

38 სცია, ფონდი 227(2), საბ. № 58.

39 ქუთ. მუზ. საბ. № 755.

40 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 194.

41 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 35.

„დიდი ნიკოს“ ვასალობის აღიარების შემდეგ ჯაიანთა ეს ერთი შტო ისევ სოფ. ნოღაში გადასახლებულა (იხ. ი ქ ვ ე).

*

* *

1815 წელს ვხედავთ ქაიხოსროს თანამოგვარეს ნიკოლაოს წინამძღვარს[42]. ხოლო უფრო გვიან (1826 წ.) — დავით ჯაიანს[43].

ბ. ჯაიანის გადმოცემით, ლევან V დადიანის დროს (1811—1840 წწ.) ახუთში ცნობილი იყვნენ: გოგი, ზურაბ, ოტია, ვახთა და ხუხულობა ჯაიანები. ხორგაში — ძმები ოტია, გიორგი და ლევან ჯაიანები[44].

ხორგელ ოტია ჯაიანს ცოლად ჰყავდა ახალციხის ფაშის აქვედ ხიმშიაშვილის ძმის, აბდი-ბეგის, ასული ესმა, რომელიც გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V-ის დისწული იყო[45]. ხოლო ოტიას ძმის გიორგის მეუღლე იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შიხეილ შარვაშიძის და[46].

*

თავი XIV

ჩიჩუათა სათავადო

ჩიჩუათა გვარი ერთ-ერთ „უწარჩინებულეს“ ფეოდალურ გვარს წარმოადგენდა ოდიშის სამთავროში[1]. ამ საგვარეულოს შესახებ ცნობები მხოლოდ გვიანდელი ხანიდან მოგვეპოვება, მაგრამ ეს ჩვენი წყაროების შემთხვევითი ხარვეზით აიხსნება და ჩიჩუა ძველთაძველი გვარია.

თუ ქართველ თავადაზნაურთა გვარების „აღწერაში“ დაცულ ცნობას დავუჯერებთ, ჩიჩუები „ძველად იყვნენ... ჩიქოანის გვართაგან“[2]. ე. ი. ჩიქვანთა გვარის შტოდან მომდინარეობდნენ. მაგრამ ამ შტოს მამამთავრის სახელისა, თუ სხვა გარემოების გამო, დროთა მსვლელობაში ჩიჩუა შეერქვათ. რამდენად სწორია ეს ცნობა,

---

42 ქუთ. მუზ. საბ. № 87.

43 ქუთ. მუზ. საბ. № 755.

44 ბ. ჯაიანი. ძველი ამბები..., გვ. 36—37.

45 Дм. Бакрадзе. Археологическое путешествие..., стр. 8—9, შდრ. ბ. ჯაიანი. ძველი ამბები..., გვ. 37.

46 ბ. ჯაიანი. ძველი ამბები..., გვ. 37.

1 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 26.

2 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, გვ. 116v.

ნელი სათქმელია. თვით ჩიჩუათა გვარიდან კი ჩიჯავაძეთა წარმომავლობა ნამდვილად სავარაუდებელია[3].

ჩიჩუათა საგვარეულოს ყველაზე ადრინდელი ჩვენთვის ცნობილი წარმომადგენელი რამაზ ჩიჩუაა. მას პირველად ეხედავთ XVII საუკუნეში, უფრო ზუსტად, 1628—1657 წლებში. ამ წლებში შედგენილ ერთ უთარიღო სიგელში ლევან II დადიანი თავის მოწმეთა შორის რამაზ ჩიჩუას ასახელებს[4]. იგი სამთავრო კარზე მიღებული პირია. სათავადო სახლის უფროსობაც ამ დროს მას უნდა ჰქონდეს.

რამაზზე ცოტა გვიან, ამავე საუკუნის მეორე ნახევარში, იხსენიებიან მისი სახლიკაცები ხახუ და კახაბერ ჩიჩუები[5].

კახაბერს პირველად და უკანასკნელად ვხედავთ 1682 წელს[6]. ხახუ კი 1706 წელსაც იხსენიება, მაგრამ ამ დროს ის უკვე მკვდარია[7].

XVII ს. მიწურულსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ჩიჩუათა საგვარეულოს წევრები ბრავლად ჩანან წყაროებში. ამ ხანში მოღვაწეობდნენ: კაცია, გიორგი, შაქარი, მოგული (მოგელი), ჯგემორდილი და პეპუნა ჩიჩუები[8]. მათგან პეპუნა უფრო გვიანაც გეხვდება[9].

დასახელებულ პირთაგან კაცია და გიორგი ძმები არიან[10]. ხოლო სხვებსა და მათ შორის რაიმე ნათესაური კავშირის დადგენა ვერ ხერხდება.

---

3 მეგრული ჩიჩუას ქართული ფორმა უნდა იყოს ჩიჯავაძე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში ჩიჩუა ჩიჯავაძედ არის დასახელებული (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 143, შდრ. ი ქ ვ ე, გვ. 91). ჩიჯავაძეები ჩიჩუათა გვარის ერთ-ერთ შტოდან უნდა მომდინარეობდნენ. ჩიჩუას გაჩიჯავაძება უთუოდ მისი საცხოვრისი ადგილის გადანაცვლებასთანაა დაკავშირებული: ქართულ გარემოში დამკვიდრებული ჩიჩუა ჩიჯავაძედ იწოდა. ანდა — პირუკუ.

საინტერესოა აგრეთვე, რომ გადმოცემით ჩიჩუათა პირველი მამამთავარი „ჩიე“ ყოფილა. მის შთამომავლობას კი „ჩიჩუა შერქმეულია“ (გადმოცემა ჩაგეწერეთ სოფ. რზენში (ხობის რაიონი) 1969 წ. ივლისს, ამავე სოფლის მკვიდრის 70 წლის ჯვებე მიხეილის ძე მხეიძის (ხახუ ჩიჩუას შვილობილი) თხრობის მიხედვით.

4 საქ. სიძველენი, II, გვ. 75.

5 საქ. სიძველენი, I, გვ. 29—30.

6 ი ქ ვ ე, გვ. 30.

7 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 91.

8 ი ქ ვ ე, გვ. 91, 99, 102; საქ. სიძველენი, I, გვ. 46.

9 საქ. სიძველენი, II, გვ. 396—397.

10 საქ. სიძველენი, I, გვ. 46.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს „საჩიჩუო“ „კაცები“ დიდად აწუხებენ საკათალიკოსო და „სახობო“ კაცებს „მიხდომით“, „წართმევითა“ „დაჭრით და სიკუდილით“. ამასთან ჩიჩუების მამულში „გოთაული“ ანუ ტყვეთა მსყიდველი დგას. ყოველივე ამის გამო საკათალიკოსო და საჩიჩუო „კაცების სჯა იყო ერთმანეთში და რითაც საქმით იყო“ გარიგდნენ. კაციამ და მისმა ძმამ გიორგიმ 1709 წელს ფიცის წიგნი მიართვეს გრიგოლ კათალიკოსს ამ ბოროტების აღკვეთის შესახებ[11]. მაგრამ ჩიჩუების მძლავრობა კათალიკოსისა თუ სხვა ფეოდალების ყმათა მიმართ ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა.

როდის ჩამოყალიბდა ჩიჩუათა სათავადო, გაუდაჭრით თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში, რამაზის მოღვაწეობის პერიოდში, XVII ს. 20—50-იან წლებში, ამ სათავადოს არსებობა საგულისხმოა.

ჩიჩუების სათავადო ჭანის წყლისა და ხობის წყლის ქვემო წელზე მდებარეობდა. აქ იგი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, რომელსაც „საჩიჩუო“ ანუ „საიჩუო“ ეწოდებოდა. საჩიჩუოში შემდეგი სოფლები შედიოდა:

1. ზუბი, 2, ჯაპშაქარი, 3. რზენი, 4. საჯიჯაო[12], 5. ხეთა (ნაწილობრივ)[13].

ამ სათავადოს აღმოსავლეთით სოფ. ზანა საზღვრავდა, სამხრეთით — ხორში, ჩრდილოეთით -- სადადიანო სოფ. ხიბულა. ჩოლო დასავლეთით — ჭანის წყალი.

აღნიშნულ სოფლებს გარდა, ჩიჩუები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ნარაზენს, ბიას, სახარბედიოს, თეკლათს, ქვალონსა და მუხურში[14].

ჩიჩუების რეზიდენცია სოფ. რზენში იყო. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხესიმაგრე. საგვარეულო სასაფლაო

---

11 საქ. სიძველენი, I, გვ. 46.

12 ამ სოფელს „საჩიჯაოსაც“ ეძახიან.

13 ქუთ. მუზ. საბ. № 477; ზემოდასახელებულ ჯვებე მხეიძისა და გრიგოლ როსტომის ძე შელიას (61 წლის, ქ. ზუგდიდის მცხოვრები: ბაქოს ქ. № 23. სოფ. რზენის ყოფილი მკვიდრი) ცნობები (უკანასკნელის ცნობა ჩავიწერეთ ქ. ზუგდიდს 1959 წ. სექტემბერს) გაუგონიათ მამა-პაპათაგან.

ხეთა ძველად (XVII ს. და ადრე) ქორთოძეთა წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 188). ამ საგვარეულოს დამცრობის შემდეგ (XVII ს. მიწურული) დაეუფლნენ, უთუოდ, ჩიჩუები ხეთას ნაწილს, ნაწილი კი სადადიანო უნდა ყოფილიყო.

14 ქუთ. მუზ. საბ. №№ 257, 342, 456; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 91, 102; ჯვებე მხეიძის ცნობა.

წათლისმცემლის სახელზე აშენებულ რზენის ეკლესიაში და ხობის მონასტერში ჰქონდათ[15].

ჩიჩუებსვე ჰქონდათ ზუბის ციხესიმაგრეც[16].

ჩიჩუების ყმათა რაოდენობის შესახებ პირდაპირი ცნობა არ შოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ 1838 წელს, როცა კაცია ჩიჩუა ლევან V დადიანს განუდგა, მან საჩიჩუოში „სამ ათას კაცს იარაღი აკიდა"[17]. მაგრამ ეს რიცხვი გაზვიადებული უნდა იყოს. თუ კომლში იარაღის ტარების შემძლე თითო კაცს ვივარაუდებთ, ჩიჩუების ყმათა საერთო რიცხვი 3000 კომლი გამოვა. რაგინდ მჭიდროდ არ უნდა ყოფილიყო დასახლებული საჩიჩუო, ეს რიცხვი მაინც ძალიან დიდია.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კაციამ „იარაღი აკიდა" არა მხოლოდ თავის ყმებს, არამედ თავის სასარდლოს კაცებსაც (ჩიჩუათა სახლს „ოდიშის სარდლის" თანამდებობა მემკვიდრეობით ეჭირა), მაგრამ კაცია სარდლად არ ყოფილა. 1834 წ. შემდეგ სამეგრელოს სამთავროში სარდლის თანამდებობა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, საერთოდ არ ჩანს: „ეს სახელო, როგორც მთავრის ძველ უფლებათა გადმონაშთი, ხოლო რუსეთის მფარველობაში მყოფი სამთავროსათვის შეუფერებელი, ქრება"[18].

ჩიჩუების ყმა გლეხები იყვნენ: ბერაიები, ნადარაიები, სიგუები, კუქავები, ჯგუბურიები, ჭიხვარიები, გვასალიები, ჭანტურიები, გერსამიები, პაპასკორები, გვალიები, ჭილაიები და სხვ[19].

ჩიჩუების აზნაურები იყვნენ: გკათუები, ხოჭოლავები, ჯორჯიკიები, ლოლუები[20].

---

15 ქუთ. მუზ. საბ. № 477; გრიგოლ შელიას ცნობა. ასეთივე ცნობა მოგვაწოდა ზემოხსენებულმა ჯვებე მხეიძემაც.

16 ჯვებე მხეიძისა და გრიგოლ შელიას ცნობა.

ზუბის ციხე აღნიშნულია ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკაზე (იხ. შ. პ ო ტ ო ჯ ა ხ ა ძ ე. ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბილისი, 1959, გვ. 193).

17 ი ო ნ ა ძ ე უ ნ ა რ გ ი ა. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 10, იხ. აგრეთვე ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 154.

18 შ. დ უ მ ბ ა ძ ე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში, მიმომხილველი, I, 1949, გვ. 26.

19 ქუთ. მუზ. საბ. №№ 342, 456, 1706; საქ. სიძვ., I, გვ. 48—49.

20 ქუთ. მუზ. საბ. №№ 456, 477; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 10775.

ჩიჩუათა საყმო სამთავრო ბეგარა-გამოსაღებისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ თუ მთლიანად[21]. თუ ოდიშის საბატონიშვილოებში მთავრის ადმინისტრაცია ვერ შედიოდა[22], ანალოგიური მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ძლიერ სათავადოებშიც.

საჩიჩუოს უფროსს თავისი მოხელეები ჰყავდა. იხსენიება მისი „უფროსი ციხისა და მოურავი"[23]. ჩიჩუათა ციხის „უფროსობა" 1836 წ. წინარე ხანში მათ აზნაურს ბერუკა გვათუას ჰქონდა[24]. ხელოსნის თანამდებობა კიდევ — ყმა გლეხებს გვასალიებს[25].

ოდიშში ახალი სამთავრო სახლის გაბატონებამ ჩიჩუათა საგვარეულოს წინსვლას ხელი შეუწყო. ჩიქვან-დადიანებმა მათ მიერ განადგურებული ძველი ძლიერი ფეოდალური საგვარეულოების ნაცვლად შედარებით წვრილი თავადები წამოსწიეს. ჩიჩუები ადრევე შეეწყვნენ ჩიქვან-დადიანებს[26] და მათ კარზე დიდი გავლენა მოიპოვეს.

ოტია დადიანის დროს (1728—1757 წწ.) ჩიჩუათა საგვარეულოს წარმომადგენელი პეპუნა უკვე ფრიად დაწინაურებულია. იგი „დადიანის ტახტისა და საპატრონოს გამგებელია"[27], რაც იმას ნიშნავს, რომ ის სახლთუხუცესად ზის. სათავადოს უფროსობაც უეჭველ მის ხელშია.

როდის მისცეს ჩიჩუათა საგვარეულოს სახლთუხუცესობა, წყაროებიდან არ ჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ ლევან II-ის დადიანობის (1611—1657 წწ.) პირველ წლებში ეს თანამდებობა ქაიხოსრო აფაქიძეს ჰქონდა[28]. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩიქვანთა გადადია-

---

21 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთხელ, 1838 წელს, ლევან დადიანის „ბრძანებით" საჩიჩუოში საურის აკრეფა დაევალა თავად ზურაბ ჩიქვანს (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 6723). მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა ჩანს და ამის საფუძველზე თქმა იმისა, რომ საჩიჩუოში სამთავრო გამოსაღები სხვა დროსაც აკრიფებოდა, მართებული არ იქნება.

22 К. А. Бороздин. Закавказские воспоминания, СПб., 1885, стр. 38.

23 ქუთ. მუზ. საბ. № 477.

24 ი ქ ვ ე.

25 ქუთ. მუზ. საბ. № 467.

26 ბ. ჯ ა ი ა ნ ი. ძველი ამბები..., გვ. 32.

27 საქ. სიძველენი, II, გვ. 396—397.

28 იხ. აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი, გამოც. ს. კაკაბაძისა, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 187.

ნებისთანავე ჩიჩუებმა მიიღეს ეს სახელო და იმ ტერიტორიის დიდი ნაწილიც, რომელსაც ისინი შემდეგ ფლობდნენ.

პეპუნა ჩიჩუა დიდი გავლენით სარგებლობდა ოდიშის სამთავროში. სწორედ ამან გააპირობა მასთან იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის დამოყვრება. აღსანიშნავია, რომ პეპუნას წინათ ქსნის ერისთავის ქალი ჰყავდა დანიშნული. მაგრამ იმერთა მეფემ მათი ქორწინება ჩაშალა. იგი „უფრო საკუთრად მოყვარეთ და გულითადად ჰოეკიდა“ ჩიჩუას და 1738 წელს თავისი და თუთა ბატონიშვილი მიათხოვა. ამასთან მეფემ ფიცის წიგნი დაუდო თავის სიძეს, რომ მის მიერ დანიშნულ ქსნის ერისთავის ქალს „ცხენისწყლის გალმა“ არავის მისცემდა[29].

ჩანს, ალექსანდრე V დიდ მნიშვნელობას აძლევდა ჩიჩუასთან მოყვრობას. მართლაც, დადიანის „სპატრონოს გამგებელს“ შეეძლო გარკვეული როლი ეთამაშა იმერთა მეფისა და დადიანის დამოკიდებულების მოწესრიგებაში. ეს კი იქნებოდა ალექსანდრე V-ის ტახტზე მტკიცედ მომაგრების გარანტია. მაგრამ მეფის პოლიტიკური ანგარიში არ გამართლდა. ალექსანდრესთან ოდიშის მთავრის დამოკიდებულება ჩიჩუასთან დამოყვრების შემდეგაც ცვალებადი დარჩა[30]. მეტიც: დადიანი და მისი თავადები ერთ ხანს ალექსანდრე V-ის მეტოქე ძმას გიორგი ბატონიშვილს უჭერდნენ მხარს. იმერეთის ტახტის პრეტენდენტმა დამარცხების შემდეგაც (1741 წ.) ოდიშის სამთავროში ჰპოვა თავშესაფარი[31].

ჩიჩუების სამფლობელო უფრო მეტად გაფართოვდა ოლიოს დადიანობაში. უკანასკნელმა ცაიშის საეპისკოპოსოს მთელი ყმამამული ჩიჩუას უწყალობა. ამ დროიდან მოყოლებული ოცი თე მეტი წლის განმავლობაში ცაიშის ეკლესიაში „განმგე“ ეპისკოსი აღარ იჯდა. მისი საყმო „სამკვიდროდ საეროდ ქმნილიყო“[32]. ამგვარად, ცაიში მისი მიდამოებით და ამ საეპისკოპოსოს სხვა მიწა-წყალიც ერთ დროს ჩიჩუათა სამფლობელოში შედიოდა.

იმ ჩიჩუას სახელი, რომელმაც ესოდენ დიდი წყალობა მიიღო, წყაროებში ნახსენები არ არის. მაგრამ, ვფიქრობთ, იგი პეპუნა იყო. არ ჩანს როდის გარდაიცვალა პეპუნა. არც ისაა ცნობილი რა

---

29 საქ. სიძველენი, II, გვ. 396—397.

30 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 235—236.

31 ი ქ ვ ე, გვ. 235.

32 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 35—36, 176—177.

ხათესაური კავშირი ჰქონდათ მასთან მის თანამოგვარეებს ხახუს[33] და კაციას, რომელნიც XVIII ს. მეორე ნახევარში გვხვდებიან[34].

პეპუნადან დაწყებული ოდიშის სამთავრო კარზე ჩიჩუები პირველობენ. მაგრამ მალე აქ მათ მეტოქეობას იწყებენ თავადი ჩიქვანები.

ჩიქვანების მეცადინეობით უნდა მომხდარიყო ის, რომ 1768 წელს კაცია დადიანმა ჩამოართვა ჩიჩუებს ცაიშის ეკლესიის „საყმო კაცი" და ისევ ეკლესიას „დაუსაკუთრა"[35]. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ, როცა იმავე კაცია დადიანმა 1777 წ. „აღმოიგო" ცაიშის „საყდარი... ხელთაგან ერისკაცთასა და კვალად განაახლა საეპარხიოდ", მან ცაიშელ მიტროპოლიტად გრიგოლ ჩიქვანი დასვა[36].

საყურადღებოა, რომ ჩიჩუები დადიანმა მაინც მთლად არ მოიმდურა და ჩამორთმეული ყმა-მამულის ნაცვლად მათ „სხვა ადგილი" უბოძა[37].

ჩიჩუათა შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს ტყვეთა სყიდვა წარმოადგენდა. ფეოდალიზმის ეკონომიური კრიზისით გამოწვეული ეს ბოროტება გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოში მეტ-ნაკლებად ყველგან იყო გავრცელებული. ტყვეთა სყიდვას, როგორც წესი, გაბატონებული წოდება ეწეოდა. ოდიშის თავადებიდან ტყვეებით ვაჭრობით სხვებზე უფრო ჩიჩუები და ჩიქვანები იყვნენ „სახელგანთქმულნი". XVIII ს. 60—70-იან წლებში ჩიჩუათა საგვარეულოდან ტყვეთა სყიდვაში დახელოვნებული იყვნენ ხახუ (II) და კაცია.

ჩიჩუათა სათავადოს ამ დროს ხახუ მეთაურობდა.

ხახუს საიდუმლო კავშირი ჰქონდა ფოთის-ციხეში გამაგრებულ ოსმალთა მხედრობასთან და სურსათ-სანოვაგესა და იარაღთან ერთად, ტყვეებსაც აწვდიდა მათ. ამიტომ იყო, რომ 1770—1771 წწ.

---

33 ეს II ხახუ არის ჩიჩუათა საგვარეულოში. I ხახუ იხსენიება XVII ს. მეორე ნახევარში (იხ. ზემოთ).

34 ქუთ. მუზ. საბ. № 1507; საქ. სიძველენი, I, გვ. 49; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 52; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 179; Грамоты..., т. I, стр. 354.

35 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 35—36.

36 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 172; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 176—177.

37 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 35—36.

ფოთის ციხის მოალყე რუს-ქართველთა ჯარმა ვერ აიღო ეს ციხე. „დასწამეს გამაგრება ფოთისა თავადსა... ხახუ ჩიჩუას“. გენერალ სუხოტინის განკარგულებით იგი დააპატიმრეს და ფოთიდან უკუქცეულ ამ გენერლის კორპუსს მიყვებოდა რუსეთში. ხახუ გზაზე, მოზდოკთან ახლოს, გარდაიცვალა 1772 წელს[38].

ტყვეთა სყიდვის საქმეში ყველას გადააჭარბა კაცია ჩიჩუამ. იგი დაუზოგავად ჰყიდდა საეკლესიო ყმებს. ამის გამო მაქსიმე კათალიკოსმა შეაჩვენა კაცია 1775 წ. 29 დეკემბერს[39].

რა მოუვიდა ამის შემდეგ მას, არ ჩანს, მაგრამ მისი შეჩვენება უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩიჩუათა საგვარეულოს ჩამოართვეს სახლთუხუცესის თანამდებობა და ჩიქვანებს გადასცეს. 1777 წელს ამ თანამდებობაზე უკვე გიორგი ჩიქვანს ეხედავთ[40]. ეს იყო ჩიჩუების პირველი დიდი დამარცხება ჩიქვანებთან პირველობისათვის ბრძოლაში.

მიუხედავად ამისა, ტყვეთა სყიდვა ჩიჩუებს შემდეგშიც არ შეუწყვეტიათ[41]. თვით XIX ს. პირველ მეოთხედში, თუ უფრო გვიან, თავადმა ვახტა დეისმას ძე ჩიჩუამ „თათარი შეიპირა“ და ტყვე მიჰყიდა „ასოც მარჩილად“[42].

„ქრთამით“ თუ სხვა გზით ჩიჩუებმა ისევ შეძლეს თავიანთი ძველი მდგომარეობის აღდგენა. მათ მეტოქე ჩიქვანებმა ვერ შეინარჩუნეს სახლთუხუცესობა. 1810 წელს ეს სახელო ჩიჩუათა საგვარეულოს წარმომადგენელმა გიორგი ხახუს ძემ მიიღო[43]. სათავადო სახლსაც ახლა იგი უფროსობდა.

---

38 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 179; Грамоты..., т. I, стр. 354.

39 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 52, შდრ. ქრონიკები, III, გვ. 340—341.

40 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 177.

41 ქეთ. მუზ. საბ. № 477.

42 იქვე.

მარჩილი სამეგრელოში, რაფ. ერისთავის ცნობით, 10 კაპიკს უდრიდა (იხ. კ. ბოროზდინი., რაფ. ერისთავი და მური, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები), ტფილისი, 1927, გვ. 106).

ეს ის ვახტა ჩიჩუა უნდა იყოს, რომელსაც მანუჩარ კაციას ძე ბატონიშვილი თავის „ერთგულსა და სიამოვნების მცდელს ძმასა და ყმას“ ეძახის და 1812 წელს აძლევს მუხურში ერთ კომლ გლეხს ხუხეია გახარიას „თავის ცოლ-შვილით, ადგილ-მამულითა“ და ყველაფრით (ქეთ. მუზ. საბ. № 257).

43 ქეთ. მუზ. საბ. № 425.

სახლთუხუცესის სახელოს ჩიჩუათა გვარისათვის გადაცემის შესახებ იხ. მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია..., მიმომხილველი, I, 1949, გვ. 24.

შეიძლება, ეს გიორგი იმ ხახუ II ჩიჩუას ძეა, რომელიც მოზდოკთან ახლოს გარდაიცვალა (იხ. ზემოთ).

გიორგის დროის მოღვაწეა მისი სახლიკაცი ლევანი (ლეონ), რომელიც 1811 წელს პეტერბურგს ჩასულ გრიგოლ დადიანის ქვრივ ნინო დედოფლის მხლებელთა შორის არის წარმოდგენილი[44]. ჰქონდა თუ არა რამე ნათესაური კავშირი ლევანს გიორგისთან, ამის დადგენა არ ხერხდება.

1812 წელს გიორგი ჩიჩუა ცოცხალი არ უნდა იყოს. სახლთუხუცესობა მის თანამოგვარე თუ მემკვიდრე ხახუ III-ს უჭირავს. ამ თანამდებობასთან ერთად აღნიშნულ წელს მას „ოდიშის სარდლის" სახელოც უკავია[45]. ამავე წელს იგი იხსენიება სამეგრელოს „მხედრობის ცხენოსნის მძღვანებელად"[46], რაც („ცხენოსნის მძღვანებელობა") იმავე „ოდიშის სარდლის" ფუნქციებში უნდა შედიოდეს. სახლის უფროსობაც ახლა უთუოდ მასვე აქვს.

სამეგრელოს სამთავროში, ისე როგორც გურიაში, ერთსა და იმავე დროს ორი სარდალი იყო[47]. ზემოხსენებული „ოდიშის სარდალი" და „ლეჩხუმის სარდალ-მოურავი"[48]. ცნობილია, რომ გურია-სამეგრელოს სამთავრო კარი იმერეთის სამეფო კარის მსგავსად ეწყობოდა. ამიტომ სარდლის თანამდებობა ამ სამთავროებში უნდა შემოეღოთ იმავე ხანში ან იმის შემდეგ, რაც ის იმერეთის სამეფოში იქნა შემოღებული, ე. ი. XXII ს. 50-იან წლებში ან ამაზე ცოტა გვიან. მართლაც, აღნიშნული საუკუნის

შეიძლება ეს იგივე გიორგი ჩიჩუა იყოს, რომლის „ბრძანებითა... დაიწერა" წიგნი „კაცთა შესაქმე" (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, გვ. 55, ანდერძი 1). თუ ეს ასეა, მას ცოლად ჰყოლია ფაღავას ასული როდამი (ი ქ ვ ე).

44 დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი მოთხრობა, გვ. 116.

45 ქუთ. მუზ. საბ. № 757.

46 ვსარგებლობთ ლენინგრადის არქივის მასალებში დაცული ცნობით, რომელიც მ. დუმბაძეს მოაქვს თავის გამოკვლევაში: „სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია"..., მიმომხილველი, I, 1949, გვ. 26.

ხახუ ჩიჩუა, ვითარცა „ოდიშის სარდალი" ქვეითი ლაშქრის „მძღვანებელიც" უნდა ყოფილიყო.

47 მ. დუმბაძე სამეგრელოს სამთავროში სამ სარდალს ხედავს (იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 26), რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. „ოდიშის სარდალი" და „მხედრობის ცხენოსნის მძღვანებელი", როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ერთი და იგივე პირია.

48 ქუთ. მუზ. საბ. №№ 480, 728, 757, 759, 790, 1137, 1330; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 158.

მეორე ნახევარში სამეგრელოს სამთავროში სარდლის თანამდებობის არსებობა დადასტურებულია. ამ დროს მოღვაწე კაცია ჩიქვანი მარტვილის ეკლესიის წარწერაში „იმერეთისა, ოდიშისა თაუად და სარდლად“ არის წოდებული[49].

ასევე კაციას შვილიშვილი კაციაც ცაიშის გულანის 1704 წ. მინაწერში „სარდლად“ არის დასახელებული[50].

სამეგრელოს სამთავროს ორი სარდლიდან ერთი ადრიდანვე ჩიჩუათა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო. სარდლობაც ჩიჩუებს ჩიქვანთა გადადიანებისთანავე (1704 წ. ოფიციალურად) უნდა მიეღოთ. სარდლის თანამდებობაზე ამ საგვარეულოს წარმომადგენელის მოუხსენიებლობა XIX ს. დამდეგამდე ჩვენი წყაროების შემთხვევითი ხარვეზით უნდა აიხსნას.

ამგვარად, სახლთუხუცესისა და სარდლის სახელოები XVIII ს. დასაწყისიდანვე ჩიჩუათა ხელში იყო[51]. ასეთი მაღალი თანამდებობით აღჭურვილი ჩიჩუები ოდიშის სამთავროში ცოდი ძალაუფლებით სარგებლობდნენ.

1812 წ. შემდეგ არც ხახუ III და არც რომელიმე მისი სახლიკაცი სარდლის თანამდებობით არ გვხვდება. ხახუ III აღნიშნული წლის შემდეგაც არის დასახელებული ლევან V დადიანის სხვადასხვა სიგელებში, მაგრამ დასახელებულია როგორც მისი „სახლთუხუცესი ბრწყინვალე თავადი“[52]. სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა, სარდლის თანამდებობამ მნიშვნელობა დაკარგა და მალე გაუქმდა. ამით უნდა აიხსნას 1812 წლის შემდეგ ხახუს სარდლად მოუხსენებლობა.

---

49 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 121.

50 ი ქ ვ ე, გვ. 190, იხ. სქოლიოც.

იმავე 1704 წ. ეს კაცია „აკურთხეს დადიანათ“ (ი ქ ვ ე).

51 მეორე სარდლის („ლეჩხუმის სარდალ-მოურავის“) თანამდებობაზე ჯერ გელოვანებს და ბოლოს (1819—1834 წწ.) სამთავრო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელს „დიდი“ ნიკო დადიანს ეხედავთ (ქუთ. მუზ. საბ. №№ 480, 72ა, 759, 790, 1137, 1330; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 158).

აღსანიშნავია, რომ გრიგოლის დადიანობაში (1788—1804 წწ.) ჩიჩუებს ჩამოერთვათ სარდლის თანამდებობა. იხ. ქვემოთ, ჩიქვანთა სათაადო.

სამეგრელოს მთავრები ხშირად „თვითონ კისრულობდნენ სარდლის პოგალეობას და სარდალ-მოურავებთან ერთად გამოდიოდნენ“. იხ. შ. დ უ შ ბ ა ძ ე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია..., მიმომხილველი, I, 1949, გვ. 26.

52 ქუთ. მუზ. საბ. №№ 341, 1137, 1235, 1330.

რაც შეეხება სახლთუხუცესის სახელოს, ეს სახელო ხახუ III-ეს უჭირავს 1825 წელსაც[53]. მისი ხსენება ამ წლის შემდეგ წყდება, მაგრამ სახლთუხუცესობა ისევ ჩიჩუათა საგვარეულოს წევრს აქვს. 1833 წ. ეს თანამდებობა ხახუს ძმისწულ ლევან დავითის ძის ხელშია[54].

1838 წელს სახლთუხუცესობა ისევ ჩამოართვეს ჩიჩუებს და ახლა უკვე საბოლოოდ ჩიქვანთა საგვარეულოს გადასცეს[55]. ასე დამარცხდნენ ჩიჩუები სამეგრელოს სამთავრო კარზე პირველობისათვის ჩიქვანებთან ბრძოლაში.

ჩიჩუები ვერ შეურიგდნენ თავიანთ დამცრობას. ეს იყო მიზეზი, რომ საჩიჩუოში „ნამდვილი ბუნტი ატყდა" ლევან V დადიანის წინააღმდეგ 1838 წელს. კაცია III[56] ჩიჩუამ მთავართან საბრძოლველად 3000 კაცი დარაზმა. მას „ხელს უწყობდა" ლევა-

---

53 ქუთ. მუზ. საბ. №№ 341, 1235; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 10776.

54 ქუთ. მუზ. საბ. № 1488.

დავითი (ლევანის მამა) რომ ხახუს ძმაა, ეს ჩანს ერთი საბუთიდან, რომელიც დაწერილია 1819 წელს (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1137).

1833 წ. 13 აგვისტოთი დათარიღებულ ლევან დადიანის ერთ სიგელში სახლთუხუცესი მრავლობით რიცხვშია ნახსენები („თავადნი, სახლთუხუცესნი, არ.ორშჩიკნი გიორგი და ლევან ჩიჩუები". ქუთ. მუზ. საბ. № 942). სახლთუხუცესის მრავლობითად დასახელება აქ წინა სიტყვასთან („თავადნი") მომდევნო სიტყვის შეთანხმებითაა გამოწვეული და ლევანისა და გიორგის ერთად სახლთუხუცესობას არ ნიშნავს. ეს რომ ასეა, ამას ცხადყოფს ივანე დადიანის 1833 წლის 16 ნოემბრის წყალობის წიგნი, სადაც სახლთუხუცესად მხოლოდ ლევან ჩიჩუაა მოხსენიებული (ქუთ. მუზ. საბ. № 1488).

ლევან დადიანის ამავე წლის 13 აგვისტოს საბუთში დასახელებულ ლევან და გიორგი ჩიჩუებს მ. დუმბაძე ხახუს შვილებად თვლის (იხ. მისი „სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია"..., მიმომხილველი, I, 1949, გვ. 24). მაგრამ ეს არ მართლდება არც მის მიერ მითითებულ და არც სხვა საბუთით. აღნიშნულ წელს ორი ლევან ჩიჩუა გვხვდება (ქუთ. მუზ. საბ. №№ 942, 1488). მათგან ერთი მართლაც არის ხახუს შვილი, მაგრამ ის ლევანი („პრაპორშჩიკი"), რომელიც მკვლევარს მხედველობაში ჰყავს და რომელსაც სახლთუხუცესის სახელო უკავია, ხახუს შვილი კი არ არის, არამედ, როგორც ზემოთ ვთქვით, მისი ძმის დავითის შვილია. ხოლო ხახუს შვილი არის „მაიორი" ლევან ჩიჩუა (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 942, შდრ. № 1488). ასევე არ არის ხახუს შვილი 1833 წ. 19 აგვისტოს საბუთში ლევანთან ერთად დასახელებული გიორგიც.

ამგვარად, სახლთუხუცესობა ხახუს შემდეგ მის შვილზე კი არ გადასულა, არამედ — მის ძმისშვილზე.

55 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 125.

56 კაცია III-ის თანამედროვე ჩანან და XIX ს. 10—30-იან წლებში იხსენიებიან პეპუ, ვახტა (ვახტანგ) და გოგი (გიორგი) ჩიჩუები. გოგი და ვახტა

ნის პოლიტიკით უკმაყოფილო „დიდი ნიკო“ დადიანის ძის შვილი გიორგი[57].

ჩიჩუებმა ვერ შეძლეს თავიანთი მდგომარეობის გამოსწორება. მაგრამ, იონა მეუნარგიას აზრით, ლევან დადიანის მიერ დადიანობაზე უარის თქმისა და მთავრის ხელისუფლების თავისი მუმკვიდრე დავითისათვის გადაცემის ერთ-ერთი მიზეზი ჩიჩუების „ბუნტი“ იყო[58], ეს აზრი ჩვენ სწორად გვეჩვენება.

ჩიჩუათა სათავადო იშლება XIX ს. 20—30-იან წლებში.

თავი XV

ჩიქვანთა სათავადო

ჩიქვანთა ანუ ჩიქოვანთა სათავადო დაახლოებით იმ დროს უნდა წარმოქმნილიყო, როცა ამ საგვარეულოს ერთი შტო გადადიანდა[1]. ეს კი XVII—XVIII სს. მიჯნაზე მოხდა.

XVII ს. პირველ ნახევარში ჩიქვანები ჯერ კიდევ „მდაბალი“ აზნაურები იყვნენ. ამ საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენლის კაციას მამა მეტად ღარიბი იყო. იგი თაფლით ვაჭრობდა. „სვანეთს ტვირთითა თვისითა ზიდვიდა თაფლსა“ და ამით „გამოიზრდებოდა“[2]. მაგრამ მისი შვილი კაცია „იყო კაცი მხნე და შემძლებელი

ძმები არიან. მათი მამა იყო დეისმა. პეპუ კი გიორგის ძეა (ქუთ. მუზ. საბ. №№ 365, 467, 477, 1706).

57 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ, გვ. 10, 78—79.

58 ი ქ ვ ე, გვ. 10.

1 ჩიქვანთა გვარის შესახებ იოანე ბატონიშვილის „აღწერაში“ ვკითხულობთ: „იყო ოჰან ვინმე სომეხთა თავადი და ამან დაუტევა სომეხთა ჰსჯული და იქმნა მართლმადიდებელი და ამის გამო სომეხთა უწოდეს ჩიქოჰან, ესე იგი წყეული ანუ შეჩვენებული ოჰან და ამის გამო გაუგაერდათ ჩიქოანობა წელს 1335-[ს]. დროსა მეფისას (!) და ესენიცა დაესახლნენ ოდიშსა შ(ინ)ა“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 116v).

„ჩიქ“ უარყოფას ნიშნავს, „ист“-ს ფდრის (იხ. Полный армяно-русский словарь, составленный доктором философии А. Багдешяном, Тифлис, 1911). „ჩიქ-ოჰან“, როგორც აწ განსვენებულმა პროფ. ი. აბულაძემ გაგვიმარტა, სიტყვასიტყვით ნიშნავს არა იოჰანს, არა სომეხს. ხოლო სომხები არა სომეხს ეძახდნენ ამას, ვინც მონოფიზიტი არ იყო. ამგვარად, „ჩიქოჰანის“ „წყეულ ანუ შეჩვენებულად“ გაგება სწორი არ არის. ამ გვარის წარმომაელობის სომხებთან დაკავშირება კი უსაფუძვლოა.

2 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 206; მ ა რ ი ბ რ ო ს ე. საქართველოს ისტორია, ნაწ. II, თარგმანი სიმონ ღოლობერიძისა, გვ. 204—205;

საქმეთა"[3]. ისტორიის სარბიელზე იგი ლევან III დადიანის დროს (1661 — 1680 წწ.) გამოვიდა. მოკლე ხანში ეს გორდელი აზნაური ფრიად „განდიდნა და იქმნა პატივცემულ მეფეთაგან"[4]. მეფემ მას თავისი „ვაზირობა", ლეჩხუმის „თავობა" და საინასარიძო მისცა[5].

კაციამ დადიანის ნდობაც დაიმსახურა და მალე მისი „სახლის უფროსი და ვაზირიც" გახდა[6]. ოდიშის მთავარმა კიდევ მას სალიპარტიანო უბოძა და, ვითარცა ამ კუთხის მფლობელი, ლიპარტიანად აღიარა[7].

> სალიპარტიანო ეწოდებოდა სამეგრელოს სამთავრო სახლის უმცროსი შტოს სამფლობელოს. მდებარეობდა ოდიშის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ტეხურის ორსავე ნაპირას. ვახუშტის ცნობით, „არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო"[8]. ის მოიცავს დაახლოებით ახლანდელ გეგეჭკორის (მარტვილი) რაიონს[9]. შეიძლება ეს კუთხე გარკვეულ პერიოდში ცალკე საერისთავოდ ითვლებოდა და ერისთავად აქ ლიპარტიანთა წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იჯდა. თუგინდ ასეც რომ არ ყოფილიყო, ამ ადგილის სახელიდან მაინც ცხადია, რომ სალიპარტიანო თავდაპირველად ლიპარტიანების სამფლობელო იყო[10].

ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. „შემოკლებით აღწერა...", ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 101v.

3 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 206.

4 ი ქ ვ ე.

აღსანიშნავია, რომ ჩიქვანებს (გიორგის, კიდევ გიორგის, ცოტნეს) ვხედავთ XIII ს. მეორე ნახევარში სვანეთში — სოფ. მაჩხს, ეცერს, ბეჩუს (?) (იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვ. II, გვ. 121, 137, 155). ძაგრამ რაიმე კავშირის დადგენა მათსა და გორდელ ჩიქვანებს შორის არ ხერხდება.

5 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 121; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფილისი, 1922, გვ. 100.

6 ასე იხსენიებს მას ლევან III-ე დადიანი ერთ თავის უთარიღო სიგელში (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 75—76, შდრ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 121).

7 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 75—76; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 121; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, გვ. 100—101.

8 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 167.

9 იხ. ს ე რ გ ი მ ა კ ა ლ ა თ ი ა. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 113, შდრ. მ. კ ო ლ ხ ი დ ე ლ ი. გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, ტფილისი, 1926, გვ. 36 (სქოლიო).

10 სალიპარტიანოსა და ლიპარტიანების შესახებ იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, „იბერია", 1891, № 213, გვ. 3; მ ა რ ი

როდის დაკარგა ამ საგვარეულომ თავისი სამფლობელო და სოციალურად დაქვეითდა, ცნობილი არ არის. საფიქრებელია, ეს მოხდა XIII ს. 20-იანი წლების შემდეგ, ოდიშის გაძლიერებულ ერისთავთ-ერისთავ დადიანთან სამამულო ბრძოლის ვითარებაში. ყოველ შემთხვევაში გვიანდელ ხანში ლიპარტიანებს (იგივე ლიპარტიებს) ოდიშში დაბალ, გლეხთა წოდებაში ვხედავთ, ხოლო სალიპარტიანო დადიანთა სამთავრო სახლის უმცროს შტოს უპირავს, მისი საუფლისწულოა.

დადიანთა ხელში გადასვლის შემდეგაც სალიპარტიანოს თავისი ძველი სახელი შერჩა, რაც ამ კუთხის ოდესღაც ლიპარტიანთა გვარისადმი კუთვნილების უტყუარი მოწმობაა.

გვარსახელი ლიპარტიანი უთუოდ საკუთარი სახელი ლიპარიტიდან არის ნაწარმოები[11]. ვფიქრობთ, ამ სახელს პირველად იმ ლიპარიტ ბაღუაშის წინაპარი ატარებდა, რომელიც ლიხთიმერეთიდან წამოსული IX ს. მეორე ნახევარში კლდეკარში დამკვიდრდა და რომლისაგან შემდეგ მივიღეთ „ლიპარიტეთი"[12]. ე. ი. აღნიშნულ პერიოდზე ადრე ლიპარიტი გარკვეული ფეოდალური სახლის საგვარეულო სახელი იყო. ამ სახელისაგან არის წარმომდგარი მეგრული გვარსახელი ლიპარტია ანუ საისტორიო წყაროების ლიპარტიანი.

ოდიშის სამთავრო სახლის წევრი, რომელიც სალიპარტიანოს ფლობდა, ლიპარტიანად ან „ბატონიშვილ-ლიპარტიანად" იწოდებოდა[13]. იხსენიება, მაგალითად, „დადიანის ძმა ლიპარტიანი", ან „ძე დიდისა ხელმწიფისა... დადიანისა ლიბარტიანი", ან კიდევ „დადიანის სახლისკაცი ლიპარტიანი"[14].

XV ს. ცნობილია შამადაველა ლიპარტიანი[15]; XVII ს. პირველ ნახევარში—გიორგი I ლიპარტიანი, ძმა მანუჩარ დადიანისა და ბი-

---

ბ რ ო ს ე. საქართველოს ისტორია, ნაწ. II, თარგმანი სიმონ ღოღობერიძისა, გვ. 204; თ. ბ ე რ ა ძ ე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, 1964, გვ. 116—130; მ ი ს ი ვ ე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, გვ. 165.

11. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, „იეერია", 1891, № 213, გვ. 3,

12 იხ. შატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 258, 277—278, 305—306; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, გვ. 477; მ ი ს ი ვ ე. თაბალ-თუბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, III, თბილისი, 1959, გვ. 39, შენიშვნა 2; ვ. დ ო ნ დ უ ა. „ლიპარიტეთისა" და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, მ ი ს ი ვ ე წიგნში: საისტორიო ძიებანი, I, თბილისი, 1967, გვ. 101—140.

13 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 172.

14 ქრონიკები, II, გვ. 471; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 218.

15 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, „ეეერია", 1891, № 213, გვ. 3.

ძა ლევან მეორისა[16]; ამ საუკუნის მეორე ნახევარში — ეამეყ გიორგის ძე ლიპარტიანი[17]; ეამეყის გადადიანების შემდეგ (1658 წ.) —მისი ძმა გიორგი II ლიპარტიანი[18]; 1673 წელს — კაცია ლიპარტიანი (ჩიქვანი); ამავე საუკუნის მიწურულსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს — „ლიპარტიანი გიორგი (III) ჩიქოვანი“ კაციას ძე, მამა კაცია პირველის და ბეჟან დადიანებისა[19]; 1714—1728 წლებში — შამანდალე, ძმა ბეჟან დადიანისა[20].

ასეთ და სხვა მსგავს შემთხვევებში ლიპარტიანი ნიშნავს ერთგვარ წოდებულებას, ტიტულს, რომელიც სალიპარტიანო ტერიტორიის ფლობასთანაა დაკავშირებული. ლიპარტიანის წოდებას ატარებს ის, ვისაც სალიპარტიანო უპირავს.

ლიპარტიანის ასეთი გაგების სისწორეს ადასტურებს ცაიშის ეკლესიის ჯვარცმის ხატის ჩასასვენებელის ქვემო აშიის წარწერა: „მოიკვედა და შეიმკო ხატი ესე ბატონობასა მანუჩარისა ძისა... ლევანისა და ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ო ბ ა ს ა (ხაზი ჩვენია. — ო. ხ.) ბატონისა ბიძისა მისისა... გიორგისა“[21].

წოდებულების მნიშვნელობით ხმარობს ლიპარტიანს და ამ წოდებულებას სალიპარტიანო მიწა-წყლის ფლობას უკავშირებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ლევან დადიანმა მისცა სალიპარტიანო“ კაცია ჩიქვანს. „მოკვდა კაცია ჩიქოანი და დაიპყრა ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ო ბ ა (ხაზი ჩვენია — ო. ხ.) ძემან კაციასამან გიორგიმ“. „გაძლიერდა ლიპარტიანი... არღარა ინება ლევან დადიანი, განაძო იგი... დაიპყრა ოდიში ლიპარტიანმან და არა იწოდებოდა დადიანად, არამედ ლიპარტიანადო“[22].

---

16 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 218; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 172; ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 15—19.

17 საქ. სიძველენი, II, გვ. 80; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური. მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 192.

18 Д м. Б а к р а д з е. Археологическое путешествие..., стр. 192—193.

მითითებულ დოკუმენტში მოხსენიებული „ვამეხ“ (იგივე. ვამეყ) „დადიანის ძმა ლიპარტიანი“, ვფიქრობთ, სხვა არ უნდა იყოს თუ არა გიორგი.

ვამეყს რომ ჰყავდა ძმა გიორგი, ეს ჩანს როგორც ლევან II დადიანის კარზე ნამყოფ რუსი ელჩის მღვდელი პავლე ზახარიევის ცნობიდან (იხ. С. А. Белокуров. Материалы для русской истории, М., 1888, стр. 372—373), ისე ცაიშის გელანის ერთი მიპაწკრიდანაც (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 192).

გიორგი II ლიპარტიანი გვხვდება აგრეთვე კათალიკოს დავით ნემსაძის (1673—1696 წწ.) შეწირულების წიგნში (იხ. საქ. სიძვ. I, გვ. 30).

19 დას. საქ. საეკლ. საბ., I გვ. 75—76; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 120—121.

20 ქუთ. მუზ. საბ. № 1151.

21 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 166.

22 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 206, 209, 215.

ყოველივე ზემოაღნიშნული ეკვს არ იწვევს იმაში, რომ ლიპარტიანი გარკვეულ პერიოდში (XV ს-დან XVIII ს. შუა წლებამდე) ოდიშის სამთავროში იყო წოდებულება და არა თავადური გვარის სახელი[23].

ლიპარტიანის წოდებულებით უკანასკნელად გვხვდება გიორგი IV ჩიქვან-დადიანი 1732 — 1752 — 1754 წლებში[24]. ამის შემდეგ სამთავრო სახლის წარმომადგენლები ლიპარტიანად აღარ იწოდებიან.

1799 წ. მიწურულს, თუ მომდევნო წლის დასაწყისს, გრიგოლ დადიანმა სალიპარტიანო ერთ ხანს თავის ძმას მანუჩარს მისცა[25]. მაგრამ იგი „დადიანის ძედ" იწოდებოდა და არა ლიპარტიანად[26].

XIX ს. დამდეგიდან სალიპარტიანო მთავრის სახასო მამული ჩანს და სამოურავოდ აქვთ თავად დგებუაძეებს: ჯერ — ჯოლორიას და შემდეგ — მის ძმას ავთანდილს[27]. ამასთანაა დაკავშირებული ამ წოდებულების გაქრობაც.

კაცია ჩიქვანის ასე დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ კონფლიქტმა, რომელიც იმერეთის მეფესა და დადიანს შორის იყო ლეჩხუმის პროვინციის გამო. ეს კონფლიქტი ძველ დროს დაიწყო და საუკუნეებით გრძელდებოდა. ლეჩხუმი თავისი სტრატეგიული და სამეურნეო მნიშვნელობით ადრიდანვე იპყრობდა ოდიშის მთავრის ყურადღებას. ლევან II დადიანის ხანის (1611—1657 წწ.) დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ, ლეჩხუმი ამ დროს მის ხელშია საგულისხმებელი. მაგრამ ლევანის სიკვდილის შემდეგ (1657), როცა იმერთა მეფემ სამაგიერო მიუზღო დადიანს: დალაშქრა ოდიში, „დაიპყრა უნაგირას აქეთი აღმოსავლეთის კერძი"[28], მაშინ მან უთუოდ ლეჩხუმიც დაიბრუნა.

იმერთა მეფესა და ოდიშის მთავარს შორის ლეჩხუმის გამო ბრძოლა მეტისმეტად გამწვავდა ჩიქვანთა გადადიანების შემდეგ.

---

23 ლიპარტიანების შესახებ იხ. და შდრ. ს. ყაყაბაძე. წინასწარი ცნობები დას. საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიკული მასალის შესახებ, საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 110—111; მ ა ს ი ვ ე. საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, გვ. 120.

24 ქუთ. მუზ. საბ. №№ 854, 864.

25 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 190.

26 ქუთ. მუზ. საბ. № 257.

27 გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, ა. ჯგეფი, საბ. № 546.

28 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 201.

ოდიშის ახალი სამთავრო სახლი ამ კუთხეს თავისად თვლიდა. ამის საფუძველს იგი იმ ფაქტში ხედავდა, რომ XVII ს. მიწურულსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ლეჩხუმი მის წინაპრებს (კაცია, გიორგი, იესე, ბეჟანი) ეჭირათ[29].

1728—1757 წწ. კიდევ ეს კუთხე ბეჟანის მემკვიდრეს ოტია დადიანს ჰქონდა. მეფე ალექსანდრე V „სთხოვდა“ მას ლეჩხუმსა, მაგრამ ოტიამ „არა ინება მოცემად“[30].

კაცია II-ის დადიანობაშიც (1757—1788 წწ.) ეს კუთხე, როგორც ჩანს, ოდიშის სამთავროში შედიოდა. ყოველ შემთხვევაში, 1772 წელს, გიულდენშტედტის იმერეთში ყოფნის დროს და ადრეც, ლეჩხუმი დადიანს ეკუთვნოდა[31]. კაციას მომდევნო მთავარი გრიგოლიც ლეჩხუმზე იმერთა მეფის უფლებას არ ცნობდა. მეფეს კი დადიანის მიერ მიტაცებული ეს პროვინცია თავის „სამკვიდრო ქვეყნად“ მიაჩნდა[32] და მის დაბრუნებას დაჟინებით ცდილობდა. ამ მხრივ სოლომონ II-ემ გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. 1802 წელს მეფემ მთელი ლეჩხუმი აიღო მისი ჭყვიშით, დეხვირითა და სხვა ციხე-სიმაგრეებით[33]. მაგრამ 1804 წ. ისევ გრიგოლ დადიანმა „დაიპყრა... სრულიად ლეჩხუმი, გარდა ჭყვიშისა“[34] (ჭყვიში დადიანმა იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დაიბრუნა)[35]. სოლომონ II-ეს ლეჩხუმისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია თავისი მეფობის მთელ მანძილზე[36].

ლეჩხუმის დაუფლებაში ლევან III დადიანისათვის კაცია ჩიქვანს შეეძლო დიდი სამსახური გაეწია. ამიტომ დაიახლოვა დადიანმა „შემძლებელი საქმეთა“ კაცია, „რამეთუ ამისგან დაიპყრას ლეჩ-

---

29 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 206, 212, 215, 217, 221, 224; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 121.

30 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 233; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 176.

31 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 309.

32 საქ. სახ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 63—64; ქუთ. მუზ. საბ. № 926; Акты, II, стр. 341.

33 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 193; შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში, ხელნაწ. ინსტ., მოამბე, IV, 1962, გვ. 249.

34 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 193. იხ. აგრეთვე მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბილისი, 1957, გვ. 155—156.

35 მ. დუმბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 179.

36 იხ. საქ. სახ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 42, 55—56, 63—64; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 189—193; იხ. აგრეთვე, მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო..., გვ. 169—171; აბელ კიკვიძე. საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბილისი, 1954, გვ. 52.

ხუმიცა"[37]. იმერთა მეფისაგანაც კაცია იმიტომ იყო „პატივცემულ", რომ ეს კუთხე დადიანისაგან დაეცვა. მაგრამ გორდელ აზნაურს საკუთარი ინტერესები ჰქონდა. მას არ აკმაყოფილებდა მოპოვებული წარმატება. ის უფრო შორს უმიზნებდა: ანადგურებდა თავის მეტოქე ოდიშის ძველ წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებს, თვით დადიანთა სახლის წევრებსაც და თავის მემკვიდრეებს დადიანობისაკენ გზას უკაფავდა[38]. აქეთკენ მოუწოდებდა მას მისი ძმა მღვდელმთავარი გაბრიელი, რომელიც კაციაზე ადრე დაწინაურდა. გაბრიელს ჯერ კიდევ ალექსანდრე III-ის დროს ჰქონდა ცაგერელ ეპისკოპოსის ხარისხი. ამ ხარისხით აწერს იგი ხელს ამ მეფის 1651 წ. ცნობილ ფიცის წიგნს[39]. შემდეგ მან ჭყონდიდელ-ბედიელობაც მიიღო[40]. „იქმნა მისანდო ლევან დადიანისა ყოველსა

---

37 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 206.

38 ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 206—207; მისივე. აღწერა..., გვ. 26; იოანე ბატონიშვილი. შემოკლებით აღწერა..., ხელნაწ, ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 101.

39 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იეველევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193—195.

40 1666 წლით დათარიღებულ ერთ ვერცხლის ფეშხუმის წარწერაში გაბრიელ ჩიქვანი ჭყონდიდელ-ცაგერელად იხსენიება (ქუთ. მუზ. ძეგლი № 3777). ხოლო 1675—1680 წწ. ახლო ხნის შეწირულების წიგნში იგი თავის თავს ბედიელადაც ასახელებს (დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 78).

მეფე გიორგის (VI-ის?) ერთ უთარიღო ფიცის წიგნში გვხვდება „ჭყონდიდელ-ცაგარელი-გენათელი გაბრიელ" (სცია, ფ. 229(4), დავთარი 24, საბ. № 154). თუ ეს ზემოხსენებული გაბრიელ ჩიქვანი არის, მაშინ მას, ჭყონდიდელ-ცაგერელ-ბედიელობასთან ერთად, გენათლობაც ჰქონია.

ჭყონდიდელად გაბრიელი 1666 წელზე ადრეც იჯდა. 1661 წ., როცა იგი ტყვედ ჩაუვარდა ეახტანგ ქართლის მეფეს, გაბრიელი უკვე ჭყონდიდელი იყო (ვახუშტი. „საქართველოს ისტორია", გვ. 203). ერთ ხანს იგი პატიჟრად ჰყავდა მეფეს შულავერში. მაგრამ 1666 წლისათვის, თუ უფრო ადრე, იგი „გამოეპარა" მას და ოდიშში მოსულმა თავისი ძველი მდგომარეობა აღადგინა (იხ. იქვე, გვ. 203, 206).

1704 წელს გაბრიელი ცოცხალი არ უნდა იყოს. აღნიშნულ წელს მისმა ძმისწულმა გიორგი ჩიქვან-ლიპარტიანმა ჭყონდიდელ-ცაგერელად თავისი შვილი გაბრიელი (II) დასვა (იქვე, გვ. 221). ეს სამწყსოები ჰქონდა გაბრიელს სანამ მას და მის ძმას ბეჟან დადიანს შორის „აშლა და ერთმანეთის მოცილება" მოხდებოდა (დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 113). 1714 წ. ამ ნიადაგზე ბეჟანმა გადააყენა ჭყონდიდელობიდან თავისი ძმა გაბრიელი და ჭყონდიდის ეპისკოპოსობა ეედემონ ღოღობერიძეს მისცა (იქვე. იხ. აგრეთვე, გვ. 214. აღსანიშნავია, რომ ამ ეედემონის სახელს თ. ჟორდანია „გედეონად" კითხულობს. შდრ. მითითებულ გვერდებს „ქრონიკები", III, გვ. 70). უნდა ვიფიქროთ, ჭყონდიდლო-

შინა“ და თავის ძმის კაციას წინსვლასაც დიდად შეუწყო ხელი[41]

კაცია ჩიქვანი 1681—1682 წწ. მიჯნაზე გარდაიცვალა[42]. მას სამი ვაჟი დარჩა: გიორგი, იოსები (იგივე იესე) და ოტია[43]. კაციას გარდაცვალების შემდეგ „ლიპარტიანობა“ მისმა ძმამ გიორგიმ „დაიპყრა“. ვითარცა სალიპარტიანოს მფლობელი, იგი ლიპარტიანად იწოდებოდა[44].

გიორგი თავისი მამის მიერ დაწყებული საქმის ენერგიული

ბასთან ერთად, ან მასზე უფრო ადრე, დაჰკარგა გაბრიელმა ცაგარელ ეპისკოპოსის კათედრაც.

ვახუშტი ბატონიშვილი გაბრიელ ჭყონდიდელის გადაყენების ამბავს 1721—1722 წლებში მომხდარ ფაქტებთან მოგვითხრობს (იხ. მისი „საქართველოს ისტორია“, გვ. 230). მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი ცდება.

არ ვიცით, აქვს თუ არა რამე საერთო ამ გაბრიელ ჭყონდიდელთან მამუკა ბატონიშვილის 1738 წლის „გადაწყვეტილების წიგნში“ „საპატიო“ მოწმეთა შორის დასახელებულ ჭყონდიდელ გაბრიელს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 6117).

41 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 206, 208.

42 იხ. ი ქ ვ ე. გვ. 208—209. კაციას, როგორც ექვთ. თაყაიშვილი შენიშნავს, „სამი ცოლი ჰყავდა. ერთის სახელი იყო თამარ, რომელიც ნაყურალეშის ეკლესიის წარწერაშია მოხსენიებული როგორც ქალი ქართლის ერისთავთ-ერისთავისა. ეს მანდილოსანი კაცია ჩიქოვანთან ერთად დახატულია ნაყურალეშის ეკლესიის კედელზე. იქვეა დახატული ცალკე ჩარკვიანის ქალი ხვარამზე, რომელიც უნდა იყოს მეორე ცოლი კაცია ჩიქოვანისა, დედა გიორგი ლიპარტიანისა. ცნობილია, რომ გიორგი ლიპარტიანი მეორე ცოლიდან იყო. მესამე ცოლის სახელი არ ვიცით; შეიძლება ეს იყოს რაჭის ერისთავის შოშიტა II-ის ქალი“ (იხ. მისი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 122, შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 209). ამ შენიშვნას, სამწუხაროდ, ჩვენ ახალს ვერაფერს დაეუმატებთ. ოღონდ, როგორც ექვთ. თაყაიშვილი მის ზემოდასახელებულ ნაშრომის სხვა ადგილას აღნიშნავს, წალენჯიხის ეკლესიის ვერცხლის თეფშის წარწერის მიხედვით, საფიქრებელია, კაციას ცოლად ჰყავდა აგრეთვე ლორთქიფანიძის ასული ხვარამზე (იხ. გვ. 235. იხ. აგრეთვე ზემოთ, ლორთქიფანიძეთა სათავადო, სქოლიო 52).

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. 30-იან წლებშიც გვხვდება ერთი კაცია ჩიქვანი, რომელიც ქეშიკთუხუცესის „ქელს“ ფლობს. იგი მოწმედაა დასახელებული იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის 1736 წ. წყალობის წიგნში (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 61). თუმცა საბუთიდან გარკვევით არ ჩანს, მაგრამ ის მეფის ქეშიკთუხუცესი უნდა იყოს და არა დადიანისა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამის მეტად ჩიქვანთა სახლის წარმომადგენელი ქეშიკთუხუცესად არ იხსენიება.

43 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 121; ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 209, 221.

44 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 209.

გამგრძელებელი იყო. XVII ს. მიწურულსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ოდიშში იგი პირველობდა[45].

გიორგის შვიდი ვაჟი ჰყავდა[46]. მათგან უხუცესი კაცია 1704 წელს მან დადიანად დასვა: „აკურთხეს დადიანად და დაულოცეს რჯმალი“[47]. კაციას გარდაცვალების შემდეგ (1710 წ.) ოდიშის ფაქტიური მმართველი მისი მამა გიორგი ლიპარტიანი იყო. მაგრამ 1714 წელს მისმა მეორე ვაჟმა, ბეჟანმა, მამა ციხეში გამოკეტა, საიდანაც ის ცოცხალი არ გამოსულა, „მოსრნა მისი მომხრეები“ და თვითონ დადიანად დაჯდა[48]. გადადიჯნებული ჩიქვანების წინანდელი გვარსახელი (ჩიქვანი) მალე დავიწყებას მიეცა და ამ ახალ სამთავრო სახლსაც დადიანობა გაუგვარდა.

გიორგის დანარჩენი მემკვიდრეები და ძმები (იესე, ოტია) ჩიქვანებად დარჩნენ და უკვე გათავადებულებმა შეჰქმნეს თავიანთი სათავადო.

ჩიქვანების სათავადო წარმოიქმნა ძველი სალიპარტიანოს ერთ ნაწილზე. მასში შედიოდა შემდეგი სოფლები:

1. კვაუთი, 2. ლესაჯე, 3. თარგამული (ნაწილობრივ), 4. ჯოლევი (ნაწილობრივ), 5. ნამკოლუ (ნაწილობრივ), 6. ლეძაძამე (ნაწილობრივ)[49].

---

45 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 209—227.

46 ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 217—218, 227. გიორგი ლიპარტიანის თანამეცხედრეთა ვინაობის შესახებ იხ. ზემოთ, მიქელაძეთა სათავადო, სქოლიო 39.

47 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 190. იხ. სქოლიოც. ეს კაცია არის კაციას I.

48 ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია“, გვ. 217, 221—227.

ვახუშტი გიორგი ლიპარტიანის დაპატიმრებისა და ბეჟანის გადადიჯნების თარიღად 1715 წელს დებს (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 226—227. იხ. აგრეთვე ვახუშტის ქრონიკონები, გვ. 253, 1715 წ. ქვეშ), მაგრამ ეს თარიღი სწორი არ არის. ერთი შეწირულების წიგნიდან ჩანს, რომ 1714 წ. ბეჟანი დადიანად იჯდა (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 113). ამავე წელს გარდაიცვალა გიორგი ლიპარტიანი (იხ. ქრონიკები, III, გვ. 20).

49 ვლადიმერ (ბარდღა) გრიგოლის ძე ჩიქვანის (როსტომ მდივანბეგის შთამომავალი, სოფ. ლეძაძამეს მცხოვრები, 72 წ.) და ბატა ოტიას ძე ანჯაფარიძის (იმავე სოფლის მცხოვრები, 74 წ.) ცნობები. ჩავიწერეთ სოფ. კვაუთში (გეგეჭკორის რაიონი) 1959 წ. სექტემბერს.

ვლადიმერ (ბარდღა) ჩიქვანის ცნობით, თარგამეულისა და ჯოლევის ნაწილი თავად ფაღავებს ეკუთვნოდათ. ფაღავებისა იყო, კერძოდ თარგამეულის ციხე და მისი მიდამოები (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 30), ნამკოლუს ნაწილი, ხსენებული პირისვე ცნობით, დგებუაძეებს ეპირათ, ლეძაძამეს ნაწილი— დადიანებს.

ჩიქვანები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე თამაკონს, ნოქალაქევსა და ლეჩხუმში[50].

ჩიქვანების სათავადოს აღმოსავლეთით სოფ. აბედათი საზღვრავდა, დასავლეთით — თავად აფაქიძეთა საგვარეულო სოფ. ფოცხო, სამხრეთით — სალხინო და ჩრდილოეთით — ბეთლემი.

ჩიქვანების რეზიდენცია სოფელ კვაუთში იყო. აქ იყო მათი სასახლე და კარის ეკლესია. ციხესიმაგრე კი ლეძაძამეში ჰქონდათ[51].

ჩიქვანების საგვარეულო სასაფლაო იყო მარტვილში, მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით თლილი ქვისაგან გაკეთებულ პატარა სამსართულიან ეკლესიაში, რომელსაც „ასახელებენ ჩიქოვანების ეკლესიად"[52]. ეს „დასახელება" რომ სწორია, ამას მოწმობს ამ ეკლესიის კარის ჩარჩოების წარწერა[53].

ჩიქვანების ყმათა საერთო რაოდენობა ჩვენთვის ცნობილ წყაროებში ნაჩვენები არ არის. ჩანს მხოლოდ, რომ მათი ყმა გლეხები იყვნენ: აფშილავები, ძაძამიები, გოგიები, არზიანები, დამენიები, კიკალეიშვილები, ნანეიშვილები, ჩიხლაძეები, ხეცურიანები, პაჭკორიები, ჩიქობავები, ფარცვანიები, გელენიძეები, ქუთათელაძეები, ჯანაშიები, ფაცაციები და სხვ.

ჩიქვანების აზნაურები იყვნენ: გაბუჩიები და საჯაიები[54].

ჰქონდა თუ არა ჩიქოვანთა საყმოს საგადასახადო შეუვალობა,

---

50 შ. ჩ ხ ე ტ ი ა. გლეხთა აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. I, 1937, გვ. 83, 115; ვლადიმერ (ბარდღა) ჩიქვანისა და ბატა ანჯაფარიძის ცნობები.

51 სოფ. ლეძაძამეს ცენტრიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით მაღალ გორაკზე, ფოცხო-ლეძაძამის საზღვართან, იმ ადგილას, სადაც ადგილობრივ მოსახლეობა დღეს „ნოჯიხენს" ეძახის.

52 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 43.

53 ამ წარწერაში ვკითხულობთ: „...თქვენისა ფარეისამან სახლთუხუცესმან ჩიქოვანმა გიორგიმ საცხოვრებელად შრჩობლთა შინა ცხოერებათა თვით და მეუღლისა ჩემისა... (იხ. ი ქ ვ ე. ეხ. აგრეთვე გ. ე ლ ი ა ვ ა. მარტვილი, თბილისი, 1959, გვ. 9, სურათი 4).

54 ქუთ. მუზ. საბ. №№ 750, 903, 1085, 1124, 1249, 1490; ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბ. № 2970/86; შ. ჩ ხ ე ტ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 83, 115; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, გვ. 185—186, № 19; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 45; ვლადიმერ (ბარდღა) ჩიქვანის ცნობა.

ხსენებული პირისვე ცნობით, საჯაიათა ნაწილი სადადიანო აზნაური: იყო.

ამის შესახებ პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩიქვანების ყმები სამთავრო გამოსაღებისაგან თავისუფალი იყვნენ. გვიანდელი ცნობით, სამეგრელოს სამთავროში საურს და საუდიეროს „რამდენიმე" მებატონე არ იხდიდა[55]. ამ მებატონეებში, სხვა ძლიერ თავადებთან ერთად, უთუოდ ჩიქვანებიც იგულისხმებიან.

ჩიქვანების სათავადოს ცენტრი კვაუთი, გადმოცემის მიხედვით, ტყვეთა ტაცება-სყიდვის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. იქ გამვლელი არა ერთი მგზავრი დატყვევებულა. ამიტომ კვაუთში გავლა წყევლად იქცა ხალხში. ძველად, როცა უნდოდათ ვინმე დაეწყევლათ, იტყოდნენ: „კვაუთში გაგეგლოსო" („კვაუთიშა მიკოირთმუდას")[56].

ტყვეთა მსყიდველ-მტაცებლები აქ თავადი ჩიქვანები და მათი აზნაურები იყვნენ.

ტყვეთა სყიდვა-ტაცებას გარდა, ჩიქვანები თავიანთ საყმოში ცნობილი იყვნენ სხვა უსამართლობითაც: გაყიდული და თავდახსნილი ყმის მეორეჯერ გაყიდვით, მიმძლავრება-შევიწროებით[57].

ჩიქვანები თავიანთ სამფლობელოს მოხელეთა საშუალებით მართავდნენ. მოგვიანო ხანის ცნობით, ჩიქვანის კარზე ვხედავთ სახლთუხუცესს („გამგებელი სახლისა"), მოურავს, ხელოსნებს და ქეშიკებს[58].

ჩიქვანების სათავადოს უფროსობა თავდაპირველად იესე ჩიქვანს (კაციას შვილი, ძმა გიორგი ლიპარტიანისა) უნდა ჰქონოდა[59], ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ—მის მემკვიდრეს გიორგის[60].

---

55 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი. რაფ. ე რ ი ს თ ა ვ ი და მ უ რ ი ე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები), ტფილისი, 1927, გვ. 90.

56 გადმოცემა ჩავიწერეთ სოფ. კვაუთში 1959 წ. სექტემბერს. მთქმელი სოფ. ლეძაძამეს მცხოვრები 55 წლის სერაპიონ ნიკოლოზის ძე ქადარია.

57 ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბ. № 2970/86.

58 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 173.

59 იესეს პირველად ვხედავთ 1703—1707 წლებს შუა (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს ისტორია", გვ. 220, 221, შდრ. ქრონიკები, III, გვ. 20).

60 გიორგი რომ იესეს შვილი იყო, ეს ჩანს 1777 წ. ერთ თავდებობის წიგნიდან (დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 45). ამ საბუთში დასახელებული იესე, ვფიქრობთ, კაციას შვილი იესეა: ყოველ შემთხვევაში სხვა იესე ჩიქვანი ამ პერიოდში წყაროებში ცნობილი არ არის.

კვაუთელი ჩიქვანების სხვადასხვა შტოთა წარმომადგენელნი შემდეგ მკვიდრდებიან ზუმს, მედანს, ნაგურუს და ტყაიას[61]. კერძოდ, ზუმს ჩიქვანები ადრიდანვე ეწყობიან. გრიგოლ დადიანის დროს (1788—1804 წწ.) აქ ვხედავთ მანუჩარ ჩიქვანს მისი სამი ვაჟით: ბერუკა, ქაიხოსრო და ოტიათი[62]. მათ აქ ჰყავდათ თავიანთი ყმა გლეხები: მაჯაგალაიები, ბერაძეები, ლემონჯავები, ყოხაძეები, ბაძაღუები. ჰოლო მათი აზნაურები იყვნენ აქ კიკალეიშვილები[63].

ოდიშის სამთავრო კარზე ჩიქვანების დაწინაურება იწყება გვიან, კაცია II-ის დადიანობაში (1758—1788 წწ.). აღნიშნულ ხანს ამ საგვარეულოს წარმომადგენლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა გიორგი ჩიქვანია.

ჩიქვანებმა თავიდანვე ამოიღეს ნიშანში ოდიშში დიდი გავლენითა და ხელისუფლებით აღჭურვილი ჩიჩუები. მთავრის წინაშე ერთგულებით თუ სხვა ხერხით, გიორგი ჩიქვანმა მიაღწია იმას, რომ ჩიჩუათა გვარს ჩამოართვეს სახლთუხუცესობა და მას გადასცეს. 1777 წ. ეს სახელო უკვე მას უჭირავს[64]. სათავადო სახლსაც უთუოდ ის მეთაურობს.

ლეჩხუმელ ჩიქვანებს ჰქონდათ ორბელისა და ჭყვიშის ციხეთა

როდის გარდაიცვალა ეესე, არ ვიცით. 1777 წელს, როცა მითითებული საბუთი იწერება, ის ცოცხალი არ უნდა იყოს.

61 ტყაიას ახლა ჩხორიას ეძახიან, ზუგდიდის რაიონშია.

62 ქუთ. მუზ. საბ. № 777.

63 ი ქ ვ ე, გვანჯი ალექსის ძე ჩიქვანის (ქალაქ ზუგდიდის მცხოვრები, 81 წლის, ან განსვენებული) ცნობა. ჩავიწერეთ სოფ. სარაქონში 1959 წლის სექტემბერს, შდრ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 13863.

გვანჯი ჩიქვანისვე ცნობით, მისი პაპა ლევანი იყო ქაიხოსროს შვილი. უკანასკნელი თავის საუმოში ლევან V დადიანის თვითნებობას (ეოუოია ლემონჯავას რძლის მიმართ „პირველი ღამის უფლების“ გამოყენების ცდას) წინააღუდგა და ამ ნიადაგზე მთავარსა და ქაიხოსრო ჩიქვანს შორის თურმე დიდი მტრობა ჩამოვარდა.

64 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 177.

ეს გიორგი უნდა იყოს 1758 წ. ერთ წყალობის წიგნში და 1759 წ. „გუჯარში“ დასახელებული გიორგი ჩიქვანი, მაგრამ ამ დროს მას სახლთუხუცესობა ჯერ კიდევ არ აქვს (ქუთ. მუზ. საბ. № 1057; ქრონიკები, III, გვ. 263).

XVIII ს. 20—30-იანი წლებიდან ჩიქვანთა საგვარეულოში ერთბაშად რამდენიმე გიორგი ჩანს:

1727 წელს—„პატრონი“ გიორგი, ფაღავას ქალის როდამის მეუღლე (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, განყ. პირველი, გვ. 30—31);

1736—1737 წწ. — გიორგი კაციის ძმა (დოკუმენტები..., I, გვ. 468, საბ. № 664);

მოურავობა[65]. ორბელის მოურავებიდან ცნობილია ბააკა ჩიქვანი, რომელიც იყო „ლეჩხუმსა შინა შემძლე კაცი“[66].

კარგ განწყობილებას ინარჩუნებენ ჩიქვანები კაციას მემკვიდრეგრიგოლთანაც. გადმოცემის მიხედვით, გრიგოლის დროს სახლთუხუცეს გიორგი ჩიქვანსავე ჰქონდა თურმე ოდიშის სარდალ-მოურავის სახელოც[67].

1789 წელს მართლაც სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი მხარში ედგა დავით არჩილის ძის გამეფებისათვის მებრძოლ გრიგოლ დადიანს და მის „ქვეითს“ ჯარს სარდლობდა. მთავრის ერთგულებასთან ერთად, ამ დროს მან მამაცობაც „წარმოაჩინა“[68].

სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი და მისი მემკვიდრეები (დავით, მიქელ, ოტია) დიდად ერთგულობდნენ გრიგოლ დადიანს იმ ბრძოლაშიც, რომელიც მას თავის მეტოქე ძმებთან ჰქონდა[69].

1742—1750 წწ. ახლო ხანს — ბოქაული გიორგი, გიორგი ტატუაშვილი, გიორგი ყამირის შვილი (დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 163);

1766 წ. — ჭყვიშის მოურავი გიორგი (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა.., I, გვ. 112, საბ. № 122) და კიდევ სხვები (იხ. ქვემოთ).

65 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 191; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 112.

66 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 190—191.

ბააკა ჩიქვანი ერთ ხანს გრიგოლ დადიანის მეტოქე ძმის, მანუჩარს და მის შემწე სოლომონ II-ეს მიემხრო (იხ. იქვე, გვ. 191), მაგრამ მალე იგი ისევ გრიგოლის მხარეზე გადავიდა. ამ მთავრის 1802 წ. სიგელში ბააკა უკვე მის დარბაზის ერში იხსენიება (ქუთ. მუზ. საბ. № 480).

ბააკასა და მისი შთამომავლობის ადგილსამყოფი იყო სოფ. საირმე (ლეჩხუმში) (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 2000).

ბააკას შვილი აბის სვიმონ ჩიქვანი, რომელიც გეხვდება 1827 წლის ერთ ნასყიდობის წიგნში (იხ. იქვე).

რაც შეეხება ჭყვიშს, აქ 1766 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოურავად გიორგი ჩიქვანი იჯდა. მაგრამ შემდეგ ამ ციხის მოურავობა თავადმა გელოვანებმა მიიღეს. 1802 წელს, როცა სოლომონ II-ემ ლეჩხუმი (ჭყვიშის, დეხეთრისა და სხვა ციხეებითურთ) აიღო, აქ სარდალ-მოურავად ბერი გელოვანი დასვა (ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 191). დადიანის მონათესავე ჩიქვანებს მეფე, როგორც ჩანს, არ ენდო. ჭყვიშის ციხის მოურავიც იგივე ბერი იყო. გელოვანთა საგვარეულოს ჰქონდა ამ ციხის მოურავობა სოლომონ II-ის მეფობის მთელ პერიოდში (იხ. П. Гнилосаров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, Кавказский Календарь, 1859, стр. 432).

67 ოთხა მეუნარგია. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 169 (სქოლიო).

68 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 185.

69 იქვე. გვ. 192—194.

როცა გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა და მისი მემკვიდრის, ლევანის მცირეწლოვანების გამო ოდიშის სამთავროში დროებითი საბჭო შეიქმნა, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი იყო დროებითი საბჭოს წევრი[70] და მთავრის მემკვიდრის ინტერესებს მტკიცედ იცავდა[71].

ჩიქვანთა საგვარეულოს დიდი გავლენის მიუხედავად, „ქრთამით" თუ სხვა გზით, ჩიჩუებმა მაინც შეძლეს წართმეული სახელოს დაბრუნება. ეს მოხდა სახლთუხუცეს გიორგი ჩიქვანის გარდაცვალების შემდეგ, რაც 1810 წ. პირველ ნახევრის მიწურულს ან მეორე ნახევარშია საგულისხმებელი. აღნიშნული წლის 23 მაისს ის ჯერ კიდევ ცოცხალია და სახლთუხუცესობაც აქვს[72]. ხოლო ამავე წლის პირველი ნახევრის დასასრულს თუ მეორე ნახევარში ეს თანამდებობა უკვე გიორგი ხახუს ძე ჩიჩუას უჭირავს[73]. ამიერიდან 1838 წლამდე ეს სახელო ჩიჩუათა საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენლებს ეკავათ[74].

დავით, მიქელ და ოტიას გარდა, სახლთუხუცეს გიორგი ჩიქვანს კიდევ სამი ვაჟი ჰყავდა: როსტომი, ბერი და ვახტანგი (ქუთ. მუზ. საბ. № 1490; გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საბ. № 91, ი ჯგუფი).

ამ გიორგის მეორე ცოლი იყო ხახუ ჩიჩუას ქვრივი, კაცია II დადიანის დისწული, აფხაზთა მთავრის ასული ასტანდარ (იონა მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 169).

70 დროებითი საბჭო ოთხი წევრისაგან შედგებოდა. სახლთუხუცეს გიორგი ჩიქვანს გარდა, მასში შედიოდნენ: „დიდი" ნიკო დადიანი, ბესარიონ ჭყონდიდელი (განსვენებული მთავრის მთავრის ძმა) და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ბერი ელოვანი. Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. IV, СПб., 1887, стр. 408; ნიკოლოზ დადიანი. დასტურ-ლამა, ტფილისი, 1897, გვ. 3 (იონა მეუნარგიას წინასიტყვაობა).

71 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 193—194.

72 ქუთ. მუზ. საბ. № 1085.

სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანის გარდაცვალების თარიღად იონა მეუნარგია 1804 წ. დებს (იხ. მისი, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 169), რაც უდავოდ, მცდარია. ეს თარიღი ეწინააღმდეგება თვით იონა მეუნარგიას მიერ ამავე პირის შესახებ მოცემულ სხვა ქრონოლოგიურ ცნობას. ერთ ადგილას, მაგალითად, როცა იგი გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ-დროინდელ ამბებს ეხება, ამბობს: სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი „1805 წელს" დაინიშნა „სამეგრელოს სამთავროს საქმეთა უმაღლესი გამგეობის წევრადო" (იხ. და შდრ. ზემომითითებულ გვერდებს ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, შედგენილი სოლომონ ცაიშვილის მიერ, მისივე წინასიტყვითა და შენიშვნებით, თბილისი, 1957, გვ. 92).

73 ქუთ. მუზ. საბ. № 425.

74 იხ. ზემოთ, ჩიჩუათა სათავადო.

სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანის თანამედროვე იყო მისი სახლიკაცი გიორგი, რომელსაც 1810 წელს ოდიშის დედოფალმა ნინომ თავისი ერთგულებისათვის ყმები უბოძა. დედოფლის ამ წყალობის წიგნში მოწმედ იხსენიება სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანიც[75].

1818 წელს გვხვდება კიდევ ერთი გიორგი ჩიქვანი, რომელიც „ტიტულიარნი სოვეტნიკი" და „ისპოლნიტელნის ექსპედიციის მთარგმნელი" ყოფილა[76].

ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ბესარიონ დადიანის ძის 1823 წ. სიგელში ეხედავთ კიდევ ერთ გიორგი ჩიქვანს, რომელიც ჭყონდიდელის ზეინდართუხუცესია[77].

სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანის თანამედროვენი იყვნენ აგრეთვე: ტატუ[78], გრიგოლ[79], ბააკა[80], სვიმონ[81], ბუკუ[82], მანუჩარ[83], ვახტანგ[84], ბერი, ხოსია, სეხნია, გოგია, სოლომონ, ტო-

---

75 ქუთ. მუზ. საბ. № 1085.

76 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, გვ. 218—219.

77 ქუთ. მუზ. საბ. № 1214.

78 ვხედავთ 1771 წ. საბუთში (დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 45).

79 ცაიშელ მიტროპოლიტად იჯდა 1777—1823 წლებში. გარდაიცვალა უკანასკნელი წლის 15 ნოემბერს. ცაიშელ გრიგოლის მამას კაკაჩი ერქვა. (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 172, 181; ქრონიკები, III, გვ. 519).

გრიგოლ ჩიქვანის ცაიშელად კურთხევის თარიღად ე. თაყაიშვილი 1776 წელს დებს. მკელევარი გამოდის იმ ანგარიშიდან, რომ გრიგოლი, როგორც მისი საფლავის ქვის წარწერა გვაუწყებს, ცაიშლად ყოფილა 47 წლის განმავლობაში და მომკვდარა 1823 წელს (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 181). მაგრამ ცაიშის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში თვით გრიგოლი ცაიშლად თავის დადგინებას 1777 წლის ქვეშ უჩვენებს (ი ქ ვ ე, გვ. 172). ეფიქრობთ, ეს თარიღი უფრო სწორია.

80 ჩანს 1785, 1802, 1804 წლებში (ქუთ. მუზ. საბ. №№ 480, 756—2, 1079). ბააკას შესახებ იხ. ზემოთ.

81 გვხვდება 1788 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 750).

82 ვხედავთ 1789 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 1143).

83 ვხვდებით 1792 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 759).

84 მოწმეთაა დასახელებული გრიგოლ დადიანის 1795 წლის წყალობის წიგნში (საქ. სახ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქიეები, II, გვ. 24).

ტიკი[85], ბექან, დავით[86], ოტია[87], კაციას[88] და ნიკოლოზ[89] ჩიქვანები.

სახლთუხუცეს გიორგი ჩიქვანის თანამედროვეთა რიგებს უნდა მივათვალოთ აგრეთვე თავადის პეტრე ჩიქვანის ასული მარიამი, რომელიც სანკტ-პეტერბურგს იყო დამკვიდრებული და რომელსაც 1817 წელს აქ „გარდაუნუსხავს", დავით ბატონიშვილის მიერ რუსულიდან ქართულად თარგმნილი, „ესტეტიკებრნი განსჯანი"[90].

დიდ წარმატებას აღწევენ ჩიქვანები ოდიშის სამთავრო კარზე ლევან V-ის და უფრო კი მისი მემკვიდრის დავითის დადიანობაში. ამდროინდელი ჩიქვანებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო სახლთუხუცეს გიორგის ძე როსტომი[91].

როსტომი დაწინაურებული ჩანს ჯერ კიდევ ლევან V-ის დროს. 1819 წელს იგი იხსენიება მდივანბეგად „სრულიად სამენგრელოჲ-სა"[92]. უფრო გვიან, 1838 წელს როსტომმა წაართვა ჩიჩუათა საგ-

---

85 იხსენიებიან 1798 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 1463).

ბერი ჩიქვანი გრიგოლ დადიანის „ერთგულად ნამსახური" ყოფილა, ამიტომ მთავარმა 1798 წელს უბოძა მას თაეისი „მონაცვალი შალვარი და წაღა ყოვლის კაცის უცილობად" (ქუთ. მუზ. საბ. № 1463). „მონაცვალის" ბოძება სიუზერენულ-ვასალურ დამოკიდებულებაში მიღებული წესი ჩანს უფოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (იხ. П. Гиплосаров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, Кавказский Календарь, 1859, стр. 424).

ბოსია, სეხნია, გოგია, სოლომონ და ტოტიკი ბერი ჩიქვანის შვილები არიან (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1463).

86 ჩანან 1801 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 1490).

87 გვხვდება 1802, 1803, 1804, 1812 წლებში (ქუთ. მუზ. საბ. №№ 480, 903, 1079; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 141).

88 ვხედებით 1804 წელს (საქ. სახ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 51).

89 არქიმანდრიტი იყო. ვხედავთ 1812 წელს (ქუთ. მუზ. საბ. № 728).

90 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Н коллекция), ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 241, ანდერძი.

91 ითნა მეუნარგიას ცნობით, როსტომი დაიბადა 1767 წელს, გარდაიცვალა 1854 წელს. როსტომის თანამეცხედრე იყო თავად დავით მიქელაძის ასული გულქანი. ჰყოლდა სამი ვაჟი: ლევანი, ტარიელი და დავითი (იხ. მისი, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 169).

92 იქვე, გვ. 170; ქუთ. მუზ. საბ. № 1137.

მდივანბეგის თანამდებობით ვხედავთ როსტომ ჩიქვანს აგრეთვე 1821, 1823, 1832 წლების საბუთებში (ქუთ. მუზ. საბ. №№ 1189, 1330, 1404). ეს თანამდებობა ეპირა მას 1838 წლამდე, ე. ი. სახლთუხუცესობის მიღებამდე (იხ. ითნა მეუნარგია. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 125, 170).

ვარეულოს სახლთუხუცესობა და მასთან ერთად სამთავრო კარზე პირველობაც. ამ დროიდან ოდიშის სამთავროს არსებობის მთელს მანძილზე ეს თანამდებობა ჩიქვანთა საგვარეულოს წარმომადგენლებს ჰქონდათ: 1838—1847 წლებში — როსტომს, ხოლო შემდეგ — მის ძმისწულს დავით (დათა) ოტიას ძეს, რომელიც იყო ოდიშის სამთავროს უკანასკნელი სახლთუხუცესი[93].

მთავრის წინაშე როგორც როსტომს, ისე დავითსაც დიდი ნდობა ჰქონდა დამსახურებული. უკანასკნელს დავით დადიანი თავის „საყვარელ" თავადს ეძახის და აძლევს მას 1851 წელს „საშვილიშვილოდ ხუნწის ჭალაშიდ ოც ქცევა საყანე ადგილს"[94].

1847 წელს, როცა სახლთუხუცესობა დავით ჩიქვანმა მიიღო, ამ სახელოს ადრინდელი მფლობელი როსტომი უფრო დიდ თანამდებობაზე განაწესეს. საქმე იმაში იყო, რომ სახლთუხუცესის სახელო ამ დროისათვის ოდიშში მეორეხარისხოვან თანამდებობად იქცა. პირველხარისხოვან მთხელედ აქ ამ დროს მსაჯულთუხუცესი ითვლებოდა[95]. დავით დადიანმაც როსტომ ჩიქვანი, „ვითარცა დიდის ხნის ნამსახური და ერთგული... სამთავრო სახლისა", დანიშნა „ღირსეულ" თანამდებობაზე — „სამთავროში უზენაესი სასამართლოს მსაჯულთუხუცესად" ანუ მდივანბეგად. ეს თანამდებობა ჰქონდა მას სიკვდილამდე[96].

ზემოაღნიშნულ პირთა გარდა, დავით დადიანის დროს ჩიქვანთა საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ აგრეთვე: სიკო, ანტონი, ვახტანგი და ივანე. ჩიქვანები, რომელნიც ყვ-

---

93 ი ო ნ ა მ ე ს უ ნ ა რ გ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 37; გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბ. № 73, ა ჯგუფი.

94 გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბ. № 73, ა ჯგუფი.

95 შ. დ უ მ ბ ა ძ ე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია, მიმომხილველი, I, 1949, გვ. 24.

მსაჯულთუხუცესის თანამდებობა ოდიშში უთუოდ იმიტომ დაწინაურდა, რომ ის ბატონიშვილებს ეკავათ. როსტომ ჩიქვანზე ადრე მსაჯულთუხუცესად იყო ჯერ „დიდი" ნიკო ანუ ნიკოლოზ I დადიანის ძე, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ (1834 წ.) ეს თანამდებობა 1847 წლამდე ჰქონდა მეორე ნიკო დადიანის ძეს, შეფელს (ქუთ. მუზ. საბ. № 1137; სცია, ფ. 226(1), საბ. № 3157; ი ო ნ ა მ ე ს უ ნ ა რ გ ი ა. ქართველი მწერლები, II, სოლომონ ცაიშვილის რედ., გვ. 92).

96 ი ო ნ ა მ ე ს უ ნ ა რ გ ი ა. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 126, 170—171.

მსაჯულთუხუცესობასთან ერთად, დავით დადიანმა როსტომს მისცა ბოქაულთუხუცესობაც. მაგრამ ამ უკანასკნელი თანამდებობის მიღებაზე მას თურმე უარი განუცხადებია და როსტომის მაგივრად შემდეგ მთავარს ბოქაულთუხუცესად თავის ძმა კონსტანტინე დაუნიშნავს (იხ. ი ქ ვ ე).

ნენ ოდიშის სამთავროს „უზენაესი სასამართლოს“ მდივანბეგებად[97];

კიდევ ივანე ჩიქვანი, რომელიც „სასახლის მოსამსახურეთ-უხუცესი“ იყო და რომელსაც ექვემდებარებოდნენ: უფროსი მოლარე, უფროსი მეღვინე, მებაღე და მზარეული[98];

ხოსია ჩიქვანი, რომელიც იყო მთავრის „საკუთარი მხლებელი“ ანუ „რიგის კაცი“[99];

ლევანი და ბერი ჩიქვანები, რომელნიც „თბილისში და კასპიის მხარეში სხვადასხვა დროს იყვნენ ვექილებად“ ანუ წარმომადგენლებად ოდიშის მთავრისა[100].

ამგვარად, დავით დადიანის დროს ოდიშის სამთავროს სამოხელეო აპარატში ჩიქვანები გაბატონდნენ. მათ უკან მოიტოვეს ძველი ფეოდალური საგვარეულოები და სამთავროში პირველობა დაიმკვიდრეს.

მაგრამ ფეოდალ-სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ ოდიშის სათავადოების არსებობას უკვე XIX ს. 20—30-იან წლებში გამოაცალა საფუძველი. კვაუთელ ჩიქვანთა საგვარეულოს გაყრაც ამავე ხანშია სავარაუდო.

* * *

განხილული სათავადოები წარმოადგენდნენ მეტ-ნაკლებად მსხვილ სათავადოებს ლიხთ-იმერეთში. ამათ გარდა, არსებობდნენ აქ სხვა დიდი და წვრილი სათავადოებიც: წერეთლების, წულუკი-

---

97 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 124.

ზემოდასახელებული ვახტანგი უნდა იყოს 1827 წელს მეღვინეთუხუცესად მოხსენიებული ვახტანგ ჩიქვანი (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 5745). შემდეგ იგი, როგორც ჩანს, მდივანბეგად დაუწინაურებიათ.

აღნიშნულ წელსვე იხსენიება სიკო ჩიქვანიც, როგორც „ბატონის მაგიერი“, ე. ი. დადიანის მიერ რწმენებული კაცი (ი ქ ვ ე).

98 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 67—68.

99 ი ქ ვ ე, გვ. 65—66.

100 ი ქ ვ ე, გვ. 85.

ვექილს უნდა დაეცვა „სამეგრელოს ქვეშევრდომთა ინტერესები“ (ი ქ ვ ე, გვ. 81). კონკრეტულად „ვექილის“ უფლება-მოვალეობის შესახებ იხ ი ქ ვ ე, გვ. 81—84.

ლევან V-ის დადიანობის ბოლო ხანს (1838 წ.) გვხვდება თავადი ზურაბ ჩიქვანი, რომელიც სამთავრო გადასახადის საურის მკრებელი ჩანს (იხ. ხელნაწ ინსტ., ფ. Hd, საბ. № 6723). მისი მოღვაწეობა მომდევნო მთავრის — დავითის დროსაც არის საგულისხმებელი.

ძეების, ჩიჯავაძეების, ნიკარაძეების, ღოღობერიძეების, ნაკაშიძეების, თავდგირიძეების, ფაღავებისა და სხვათა.

იყვნენ აქ აგრეთვე გათავადების გზაზე შემდგარი აზნაურები. მაგალითად, იოსელიანები იმერეთში, რომელთა ხელში იყო ერთ ხანს (XVII ს. შუა წლებში) სოფ. გუშტიბი[101]. მაგრამ მათ ვერ შეძლეს თავადობისათვის აუცილებელი ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამტკიცება: ყმა-მამულის, ეკლესია-მონასტრისა და ციხესიმაგრის გასაკუთრება, აზნაურთა დაყმევება. ყოველივე ეს, ყმური ერთგულების გარდა, ხმლის ძალასა და მეფის წინაშე დიდი „ქრთამის" გაღებას მოითხოვდა (სიუზერენის მიერ ვასალის შეწყალება ჩვეულებრივ „ქრთამით" ხდებოდა). საამისო „ქრთამი" და ხმლის ძალა იოსელიანებს არ აღმოაჩნდათ. მათ აღზევებას ხელი შეუშალა თავად წულუკიძეთა მეზობლობამაც: ეზია იოსელიანის გუშტიბი მისი „სასახლით", გლეხებით, „მიწა-მამულითა, ტყითა, ველითა, წყლითა" 1660—1690 წწ. უკვე მერაბ წულუკიძეს ეკუთვნის „და არც არა იოსელიანსა აქვს ამაშიდ ჴელი"[102].

ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ აზნაური მაჭავარიანები ზემო იმერეთში, რომელთაც ჰქონდათ აგრეთვე გათავადებისათვის ზოგიერთი მონაცემი — სამი სოფელი: ხოვრეთ-წევა-ილემი, ნაწილი ნავარძეთისა და საგვარეულო მონასტერი წევაში. მაგრამ მათი წინსვლა მეზობელმა აბაშიძეებმა შეაჩერეს. მეტიც: თავად აბაშიძეებთან ბრძოლაში მაჭავარიანებმა დაკარგეს თავიანთი ყმა-მამულის დიდი ნაწილი და თვითონაც დაყმევდნენ[103]. ოდესღაც დამოუკიდებელ აზნაურ მაჭავარიანთა უმრავლესობა აბაშიძეებისა და წერეთლების ყმად იქცა[104].

ასე ქვეითდებოდნენ აზნაურები და ძლიერდებოდნენ თავადები.

---

101 დოკუმენტები..., I, საბ. № 674, გვ. 473.

ამ საბუთის შესახებ იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 140.

იოსელიანის მიერ გუშტიბის ფლობის შესახებ ზემომითითებული საბუთის ცნობა რომ სწორია, ეს კარგად ჩანს მერაბ წულუკიძის შეწირულების წიგნიდან. იხ. და შდრ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 82—83.

102 დას. საქ. საეკლ. საბ., I გვ. 82—83,

103 იხ. ზემოთ აბაშიძეთა სათავადო, გვ. 173—174.

104 ი ქ ვ ე; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1210; ფ. S, № 5369 (ზურაბ წერეთლის არქივი. იხ. „აზნაურიშვილის ანაწერი საწერეთლოში"); ფ. Hd, საბ. № 5202.

XVI—XVIII სს. და მომდევნო საუკუნის დამდეგი დასავლეთ საქართველოში არის თავადთა მძლავრობის ხანა. ყმა-მამულთა უდიდეს ნაწილს, ციხესიმაგრეებსა და მაღალშემოსავლიან სახელოებს აქ თავადები ფლობენ.

ეს ხანა სავსეა შინაგანი წინააღმდეგობით. საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა, ერთი მხრით, მეფესა და თავადებს, და, მეორე მხრით, თვით თავადურ საგვარეულოებს შორის პირველობა-ხელმწიფობისათვის. ამ ბრძოლის პროცესში, როგორც ვნახეთ, მაღლდებიან და დაბლდებიან სხვადასხვა თავადური სახლები. დროის ერთ მონაკვეთში (XVI—XVII სს.) იმერეთის სამეფოში პირველობა ჩხეიძეებს, ჩიჯავაძეებსა და ლორთქიფანიძეებს აქვთ. XVII ს. შუა წლებიდან მათ ცვლიან რაჭის ერისთავები და აბაშიძეები, ბოლოს, XVIII ს. მეორე ნახევრიდან სხვებზე მეტად წულუკიძეები და წერეთლები წინაურდებიან.

ასეთივე მდგომარეობაა სამთავროებშიც: გურიის სამთავროში კვეროლელიძეს მაპუტაძე ცვლის, კობალაძეს — შარვაშიძე.

ოდიშის სამთავროში კიდევ ჭილაძეებს, გოშაძეებსა და ჯაიანებს ჩიქვანები და ჩიჩუები ამარცხებენ და ერთმანეთს შორისაც იბრძვიან.

ცენტრალური ხელისუფლება თავადებს შორის წინააღმდეგობას თავის სასარგებლოდ იყენებდა. იმ განუწყვეტელ ბრძოლაში, რომელიც მეფესა და თავადებს შორის წარმოებდა, მეფის დასაყრდენი ძირითადად ისევ თავადები იყვნენ. მაშინ, როდესაც თავადთა ერთი ჯგუფი მეფის წინააღმდეგ იბრძოდა, მეორე მას ემხრობოდა. განმდგარ თავადებს მეფე ისევ თავადების საშუალებით ამარცხებდა. საამისო ფაქტები ზემოთ მრავლადაა ნაჩვენები.

ძლიერის დათრგუნვით და სუსტის შეწყალებით მეფე თავადების ძალთა შეფარდებაში ერთგვარ წონასწორობას ამყარებდა. ამით იცავდა იგი თავს განდიდებულ თავადთა მძლავრობისაგან[105]. მაგრამ მეფის ბრძოლას თავადებთან დასავლეთ საქართველოში ქვეყნის საგარეო მდგომარეობა აძნელებდა.

1555 წლიდან ლიხთ-იმერეთი, როგორც ცნობილია, ოსმალეთის ქვეშევრდომი იყო. აქაური მეფე-მთავრებიც „ყმა ხონთქრისა" იყვნენ. მაგრამ ისინი ამ მდგომარეობას არ ურიგდებოდნენ. არ ურიგ-

---

105 ფეოდალური ურთიერთობის პირობებში მეფე-მთავრებსა და თავადებს შორის საუკუნეთა მანძილზე, ერთი მხრით, ინტერესთა წინააღმდეგობისა და მეორე მხრით, თანაცხოვრება-თანამშრომლობის მიზეზების შესახებ ვრცლად იხ. ო. ხ ო ს ე ლ ი ა. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), გვ. 193—194.

დებოდა მას, კერძოდ, იმერთა მეფე. თურქი აგრესორებისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა...

დამპყრობელის ინტერესები იმერეთში მეფის ხელისუფლების განმტკიცებას ვერ ითმენდა. ამიტომ ოსმალეთი დიდი ხალისით აძლევდა თავშესაფარსა და დამხმარე ლაშქარს მეფის წინააღმდეგ მებრძოლ თავადებს. ხშირად კიდევ განგებ უპირისპირებდა მეფეს სამეფო სახლის რომელიმე წევრს ან ამა თუ იმ ძლიერ თავადს და ამით ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცეს არყევდა. იმერთა მეფეებმა თურქებთან და მათ მოკავშირე რენეგატ თავადებთან ბრძოლას შეალიეს მთელი თავიანთი ღონე.

ფეოდალურ საქართველოში, საერთოდ, დაჩიხული ნატურალური მეურნეობის პირობებში, შეფერხდა იმ ახალი ძალის განვითარება, რომელიც კუთხური ინტერესებით შეზღუდულ თავადებთან ბრძოლაში მეფეს მხარში ამოუდგებოდა და ქვეყნის სენიორულ გათიშულობას ბოლოს მოუღებდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან ეს გათიშულობა მოსპო აქ რუსეთის ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ, რითაც, ობიექტურად, პროგრესული როლი შეასრულა, მაგრამ მას „საქართველოს სახელმწიფოებრიობაც ზედ მიაყოლა“[106*].

---

106 ქ. რაჭველიშვილი. საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, სახელგამი, 1927, გვ. 127, 137.

* წიგნს საძიებლები არ ერთვის ტექნიკური მიზეზების გამო.

შემოკლებანი

ანაწ. — ანაწერი.
განყ. — განყოფილება.
დავთ. — დავთარი.
მინაწ. — მინაწერი.
ნაკვ. — ნაკვეთი.
ნაწ. — ნაწილი.
საბ. — საბუთი.
საქ. სიძვ. — საქართველოს სიძველენი.
სცია — საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი.
ტ. — ტომი.
ფ. — ფონდი.
ფურც. — ფურცელი.

АВПР (МИД СССР) — Архив Внешней Политики России (Министерства иностранных дел СССР).
АПГА — Археологическое путешествие по Гурии и Аджаре.
вып. — выпуск.
д. — дело.
л. — лист.
лл. — листы.
оп. — опись.
св. — связка.
т. — том.
ф. — фонд.
ЦГВИА СССР — Центральный государственный военно-исторический архив СССР.
ч. — часть.

შინაარსი

შესავალი	3
იმერეთის სამეფო	13
თავი I. მხეიძეთა სათავადო	13
თავი II. ჩხეიძეთა სათავადო	25
თავი III. მიქელაძეთა სათავადო	52
თავი IV. რაჭის ერისთავთა სათავადო	68
თავი V. იაშვილთა სათავადო	120
თავი VI. ლორთქიფანიძეთა სათავადო	133
თავი VII. აბაშიძეთა სათავადო	153
თავი VIII. აგიაშვილთა სათავადო	209
გურიის სამთავრო	243
თავი IX. მაჭუტაძეთა სათავადო	243
თავი X. გურიის ერისთავთა სათავადო	254
ოდიშის სამთავრო	271
თავი XI. ჭილაძეთა სათავადო	271
თავი XII. გოშაძეთა სათავადო	285
თავი XIII. ყაიანთა სათავადო	289
თავი XIV. ჩიჩუათა სათავადო	298
თავი XV. ჩიქვანთა სათავადო	309
შემოკლებანი	330

Ольга Николаевна Соселия

ОЧЕРКИ ИЗ СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ ФЕОДАЛЬНОГО ПЕРИОДА

(Сеньории)

I

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ქ ვ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ლ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 11.5.1972; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.12.72.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 20.75; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 20.74; უე 01216; ტირაჟი 1500; შეკვეთა 1390.
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19